სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აფხაზეთის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია

ზურაბ ლიპარტია
ნაზი გვარამია, ელისო ლანჩავა

ეკონომიკური ანალიზი

ნაწილი II

მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2007

უაკ (UDC) 330.101.542
ლ – 652

ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ე. – ეკონომიკური ანალიზი: ნაწილი მეორე, მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი / სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", – თბ., 2007 წ. – 494 გვ.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ეკონომიკურ მეცნიერებათა ერთ-ერთ საკვანძო სასწავლო საგნის ეკონომიკური ანალიზის მეორე ნაწილის – მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმს.

სახელმძღვანელოში განხილულია ბიზნესის მართვის სისტემის ურთიერთდაკავშირებული ფუნქციების: ბუღალტრული (ფინანსური და მმართველობითი) აღრიცხვის; ეკონომიკური ანალიზის; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვა-პროგნოზირების მახასიათებელი ინფორმაციების მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდურ-პრაქტიკული დამუშავების ასპექტები. ასევე შემოთავაზებულია საქმიანი სიტუაციების, სავარჯიშოების, ტესტებისა და ამოცანების ამოხსნისა და საკონტროლო-საგამოცდო დავალებების (ტესტების, ამოცანების) საკითხები.

მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი ორიენტირებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ასათვისებლად. იგი ასევე სასარგებლო იქნება თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკოს მუშაკებისათვის ეფექტიანი სამეწარმეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

იბეჭდება ფაკულტეტის აკადემიური კომისიისა და „აესა"-ს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი №6, 2007 წლის 12 იანვარი.

მეცნიერ-რედაქტორები: ეკ.მეც. დოქტორი, პროფ. გიორგი ცაავა
ეკონ. დოქტორი, ასოც. პროფ. ნანული ძიმცეიშვილი
ეკონ. დოქტორი, ასოც. პროფ. მერაბ ჯიქია

რეცენზენტები: ეკონ. დოქტორი, ასოც. პროფ. ნანა სრესელი
ეკონ. დოქტორი, ასოც. პროფ. დავით ჯალალონია
ეკონ. დოქტორი, ასოც. პროფ. ნინო ქეცბაია

© გამომცემლობა „უნივერსალი" (2007).
© ზურაბ ლიპარტია. ეკონომიკური ანალიზი – ნაწილი პირველი (2003).
© ზ. ლიპარტია, ნ. გვარამია, ე. ლანჩავა. ეკონომიკური ანალიზი, პრაქტიკუმი (2007).

ISBN 978-9941-12-025-1

СУХУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
УЧЕБНО-НАУЧНАЯ АКАДЕМИЯ ЭКОНОМИКИ И ПРАВА
АБХАЗИИ

З.Ш. ЛИПАРТИЯ, Н. ГВАРАМИЯ, Э. ЛАНЧАВА

ЭКОНОМИЧЕСКИЙ АНАЛИЗ

Часть II

Практикум по микроэкономическому анализу

Издательство "УНИВЕРСАЛ"
Тбилиси
2007

УДК (UDC) 330.101.542
L – 652

З. Ш. Липартия, Н. Г. Гварамия, Э. З. Ланчава. Экономический анализ: Часть вторая - Практикум по микроэкономическому анализу / Учебник. Тбилиси. Издательство "Академия наук Абхазии", 2007, 494 стр.

В данном пособии представлены вторая часть базового учебного курса экономического анализа - практикум по микроэкономическому анализу. В труде особое место отведено рассмотрению места и роли бухгалтерского (финансового и управленческого) учета в системе информационного обеспечения финансового менеджмента. В практической плоскости финансовая отчетность корпорации составленных по международным стандартам бухгалтерского учета (МСБУ) рассматривается как основа для реализации взаимосвязанных управленческих функции анализа, планирования и контроля на данном коммерческой организации.

Учебник содержит один из вариантов рабочей программы (силабуса) университетского курса по экономическому анализу, финансовые таблицы и основные формулы, необходимые для решения задач, а также приводятся примеры решения типовых задач, тесты, материалы для аудиторной работы и другие материалы, необходимые для практических занятий.

Учебный курс - практикум по микроэкономическому анализу ориентирован для преподавателей и студентов (бакалавриата, магистратуры) экономических вузов. Материалы книги могут использоватся практическими работниками в сфере бизнеса, которые решили самостоятельно разобрается в финансовых лабиринтах.

Научный редактор: Д.Э.Н., проф. Георги Цаава
Д.Э., проф. Нанули Дзимцейшвили
Д.Э., проф. Мераб Джикия

Рецензенты: Д.Э., проф. Нана Сресели
Д.Э., проф. Давид Джалагония
Д.Э., проф. Нино Кецбая

© Издательство "Универсал" (2007)
© Сухумский государственный университет (2007)
© Учебно-научная Академия экономики и права Абхазии (2007)

ISBN 978-9941-12-025-1

SOKHUMI STATE UNIVERSITY
ACADEMY OF ECONOMY AND JUSTICE OF ABKHAZIA

ZURAB LIPARTIA
NAZI GVARAMIA, ELISO LANCHAVA

ECONOMIC ANALYSIS

PART II

PRACTICAL WORK OF MICROECONOMIC ANALYSIS



Publishing House "UNIVERSAL"
Tbilisi
2007

UDC 330.101.542
L – 652

Lipartia Z., Gvaramia N., Lanchava V. – Economic Analysis: Part II, Practical Work of Economic Analysis / Manual. – Tbilisi, Publishing House "UNIVERSAL", - Tbilisi, 2007 – p. 494.

This manual presents the second part - Practical Work of Microeconomic Analysis - of one of the basic subjects - Economic *Analysis*.

The manual covers the following related functions of the system of business management: accounting (financial and managerial); economic analysis, managerial decision-making and information characteristic to planning and forecasting, and the aspects of their methodical and practical processing approved by the world's practice .It includes working situations, exercises, tests and pre-tests, tasks and assignments for examinations.

Practical Work of Microeconomic Analysis is oriented on bachelor's and master's courses majoring in Economic and Business Administration. It will also help those people who are connected to modern financial management to provide efficient entrepreneurial activities.

Scientific Editors: Doctor of Economic Sciences, Prof. Giorgi Tsaava
Doctor of Economy, Prof. Nanuli Dzimtseishvili
Doctor of Economy, Prof. Merab Jikia

Reviewers: Doctor of Economy, Prof. Nana Sreseli
Doctor of Economy, Prof. David Jalagonia
Doctor of Economy, Prof. Nino Ketsbaia

© Publishing House "UNIVERSAL" (2007)
© Zurab Lipartia. *Economic Analysis* – Part I (2003)
© Zurab Lipartia, Nazi Gvaramia, Eliso Lanchava. *Economic Analysis* – Part II, *Practical Work of Microeconomic Analysis* (2007)

ISBN 978-9941-12-025-1

შინაარსი

შესავალი 15

განაყოფი პირველი. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ინფორმაციების როლი და ადგილი საწარმოს (კორპორაციის) მენეჯმენტის ციკლში

თავი I. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბასს-ით – ეკონომიკური ანალიზის საფუძველი 18

1.1. ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტები და ძირითადი პრინციპები 18

1.2. კლასიკური საბალანსო თეორიების დახასიათება 25

თავი II. საწარმოს (კორპორაციის) ბუღალტრული აღრიცხვის ციკლი 37

2.1. მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის მახასიათებლები 37

2.2. კორპორაციის ბუღალტრული აღრიცხვის ციკლის ეტაპები 44

თავი III. ბასს-ით ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის დახასიათება 56

3.1. კორპორაციის ბუღალტრული ბალანსის მახასიათებლები 56

- კორპორაციის აქტივები – რესურსები 75
- კორპორაციის ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი – დაფინანსების წყაროები 93

3.2. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 101

3.3. ანგარიშგება ფულადი სახსრების ნაკადის მოძრაობის შესახებ 108

3.4. ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ 120

3.5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა – განმარტებითი შენიშვნები 126

3.6. შუალედური ფინანსური ანგარიშგება 130
3.7. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 133

თავი IV. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ძირითადი საკითხები ტესტებში, სავარჯიშოებსა და ამოცანებში 136

განაყოფი მეორე. საწარმოს (კორპორაციის) საქმიანობის ფინანსური ინფორმაციების მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები

თავი V. საწარმოს (კორპორაციის) საქმიანობის მმართველობითი (მენეჯერული) ანალიზის ასპექტები 210
5.1. საწარმოს საქმიანობის მენეჯერული ანალიზის მეთოდიკა 210
5.2. მმართველობითი ანალიზის ძირითადი საკითხები ტესტებსა და ამოცანებში 235

თავი VI. საწარმოს (კორპორაციის) ფინანსური ინფორმაციების (ანგარიშგების) ანალიზის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები 254
6.1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის – ბალანსის მუხლობრივი ანალიზი 254
6.2. საწარმოს საქმიანობის შედეგის – მოგება ან ზარალის უწყისის ანალიზი 256
6.3. საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ანალიზი 260
6.4. ფინანსური ინფორმაციების ზოგადი და ფარდობითი ანალიზის ძირითადი მახასიათებლები 268
6.5. კორპორაციის ფინანსური ანალიზის კოეფიციენტების ძირითადი ჯგუფები და დიაგნოსტიკის თავისებურებანი 290
6.6. ფინანსური ანალიზის ძირითადი საკითხები ტესტებში, სავარჯიშოებსა და ამოცანებში 310

განაყოფი მესამე. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფინანსური დაგეგმვა – პროგნოზირების თავისებურებანი

თავი VII. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები 349
7.1. მიკროეკონომიკური დაგეგმვის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები 349

თავი VIII. საწარმოს (კორპორაციის) საინვესტიციო საქმიანობის ეფექტურობის შეფასება 378
8.1. ინვესტიციების შესაძლო ვარიანტების შერჩევა და ეფექტურობის შეფასება 378

თავი IX. ფინანსური დაგეგმვა და პროგნოზირების თავისებურებანი 400
9.1. ფინანსური დაგეგმვა კორპორაციის მართვის სისტემაში 400
9.2. ეკონომიკური პროგნოზირების პრაქტიკა და დარგობრივი პროგნოზირების თავისებურებანი 407

თავი X. გადაწყვეტილებების მიღებისა და ფინანსურ დაგეგმვა-პროგნოზირების ძირითადი საკითხები საქარხნოებსა და ამოცანებში 411

რეზიუმე რუსულ ენაზე 435
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 458
გამოყენებული და რეკომენდირებული ლიტერატურის სია 460
დანართები:
- დანართი I – სასწავლო კურსის პროგრამა 464
- დანართი II – დისკონტირების ძირითადი ცხრილები და ფორმულები 481
- დანართი III – საგამოცდო საკითხების, საკურსო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების (პროექტების) თემატიკა 486

Содержание

Введение 15

РАЗДЕЛ ПЕРВЫЙ. МЕСТО И РОЛЬ БУХГАЛТЕРСКОГО УЧЕТА И ФИНАНСОВОЙ ИНФОРМАЦИИ В ЦИКЛЕ МЕНЕДЖМЕНТА ПРЕДПРИЯТИЯ (КОРПОРАЦИИ)

ГЛАВА I. БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЕТ И ФИНАНСОВАЯ ОТЧЕТНОСТЬ ПО МСБУ ИСТОЧНИК ИНФОРМАЦИИ ДЛЯ ЭКОНОМИЧЕСКОГО АНАЛИЗА 18

1.1. Элементы и основные принципы бухгалтерского учета 18

1.2. Характеристики классической балансовой теории ... 25

ГЛАВА II. ЦИКЛ БУХГАЛТЕРСКОГО УЧЕТА НА ПРЕДПРИЯТИЯХ (КОРПОРАЦИЯХ) 37

2.1. Характеристики управленческого и финансового учета 37

2.2. Этапы цикла бухгалтерского учета корпорации 44

ГЛАВА III. ПОЛНЫЙ ПАКЕТ ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИ ПО МСБУ 56

3.1. Характеристика бухгалтерского баланса корпорации 56

- Активы корпорации - ресурсы 75
- Обязательства и собственный капитал - источники финансирования 93

3.2. Отчетность о прибылях и убытках 101

3.3. Отчетность о движении потоков денежных средств . 108

3.4. Отчетность об изменениях собственного капитала 120

3.5. Пояснительная записка к финансовой отчетности 126

3.6. Промежутная финансовая отчетность 130

3.7. Консолидированная финансовая отчетность 133

ГЛАВА IV. ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ БУХГАЛТЕРСКОГО УЧЕТА И ФИНАНСОВОЙ ОТЧЕТНОСТИ ПРЕДПРИЯТИЯ В ТЕСТАХ, В УПРАЖНЕНИЯХ И ЗАДАЧАХ 136

РАЗДЕЛ ВТОРОЙ. МЕТОДИКО-ПРАКТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ МИКРОЭКОНОМИЧЕСКОГО АНАЛИЗА ФИНАНСОВОЙ ИНФОРМАЦИЕЙ О ХОЗЯЙСТВЕННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ПРЕДПРИЯТИЯ (КОРПОРАЦИИ)

ГЛАВА V. УПРАВЛЕНЧЕСКИЙ АНАЛИЗ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ПРЕДПРИЯТИЯ (КОРПОРАЦИИ) 210
5.1. Методика управленческого анализа деятельности предприятия 210
5.2. Основные вопросы управленческого анализа предприятия в тестах и задачах 235

ГЛАВА VI. МЕТОДИКО-ПРАКТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ АНАЛИЗА ФИНАНСОВОЙ ИНФОРМАЦИИ (ОТЧЕТНОСТИ) ПРЕДПРИЯТИЯ 254
6.1. Анализ финансового состояния (статьейный анализ баланса предприятия 254
6.2. Анализ финансовых результатов (ведомости о прибылях и убытках) предприятия 256
6.3. Анализ движений денежных потоков предприятия .. 260
6.4. Характеристики общих и относительных методов анализа финансовой информации (отчетности) 268
6.5. Основные группы финансовых коэфициентов и особенности финансовой диагностики корпорации . 290
6.6. Основные вопросы финансового анализа в тестах и задачах 310

РАЗДЕЛ ТРЕТИЙ. ОСОБЕННОСТИ ПРИНЯТИЯ УПРАВЛЕНЧЕСКОГО РЕШЕНИЯ И ФИНАНСОВОГО ПЛАНИРОВАНИЯ-ПРОГНОЗИРОВАНИЯ

ГЛАВА VII. ОСНОВЫ ПРИНЯТИЯ УПРАВЛЕНЧЕСКИХ РЕШЕНИЙ .. 349
7.1. Методико-практические аспекты микроэкономического планирования 349

ГЛАВА VIII. ОЦЕНКА ЭФФЕКТИВНОСТИ ИНВЕСТИЦИОННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ (ПОЛИТИКИ) ПРЕДПРИЯТИЯ (КОРПОРАЦИИ) 378
8.1. Выбор возможных вариантов инвестиции и оценки ее эффективности 378

ГЛАВА IX. ФИНАНСОВОЕ ПЛАНИРОВАНИЕ И ОСОБЕННОСТИ ПРОГНОЗИРОВАНИЯ НА МИКРОУРОВНЕ 400
9.1. Финансовое планирование в системе управления корпорации 400
9.2. Практика экономического прогнозирования и особенности отраслевого прогнозирования 407

ГЛАВА X.ВОПРОСЫ ПРИНЯТИЯ РЕШЕНИЙ ПО ИНВЕСТИЦИОННЫМ ПРОЕКТАМ И В ФИНАНСОВОМ ПЛАНИРОВАНИИ-ПРОГНОЗИРОВАНИИ В ТЕСТАХ И ЗАДАЧАХ ... 411

РЕЗЮМЕ (на русском языке) 435
РЕЗЮМЕ (на английском языке) 458
СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННОЙ И РЕКОМЕНДОВАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ 460
ПРИЛОЖЕНИЯ:
- ПРИЛОЖЕНИЕ 1. УЧЕБНАЯ ПРОГРАММА (СИЛАБУС) КУРСА 464
- ПРИЛОЖЕНИЕ 2. ТАБЛИЦА ДИСКОНТИРУЮЩИХ МНОЖИТЕЛЕЙ 481
- ПРИЛОЖЕНИЕ 3. ВОПРОСЫ ДЛЯ ПОДГОТОВКИ К ЭКЗАМЕНУ, ТЕМАТИКА КУРСОВЫХ, ДИПЛОМНЫХ ПРОЕКТОВ (БАКАЛАВРИАТА, МАГИСТРАТУРЫ) 486

CONTENT

Introduction 15

UNIT 1. ROLE AND PLACE OF ACCOUNTING AND FINANCIAL INFORMATION IN THE CYCLE OF ENTERPRISE (CORPORATION) MANAGEMENT

CHAPTER I. ACCOUNTING AND FINANCIAL STATEMENT UNDER IAS (INTERNATIONAL ACCOUNTING SATNDARDS) - BASIS OF ECONOMIC ANALYSIS 18
1.1. Elements and Basic Principles of Accounting 18
1.2. Description of Classical Balancing Theories 25

CHAPTER II. ENTERPRISE (CORPORATION) ACCOUNTING CYCLE .. 37
2.1. Characteristics of Managerial and Financial Statement . 37
2.2. Stages of Corporation Accounting Cycle 44

CHAPTER III. CHARACTERISTICS OF FULL PACKET OF FINANCIAL STATEMENT UNDER IAS 56
3.1. Characteristics of Corporation Balance Sheet 56
- Corporation Assets – Resources 75
- Corporation Obligations and Equity Capital Sources of Funding 93

3.2. Income and Losses Statement 101
3.3. Cash Flow Statement 108
3.4. Statement on Changes of Equity Capital 120
3.5. Explanatory Notes of Financial Accounting 126
3.6. Intermediate Financial Accounting 130
3.7. Consolidated Financial Accounting 133

CHAPTER IV. MAIN PROBLEMS OF ACCOUNTING AND FINANCIAL STATEMENT IN TESTS, EXERCISES AND TASKS 136

UNITE 2. METHODICAL AND PRACTICAL ASPECTS OF MICROECONOMIC ANALYSIS OF FINANCIAL INFORMATION OF ENTERPRISE (CORPORATION) ACTIVITIES

CHAPTER V. ASPECTS OF MANAGERIAL ACTIVITIES OF ENTERPRISE (CORPORATION) ACTIVITIES 210
5.1. Methods of Managerial Analysis of Enterprise Activities..... 210
5.2. Main problems of Managerial Analysis in Tests and Tasks 235

CHAPTER VI. METHODICAL AND PRACTICAL ASPECTS OF ANALYSIS OF FINANCIAL AVTIVITIES OF ENTERPRISE 254
6.1. Analysis of Financial State – Balance of Enterprise 254
6.2. Analysis of the Result of Enterprise Activities – Notice of Profit or Losses 256
6.3. Analysis of Cach flow state 260
6.4. Basic Characteristics of General and Relative Analysis of Financial Information 268
6.5. Main Groups of Coefficient of Corporation's Financlial Analysis and Features of Financial Diagnostics 290
6.6. Main problems of Financial Analysis in Tests, Exercise and Tasks 310

UNIT 3. MANAGERIAL DECISION-MAKING AND FINANCIAL PLANNING - FEATURES OF FORECASTING

CHAPTER VII. BASISOF MANAGERIAL DECISION-MAKING 349
7.1. Methodical and Practical Aspects of Microeconomic Planning 349

CHAPTER VIII. EVALUATION OF EFFICIENCY INVESTMENT POLICY OF ENTERPRISE (CORPORRATION) 378
8.1. Choosing of Possible Versions of Investment and Evaluation 378

CHAPTER IX. FINANCIAL PLANNING AND PECULIARITIES OF FORECASTING 400
9.1. Financial Planning in Enterprise Management System .. 400
9.2. Practice of Economic Forecasting and Peculiarities of Sectoral Forecasting 407

CHAPTER X. MAIN PROBLEMS OF DECISION-MAKING AND FINANCIAL PLANNING AND FORECASTING IN EXERCISES AND TASKS 411
RESUME IN RUSSIAN 435
RESUME IN ENGLISH 458
BIBLIOGRAPHY USED AND RECOMMENDED 460
APPENDIXES:
- APPENDIX I – SYLLABUS OF THE COURSE 464
- APPENDIX II – TABLES AND FORMULAS OF DISCOUNTING .. 481
- APPENDIX III – ISSUES OF PREPARING FOR EXAMINATIONS, THEMES OF COURSE WORKS (PROJECTS) FOR BACHELOR'S AND MASTER'S COURSES 486

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად მნიშვნელოვანია მიკროდონეზე ახალი ტიპის მმართველობის-მენეჯმენტის პრინციპების ფორმირება, სამარკეტინგო აზროვნების განვითარება, თანამედროვე მენეჯმენტის მიერ ანალიტიკური ინსტრუმენტარიების ათვისება და მათი მეწარმეობითი საქმიანობის პრაქტიკაში დამკვიდრება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მიკროეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური ანალიზის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც აპრობირებულია მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების მმართველობითი ფუნქციების პრაქტიკაში, და, რომელთა ინტერპრეტაციები ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის აღორძინებისათვის.

მეცნიერული მრავალმხრივი ანალიზის მეთოდის გამოყენებით მიიღწევა ეკონომიკური სუბიექტის სამეწარმეო, საინვესტიციო საქმიანობის ობიექტური შეფასება. მაგალითად, საოპერაციო ანალიზის „დანახარჯები-მოცულობა-შოგების" (ინგლ. Costs-Volume-Profit) მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯების (CV), მუდმივი დანახარჯების (CF), ფასის (P) და რეალიზაციის მოცულობების (TS) ცვალებადობის პირობებში უფრო მომგებიანი კომბინაციების ძიება.

მიკროეკონომიკური ანალიზის პროცესში „მინი-მაქსი" მეთოდის გამოყენებით („წაუგებლობის წერტილის") შესაძლებელი იქნება საწარმოს შედეგების ცვლილებაზე სასაქონლო (ასორტიმენტული) სტრუქტურის, რეალიზაციის მოცულობების ზრდისა და ცვალებადი დანახარჯების გავლენის მახასიათებლების (ერთობლივი მარჟის კოეფიციენტი, ფინანსური სიმტკიცის მარჟის მაჩვენებელი) გათვლები, რომელთა ანალიზით შესაძლებელია განისაზღვროს საწარმოში ყველაზე რენტაბელური ნაკეთობა, შეიცვალოს ასორტიმენტული პოლიტიკა და განისაზღვროს საწარმოს საბაზრო ქცევის ეკონომიკური პოლიტიკა საწარმოს საბოლოო მიზნის

მაქსიმალურად შესაძლებელი მოგების ან კრიზისულ სიტუაციაში თვითგადარჩენის მისაღწევად.

მიკროეკონომიკური თეორიის საკითხების ანალიზი თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც მიმდინარეობს წარმოების პროცესში განახლებადი რესურსების მზარდი ტემპებით ჩართვა, როცა იცვლება მიდგომები კონკურენციის, ეკონომიკური რაციონალიზმის ჩამოყალიბებული პოსტულატების მიმართ, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ინსტიტუციური პრობლემები და პოლიტიკური პროცესების ეკონომიკურ რაკურსში განხილვის, მათი ანალიტიკური შეფასების აუცილებლობა.

წინამდებარე სახელმძღვანელო ეკონომიკური ანალიზის მეორე ნაწილი - „მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი" შემდეგი სტრუქტურით არის წარმოდგენილი. პირველ განაყოფში - „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ინფორმაციების როლი და ადგილი საწარმოს – კორპორაციის მენეჯმენტის ციკლში" არის შემოთავაზებული მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და ბუღალტრული აღრიცხვის ციკლის ეტაპები. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი – ბასს-ით განისაზღვრება, როგორც ბიზნესის მმართველობითი და ფინანსური ინფორმაციების ფორმირებისა და ანალიზის ჩატარების საფუძველი. პირველი განაყოფის მეოთხე თავში წარმოდგენილია ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების მახასიათებლების ტესტ-ამოცანების ამოხსნის მეთოდური მითითებანი, პრაქტიკული სავარჯიშოები, საკონტროლო დავალებებისა და საგამოცდო საკითხების თემატიკა.

სახელმძღვანელოს მეორე განაყოფში ასახულია „საწარმოს – კორპორაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ინფორმაციების მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები". კერძოდ, მეხუთე თავში განხილულია მენეჯერული ანალიზის მეთოდიკა, საკონტროლო დავალებანი, ტესტები და ამოცანები, მმართველობითი ანალიზის საწარმოებლად. მეექვსე თავში წარმოდგენილია: ბალანსის მუხლობრივი ანალიზი; მოგება და ზარალის უწყისის ანალიზი; საწარმოს ფულადი ნაკადების ანალიზი; ფინანსური ინფორმაციების ზოგადი და ფარდობითი ანალიზის ძირითადი სახეები; კოეფიციენტების ანალიზის ძირითადი ჯგუფები და ეკონომიკური დიაგნოსტიკის თავისებურებანი. განხილულია ფი-

ნანსური ანგარიშგების ანალიზის პრაქტიკული ასპექტები: ტესტები, სავარჯიშოები, ამოცანები, საკონტროლო დავალებების ვარიანტების თემატიკა.

„მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმის" მესამე განაყოფში საფუძვლიანად არის წარმოდგენილი მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები, ინვენსტიციების შესაძლო ვარიანტების შერჩევა და ეფექტურობის შეფასების, მიკროეკონომიკური დაგეგმვის (ბიზნეს-გეგმის) მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები. ფინანსური დაგეგმვა – პროგნოზირების თავისებურებანი განხილულია სავარჯიშოებში, ტესტებსა და ამოცანების პირობებში.

სახელმძღვანელოს დანართები მოიცავს: სასწავლო კურსის – ეკონომიკური ანალიზის სამუშაო პროგრამას („სილაბუსს"), დისკონტირების ცხრილებსა და ძირითად ფორმულებს, რომლებიც გამოიყენება სამეწარმეო პრაქტიკაში ეკონომიკური ანალიზის წარმოებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

ავტორების აზრით, წინამდებარე სახელმძღვანელოს გამოყენება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საწარმოების, ეკონომიკური ორგანიზაციების სხვადასხვა დონის მენეჯერთა ჯგუფებს, მარკეტოლოგებს და მეცნიერ-მკვლევარებს ეკონომიკურ-პოლიტიკურ ფაქტორთა ანალიზისა და შედეგების განზოგადების უნარ-ჩვევების ფორმირება-დამკვიდრებაში, მმართველობითი მონიტორინგისა და ფინანსური აღრიცხვის (ანგარიშგების) საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ძირითადი პრინციპების საფუძვლიან გათვითცნობიერებაში.

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია თავისავე სამშობლოში დროებით დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უმაღლესი სკოლის პროფესურის მიერ. ბუნებრივია, პატივცემული მკითხველი წიგნში აღმოაჩენს ნაკლოვანებებს, ცალკეულ უზუსტობებს და ა.შ. კეთილმოსურნე კოლეგების საქმიანი შენიშვნები, რჩევები და წინადადებები უღრმესი მადლიერების გრძნობით იქნება მიღებული. უმორჩილესად გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი თვალსაზრისი, დროებით მისამართზე: თბილისი, საბურთალო, ჯიქიას ქ. №4 და №9 (სოხუმის უნივერსიტეტი ან/და აფხაზეთის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია „აესა").

ღრმა პატივისცემით,

ავტორები ზურაბ ლიპარტია, ნაზი გვარამია, ელისო ლანჩავა

ქ. თბილისი, აგვისტო, 2007 წ.

განაყოფი პირველი.
ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ინფორმაციების როლი და ადგილი საწარმოს (კორპორაციის) მენეჯმენტის ციკლში

თავი I. ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ბასს-ით – ეკონომიკური ანალიზის საფუძველი

I.I ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტები და ძირითადი პრინციპები

„საბუღალტრო აღრიცხვა არის თითოეული საწარმოს წარსულის შეუცდომელი მსაჯული, აწმყოს აუცილებელი ხელმძღვანელი და მომავლის საიმედო მრჩეველი.”

ი.შერი
(შვეიცარიელი ეკონომისტი)

„ბუღალტერიის პრინციპი – ორადი ჩაწერა – ადამიანის გონების ერთ-ერთი უმშვენიერესი აღმოჩენაა”

გოეთე

ბუღალტრული აღრიცხვის თეორიიდან ცნობილია, რომ ორგანიზაციას ფუნქციონირებისათვის გააჩნია:

ა) შრომის საშუალებები ანუ შრომის იარაღები და ბ) შრომის საგნები ანუ შრომის ობიექტები.

შრომის საშუალებებს (იარაღებს) და შრომის საგნებს (ობიექტებს) ეკონომიკაში უწოდებენ სამეურნეო საშუალებას, რომელიც დანიშნულებით იყოფა:

ა) ძირითად საშუალებად; ბ) საბრუნავ საშუალებად; გ) დანახარჯებად (ანუ დაუმთავრებელ წარმოებად).

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიდან გამომდინარეობს ის, რომ ორგანიზაციაში არსებული სამეურნეო საშუალებები და

მათი ყოველგვარი მოძრაობა აისახება მათსავე წყაროებთან მჭიდრო კავშირში.

სამეურნეო საშუალებათა წყაროები ორ ძირითად ჯგუფად არის წარმოდგენილი:

ა) საკუთარ საშუალებათა წყაროები და ბ) მოზიდულ საშუალებათა წყაროები.

ბალანსი წარმოადგენს ბუღალტერიის მეთოდს, რომელიც მოცემული თარიღისათვის სამეურნეო საშუალებების სახეებსა და წყაროებს ორმხრივად აჯგუფებს და გამოხატავს გამაერთიანებელი ფულადი საზომით (ლარებით).

ბუღალტრულ ბალანსში სამეურნეო საშუალებები მათი სახეების და წყაროების მიხედვით ცალ-ცალკე, ურთიერთმჭიდრო კავშირსა და დროში უწყვეტლივ აისახება, რათა დროის ყოველ მონაკვეთში არსებობდეს ინფორმაციები იმის შესახებ თუ:

1) რა სახის და რა ღირებულების სამეურნეო საშუალებები გააჩნია ორგანიზაციას;

2) საიდან არიან წარმოშობილი და რა დანიშნულება აქვთ მათ.

ბუღალტრულ ბალანსს (Balance sheet) აქვს ორი მხარე: მარცხენა – აქტივი (Assets) და მარჯვენა – პასივი: ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი – (Liabilities and equity).

ბალანსში რესურსები (საშუალებები) განლაგდება აქტივის მხარეს, ხოლო მათი არსებობის წყაროები – პასივის მხარეს.

აქტივის საწყისი ნაშთები და პასივის საწყისი ნაშთები ტოლი უნდა იყოს.

აღრიცხვის პრაქტიკაში ოთხი ტიპის სამეურნეო ოპერაციას გამოყოფენ, რომლებიც ბალანსზე მოქმედებენ ოთხი მიმართულებით, კერძოდ:

I ტიპი - იცვლება ბალანსის მხოლოდ აქტივის მხარე;

II ტიპი - იცვლება ბალანსის მხოლოდ პასივის მხარე;

III ტიპი - ოპერაცია ადიდებს ბალანსის აქტივს და პასივს;

IV ტიპი - ოპერაცია ამცირებს ბალანსის აქტივს და პასივს.

იმისათვის, რომ ესა თუ ის სამეურნეო ოპერაცია ჩაიწეროს ბუღალტრულ ანგარიშებში (დავთრებში), საბალანსო მეთოდის დაცვით, საჭიროა თითოეული სამეურნეო ოპერაცია აისახოს ამა

თუ იმ ანგარიშის დებეტში და ამა თუ იმ ანგარიშის კრედიტში თანაბარი თანხებით.

განვიხილოთ მაგალითები:

პირველი ტიპის სამეურნეო ოპერაციები ეხება ბალანსის აქტივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის შემცირება იწვევს იმავე თანხით მეორე მუხლის გადიდებას.

მაგალითად, საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშიდან სალაროში შემოტანილია 22000 ლარი. ეს ოპერაცია აქტივში შეამცირებს ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებულ თანხას — 22000 ლარით, ამასთანავე სალაროს მუხლი გაიზრდება 22000 ლარით. ბალანსის ჯამი უცვლელი დარჩება.

მეორე ტიპის სამეურნეო ოპერაციები ეხება ბალანსის პასივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის შემცირება იწვევს იმავე თანხით მეორე მუხლის გადიდებას და პირიქით.

მაგალითად, საწარმოს მოკლევადიანი სესხი (ერთწლიანი ვადით) 5000 ლარი, დაფარვის ვადით გახანგრძლივებულია 5 წლამდე. შესაბამისად, სესხის მოკლევადიანი ანგარიშიდან გადატანილ იქნა გრძელვადიანში. მაშასადამე, შემცირდება ბანკის მოკლევადიანი კრედიტების მუხლი 5000 ლარით და გაიზრდება ბანკის გრძელვადიანი კრედიტის მუხლი ამავე თანხით. ბალანსის ჯამი არ შეიცვლება.

მესამე ტიპი ოპერაციებისა თანაბრად ადიდებს ბალანსის აქტივსა და პასივს, ბალანსის ჯამიც თანაბრად იზრდება.

მაგალითად, საწარმომ მიიღო ბანკის მოკლევადიანი სესხი 10000 ლარი, რაც ჩაირიცხა ანგარიშსწორების ანგარიშზე. ეს ოპერაცია აქტივში გაადიდებს ფულად საშუალებებს ანგარიშსწორების ანგარიშზე, ხოლო პასივში გაადიდებს მოკლევადიანი კრედიტის მუხლს, რადგან საწარმოს გაეზარდა ფული 10000 ლარით, მაგრამ ვალიც ბანკის წინაშე გაუდიდდა ამავე თანხით. ბალანსის ჯამიც თანაბრად გადიდდება.

მეოთხე ტიპი ოპერაციებისა ამცირებს ბალანსის აქტივსა და პასივს თანაბრად, ბალანსის ჯამიც თანაბრად მცირდება.

მაგალითად, საწარმომ გადაურიცხა საგადასახადო ინსპექციას საშემოსავლო გადასახადი 1000 ლარი. ეს ოპერაცია აქტივში გამოიწვევს ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ფულის 1000

ლარით შემცირებას. ამასთანავე, პასივის მხარეს ჩაწერილი ვალი ბიუჯეტის წინაშე ამავე ოდენობით შემცირდება. ბალანსის ჯამიც თანაბრად შემცირდება.

როგორც ბალანსს, ბულალტრულ ანგარიშსაც აქვს ორი მარჯვენა და მარცხენა მხარე. ბალანსის აქტიური და პასიური მუხლების შესაბამისად აღრიცხვის პრაქტიკაში განიხილავენ აქტიურ და პასიურ ანგარიშებს:

აქტიური ანგარიშების დახასიათება

დებეტი	ანგარიშის ნომერი (კოდი)	კრედიტი
საწყისი ნაშთი (ბალანსის აქტივიდან) საშუალებათა სახეების მატება (+)	საშუალებათა სახეების შემცირება (–)	
დასკვნითი ნაშთი (სალდო)		

აქტიურ ანგარიშებში პირველი ჩანაწერი აღინიშნება მარცხენა მხარეს (დებეტში), რადგან აქტიური ანგარიშები გამომდინარეობენ ბალანსის აქტივის მხრიდან.

პასიური ანგარიშების დახასიათება:

დებეტი	ანგარიშის ნომერი (კოდი)	კრედიტი
საშუალებათა წყაროების შემცირება (–)		საწყისი ნაშთი (ბალანსის პასივიდან) საშუალებათა წყაროების მატება (+)
		დასკვნითი ნაშთი (სალდო)

პასიურ ანგარიშებში პირველი ჩანაწერი აღინიშნება მარჯვენა მხარეს, რადგანაც პასიური ანგარიშები გამომდინარეობენ ბალანსის პასივიდან.

დასკვნითი ნაშთები (სალდო) აქტიურ ანგარიშებზე გამოვლინდება დებეტში და პასიურ ანგარიშებზე - კრედიტში.

მსჯელობა ბულალტრული ანგარიშების შესახებ მთლიანად დაყრდნობილია ბულალტრული ანგარიშების ერთიან გეგმაზე და მათ ნუმერაციასა და დასახელებაზე, ამიტომ ბულალტერიის უკეთ

შესწავლისათვის თავიდანვე კარგად უნდა ავითვისოთ მათი დასახელებანი ნუმერაციებით.[1]

ბულალტრული აღრიცხვა თავისებური ნიშან-თვისებებითა და პრინციპებით ხასიათდება. აღრიცხვის არსებითი თვისება მის შეზღუდულობაში აისახება, რაც განპირობებულია შემდეგით:

1. ზოგიერთი უმნიშვნელო მოვლენა შეუძლებელია გამოისახოს ფულადი ფორმით;
2. საანგარიშგებო პერიოდი ფიქსირებულ ინტერვალში მოიცავს განუსაზღვრელობას გარიგებების დაუმთავრებლობის გამო;
3. ფინანსური ანგარიშგების მონაცემები დამოკიდებულია აღრიცხვის კონცეფციაზე;
4. ბულალტრული აღრიცხვა არ არის სპეციალური მსჯელობა, მისი წესები წინასწარ განსაზღვრულია საღი გონებით.

აღრიცხვის კონცეფცია აყალიბებს პირველადი ბულალტრული ჩანაწერების ფინანსურ ანგარიშგებად გარდაქმნის წესს. ეს წესი ემყარება აღრიცხვის ისეთ ზოგად პრინციპებს, როგორიცაა: ორმხრივობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპები.

ორმხრივობის პრინციპის თანახმად საწარმოს ქონება წარმოგვიდგება შემდეგი ტოლობის სახით:

აქტივი = ვალდებულება + კაპიტალი

ფულადი შეფასების პრინციპი ითვალისწინებს ბულალტრულ აღრიცხვაში იმ მონაცემების გამოყენებას, რომელიც შეიძლება ფულით შეფასდეს. ვინაიდან ბულალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია მხოლოდ იმ მონაცემებზე, რომელთაც ფულადი ღირებულება გააჩნია, იგი ვერ იძლევა ამომწურავ პასუხს საწარმოს მდგომარეობის შესახებ. "ფინანსური ანგარიშგება პასუხობს მომხმარებელთა უმრავლეობის საერთო მოთხოვნებს. თუმცა, ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას, რომელიც სჭირდება მომხმარებელს გადაწყვეტილების მისაღებად, ვინაიდან ანგარიშგებაში წარმოდგენილია მხოლოდ გასული

[1] უფრო ვრცლად იხილეთ სახელმძღვანელო, გივი თოდუა – ბულალტრული აღრიცხვის თეორია (საერთაშორისო სტანდარტებით). თბილისი 2002.

საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები და ამასთან, ყოველთვის არ შეიცავს არაფინანსურ ინფორმაციას" – განმარტებულია ბასს-ის სტრუქტურულ საფუძველში (პუნქტი 13ა).

საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის თანახმად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ინფორმაცია მხოლოდ საწარმოს ფინანსური ოპერაციების შესახებ.

უწყვეტობის პრინციპი ემყარება მოსაზრებას, რომ საწარმო იფუნქციონირებს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. უწყვეტობის პრინციპი გარკვეულწილად კავშირშია ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითად დაშვებასთან – "ფუნქციონირებადი საწარმო". ბასს-ის განმარტებით (სტრუქტურული საფუძვლები, პუნქტი 23) "ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც".

თვითღირებულების პრინციპი გულისხმობს საშუალებების აღრიცხვას შეძენის, ან დამზადების თვითღირებულებით და არა მისი საბაზრო ღირებულებით. ამიტომ ბუღალტრული აღრიცხვა არ ფლობს ინფორმაციას მოცემულ მომენტში საშუალებების რეალური ღირებულების შესახებ.

კონსერვატიზმის პრინციპის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვა არ უნდა იძლეოდეს ფინანსური მდგომარეობის გაუმართლებელ ოპტიმისტურ შეფასებას. ეს პრინციპი მოიცავს ორ პირობას: 1. ქონების ზრდის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად განსაზღვრულ მოვლენას და 2. ქონების შემცირების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად შესაძლებელ მოვლენას.

მატერიალურობის (არსებითობის) პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში მხედველობაში არ მიიღება არაარსებითი ფაქტი. არსებითად ითვლება ოპერაცია, რომლის შედეგად იცვლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. თუმცა, ოპერაციების არსებითად და არაარსებითად დაყოფა სუბიექტურია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს ყველა არსებით ფაქტს. "ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ მისი გამოტოვება, ან დამახინჯება გავლენას მოახდენს იმ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ეყრდნობა ფინანსურ ანგარიშგებას" (ბასს 1 პ.3)

ამრიგად, მატერიალურობის პრინციპს ორი ასპექტი გააჩნია:

ა) უმნიშვნელო მოვლენების უგულებელყოფა,

ბ) ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ასახვა.

რეალიზაციის პრინციპის შესაბამისად საწარმოს მიერ შემოსავლები აღირიცხება აქტივის მყიდველზე გადაცემის, ან მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის დროს. ბასს-ი განმარტავს, რომ (ბასს 18, პუნქტი 14): "საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, რომესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო გადასცემს მყიდველს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს,

ბ) საწარმოს გაყიდულ საქონელზე აღარ აქვს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული რაიმე ადმინისტრაციული უფლება და რეალური კონტროლის განხორციელების ბერკეტი,

გ) თუ შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა,

დ) თუ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს,

ე) თუ მოსალოდნელია, რომ მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯები განისაზღვროს საიმედოდ".

შესაბამისობის პრინციპი არეგულირებს გასავლების ხარჯებად აღიარებას. მისი არსი იმაში მდგომრაეობს, რომ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ის გასავლები მიიჩნევა ხარჯებად, რომელიც მონაწილეობს ამ პერიოდის შემოსავლების მიღებაში. ბასს-ში მითითებულია (ბასს 18, პუნქტი 19), რომ "ერთი და იმავე ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება ერთდროულად. ამ პროცესს უწოდებენ ამონაგების და ხარჯების შესაბამისობის პრინციპს... არ შეიძლება ამონაგების აღიარება-ასახვა შესაბამისი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრის გარეშე".

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების ერთ-ერთი ძირითადი გზა იმ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლაა, სადაც ბუღალტრულ აღრიცხვას ("ბიზნესის ანბანი და ენა") ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საქმეში. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტების განხილვის შემდეგ ჩამოვაყალიბოთ ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითადი მახასია-

თებლები, ბუღალტრული აღრიცხვის სართაშორისო სტანდარტების საფუძველზე, კერძოდ: ბუღალტრული ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში, სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების პრინციპები და ა.შ. ასევე, ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავების ანალიზის მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტები.

1.2. კლასიკური საბალანსო თეორიების დახასიათება

ცნობილია, რომ ბალანსის კლასიკური თეორიები განსხვავდებიან ბალანსის შედგენის მიზნიდან გამომდინარე, მაგრამ გვიქმნიან წარმოდგენას თუ როგორ უნდა გაფორმდეს სამართლებრივი ბალანსი.

საბალანსო თეორიები საბალანსო არსის, ამოცანებისა და შინაარსის ასახვის თვალსაზრისებია. ყველა ამ თეორიას ერთი მიზანდასახულობა აერთიანებს – განისაზღვროს ბალანსის მთავარი მიზანი და გამოკვლეულ იქნას მიზანზე ორიენტირებული საბალანსო ღირებულებები. ბალანსის განსხვავებული ამოცანები განაპირობებენ სხვადასხვა საბალანსო თეორიებს.მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

ა) სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები;

ბ) დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორია;

გ) ორგანული საბალანსო თეორიები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები

სტატიკური საბალანსო მოძღვრების თანახმად ბალანსი ემსახურება ქონების სწორად დადგენას*. მოგება კი არის „ქონების მატება". მთავარი ყურადღება ექცევა დროის გარკვეული მომენტი-

---

* გამოყენებულია: ბალანსის შედგენის პრინციპები, სახელმძ., შპს „ნორმა" თბ. 1996 წელი თარგმნილი გერმანულიდან. გვ.179-188

სათვის ქონებისა და ვალების შემადგენლობის განსაზღვრას. მოგებისა და ზარალის გაანგარიშება სტატიკურ საბალანსო თეორიაში მნიშვნელობას მოკლებულია. ხოლო დინამიკური საბალანსო თეორიები ორიენტირებულია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში შედეგის შემადგენელი კომპონენტების ცვლილებაზე და მათი ინტერესის სფეროს უმეტეს წილად წარმოადგენს პერიოდული ანგარიშგების მიერ შედეგის გამოხატვის უნარი.

როცა ვეხებით სტატიკურ საბალანსო თეორიებს, სულაც არ ვგულისხმობთ ყველა წვრილმანის თვალსაზრისით მონოლითურ საბალანსო თეორიას. არსებობს სხვადასხვა სტატიკური მიმართულება. სტატიკური საბალანსო თეორია თავის დასაბამს იღებს გასული საუკუნის ბოლოსათვის არსებული საბალანსო თვალსაზრისებიდან, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ კომერციულ სიმართლეს. იმ დროს პრაქტიკაში გავრცელებულ თვალსაზრისს სასამართლო წარმოებაში ლიკვიდაციის სტატიკას უწოდებდნენ. ამგვარი საბალანსო თვალსაზრისი ამოდის ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული ფიქტიური გაკოტრების მდგომარეობიდან და ბალანსში ასახულ ქონებას განიხილავს როგორც კრედიტორთათვის ხელმისაწვდომს (სალიკვიდაციო ქონება), თუ საჭირო იქნება საწარმოს ლიკვიდაცია. ლიკვიდაციის სტატიკაში აქტივდება ქონების მხოლოდ ისეთი პოზიციები, რომლებიც გაკოტრების ვითარებაში შეიძლება ფულად იქცეს, მაშასადამე, მიმოქცევის უნარი აქვს. შეფასების დროს განმსაზღვრელია საბაზრო ღირებულებები. ლიკვიდაციის სტატიკის მიზანია ვალების დაფარვის კონტროლი. ბალანსის შედგენის მეშვეობით უნდა შემოწმდეს, ექნება თუ არა უნარი მეწარმეს საწარმოს სავარაუდო ლიკვიდაციისას დაფაროს ყველა არსებული ვალი. „არსებულ ვალად" ჩაითვლება არსებული ვალდებულებები გარეშე პირთა მიმართ. შიდა ვალდებულებები არ წარმოადგენენ ლიკვიდაციის შემთხვევაში დასაფარ ვალებს.

ჰერმან ვიეტ სიმონმა განავითარა „საქმის გაგრძელების" სტატიკა. ბალანსის შედგენის დროს უნდა ამოვიდეთ წარმოების უწყვეტობის პრინციპიდან. თუ დაბალანსების საფუძველი იქნება წარმოების უწყვეტობის პრინციპი, მაშინ წარმოების საშუალებათა ღირებულება გადააჭარბებს გასხვისების პოტენციურ ღირებულებას.

წარმოების საშუალებების შეფასებისათვის განმსაზღვრელია წარმოებითი ღირებულებები, რომელშიც გამოვლინდება ნივთის სპეციფიკური მნიშვნელობა მოცემული საწარმოსათვის (მეწარმისათვის). ამით სიმონს სურს დაადგინოს მეწარმის ინდივიდუალური ქონება; შეფასების საწყის ეტაპზე ორიენტაცია აღებულ უნდა იქნეს შეძენის ხარჯებზე. შედეგის შეფასება (მაგალითად, ჩამოწერის გაშიფრვა) კი ორიენტაციას იღებს საწარმოსათვის ინდივიდუალურად არსებულ გაუფასურების პროცესებზე. სიმონის მოძღვრება წარმოებითი ღირებულების შესახებ განვითარებული ფორმით კვლავ იჩენს თავს საშემოსავლო საგადასახადო სამართლის წილობრივი ღირებულების თანამედროვე კონცეფციაში.

აქტივაციის უნარი წარმოების უწყვეტობის პრინციპზე აგებულ ბალანსში აქვს ყველა იმ ქონებრივ ღირებულებას, რომლებსაც დადებითი წვლილი შეაქვთ შემოსავლებში. ამდენად აქტივის წრე გაფართოვდება. სიმონი ახდენს აქტივების ობიექტივაციის შეპირობებულ ტიპიზაციას და წმინდა სამეურნეო სიკეთეთა დაბალანსებას შემოფარგლავს ფულით შეძენილი ქონებრივი ღირებულებებით.

სიმონის შეხედულების თანახმად სამართლის თვალსაზრისით, პასივაციის უნარი გააჩნია ვალებსაც. სტატიკოსები ძირითადად უარყოფენ დანახარჯებისათვის ანარიცხების ფართო პასივაციას. სარემონტო სამუშაოებისათვის განხორციელებული ანარიცხები სტატიკურ საბალანსო თეორიებისათვის ზედმეტი ტვირთია, რადგან განუხორციელებელი სარემონტო სამუშაოები ისედაც გაითვალისწინება მოცემულ საწარმო საშუალებათა შეფასებაში.

სიმონმა ხაზი გაუსვა ზარალის მუქარისათვის რეზერვის შექმნის მნიშვნელობას, რადგანაც დაუმთავრებელი გარიგების მიმართ არსებული ვალდებულებებიდან პასივაციაში წარმოჩენილი ნამეტი სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ვალს..

ახალი სტატიკური საბალანსო თეორიის წარმომადგენლებად, უპირველეს ყოვლისა, ითვლებიან ნიკლიში და ლე კუტრე. ნიკლიში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქონებრივი ღირებულებების ამსახველი ანგარიშგებისა და შედეგის ანგარიშგების ურთიერთკავშირს. ბალანსს, რომელიც გაიგება, როგორც არსებული ქონებისა და კაპიტალის შემადგელობების ბალანსი, გვერდში უდგას

მოგებისა და ზარალის გაანგარიშება, როგორც პერიოდული ღირებულებების ბალანსი. მოგებისა და ზარალის ანგრიშგებაში ხდება გარკვეულ პერიოდში გამოყენებული მატერიალური ფასეულობებისა და გაწეული შრომის შეპირისპირება ტრანსფორმირებულ შემოსავლებთან.

ახალი სტატიკური საბალანსო თვალსაზრისისათვის დამახასიათებელია საბალანსო პოზიციების შეფასება შეძენის ღირებულებით. თუ სიმონი დასაშვებად თვლიდა საბრუნავი კაპიტალის შეფასებას უფრო მაღალი საბაზრო ღირებულებებით, ახალი სტატიკის წარმომადგენლები ძირითად ორიენტაციას შეძენის ღირებულებაზე იღებენ. ბალანსი გაგებულია, როგორც კაპიტალის დეპოზიციური ანგარიში. გარდა ამისა ლე კუტრე ერთიან საბალანსო თვალსაზრისში ხაზგასმულია ფართო დანაწევრების მნიშვნელობა.

ფართო საბალანსო თვალსაზრისი შეიცავს მოძღვრებას სისტემური დანაწევრების შესახებ, რომელიც აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის წარმოდგენას. სხვადასხვა კრიტერიუმების (მაგ. ფუნქციების, რისკის, სამართლებრივი კავშირების) მიხედვით ცხადად უნდა ჩანდეს რა გამოყენება ჰპოვა წარმოებაში ჩართულმა კაპიტალმა ცალკეულ შემთხვევაში.

ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს საწარმოო ინვესტიციების სახეობები. ლე კუტრე ბალანსის შედგენის ფაქტობრივ სარგებლობას ხედავს წარმოების მართვის პროცესების გაუმჯობესებაში. საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგი მიზნების განხორციელების თანმიმდევრობას: საწარმოების შესწავლა და საწარმოს შესახებ წარმოდგენის შექმნა; წარმოების გაძღოლა, განსაკუთრებით დისპოზიცია; საწარმოების ზედამხედველობა; ანგარიშგება.

ბ) დინამიკური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორია

დინამიკური მოძღვრების თანახმად ბალანსის შედგენის ძირითად მნიშვნელობას უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მოგებისა და ზარალის დადგენა. მოგება და ზარალის გაანგარიშება განსაზღვრავს ბალანსის შინაარსს და არა პირიქით. დინამიკური საბალანსო თეორიის ფუძემდებლად ითვლება ევგენი შმალენბახი, რო-

მელიც 1819 წელს დაუპირისპირდა სტატიკოსების თვალსაზრისს იმ საკითხებში, რომ მოგება განეხილა, როგორც ქონების გაზრდა. დინამიკური ბალანსის თეორიის თანახმად მოგება წარმოადგენს რაიმე საქმიანობის რენტაბელობის გამოხატვას. მოგების დინამიკამ მეწარმეს უნდა უჩვენოს, რა მიმართულებით წარიმართება წარმოების ეკონომიკური სიტუაცია. უმაღლეს მიზანს წარმოადგენს საწარმოს მართვა. შედეგის დინამიკური ანგარიშგების საშუალებით მეწარმე ღებულობს ინდიკატორებს რენტაბელობის კონტროლისათვის და ამაზე დაყრდნობით შეუძლია დროულად მიიღოს საჭირო ღონისძიებანი საქმიანობის ოპტიმალურად გაძღოლისათვის. შმალენბახის თავდაპირველად დინამიკური ბალანსი ესმოდა როგორც შედეგის შიდა ბალანსი. შემდგომ, დინამიკური ბალანსი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოქმედ საბალანსო სამართალთან, რადგანაც ინფორმაცია საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ კარგ სამსახურს უწევდა კრედიტორებსაც.

დინამიკური ბალანსის არსი ორი ძირითადი პრინციპით განისაზღვრება:

- პერიოდის შესაბამისი, მოგების ექსტრემალური განსაზღვრა;
- შედარების პრინციპი.

დინამიკური საბალანსო თეორიის ძირითად პუნქტს შეადგენს პერიოდების შესაბამისი შემოსავლებისა და გასავლების შეპირისპირება მოგებას და ზარალის ანგარიშში. მოგებისა და ზარალის გაანგარიშება ამავე დროს ბალანსის შინაარსს განსაზღვრავს.

ბალანსი, დინამიკური ინტერპრეტაციის მიხედვით, სხვა არაფერია, თუ არა დიდი მოცულობის გამმიჯნავი ანგარიში. ერთის მხრივ მასში ნაჩვენებია გასავლები მომავალი პერიოდისათვის, რომელსაც შედეგი ჯერ არ გამოუღია (ტრანზიტული პოზიცია) და მეორეს მხრივ, მომავალი პერიოდის მოსალოდნელი ხარჯების დამზღვევი პოზიციები (ანტიციპალური პოზიციები).

დინამიური ბალანსის მოკლე ფორმას წარმოადგენს შემდეგი სქემა:

აქტივი	პასივი
1. ლიკვიდური საშუალება (მაგ. სალარო);	1. საკუთარი კაპიტალი
2. გასავალი, მაგრამ ჯერ არაა დახარჯული (მაგ. ცვეთადი ძირითადი კაპიტალი ან მისალები, ან აქტივებული შემოსავალ-გასავალის გამმიჯნავი პოზიციები);	2. ხარჯები, მაგრამ ჯერ არ არის გაწეული (მაგ. საგარანტიო ანარიცხები ფონდში და ანარიცხები სხვა ხარჯებისა და ვალდებულებებისათვის);
3. გასავალი, მაგრამ ჯერ არ არის ამოგებული (მაგ. გარანტირებული სესხი ან უცვეთი ძირითადი კაპიტალი);	3. მიღება, მაგრამ არ დაბრუნება (მაგ. მიღებული სესხები ან ბრუნვის გადასახადის ვალდებულებები);
4. შემოსავალი, მაგრამ არ არის მიღებული. მოთხოვნა კლიენტის მიმართ ავანსად ან შემოსაელები ძირითადი კაპიტალის სადავთრო ღირებულებაზე მაღალ ფასებში რეალიზაციიდან.	4. მიღება, მაგრამ ჯერ კიდევ არაა შემოსავალი (მაგ. კლიენტებისაგან ჩანარიცხები ან პასიებული შემოსაელ-გასავალის გამმიჯნავი პოზიციები).

ბალანსის შედგენისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა რა არის სახეზე, მატერიალური ფასეულობა თუ ვალი. საბალანსო პოზიციები ემსახურება მხოლოდ შემოსავლის და გასავლის სწორად განაწილებას ე.ი. პერიოდების მიხედვით მათი შესაბამისობის უზრუნველყოფას. სტატიკურ საბალანსო თეორიასთან შედარებით აქტივის პოზიციები საგრძნობლად იზრდება. აქტივში შედის ყველა გასავალი, რომლებიც ბალანსის შედგენის შემდეგ წარმოებისათვის ჯერ კიდევ სასარგებლოა და მომავალში შეუძლია შემოსავლის მოტანა, ამასთან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, შეძენილი იყო თუ არა შესრულებული გასავლებით კრედიტორთათვის ხელშესახები მატერიალური ფასეულობა. ამდენად, დინამიკურ ბალანსში დღევანდელი საბალანსო სამართლის საწინააღმდეგოდ აქტივდება როგორც კვლევასთან, ასევე განვითარებასთან დაკავშირებული გასავლები.

მაგალითი: დინამიური საბალანსო თეორიის მიხედვით გენერალურ და სხვა სარემონტო სამუშაობზე გაწეული ხარჯები რამოდენიმე სამეურნეო წელზე უნდა განაწილდეს. ამ მიზნით საჭირო გახდებოდა განსაკუთრებული ჩამოსაწერი პოზიციის შექმნა. შემდგომ განაწილდებოდა ანარიცხი მომავალი სარემონტო სამუშაოებისათვის (წინასწარგანაწილება). სტატიკური თეორიის მიხედვით ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები არის ხარჯები, რომლებიც გაიწევა მათი პირვანდელი მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მოგების შემცირებას იწვევენ იმ წელს, როდესაც ხარჯები იქნება გაწეული.

ანარიცხებს დინამიკური საბალანსო თეორია უპირველეს ყოვლისა შედარების თვალსაზრისით განიხილავს. პასივაცია განისაზღვრება მხოლოდ მიზნობრივი პრინციპით და მოიცავს ანარიცხების იმ შემთხვევებს, როცა არსებობს ვალი მესამე პირის მიმართ (ხარჯების ანარიცხები). დინამიკური ხარჯების ანარიცხები სცილდება სტატიკურის ფარგლებს.

მაგალითი: წარმოების პროცესში საწარმოში შეიძლება აუცილებელი გახდეს

განსაზღვრული საწარმოო ნარჩენების ლიკვიდაცია. ეს ლიკვიდაცია ხდება არა უწყვეტად, არამედ ნახტომისებურად.

მაგალითად, სიმძლავრეების მცირე განტვირთვის დროს დინამიკური ბალანსის თვალსაზრისით ერთ პერიოდში გამოწვეული ნარჩენების ლიკვიდაციისათვის საჭირო ანარიცხები სავალდებულო პასივაციას ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრული ნარჩენის ლიკვიდაციისათვის საჭირო ხარჯების ოდენობით. სტატიკური თვალსაზრისით, ასეთი ხარჯების ანარიცხები არ უნდა შეიქმნას მესამე პირის მიმართ ვალდებულებების არ არსებობის გამო.

უწყვეტობის პრინციპი განსაზღვრავს შეფასების დინამიკურ კონცეფციას. შეფასების მეთოდები უნდა შენარჩუნდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შედეგების ანგარიშგების შესადარობა. შმალენბახი ეწევა სიფრთხილის პრინციპის პროპაგანდას, მაგრამ სხვა მიზნიდან გამომდინარე: დინამიკურ ბალანსში სიფრთხილის პრინციპი ეშსახურება დაუგეგმავი ჩანაწერების თავიდან აცილებას, რომლებიც განსაკუთრებით უშლიან ხელს შედეგების ანგარიშგებაში შესადარისობას. შმალენბახი იყენებს აგრეთვე რეალიზაციის

პრინციპს. მაგრამ ეს პრინციპი არ არის შექმნილი დინამიკური საბალანსო თეორიის მიხედვით, პირიქით იგი ამცირებს კიდეც დინამიკური მოგების მნიშვნელობას.

რეალიზაციის პრინციპი წარმოების ფაქტობრივ განვითრებას განზრახ დიდი დაგვიანებით გვიჩვენებს. თუ გვსურს სრულად წარმოვადგინოთ წარმოების ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებები, არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთ სამეურნეო წელს მიღებული შედეგებით. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენად შეიცვალა საწარმოს დაკვეთების რაოდენობა და მისი ძირითადი კლიენტურის შემადგენლობა.

ვალბმა განავითარა შმალენბახის დინამიკური საბალანსო თეორია საფინანსო-ეკონომიკურ ვარიანტში, იგი ძირითადად განასხვავებს ანგარიშების ორ კლასს:

- საანგარიშსწორებო ანგარიშები, რომლებშიც ასახულია ყველა საანგარისწორებო პროცესები.
- საშედეგო ანგარიშები, რომლებიც პირველ რიგში საანაგარიშწორებო ანგარიშების საპირისპირო პოზიციებს ქმნიან. ამასთან საჭირო ხდება საკორექტორო საბუღალტრო ჩანაწერები, რადგან თავდაპირველად აღრიცხული საანგარიშსწორებო ოპერაციები ნაწილობრივ მხოლოდ მომდევნო პერიოდისათვის განკუთვნილი შედეგის პროცენტს წარმოადგენს.

საშედეგო ანგარიშს წარმოადგენს მოგებისა და ზარალის ანგარიშება, საანგარიშსწორებო ანგარიში კი ბალანსში ასახება.

საანგარიშსწორებო ანგარიში = ბალანსი

1. პერიოდული ჩარიცხვა 2. პერიოდული შემოსავალი პერიოდული ჩარიცხვების გარეშე. მაგ: ვერ კიდევ მისაღები შემოსავლები რეალიზაციიდან და პროცენტებიდან 3. პერიოდული გადახდა პერიოდული ხარჯვების გარეშე: მაგ. მარაგისა და დანადგარების შეძენა ნაღდი ანგარისწორებით.	1. პერიოდული გასაცლები 2. პერიოდული ჩარიცხვები პერიოდული შემოსავლების გარეშე მაგ: ავანსები კლიენტებისაგან 3. პერიოდული ხარჯები პერიოდული გასაცლების გარეშე: მაგ. მოცემულ პერიოდში გამოწვეული ყველა სარეზერვო ანარიცხები. 4. პერიოდული მოგება.

საშედეგო ანგარიში = მოგებისა და ზარალის გაანგარიშებისას

1. პერიოდული ჩარიცხვა 2. პერიოდული ჩარიცხვები პერიოდული შემოსავლების გარეშე 3. პერიოდული ხარჯები პერიოდული გადახდების გარეშე 4. პერიოდული მოგება	1. პერიოდული გასავლები 2. პერიოდული შემოსავალი პერიოდული ჩარიცხვების გარეშე 3. პერიოდული გადახდა პერიოდული ხარჯვის გარეშე

საანგარიშო მოდუსიდან გამომდის, რომ როგორც ბალანსში ისე მოგებასა და ზარალის გაანგარიშებაში მთავარია პერიოდული შედეგის დადგენა. ბალანსი დამატებით მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი იქცევა დამოუკიდებელ საინფორმაციო ინსტრუმენტად. ანგარიშის სქემა გვაძლევს ბალანსის ახსნას, რომელსაც არ სჭირდება მატერიალური ფასეულობების შესახებ სტატიკური კონცეფციის გათვალისწინება.

თანამედროვე პრაქტიკაში საბალანსო კანონი გულისხმობს, როგორც სტატიკურ, მატერიალურ (ფასეულობაზე ორიენტირებულ) ისე დინამიკურ (მოგებაზე ორიენტირებულ) ბალანსს, ამასთან უპირატესობა ენიჭება სტატიკურ თვალსაზრისს.

გ) ორგანული ბალანსის თეორია

გერმანიაში 1920-ან წლებში სწრაფ ინფლაციაზე რეაგირებას წარმოადგენდა ფრიც შმიდტის მიერ შექმნილი ორგანული ბალანსის თეორია. მის ძირითად არსს წარმოადგენს ინფლაციური პროცესები განვითარების გათვალისწინება მატერიალური ფასეულობის ღირებულებისა და მოგების დადგენის დროს.

ერთ წელიწადში ფასების მრუდის რამოდენიმე ასეული პროცენტით მომატების პირობებში (1921, 1922წ.წ.) შესყიდვის ღირებულებაზე ორიენტირებული საბალანსო თეორია ინფორმაციის დეფიციტს განიცდის. ერთის მხრივ, ხდება ძირითადი კაპიტალის მატერიალურ ფასეულობათა შეფასება გაუმართლებელი ფასებით ე.ი. ხდება ღირებულების ექსტრემალური გაუფასურება. მეორეს მხრივ, მოგებისა და ზარალის გაანგარიშებაში მოცემულია მოჩვენებითი მოგებები. მოჩვენებითი მოგება ინფლაციის პერიოდში ყოველთვის

მაშინ ხდება, როდესაც ბრუნვიდან მიღებული ამონაგები მოგებისა და ზარალის გაანგარიშებაში აქტუალური ფასების დონედ ჩაითვლება, ხოლო ბრუნვიდან მიღებული ამონაგებისათვის საჭირო დანახარჯები კი უფრო დაბალი მოძველებული ფასების დონეზე შეფასდება. შმიდტს სურდა გამოერიცხა შედეგის ანგარიშებიდან მოჩვენებითი მოგება. ამისათვის, საჭიროა მოგებისა და ზარალის ან გასავლების (ხარჯების) და შემოსავლების ერთი დონით შეფასება.

ფრიც შმიდტმა მიაღწია ამას, დაუპირისპირა რა ერთი წლის ამონაგებს ხელმეორედ შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები ადრინდელ მოგებას და ზარალის გაანგარიშებასთან შედარებით ვლინდება მაშინ, როცა ჩამოწერის ხარჯები აისახება ხელმეორედ შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების საფუძველზე – (მაგ. მანქანები, ნაგებობები) და როცა მარაგისა და მასალის ხარჯვა ხელმეორედ შეძენის ღირებულებაში დაიანგარიშება.

შმიდტი თავის თეორიას ორგანულს უწოდებს, რადგან მეწარმეს, როგორც ნაწილს ერთიანი სახალხო მეურნეობისა, შეუძლია განსაზღვროს თავისი ადგილი ქვეყნის ერთიან ეკონომიკაში, ეს ორგანულმა ბალანსმა უნდა გააკეთოს.

ბალანსის შედგენის საშუალებით შმიდტს სურს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გადმოსცეს მეწარმის ქონებრივი მდგომარეობა საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ამისათვის იგი აფართოებს აქტივაციის საზღვრებს და ობიექტივაციის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე ახდენს არამატერიალური აქტივების აქტივაციას. მატერიალური ფასეულობების ნაწილები ორგანულ ბალანსში აისახება მოცემული დღისათვის არსებული შეძენის ღირებულებით. ამით ირღვევა რეალიზაციის პრინციპის მოთხოვნა.

სხვაობა ბალანსის შედგენის მომენტისათვის შეძენისა და კვლავშეძენის ღირებულებებს შორის ბალანსში აისახება შედეგის მიმართ ნეიტრალურად პასივის პოზიციაში: „ღირებულების ცვლილება ქონების რაოდენობრივი ცვლილების გარეშე".

ინფლაციით განპირობებული ღირებულების შეცვლა არ ახდენს გავლენას სამეურნეო წლის შედეგზე. შმიდტის მიხედვით სამეურნეო წლის მოგება წარმოადგენს რეალიზაციიდან მიღებული

ამონაგების ნამეტს რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაზე, რომელიც შეფასებულია რეალიზაციის დღისათვის არსებული ფასებიდან გამომდინარე.

ამრიგად, არსებულ საბალანსო სამართალში სისტემურობა ემყარება, უპირველესად ყოვლისა, რეალიზაციის პრინციპსა და იმპარიტეტის (უთანაბრობის) პრინციპის კომბინაციას, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ობიექტივაციის (ნივთის სახით ასახვის) მთელ რიგ პრინციპებს. რეალიზაციის მიზანია განსაზღვროს მოგება სხვადასხვა პერიოდების ბრუნვიდან. იმპარიტეტის პრინციპით მოგება შესაბამისი ბრუნვიდან შესწორდება ცალმხრივად ზარალის ანტიციპაციით (წინასწარი გადახდით მაგრამ სიფრთხილით). ობიექტივაციის პრინციპები უზრუნველყოფენ მოგების განსაზღვრას (დადგენას) კერძო თვალსაზრისის შეზღუდვის გზით უკვე იმის გამო, რომ ამ სისტემას ერთი მიზანი აქვს: სიფრთხილით განისაზღვროს დივიდენდების საორიენტაციო სიდიდე.

ბალანსის აქტივს განსაზღვრავს პრინციპი, რომ მხოლოდ იმ გაცემისათვის (გასვლებისთვის) შეიძლება შეიქმნას საბალანსო პოზიცია აქტივის მხარეს, რომლებისთვისაც არსებობს ბრუნვისათვის მნიშვნელოვანი ექვივალენტი. აქედან კი უშუალოდ გამომდინარეობს, რომ მეწარმეს „თავის" მატერიალურ ფასეულობად ისეთი ნივთების გატანა შეუძლია ბალანსში, რომელსაც გამოიყენებს ბრუნვაში (რაც იქნება მისი სამეურნეო საკუთრება).

ძირითადი კაპიტალის არამატერიალური ფასეულობისათვის მოქმედებს დაკანონებული ვარაუდი, რომ ქონებრივ-ღირებულებითი სარგებელი იმდენად დაუზუსტებელია, რომ მისი ასახვა სიფრთხილისა და ობიექტივაციის პრინციპზე ორიენტირებულ ბალანსში შეუძლებელია.

მატერიალურ ფასეულობათა შეფასება ხდება შეძენისა და წარმოების ხარჯებით ან უფრო დაბალი ღირებულებით ბალანსის წარდგენის თარიღისათვის. ღირებულების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შემცირების დროს უმცირესი ღირებულების პრინციპი ყველა სახის მატერიალური ფასეულობისათვის გამოიწვევს დაუგეგმავ ჩამოწერას ბალანსის წარდგენის თარიღისათვის არსებულ ღირებულებამდე. წარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულების დროე-

ბითი შემცირების დროს სახეზეა ჩამოწერის არჩევანის უფლება (უმცირესი ღირებულების პრინციპის ზომიერად გამოვლენის შემდეგ).

პასივის მხარეს განსაზღვრავს პრინციპი, რომ მხოლოდ კონკრეტული ქონებრივი ტვირთები (ვალდებულებები) აისახება აქ, ამასთან საქმე გვაქვს არა მარტო ფორმალურ-სამართლებრივი ქონებრივი დატვირთულობის (ვალდებულებების) ასახვასთან, ანუ ისეთ იძულებით შესრულებებთან, რომლებსაც მესამე პირთა მიმართ ბალანსის შემდგენი მეწარმე სამეურნეო მიზეზების გამო ვერ გაექცევა. მეწარმის ვალდებულებები საკუთრი თავის მიმართ ხშირ შემთხვევაში არ იწვევს ნამდვილ ქონებრივ დატვირთულობას და ამდენად შეიძლება გამოიწვიოს გასავლებისათვის ანარიცხები.

ქონებრივი დატვირთულობის შეფასებისათვის კი მოქმედებს პრინციპი, რომ ისინი დავთარში პირველი ჩაწერის დროს აისახება შესრულების სავარაუდო თანხით ან ბალანსის შედგენის თარიღისთვის დაფიქსირებული უფრო მაღალი ღირებულებით. შედგენის თარიღისათვის დაფიქსირებული უფრო მაღალი ღირებულება სავალდებულო წესით მაშინ გაითვალისწინება, თუ ქონებრივი დატვირთულობაც ამ თარიღისათვის დაფიქსირებული უფრო მაღალი ღირებულებით დაიფარება.

თავისებურებანი, რომლებიც გააჩნია საწესდებო კაპიტალის მქონე საზოგადოების წლიურ სამეურნეო ანგარიშგებას, არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მათ შეძლონ ბალანსის შედგენის სისტემის ძირფესვიანი შეცვლა. არსებითად მოქმედებენ იგივე პრინციპები; ასე რომ ბალანსის შედგენის პრიმატული მიზანი ბრუნვიდან მოგების (რომელზედაც ზარალმა იმოქმედა) ფრთხილად დადგენის დროსაც რჩება. ბალანსის დანართი ორიენტაციას იღებს ინფორმაციის მოწოდებაზე (თვალსაჩინოების ფუნქცია) და მისი ამოცანაა აიცილოს თავიდან ბალანსის არასწორი გაგება.

რაც შეეხება საბალანსო თეორიებს, შეიძლება ითქვას, რომ მათ განაპირობეს აუცილებლობა, სისტემაში განგვეხილა ბალანსის შედგენის თვალსაზრისები. სტატიკური (ქონებაზე ორიენტირებული) და დინამიური (მოგების განსაზღვრაზე ორიენტირებული) საბალანსო თეორიები დღესაც განიცდიან განვითარებას, რათა შესაძლებელი გახდეს დაკანონებული ბალანსის შემოწმება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ეტევა ბალანსი ანგარიშგების სისტემაში.

თავი II. საწარმოს (კორპორაციის) ბუღალტრული აღრიცხვის ციკლი

2.1. მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის მახასიათებლები

ცნობილია, რომ საწარმოს – კორპორაციის ბუღალტრული აღრიცხვა ორ ქვესისტემად: გარეშე – ანუ ფინანსურად და შიდა – ანუ მმართველობითად შეიძლება იქნეს დაყოფილი. ასეთი დაყოფა შიდა და გარე ბუღალტერიის მიზნებსა და ამოცანებში არსებული განსხვავებით არის განპირობებული (იხ. ცხრილი 2.1). აღნიშნულიდან გამომდინარე ბუღალტრული აღრიცხვა ორ ნაწილად არის დაყოფილი:

- მმართველობითი აღრიცხვა **(managerial accouting),** რომელიც მიმდინარე ოპერაციების წარმოებას, კონტროლინგის (controlling) ორგანიზაციას, ფასწარმოქმნისათვის ბაზის შემუშავებას (base of price formation), აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის გახორციელებასა (base for current operations and taxes policy) და მოლაპარაკებების წარმოებას (base for negotiations) ითვალისწინებს,
- ფინანსური აღრიცხვა **(financial accounting),** რომელიც ფინანსური ანგარიშგების, გამკარგავი ორგანიზაციებისათვის საგადასახადო დეკლარაციისა (tex return) და სხვა ანგარიშგებების (reports) მომზადებას მოიცავს.

მარტივი ხერხი არსებობს იმის შესამოწმებლად, არის თუ არა თქვენს კომპანიაში ის, რასაც ნამდვილად მმართველობითი აღრიცხვა უნდა ეწოდოს. აღნიშნულის გამოსავლენად საკმარისია თქვენს თავს რამოდენიმე კითხვა დაუსვათ:

- თქვენი საქმიანობის მიმართულებებიდან რომელია ყველაზე მომგებიანი?
- კომპანიის მიერ გასაყიდი საქონლისა და მომსახურების რომელ ჯგუფს მოაქვს რეალიზებული პროდუქციის ერთეულზე ყველაზე დიდი მოგება?
- არსებული კლიენტებიდან რომელია უფრო მეტად პერსპექტიული?

- არის კი ფასწარმოქმნის სისტემა რამდენადმე ფორმალიზებული?
- კომპანიას გააჩნია თუ არა ფინანსური დაგეგმვა?
- კომპანიაში გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობების მონიტორინგი ხორციელდება თუ არა და, ხდება თუ არა მათი მიზეზების ანალიზირება?

განვლილი პერიოდისათვის, თუნდაც ერთი სამუშაო დღის განმავლობაში აღნიშნულ საკითხებზე საჭირო ინფორმაციას თუ მიიღებთ – შეიძლება დავასკვნათ, რომ მმართველობითი აღრიცხვის თქვენი სისტემა ნორმალურად მუშაობს.

თუ კი არა – მაშინ მმართველობითი აღრიცხვის ეფექტური სისტემის შესაქმნელად სამი ძირითადი კომპონენტის არსებობა იქნება საჭირო:

- კვალიფიცირებული სპეციალისტების მოზიდვა,
- კორპორაციის უმაღლესი მენეჯმენტის აქტიური მონაწილეობა,
- აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად საკმარისი დაფინანსების გამოყოფის შესაძლებლობა.

ფინანსური აღრიცხვა თავის მხრივ, ოპერაციის რეგისტრაციაზე და კომპანიის საქმიანობის შედეგებზე სრულად არის გამახვილებული, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი. ფინანსური ბუღალტერიის წარმოება საწარმოსათვის, კორპორაციისათვის სავალდებულოს წარმოადგენს. ამასთან, ინფორმაციის მომხმარებლები ძირითადად საწარმოსადმი მიმართებაში, გამოყენების თვალსაზრისით, გარეშეს წარმოადგენენ, როგორებიცაა სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები, ბირჟები, ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები, მომწოდებლები და მყიდველები, პოტენციალური ინვესტორები. ფინანსური ანგარიშგება თავისთავად საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, იგი პუბლიკაციისათვის არის ღია და, როგორც წესი, დამოუკიდებელი აუდიტორული ორგანიზაციის მიერ ხდება მისი დამოწმება. ფინანსურ აღრიცხვაში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმა კანონმდებლობით არის დადგენილი და სავალდებულოა ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად და იგი შემოსავლების შესახებ, ბალანსისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ წლიური ანგარიშგებისაგან შედგება და რომელიც ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩამონათვალსაც მოიცავს (მოცე-

მული სახელმძღვანელოს მესამე თავში სრულად არის განხილული ფინანსური ანარიშგების პაკეტი).

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მოშხმარებლები არიან ის სუბიექტები, რომლებსაც მასთან მიმართულებაში საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ. მაგალითად, როგორებიცაა აქციონერები, კრედიტორები და ისინი, ვინც დაფინანსებას უზრუნველყოფენ.

ფინანსური აღრიცხვისა და მმართველობით აღრიცხვას შორის ძირითადი განსხვავებები

ცხრილი 2.1

მახასიათებლები:	მმართველობითი აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა
1. მომხმარებლები	შიდა	გარეშე
2. ფორმა	დადგენილი ფორმა არ არსებობს. ხელმძღვანელობის მოთხოვნის შესაბამისად.	ბუღალტრული ბალანსი. შემოსავლების შესახებ ანგარიშგება. ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება.
3. ანგარიშგების წარმოდგენის სიხშირე	საჭიროების მიხედვით	პერიოდულობა განმკარგავი ორგანოების მიერ დგინდება
4. დროის განსახილველი პერიოდი	იმავდროული და მომავალის	განელილი პერიოდის
5. რეგულირება	მარეგულირებელი ორგანო არ არსებობს	კანონი და განმკარგავი ორგანოები

განვიხილოთ დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში გამოყენებული კორპორაციის ფინანსური ანგარიშგება — საწარმოს ფინანსური მდგომარეობის წინასწარი შეფასება „ბუღალტრული ბალანსის", "შემოსავლების შესახებ ანგარიშგების", აგრეთვე "ბუღალტრული ბალანსის დანართის" მონაცემების საფუძველზე ხორციელდება. შეფასების მოცემულ სტადიაზე კომპანიის საქმიანობის შესახებ საწყისი წარმოდგენის ფორმირება ხორციელდება, საწარმოს ქონებისა და მათი წყაროების შემადგენლობაში ცვლილებები

ვლინდება, მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირები დგინდება. ასეთი სახის ანალიზის ჩატარების მოხერხებულობისათვის ე.წ. შემჭიდროვებული ბალანსი – ნეტოს გამოყენება არის მიზანშეწონილი, რომელიც საბალანსო მუხლების ერთნაირი ელემენტების შემადგენლობის მიხედვით შეკრების გზით (საჭირო ანალიტიკურ ჭრილებში მიმდინარე აქტივები, უძრავი ქონება და ა.შ.) ხდება მისი ფორმირება.

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ანგარიშგება კორპორაციის აქტივების, პასივების, კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემებს მოიცავს. კორპორაცია ამზადებს სამ ძირითად ფინანსურ ანგარიშგებას:

1. **ბულალტრულ ბალანს (Balance sheet)** – იგი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას წარმოადგენს. ბალანსში მიმდინარე აქტივებსა (ფული, დებიტორული დავალიანება და მარაგები) და საკრედიტო დავალიანებას შორის თანაფარდობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომლებსაც შორის სხვაობას მუშა კაპიტალს უწოდებენ.

2. **ანგარიშგება შემოსავლების შესახებ (Income Statement)** – საქმიანობის შედეგებს ასახავს: ამონაგები და დანახარჯები საანგარიშო პერიოდისათვის. სამეურნეო საქმიანობის შედეგები ბალანსში კაპიტალის ანგარიშზე გროვდება.

3. **ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ (Cash Flow)** – მისი დანიშნულებაა ფულადი შემოსულობებისა და გადახდების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში.

როგორც ცნობილია, საანგარიშგებო ბუღალტრული ბალანსი ფინანსურ მდგომარეობას გამოხატავს განსაზღვრული პერიოდისათვის (ყოველი თვის 31 რიცხვისათვის), შესაბამისად, ბალანსში წინა წლის ბოლოსათვის მონაცემებია მოტანილი. ბალანსის ანალიზი ლიკვიდურობის, შემოსავლიანობის, აგრეთვე, ცალკეული ოპერაციების ჩატარებისას რისკის ხარისხის მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ბალანსიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი და მოზიდული სახსრების წყაროების, მათი სტრუქტურის განსაზღვრული თარიღისათვის განთავსების გამოვლენა არის შესაძლებელი.

ორმაგი ჩაწერის პრინციპით განხორციელებული ოპერაციის რაოდენობაზე დამოუკიდებლად მათი ასახვა ბალანსში ლოგიკურობას და კონტროლს უზრუნველყოფს. მაგალითად, აქტივების მუხლის გადიდება შესაძლებელია შემთხვევებში:

- კორპორაციის კაპიტალის გადიდებისას,
- ვალდებულებების გადიდებით (მაგალითად, კრედიტორული დავალიანების და ა.შ.),
- აქტივების სხვა მუხლების შემცირებისას.

შესაბამისად პასივების შემცირება ხორციელდება:

- აქტივების ლიკვიდაციისას,
- კორპორაციის კაპიტალის შემცირებისას,
- ვალდებულებების სხვა მუხლების გადიდებისას.

განვიხილოთ ძირითადი საბალანსო ტოლობები. კორპორაციის საბალანსო ანგარიშგება აქტივების პასივებთან ტოლობის პრინციპის მიხედვით არის აგებული, რომელთაც კორპორაციის მფლობელების (აქციონერების) წილი ემატება:

აქტივები = ვალდებულება + სააქციო კაპიტალი

კორპორაციის საქმიანობის შედეგად გაწეულ ხარჯებს ან დანახარჯებს, თან ახლავს: პასივების გადიდება, ან აქტივების შემცირება. პირიქით, კორპორაციის მიერ მიღებული შემოსავლები ადიდებენ აქტივებს და ამცირებენ პასივებს.

კორპორაციის საკუთარი კაპიტალი შედგება აქციონერების მიერ გადახდილი კაპიტალისაგან (საწყისში ჩადებული კაპიტალი), და მოგების ნაწილისაგან, რომელიც დივიდენდების სახით არ ნაწილდება (დაგროვებული მოგება):

აქტივი = ვალდებულება + საწყისი კაპიტალი +
+ დაგროვებული მოგება

დაგროვებული კაპიტალი ტოლია სუფთა მოგებიდან გამოქვითული კორპორაციის ფუნქციონირების მთლიანი პერიოდის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები:

დაგროვებული კაპიტალი = სუფთა მოგება –
– გადახდილი დივიდენდი.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს) – ბუღალტრული აღრიცხვა განხილული უნდა იქნას როგორც ფინანსური ანგარიშგების "ძირითადი წესების" სისტემა. ისეთი ტერმინები, როგორიცაა "შეთანხმებები" (conventions), "დოქტრინები" (doctrines), "პრინციპები" (principles), "კონცეფციები" (concepts) ბუღალტრული აღრიცხვის საერთოდ მიღებული სტანდარტების აღწერისათვის ხშირად იყენებენ. ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადად მიღებული შემდეგი სტანდარტების (კონცეფციების) გამოყოფა არის შესაძლებელი:

- **ბიზნესის ერთეულის კონცეფცია (Business entity concept)** – ბიზნესის აღრიცხვა კომპანიის მფლობელების საკუთრებისაგან ცალკე უნდა ხორციელდებოდეს. ფინანსურ ანგარიშგებებში საუბარი ბიზნესის კონკრეტული სახეობის შესახებ და მხოლოდ მის შესახებ უნდა მიდიოდეს. თუ კი კომპანიის მფლობელი, მაგალითად, კომპანიის ანგარიშებს თავის პირად ანგარიშებთან ერთად განიხილავს (ერთმანეთში აურევს), მაშინ მოცემული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ობიექტურად შეფასება შეუძლებელი იქნება.
- **"გახანგრძლივებული საქმიანობის" კონცეფცია (going concern)** – ითვალისწინებს, რომ კომპანია როგორც მოქმედი (ფუნქციონირებადი) საწარმო ისე იქნას განხილული, რომელიც თავის საქმიანობას მომავლის გარკვეულ პერიოდშიც გააგრძელებს,
- **ისტორიული ფასის კონცეფცია (historic cost concept)** – კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რესურსები არა საბაზრო ფასების მიხედვით, არამედ შეძენის ფასების მიხედვით უნდა იქნეს აღიარებული,
- **რეალიზაციის კონცეფცია (realisation concept)** – თუ კომპანია შექმნის მომენტში ან წარმოების უფრო ეფექტიანი სიმძლავრეების მწყობრში შეყვანის შედეგად არსებით ორგანიზაციულ ხარჯებს ახორციელებს, მას შეუძლია ასეთი ხარჯები იმ პერიოდს მიაკუთვნოს, რომლებშიც მოგების მიღება არის მოსალოდნელი,
- **შესაბამისობის კონცეფცია (accrual or matching concept)** – ოპერაციების ჩაწერა მათი შესრულების მომენტში, და არა გადახდის მომენტში ხორციელდება და იგი იმ საანგარიშგებო პერიოდს მიეკუთვნება, როდესაც იყო ოპერაცია შესრულებული.

გამონაკლისს კონტრაქტის ეტაპურად შესრულების მეთოდი (% of completion) განვადებით გაყიდვის მეთოდი (installment) წარმოადგენს და ხარჯების ასახვისას შესაბამისობის წესი მოქმედებს (mathing concept) - ხარჯები ცნობილი იქნება საანგარიშო პერიოდში, მხოლოდ თუ ისინი მოცემული პერიოდის შემოსავლებს წარმოადგენენ. თუ განხორციელებული დანახარჯები სარგებლის მომავალში მომტანია, ისინი ასახება როგორც აქტივები; თუ ისინი მიმდინარე სარგებლის მომტანია – როგორც ხარჯები; თუ მათი მეშვეობით არანაირი სარგებელი არ მიიღება – მაშინ აღირიცხება როგორც ზარალი;

- მუდმივობის კონცეფცია (**consistency concept**) – აღრიცხვის განხორციელების ფორმები, რომლებიც მოცემულ დროში გამოიყენება, უნდა შეესაბამებოდეს პროცედურებს, რომლებიც ანალოგიური ოპერაციების აღრიცხვისათვის ადრე იყო გამოყენებული. აღრიცხვის მეთოდები და ცალკეული მაჩვენებლების განმარტება ერთი ანგარიშგების პერიოდში არ უნდა იცვლებოდეს, ხოლო შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უცვლელი დარჩეს.
- ღიაობის პრინციპი (**disclosure principle**) მოითხოვს, რომ ფინანსური ანგარიშგება უფრო სასარგებლო ინფორმაციას მოიცავს. ზედმეტი (ჭარბი) ინფორმაციის არსებობამ განმკარგავი ორგანოების შეცდომაში შეყვანა არ უნდა გამოიწვიოს;
- კონსერვატიზმის დოქტრინა (**conservatism doctrine**) - ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ ძირითად საერთომიღებულ სტანდარტს წარმოადგენს, რომლის მიხედვით უფრო მისაღებს მარაგების ფულადი შეფასების შემცირება და არა მათი გადიდება წარმოადგენს;
- ფულადი გაზომვის კონცეფცია (**money measurement concept**) – მთლიანი ბუღალტრული აღრიცხვა ერთისახეობის ფულად გამოსახულებაში უნდა ხორციელდებოდეს;
- არსებითობის კონცეფცია (**materiality concept**) – კომპანიებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ ბუღალტრულ ბალანსში რომელი ფასეულობების გათვალისწინებაა მათთვის მნიშვნელოვანი და რომელი მაშინათვე ხარჯებს მიაკუთვნონ.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში აღრიცხვის პრინციპების არჩევის უფლება აქვს. ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი პრინციპები (კონცეფციები) სახელმწიფო ორგანოების მიერ დგინდება. აშშ-ში, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დამუშავება კერძო ორგანიზაციის საქმიანობასთან – ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ფინანსურ სამმართველოსთან (Financial Accounting standards Board, FASB) არის დაკავშირებული. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (International Accounting Standards, IAS) ბევრად განსხვავდება აშშ-ში გამოყენებადი საერთომიღებული ბუღალტრული პრინციპებისაგან (Generally Accepted Accounting principles, GAAP). აღნიშნული განსხვავებები პრაქტიკულად ფინანსური ანგარიშგების თითოეულ პუნქტში წარმოიშობა, ამორტიზაციის ნორმების, პენსიების აღრიცხვის, განვადებული გადასახადების, რეზერვების აღრიცხვაში, აქტივების შეფასებაში, რეზერვები უფულო ვალებთან მიმართებაში ან დებიტორული დავალიანების და ა.შ. ჩათვლით.

2.2. კორპორაციის ბუღალტრული აღრიცხვის ციკლის ეტაპები

ბუღალტრული აღრიცხვის ციკლი. თანამედროვე ბუღალტრული აღრიცხვა სააღრიცხვო ციკლის შვიდ ეტაპს მოიცავს. მათ შორის პირველი სამი ეტაპი ფინანსური გარიგებების სისტემატურ რეგისტრაციას ითვალისწინებს. ისინი ბუღალტრული ჩანაწერების სახით (Bookkeeping steps) არის ცნობილი.

1) ოპერაციების ჩაწერა ჟურნალებში **(record transaction in a journal)** – გარიგებების რეგისტრაცია ჟურნალებში ორმაგი ბუღალტრული ჩანაწერის ფორმით ბუღალტრული აღრიცხვის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს. (იხილეთ მოცემული სახელმძღვანელოს თავი1.1). ჟურნალებიდან (ანგარიშებიდან) თითოეულს თავისი სახელწოდება გააჩნია (მაგალითად, "დავალიანება მუშებზე და მოსაშსახურეებზე" და ა.შ.);

2) ოპერაციის ჟურნალიდან ბუღალტრულ მთავარ წიგნში **(posting)** გადატანის პროცესი – ასეთ პროცედურას "დანაწილებას" უწოდებენ. მთავარი წიგნის (general ledger) გარდა დამატებით

დამხმარე წიგნებიც (subsidiary ledger) არსებობს, რომლებიც ჩატარებული გატარებების უფრო მეტად დეტალიზაციისათვის არის საჭირო. თითოეული ოპერაცია მოითხოვს, როგორც მინიმუმ, ორ ცვლილებას ბუღალტრულ ანგარიშებში. აღნიშნული ცვლილებები დასაწყისში ჟურნალ-ორდერებში ჩაიწერება, ხოლო შემდეგ კი – საბუღალტრო წიგნში განაწილდება.

3) **ყველა აქტიურ და პასიურ ანგარიშებზე ჯამის გაკეთება,** ანუ წინასწარი ბალანსის (preliminary balance) მომზადება – ჟურნალებიდან მონაცემების მთავარ და დამხმარე წიგნებში გადატანას თან საფინანსო პერიოდის ბოლოს წინასწარი ბალანსის მომზადება ახლავს. როგორც კი წინასწარი ბალანსი მზად იქნება, ბუღალტრული ჩანაწერების სტადიები დამთავრებულად ითვლება.

ბუღალტრული აღრიცხვის ციკლის დანარჩენი ოთხი ეტაპი ბუღალტრული აღრიცხვის ეტაპებად (Accounting steps) იწოდება.

4) **რეგულატივების გაანგარიშება (calculate adjustments)** – გახორციელებული გარიგებების დასრულებადობის შესაბამისად მარეგულირებელი გატარებები ხორციელდება;

5) **დარეგულირებული (საცდელი) ბალანსის (prepare trial balance)** მომზადება – როგორც კი რეგულატივები გახორციელდება, საცდელი ბალანსი მზადდება, რომელიც წინასწარ ბალანსს რეგულატორების შედეგებთან აერთიანებს;

6) **ფინანსური ანგარიშგების მომზადება (ptrepare financial statements)** – აღნიშნულ ეტაპზე დაგროვებული ბუღალტრული მონაცემები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოიყენება;

7) **არააკუმულირებადი ანგარიშების დახურვა (close noncimulative accounts)** – შემაჯამებელ ეტაპზე კომპანიის ფინანსური საქმიანობის შედეგების დაჯამება ხორციელდება. "შემოსავლებისა და ხარჯების ჯამური ანგარიშის" დახურვის შედეგად მიღებული მოგების, ან ზარალის ჯამი საკუთარი კაპიტალის ანგარიშზე გადაიტანება.

შემოსავლების შესახებ ანგარიშგების შინაარსი – ბუღალტრული ბალანსისაგან განსხვავებით, შემოსავლების შესახებ ანგარიშგება (Income Statement; Earnings report; Statement of earnings) არა განსაზღვრული თარიღისათვის დგება, არამედ იგი

კომპანიის საქმიანობის შედეგის, მისი კაპიტალის დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (როგორც წესი – ერთი წელი) გამოყენების შესახებ წარმოდგენას იძლევა. აღნიშნული ანგარიშგების შინაარსი კორპორაციის სამომავლოდ მუშაობის პროგნოზირებისათვის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს.

IAS-ი და CAAP-ი შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში შემოსავლიანი შემადგენლების ფორმატზე და სტრუქტურირებაზე შეზღუდვებს არ ადგენენ. შემოსავლების შესახებ ანგარიშგების წარმოდგენის ფორმატის შერჩევისას კომპანიებს თავისუფლების მნიშვნელოვანი ხარისხი გააჩნიათ. არსებობს მისი გაანგარიშების ორი მეთოდი: **ერთნაბიჯიანი და მრავალნაბიჯიანი.**

ერთნაბიჯიანი მეთოდის შემთხვევაში შემოსავლების შესახებ ანგარიშგების პოზიციები ორ კატეგორიად დაიყოფა: ამონაგები და შემოსავლები; ხარჯები და ზარალი. მოგების მაჩვენებლის მიღება ერთ ნაბიჯად – შემოსავლების საერთო ჯამიდან ხარჯების საერთო ჯამის გამოკლების მეშვეობით ხორციელდება. ასეთ მეთოდს ერთნაბიჯიანს იმიტომ უწოდებენ, რომ კორპორაციის საოპერაციო მოგების გაანგარიშებისათვის მხოლოდ ერთი ნაბიჯი არის საჭირო.

ქვემოთ შემოსავლების შესახებ ანგარიშგების მაგალითია მოყვანილი, რომელიც ერთნაბიჯიანი მეთოდით არის აგებული.

Income Statement for the Yer (doll)

ცხრილი 2.2

ამონაგები და შემოსავლები (revenue and Gains):
• ამონაგები რეალიზაციიდან, ფასდაკლებისა და საქონლის დაბრუნების ღირებულების გამოკლებით (Sales Revenue, Sales returns and allowances, Less),
• პროცენტული შემოსავლები და დივიდენდები (Interest and dividend revenue),
• შემოსავლები აქტივების ამოღებისაგან (Gain on Retirement of assets),
ჯამი ამონაგებისა და შემოსავლების (Total Revenuc and Gains).
ხარჯები და ზარალი (Expenses and losses):
• რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (Cost of Goods Sold),

• საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (General and Administrative Expenses), • ამორტიზაციის ხარჯები (Depreciation expense), • პროცენტული ხარჯები (Interest Revenue), • დანაკარგები დროებითი ინვესტიციებისაგან (Losses on Temporary investment), • გადასახადი მოგებაზე (Income taxes).
ჯამი ხარჯებისა და ზარალის (Total exenses and losses).
სუფთა მოგება (Net Income)

მრავალნაბიჯიანი მეთოდი ითვალისწინებს, შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში ძირითადი საქმიანობა, ფინანსური საქმიანობა, საგადასახადო გადახდები, კომპანიის ფილიალების ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს მითითებული, რომელთა ანგარიშგება მის საკუთარ ანგარიშებში და სხვა მსგავს მაჩვენებლებში კონსოლიდირებული არ არის. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნული ხერხის სახელწოდება – მრავალნაბიჯიანი, რადგანაც, მთლიანობაში კორპორაციის სუფთა მოგების მისაღებად, რამდენიმე წინასწარი ნაბიჯების გაკეთება, ანუ საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით სწორედ შუალედური ჯამების გაანგარიშება არის საჭირო.

როგორც დასავლეთის ქვეყნების საქმიანობის პრაქტიკა გვიჩვენებს,დროთა განმავლობაში კორპორაციების სულ უფრო მეტმა რაოდენობამ დაიწყო ამ მეთოდის გამოყენება. შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში მუხლები ვერტიკალურად ზემოდან ქვემოთ თანმიმდევრულად არის მოყვანილი (running form). მასში ჩაირთვება საქონლის გაყიდვიდან და შემოსავლების სხვა სახეობებიდან ამონაგების ჯამი, ყველა დანახარჯებითა და კაპიტალდაბანდებებით.

შემოსავლების შესახებ ტიპიური მრავალნაბიჯიანი ანგარიშგება შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

Income Statement for the Year (doll)

ცხრილი 2.3

1. ამონაგები რეალიზაციიდან (Sales Revenue)

ნაკლები: ფასდაკლება და საქონლის დაბრუნებები (Less: Sales returns and allowances)

2. სუფთა გაყიდვები (Net Sales),

3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (Cost of Goods Sold),

4. ერთობლივი შემოსავალი (Gross income) (2-3),

5. სავაჭრო, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (Selling, General and Administrative Expenses):

- სარეკლამო ხარჯები (Advertising expenses),
- ხარჯები ცვეთაზე და ამორტიზაციაზე (Depreciation and amortization expenses),
- ხარჯები უიმედო ვალებზე (Bad debts expenses),
- ხარჯები დაზღვევაზე (Insurance expenses),
- სხვა სავაჭრო, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (Othen odministrative expences).

6. საოპერაციო შემოსავალი (Operating Income) (4-5)

7. ფინანსური შემოსავლები და შემონატანები (Financial Income):

- პროცენტული შემოსავლები (Interest Revenue),
- შემოსავლები მოწყობილობების ამოღებიდან (Gain on Retirement of Equipment),
- შემოსავლები დივიდენდებიდან (Dividends Revenue),
- შემოსავლები დროებითი ინვესტიციებიდან (Gain on Temporary investment,
- მიღებული საიჯარო გადასახადი (Rental Fees Received).

8. ფინანსური ხარჯები და ზარალი (Other Expenses and Losses):

- პროცენტული ხარჯები (Interests Expense),
- ზარალი მოწყობილობების ამოღებიდან (Loss of Retirement of Equipment),
- გადახდილი საიჯარო გადასახადი (Rental Fees Payment).

9. სუფთა მოგება გადასახადით დაბეგვრამდე (Net Income Before Taxes) (6+7-8).

10. გადასახადი მოგებაზე (Income taxes).

11. შემოსავალი გაგრძელებადი ოპერაციებისაგან (Income from Continuing Operations)

12. სუფთა მოგება (Net Income).

ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა მიმოქცევაში (Common Shares Outstanding)

სუფთა მოგება ერთ ჩვეულებრივ აქციაზე (Earnings per Common Share)

მრავალნაბიჯიანი მეთოდის უპირატესობები ეჭვს არ იწვევს, რადგანაც იგი კორპორაციის საქმიანობის შედეგების შესახებ უფრო სრულ ინფორმაციას მოიცავს. ორივე ცხრილი (ცხრილი 2.2 და 2.3) შაბლონურს არ წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ყველა კორპორაციების მოგების შესახებ ანგარიშგებები დგება. თითოეული მათგანი უფლებამოსილია შემოსავლები და ხარჯები თავისი შეხედულებისამებრ დააკვალიფიციროს ისე, რომ ისინი მისი საქმიანობის თავისებურებებს საუკეთესოდ შეესაბამებოდეს.

ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან (Sales Revenue) ანგარიშგების დასაწყისში აისახება, როგორც შემოსავლის მთავარი წყარო. თუ კომპანია პროდუქციის წარმოებით კი არა, არამედ ტვირთის გადაზიდვით იყო დაკავებული, მაშინ აღნიშნულ მუხლს "შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან" (Operating Revenues) ეწოდებოდა. შემოსავლების აღრიცხვა იმაზეა დაფუძნებული, რომ საქონლის გაყიდვას, ან მომსახურების გაწევას შემოსავლების შემოდინება ახლავს თან. კორპორაციებს შორის გარიგებებში ვალის დასტურს ანგარიშფაქტურა წარმოადგენს. საქონლის მიტანის, ან გადატვირთვის მომენტში გადაცემის ფაქტი ზედნადებზე ხელწერის დასმით დასტურდება. შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან შეიძლება აღირიცხოს, ან წარდგენილი ანგარიშების, ან შესრულებული სამუშაოს მოცულობის (პროდუქტების დასრულებადობის ხარისხი) მიხედვით. პირველი ხერხი მასიური წარმოების საქონელის გაყიდვიდან ამონაგების აღრიცხვისათვის გამოიყენება; მეორე კი – წარმოების მსხვილ ობიექტებში (სპეცშეკვეთები), მშენებლობაში და პროფესიონალური მომსახურების სფეროში (აუდიტორული მომსახურება, საინჟინრო დამუშავებები) წარმოებული შემოსავლების აღრიცხვისათვის არის მიღებული.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საექსპლოატაციო ხარჯები (Cost of Goods sold and operating expenses) თავისთავად პროდუქციის წარმოებისათვის, ინვენტარიზაციის ჩათვლით, საჭირო დანახარჯებს წარმოადგენს. ისინი მოიცავენ ნედლეულს, საწარმოო მუშების შრომის ანაზღაურებაზე გაწეულ ხარჯებს. დიდი ხვედრითი წილი, როგორც წესი, წარმოების მართვასთან და მომსახურებასთან დაკავშირებულ ზედნადებ ხარჯებს უკავია, ანუ მმართველობითი პერსონალის შენახვაზე, ელექტროე-

ნერგიაზე, მომარაგებაზე, მიმდინარე რემონტზე და ა.შ. ხარჯებზე მოდის.

რეალიზაციიდან ამონაგების სიდიდე მარაგების ღირებულების ასახვის მეთოდზეა დამოკიდებული.

დავუშვათ, რომ წლის დასაწყისისათვის საწყობში ნაშთები შეადგენდა:

ცხრილი 2.4.

დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
მზა პროდუქციის მარაგები 01.01.05-ის მდგომარეობით	200	30	6000
• პირველი შესყიდვა	300	40	12000
• მეორე შესყიდვა	200	50	10000
• მესამე შესყიდვა	100	60*	6000
სულ გასაყიდად არის	800	–	34000
დარჩენილი მზა პროდუქციის ნაშთი 31.12.05-ის მდგმოარეობით	60	60*	3600

მარაგების შეფასების პრობლემა იქედან გამომდინარე წარმოიშობა, რომ საწარმოოს მიერ ერთი და იმავე მასალებზე გამოყენებადი ფასი წლის განმავლობაში იცვლება. დავუშვათ, რომ 2005 წლის 31 დეკემბერს პერიოდული ინვენტარიზაციის მეთოდით დადგინდა, რომ მზა პროდუქციის საწყობში 60 ნაკეთობა (მაგიდები) დარჩა. წარმოიშვება საკითხი, თუ როგორ უნდა შეფასდეს იგი? არსებობს რამდენიმე მეთოდი, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს აკმაყოფილებენ. სამი მათგანი შემდეგში მდგომარეობს:

1) მეთოდი FIFO (First in - First out) – მარაგების შეფასების აღნიშნული მეთოდი რიგისობით უკანასკნელი შეძენის ფასებით შეფასებას ითვალისწინებს. აღნიშნული მეთოდის თანახმად ნაკეთობები, რომლებიც რიგისობით პირველად იქნა შეძენილი, რიგისობით პირველად უნდა გაიყიდოს. იგი მარაგების აღრიცხვის ისეთ მეთოდს წარმოადგენს, რომლის დროსაც ბუღალტრული ბალანსის აღრიცხვა რიგისობით პირველად აყვანილი ნედლეული და მასალები პროდუქციის თვითღირებულებაზე რიგისობით პირველად

უნდა ჩამოიწეროს. აღნიშნული მეთოდის თანახმად 60 ერთეულის ოდენობით დარჩენილი მზა პროდუქციის ნაშთის თითოეული ნაკეთობა 60 დოლარად (უკანასკნელი – მესამე შესყიდვის ერთეულის ფასი) ფასდება (სულ 3600 დოლარი), შესაბამისად გაყიდული მარაგების თვითღირებულება (34000-3600)=30400 დოლარს შეადგენს. გაანგარიშება შემდეგ ფორმულაზეა დაფუძნებული:

მარაგები პერიოდის დასაწყისისათვის	+	მარაგები შენაძენები	–	პერიოდის ბოლოსთვის	=	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2) მეთოდი LIFO (Last - in - First - out) – მარაგების შეფასების აღნიშნული მეთოდი რიგისობით პირველი შეძენის ფასებით შეფასებას ითვალისწინებს. აღნიშნული მეთოდის ძირითადი მიზანია – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, რაც შეიძლება მაქსიმალურად დაუახლოვდეს მათ შეძენაზე გაწეულ რიგისობით ბოლო დანახარჯებს. ჩვენს მაგალითში 60 ნაკეთობის მარაგი უკვე შეფასდება (60 ცალი X 30 დოლარზე) = 1800 დოლარით. ამასთან რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ამჟამად (34000-1800)=32200 დოლარის ტოლი იქნება. მარაგების სიდიდე (1800 დოლარი) ბალანსში მიმდინარე საბაზრო ღირებულების 2/3-ით ნაკლები იქნება (ანუ იგი მაინც 2/3-ით ნაკლები იქნება ბოლო ღირებულებიდან გამომდინარე). მაგრამ "მოგებისა და ზარალის შესახებ" ანგარიშგება მიმდინარე დანახარჯებისა და მიმდინარე ამონაგების პოზიციიდან უფრო რეალური იქნება.

3) საშუალო დანახარჯების მეთოდი (Average Cost Value) – აღნიშნული მეთოდი, მარაგების შეფასებისას საშუალო შეწონილი ღირებულებისა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის გამოყენების მეშვეობით, თვითღირებულების ცვალებადობის აღმოფხვრის საფუძველი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ რეალიზებული პროდუქციის საშუალო შეწონილი ღირებულება გაყიდვების დროში განაწილებაზე არის დამოკიდებული, მაინც ყველა შესყიდვებისა და მარაგების ნაშთის საშუალო დანახარჯების გაანგარიშება არის შესაძლებელი. მისი სიდიდე (34000:800)=42,5 დოლარის ტოლი იქნება. აქედან გამომდინარე

წლის ბოლოსათვის დარჩენილი 60 ნაკეთობა (60 დოლარი x 42,5)=2250 დოლარით იქნება შეფასებული. ამასთან, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (34000-2550)=31450 დოლარის ტოლი იქნება.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, სამი მეთოდის გამოყენების შედეგად ჩამოყალიბებული რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ცხრილური სახით (ცხრილი 2.5.) შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

(ცხრილი 2.5.)

მაჩვენებლები	FIFO მეთოდით	LIFO მეთოდით	საშუალო დანახარჯების მეთოდით
მზა პროდუქციის ნაშთი 31.12.05 მდგომარეობით	3600	1800	2550
რეალიზებული როდუქციის თვითღირებულება	30400	32200	31450
ამონაგები რეალიზებული პროდუქციისაგან	36000	36000	36000
ერთობლივი მოგება	5600	3800	4550

დავუშვათ, რომ 2005 წლის განმავლობაში გაყიდვებიდან საერთო ამონაგებმა 36000 დოლარი შეადგინა, მაშინ თითოეული მეთოდის მიხედვით მოგების სიდიდეს სხვადასხვა მნიშვნელობები ექნება. ამიტომ, შეფასების მეთოდის არჩევა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა და მარაგების ნაშთების განსაზღვრის შედეგებზე ზემოქმედებას ახდენს.

ავტომატიზირებული სისტემების მეშვეობით სასაქონლო-მატერიალური აღრიცხვის პერმანენტალური ინვენტარიზაციის მეთოდით გახორციელება მარაგების ნაშთების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. როგორც კი მოხდება მარაგების შემცირება, კომპიუტერი ავტომატურად ახორციელებს მარაგების საერთო ჯამიდან მათი ღირებულების გამოქვითვას. ამ შემთხვევაში, ზემოთაღნიშნული მეთოდების მაგივრად, ცალკე გაყიდული საქონლების ფაქტიუ-

რი თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი გამოიყენება. იგი არანაკლებ წელიწადში ერთხელ მარაგების სრული ინვენტარიზაციის გახორციელებას მოითხოვს, რომელიც მატერიალურ გამოსახულებაში მარაგების არსებობის ბუღალტრული ჩანაწერების სიზუსტით დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

მაკონტროლებელი ორგანოები გულდასმით აკვირდებიან იმ გარემოებას, რომ ინვენტარიზაციის მსვლელობისას ყველა არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები იქნას შეფასებული. ასევე ჩამოფასების თვალსაზრისით, ყველა მოძველებული საქონელი უნდა იქნას შემოწმებული, რომელთაც უფრო დაბალი ფასებში გაყიდვის დიდი ალბათობა გააჩნიათ.

ერთობლივი მოგება (Gross Income) - არის ამონაგების ჯამსა და (საქონლის გასაყიდი ფასი) მათ თვითღირებულებას შორის სხვაობა. ერთობლივი მოგება საოპერაციო ხარჯებს უნდა ფარავდეს და საოპერაციო საქმიანობიდან მოგების მიღებას უზრუნველყოფდეს. თუ კი კორპორაცია საქონლის გამოშვების მაგივრად მომსახურებას ახორციელებს, მაშინ ერთობლივი მოგების გაანგარიშების გახორციელება უფრო რთულია. ამ შემთხვევაში პერსონალზე გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები საწარმოო და ადმინისტრაციულ დანახარჯებად უნდა დაიყოს, მაგრამ ასეთი დაყოფა პირობითად იქნება. ამიტომ კორპორაციები, რომლებიც მომსახურების გახორციელებით არიან დაკავებული, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ერთობლივი მოგების ჯამს ყოველთვის არ მიუთითებენ. თუ კი კორპორაცია საქონლის წარმოებით, ან მათი გაყიდვით არის დაკავებული, ერთობლივი მოგების გაანგარიშება სავალდებულოს წარმოადგენს.

სავაჭრო ხარჯები (Selling Expenses) - ჩვეულებრივად რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისაგან ცალკე აისახება. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში ჩაირთვება შრომის პირდაპირი დანახარჯები, მასალების პირდაპირი დანახარჯები და ზედნადები სამეწარმეო ხარჯები. სავაჭრო ხარჯების შემადგენლობაში ირიბი ხარჯები ცალკე აღირიცხება, და ერთობლივი მოგების გაანგარიშებისას ისინი ამონაგების ჯამიდან არ გამოიქვითება. ირიბი ხარჯების დიდი ნაწილი მოდის: სავაჭრო აგენტების შრომის ანაზღაურებაზე, დარიცხულ ამორტიზაციაზე (გასალების

ძირითად საშუალებებზე), საკომისიო მოსაკრებლებზე, რეკლამის ხარჯებზე, მოვლენებზე და პოტენციალური კლიენტების მიღებაზე. აღნიშნულ მუხლში მმართველობითი ხარჯები აისახება, ანუ შრომის ანაზღაურება კორპორაციის ხელმძღვანელობაზე და მოსამსახურეებზე, სამმართველოს კუთვნილებები და ა.შ.

რეალიზაციის ამონაგებიდან პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯების გამოქვითვის შემდეგ საოპერაციო მოგებას (Operating income) მიიღება.

კორპორაციის მიერ მისი აქციებში და მთავრობის ან სხვა ორგანიზაციების ობლიგაციებში მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შედეგად მიღებული დივიდენდები და პროცენტები შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს. შემოსავლის აღნიშნული სახეობა **ფინანსური შემოსავლების (Financial Income)** განყოფილებაში აისახება. სამეწარმეო საქმიანობიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული მოგების დაჯამებით ერთობლივი შემოსავალი (Total Income) მიიღება.

მუხლში "ფინანსური ხარჯები" (Financial Expenses) აისახება პროცენტები ობლიგაციებზე და საბანკო კრედიტებზე (Interest expense), ზარალი მოწყობილობის ამოღებიდან (Loss of Retirement of Equipment) და ა.შ. აღნიშნული განაყოფის მუხლები თავისთავად კორპორაციის საქმიანობის დანახარჯებს წარმოადგენენ და ისინი შემოსავლებიდან გამოიქვითებიან მოგების ჯამის განსაზღვრისას, რომელიც შემდგომში მოგებით უნდა დაიბეგროს.

იმის შემდეგ, როგორც კი ყველა შემოსავლები იქნება გათვალისწინებული და შემოსავლების ჯამიდან ყველა ხარჯები და გადასახადები გამოიქვითება, წლის განმავლობაში სუფთა შემოსავალის (Net Income) სიდიდეს ვღებულობთ. აღნიშნულ მუხლს ასევე შეიძლება – სუფთა მოგებაც (Net Income) ეწოდოს.

დაგროვილი მოგების შესახებ ანგარიშგება – შემდეგი სახის საანგარიშგებო ფორმა, რომელიც აშშ-ს კომპანიის ანგარიშგებაში გამოიყენება, მოგების დაგროვების შესახებ (Statement of earnings retained in the business; statement of earned surplus) ანგარიშგება წარმოადგენს. ანგარიშგებაში მიეთითება:

- დაგროვილი მოგების ჯამი საანგარიშგებო წლის დასაწყისში და სუფთა მოგება საანგარიშგებო წელს,

- დივიდენდების ჯამი ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებზე და დაგროვილი მოგების ჯამი,
- დივიდენდები, რომლებიც პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციებზეა გადახდილი,
- სუფთა მოგების ნაწილი, რომელიც რეზერვებშია გადანაწილებული,
- სუფთა გაუნაწილებელი მოგების ნაშთი, რომელიც "დაგროვებული შემოსავლების" ანგარიშზე გადაიტანება.

აღნიშნული საერთო სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ (იხ. ცხრილი 2.6.).

The accumulated Retained Earnings Statement for the Year (doll).

ცხრილი 2.6

1. გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისათვის (Retauned Earnings 01.01)
2. სუფთა მოგება (Net Income),
3. ჯამი (Total) (1+2),
4. გამოყენება (კლება) (less):
○ დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე (Preffered stock Dividend),
○ დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე (Common stock Dividend),
5. გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოსათვის (Retained Earnings on 31.12.)

ამრიგად, დაგროვილი მოგების შესახებ ანგარიშგება შემოსავლების შესახებ ანგარიშებსა და შემდეგი საფინანსო წლის ბუღალტრულ ბალანსს შორის შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს.

თავი III. ბასს-ით ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის დახასიათება

3.1. კორპორაციის ბუღალტრული ბალანსის მახასიათებლები

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. იგი უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

დაგეგმვა – მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახვას, მისი მიღწევების გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას. ამ ეტაპზე ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ.

კონტროლი – გეგმის ფაქტიურად შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ბუღალტრულმა აღრიცხვამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტიური ხარჯებისა და შემოსავლების შედარებას.

შეფასება – გადაწყვეტილების მიღების მთელი სისტემის შესწავლის პროცესია, მისი გაუმჯობესების მიზნით. ამ ეტაპზე აუცილებელია დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი. გაირკვეს, რამ შეუშალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას, რა იყო მიზეზი – დაგეგმვის ან კონტროლის ნაკლოვანება, თუ თვითონ მიზანი იყო არასწორად არჩეული.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. ადმინისტრაცია (მენეჯერები),
2. პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები,
3. არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები.

მენეჯერები ფინანსური ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებლები არიან. ბიზნესის ადმინისტრირება მოითხოვს შემდეგი ინფორმაციების გამოყენებას:

- რამდენია საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება,
- არის თუ არა საწარმოს მესაკუთრეთა მოგების ნორმა მათი მოლოდინის ადეკვატური,
- აქვს თუ არა საწარმოს საკმარისი ფულადი სახსრები,
- რომელი საქონლის წარმოებაა (რეალიზაცია) უფრო რენტაბელური,
- როგორია წარმოებული ცალკეული პროდუქციის თვითღირებულება და სხვ.

პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები არიან საწარმოს არსებული და მომავალი ინვესტორები და კრედიტორები. ისინი აანალიზებენ რა ბუღალტრულ ანგარიშგებაში არსებულ ინფორმაციას, ცდილობენ გააკეთონ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორია საწარმოს ფინანსური პერსპექტივა, ღირს თუ არა მის საქმიანობაში სახსრების დაბანდება. კრედიტორებს კი აინტერესებთ, შესძლებს თუ არა საწარმო ვალის დროულად გადახდას და აქვს თუ არა პროცენტის გადახდის საშუალება.

არაპირდაპირი (ირიბი) ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები არიან პირები (როგორც ფიზიკური ისე იურიდიული), რომლებსაც აინტერესებთ გარკვეული ფინანსური ინფორმაცია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: საგადასახადო სამსახური, რომელიც დაინტერესებულია მოგების, ქონების, დამატებული ღირებულების, აქციზის, საშემოსავლო და სხვა გადასახადების სწორად ადმინისტრირებაში; სტატისტიკური აღრიცხვის ორგანო; აღრიცხვის მარეგულირებელი ორგანო; მყიდველები და საზოგადოება მთლიანად, რომელთა დაინტერესება გაპირობებულია იმით, რომ საწარმოთა მომგებიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული ინფლაცია, გარემოს მდგომარეობა, სოციალური პრობლემები და ცხოვრების საერთო დონე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მისი მომხმარებლისათვის წარდგენა ევალება საწარმოს დირექტორთა საბჭოს და/ან სხვა ხელმძღვანელ ორგანოს.

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსურ ინფორმაციას მრავალი მომხმარებელი ჰყავს. ყოველ მათგანს კონკრეტული მოთხოვნილება გააჩნია ფინანსური ინფორმაციის მიმართ და ეს მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამასთან, კონკურენციის პირობებში, არამიზანშეწონილია ისეთი ინფორმაციის გახსნა, რომელიც მხოლოდ მმართველობით ხასიათს ატარებს. ამიტომ, წინასწარ განისაზღვრება – რა ფორმის შინაარსისა და მოცულობის ინფორმაცია აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამრიგად, საერთო დანიშნულების ანუ გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც საყოველთაო პრაქტიკაში ცნობილია სახელწოდებით – ფინანსური ანგარიშგება, წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად შეგროვილ, დამუშავებულ და მომხმარებლისათვის განსაზღვრული ფორმით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციათა ერთობლიობას.

როგორც წესი, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მხოლოდ გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი. ამიტომ ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა მომხმარებლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად ამომწურავ ინფორმაციას, მაგრამ მაინც პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნებს.

მომხმარებელთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ბასს-ით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის კომპონენტები და ელემენტები. ბასს 1-ის "ფინანსური ანგრიშგების წარდგენა" შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სრული კომპონენტი უნდა მოიცავდეს:

1. ბალანსს,
2. მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას,
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას,
4. ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას:

ა) საწარმოს საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ან

ბ) საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ, რომლებიც არ არის გამოწვეული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალთან დაკავშირე-

ბული სამაურნეო ოპერაციებისა და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან;

5. სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს (ბასს 1, პუნქტი 7).

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავენ ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ანგარიშგება შეიცავს სხვა ანგარიშგებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას, არც ერთი მათგანი არ ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს და ვერც მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

ფინანსური ანგარიშგება, როგორც წესი, მზადდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის თარიღით. საანგრიშგებო პერიოდად განიხილება წელი 12-თვიანი პერიოდით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენა უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლის დამთავრებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში (საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მუხლი 13.4). სამეწარმეო კანონმდებლობა და ბასს არ მოითხოვს სხვა სახის ანგარიშგების წარდგენას (ზოგიერთი საწარმოს წინაშე ასეთი ვალდებულება შესაძლებელია წარმოიშვას სხვა კანონმდებლობით).

საწარმოს მიერ შედგენილი და წარდგენილი ანგარიშგებები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს:

ა) შედგენის პერიოდის;

ბ) დანიშნულების;

გ) ინფორმაციის მომცველობის;

დ) გამოყენებული შეფასების მიხედვით.

ქვემოთ განვიხილოთ თითოეული მათგანის არსი და დანიშნულება:

ა) შედგენის პერიოდის მიხედვით ანგარიშგება იყოფა წლიურ და შუალედურ ანგარიშგებად. შუალედურ ანგარიშგებას წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან მის დამთავრებამდე პერიოდში შედგენილი და წარდგენილი ანგარიშგება.

შუალედური ანგარიშგების წარდგენა სავალდებულოა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონით განსაზ-

ღვრული ანგარიშვალდებული საწარმოსათვის (საწარმო, რომელსაც გამოშვებული აქვს რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდი, გარდა საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა). ასეთ საწარმოს ევალება მოამზადოს და კომისიას წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიაწოდოს:

ა) წლიური ანგარიშგება;

ბ) ნახევარი წლის (შუალედური) ანგარიშგება;

გ) მიმდინარე ანგრიშგება.

წლიური ანგარიშგება, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მოიცავს სხვა ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას. კერძოდ, იგი შეიცავს ინფორმაციას ემიტენტის, მისი საქმიანობის, მმართველი ორგანოს წევრთა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც აქციონერთა კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმების 5%-ზე მეტს; დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას; ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას.

წლიური ანგარიშგების მომზადება აუცილებელია პირველივე საანგარიშგებო წლიდან, მას შემდეგ, რაც საწარმო ანგარიშვალდებული გახდება. წლიური ანგარიშგების წარდგენა უნდა მოხდეს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 90 დღის განმავლობაში.

შუალედური (ნახევარწლიური) ანგარიშგება დგება საანგარიშგებო წლის პირველი ექვსი თვის შესახებ. იგი მოიცავს ანგარიშვალდებული საწარმოს ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას; ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენების შესახებ და კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას. ნახევარწლიური ანგარიშგება კომისიას წარედგინება ამ პერიოდის დამთავრებიდან 45 დღის განმავლობაში.

მიმდინარე ანგარიშგება კომისიას წარედგინება არსებით მოვლენებთან დაკავშირებით. მისი ფორმა და შინაარსი განისაზღვრება კომისიის მოთხოვნით და წარდგენა ხდება ანგარიშგებაში ასახული არსებითი მოვლენის მოხდენიდან 15 დღის განმავლობაში.

წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშგებები, კომისიასთან ერთად, წარდეგინება საფონდო ბირჟას, თუ საწარმოს

საკარო ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე ყიდვა-გაყიდვის საგანია.

ბ) დანიშნულების მიხედვით ანგარიშგებები იყოფა შიდა მოხმარებისა და საერთო დანიშნულების (საჯარო) ანგარიშგებებად.

შიდა დანიშნულების ანგარიშგება მზადდება საწარმოს სამმართველო მიზნებისათვის და იგი ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად მოიცავს ოპერატიული მართვისათვის აუცილებელ ინფორმაციას. მისი ფორმა, შინაარსი და წარდგენის ვადები განისაზღვრება საწარმოს შიდა მიზნებიდან გამომდინარე.

საერთო დანიშნულების ანგარიშგება მზადდება გარკვეულ სტანდარტებსა და წესებზე დაყრდნობით. ამის მაგალითია წლიური და ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგებები.

გ) ინფორმაციის მომცველობის მიხედვით ანგარიშგებები იყოფა ფინანსური და შერეული ინფორმაციის მომცველ ანგარიშგებებად.

ფინანსური ინფორმაციის მომცველია ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მზადდება.

შერეული ინფორმაციის მომცველია ანგარიშგება, რომელიც ფინანსურთან ერთად მოიცავს არაფინანსურ ინფორმაციასაც. ამის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების კომისიაში წარსადგენი წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგებები.

დ) გამოყენებული შეფასების მიხედვით ანგარიშგებები იყოფა უცვლელი და მიმდინარე ფასებით შედგენილ ანგარიშგებებად.

უცვლელი ფასებით შედგენილია ანგარიშგება, რომლის შედგენისას გათვალისწინებული არ არის ინფლაცია. ამის ტიპიური მაგალითია ფინანსური ანგარიშგება, რომლის შედგენისას გამოყენებული არაა სტანდარტი „ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში“.

მიმდინარე ფასებით შედგენილია ანგარიშგება, რომლის შედგენისას გათვალისწინებულია ინფლაციასთან დაკავშირებული ფასების ინდექსები.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მომხმარებლისათვის. ინფორ-

მაცია სასარგებლო იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მას გააჩნია შესაბამისი თვისება ანუ ხარისხობრივი მახასიათებლები. ეს მახასიათებლებია:

- ალქმადობა,
- შესაბამისობა,
- საიმედობა,
- შესადარისობა.

ფინანსური ანგარიშგებების ხარისხობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, მომზადებისა და წარდგენის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს გარკვეული გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობაზე. როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური ანგარიშგება მომხმარებლს აცნობს გასული საანგარიშგებო პერიოდის სამეურნეო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით, ე.ი. ასახავს წარსული პერიოდის ინფორმაციას, რომლის საპროგნოზო და სხვა დანიშნულებით გამოყენება დროში შეზღუდულია. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია მომხმარებელს ინფორმაცია მიეწოდოს იმ პერიოდში, როდესაც მისი შესაბამისობა და საიმედოობა მომხმარებლისათვის სასარგებლო იქნება. დაგვიანებით მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისობა და საიმედოობის ხარისხი შეიძლება იმდენად შემცირდეს, რომ იგი მომხმარებლისათვის სასარგებლო არ იყოს. ამიტომ ფინანსური ანგარიშგების მიწოდების დროულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია გადაწყვეტილების მიმღებისათვის. ამიტომ, საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა დაბალანსოს თანაფარდობა ანგარიშგების დროულობისა და ინფორმაციის საიმედოობას შორის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება უნდა ეყრდნობოდეს უტყუარ და ობიექტურ თვალსაზრისს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ. უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობას იძლევა ინფორმაციის თითოეული ხარისხობრივი მახასიათებლისა და ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო სტანდარტების გამოყენება.

საქართველოს პირობებში „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ 1999 წლის 5 თებერვლის

კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის (თავმჯდომარე ლავრენტი ჭუმბურიძე) 2000 წლის 21 თებერვლის დადგენილებით ეროვნულ საალრიცხვო სტანდარტებად აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს-ი). მათი გამოყენება ფინანსური ანგარიშგების შესადგენად სავალდებულოა მცირე საწარმოსა და არაკომერციული იურიდიული პირის გარდა კერძო სამართლის ყველა იურიდიული პირისათვის.

მცირე საწარმოებისა და არაკომერციული იურიდიული პირისათვის საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 22 მარტის №7 დადგენილებით დამტკიცებულია მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს) და არასამეწარმეო იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (ბას) და ანგარიშთა გეგმა.[1]

ბასს-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფინანსურმა ანგარიშგებამ ობიექტურად (სამართლიანად) უნდა წარმოადგინოს საწარმოს რეალური ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური საქმიანობის შედეგები და საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობა.

ბასს არ გამორიცხავს მისი ძირითადი ნორმებიდან გადახვევის შესაძლებლობას. იგი დასაშვებია იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნებიდან გამომდინარე, ობიექტურად დასტურდება ბასს-იდან გადახვევის აუცილებლობა.

ინფორმაციის ობიექტური წარდგენა ყოველთვის შეიძლება მიღწეულ იქნეს ბასს-ის ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ამასთან, საწარმომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ:

ა) აუცილებელია საალრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა,

ბ) ინფორმაცია (მათ შორის საალრიცხვო პოლიტიკა) უნდა წარადგინოს იმ მოცულობით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ინ-

---

1 მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი, მსს და ბას, საქ. ბაჟი. თსუ, 2005.

ფორმაციის შესაბამისობის, საიმედოობის, შესადარისობისა და აღქმადობის უზრუნველყოფა,

გ) როდესაც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები არ არის საკმარისი, უნდა უზრუნველყოს დამატებითი ახსნა-განმარტებითი ინფორმაციის მიწოდება, რათა მომხმარებელმა აღიქვას ცალკეული ოპერაციისა თუ მოვლენის გავლენა, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საწარმო, რომელიც ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს), ვალდებულია შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს იხელმძღვანელოს სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილი დებულებებით.

სააღრიცხვო პოლიტიკა განსაკუთრებული პრინციპების, საფუძვლების, შეთანხმებების, წესებისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება საწარმოში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესში.

სააღრიცხვო პოლიტიკას საწარმო ირჩევს დამოუკიდებლად და მასზე პასუხისმგებლობა საწარმოს ხელმძღვანელს ეკისრება. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს ბასს-დან. „ხელმძღვანელობამ საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა ისე უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამებოდეს ყველა შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და ბასკ-ის ინტერპრეტაციებს“ (ბასს 1. პ. 20)

სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებას გარკვეული მიზანი და მნიშვნელობა აქვს, რათა ყველა კატეგორიის ინფორმაციის მომხმარებელს საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე, საწარმოს საქმიანობის შედეგებზე სრული და საიმედო ინფორმაცია მიაწოდოს შეფასებისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები – დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

დარიცხვის მეთოდის თანახმად სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე. ამასთან, ისინი ერთდროულად აისახება ბუღალტრულ რეგისტრებსა და ამავე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. „საწარმოს ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა“ (ბასს 1. პ. 25).

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებით ბასს 1 (პუნქტი 23) განმარტავს, რომ „ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევის გარდა, როცა საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია, ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს“. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისას საწარმოს ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ საწარმო უწყვეტად განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ფუნქციონირების უნარის შეფასებისას, საწარმოს ხელმძღვანელობა იყენებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე ერთ წელიწადს.

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ბასს 1-ის (პუნქტი 20) მოთხოვნა, რომ „...საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა განავითაროს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია:

ა) შეესაბამებოდეს მომხმარებელთა გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებებს,

ბ) იყოს საიმედო იმ თვალსაზრისით, რომ:

- ზუსტად ასახავდეს საწარმოს საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობას,
- გამოხატავდეს სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ეკონომიკურ არსს და არა უშუალოდ მათ სამართლებრივ ფორმას,
- იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი,
- იყოს წინდახედული (გააზრებული), და
- იყოს სრულყოფილი ყველა არსებით ასპექტში“.

სააღრიცხვო პოლიტიკის დამოუკიდებლად შემუშავების დროს სრულყოფილად რომ იქნეს გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, ძირითად დაშვებებთან ერთად აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების — **აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა** — უპირობო დაცვა (იხ. თავი 1.1. — ბუღალტრული აღრიცხვის ელემენტები და ძირითადი პრინციპები).

აღქმადობა გულისხმობს ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდებას, რომელიც ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი იქნება მომხმარებლისათვის. ამასთან იგულისხმება, რომ მომხმარებელს ბიზნესისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში მიღებული ცოდნის დონიდან გამომდინარე, გააჩნია ფინანსური ინფორმაციის აღქმის უნარი.

შესაბამისობა უზრუნველყოფს ინფორმაციის სარგებლიანობას. ინფორმაცია სასარგებლოა, თუ შეესაბამება ინფორმაციის მომხმარებლის ინტერესებს და გავლენას ახდენს მის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ ეხმარება მომხმარებელს შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, დაადასტუროს, ან შეასწოროს ადრინდელი შეფასებები.

საიმედოობა ინფორმაციის მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მახასიათებელია. საიმედო ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იყოს ნეიტრალური (არ უნდა ასახავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინასწარგანზრახულ შედეგს განაპირობებს); სრული (არ იყოს გამოტოვებული არსებითი ინფორმაცია); წინდაუხედავად შეფასებული (გამორიცხავდეს ფარული რეზერვების შექმნის, აქტივების მოგებისა და შემოსავლების განზრახ შემცირებას ან ხარჯებისა და ვალდებულებების გადიდებას); სამართლიანად წარდგენილი (კანონზომიერად და სამართლიანად ასახავდეს ყველა სამეურნეო მოვლენას); შინაარსის ფორმაზე აღმატებით შეფასებული (ინფორმაცია სამეურნეო მოვლენის შესახებ აისახოს არა მხოლოდ მათი სამართლებრივი ფორმის, არამედ შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის შესაბამისად).

შესადარისობა საწარმოს განვითარების ტენდენციისა და სხვა საწარმოსთან მიმართებაში უპირატესობის დადგენის აუცილებელი პირობაა. ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციის მომხმარებ-

ლებს უნდა აძლევდეს საწარმოს სხვადასხვა წილის საქმიანობის შედეგების შედარებისა და ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას.

საწარმოს მიერ შერჩეული და მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა იყოს გამოცხადებული. ე.ი. უნდა იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაციის მომხმარებლისათვის, რათა იგი გაეცნოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მათში შეტანილ ცვლილებებს და ამ ცვლილებებით გამოწვეულ შედეგებს.

ამრიგად, „ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები" სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემას;

ბ) თითოეულ სპეციფიკურ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გაგებისათვის" (ბასს 1. პ. 97).

ბუღალტრული ბალანსი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული პერიოდისათვის. იგი ასახავს სრულ სტრუქტურულ და ურთიერთდაკავშირებულ მონაცემებს საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის (უფრო ვრცლად განხილულია 1.1., 1.2. პარაგრაფებში).

აქტივი არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური, ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი – ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსავლას საწარმოში. კერძოდ:

- შეიძლება აქტივის გამოყენება ცალკე ან სხვა აქტივებთან ერთად, საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესში,
- შეიძლება აქტივის გაცვლა სხვა აქტივზე,
- შეიძლება აქტივის გამოყენება ვალდებულებების დასაფარავად,

- შეიძლება აქტივის განაწილება საწარმოს მესაკუთრეთა შორის.

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განვითარებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

ვალდებულება არის საწარმოს მოვალეობა ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით შესასრულებელი კონტრაქტის ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით.

მიმდინარე ვალდებულების დაფარვა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური რესურსების გასვლას მევალე მხარის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, კერძოდ:

- ფულის გადახდით,
- სხვა აქტივების გადაცემით,
- მომსახურების გაწევით,
- ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით, ან
- ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით.

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ. იგი შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად: სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება, გაუნაწილებელი მოგებიდან შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალის შენარჩუნებას, ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

ამრიგად, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ინფორმაციის ბალანსური განზოგადება, ერთი მხრივ, საწარმოს ეკონომიკურ რესურსებს და, მეორე მხრივ, მათი დაფინანსების წყაროებს მოიცავს. ეკონომიკური რესურსები ბალანსში წარმოდგენილია აქტივების სახით. დაფინანსების წყაროები კი, — ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სახით. ბალანსის თითოეული ელემენტს გააჩნია შესაბამისი მუხლი, რომელიც აერთიანებს შინაარსითა და ფუნქციებით ერთგვაროვან რესურსებსა და წყაროებს.

ბალანსში მუხლების წარდგენას საფუძვლად უდევს ბასს 1-ის ნორმები. კერძოდ, მისი 66-ე პუნქტი განმარტავს, რომ ბალანსში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:

ა) ძირითადი საშუალებები,

ბ) არამატერიალური აქტივები,

გ) ფინანსური აქტივები {დ), ვ) და ზ) პუნქტში მოცემული თანხების გარდა},

დ) ინვესტიციები, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა ხდება კაპიტალ-მეთოდებით,

ე) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა,

ვ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები,

ზ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები,

თ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები,

ი) საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები" შესაბამისად,

კ) ანარიცხები,

ლ) გრძელვადიანი პროცენტიანი ვალდებულებები,

მ) უმცირესობის წილი;,

ნ) გამოშვებული სააქციო კაპიტალი და რეზერვები.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში მიღებულია აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფება ვადის მიხედვით. კერძოდ: გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად და ვალდებულებებად.

საწარმოს ბალანსში (ან ახსნა-განმარტებით შენიშვნებში) ბასს 1-ის 74-ე მუხლის შესაბამისად უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ყველა ტიპის სააქციო კაპიტალისათვის:

I) ნებადართული აქციების რაოდენობა,

II) გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქციების რაოდენობა, და გამოშვებული, მაგრამ აუნაზღაურებელი აქციების რაოდენობა,

III) ერთეული აქციის ნომინალური ღირებულება, ან ის ფაქტი, რომ აქციებს არ გააჩნია ნომინალური ღირებულება,

IV) მიმოქცევაში მყოფი აქციების რაოდენობის შედარება წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის,

V) უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები, რომლებიც ეხება ამა თუ იმ ჯგუფს, დივიდენდების განაწილებასა და კაპიტალის დაფარვასთან დაკავშირებული შეზღუდვების ჩათვლით,

VI) საწარმოს აქციები, რომლებიც თვით საწარმოს, შვილობილ საწარმოს ან მეკავშირე საწარმოს საკუთრებაშია,

VII) აქციები, რომლებიც რეზერვირებულია გამომუშავებული ოფციონებისა და სავაჭრო ხელშეკრულებებისათვის, პირობებისა და თანხების ჩვენებით,

ბ) აქციონერთა კაპიტალში თითოეული რეზერვის შინაარსისა და დანიშნულების აღწერა,

გ) დივიდენდების ოდენობა, რომელიც შეთავაზებულ ან გამოცხადებულ იქნა ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე ნებართვის თარიღამდე,

დ) ნებისმიერი კუმულატიური პრივილეგიური დივიდენდების თანხა, რომელიც არ არის აღიარებული.

საწარმომ, რომელსაც არა აქვს სააქციო კაპიტალი (მაგალითად, ამხანაგობა), უნდა წარადგინოს ზემოთ მოცემული მოთხოვნების ეკვივალენტური ინფორმაცია, სადაც ნაჩვენები იქნება თითოეული პარტნიორის წილი საწარმოს კაპიტალში, მათი უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები.

როგორც უკვე აღინიშნა, ბუღალტრული აღრიცხვის, ისე ბალანსის შედგენის მიზნით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია შეფასება.[1] ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი, სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით. შეფასების ეს მეთოდები, აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით, შემდეგი შინაარსის მატარებელია:

[1] შეფასების ინტერპრეტაციები აღებულია რ. ძაძამიას სახელმძღვანელოდან. იხ. „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება". ბაფი, თბ. 2000 წ. გვ. 429-434.

	აქტივები	ვალდებულებები
შეფასების მეთოდი		
პირვანდელი ღირებულება	ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების თანხა, ან ის რეალური ღირებულება, რომელიც უნდა გადახდილიყო აქტივების შეძენის მომენტში.	ვალდებულებების სანაცვლოდ მიღებული აქტივის თანხა ან ზოგჯერ (მაგ. მოგების გადასახადი) ის თანხა, რომლის გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად.
მიმდინარე ღირებულება	ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების თანხა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მოცემულ მომენტში მისი ან ანალოგიური აქტივის შესაძენად.	მოცემულ მომენტში ვალდებულების დასაფარავად საჭირო არადისკონტირებული ფულადი თანხა.
სარეალიზაციო (დაფარვის) ღირებულება	ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელია აქტივის მოცემულ პერიოდში გაყიდვისას.	საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ვალდებულებების დასაფარავად გადასახდელი არადისკონტირებული ფულადი თანხა.
დისკონტირებული ღირებულება	აქტივის არსებული დისკონტირებული ღირებულების თანხა, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მომავალში შემოსასვლელი წმინდა ფულადი სახსრების ტოლია.	არსებული დისკონტირებული თანხა, რომელიც საჭიროა ამ ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში და რომელიც მომავალში ამ მიზნით გასასვლელი ფულადი სახსრების ტოლია.

შეფასების კონკრეტული მეთოდის არჩევისათვის, აუცილებელია ბალანსის შესაბამისი მუხლისათვის ბასს-ით დადგენილი წესების ცოდნა. ჩვეულებრივ, საბალანსო მუხლისათვის, სტანდარტები, ძირითად მიდგომასთან ერთად უშვებს, ალტერნატიული მეთოდების გამოყენებას. საწარმო ვალდებულია შეარჩიოს თავისი საბა-

ლანსო პოლიტიკა და შესაბამისობისა და შესადარისობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, იხელმძღვანელოს მუდმივობის პრინციპით. საწარმო ასევე უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს ბუღალტრულ შეფასებებში. ასეთ შემთხვევებში იგი უნდა იცავდეს ბასს 8-ის – საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი, არსებითი შეცდომები და ცვლილებები საღრიცხვო პოლიტიკაში – მოთხოვნებს, რათა ინფორმაციის მომხმარებელმა შეძლოს ფინანსური ანგარიშგების გამოყენება.

ქვემოთ მოტანილია ბალანსში ასახვის მიზნით ზოგიერთი მუხლის შეფასებისათვის ბასს-ით დადგენილი წესები.

ბალანსის მუხლი	შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით	საფუძველი
		ასს-ს (ნომერი, პუნქტი)
გრძელვადიანი აქტივები		
	პირვანდელი ღირებულებებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით,	16(28)
ძირითადი საშუალებები	ან ალტერნატიული: გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით	16(29)
გუდვილი	თვითღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.	22(43)
არამატერიალური აქტივები	თვითღირებულების თანხით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის ოდენობით.	38(63)

ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	ა) თვითღირებულებით, ბ) კაპიტალ-მეთოდით, ან გ) რეალური ღირებულებით, გაყიდვაზე ან სხვა გასვლაზე გაწეული გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე.	27(29) 39(69)
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში	ა) თვითღირებულებით, ბ) კაპიტალ-მეთოდით, გ) რეალური ღირებულებით, გა ყიდვაზე ან სხვა გასვლაზე გაწეული გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე.	28(12) 39(69)
სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	ა) თვითღირებულებით, ბ) გადაფასებული თანხით, გ) საბაზრო წილობრივი ფასიანი ქაღალდების დროს, თვითღირებულებასა და საპორტფელო საფუძველზე დადგენილ საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.	25(23)
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით	2(6)
სავაჭრო მოთხოვნები	პირველხარისხოვანი ღირებულების ნაშთით, საეჭვო მოთხოვნების გამოკლებით	სტუქტ. საფუძვ. (89-90)
სხვა მოთხოვნები	პირვანდელი ღირებულებით	
მოკლევადიანი ინვესტიცია	ა) საბაზრო ღირებულებით, ბ) საბაზრო ღირებულებასა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით.	25(19) 27(30) 39(69)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	ა) თვითღირებულებით, ბ) წილობრივი მეთოდით, გ) რეალური ღირებულებით.	28(14)

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში	ა) თვითღირებულებით, ბ) კაპიტალ-მეთოდით, გ) რეალური ღირებულებით.	39(69)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	მიმდინარე ღირებულებებით.	37(36)
საპენსიო ანარიცხები	იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე მოვალეობის შესასრულებლად ბალანსის შედგენის თარიღისათვის (დასაშვებია დისკონტირება)	
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	მიმდინარე ღირებულებებით.	37(36)
მოკლევადიანი სესხები	მიმდინარე ღირებულებებით.	
საგარანტიო ანარიცხები	იმ დანახარჯების საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა მიმდინარე მოვალეობის შესასრულებლად ბალანსის შედგენის თარიღისათვის.	

ბალანსის წარსადგენად მომზადებისათვის აუცილებელია შემდეგი პროცედურების გავლა:

1. ბალანსის შედგენის თარიღამდე მომზდარი ოპერაციებიდან გამომდინარე, ბუღალტრულ ანგარიშებზე ნაშთების დაზუსტება.

2. საბალანსო ნაშთების ბუღალტრული შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით.

3. საცდელი ბალანსის შედგენა.

4. ანგარიშგების დახურვისა და დასკვნითი ოპერაციების მუხლობრივი გატარება.

5. საბალანსო ნაშთების აგრეგირება და ბალანსის მუხლების ჩამოყალიბება.

6. შენიშვნების მომზადება აგრეგირებული მუხლების ინფორმაციის გასახსნელად.

7. ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩამოყალიბება.

ბულალტრული ბალანსი, გარდა იმისა, რომ აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით, ცვლილების შესწავლის საშუალებას იძლევა, იგი იმავდროულად საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ საინფორმაციო წყაროდ გვევლინება.

კორპორაციის აქტივები - რესურსები

ბულალტრული ბალანსის მახასიათებლები, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენენ კორპორაციის ფინანსური ანგარიშგებების შედგენის საფუძვლებს.

კორპორაციის ვალდებულებები (liabilities) განიხილება, როგორც აქტივების შესაძენი, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან დროებით ნასესხები წყაროები.

აქტივები (assets) - არის მისი რესურსები, რომლებმაც მომავალში საწარმოს სარგებელი უნდა მოუტანოს. კორპორაციის აქტივები მის საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს და ადრე შეძენილი უნდა იყოს (შეძენის სტადიაში არ უნდა იმყოფებოდეს).

საკუთარი კაპიტალი (stockholders equity) განიხილება როგორც აქტივების ნაშთი, მისგან ყველა ვალდებულებების ჯამის გამოქვითვის შემდეგ. ზოგჯერ საკუთარ კაპიტალს სუფთა (ანუ ვალებისაგან განთავისუფლებული) აქტივებს უწოდებენ. საკუთარი კაპიტალი საწარმოს მფლობელის ინვესტიციებისაგან და სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული და საწარმოსათვის დატოვებული (რეინვესტირებული) მოგების სიდიდისაგან შედგება.

შემოსავლები (income) თავისთავად კორპორაციის აქტივების ნაზარდს წარმოადგენს, რომლებიც ძირითადად წარმოებისა და საწარმოს ძირითადი საქმიანობის ჩარჩოებში საქონლის და მომსახურების მიწოდებით არის გაპირობებული. კომპანიამ შეიძლება შემოსავლები ასევე საინვესტიციო საქმიანობიდანაც, როგორც აქტივების ფლობისა და გაყიდვის შედეგი მიიღოს.

დანახარჯები, ხარჯები, გასავალი (expenses) თავისთავად აქტივების შემცირებას, ან ვალდებულებების (პასივების) გადიდებას, ან კორპორაციის საქმიანობის ჩარჩოებში წარმოების, საქონლისა და მომსახურების მიწოდების შედეგად ერთისა და მეორის შეხამებას წარმოადგენს.

კორპორაციის დაგროვილი შემოსავლები (retained earnings) დროის განმავლობაში – არის მოცემული პერიოდისათვის მის შემოსავლებსა და ამ შემოსავლების მიღების გამომწვევი ხარჯებს შორის სხვაობა.

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება ბუღალტრული ბალანსისა (balance sheet) და შემოსავლების შესახებ ანგარიშგების მომზადებისათვის საკვანძოს წარმოადგენს.

ზოგადად, ბუღალტრული ბალანსი ორი ნაწილისაგან – აქტივისაგან და პასივისაგან შედგება. აქტივი საწარმოს ეკონომიკურ რესურსებზე მიუთითებს, რომლებმაც სამეურნეო საქმიანობის შედეგად მოგება უნდა მოიტანოს. ბალანსის პასივი აღნიშნულ ეკონომიკურ რესურსებზე საკუთრების უფლებას ასახავს და იგი საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებებისაგან შედგება, რომლებიც კორპორაციას კრედიტორების წინაშე გააჩნია. ბალანსი შეიძლება ორი ნიშნით – აქტივების ლიკვიდურობის გადიდების, ან შემცირების ხარისხის მიხედვით აიგოს.

დასავლეთის ქვეყნებში ბალანსის მუხლების დაჯგუფების უფრო მეტად გავრცელებულ ფორმას შემდეგი სახე წარმოადგენს იხილეთ ბუღალტრული ბალანსი ცხ. 3.1.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბალანსის ძირითადი მუხლების განთავსების ფორმატი დიდ როლს არ ასრულებს, უფრო მნიშვნელოვანს თითოეული მუხლის შინაარსის სწორი ინტერპრეტაცია და ბალანსის მუხლების რაოდენობრივი მნიშვნელობების საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა წარმოადგენს. ბუღალტრული ბალანსი ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს, რომელიც კორპორაციის საქმიანობის კომპლექსურად დახასიათების შესაძლებლობას იძლევა. ამრიგად, ბალანსის ანალიზი ლიკვიდურობის, შემოსავლიანობის, აგრეთვე ცალკეული ოპერაციების გახორციელებისას რისკის ხარისხის მდგომარეობის განსაზღვრის საშუალებას წარმოადგენს. ბალანსიდან მოპოვებული

ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი და მოზიდული სახსრების წყაროების, განსაზღვრული თარიღისათვის მათი განთავსების სტრუქტურის გამოვლენა არის შესაძლებელი.

ბუღალტრული ბალანსი
(BALANCE SHEET)

ცხრილი 3.1.

აქტივები (ASSETS)	ვალდებულებები (LIABILITIES)
ა) მიმდინარე აქტივები (Current assets) 1. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები 2. სააზრო ფასიანი ქაღალდები 3. მისაღები ანგარიშები – მოთხოვნები უიმედო დავალიანების კორექტირებით 4. მისაღები თამასუქები 5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები: – საქონელი, ნედლეული და მასალები – დაუმთავრებელი წარმოება – მზა პროდუქცია 6. ავანსირებული (წინასწარ გაწეული) ხარჯები და სხვა მიმდინარე აქტივები.	ა) მიმდინარე ვალდებულებები (Current Liabilities) 1. მოკლევადიანი ვალდებულებები: (Short-term debts) – გადასახდელი თამასუქები – მიღებული ავანსები – ანგარიშსწორება მომწოდებლებთან და პერსონალთან – მოგების გადასახადი – სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2. დარიცხული დაგროვებული ასანაზღაურებელი ხარჯები (Accrued expenses)
მიმდინარე აქტივების ჯამი (Total current assets) (1+2+3+4+5+6)	მიმდინარე ვალდებულებების ჯამი (1+2) (Total Current Liabilities)
ბ) ფიქსირებული აქტივები: (Fixed Assets) 1. მიწა 2. შენობები და ნაგებობები 3. სამეურნეო ინვენტარი 4. (დაგროვებული ამორტიზაცია) 5. საოფისე აღჭურვილობა	ბ) გრძელვადიანი ვალდებულებები (Long-term Liabilities) 1. გასანაღდებელი ობლიგაციები 2. კონვერტირებადი ვალი (გასანაღდებელი თამასუქები) 3. გრძელვადიანი საბანკო სესხები 4. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები გ. გადავადებული მოგების გადასახადი (Deferred income tax)

ფიქსირებული აქტივები ჯამი (1+2+3-4+5) **Total Net fixed assets (1+5)**	მთლიანი ვალდებულებების ჯამი (ა+ბ+გ) **Total Liabilites (A+B+C)**
გ) გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიციები **(Long term financial investments)** 1. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში 2. მოთხოვნები კორპორაციის პერსონალისა და ხელმძღვანელების მიმართ 3. სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები დ) გუდვილი და ჭსხვა არამატერიალური ინვესტიციები **(Goodwill and other Intangibnle investments)**	დ) სააქციო კაპიტალი **(Stockholders Equity)** 1. აქციები: — პრივილეგირებული აქციები — ჩვეულებრივი აქციები 2. საემისიო კაპიტალი 3. სავალუტო საკურსო სხვაობები 4. გაუნაწილებელი მოგება 5. (გამოსყიდული საკუთარი აქციები)
გრძელვადიანი ინვესტიციების ჯამი (ბ+გ+დ) **Total Long-term investments (B+C+D)**	სააქციო კაპიტალის ჯამი (1+2+3+4-5) **(Total stockholders equity)**
მთლიანი აქტივების ჯამი (ა+ბ+გ+დ) **(Total assets)**	მთლიანი ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამი (ა+ბ+გ+დ) **(Total liabilities and stockholders equity)**

კომპანიის ხელში არსებულ ფასიან ქაღალდებს ასახავს, რომლებიც ადვილად მიმოიქცევა ბაზარზე. რადგანაც დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები შეიძლება სწრაფადვე იქნან გამოთხოვილი, ამიტომ ასეთი ფასიანი ქაღალდები ბაზარზე ადვილად რეალიზებადი და ფასების ცვლილებისადმი მინიმალურად დამოკიდებული უნდა იყოს. ასეთი სახის ფასიანი ქაღალდების შეძენა არა გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის, არამედ მათი შემდგომი გაყიდვისათვის ხორციელდება. ისინი ბალანსში შეიძლება როგორც ნომინალური ღირებულებით, ასევე საბაზრო, ან შესყიდვის ფასითაც იქნეს ასახული (original cost) - და ინფლაციის გამოვლენის სფეროში კომპანიის ამოცანებზეა დამოკიდებული. როგორც წესი,

საბაზრო ფასიანი ქაღალდები თავისი ნომინალური ღირებულებით აისახება (Nominal value of marketable securities), ხოლო მათი საბირჟო ფასი ფრჩხილებში მიეთითება (Marketable securities, at cost).

მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციების უფრო მეტად გავრცელებული ვარიანტების რიცხვს სახელმწიფო და მუნიციპალური სავალო ვალდებულებები მიეკუთვნება (agency securities, municipal bond and deposit reciept), რომლებიც მათი ემიტენტების მიერ არა უმეტეს ერთი წლით გამოიშვება, იგი ბანკის მიერ აქცეპტირებულ თამასუქს, ანუ მისი გადახდა ბანკის მიერ არის გარანტირებული და ისინი დეპოზიტური სერთიფიკატების სახით არის ცნობილი (Negotiable certificates of deposit with U.S. banks, CD'S) - იგი ასევე დროებითი საბანკო ანაბარის შესახებ მოწმობას წარმოადგენს, რომლებზეც პროცენტებიც დაირიცხება. გარდა ამისა, საბაზრო ფასიან ქაღალდებს ფიუჩერსული, ფორვარდული და ოფციონური კონტრაქტები მიეკუთვნება, რომლებიც თავისთავად მეორადი ფინანსური ინსტრუმენტების სპეციალურ სახეობას წარმოადგენენ და ისინი პირველადი ფინანსური ინსტრუმენტების (საწარმოს ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების) გაყიდვაზეა დაფუძნებული. კორპორაცია საბაზრო ფასიანი ქაღალდების შეძენას დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების უფრო მეტად რაციონალურად გამოყენების მიზნით ახორციელებს. შემდგომ მის მიზანს აღნიშნული ფასიანი ქაღალდების სარგებლიანად გაყიდვა, ან მათი დაფარვის მომენტის ლოდინი წარმოადგენს, რათა დავალიანების ძირითადი ნაწილი და პროცენტული სარგებელი იყოს მიღებული

3. ანგარიშები მისაღები (Accounts receivable) მოიცავს დავალიანებას გადატვირთულ პროდუქციაზე და გაწეულ მომსახურებაზე (Trade receivables). აღნიშნულ მუხლზე აისახება თანხები, რომლებიც დამკვეთის მიერ ჯერ ანაზღაურებული არ არის და საქონელი გადასახადის მიღებამდე არის გაგზავნილი. მყიდველებისათვის საქონლის გადასახდელად, როგორც წესი, გარკვეული დრო არის დადგენილი. დებიტორული დავალიანება იურიდიულ და ფიზიკური პირების საწარმოსადმი დავალიანების ამსახველია.

"დებიტორული დავალიანების" მუხლში შეიძლება "უიშედოდ დავალიანებაზე შესწორების" ქვემუხლიც წარმოიშვას (Less:

allowance for bad debt). აღნიშნული ქვემუხლი დებიტორული დავალიანების იმ ნაწილს ასახავს, რომლის გადახდა მევალის მიერ შეუძლებელი გახდა მისი გადახდისუუნარობის გამო. აღნიშნული თანხა შემდგომში ქვეყანაში დადგენილი წესების თანახმად "დანახარჯებზე ჩამოიწერება".

დებიტორული დავალიანების თანხას ასახავს, როგორც წესი, ორი ფაქტორი:

• კორპორაციის საქმიანობის აქტიურობის დონეს – რამდენად მეტია გაყიდვების მოცულობა, ჩვეულებრივად იმდენად მეტია დებიტორული დავალიანების მოცულობა,

• კორპორაციის დამოკიდებულებას თავისი კლიენტებისადმი – კლიენტების შენარჩუნებისა და ახლების მოზიდვის მიზნით რამდენად მეტ განვადებას გაახორციელებს იგი მათთვის, იმდენად მეტი იქნება დებიტორული დავალიანების მოცულობა.

აღნიშნულ საკითხში რიგი ფაქტორების გარკვევა არის საჭირო: გაანალიზირებულია თუ არა ბრუნვები და ანგარიშების დაბრუნება დებიტორების მიხედვით? მნიშვნელოვანია ანგარიშების კონცენტრაცია – თუ რამდენად დანაწილებულია დებიტორული დავალიანება? ხომ არ არის არაპროპორციულად დიდი კონცენტრაცია დავალიანების ერთ ან ორ დებიტორზე? არის თუ არა დებიტორებს შორის შვილობილი, ან ცუდი ფინანსური მდგომარეობის მქონე ფირმები? დებიტორული დავალიანება გაანალიზებულია თუ არა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ?

4. თამასუქები მისაღები – **(Notes receivable)** თავისი არსით დებიტორული დავალიანების ნაირსახეობას წარმოადგენს, მაგრამ იგი გადახდის განვადების გახორციელების ფორმით განსხვავდება და რომელსაც თამასუქის ფორმა აქვს. თამასუქის უფრო მეტად მნიშვნელოვან მახასიათებლებს წრმოადგენს: 1) მოქმედების ვადა, 2) სესხის თანხა და 3) საპროცენტო განაკვეთი. თამასუქის ვადა დგინდება უშუალოდ თამასუქის გამოწერისას დღეებში ან თვეებში, ანუ თამასუქის დაფარვის (სესხის თანხის გადახდის) თარიღი მიეთითება, და მაშინ თამასუქის ვადა გამოწერის თარიღისა და დაფარვის თარიღის შედარების გზით გაიანგარიშება. სესხით თანხის სიდიდე თამასუქის გამოწერაში მონაწილე მხარეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე დგინდება და თამასუქის წინა მხარეზე ჩა-

იწერება. სესხის თანხის სიდიდე საქონლის მოცულობის ან მომსახურების იმ მოცულობით განისაზღვრება, რომელიც თამასუქის გადაცემაზე ხორციელდება. პროცენტები თამასუქზე – არის სესხის საფასური ან კრედიტის მიწოდებაზე საზღაური. პროცენტების გაანგარიშება შემდეგი სახის მარტივი ფორმულით ხორციელდება:

პროცენტი = სესხის მოცულობა x საპროცენტო განაკვეთზე x x თამასუქის ვადაზე.

ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ პროცენტული განაკვეთი ჩვეულებრივად წლიურზე გაანგარიშებით დგინდება, ხოლო თამასუქის ვადა დღეებში ან თვეებში მიეთითება. ამიტომ შესაბამისი გადაანგარიშების გახორციელება არის საჭირო. მაგალითად, თამასუქი 6 თვით იყო გაცემული, სესხის მოცულობა 10000 დოლარს, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი – 10% შეადგენს. ამ შემთხვევაში პროცენტული გადასახადის თანხა შეადგენს: 10 000x0,1 x (6/12)=500 დოლარს. ამრიგად, თამასუქის დაფარვის თარიღისათვის გადასახდელი თანხა (10000+500)=10500 დოლარის ტოლი იქნება. საწარმო აღნიშნულ ორ კომპონენტს აღრიცხავს: სესხის ძირითადი თანხა უშუალოდ ფულად ანგარიშს დაემატება; პროცენტული თანხა კი – შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში უნდა იქნეს ასახული, როგორც საწარმოს დამატებითი შემოსავალი (რათა გადასახადით დაბეგვრა სწორედ იქნეს განხორციელებული), ხოლო შემდეგ კი იგი ფულად ანგარიშს დაემატება.

არსებობს ასევე ე.წ. დისკონტური თამასუქები. დისკონტური თამასუქის გამოწერისას პროცენტები არ მიეთითება, არამედ მხოლოდ იმ თანხის მოცულობა მიეთითება, რომელიც თამასუქის მიმღებზე იქნება გამოწერილი. შესაბამისად, საქონლის ან მომსახურების ღირებულება (ანუ თანხა, რომელსაც თამასუქის გამომწერი პირი მიიღებს) იმ თანხაზე ნაკლები იქნება, რომელიც თამასუქის მიმღებზე იქნება გაცემული.

დასავლეთის ქვეყნებში თამასუქის აღრიცხვის, ანუ დისკონტირების პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული. აღნიშნული პრაქტიკის თანახმად, ბანკს შეუძლია თამასუქი ვიდრე კიდევ მისი დაფარვის ვადის დადგომამდე გამოისყიდოს, რომ თვითონ გახდეს

თამასუქის მიმღები. ამასთან ბანკი თამასუქს შეღავათით (დისკონტით) იძენს, ხოლო თამასუქის დაფარვის მომენტისათვის მთლიან (სრულ) თანხას ღებულობს. მაგალითად, თამასუქი ბანკის მიერ 15%-იანი განაკვეთით არის დაფიქსირებული, როდესაც მისი ვადის დასრულებამდე 30 დღეა დარჩენილი. დისკონტის თანხა თამასუქზე ტოლი იქნება: 10500x0,15 x(30/365)=129 დოლარს. აქედან გამომდინარე საწარმო (10500-129)=10371 დოლარს მიიღებს

5. **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები** (Inventories) საწარმოს ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან აქტივს და მისი ამონაგების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ქვეშ საწარმოს ისეთი სახის აქტივები გაიგება, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში იქნება გაყიდული, ან საწარმოს პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის მიზნით იქნება გამოყენებული. სავაჭრო ფირმებისათვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები – არის სასაქონლო მარაგები, სამეწარმეო საწარმოებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ჩვეულებრივად შემდეგი ჯგუფებისაგან შედგება:

- ნედლეულისა და მასალების (Raw materials and consumables),
- დაუმთავრებელი (საწყისი) მოცულობა საწარმოებში (Work in progress),
- მზა პროდუქციის (Finished goods),
- მზა პროდუქციისა, რომელიც რეალიზაციას ელოდება (Finished goods awaiting delivery) და ა.შ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების უფრო მეტად გავრცელებულ მეთოდს – თვითღირებულებით (cost) ან საბაზრო ღირებულებით (market) განსაზღვრა წარმოადგენს, იმაზე დამოკიდებულებით, თუ რომელი სიდიდეა უფრო ნაკლები. თუ საქონელი თვითღირებულებით არის შეფასებული, მაშინ ბალანსში მითითებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემცირებულს წარმოადგენენ. თვითღირებულება, ამავდროულად, შეიძლება მზა პროდუქციის სასაწყობო (შენახვის) დანახარჯებს და მისი სამომავლოდ რეალიზაციასთან დაკავშირებულ დანახარჯებს არ ასახავდეს. ამავე დროს, მზა პროდუქციის არა თავისდროულად რეალიზაციის შემთხვევაში, იგი შეიძლება არა მარტო საბაზრო ღი-

რებულებაზე ნაკლები, არამედ მის თვითღირებულებაზე ნაკლები ფასებითაც იქნეს რეალიზებული.

შემდგომში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მთლიანობაში იქნება განხილული, ხოლო სპეციფიკაცია კი — საჭიროების მიხედვით იქნება გაკეთებული.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დახასიათებისას შემდეგ სამი საკვანძო საკითხები უნდა იქნეს განხილული:

- მარაგების აღრიცხვის პრობლემა,
- მარაგების შეფასების პრობლემა,
- მარაგების ანგარიშგებაში ასახვის პრობლემა.

საერთო შემთხვევაში მზა პროდუქციის თვითღირებულების ცნებაში ჩაირთვება შრომის პირდაპირი დანახარჯები, მასალების პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადები ხარჯები. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები, საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში კი არ ჩაირთვება, არამედ ცალკე სტროფის სახით ჩაიწერება. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის ორი შესაძლო ხერხი არსებობს:

- მარაგების მუდმივად აღრიცხვის სისტემა, როდესაც ყველა შეძენა პირდაპირ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანგარიშზე ჩაიწერება, ხოლო მათი გაყიდვა კი — მზა პროდუქციის თვითღირებულებაში ჩაირთვება,
- მარაგების პერიოდულად აღრიცხვის სისტემა, რომლის დროსაც ბალანსის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მუხლი გარკვეული პერიოდის (თვის) განმავლობაში უცვლელი რჩება, ხოლო ყველა შეძენა კი — "შეძენის" ცალკე ანგარიშზე აისახება; საბოლოო მარაგების სიდიდე ფიზიკური "ინვენტარიზაციის" გზით განისაზღვრება, ხოლო რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება კი — პერიოდის ბოლოსათვის შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

რეალ. პროდუქციის
თვითღირებულება = საწყისი მარაგები + შესყიდვები — საბოლოო მარაგები.

პრინციპულად ორივე სისტემას მზა პროდუქციის თვითღირებულების ერთი და იგივე შედეგი გააჩნია. ამავე დროს პრაქტიკაში

შედეგები შეიძლება ურთიერთთანხვედრიც არ იყოს სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგალითად მარაგების გაფუჭების ან უკმარისობის შემთხვევებში.

6. ავანსირებული ხარჯები (Prepaid expenses) და სხვა მიმდინარე აქტივები (other current assets) – ისეთი აქტივებია, რომლებიც გახარჯულ სახსრებს ასახავენ, რომლისაგან სარგებელი ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში იქნება მიღებული. აღნიშნულ ხარჯებს მიეკუთვნება ავანსად გადახდილი მომსახურება, ერთი წლით წინასწარ გადახდილი იჯარა სადაზღვევო პოლისები და ა.შ. წინასწარ გადახდილი ხარჯები, როგორც თვითღირებულების კომპონენტი, შესაბამისი პერიოდის ხარჯებში ჩამოიწერება. მაგალითად, საწარმოს შესაძლებლობა გაუჩნდა 36000 დოლარის ოდენობის შენობის იჯარის გადასახადი ერთი წლით ადრე გადაიხადოს. ამასთან, ყოველ თვეს 3000 დოლარი გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში უნდა ჩაირთოს, ხოლო ბალანსის აღნიშნული მუხლის სიდიდე კი – თითოეული თვე 3000 დოლარით შემცირდება. აღნიშნული "მიმდინარე აქტივები" განყოფილებაში ბოლო მუხლს წარმოადგენს.

კორპორაციის ფიქსირებული აქტივები (Fixed Assets) – აღნიშნულ განყოფილებას კორპორაციის ბუღალტრულ ბალანსში უფრო ხშირად "საკუთრებას" (Property), ფაბრიკას (Plant) და მოწყობილობას (Equipment)" უწოდებენ. კორპორაციის ფიქსირებული კაპიტალი მოიცავს: მიწას (Plant), შენობას და ნაგებობას (Buildings and improvent), მანქანა და მოწყობილობებს (Machinery and equpment), სამეურნეო ინვენტარს (Furniture) საავტომობილო და სატვირთო ტრანსპორტს (Automobiles and trucks), საოფისე მოწყობილობას (Office equipment) და ა.შ.

თავისი არსით, ყველა ძირითადი საშუალებები თავისთავად საწარმოს გრძელვადიან ინვესტიციებს წარმოადგენენ ფასეულობებში, რომლებიც მათ მომავალში მოგებას მოუტანს. განვიხილოთ მათი თითოეული შემადგენელი ცალ-ცალკე.

მატერიალური აქტივების დახასიათებისათვის მხედველობაში შემდეგი სამი ნიშან-თვისება მიიღება:

- შეძენის მიზანი – რომელიც კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პროცესში და არა შემდგომი გაყიდვისათვის გამოყენებას ითვალისწინებს,
- გამოყენების ვადის ხანგრძლივობა – რომელიც ერთ წელზე მეტ პერიოდს შეადგენს მათი ღირებულების (ცვეთის გაანგარიშებით) აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განაწილებით,
- მატერიალური (ფიზიკური) ფორმის არსებობა არამატერიალური აქტივებისაგან განსხვავებით.

კორპორაციის ძირითადი მატერიალური აქტივების საბაზისო შემადგენელს მიწა, შენობა და ნაგებობები, მანქანები და მოწყობილობა წარმოადგენენ. ყველა სახსრებზე, გარდა მიწისა, დაირიცხება ცვეთა (ამორტიზაცია), რომელიც ინგლისურ ენაში "depreciation"-ის ტერმინით არის ცნობილი. ზოგიერთ შემთხვევაში კორპორაციას შეიძლება ბუნებრივი რესურსებიც მიეკუთვნებოდეს, რომლებიც საწარმოს ნორმალური მუშაობის პროცესში გამოიყენება. მატერიალური აქტივების აღნიშნული სახეობა ასევე ცვეთის დარიცხვას ექვემდებარება, რომელიც "depletion"-ის ტერმინით არის ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი "ამორტიზაცია", რომელიც ჩვენს პრაქტიკაში ნებისმიერი ცვეთის სახეობისათვის გამოიყენება, დასავლეთის ალრიცხვაში იგი მხოლოდ არამატერიალური აქტივების ცვეთის აღსანიშნავად გამოიყენება.

ფიქსირებული აქტივების შეძენა ნაღდის გადახდის მეშვეობით (ან გარკვეული დროით კრედიტორული დავალიანების წარმოქმნით) ხორციელდება. გაყიდვისას უკუ ფულადი ნაკადი წარმოიშობა. ნებისმიერ შემთხვევაში ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება და გადიდება ფულადი სახსრების ტოლი სიდიდით ცვლილებისაკენ ან გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანების შესაბამისი გადიდებისაკენ მივყავართ.

ფიქსირებული აქტივები ძირითადად შეიძინება საწარმოს საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. ამიტომ მათი ღირებულება თანდათანობით ამორტიზაციის სახით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში ჩაირთვება. კორპორაციების უმეტესობა ძირითადი საშუალებების მუხლში მათ საწყის ღირებულებას ასახავენ დაგროვებული ამორტიზაციის გამოკლებით. აღნიშნული ძირითადი საშუალებების შეფასების ყველაზე მეტად გავრცელებულ მეთოდს

წარმოადგენს – საწყისი ღირებულება მინუს დაგროვებული (აკუმულირებული) ამორტიზაცია (depreciation less). ამიტომ ბალანსის მიხედვით ძირითადი საშუალებების სიდიდე მისი აღნიშნული მომენტისათვის საბაზრო ღირებულებით, ან მომავალში აღდგენითი ღირებულებით ასახვის მიზნით არ გამოიყენება. ძირითადი საწარმოო საშუალებებისა და მოწყობილობების შეცვლაზე გაწეული დანახარჯები შეიძლება ამ მიზნებისათვის დაგეგმილ დანახარჯებზე მნიშვნელოვნად მეტი იყოს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანგარიშგებაში ასახვის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების ღირებულება როგორ უნდა იქნეს ჩაწერილი ბალანსში. შესაძლო ალტერნატივების სახით საბაზრო და "ისტორიული" ღირებულებები განიხილება. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა მიზეზებით სასაქონლო პროდუქციის მარაგების საბაზრო ღირებულება მათი თვითღირებულების ქვემოთაც კი შეიძლება დაიწიოს. აღნიშნულ შემთხვევაში პოტენციალური ზარალი წარმოიშობა, რომელიც მოცემულ პერიოდში მარაგების, მათი საბაზრო ფასით ჩამოწერის გზით უნდა იქნეს ასახული.

მარაგების თვითღირებულებასა და მათი საბაზრო ფასს შორის სხვაობა ერთ-ერთი მეთოდით შეიძლება ჩამოიწეროს: პირდაპირით და ირიბით. პირველ შემთხვევაში მარაგების საბაზრო ღირებულება უბრალოდ ბალანსში ჩაენაცვლება მათ და სხვაობა პირდაპირ ჩამოიწერება მზა პროდუქციის ღირებულებაზე. მეორე შემთხვევაში "ფასდაკლება მარაგების საბაზრო ღირებულების შემცირების შედეგად" სპეციალური ანგარიში იქმნება, რომელიც ბალანსში "სასაქონლო-მატერიალური მარაგების" მუხლისადმი დამატებითის სახით გამოიყენება, ხოლო მოგების შესახებ ანგარიშგებაში "ზარალი მარაგების საბაზრო ღირებულების შემცირების შედეგად" დამატებითი ანგარიში წარმოიშობა. პირდაპირი მეთოდის გამოყენება აშშ-ში ნორმალურ პრაქტიკას წარმოადგენს, ირიბი მეთოდი კი ჩვეულებრივად ზარალის საკმაოდ მნიშვნელოვანი სიდიდისას გამოიყენება.

ფულადი ნაკადები, რომლებიც ძირითადი საშუალებების ამორტიზაციასთან არის დაკავშირებული, წარმოების დანახარჯებში დარიცხვის მიმართულებით მიედინება, საიდანაც "რეალიზებუ-

ლი პროდუქციის თვითღირებულების“ ანგარიშზე ჩამოიწერება, ხოლო მას, კი, თავის მხრივ, “მოგება და ზარალის“ ანგარიშისაკენ ნაკადის მიმართულება გააჩნია. გაუსაღებელი პროდუქცია “მზა პროდუქცია საწყობში“ ანგარიშზე რჩება, და აღნიშნულ ანგარიშზე ნაშთი შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში გადაიტანება. როდესაც აღნიშნული პროდუქცია გაიყიდება, მისი ღირებულება “რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ანგარიშზე გადაიტანება. ძირითადი საშუალებების რეალურად ანაზღაურების პროცესი ბანკში კორპორაციის ანგარიშზე ნაღდი ფულის მიღებასთან არის დაკავშირებული.

გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიციები **(Long term financial investments)** – აქტივების სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს, რომლებიც საწარმოსათვის ძირითად საწარმოო საქმიანობასთან დაუმთხვევადი მოგების მიღების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული სახეობის აქტივები მოიცავს:

- ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში, რომლებიც საკუთრების (პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციები) და სხვა კომპანიების სავალო ვალდებულებებისა (ობლიგაციები, გრძელვადიანი თამასუქები, ჩასადებები) და არასაბაზრო ქაღალდების (Nonmarketable securities) ინსტრუმენტებად დაიყოფა,
- ინვესტიციები მატერიალურ არაბრუნვად საშუალებებში, რომლებიც სამეურნეო საქმიანობაში არ გამოიყენება და მათ გადაყიდვის დანიშნულება აქვთ,
- ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში (Investments in subsidiaries), ერთობლივ საწარმოებში, თუ კი მათი ანგარიშგება კომპანიის და მისი სატელიტების კონსოლიდირებულ (გაერთიანებულ) ანგარიშგებაში არ შედის,
- ინვესტიციები, რომლებიც სპეციალურ ფონდებშია გადატანილი, მაგალითად, ფულადი სახსრები, რომლებიც მომავალში ობლიგაციის დაფარვის, აქციების პაკეტის შეძენის და ა.შ. მიზნით, სესხები ფილიალებისათვის (Loans to subsidiaries), ასოციაციებში მონაწილეობისათვის (Interests in associates), სესხები ასოციაციებისათვის (Loans to associates) და სხვა ინვესტიციებისათვის (Other investments) მიზნობრივი გამოყენებისათვის არის დაკონსერვირებული,

• გრძელვადიანი კრედიტები მმართველობის წევრებისათვის და მოსამსახურეებისათვის (Long loans to members of the board and employees).

არამატერიალური აქტივები – დ) გუდვილი და სხვა არამატერიალური ინვესტიციები (Goodwill and other Intangible investments) – ამ სახის აქტივებს მატერიალური გამოხატულება არ გააჩნიათ და კომპანიისათვის განსაზღვრულ ფასეულობას წარმოადგენენ.

განვიხილოთ ბალანსში არამატერიალური აქტივების სხვადასხვა სახეობების ასახვის ძირითადი თავისებურება:

1) პატენტები (patents) – პატენტი არის ექსკლუზიური უფლება, რომელიც სახელმწიფო ორგანოს მიერ განსაზღვრული პროდუქციის წარმოებაზე ანუ სპეციფიკური პროცესის ან ტექნოლოგიების გამოყენებაზე გაიცემა. თუ კი პატენტი გამომგონებლისაგან ან მფლობელისაგან შეიძინება, მაშინ შეძენის ფასი აღნიშნული სახეობის არამატერიალური აქტივების საწყის ღირებულებაში, უფლებების იურიდიულ გაფორმებაზე დანახარჯებთან ერთად, შედის. პატენტის საწყისი ღირებულების ამორტიზირება ხორციელდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც შეძენის კონტრაქტში არის მითითებული, ან პატენტის ფაქტიური სარგებლიანი გამოყენების პერიოდში – იმაზე დამოკიდებულებით, რომელია უფრო მოკლე, სარგებლიანად გამოყენების ვადა ხშირად უფრო მოკლეა, ტექნოლოგიის მორალურად მოძველების შედეგად და იგი პატენტშია გათვალისწინებული.

2) საავტორო უფლებები (copyright) - არის ექსკლუზიური უფლება, რომელიც მთავრობის მიერ ტექსტის მფლობელზე (ავტორზე) გაიცემა, რომლებიც სამეცნიერო– სასწავლო-მეთოდურ და ლიტერატურულ ნაწარმოებს, აგრეთვე კომპიუტერულ პროგრამებს მოიცავენ. საავტორო უფლებები ძალაშია შემქმნელის სიცოცხლის განმავლობაში პლიუს გარკვეული დრო (აშშ-ში 50 წელი), რომელიც განსაკუთრებულ უფლებას აძლევს მის მფლობელს (ან მის შთამომავლებს) კოპირებაზე, პუბლიკაციაზე, ან ობიექტის გაყიდვაზე და იგი საავტორო უფლებებით არის დაცული. საავტორო უფლებები ბალანსში მათი შეძენის ღირებულებით აისახება. საავ-

ტორო უფლების ამორტიზაციის ვადა საწარმოს მიერ დამოუკიდებლად დგინდება და, როგორც წესი, იმ პერიოდზე ნაკლებია, რომლის განმავლობაში საავტორო უფლებებს მათი მფლობელებისათვის სარგებელი მოაქვთ. რადგანაც ასეთი პერიოდის დადგენა მეტად რთულია, საწარმოების საავტორო უფლებები შესაძლო მოკლე დროის განმავლობაში ჩამოწერისაკენ მიისწრაფიან.

3) სავაჭრო მარკები (merchandise mark) და სავაჭრო ნიშნები – არის დარეგისტრირებული სიმბოლოები, ნიშნები, სიტყვები და გამოთქმები, რომელიც მის მფლობელებს განსაზღვრული პროდუქტის ან მომსახურების გამოყოფაზე, ან იდენტიფიცირებაზე განსაკუთრებული უფლებამოსილება გააჩნიათ. სავაჭრო მარკა, ან სავაჭრო ნიშანი საწარმოს მიერ შეიძლება სახელმწიფო დაწესებულებაში იქნეს დარეგისტრირებული, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მის იურიდიულ დაცვას უზრუნველყოფს. აღნიშნული ვადა შეიძლება გახანგრძლივებული იქნეს და აქედან გამომდინარე, საწარმოს შეიძლება სავაჭრო მარკა პრაქტიკულად განუსაზღვრელი ვადით ჰქონდეს. სავაჭრო მარკა საწარმოს მიერ შეიძლება გარკვეული პერიოდით მისი მფლობელისაგან იქნეს შეძენილი. კომპანიის ბალანსში საწყისი ღირებულების სახით შეძენილი ფასი და სხვა საჭირო ხარჯები აისახება, აგრეთვე დამოუკიდებელი დამუშავების შემთხვევაში ის დანახარჯები, რომლებიც სავაჭრო მარკის დაცვასთან არის დაკავშირებული – ანუ იურიდიული გაფორმებისათვის საჭირო დანახარჯები. უკანასკნელი დანახარჯი, როგორც წესი უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს და იგი აღნიშნული არამატერიალური აქტივის ნამდვილ ღირებულებას არ ასახავს. სავაჭრო მარკის, ან სავაჭრო ნიშნის ჩამოწერის პერიოდი მისი სარგებლიანად გამოყენების ვადით განისაზღვრება და იგი შეძენის კონტრაქტში არის დაფიქსირებული.

4) საქმიანობისათვის საჭირო ლიცენზიები (licenses), პრივილეგიები და ტექნოლოგიები – თავისთავად განსაზღვრულ უფლებას წარმოადგენენ, რომელიც ერთ კომპანიას მეორისაგან აქვს შეძენილი თავისი საქმიანობის მომგებიანობის ამაღლებისათვის. ასეთი სახის არამატერიალური აქტივების დამახასიათებელ სახეობას ფრანჩაიზინგი წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრული საფასურის საფუძველზე მფლობელის (ფრანჩაიზერის) მიერ სხვა პირ-

ზე (ფრანჩაიზზე) გადაიცემა. ფრანჩაიზს კონტრაქტის საფუძველზე განსაზღვრული პროდუქტების გაყიდვაზე ან მომსახურების გაწევაზე, სავაჭრო მარკების ან სავაჭრო ნიშნების გამოყენებაზე, განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებაზე უფლება გააჩნია, როგორც წესი, შეზღუდულ ტერიტორიულ რეგიონში, სადაც იგი ფრანჩაიზერის სახელს იყენებს. სხვა სიტყვებით, ფრანჩაიზერმა ორიგინალური ტექნოლოგია, ან პროდუქტი დაამუშავა, დაიცვა ისინი პატენტით, საავტორო უფლებით ან სავაჭრო ნიშნით, ხოლო შემდგომ კი – აღნიშნული იდეის ან პროდუქტის გამოყენებაზე უფლებას სხვა საწარმოზე ყიდის. ამ უკანასკნელს, საწყისი გადასახადის გარდა, ყოველწლიურად ასეთი უფლების გამოყენებაზე განსაზღვრული ოდენობის ფული შეაქვს.

პრივილეგიის კიდევ ერთ სახეობას – ლიცენზია წარმოადგენს, რომელიც სამთავრობო ან მუნიციპალური ორგანოს მიერ გაიცემა და საწარმოს გარკვეული საფასურის საფუძველზე საზოგადოებრივი ფასეულობების დროებით ფლობაზე (მიწის, სატელეფონო ან ელექტრო ხაზების, საქალაქო სატრანსპორტო მარშრუტების და ა.შ.) უფლება გააჩნია.

5) დანახარჯები გამოკვლევებზე და დამუშავებებზე – შესაბამისი პერიოდის ხარჯებზე გადაიტანება ან მისი კაპიტალიზაცია ხდება, ანუ ისინი კვალიფიცირდება როგორც არამატერიალური აქტივები, და რომლებიც შემდგომში სასარგებლოდ გამოყენების პერიოდის განმავლობაში ამორტიზირდება. ჩვეულებრივად საწარმოო თვითონ ადგენს იმ ზღვარს, რომლის ქვემოთ დანახარჯები მიმდინარე ხარჯების სახით სამეცნიერო-კვლევით და კონსტრუქციულ დამუშავების დანახარჯებში აისახება.

6) გადიდებული ხარჯები (deferred charges), როგორც წესი, ჯერჯერობით არ გაწეული ხარჯების დანახარჯებს მოიცავს და რომლისაგან ეფექტი მომავალში იქნება მიღებული, ან ხარჯები მომავალში უნდა იქნეს განაწილებული. გადადებული ხარჯების სახით შეიძლება გამოიყოს: არაამორტიზირებული ფასდაკლება ობლიგაციებზე, ხარჯები წარმოების განვითარებაზე, ორგანიზაციული ხარჯები საწარმოს ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით, ხარჯები, რომლებიც საწარმოს დაფუძნებისას უნდა იქნეს გაწეული და სხვა. თავისი არსით ყველა არამეტერიალური აქტი-

ვები განვადებულ ხარჯებს წარმოადგენენ და ბალანსის სპეციალურ მუხლად მისი გამოყოფა იმით არის გაპირობებული, რომ დანარჩენ მუხლებში გაუთვალისწინებელი არამატერიალური აქტივების მუხლები უნდა იქნეს მიკუთვნებული. ხარჯები უნდა განვასხვავოთ ავანსირებული (წინასწარ გადახდილი) ხარჯებისაგან (Prepaid expenses) - ისეთებისაგან, როგორებიცაა: სადაზღვევო გადახდები, გამოუყენებელი მარაგები და ა.შ., რომლებიც მთლიანად ავანსის სახით ფაქტიურ ფულად ხარჯებს წარმოადგენენ, მაგრამ სრულად გახორციელებული არ არის, ამიტომ მხოლოდ ნაწილი შეიძლება საწარმოო საქმიანობაზე იქნეს გადატანილი.

7) გუდვილი (Goodwill) - ფართო გაგებით უპირატესობას ნიშნავს, რომელთაც კომპანია უკვე არსებული საწარმოს შეძენისას ღებულობს. აღნიშნული უპირატესობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მუდმივი კლიენტურის არსებობასთან, მომგებიან გეოგრაფიულ მდგომარეობასთან, მენეჯერების კვალიფიცირებულ გუნდთან და ა.შ. გუდვილი შეძენის მომენტში წარმოიშობა და იგი მხოლოდ მყიდველის ბალანსში აისახება, როგორც სხვაობა შეძენის ფასსა (საწარმოს ღირებულება მთლიანობაში) და მისი ცალკეული აქტივების თანხას შორის ვალდებულებების გამოკლებით. გუდვილის სიდიდის გაანგარიშება თავისთავად ცნობილ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ცალკეული აქტივების ღირებულების სახით, როგორც წესი, მათი საბაზრო (და არა საბალანსო) ღირებულება გამოიყენება. ეს უკანასკნელი სპეციალური აუდიტორული შეფასების გახორციელების შედეგად, ასევე დამოუკიდებელი საექსპორტო შეფასების, ან სხვა რაიმე ხერხის მეშვეობით შეიძლება იქნას მიღებული. მაგალითად, სამომავლო შემოსავლის ანალიზის გზით, რომელიც აღნიშნული აქტივით შეიძლება იქნეს მიღებული. გუდვილი ჩვეულებრივად სწორხაზოვანი მეთოდის მეშვეობით ამორტიზირდება იმ ვადაში, რომელიც დადგენილ დირექტიულ ვადას (აშშ-ში — 40 წელი) არ აღემატება.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, არამატერიალური აქტივების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. გარდა ამისა, არამატერიალურ აქტივებს ხშირად ზოგიერთი სახის პრობლემამდეც მივყავართ. არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას, ისევე როგორც მატერიალური აქტივების შემთხვევაშიც, ძირითად პრობლემურ საკით-

ხად საწყისი ღირებულების განსაზღვრა, სასარგებლოდ გამოყენების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის ხერხი წარმოადგენს.

არამატერიალური აქტივების საწყისი ღირებულება ჩვეულებრივად მათი შეძენის ღირებულების ტოლია, რომელსაც იურიდიულ გაფორმებაზე დანახარჯები და სხვა ხარჯები დაემატება. არის შემთხვევები, როდესაც არამატერიალური აქტივები ახალი აქციების გამოშვების სანაცვლოდ შეიძინება. ამ შემთხვევაში მათი Rirebuleba გამოშვებული აქციის პაკეტის საბაზრო ღირებულებით ფასდება. "ოოდწილ" ხშირად არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვან მუხლს წარმოადგენს. რადგანაც ბალანსის აღნიშნული მუხლი თვით კორპორაციაში გარედან მრავალჯერადი შეძენების ხარჯზე ფორმირდება, ამიტომ მისი დაფიქსირება მხოლოდ თვით კორპორაციის შეძენისას არის შესაძლებელი. კორპორაციის შეძენისას, მთლიანად მასზე გადახდილი თანხა მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით ყველა იდენტიფიცირებულ აქტივებზე ნაწილდება. არამატერიალური აქტივების ამორტიზირება ხორციელდება მათი სარგებლიანად გამოყენების ვადის განმავლობაში ღირებულების ნაწილის დანახარჯებზე პერიოდულად გადატანის გზით. მატერიალური აქტივების ცვეთისათვის მიღებული ტერმინისაგან განსხვავებით (დეპრეციატიონ), არამატერიალური აქტივების ცვეთა ამორტიზატიონ-ის ტერმინის მეშვეობით აღინიშნება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ჩვეულებრივად სწორხაზოვანი მეთოდით იწარმოება, ანუ სარგებლიანად გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში ტოლი წილით ხორციელდება. არამატერიალური აქტივების სარგებლიანად გამოყენების ვადა თვით საწარმოს მიერ დამოუკიდებლად დგინდება, მაგრამ, ამერიკული სტანდარტების თანახმად იგი 40 წელს არ უნდა აღემატებოდეს. სხვა ქვეყნებში ზედა ზღვარი შეიძლება მნიშვნელოვნად დაბალიც კი იყოს. მაგალითად, ევროპული დირექტივები გუდვილის მაქსიმალურად 5 წლიწადში ჩამოწერას ითვალისწინებს.

კორპორაციის ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი – დაფინანსების წყაროები

მიმდინარე ვალდებულებების მოკლე დახასიათება

მიმდინარე ვალდებულებები (Current Liabilities) – ბუღალტრული ბალანსის აღნიშნული განაყოფის მუხლები მოიცავენ კორპორაციის ყველა ვალდებულებებს, რომლებიც მომავალი წლის განმავლობაში უნდა იქნეს დაფარული. კორპორაციის მოკლევადიანი ვალდებულებები შეიძლება ორ ქვედანაყოფად დაიყოს: მოკლევადიანი ვალდებულებები (Short-term debts) და დაგროვებული ხარჯები (Accrued expenses).

პირველი განყოფილება. მოკლევადიანი ვალდებულებები (Short-term debts)

1. თამასუქები გადასახდელად (Notes payable) – ამავე ანგარიშზე აისახება ორი ტიპის თამასუქების გადახდა:

- გადასახდელი სავაჭრო თამასუქები
- მოკლევადიანი სასესხო თამასუქები, ანუ გადასახდელი არასავაჭრო თამასუქები.

გადასახდელი სავაჭრო თამასუქები საქონელისა და მომსახურების შეძენისას წარმოიშობა, როდესაც გამყიდველის წინაშე ვალდებულება უბრალო თამასუქის სახით ფორმდება. უბრალო თამასუქი თავისთავად ბრუნვით საბუთს წარმოადგენს, რომელიც ფულის განსაზღვრული თანხის დასახელებულ პირზე, ან მისი ბრძანებით, ან წარმომდგენზე გადახდის ვალდებულებას ითვალისწინებს. ასეთი ვალდებულების სიდიდე ჩვეულებრივად თამასუქის ნომინალური თანხით განისაზღვრება და მის წინა მხარეზე ჩაიწერება. პროცენტები, თუ ისინი გამოყოფილია, იგი თავისთავად დავალიანების დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენს.

მოკლევადიანი სასესხო თამასუქები ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც საწარმოს ბანკისაგან, ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციისაგან ფულის სესხებისას წარმოიშობა. თამასუქები შეიძლება უზრუნველყოფილი (გირაოთი) და არაუზრუნველყოფილი, პროცენტიანი და დისკონტური იყოს.

2. წინასწარი გადახდა კლიენტებისაგან (Prepayment from customers) – დავალიანების აღნიშნული სახეობა კლიენტებისაგან კორპორაციის მიერ გადატვირთული საქონლის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების საფასურის წინასწარი გადახდის შედეგად წარმოიშობა.

3. ანგარიშსწორება მომწოდებლებთან და პერსონალთან (Accounts payable to suppliers and employees) კორპორაციის კრედიტორული დავალიანების ჯამს წარმოადგენს მიღებულ საქონელზე, შესრულებულ სამუშაოზე და მოშსახურებაზე, საქონლის ღირებულების გადახდამდე მიღების მიზეზით. კრედიტორული დავალიანება იყოფა: ნორმირებადად, რომელიც ანგარიშსწორების თავისებურებების გამო წარმოიშობა, და არანორმირებადად, რომელიც მყიდველების მიერ საანგარიშსწორებო საბუთების გადახდის ვადების დარღვევის შედეგად წარმოიქმნება. უკანასკნელ შემთხვევაში მყიდველი, მომწოდებლისაგან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მიღებით და საფასურის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თავის ბრუნვაში ისეთ სახსრებს იყენებს, რომელიც მას არ ეკუთვნის.

4. გადასახდელი მოგების გადასახადი (Income taxes payable) აისახება კორპორაციული გადასახადი მოგებაზე (corporation tax). აღნიშნულ მუხლში ასახული გადასახდელი მოგების გადასახადი "დაგროვილი ხარჯების" მუხლში ასახული გადასახადის მსგავსია, მაგრამ მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღრიცხვაში ისინი ცალკეა ასახული.

5. დანარჩენი მოკლევადიანი დავალიანება (Other short-term debts) – აღნიშნულ ანგარიშზე აისახება დავალიანება შვილობილ საწარმოებზე (debts to subsidiaries), სოციალურ უზრუნველყოფაზე გადასახადი და გადახდები (Other Accounts payable, including tax and social security payments). დანარჩენ დავალიანებას გრძელვადიანი ვალის მიმდინარე ნაწილი (Long debts for the current year) მიეკუთვნება, რომელიც საწარმოს ბალანსში აისახება, თუ მან ობლიგაციების ემიტირება გაახორციელა, ან გრძელვადიანი საბანკო კრედიტი გააჩნია. ვალის ის ნაწილი, რომელიც ბალანსის შედგენის მომენტიდან წლის განმავლობაში უნდა იქნეს დაფარული, მოკლევადიან ვალდებულებებში ასახავენ.

მეორე განყოფილება. დაგროვებული ხარჯები (Accrued expenses) – აღნიშნულ ანგარიშზე აისახება ხარჯები, რომლებიც მოცემულ პერიოდში გაწეული (დარიცხული), მაგრამ აღნიშნული პერიოდის დასრულებამდე გადახდილი არ არის. ჩვეულებრივად აღნიშნული მუხლი აერთიანებს დარიცხულ, მაგრამ ჯერ გადაუხდელ შრომის ანაზღაურებას (Accruals for Wages and salaries), სადაზღვევო შენატანებს; რეზერვებს შვებულების, ბონუსების, საპენსიო და სხვა ვალდებულებების გადახდასთან დაკავშირებით (Provisions for pensions and similar obligations), დარიცხვებს გადასახადების გადასახდელად (Accruals for taxes) და სხვა რეზერვებს (Other provisions). აღნიშნული მუხლის გამოყოფა გადახდების კალენდარული თარიღებისა და აღრიცხვის ციკლის ზღვრების შეუთავსებადობის შედეგს წარმოადგენს. მაგალითად, შრომის ანაზღაურება შეიძლება თითოეული თვის 5-რიცხვისათვის იქნეს გადახდილი. ამავე დროს საწარმოს ბალანსი პირველი რიცხვისათვის დგება. აღნიშნული დანახარჯები რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაშია შეტანილი და შემოსავლების შესახებ გასული თვის მონაცემების ანგარიშგებაშია შესული. იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელი თვის შრომის ანაზღაურების ფაქტიური გადახდა ჯერ არ განხორციელებულა, ამიტომ იგი დავალიანებაში აისახება.

დარიცხული ვალდებულებების სპეციფიკურ სახეობებს პროცენტებისა და დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებული დავალიანება (Dividends for the current year) წარმოადგენს. ჩვეულებრივად ყველა პროცენტები (თამასუქებზე, საბანკო სესხებზე, გრძელვადიან საბანკო კრედიტებზე, ობლიგაციებზე) სახელწოდებით "დარიცხული პროცენტების" ერთ მუხლში იკრიბება.

დივიდენდები აქციონერებზე შეიძლება ფულის სახით, (იშვიათ შემთხვევაში საქონლით) ან აქციებით იქნეს გადახდილი. დივიდენდები ფულის სახით – არის თანხა, რომელიც კომპანიამ თავის აქციონერებს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა გადაუხადოს. ამრიგად, დივიდენდების გამოცხადების მომენტიდან აქციონერები გამოცხადებული დივიდენდების მოცულობით საწარმოს კრედიტორები ხდებიან. დივიდენდები გამოცხადების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში გადახდილი უნდა იქნას, და

ამიტომ აღნიშნული დავალიანება მოკლევადიანად ითვლება. დივიდენდები აქციების სახით როგორც დავალიანება არ მიეთითება, არამედ "საკუთარი კაპიტალის" მუხლში აისახება, რადგანაც იგი გაუნაწილებელი მოგების ნაწილის "ჩვეულებრივი აქციების", ან "საქციო კაპიტალის" მუხლში გადატანას ითვალისწინებს და აქტივების გამოყენებას არ საჭიროებს.

კორპორაციის გრძელვადიანი ვალდებულებები

ბ) გრძელვადიანი ვალდებულებები **(Long - term liabilities)** – კომპანიის ყველა დანარჩენი სახეობის ვალდებულებებს მოიცავს, რომლებმაც მოკლევადიან ვალდებულებებში ვერ პოვეს ასახვა.

1. გადასახდელი ობლიგაციები და სავალო ვალდებულებები **(Bond and debentures payable)** – სავალო ვალდებულებებს წარმოადგენენ, რომლებსაც მსესხებელი კრედიტორს გადასცემს. გადასახდელი ობლიგაციები (Bonds) ყველაზე უფრო გავრცელებულ სავალო ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელსაც კომპანიები ფულადი სახსრების მოზიდვისათვის იყენებენ. ობლიგაცია – არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს განსაზღვრული დროის შემდეგ მიიღოს თანხა, რომელიც ობლიგაციაშია მითითებული, ასევე, როგორც წესი, მიიღოს პროცენტები პერიოდულობის საფუძველზე. ჩვეულებრივად ობლიგაციები 10-დან 30 წლამდე დაფარვის ვადით გამოიშვება. მათ ფიქსირებული დაფარვის ვადა და საპროცენტო განაკვეთი გააჩნიათ (Fixed - interest securities), რომელიც დაფარვის ვადის დადგომამდე უნდა იქნას გადახდილი. ობლიგაციები შეიძლება იყოს გარანტირებული და გარანტიის გარეშე. გარანტირებული ობლიგაციები (Mortgage bond) კორპორაციის ფიქსირებული კაპიტალით არის უზრუნველყოფილი, ხოლო გარანტიის გარეშე კი – მხოლოდ ვალის დაბრუნების შესაძლებლობით.

გრძელვადიან თამასუქებს გადახდასთან მიმართებაში გამოშვების იგივე პირობები გააჩნიათ, როგორიც მოკლევადიანებს. თავისი არსით ისინი ასევე გრძელვადიანი ობლიგაციების ანალოგიურია, მაგრამ ობლიგაციისაგან განსხვავებით ისინი ბაზარზე არ მიმოიქცევა. თამასუქი, როგორც გრძელვადიანი სესხების ინსტრუმენ-

ტი, ჩვეულებრივად მცირე საწარმოების მიერ გამოიყენება, მაშინ, როდესაც ობლიგაციები უფრო მსხვილი კორპორაციების მიერ გამოიშვება.

2. კონვერტირებადი ვალი (Convertible debt)

ფასიანი ქაღალდები, როგორც წესი ობლიგაციები (Bonds) ან სავალო ვალდებულებები (Debentures) ფიზიკური აქტივებით არის უზრუნველყოფილი, რომელიც დადგენილ დღეს, ან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ფიქსირებული ფასებით შეიძლება კორპორაციის ჩვეულებრივი, ან პრივილეგირებული აქციებში იქნას კონვერტირებული.

კონვერტირებადი ობლიგაცია (Convertible bond) შეიძლება დადგენილი ფასებით კორპორაციის ჩვეულებრივი აქციების დადგენილ რაოდენობაზე იქნას გაცვლილი. ობლიგაციების აქციებზე გადაცვლის შესაძლებლობა მათი მფლობელებისათვის კონვერტირებად ობლიგაციებზე ნაკლები პროცენტის გადახდის შესაძლებლობას იძლევა.

3. კრედიტები ბანკებისაგან (Loans from bank)

თუ კორპორაციას ბანკის წინაშე გრძელვადიანი დავალიანება წარმოექმნება, იგი აღნიშნულ ანგარიშზე აისახება. აღნიშნულ (გრძელვადიან) ანგარიშზე ერთ წელზე მეტი დაფარვის ვადიანი საბანკო სესხები აღირიცხება. საკრედიტო კონტრაქტში მიეთითება დავალიანების ჯამი, საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის ვადა და კრედიტის უზრუნველყოფის გირაო. ფიქსირებული აქტივების წრებრუნვის საფუძველზე დაკრედიტება უფრო ხანგრძლივი ვადის სესხებით არის წარმოდგენილი. ვადიანი სესხები მოწყობილობების შეძენაზე შეიძლება 20 და მეტი წლით გაიცეს. ვალის მომსახურების სქემები შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს, მაგრამ ყველაზე უფრო შემდეგი ორი სქემაა გავრცელებული:

- კრედიტი დავალიანების ძირითადი ნაწილის ტოლი პორციებით იფარება პროცენტების დავალიანების ჯამზე შესაბამისი პერიოდის განმავლობაში დარიცხვით,
- კრედიტი ტოლი წილით იფარება, რომელთაგან თითოეული დავალიანების თანხისა და პროცენტების ნაწილობრივ გადახდას ითვალისწინებს.

როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევებში პროცენტული გადასახადები მთლიან დანახარჯებში (თვითღირებულებაში) ჩაირთვება, მაშინ როდესაც კრედიტის ძირითადი ნაწილი მოგებაზე გადასახადის გადახდის შემდეგ საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთიდან გადაიხდება. მაგალითად, 20-წლიანი სესხი 24– თვიურ გადახდას საჭიროებს. თვიური გადახდები ერთნაირი (ტოლი) არ არის. პირველი მხოლოდ პროცენტებისაგან შედგება, შემდგომები კრედიტის დაბრუნებას მოიცავს.

4. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები **(Other long-term debts)** აქ აისახება დავალიანება, თუ მისი დაბრუნების ვადა ერთ წელზე მეტია. ანგარიშგებაში ისინი შეიძლება ჯამური მნიშვნელობით, ან ცალკეული სტროფებით აისახოს. დავალიანება შვილობილ საწარმოებზე (Debts to subsidiaries), პარტნიორებზე (Debts to associates) და სხვა კრედიტორებზე (Other Accounts payable).

გ) მოგებაზე განვადებული გადასახადი **(Deferred income tax)** დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენების შედეგს წარმოადგენს, როდესაც საწარმოო, გაყიდული საქონლის თვითღირებულების გადიდებით, ამორტიზაციის დაჩქარებული ცვეთის სქემით დარიცხვით, მოგებაზე გადასახადის სიდიდეზე ახორციელებს ეკონომიას. ეკონომიას აქვს ადგილი მატერიალური საშუალებების ობიექტის ექსპლოატაციის დასაწყისიდან მხოლოდ პირველ წლებში. დროის განმავლობაში მოგებაზე განვადებული გადასახადის სიდიდე მცირდება და ობიექტის ექსპლოატაციის დასრულების მომენტში ძირითადი საშუალებები ნოლის ტოლი ხდება.

კორპორაციის საკუთარი კაპიტალის შემადგენლობა

დ) სააქციო კაპიტალი (Stockholders Equity)

1. აქციები (Capital stock)

საწარმოს წესდების რეგისტრაციისას აუცილებლად უნდა იქნას მითითებული აქციების რაოდენობა, რომელიც ნებადართულია: აღნიშნულმა კომპანიამ გამოუშვას (ემისია), რომელიც მითითებულია, როგორც "გამოშვებისათვის ნებადართული აქციების რაოდენობა". წესდებაში მიეთითება ერთი აქციის ნომინალის სიდიდე, ის თანხა, რომელიც აქციის სერთიფიკატის წინა მხარეზე

იქნება დაბეჭდილი. ყველა გამოშვებული აქციის ნომინალური ღირებულება თავისთავად კომპანიის გაცხადებულ კაპიტალს წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში აქციები ნომინალის გარეშე გამოიშვება (ანუ ერთი აქციის ღირებულება მის სერთიფიკატზე არ მიეთითება), ხოლო ერთი აქციის ფასი კორპორაციის დირექტორის მიერ მტკიცდება.

აქციების სახეებია: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ჩვეულებრივი აქციები (Common stock) – მის მფლობელებს კორპორაციის მართვის უმაღლეს ორგანოში – აქციონერების საერთო კრებაზე ხმის მიცემის უფლებას ანიჭებს, ასევე დივიდენდების მიღების უპირატესობას, რომლებიც მიღებული მოგების სიდიდეზე დამოკიდებულებაში დაირიცხება. დივიდენდები თავისთავად საწარმოს მოგების ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც ყოველკვარტალურად, ნახევარი წლის განმავლობაში, ან წელიწადში ერთხელ შეიძლება იქნეს გადახდილი.

პრივილეგირებული აქციები (Preferred stock) აქციის მფლობელებს, როგორც წესი, ხმის მიცემის უფლებას არ ანიჭებს, მაგრამ მათ ჩვეულებრივ აქციებთან შედარებით განსაზღვრული უპირატესობებიც გააჩნიათ. პირველ რიგში, ეს არის დივიდენდების მიღების უპირატესობა. პრივილეგირებული აქციების მფლობელები წინასწარ განსაზღვრული დივიდენდების თანხებს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე უფრო ადრე ღებულობენ. მეორე მხრივ, პრივილეგირებული დივიდენდები ფიქსირებული სიდიდის სახით, ან ნომინალიდან ფიქსირებული პროცენტის სახით დგინდება. მესამე, პრივილეგირებული აქციების აქციონერებს კორპორაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში ჩადებული კაპიტალის მიღების პრიორიტეტი გააჩნიათ. პრივილეგირებული აქციები შეიძლება არაკუმულაციური და კუმულაციური იყოს. აქციის არაკუმულაციურობა ნიშნავს იმას, რომ თუ მიმდინარე წელს აღნიშნულ აქციებზე დივიდენდები დარიცხული არ იყო, მაშინ წლის დასრულების შემდეგ ასეთი აქციის მფლობელი დივიდენდის მიღებაზე კარგავს უფლებას. კუმულაციური აქციების მფლობელი ასეთ უფლებას არ კარგავს. აღნიშნული ნიშნავს, რომ ყველა გამოუცხადებელი დივიდენდები წლიდან წლამდე გროვდება და დაგროვებული დივიდენდების მთლიანი თანხა გადახდილი უნდა იქნას მანამ, როგორც კი ჩვეუ-

ლებრივ აქციებზე გამოცხადდება და გადაიხდება დივიდენდები. პრივილეგირებული აქციების კიდევ ერთ უპირატესობას ჩვეულებრივ აქციებთან შედარებით, კომპანიის აქტივებზე მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში, უფრო მაღალი პრიორიტეტს წარმოადგენს. პრივილეგირებული აქციები კონვერტირებადი შეიძლება იყოს, რაც წინასწარ დადგენილი თანაფარდობის შესაბამისად ერთი პრივილეგირებული აქციის ჩვეულებრივი აქციის განსაზღვრულ რაოდენობაზე გაცვლის შესაძლებლობას ნიშნავს.

2. ჭარბი (საემისიო) კაპიტალი (Capital surplus)

ჭარბი კაპიტალი თავისთავად აქციის საბაზრო კურსსა და ინვესტორის მიერ გადახდილი ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას წარმოადგენს.

3. სავალუტო (საკურსო სხვაობა) გასწორება (Foreign currency translation adjustment) – აღნიშნულ მუხლში უარყოფითი ან დადებითი საკურსო სხვაობა აისახება, რომელიც კონსოლიდირებული საბუღალტრო ბალანსის შედგენისას ეროვნულ ვალუტაში მიიღება. თუ ამერიკულ კორპორაციას უცხოეთში საკუთრება გააჩნია, მაშინ საერთო ბალანსის შედგენისას ფილიალების ცალკეული ბალანსები აშშ-ის დოლარებში გადაფასდება.

4. დაგროვებული მოგება (Retained earnings) – აღნიშნულ ანგარიშზე წინა წლების მოგება (Brought forward from previous years) და მიმდინარე წლის მოგება (Current financial year) აისახება. იგი თავისთავად კორპორაციის საბალანსო მუხლებს ასახავს, სადაც შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დადებითი სხვაობა გროვდება. მათი საერთო თანხიდან ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების დივიდენდების თანხები გამოიქვითება. სუფთა მოგების ნაშთი წლის დასაწყისში მიღებულ გაუნაწილებელ მოგებას დაემატება (რეინვესტირდება საწარმოში) და, ასეთი სახით, პერიოდის ბოლოსათვის გაუნაწილებელი მოგების სიდიდე მიიღება.

აღნიშნული გაანგარიშება სპეციალური მოკლე ანგარიშგების შინაარსს წარმოადგენს, რომელსაც გაუნაწილებელი მოგების შესახებ ანგარიშგებას უწოდებენ.

კომპანია ჩვეულებრივად დივიდენდებს ფულის, ან საკუთარი აქციების სახით იხდის. დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებუ-

ლი ვალდებულებები კომპანიაში მათი გამოცხადების მომენტში წარმოიშობა. დივიდენდების საკუთარ აქციების სახით გადახდა ფაქტიურად საკუთარი კაპიტალის გადანაწილებას ნიშნავს, რომელიც გაუნაწილებელი მოგების დაგროვებული ნაწილის დაბანდებულ კაპიტალში გადაყვანის გზით, ანუ მოგების კაპიტალიზაციით ხორციელდება. აღნიშნული, მოგების განაწილება აქციონერებს შორის უკვე არ შეიძლება. მაგრამ ასეთი გადახდები აქციონერებისათვის მომგებიანს წარმოადგენს, რამდენადაც საფონდო ბაზარზე აღნიშნული აქციების შესაძლო გაყიდვების შედეგად ისინი გადასახადით დაუბეგრავ შემოსავალს ღებულობენ.

5. აქციები, გამოსყიდული ბრუნვიდან (Treasury Stock) – კორპორაციის საკუთარი აქციები, რომლებიც ღია ბაზარზე შეიძინება, (აშშ-ში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს სხვა ქვეყნების უმეტესობიდან განსხვავებით, სადაც აღნიშნულის განხორციელება ნებადართული არ არის). ასეთი აქციები შეიძლება მიმოქცევიდან იქნეს ამოღებული და შესანახად იქნან ჩადებული და კვლავ ბრუნვაში გამოშვებული. იმ შემთხვევაში, როდესაც აქციები შესანახად არის ჩადებული, მათზე ხმის მიცემის უფლება არ ვრცელდება და არც დივიდენდები გადაიხდება.

3.2. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების მეორე მთავარი კომპონენტია. იგი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. ამონაგები,
2. მიმდინარე საოპერაციო შედეგები,
3. ფინანსური ხარჯები,
4. საგადასახდო ხარჯები,
5. მოგება ან ზარალი ჩვეულებრივი საქმიანობიდან,
6. განსაკუთრებული მუხლები,
7. საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი.

საწარმოს ფინანსური შედეგი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების, ან ზარალის სახით.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების, ან ზარალის გაანგარიშებაში ჩართულია მოცემულ პერიოდში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი, თუმცა, ბასს 8-ის საბაზისო მიდგომის საფუძველზე არსებითი შეცდომის გასწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგებისა და ზარალის გაანგარიშებაში მონაწილეობას არ იღებს.

ანალოგიურად, გადაფასების რეზერვი, რომელიც მიეკუთვნება რა კაპიტალს, არ მონაწილეობს მოცემული პერიოდის წმინდა მოგებისა და ზარალის გაანგარიშებაში.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება, ან ზარალი, ძირითადად, ორი კომპონენტისაგან შედგება:

ა) საწარმოს საოპერაციო წმინდა მოგება, ან ზარალი,

ბ) განსაკუთრებული მუხლები.

საოპერაციო წმინდა მოგება, ან ზარალი წარმოადგენს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებულ შედეგს. იგი არის საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებსა და ამ შემოსავლების მისაღებად აუცილებელ ხარჯებს (მათ შორის საგადასახადო) შორის სხვაობა.

ჩვეულებრივ საქმიანობას უწოდებენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც საწარმო ახორციელებს, როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს, აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან, ან გამომდინარეობს მისგან.

ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მთავარი წყაროს საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ამონაგები შეადგენს. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ ხორციელდება უშუალოდ ამონაგების მიღების მიზნით, მაგრამ იგი ემსახურება ამონაგების მიღებას. ამ ოპერაციებსა და მოვლენებს თან ახლავს შემოსავლები და ხარჯები. მათი შინაარსობრივი წარდგენის მიზნიდან გამომდინარე, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლებიდან ხარჯების გამოქვითვის გზით. მაგალითად, გრძელვადიანი აქტივების, მათ შორის ინვესტიციებისა და საწარმოო აქტივების, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების, ან ზარალის წარდგენა ხდება აქტივის რეალიზაციიდან მიღებულ შემო-

სავალსა და მათ რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვით (ბასს 1, პუნქტი 36).

ანალოგიური პრინციპით აისახება ასევე უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი და სავაჭრო ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების შედეგად მიღებული შემოსულობა, ან ზარალი.

ამდენად, საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალის გაანგარიშებაში მონაწილე შემოსავლებისა და ხარჯების ყველა ელემენტი ფაქტობრივად თავს იჩენს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განსაკუთრებული მუხლები ცალკე გამოიყოფა. საწარმოთა უმრავლესობისათვის განსაკუთრებული მუხლების არსებობის განმაპირობებელი მოვლენებისა და ოპერაციების მაგალითებია:

ა) აქტივების ექსპორპრიაცია,

ბ) მიწისძვრა, ან სხვა სტიქიური უბედურება.

ბასს 20 ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებულ მუხლად განიხილავს სახელმწიფო გრანტებს. მე-20 პუნქტით დადგენილია შემდეგი ნორმა: გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით მიღებული სახელმწიფო გრანტი, რომელსაც არ ეძნება შესაბამისი სამომავლო ხარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის შემოსავლად ან, თუ მართებულია, განსაკუთრებულ მუხლად, როდესაც იგი იქნება მიღებული.

შემოსავლებისა და ხარჯების სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული მუხლების მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარდგენა ხდება ნეტო ღირებულებით. ეს ნიშნავს, რომ განსაკუთრებული მუხლები ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აისახება მთლიანი თანხით, ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში კი – მთლიანი თანხიდან მოგების გადასახადისა და უმცირესობის წილის გამოქვითვით.

განვიხილოთ საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შედეგის – მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების ასახვის სტრუქტურა:

ა) ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, საოპერაციო საქმიანობის შედეგის წარსადგენად, შემოსავლები და ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

1. ამონაგები	X
2. სხვა საოპერაციო შემოსავლები	X
3. სულ საოპერაციო შემოსავლები	X
4. ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	X
5. ნედლეული და გამოყენებული საქონელი	X
6. პერსონალის შენახვის ხარჯები	X
7. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	X
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	X
9. სულ საოპერაციო ხარჯები	(X)
10. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება (სულ საოპერაციო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა)	X

ამონაგები არის საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალები, რომელიც არ არის დაკავშირებული გაყიდვებთან;

დანახარჯები 5-8 მუხლებში არის არის დაჯგუფებული. გაწეული მთლიანი დანახარჯები შემოსავლების შესაბამისი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ საანგარიშგებო პერიოდში რეალიზებულია ზუსტად ის საქონელი, რომელზეც პერიოდის დანახარჯები იყო გაწეული, რაც შეიძლება იშვიათად მოხდეს.

ამრიგად, პერიოდის შემოსავლები და ხარჯები შესაბამისობაში მოჰყავს მზა პროდუქციის მარაგისა და დაუმთავრებელი წარმოების ცვლილებების მუხლს (მუხლი 4). როდესაც ადგილი აქვს მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის ზრდას, იგი აკლდება პერიოდის ხარჯებს, და პირიქით, ნაშთის შემცირების შემთხვევაში ემატება ხარჯებს:

ფრაგმენტი საწარმოს 2005 წლის მოგებისა
და ზარალის ანგარიშგებიდან
(ა. ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით)

	ლარი
1. ამონაგები	175.000
2. სხვა საოპერაციო შემოსავლები	14.500
ა) სულ შემოსავლები (1+2)	189.000
3. ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	(8.500)
4. ნედლეული და გამოყენებული საქონელი	82.000
5. პერსონალის შენახვის ხარჯები	55.500
6. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	17.300
7. სხვა საოპერაციო ხარჯები	8.200
ბ) სულ საოპერაციო ხარჯები (4+5+6+7) – 3)	154.500
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან (ა – ბ)	35.000

ბ. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ხარჯების ფუნქციების მიხედვით

საოპერაციო ხარჯების კლასიფიკაცია ხდება მათი ფუნქციების მიხედვით. კერძოდ, მთლიანი საოპერაციო ხარჯები უნდა დაიყოს ოთხი მთავარი ფუნქციის მიხედვით: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში შემავალ ხარჯებად, კომერციულ ხარჯებად, ადმინისტრაციულ ხარჯებად და სხვა საოპერაციო ხარჯებად.

ზემოთ განხილულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, დავუშვათ შემდეგი სურათი (იხ. ცხ. 3.2):

ხარჯების განაწილება ფუნქციების მიხედვით 2005 წელს

ცხრილი 3.2.

ლარი

ხარჯების ელემენტები	თვით-ღი-რებუ-ლება	კომერ-ციული ხარჯი	ადმი-ნისტრა-ციული ხარჯი	სხვა საოპე-რაციო ხარჯი	სულ
ნედლეული და გამოყენებული საქონელი	82.000				82.000
პერსონალის შენახ-ვის ხარჯები	35.700	11.800	8.000		55.500
ცვეთისა და ამორ-ტიზაციის ხარჯი	10.200	5.300	1.800		17.300
სხვა საოპერაციო ხარჯები მათ შო-რის		3.700	3.200	1.300	8.200
• საიჯარო ქირა		3.700	2.300		6.000
• მასალების ჩამოფასება				1.300	1.300
• საეჭვო ვალების კორექტირება			900		900
ჯამი	127.900	20.800	13.000	1.300	163.000

მოცემულ შემთხვევაში 127.900 ლარი არის წლის განმავლო-ბაში გასაყიდად არსებული მარაგის თვითღირებულება. მოცემულობის თანახმად, მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი შეადგენს 8.500 ლარს (იხ. ფრაგმენტის მუხლი 3). ე.ი. გაყიდული საქონლის თვითღირებულება 119 400 (127.900 – 8.500) ლარია. ანგარიშგებიდან (ბ) მონაცემთა საფუძველზე, საწარმოს მოგება სა-ოპერაციო საქმიანობიდან იქნება:

(55 600 + 14 500) - (20 800 + 13 000 + 13 000) = 35 000 ლარი.

ფრაგმენტი საწარმოს 2005 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან
(ბ. ხარჯები ფუნქციების მიხედვით)

	ლარი
1. ამონაგები	175000
2. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(119400)
3. საერთო მოგება (2 – 1)	55600
4. სხვა საოპერაციო შემოსავლები	14500
5. კომერციული ხარჯები	(20800)
6. ადმინისტრაციული ხარჯები	(13000)
7. სხვა საოპერაციო ხარჯები	(13000)
8. მოგება საოპერაციო საქმიანობიდან (3+4) – (5+6+7)	35000

მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში ამდაგვარად წარდგენილი ხარჯები მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის გახსნას, მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. საწარმო, რომელიც იყენებს ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით, უნდა გახსნას დამატებითი ინფორმაცია ხარჯების შინაარსის შესახებ, მათ შორის აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციისა და პერსონალის შენახვაზე გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც გაპირობებულია იმით, რომ შინაარსის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ერთ აქციაზე გამოცხადებული, ან შეთავაზებული დივიდენდების შესახებ. შესაძლებელია, ეს ინფორმაცია წარდგენილი იყოს ახსნა-განმარტებით ნაწილში.

3.3. ანგარიშგება ფულადი სახსრების ნაკადის მოძრაობის შესახებ

ფრაგმენტი საწარმოს 2005 წლის მოგებისა
და ზარალის ანგარიშგებიდან
(ბ. ხარჯები ფუნქციების მიხედვით)

	ლარი
1. ამონაგები	175000
2. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(119400)
3. საერთო მოგება (2 – 1)	55600
4. სხვა საოპერაციო შემოსავლები	14500
5. კომერციული ხარჯები	(20800)
6. ადმინისტრაციული ხარჯები	(13000)
7. სხვა საოპერაციო ხარჯები	(13000)
8. მოგება საოპერაციო საქმიანობიდან (3+4) – (5+6+7)	35000

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ამდაგვარად წარდგენილი ხარჯები მოითხოვს დამატებითი ინფორმაციის გახსნას, მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. საწარმო, რომელიც იყენებს ხარჯების კლასიფიკაციას ფუნქციების მიხედვით, უნდა გახსნას დამატებითი ინფორმაცია ხარჯების შინაარსის შესახებ, მათ შორის აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციისა და პერსონალის შენახვაზე გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც გაპირობებულია იმით, რომ შინაარსის მიხედვით წარმოდგენილი ინფორმაცია გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ერთ აქციაზე გამოცხადებული, ან შეთავაზებული დივიდენდების შესახებ. შესაძლებელია, ეს ინფორმაცია წარდგენილი იყოს ახსნა-განმარტებით ნაწილში.

3.3. ფულადი სახსრების ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი კომპონენტის – ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების მთავარი მიზანია – ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს პერიოდის განმავლობაში საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლისა

და გასვლის შესახებ ინფორმაციით. იგი გვიჩვენებს ფულადი სახსრების მასას და მოძრაობას, ასევე საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში.

ფულადი ნაკადების საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით დაჯგუფება (ბასს 7, პუნქტი 10) ინფორმაციის მომხმარებელს ეხმარება შეაფასოს მოცემული საქმიანობის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და დაადგინოს თანაფარდობა საქმიანობის სახეებს შორის.

განვიხილოთ ფულადი სახსრების მოძრაობის თითოეული ჯგუფი (კომპონენტი):

1. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტან საქმიანობასთან დაკავშირებით შემოსული და გასული ფულადი სახსრები (იხ. სქემა 3.3).

სქემა 3.3.

საწარმოში შემოდინება	*საწარმოდან გადინება*
• დამფუძნებელთა შემონატანი	• ხელფასის გადახდა
• სავაჭრო ამონაგები	• მარაგის შესყიდვა
• დებიტორებიდან შემოსული თანხები	• კრედიტორული დავალიანების დაფარვა
• გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული	• შეძენილი გრძელვადიანი აქტივების ღირებულების გადახდა
• მიღებული საიჯარო გადასახდელები	• ოჯარის, გათბობის, დაზღვევის და სხვ. გადახდა
• მიღებული პროცენტები და დივიდენდები	• გადასახადების გადახდა

აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების იმ ელემენტებს, რომელთა გარკვეული ფორმით დაჯგუფების გზით უნდა იქნეს შედგენილი და წარმოდგენილი ანგარიშგება.

ამრიგად, საოპერაციო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება:

ა) საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები,

ბ) როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები,

გ) საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები,

დ) თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები,

ე) სადაზღვევო საწარმოსათვის სადაზღვევო პრემიებითა და პრეტენზიებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვევო დახმარებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები,

ვ) გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი არ არის დაკავშირებული საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან,

ზ) კომერციული და სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული, მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები.

საწარმოს საქმიანობაში შესაძლებელია ასევე ფასიანი ქაღალდებისა და სესხების კომერციული, ან სავაჭრო მიზნით გამოყენება, ასეთ შემთხვევაში ისინი განიხილება იმ სასაქონლო მარაგის მსგავსად, რომელიც გამიზნულია გასაყიდად. შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან და სავაჭრო საშუამავლო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო საქმიანობა.

2. **საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში** აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიან აქტივებთან. მნიშვნელოვანია მათი ცალკე გამოყოფა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსე-

ბისათვის, რომლებმაც უნდა შექმნას სამომავლო შემოსავალი და ფულადი სახსრების ნაკადები. კერძოდ:

ა) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯების და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები,

ბ) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები,

გ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები (იმ გადახდილი თანხების გარდა, როდესაც შეძენილი ინსტრუმენტები ითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტებად ან შეძენილია კომერციული და სავაჭრო მიზნით),

დ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის, ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები (იმ მიღებული თანხების გარდა, როდესაც გაყიდული ინსტრუმენტები ითვლება ფულადი სახსრების ეკვივალენტებად ან შეძენილი იყო კომერციული და სავაჭრო მიზნით),

ე) სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები (იმ სესხებისა და ავანსების გარდა, რომლებიც გაცემულია საფინანსო დაწესებულებების მიერ),

ვ) სხვა პირებზე გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები (იმ სესხებისა და ავანსების გარდა, რომლებიც მიიღეს საფინანსო დაწესებულებებმა),

ზ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპ კონტრაქტებით გადახდილი ფულადი სახსრები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონტრაქტები შეძენილია კომერციული და სავაჭრო მიზნით, ან ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია, როგორც საფინანსო საქმიანობა,

თ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპ კონტრაქტებით მიღებული ფულადი სახსრები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონტრაქტები შეძენილია კომერციული და სავაჭრო

მიზნით ან ანგარიშსწორება კლასიფიცირებულია, როგორც საფინანსო საქმიანობა.

3. საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს პარტნიორებისა და კრედიტორებისაგან სახსრების მოზიდვასა და მათთვის თანხების გადახდასთან. მათი ცალკე გამოყოფა მნიშვნელოვანია, რადგან ის სასარგებლოა სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმართ საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად.

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება:

ა) აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები,

ბ) მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი სახსრები აქციების შეძენის ან გაუქმების მიზნით.

გ) სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები,

დ) სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები,

ე) მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენის მეთოდები დადგენილია ბასს 7-ის მე-15 პუნქტით. კერძოდ:

ა) პირდაპირი მეთოდით, რომელშიც ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები ძირითადი კატეგორიების მიხედვით,

ბ) არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც წმინდა მოგება, ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების, ან დარიცხვის გათვალისწინებით. აგრეთვე იმ შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო, ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან.

საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან დაკავშირებით, სტანდარტით დაშვებულია მხო-

ლოდ ერთი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ასახვას შემოსავლებისა და გასავლების კატეგორიების მიხედვით (ბასს-7, პუნქტი 21).

უცხოური ვალუტით შესრულებულ სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები წარდგენილ უნდა იქნას საწარმოს საანგარიშგებო ვალუტით (ლარით). გადასაანგარიშებლად გამოყენებულ უნდა იქნას ფულადი სახსრების მოძრაობის დღისათვის საანგარიშგებო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის არსებული გასაცვლელი სავალუტო კურსი (ბასს 7, პუნქტი 25).

ბასს-ით რეკომენდებულია საწარმოებმა ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება შეადგინონ **პირდაპირი** მეთოდით. ამ მეთოდით ანგარიშგების შედგენისათვის შეიძლება ორი მიდგომის გამოყენება, კერძოდ:

პირველი მიდგომის პროცესში ფულადი ნაკადების დაშლას აწარმოებენ მათი კატეგორიების მიხედვით და კატეგორიების კლასიფიკაციას საქმიანობათა კომპონენტებად (თანხის მიღება მყიდველებისაგან, თანხის გადახდა მომწოდებლებისათვის და თანამშრომლებზე).

მეორე მიდგომა ითვალისწინებს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შედგენას ბალანსის, მოგება და ზარალის შესახებ ანგარიშგებისა და სხვა დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე.

ა) ქვემოთ განხილულია ს/საზოგადოების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ელემენტები პირდაპირი მეთოდით.

ფრაგმენტი სააქციო საზოგადოება „AJN“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებიდან
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(პირდაპირი მეთოდით)

ფულადი სახსრების ნაკადები	
საოპერაციო საქმიანობიდან	2000 წ.
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	186.690
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(49.180)

თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(33.640)
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	
მიღებული ფულადი სახსრები	17.200
სხვა საოპერაციო ხარჯებისათვის	
გადახდილი ფულადი სახსრები	(7.985)
დანარჩენ გადასახადებში	
გადახდილი ფულადი სახსრები	(6.531)
სადილინგო ფასიანი ქაღალდების შესაძენად	
გადახდილი ფულადი სახსრები	(18.000)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	88.554
გადახდილი პროცენტები	(3.542)
გადახდილი მოგების გადასახადი	(13.780)
ფულადი სახსრების ნაკადები	
განსაკუთრებულ მუხლამდე	71.232
მიწისძვრით მიყენებული ზარალი	(2240)
წმინდა ფულადი სახსრები	
საოპერაციო საქმიანობიდან	68.992.
ფულადი სახსრების ნაკადები	
საინვესტიციო საქმიანობიდან	
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	(9.000)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(57.580)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით	
მიღებული სარგებელი	24.600
მიღებული პროცენტები	535
მიღებული დივიდენდები	1.300
საინვესტიციო საქმიანობისათვის	
გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(40145).
ფულადი სახსრების ნაკადები	
საფინანსო საქმიანობიდან	
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	12.540
გრძელვადიანი სესხების გადახდა	(10.000)
შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან	10.600
გადახდილი დივიდენდები	(12.259)
საფინანსო საქმიანობისათვის	

გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	881.
ფულადი სახსრებისა და მათი	
ეკვივალენტების წმინდა ზრდა (68.992+(40145)+881)	29.728.
ფულადი სახსრები და მათი	
ეკვივალენტები საანგარიშგებო	
პერიოდის დასაწყისისათვის (ბალანსის მუხლი)	69700
ფულადი სახსრები და მათი	
ეკვივალენტები საანგარიშგებო	
პერიოდის ბოლოსათვის (ბალანსის მუხლი)	99.428

ბ. განვიხილოთ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენა არაპირდაპირი მეთოდით

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა განისაზღვრება ბა წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით, შემდეგი მუხლების საფუძველზე (ბასს. 7, პუნქტი 20)

ა) საანგარიშგებო პერიოდში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობასა და საოპერაციო მოთხოვნებსა და გადასახდელებში მომხდარი ცვლილებები;

ბ) არაფულადი მუხლები, როგორიცაა: ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებული არა რეალიზებული შემოსავლები და დანაკარგები, მეკავშირე საწარმოებს შორის გაუნაწილებელი მოგება, უმცირესობის წილი;


გ) სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულადი სახსრების ნაკადებს. (იხილეთ სქემა 3.4.).

ასეთი მაკორექტირებელი მოქმედების შედეგად დგინდება საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრების ოდენობა. იგი პირდაპირი მეთოდით შედგენილი ანგარიშგების პირველი კომპონენტის პირველი ნაწილის ტოლია. ამდენად, არაპირდაპირი მეთოდით ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შესადგენად აუცილებელი პროცედურები, პირდაპირი მეთოდის დროს გამოყენებული პროცედურების იდენტურია.

არაპირდაპირი მეთოდით შედგენილი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ნიმუში (იხ. ქვემოთ ფრაგმენტი ანგარიშგებიდან).

არაპირდაპირი მეთოდით ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შესადგენად, ვისარგებლოთ მონაცემებით, რომლებიც მოტანილია სააქციო საზოგადოების ქვემოთ მოყვანილ ანგარიშგებაში.

1. დაბეგვრამდელი წმინდა მოგებაჲ დაბეგვრამდელი წმინდა მოგების შესახებ ინფორმაციას ვიღებთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან. იგი შეადგენს – 45.665 ლარს;
2. კორექტირება არაფულადი მუხლებით მოცემულობის თანახმად, არაფულადი მუხლების სახით უნდა გაკორექტირდეს დარიცხული ცვეთა. შესწორებას ექვემდებარება აგრეთვე საპროცენტო ხარჯი, რადგანაც იგი ბასს 7-ის მოთხოვნის (პუნქტი 31) მიხედვით განცალკევებით უნდა იყოს ასახული.
   კორექტირების მიზნით წმინდა მოგებას ემატება ცვეთის ხარჯი 17.300 ლარი და პროცენტის ხარჯი – 4.560 ლარი;
3. კორექტირება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების სხვა კომპონენტების მუხლებით – მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შეტანილია ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული სარგებელი, მიღებული პროცენტები და მიღებული დივიდენდები, რომლებიც ბასს-ის შესაბამისად, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებს წარმოადგენს. ამიტომ, კორექტირების მიზნით, წმინდა მოგებას უნდა გამოაკლდეს ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული სარგებელი – 4.600 ლარი, პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი – 860 ლარი და დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი – 1.500 ლარი;



სქემა 3.4. წმინდა მოგების (ზარალის) კორექტირება

4. კორექტირება მიმდინარე აქტივებში მომხდარი ცვლილებით – კორექტირებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ის საბალანსო მუხლები, რომელთა ცვლილება დაკავშირებული იყო საოპერაციო საქმიანობასთან. ბალანსისა და შესაბამისი დანართის მიხედვით, საანგარიშგებო პერიოდში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება გაზრდილია 13.365 ლარით. იგი უნდა გამოაკლდეს წმინდა მოგებას. მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება) შემცირებულია 1.705 ლარით. იგი უნდა

მიემატოს წმინდა მოგებას. წმინდა მოგებას ასევე უნდა მიემატოს ავანსების 1.000 ლარით შემცირება. სულ 2705 ლარი. ვინაიდან მოკლევადიანი ინვესტიციები განხილული გვაქვს როგორც სადილინგო, მათ მიმართ ვრცელდება მარაგისათვის დადგენილი ნორმა და, შესაბამისად, ნაშთში მომხდარი ცვლილებები – წმინდა მოგებას უნდა გამოაკლდეს ინვესტიციების 3.800 ლარით ზრდა;

5. კორექტირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებით – წმინდა მოგებას დაემატება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ნაშთის ზრდა 35.320 ლარით, გადასახდელი ხელფასების ნაშთის ზრდა – 1.220 ლარით, დანარჩენი გადასახადების ნაშთის ზრდა – 6.309 ლარით და გამოაკლდება მიღებული ავანსების ნაშთის შემცირება 400 ლარით. ანუ ნეტო მაკორექტირებელი თანხა შეადგენს 42.449 ლარს.

მაკორექტირებელ გაანგარიშებათა საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ბაზაზე შედგენილი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ფრაგმენტი სააქციო საზოგადოება AJNJN
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებიდან[1]
2000 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(არაპირდაპირი მეთოდით)

ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლამდე	45.665
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:	
ცვეთა	17.300
საპროცენტო ხარჯები	4.560
შემოსავალი ინვესტიციებიდან (დივიდენდები)	(1.500)

[1] ფრაგმენტი აღებულია რ. ძაძამიას სახელმძღვანელოდან. იხ. „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება", ბაფ-ი, თბ., 2000. გვ. 503-509.

შემოსავალი პროცენტებიდან	(860)
სარგებელი ძირითადი	
საშუალებების გაყიდვიდან	(4.600)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	60.565
მყიდველთა და სხვა დებიტორების	
დავალიანებების შემცირება	2.705
სასაქონლო-მატერიალური	
ფასეულობის მატება	(13.365)
ინვესტიციების მატება	(3.800)
მომწოდებელთა კრედიტორული	
დავალიანების მატება	42.449
საოპერაციო საქმიანობიდან	
შემოსული ფულადი სახსრები	88.554
გადახდილი პროცენტები	(3.542)
გადახდილი მოგების გადასახადი	(13.780)
ფულადის ახსრების ნაკადები	
განსაკუთრებულ მუსლამდე	71.232
მიწისძვრით მიყენებული ზარალი	(2.240)
წმინდა ფულადი სახსრების	
საოპერაციო საქმიანობიდან	68.992
ფულადი სახსრების ნაკადები	
საინვესტიციო საქმიანობიდან	
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	(9.000)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(57.580)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით	
მიღებული სარგებელი	24.600
მიღებული პროცენტები	535
მიღებული დივიდენდები	1.300
საინვესტიციო საქმიანობისათვის	
გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(40.145)
ფულადი სახსრების ნაკადები	
საფინანსო საქმიანობიდან	
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	12.540
გრძელვადიანი სესხების გადახდა	(10.000)

შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან	10.600
გადახდილი დივიდენდები	(12.259)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	881
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (99428-69700)	29.728
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის (ბალანსის მუხლი)	69.700
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის (ბალანსის მუხლი)	99.428

ამრიგად, ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის შესაბამის მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასონ საწარმოს ფინანსური მდგრადობის გადახდის უნარობის მაჩვენებლები.

3.4. ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ცალკე კომპონენტს და მისი ინფორმაცია მნიშვნელოვანია განსაკუთრებით საწარმოს მესაკუთრეებისათვის. მასში ასახული ინფორმაცია საშუალებას იძლევა გაანალიზდეს კაპიტალის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები. კერძოდ: ა) საკუთარ კაპიტალს ზრდის ფაქტორები (საერთო წმინდა ფინანსური მოგება და პარტნიორის დამატებითი შენატანები) და ბ) შემცირების (საერთო წმინდა ფინანსური ზარალი და პარტნიორის მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება და დივიდენდის მიღება) ფაქტორები.

საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგების შინაარსი განსაზღვრულია ბასს 1-ით (პუნქტი 86), რომელშიც ასახული იქნება:

ა) მოცემული საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი,

ბ) შემოსავლებისა და ხარჯების, შემოსულობების ან ზარალის თითოეული მუხლი, რომელთა აღიარება, სხვა სტანდარტების (ბასს. 8, 16,25) თანახმად, ხდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში და ამ მუხლების საერთო ჯამი,

გ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები და არსებითი შეცდომების კორექტირება ბასს 8-ის საბაზისო მეთოდის შესაბამისად,

დ) მესაკუთრეებთან და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან დაკავშირებული ოპერაციები,

ე) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის აკუმულირებული მოგება-ზარალის ნაშთი და მისი ცვლილება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში,

ვ) შედარება თითოეული კლასის სააქციო კაპიტალის საბალანსო თანხას, საემისიო შემოსავალსა და თითოეული სახის რეზერვს შორის, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, თითოეული ცვლილების ცალ-ცალკე გახსნით.

საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელია ორი ვარიანტით. პირველი ანუ საბაზისო ვარიანტი ითვალისწინებს სტანდარტით დადგენილი ყველა ინფორმაციის წარდგენას ანგარიშგების ერთიანი ფორმატის გამოყენებით. მეორე ანუ ალტერნატიული ვარიანტის საფუძველია ანგარიშგებისათვის სტანდარტით დაშვებული შესაძლებლობა, რომ ბასს 1-ის 86-ე პუნქტის (დ) – (ვ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია ასახოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების შედგენის საფუძველია საკუთარ კაპიტალში შემავალი მუხლების შესაბამისი ანგარიშებიდან აღებული სათანადო ინფორმაცია და მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგება.

განვიხილოთ საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება ა) საბაზისო და ბ) ალტერნატიული ვარიანტების გამოყენებით.

ა) საბაზისო ვარიანტი: დავუშვათ, სააქციო საზოგადოება "გამა"-ს 2000 წლის საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების შესადგენად გვაქვს შემდეგი საწყისი ინფორმაცია.[1]

1. საკუთარი კაპიტალის ნაშთი 1998 წლის 31 დეკემბრისათვის:

მუხლების დასახელება	*თანხა (ლარი)*
ა) სააქციო კაპიტალი	250.000
ბ) საემისიო კაპიტალი	17.200
გ) გადაფასების რეზერვი	27.800
დ) აკუმულირებული მოგება	30.500
სულ	325.500

2. ძირითადი საშუალებებისა და ინვესტიციების გადაფასების შედეგი, რომელიც ასახულია გადაფასების რეზერვის ანგარიშზე:

შინაარსი 1999 წ. (ლარი)	2000 წ. (ლარი)	
ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიღებული ნამეტი (დანაკლისი)	(7.200)	
	10.900	
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ნამეტი (დანაკლისი)	(3.500)	800

3. აქციების გამოშვებით მიღებული კაპიტალის ზრდა:

შინაარსი 1999წ. (ლარი)	2000 წ. (ლარი)	
გამოშვებული აქციები ნომინალური ღირებულებით	50.000	
	60.000	
საემისიო კაპიტალი	4.700	5.200

[1] გამოყენებულია მასალები სახელმძღვანელოდან — იხ. რ. ძაძამია "ფინანსური ალრიცხვა და ანგარიშგება", ბაფ-ი, თბ., 2002, გვ. 515-519.

4. გაცემული დივიდენდები: 1999 წ. 25.000 ლარი; 2000 წ. 35.500 ლარი;

5. წმინდა მოგება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მიხედვით: 1999 წ. 38.300 ლარი; 2000 წ. 40.800 ლარი;

6. სააქციო საზოგადოება 2000 წლამდე ახდენდა გადახდილი პროცენტების კაპიტალიზაციას იმ სესხთან დაკავშირებით, რომელიც აღებული იყო ახალი საწარმოო შენობის ასაგებად. მშენებლობა მიმდინარეობს მეოთხე წელია. იგი ექსპლუატაციაში შევა 2002 წლის დასაწყისში. მშენებლობისათვის აღებულ სესხზე დარიცხულია შემდეგი ოდენობის პროცენტი:

ა) 1999 წლამდე 7.800 ლარი (კაპიტალიზებულია);

ბ) 1999 წელს 6.500 ლარი (კაპიტალიზებულია);

გ) 2000 წელს 8.000 ლარი (აღიარებულია ხარჯად).

სააქციო საზოგადოებამ გადაწყვიტა შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა საპროცენტო ხარჯთან დაკავშირებით და აირჩია მისი ასახვის საბაზისო მეთოდი (ე.ი. აღიარებს მათ ხარჯად). ამასთან, ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ასახვის საბაზისო მეთოდს და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგს ასახავს საკუთარ კაპიტალში (მოგების გადასახადის ნორმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უცვლელია და შეადგენს 20%-ს).

მოცემულ შემთხვევაში, ბასს 8-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია შესადარისობის შენარჩუნება და შესაბამისად აკუმულირებული მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება. კორექტირება უნდა მოხდეს კაპიტალიზებული პროცენტის ნაწილში. ამასთან, მაკორექტირებელ თანხად აღებულ უნდა იქნეს არა მთლიანად კაპიტალიზებული პროცენტი, არამედ იგი უნდა შემცირდეს მოგების გადასახადის თანხით. ეს ლოგიკურია, რადგან თავის დროზე პროცენტი ხარჯად რომ ყოფილიყო აღიარებული, იგი შეამცირებდა დაბეგვრამდელ მოგებას დარიცხული პროცენტის თანხით და დაბეგვრამდელი მოგება ნაკლები იქნებოდა, ვიდრე სინამდვილეში დაიბეგრა. აღნიშნული ნათლად გამოჩნდება ჩვენი მაგალითიდანაც, თუ ვივარაუდებთ, რომ 1999 წლის წმინდა მოგებაზე გავლენა არ მოუხდენია განსაკუთრებულ მოვლენებს. ე.ი. თუ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში არ ფიგურირებდა განსაკუთრებული მუხლი, მაშინ 20%-იანი მოგების ნორმის პირობებში

1999 წლის მოგება დაბეგვრამდე იქნებოდა 47.875 (38.300* 100/80) ლარი. ამაეე წელს დარიცხული პროცენტი ხარჯად რომ გველიარებინა, მოგება დაბეგვრამდე იქნებოდა 41.375 (47.875-6.500) ლარი, ხოლო წმინდა მოგება კი – 33.100 (41.375-8.2750) ლარი. ეს იგივეა, რაც მოგებისა და ზარალის ანგარიშგებით განსაზღვრულ წმინდა მოგებას (38.300) გამოკლებული 1999 წლის კაპიტალიზებული პროცენტი მოგების გადასახადის გარეშე (6.500-1.300=5.200).

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1999 წლის დასაწყისისათვის აკუმულირებული მოგების საწყისი ნაშთის მაკორექტირებელი თანხა იქნება 6.240 (7.800-ს გამოკლებული მისი 20% ანუ 1.560) ლარი, ხოლო 1999 წლის წმინდა მოგება აისახება 33.100 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საბაზისო ვარიანტით შედგენილი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება შემდეგ სახეს მიიღებს (ცხ. 3.3.):

სააქციო საზოგადოება "ომეგა"
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2000 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილი 3.3.

1998 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	250.000	17.200	27.800	30.500	325.500.
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში		(6.240)			(6.240)
ახალი ნაშთი ცვლილებების შემდეგ	250.000	17.200	27.800	24.260	319.260
ქონების გადაფასებით მიღებული დანაკლისი		(7.200)			(7.200)
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული დანაკლისი		(3.500)			(3.500)
მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აუღიარებელი წმინდა შემოსულობა და ზარალი		(10.700)			(10.700)
მოცემული პერიოდის					

წმინდა მოგება			33.100	3.100	
დივიდენდები			(25.000)	(25.000)	
სააქციო კაპიტალის გამოშვება		50.000	4.700	54.700	
1999 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	300.000	21.900	17.100	32.360	371.360
ქონების გადაფასებით მიღებული ნამეტი			10.900	10.900	
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ნამეტი			800	800	
მოგება და ზარალის ანგარიშგებაში აუღიარებელი წმინდა შემოსულობა და ზარალი			11.700	11.700	
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება			40.800	40.800	
დივიდენდები			(35.500)	(35.500)	
სააქციო კაპიტ. გამოშვება		60.000	5.200	65.200	
2000 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	360.000	27100	28.800	37.660	453.560

ბ) ალტერნატიული ვარიანტი: ალტერნატიულად ანგარიშგება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

სააქციო საზოგადოება "ომეგა"
ალიარებული შემოსულობისა და დანაკარგების ანგარიშგება 2000 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარებში)

	2000	1999
ნამეტი/(დანაკლისი) ქონების გადაფასებიდან	10.900	
	(7.200)	
ნამეტი / (დანაკლისი) ინვესტიციების გადაფასებიდან	800	(3.500)
მოგება და ზარალის ანგარიშგებაში		

აუღიარებელი წმინდა შემოსულობა და ზარალი	11.700 (10.700)	
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება	40.800	33.100
სულ აღიარებული წმინდა შემოსულობა და დანაკარგი	52.500 22.400	
საალრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული შედეგი		(6.240)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების მიმართ ბასს 1–ით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მოტანილ იქნეს კაპიტალის რეზერვისა და აკუმულირებული მოგების საწყისი და საბოლოო ნაშთების შედარება. იგი შემდეგი სახით შეიძლება იყოს წარდგენილი:

საკუთარი კაპიტალის შესადარისი მონაცემები

დასახელება	2000 წ. (ლარი)	1999 წ. (ლარი)
სააქციო კაპიტალი*	360.000	300.000
საემისიო კაპიტალი	27100	21900
გადაფასების რეზერვი	28.800	17.100
აკუმულირებული მოგება	37.660	32.360
სულ კაპიტალი	453560	371360

3.5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა – განმარტებითი შენიშვნები

ცნობილია, რომ ბალანსში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ზოგჯერ სრულად ვერ უზრუნველყოფს სა-

* სააქციო კაპიტალი წარმოდგენილი უნდა იყოს აქციების კლასების მიხედვით.

მართლიანი წარდგენის პრინციპების მოთხოვნებს და საკმარისი არ არის საწარმოს შესახებ შედარებით სრული ინფორმაციის მისაღებად. ამიტომ საწარმო ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტების მსგავსად, სისტემატურად მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ბასს 1-ის შესაბამისად (პუნქტი 91), საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

მოგება-ზარალზე მიკუთვნებული გაუფასურება	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
მოგება-ზარალზე მიკუთვნებული გაუფასურების უკუგატარება	X	X	X	X	X
გასვლა (გაყიდვა, გადაცემა)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
ნაშთი წლის ბოლოს	X	X	X	X	X
ცვლა					
ნაშთი წლის დასაწყისში	X	X	X	X	X
დარიცხვა წლის განმავლობაში გასვლა (გაყიდვა, გადაცემა)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
ნაშთი წლის ბოლოს	X	X	X	X	X
საბალანსო ღირებულება					
წლის დასაწყისში	X	X	X	X	X
წლის ბოლოს	X	X	X	X	X

ცხრილში 3.4. ჩაწერილი სათანადო ინფორმაცია უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით მათ ღირებულებასა და აკუმულირებულ ცვლაში წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გაცნობას.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მზადდება და წარედგინება იმ მიზნით, რომ ინფორმაციის გახსნით დაეხმაროს მომხმარებელს ანგარიშგებით წარდგენილი ინფორმაციის უკეთ გაგებაში და შეუქმნას წინაპირობა სხვა საწარმოთა ანალოგიური ანგარიშგებისათვის შესადარებლად.

ა) ფინანსური ანგარიშების მომზადებისათვის არსებული საბაზისო ინფორმაცია და მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების ასახვისთვის შერჩეული და გამოყენებული შესაბამისი საალრიცხვო პოლიტიკა;

ბ) ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებით გათვალისწინებული ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც წარდგენილი არ არის უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში;

გ) დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ასახული არ არის უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ამ კომპონენტში ბასს 1-ის მიხედვით (პუნქტი 94), აუცილებელია შემდეგი ახსნა-განმარტების ასახვა:

ა) იმის აღნიშვნა, რომ ანგარიშგება მომზადებულია ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ბ) შეფასების საფუძვლები და გამოყენებული საალრიცხვო პოლიტიკა;

გ) დამატებითი დამამტკიცებელი ინფორმაცია უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლებისათვის ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლი და თითოეული ფინანსური ანგარიშგება;

დ) სხვა ახსნა-განმარტებები რომლებიც მოიცავს:

I) გაუთვალისწინებელ მოვლენებს, ვალდებულებს, რომლებიც ექვემდებარება შესრულებას და სხვა სახის ფინანსური შინაარსის ახსნა-განმარტებებს,

II) არაფინანსური შინაარსის ახსნა-განმარტებებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ბასს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს შეფასების მეთოდებისა და საალრიცხვო პოლიტიკის გახსნას ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. მათი გახსნა აუცილებელია იმიტომ, რომ სტანდარტებით დაშვებულია შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის ალტერნატიული მეთოდები. ამასთან,

სტანდარტები არ ზღუდავს ისეთი საალრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას, რომელიც სტანდარტებში არ არის განხილული, მაგრამ კონკრეტულ გარემოებაში მისი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა უფრო ზუსტად აისახოს საწარმოს საქმიანობის შედეგები და ფინანსური მდგომარეობა. შესაბამისად, უშეცდომო გადაწყვეტილების მისაღებად, ინფორმაციის მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბასს-ით დადგენილ მოთხოვნებს და ანგარიშგების კონკრეტული მუხლის შეფასებისა და წარდგენისათვის რომელი საალრიცხვო პოლიტიკა იყო გამოყენებული.

ახსნა-განმარტება კეთდება თავისუფალი ფორმით. იგი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ტექსტის, ან ცხრილის სახით. მაგალითად, ძირითადი საშუალებების საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულების შესაბამისობის გასახსნელად საწარმომ შეიძლება ახსნა-განმარტება შემდეგი ფორმით წარმოადგინოს:

ცხრილი 3.4

ცვლილება ძირითად საშუალებებში

(ათასი ლარი)

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	სულ
ღირებულება					
ნაშთი წლის დასაწყისში	X	X	X	X	X
შემოსვლა	X	X	X	X	X
შეძენა საქმიანობის გაერთიანებით	X	X	X	X	X
ღირებულების გადაფასება; აფასება	X	X	X	X	X
ჩამოფასება	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
კაპიტალზე მიკუთვნებული გაუფასურება	(X)	(X)	(X)	(X)	(X)

კაპიტალზე მიკუთვნებული გაუფასურების უკუგატარება	X	X	X	X	X
მოგება-ზარალზე მიკუთვნებული გაუფასურება	(X)	(X)	(X)	(X).	(X)
მოგება-ზარალზე მიკუთვნებული გაუფასურების უკუგატარება	X	X	X	X	X
გასვლა (გაყიდვა, გადაცემა)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
ნაშთი წლის ბოლოს	X	X	X	X	X
ცვეთა					
ნაშთი წლის დასაწყისში დარიცხვა წლის	X	X	X	X	X
განმავლობაში გასვლა (გაყიდვა, გადაცემა)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
ნაშთი წლის ბოლოს	X	X	X	X	X
სახალანსო ღირებულება					
წლის დასაწყისში	X	X	X	X	X
წლის ბოლოს	X	X	X	X	X

3.6 შუალედური ფინანსური ანგარიშგება

შუალედური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს სრულ, ან შემოკლებულ ფინანსურ ანგარიშგებას საწარმოს სრულ სამეურნეო წელზე უფრო მცირე პერიოდისათვის.

ბასს არ განსაზღვრავს, რომელი ხანმოკლე პერიოდისათვის ან რა სიხშირით უნდა მომზადდეს საწარმოს შუალედური ფინანსური ანგარიშგება, (ეს საკითხები უნდა გადაწყვიტოს ხელისუფლებამ, ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის მარეგულირებელმა ორგანოებმა, საფონდო ბირჟებმა და ბუღალტერთა ორგანიზაციებმა). მიუხედავად ამისა, ბასსკ-ის მიერ შემუშავებული და გამოსაყენებლად დამტკიცებულია სპეციალური სტანდარტი შუალედური ფინანსური ანგარიშგებისათვის (ბასს 34), რომლის გამოყენება აუცილებელია იმ საწარმოების მიერ, რომელთაც დაევალათ შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, როგორც წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშის შედგენისა და წარდგენის წესების დამდგენი უფლებამოსილი ორგანო 2004 წლის 21 იანვრის №4 დადგენილებით შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას განხილვას ანგარიშვალდებული საწარმოს ნახევარწლიური ანგარიშგების შემადგენელ კომპონენტად.

საწარმოს (ფირმის) ბასს არ უკრძალავს შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ბასს 1-ით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის სახით. ამასთან, საწარმო უფლებამოსილია აირჩიოს შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სხვა ფორმატი, რომელშიც ასახული იქნება წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარებით მცირე ინფორმაცია.

ბასს 34-ის მიხედვით (პუნქტი 8), შუალედური ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს, როგორც აუცილებელ მინიმუმს:

ა) შემოკლებულ ბუღალტრულ ბალანსს,

ბ) შემოკლებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას,

გ) შემოკლებულ ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას (I) საკუთარ კაპიტალში ნებისმიერი ცვლილების შესახებ ან (II) საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ, რომელიც არ არის გამოწვეული მესაკუთრეთა მიერ კაპიტალთან დაკავშირებულ სამეურნეო ოპერაციებსა და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან,

დ) ფულადი სახსრების მოძრაობის შემოკლებულ ანგარიშგებას,

ე) შერჩეულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ბასს 34-იდან (პუნქტი 20) გამომდინარეობს, რომ შუალედური ანგარიშგება (შემოკლებული ან სრული) უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი პერიოდების შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას:

ა) ბალანსი მიმდინარე შუალედური საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის და წინა ფინანსური წლის შესადარისი წლიური ბალანსი,

ბ) მიმდინარე შუალედური საანგარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და მიმდინარე ფინანსური წლის

მოცემულ თარიღამდე მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ნაზარდი ჯამით, უშუალო წინა ფინანსური წლის შესადარისი შუალედური საანგარიშგებო პერიოდის შესადარის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასთან ერთად (მიმდინარე და გასული წლის),

გ) ანგარიშგება, რომელიც გვიჩვენებს მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში მოცემულ თარიღამდე საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ნაზარდი ჯამით, უშუალო წინა ფინანსური წლის შესაბამისი პერიოდის შესადარის ანგარიშგებასთან ერთად,

დ) ფულადი სახსრების ანგარიშგება ნაზარდი ჯამით, მიმდინარე ფინანსური წლის მოცემულ თარიღამდე უშუალო წინა ფინანსური წლის შეასადარის ანგარიშგებასთან ერთად.

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება არ მოითხოვს ახსნა-განმარტებითი შენიშვნების წარდგენას ისეთი სრული მოცულობით, როგორც იგი წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვისაა გათვალისწინებული. ამიტომ განსაზღვრულია, რომ საწარმომ წარადგინოს შერჩეული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. იგი ეყრდნობა ვარაუდს, რომ შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი იქნება საწარმოს ყველაზე ბოლო ფინანსური ანგარიშგებაც და აუცილებელი არ არის შუალედური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აისახოს წლიურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის უმნიშვნელო ცვლილებები. ამიტომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშ გებას დაერთვის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, რომელშიც განიმარტება ის მოვლენა და ოპერაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების შემდგომი პერიოდის შუალედური ანგარიშგების გაგების თვალსაზრისით.

საწარმოს არ ევალება შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღწეროს საარღიცხვო პოლიტიკა. ამასთან, შუალედური ფინანსური ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებით, ბასს 34-ით (პუნქტი 28) დადგენილია, რომ საწარმომ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაშიც უნდა გამოიყენოს იგივე საარღიცხვო პოლიტიკა, რომელსაც აყენებს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, გარდა საარღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ისეთი ცვლილებების მიმართ,

რომელთაც ადგილი ჰქონდა ყველაზე ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ და უნდა აისახოს შემდგომი პერიოდის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მაგრამ განსაკუთრებულ ვითარებაში (როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლას მოითხოვს კანონმდებლობა ან სტანდარტების შემოუშავებელი ორგანო ან როდესაც მიჩნეულია, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შედეგად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოვლენები და სამეურნეო ოპერაციები უფრო მისაღები ფორმით იქნება წარდგენილი) დასაშვებია სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში საწარმოს ევალება შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აღწეროს ამ ცვლილებების შინაარსი და შედეგი.

3.7. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სამეწარმეო მიზნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მსხვილი საწარმო ქმნის შვილობილ საწარმოს. შვილობილი საწარმო ისეთი საწარმოა, რომლის საქმიანობას აკონტროლებს სხვა საწარმო (რომელსაც ძირითად, სათავო საწარმოს უწოდებენ). ძირითადი (სათავო) საწარმო შეიძლება აკონტროლებდეს ერთ, ან მეტ შვილობილ საწარმოს.

კონტროლი ნიშნავს საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლი ტიკის მართვის უფლებამოსილებას ამ საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

როდესაც საუბარია საწარმოზე, ყოველთვის იგულისხმება ცალკე აღებული იურიდიული პირი და არა შვილობილ საწარმოსთან (საწარმოებთან) ერთად. პირი, რომელიც აპირებს რომელიმე მათგანის აქციის შეძენას, დაინტერესებულია წარმოდგენა იქონიოს არა მარტო ცალკე აღებულ საწარმოზე, არამედ მთლიანად საწარმოთა ჯგუფზე.

საწარმოთა ჯგუფს უწოდებენ ძირითად და შვილობილ საწარმოებს ერთად.

ინვესტორის დაინტერესებას, ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია საწარმოთა ჯგუფის შესახებ, უზრუნველყოფს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სახით წარმოდგენილი საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება.

ასეთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ჩანს ცალკეული იურიდიული სუბიექტის სამართლებრივი საზღვრები. მარტივად რომ ვთქვათ, კონსოლიდირებული ბალანსის მუხლი "ძირითადი საშუალებები", ერთიანად ასახავს როგორც ძირითადი საწარმოს, ისე მისი შვილობილი საწარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულებას. ასევე მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლი "რეალიზაციიდან ამონაგები" მოიცავს ჯგუფში შემავალი ყველა საწარმოს რეალიზაციიდან ამონაგებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ესაჭიროება ადმინისტრაციასაც, ვინაიდან ძირითადი საწარმო მართავს შვილობილი საწარმოს ფინანსურ და სამეურნეო პოლიტიკას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პირობებს განსაზღვრავს ბასს 27 "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დაბანდებული ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა შვილობილ საწარმოებში". მოცემული სტანდარტის მიხედვით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სავალდებულოა ყველა ძირითადი საწარმოსათვის, იმ გამონაკლისის გარდა, რომელთა მიმართ ასეთი რამ დაშვებულია სტანდარტის ნორმებით. კერძოდ, ბასს 27-ის მე-8 პუნქტით განმარტებულია, რომ ძირითადი საწარმო, რომელიც მთლიანად ან ფაქტობრივად მთლიანად ეკუთვნის სხვას, როგორც შვილობილი საწარმო, არ არის ვალდებული წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საწარმო მიიღებს უმცირესობის წილის მესაკუთრეთა თანხმობას. ასეთმა ძირითადმა საწარმომ, ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, უნდა აღწეროს შვილობილი საწარმოების ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძვლები და რატომ არ არის წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, აგრეთვე თავისი ძირითადი საწარმოს საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი.

ძირითადმა საწარმომ, რომელიც თვითონ მთლიანად ეკუთვნის სხვა საწარმოს, შეიძლება არ წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ ამას არ მოითხოვს მისი ძირითადი საწარმო და ამის გაკეთება არ იქნება აუცილებელი ძირითადი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისთვის. ფაქტობრივად, მთლიანად სხვა საწარმოს კუთვნილებაში ყოფნა ხშირად ნიშნავს, რომ ხმის უფლების 90% და მეტი ძირითადი საწარმოს ხელშია.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს ორ კითხვას:

1. წარდგენილ უნდა იქნეს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,

2. რომელი შვილობილი საწარმოები უნდა ჩაირთოს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ამდენად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის ამოსავალი პირობა არის არა ხმის უფლების ნახევარზე მეტის ფლობა, არამედ საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლება.

თავი IV. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ძირითადი საკითხები ტესტებში, სავარჯიშოებსა და ამოცანებში

4.1.1. ტ ე ს ტ ე ბ ი

1. რომელია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგის შესახებ ინფორმაციის ამსახველი ელემენტები:

ა) ვალდებულებები; საკუთარი კაპიტალი;

ბ) შემოსავლები; ვალდებულებები;

გ) არც ერთი არ არის სწორი.

პასუხი – გ) არც ერთი არ არის სწორი.

2. მიუთითეთ ფინანსური ანგარიშგების მომზადების ძირითადი დაშვება:

ა) შესადარისობა;

ბ) დარიცხვის მეთოდი;

გ) არსებითობა;

პასუხი – ბ) დარიცხვის მეთოდი.

3. ქვემოთ მოტანილი ანგარიშებიდან მიუთითეთ სადებეტო ნაშთის მქონე მუდმივი ანგარიში

ა) №1610 - საქონელი;

ბ) №1415 - საეჭვო მოთხოვნების კორექტირება;

გ) №7180 - რემონტის ხარჯები;

დ) №9210 – მოგების გადასახადის ხარჯი.

პასუხი – ა) №1610 - საქონელი.

4. ბუღალტრული შეფასებებით შეტანილი ცვლილებების შემდეგ საანგარიშგებო წლის ბოლოს მოთხოვნების ნაშთი №1410 ანგარიშზე არის 25 700 ლარი, საეჭვო მოთხოვნების ანგარიშს

№1415 აქვს საკრედიტო ნაშთი 2700 ლარი, ბალანსში მოთხოვნები (№1410) ასახული იქნება:

ა) 25700;

ბ) 28400;

გ) 23000.

პასუხი – გ) 23000.

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ხდება:

ა) თვითღირებულებით;

ბ) სარეალიზაციო ღირებულებით;

გ) თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

პასუხი – გ) თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

6. ძირითადი საშუალება არის ისეთი მატერიალური აქტივი:

ა) რომლის ღირებულებაც აღემატება 150 ლარს და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ხნით;

ბ) რომელსაც იყენებს საწარმო ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად;

გ) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება: საქონლის წარმოებისა და მომსახურეობის გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

პასუხი – გ) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება: საქონლის წარმოებისა და მომსახურეობის გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

7. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში არ შედის:
ა) ტრანსპორტირების ხარჯი;
ბ) დამონტაჟების ხარჯი;
გ) მომწოდებლისათვის გადახდილი დღგ.

პასუხი – გ) მომწოდებლისათვის გადახდილი დღგ.

8. საწარმო ძირითად საშუალებებს აფასებს საბაზრო ღირებულებით. აფასების თანხამ შეადგინა 17000 ლარი (ამ აქტივის გადაფასება მოხდა პირველად) აღნიშნული თანხით კრედიტდება შემდეგი ანგარიში:
ა) №8190 არასაოპერაციო შემოსავალი;
ბ) №5420 ძირითად საშუალებების გადაფასების რეზერვი;
გ) №2200 ძირითად საშუალებათა ცვეთა.

პასუხი – ბ) №5420 ძირითად საშუალებების გადაფასების რეზერვი.

9. დანახარჯების რომელ კატეგორიას განეკუთვნება, დანადგარების საწყისი პოტენციალის შენარჩუნებისათვის, მის შეკეთებაზე გაწეული დანახარჯები:
ა) კაპიტალური დანახარჯები;
ბ) პერიოდის დანახარჯები;
გ) ორივე პასუხი სწორია.

პასუხი – გ) ორივე პასუხი სწორია.

10. მოკლევადიან ინვესტიციებს, აქტივის სახით ასახავს:
ა) ინვესტორი;
ბ) ემიტენტი;
გ) ინვესტორი და ემიტენტი.

პასუხი – ა) ინვესტორი.

11. საწარმომ გამოუშვა 200000 ცალი აქცია, ნომინალური ღირებულება 1 ლარი, გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან გამოისყიდა 25000 ცალი, თითოეული 2 ლარად, რამდენს შეადგენს საწარმოს ბრუნვაში მყოფი აქციების რაოდენობა:

ა) 200 000 ცალს;

ბ) 225 000 ცალს;

გ) 175 000 ცალს.

პასუხი – გ) 175 000 ცალს.

12. სავაჭრო ვალდებულებების ალიარება ხდება მაშინ, როდესაც შეძენილ ფასეულობებზე:

ა) ყველა რისკი და სარგებელი მყიდველის ხელში გადადის;

ბ) ყველა რისკი და სარგებელი რჩება გამყიდველთან;

გ) არც ერთი პასუხი სწორი არაა.

პასუხი – ა) ყველა რისკი და სარგებელი მყიდველის ხელში გადადის.

13. დივიდენდების ფულადი ფორმით გაცემა, საკუთარ კაპიტალს:

ა) ზრდის;

ბ) ამცირებს;

გ) არ ცვლის.

პასუხი – ბ) ამცირებს.

14. ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯის კაპიტალიზაციის მიზანია:

ა) აქტივის საწყისი პოტენციალის შენარჩუნება;

ბ) აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ან მწარმოებლურობის ზრდა;

გ) აქტივის ღირებულების გადაჭარბება მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელზე.

პასუხი – ა) აქტივის საწყისი პოტენციალის შენარჩუნება.

15. საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი საბალანსო მუხლები ასახული უნდა იქნას:

ა) ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით;

ბ) საბოლოო სავალუტო კურსის მიხედვით;

გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

პასუხი – ბ) საბოლოო სავალუტო კურსის მიხედვით.

4.1.2. ამოცანები

16. საწარმო "Y"-ის მარაგების ნაშთი ინვენტარიზაციის შედეგად 2006 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 640.000 ლარს, საწარმო Y-მა საწარმო X-საგან შეიძინა 27 დეკემბერს 16.000 ლარის სავაჭრო მარაგი. ტვირთის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელია საწარმო Y. აღნიშნული ტვირთი საწარმო Y-ის საწყობში მოხვდა 2005 წლის 7 იანვარს. რა რაოდენობის მარაგი უნდა აღინიშნოს საწარმო Y-ის ბალანსში?

პასუხი – საწარმოს ბალანსში მარაგი იქნება 640000 + 16000 = 656000 ლარი.

17. საწარმო X-მა 16 თებერვალს ჩამოწერა 4000 ლარის დებიტორი, 31 სექტემბერს აღნიშნულმა დებიტორმა საწარმოს გადაუხადა 1000 ლარი, საწარმოს ხელმძღვანელობა დარწმუნებულია რომ დარჩენილ თანხას ვერ ამოიღებს. მოახდინეთ 16 თებერვლისა და 31 სექტემბრის ოპერაციების ბუღალტრული გატარება.

პასუხი – 16 თებერვალის ოპერაციების გატარება

დებეტი 1415 საეჭვო ოპერაციების კორექტირება

კრედიტი 1414 მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 4000 ლ.

31 სექტემბრის ოპერაციების გატარება
დებეტი 2110 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 1000 ლ.
კრედიტი 1410 მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 1000 ლ.

18. სავაჭრო საწარმო X იყენებს მარაგების აღრიცხვის მუდმივ მეთოდს. 2006 წლის 1 იანვრისათვის მარაგების საწყისი ნაშთი შეადგენს 117 000 ლარს.

- 2005 წელში საწარმომ ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინა 32000 ლარის სავაჭრო მარაგი,
- 2005 წელში რეალიზებულია 42 000 ლარის მარაგი 64 000 ლარად,
  ა) მოახდინეთ მარაგების შეძენის ოპერაციის გატარება,
  ბ) მოახდინეთ რეალიზაციის ოპერაციის გატარება.

პასუხი – ა) დებეტი N 7200 კრედიტი N 1110 32000

ბ) 1. დებეტი N 1110/1210 კრედიტი N 6110 64000
2. დებეტი N 7210 კრედიტი N 1610 42000
3. დებეტი N 6110 კრედიტი N 5330 64000
4. დებეტი N 5330 კრედიტი N 7210 42000

19. საწარმო Y-მა წლის განმავლობაში შეიძინა 1 100 ერთეული სავაჭრო მარაგი შემდეგი პირობებით:

შესყიდვების თარიღი	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	ღირებულება სულ ლარი
14 იანვარი	100	12	1200
14 მარტი	300	9	2700
14 აგვისტო	600	10	6000
14 დეკემბერი	100	20	2000
სულ	1100	?	11900

2004 წლის 31 დეკემბრისათვის საწარმო Y-ის მარაგის ნაშთი შედგება 100 ერთეულისაგან. მოახდინეთ მარაგების ნაშთის შეფასება:

ა) "ფიფოს" (FIFO) მეთოდის მიხედვით;

ბ) საშუალო არითმეტიკულის მეთოდის მიხედვით.

პასუხი – ა) "ფიფო" მეთოდის მიხედვით:
100 ერთეული * 20 ლარი = 2000 ლარი.

ბ) საშუალო არითმეტიკულის მეთოდის მიხედვით:
სულ შეძენილია 11 900 ლარის ღირებულების საქონელი.
11 900 1 100 = 10,8 ლარი ერთეულის ღირებულება.

20. 2005 წლის 31 დეკემბერს X-საწარმომ გამოსცა და მიყიდა საწარმო A-ს 60000 ლარის ინვესტიცია 20%-იანი განაკვეთით. 2006 წლის 18 აპრილს საწარმო B-მ იყიდა აღნიშნული ინვესტიცია საწარმო A-საგან. პროცენტი ინვესტიციაზე გამოითვლება 365 დღიანი წლის მეთოდით და გადაიხდება ყოველ ექვს თვეში. ინვესტიციის განაღდების ვადა დგება 2006 წლის 31 დეკემბერს. გაატარეთ 18 აპრილს შესყიდვის ოპერაცია. (ყიდვის ღირებულებაში არ შედიოდა არც პრემია და არც დისკონტი).

პასუხი – 1. ყიდვა:
დებეტი N 2410/2420 კრედიტი N 1100/1200 60000
2. გადასახდელი პროცენტის თანხა:
60 000 * 20% = 12 000.
3. 6 თვეში გადასახდელი პროცენტის თანხა:
12 000 365 * 180 = 5 918.
4. პროცენტის გადახდა:
დებეტი N 8210 კრედიტი N 1100/1200 5 918.

21. მიღებულია მარტივი თამასუქი გაცემული 180000 ლარის სესხზე. წლიური საპროცენტო განაკვეთი 10%. თამასუქის ვადა 90 დღეა.

ა) მოახდინეთ ბუღალტრული გატარება თამასუქის მიღებისას;

ბ) მოახდინეთ ბუღალტრული გატარება პროცენტის შემოსავლად აღიარებისას.

პასუხი – ა) ბუღალტრული გატარება თამასუქის მიღებისას:

დებეტი N 1510 კრედიტი N 1100/1200 180 000.

ბ) ბუღალტრული გატარება პროცენტის შემოსავლად აღიარებისას:

მისაღები პროცენტის თანხა – (180 000-ის 10%)*90:365=4438.

პროცენტის აღიარება – დებეტი N 1820 კრედიტი N 8110 4438.

22. საწარმომ 2005 წლის ბოლოს გამოაცხადა 90000 ლარის დივიდენდები, რომელიც გადაიხადა 2006 წლის 1 თებერვალს.

მოახდინეთ საჭირო გატარებები:

ა) 2005 წლის ბოლოსათვის;

ბ) 2006 წლის 1 თებერვლისათვის.

პასუხი – ა) 2005 წლის ბოლოსათვის:

დებეტი N 5310 კრედიტი N 3420 90000

ბ) 2006 წლის 1 თებერვლისათვის:

დებეტი N 3420 კრედიტი N 1110 90000

23. საწარმო **A**-ს (მოიჯარეს) აღებული აქვს ათწლიანი ფინანსური იჯარით შენობა საწარმო **B** (მეიჯარე) კომპანიისაგან. საიჯარო გადასახდელის გადახდა მოხდება თანაბარი წილით ყოველი წლის ბოლოს

მინიმალური იჯარის გადასახადების ჯამი – 16 000

აქტივის სანდო საბაზრო ღირებულება – 10 000

ფინანსური ხარჯი	–	6 000
საპროცენტო განაკვეთი	–	10%
წლიური იჯარის გადასახადი	–	1 600

დაიანგარიშეთ 10 წლის იჯარის გადასახადების მიმდინარე ღირებულება (გამოიყენეთ ცხრილი).

პასუხი – 1 600 (PVAIF 10% / 10წ.)=1 600*6,14457= 9831.

24. 2005 წლის 1 იანვარს გამომცემლობამ ერთ-ერთი ყოველთვიური ჟურნალის 3 წლის ხელმოწერასთან დაკავშირებით მიიღო ნაღდი ფული 920 ლარი. 2005 წლის 31 იანვარს გაიგზავნა ამ ჟურნალის პირველი ნომერი.

ა) რა ოდენობის შემოსავალი გატარდება 2005 წელს?

ბ) რა იქნება გრძელვადიანი დავალიანების ნაშთი 2005 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

პასუხი – ა) (920 36) * 12 = 306 ლარი.
ბ) 920 – (306 * 2) = 308 ლარი.

25. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია საწარმო A-ს ფინანსური ანგარიშგებიდან:

(ლარებში)

	ფინანსური	საგადასახადო
რეალიზაციიდან შემოსავალია	150 000	160 000
რეალიზ. პროდუქ. დანახარჯები	90 000	90 000
ადმინისტრაციული ხარჯები	20 000	20 000
ცვეთა	25 000	25 000
მოგება	15 000	25 000

დამატებითი ინფორმაცია: საგადასახადო კოდექსის მიხედვით რეალიზაციიდან შემოსავალი - 160 000 ლარია, ხოლო საგადასახადო განაკვეთი - 20%-ს შეადგენს.

ა) დაიანგარიშეთ გადასახდელი მოგების გადასახადი;

ბ) დაიანგარიშეთ და გაატარეთ გადავადებული მოგების გადასახადი.

პასუხი – ა) გადასახდელი მოგების გადასახადი:
25 000 * 20% = 5 000 ლარი.
ბ) გადავადებული მოგების გადასახადის გატარება:

დებეტი	N 9210	3 000	(15 000 – ის 20%)
დებეტი	N 2340	2 000	
კრედიტი	N 3310	5 000	(25 000 – ის 20%).

26. ქართულმა კომპანიამ 2005 წლის 10 დეკემბერს გერმანული კომპანიისაგან მიიღო ფაქტურა 15000 ევრო (ტრანსპორტის შეძენა), რომელიც გაატარა როგორც კრედიტორული დავალიანება. 10 დეკემბერს ვალუტის გაცვლის კურსი იყო 1 ევრო = 2.31 ლარს. ბალანსის დახურვის თარიღისათვის 2005 წლის 31 დეკემბრის გაცვლის კურსი იყო 1 ევრო = 2.26 ლარს.
ა) ჩაწერეთ ტრანსპორტის შეძენის თავდაპირველი გატარება,
ბ) ჩაწერეთ 2005 წლის 31 დეკემბრის გატარება.

პასუხი – ა) ტრანსპორტის შეძენის თავდაპირველი გატარება:
დებეტი N 2180 ძირითადი (სატრანსპორტო) საშუალებები 34650 ლარი.
კრედიტი N 3110 კრედიტორული დავალიანება 34650 ლარი.

ბ) 2005 წლის 31 დეკემბრის გატარება:
2,26 – 2,31 = -0,05 * 15000 = – 750 ლარი.
დებეტი N 3110 კრედიტი N 8190 (არასაოპერაციო შემოსავალი).

27. ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება შეადგენს 45000 ლარს, სალიკვიდაციო ღირებულება 2000 ლარი, სასარგებლო მომსახურეობას ვადა 15 წელი. გამოთვალეთ 1 წლის ცვეთა რიცხვთა ჯამის მიხედვით.

პასუხი – 45 000 – 2000 = 43 000 15 წ. = 2867 ლარი.

28. საწარმომ 1 იანვარს გამოუშვა 1200 ცალი 150 ლარის ნომინალის მქონე ჩვეულებრივი აქცია. თითო აქცია გაყიდულია 200 ლარად. მოახდინეთ ოპერაციის ბუღალტრული გატარება.

პასუხი – დებეტი N 1120/1210 240000 (1200ც * 200ლ).
კრედიტი N 5110 180000 (1200ც * 150ლ),
კრედიტი N 5140 (საემისიო კაპიტალი) 60000 ლ.

29. საწარმომ 120 000 ლარად ნაღდ ანგარიშზე მოახდინა შენობის რეალიზაცია, რომლის პირვანდელი ღირებულებაა 140 000 ლარი, გაყიდვის მომენტისათვის დარიცხული ცვეთა შეადგენს 92000 ლარს, გაატარეთ რეალიზაციის ოპერაცია.

პასუხი – რეალიზაციის გატარება:

დებეტი N 1110/1210		კრედიტი N 8190	12000
დებეტი N 8290		კრედიტი N 2130	4800
დებეტი N 2230		კრედიტი N 2130	92000

30. საწარმოო დანიშნულების დანადგარის პირვანდელი ღირებულება შეადგენს 50000 ლარს, სალიკვიდაციო ღირებულებაა 5000 ლარი, სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 15 წელი. საწარმო ვარაუდობს დანადგარით 10000 ერთეული ნაწარმის შექმნას, მ.შ. 1 წელს 2000 ერთეული, გამოთვალეთ მწარმოებლურობის პროპორციულად, ცვეთის თანხა - პირველი წლისათვის.

პასუხი – ა) წრფივი მეთოდით:

50 000–5 000=45 000: 15 წელი=3 000 ლარი.

ბ) ცვეთის თანხა - პირველი წლისათვის მწარმოებლურობის მეთოდით:

45 000 10000 ერთ. ნაწარმი = 4,5 ერთეულის ნაწარმზე ცვეთის წილი.

4,5 * 2000 ერთეული = 9 000 ლარი.

დებეტი N 7170 (ცვეთის ხარჯი) კრედიტი N 2250 (ცვეთის ანგარიში) 9 000.

31. ქვემოთ მოცემული მონაცემების მიხედვით შეადგინეთ საწარმო "კოლხას" ბალანსი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის ანგარიშგება 2005 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

1. ჩაწერეთ სარეგისტრაციო ჟურნალში ყველა საჭირო ოპერაცია 2005 წლის 31 დეკემბრისათვის.

2. მოგების გადასახადი შეადგენს 20%.

	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
1110 ფული	76 300	
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	43 800	
1415 საეჭვო მოთხოვნების კორექტირება		1 800
1510 თამასუქები	8 000	
1610 მარაგები	90 000	
1790 ავანსად გადახდილი დაზღვევა	400	
1820 მისაღები პროცენტები	100	
2110 მიწა	8 000	
2130 შენობა	160 000	
2150 დანადგარები	91 000	
2230 დარიცხული ცვეთა შენობების		100 000
2250 დარიცხული ცვეთა დანადგარების		36 000
3110 კრედიტორული დავალიანება		27 000
3120 მიღებული ავანსები		600
3410 გადასახდელი დარიცხული პროცენტები		500
4120 გადასახდელი თამასუქები		50 000
5110 ჩვეულებრივი აქციები		76 400
5310 გაუნაწილებელი მოგება		33 300
6110 შემოსავალი რეალიზაციიდან		325 200
7200 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	117 000	
7390 გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	10 400	
7410 შრომის ანაზღაურების ხარჯები	23 600	
7435 დაზღვევის ხარჯი	200	
7455 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	19 000	
8210 ხარჯები პროცენტის სახით	3 000	
	650 800	650 800

ამოხსნა

1. საწყისი ნაშთების გადატანა ბუღალტრულ ანგარიშებში (T-დავთრებში).
2. დახურვის ოპერაციების გატარება სარეგისტრაციო ჟურნალსა და შესაბამის ანგარიშებზე.

სარეგისტრაციო ჟურნალი

თარიღი	აღწერილობა	გადატანის №	დებეტი	კრედიტი
31.12.06	საეჭვო მოთხოვნების	№1415	1 800	-
№1	კორექტირება	№1410		1 800
31.12.06	დარიცხული ცვეთა	№2230	100 000	
№2	შენობების კორექტი-	№2130		100 000
	რება			
31.12.06	დარიცხული ცვეთა	№2250	36 000	-
№3	ნაგებობების კორექტი-	№2150		36 000
	რება			
31.12.06	შემოსავლების ანგარი-	№6110	325 200	
№4	შების დახურვა	№5330		325 200
31.12.06	ხარჯების ანგარიშების	№5330	173 200	
№5	დახურვა	/ №7200		117 000
		№7390		10 400
		№7410		23 600
		№7435		200
		№7455		19 000
		№8210		3 000
31.12.06	დასაბეგრი მოგების	№9210	30 400	
№6	გაანგარიშება და ასახ-	№3310		30 400
	ვა	№5330	30 400	
		№9210		30 400
31.12.06	საანგარიშგებო მოგე-	№5330	121 600	
№7	ბის/ზარალის გადატა-	№5310		121 600
	ნა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე			
			818 600	818 600

ანგარიშებზე ნაშთების გადატანა

ფულები №1110

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 76 300	
ნაშთი 31.12-ის 76 300	

მოთხოვნები მიწოდებიდან №1410

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 43 800	1) 1 800
-	1 800
ნაშთი 31.12-ის 42 000	

საეჭვო მოთხოვნების კორექტირება №1415

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის 1 800
1) 1 800	
1 800	-
ნაშთი 31.12-ის 0	

თამასუქები №1415

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 8 000	
-	-
ნაშთი 31.12-ის 8 000	

მარაგები №1610

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 90 000	
-	-
ნაშთი 31.12-ის 90 000	

აქანსად გადახდილი დაზღვევა №1790

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 400	
-	-
ნაშთი 31.12-ის 400	

მისაღები პროცენტები №1820

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 100	
-	-
ნაშთი 31.12-ის 100	

მიწა №2110

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 8 000	
ნაშთი 31.12-ის 8 000	

შენობა №2130

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 160 000	2) 100 000
	100 000
ნაშთი 31.12-ის 60 000	

დანადგარები №2150

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 91 000	3) 36 000
	36 000
ნაშთი 31.12-ის 55 000	

დარიცხული ცვეთა შენობების №2230

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის
2) 100 000	100 000
100 000	
ნაშთი 31.12-ის 0	

დარიცხული ცვეთა დანადგარების №2250

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის
3) 36 000	36 000
36 000	
ნაშთი 31.12-ის 0	

კრედიტორული დავალიანება №3110

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის 27 000
-	-
	ნაშთი 31.12-ის 27

600

მიღებული ავანსები №3120

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის 600
-	-
	ნაშთი 31.12-ის 000

გადასახდელი დარიცხული პროცენტები №3410

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის 500
-	-
	ნაშთი 31.12-ის 500

გადასახდელი თამასუქები №4120

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის 50 000
-	-
	ნაშთი 31.12-ის 50 000

ჩვეულებრივი აქციები
№5110

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის 76 400
-	-
	ნაშთი 31.12-ის 76 400

გაუნაწილებელი მოგება
№5310

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01.-ის 33 300
-	7) 121 600
	121 600
	ნაშთი 31.12-ის 154 900

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი
№5330

დებეტი	კრედიტი
5) 173 200	4) 325 200
6) 30 400	
7) 121 600	
325 200	325 200
ნაშთი 31.12-ის 0	

გადასახდელი მოგების გადასახადი
№3310

დებეტი	კრედიტი
	6) 30 400
	30 400
	ნაშთი 31.12-ის 30 400

შემოსავალი რეალიზაციიდან
№6110

დებეტი	კრედიტი
	ნაშთი (1.01-ის
4) 325 200	325 200
325 200	
ნაშთი 31.12-ის 0	

მოგების გადასახადის ხარჯი
№9210

დებეტი	კრედიტი
6) 30 400	6) 30 400
30 400	30 400
ნაშთი 31.12-ის 0	

რეალიაზებული საქონლის თვითღირებულება №7200

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 117 000	5) 117 000
	117000
ნაშთი 31.12-ის 0	

გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები №7390

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 10 400	5) 10 400
	10 400
ნაშთი 31.12-ის 0	

შრომის ანაზღაურების ხარჯები №7410

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 23 600	5) 23 600
	23 600
ნაშთი 31.12-ის 0	

დაზღვევის ხარჯები №7435

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 200	5) 200
	200
ნაშთი 31.12-ის 0	

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები №7455

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 19 000	5) 19 000
	19 000
ნაშთი 31.12-ის 0	

ხარჯების პროცენტის სახით №8210

დებეტი	კრედიტი
ნაშთი (1.01.-ის 3 000	5) 3 000
	3 000
ნაშთი 31.12-ის 0	

პასუხი: (31 ამოცანის №1)

1) საწარმოს ბალანსი

31 დეკემბრის 2006 წლის მდგომარეობით

ლარებში

აქტივები		პერიოდის ბოლოს
გრძელვადიანი აქტივები:		
მიწა	№2110	8 000
შენობა	№2130	60 000
დანადგარები	№2150	55 000
სულ გრძელვადიანი აქტივები:		123 000
მიმდინარე აქტივები:		
ფული	№1110	76 300
მოთხოვნა მიწოდებიდან	№1410	42 000
თამასუქები	№1510	8 000
მარაგები	№1610	90 000
მისაღები პროცენტები	№1820	100
ავანსად მიღებული დაზღვევა	№1790	400
სულ მიმდინარე აქტივები:		216 800
სულ აქტივები:		339 800
პასივები		
საკუთარი კაპიტალი		
ჩვეულებრივი აქციები	№5110	76 400
გაუნაწილებელი მოგება	№5310	154 900
სულ საკუთარი კაპიტალი		231 300
ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	№3110	27 00
მიღებული ავანსები	№3120	600
გადასახდელი დარიცხული პროცენტები	№3410	500
მოკლევადიანი ვალდებულებები		50 000
გადასახდელი თამასუქები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მოგების გადასახადი	№3310	30 400
სულ ვალდებულებები		108 500
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		339 800

პასუხი: (31 ამოცანის №2)
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემოსავლები	325 200
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება №7200	117 000
მთლიანი მოგება	208 200
საოპერაციო ხარჯები:	
მიწოდების ხარჯები №7390	10 400
საერთო და ადმინისცრაციული ხარჯები	42 800
მთლიანი საოპერაციო მოგება	155 000
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
საოპერაციო ხარჯები	3 000
მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	3 000
მოგება გადასახადების და გაუთვალისწინებელი მოგების ჩათვლამდე	152 000
მოგების გადასახადი	30 400
შემოსავლები გაუთვალისწინებელი მოგების (ზარალის) ჩათვლამდე	
გაუთვალისწინებელი მოგება / ზარალი (გამოკლებული საშემოსავლო გადასახადები)	
სუფთა მოგება	121 600

32. ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეადგინეთ ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

საწარმო „კოლხა“
ბალანსი
31 დეკემბერი, 2004 და 2005 წწ.
(ლარებში)

აქტივები	2004	2005
ფულადი სახსრები	65 000	81 500
დებიტორული დავალიანება	80 000	95 000
მარაგები	95 000	89 000
ძირითადი საშუალებები	75 000	105 000
დარიცხული ამორტიზაცია	(7 500)	(15 000)
სულ აქტივები	307 500	355 500
ვალედებულებები და კაპიტალი		
კრედიტორული დავალიანება	22 500	13 500
დარიცხული მიმდინარე ვალდებულებები		3 000
ჩვეულებრივი აქციები	240 000	252 000
გაუნაწილებელი მოგება	45 000	54 000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	307 500	355 500

საწარმო “კოლხა“
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (ლარებში)

რეალიზაცია		210 000
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		150 000
მთლიანი მოგება		60 000
საოპერაციო ხარჯები (ამორტიზაციის გარდა)	37500	
ამორტიზაცია	7500	45 000
სუფთა მოგება		15 000

დამატებითი ინფორმაცია საწარმო “კოლხას“ 2005 წლის საქმიანობის შესახებ:

1. 2005 წელს შეძენილი იქნა 30 000 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები;

2. გამოშვებული იყო 45 000 ლარის ჩვეულებრივი აქცია (რომელიც გაიყიდა ნომინალური ღირებულებით);

3. 2005 წელს გამოცხადდა და გადახდილია 6000 ლარი დივიდენდი.

ფულადი ნაკ-დის გაანგარიშების მეთოდების სქემა:[1]

საწარმო "კოლხა"

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

2005 წელი

ა) პირდაპირი მეთოდი

ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან		
მომხმარებლისაგან მიღებული ფული	+	
მომწოდებლისათვის გადახდილი ფული	–	
ოპერაციული ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფული	–	
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	–	
ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან		
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	+	
გადახდილი დივიდენდები	–	
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		
ფულისა და მისი ექვივალენტების ნაშთი პერიოდის დასაწყისში		
ფულისა და მისი ექვივალენტების ნაშთი პერიოდის ბოლოს		

ბ) არაპირდაპირი მეთოდი

ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან		
წმინდა მოგება		
დებიტორული დავალიანების ცვლილება	–	+
მარაგების ცვლილება	+	–
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	+	–
დარიცხული მიმდინარე ვალდებულებების ცვლილება	+	–
ამორტიზაცია	+	–
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან		

[1] იხ. უფრო ვრცლად სახელმძღვანელოს § 3.3.

ამოხსნა

საწარმო "კოლხა"

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

2005 წელი

ა) პირდაპირი მეთოდით

1. ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან			
მომხმარებლისაგან მიღებული ფული	(210 000 – 15 000)		195 000
მომწოდებლისათვის გადახდილი ფული			150 000
ოპერაციული ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფული			37 500
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან		7 500	
2. ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა			(30 000)*
3. ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან			
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება			45 000
გადახდილი დივიდენდები			(6 000)
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან		39 000	
4. ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(7 500 + (6 000) + 39 000)		16500
ფულისა და მისი ექვივალენტების ნაშთი პერიოდის დასაწყისში			65 000
ფულისა და მისი ექვივალენტების ნაშთი პერიოდის ბოლოს		81 500	

ბ) არაპირდაპირი მეთოდი

ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან		
წმინდა მოგება		*15 000*
დებიტორული დავალიანების ცვლილება	*(15 000)*	
მარაგების ცვლილება		*6 000*
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	*(9 000)*	
დარიცხული მომდინარე ვალდებულებების ცვლილება		*3 000*
ამორტიზაცია		*7 500*
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	7 500	

ა) პირდაპირი მეთოდით წარმოებული გაანგარიშება:

1. ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან

1.1. მომხმარებლისაგან (მყიდველებისაგან) მიღებული ფული: გაანგარიშება: რეალიზაციიდან ამონაგები თანხა 210 000 ლარი

---

* ფრჩხილებში მოცემული თანხა აკლდება ჯამს.

(იხ. „მოგებისა და ზარალის ანგარიშგება")
დებიტორული დავალიანება
(იხ. „ბალანსი"-ს მუხლი 2004წ. 80 000
2005წ. 95 000)

დებიტორული დავალიანების ზრდა (15 000=(95 000-80 000) აკლდება ამონაგების თანხას (210 000)
პასუხი: მიღებული ფული 210000–15000=195 000 ლარს.

1.2. მომწოდებლისთვის გადახდილი ფული
(მატერიალურ-ფასეულობათა შეძენაზე)
გაიანგარიშება: გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების თანხა 150 000 ლარი (იხ. „მოგებისა და ზარალის ანგარიშგება")
1.3. ოპერაციული ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფული 37 500
(ცვეთა/ამორტიზაცია 7 500)
I წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი (საოპერაციო) საქმიანობიდან
(195 000-(150 000+37 500)=7 500ლარს.

2. ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმინობიდან

2.1. ძირითადი საშუალებების შეძენა	(30 000)
II პასუხი: ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან უარყოფითი	(30 000)
3. ფულადი ნაკადი ფინანსური საქმინობიდან	
3.1. ჩვეულებრივი აქციების გამოშვება (გაყიდვა)	45 000
3.2. გადახდილი დივიდენდები (გასვლა)	6 000
III წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმინობიდან	39 000

ფულადი სახსრების წმინდა ზრდა 7500+(-30000)+39000=16500 ლარი
წლის დასაწყისში ფულადი სახსრები 65000ლარი
წლის დასასრულისათვის 81500 ლარი
ზრდა 16500(81500–65000) ლარი

ბ) არაპირდაპირი მეთოდით

1. ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან

1.1. წმინდა მოგება 15 000 ლარი

1.2. დებიტორული დავალიანების ცვლილება: 15 000 აკლდება
ზრდა (15 000=95 000-81 500)

1.3. მარაგების ცვლილება 6 000 ემატება
შემცირდა (6000=89 000-95 000)

1.4. კრედიტორული დავალიანების ცვლილება 9 000 აკლდება
შემცირდა (9 000=13 500-22 500)

1.5. დარიცხული მიმდინარე ვალდებულებების ცვლილება
ზრდა (3 000) 3000 ემატება

1.6. ამორტიზაცია (15 000-7 500) 7 500 ემატება
ზრდა (7 500)

პასუხი: წმინდა ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან

მოგება 15000+(-15000)+6000+(-9000)+3000+7500=7500ლარს.

2. წმინდა ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან (30000) აკლდება
3. ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან 39000 ემატება

პასუხი: 7500+(30000)+39000=16500 ლარი
ზრდა 16500 (81500–65000) ლარი

4.2.1. მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა

ტესტები

ვარიანტი №1

1. საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს მიეკუთვნება:
   ა) მანქანების (ჩარხების) საპოხი მასალის ღირებულება
   ბ) წარმოებული საქონლის რეალიზაციაზე ლიცენზიის შეძენის ღირებულება
   გ) მყიდველებზე წარდგენილი საგაჭრო შელავათები

2. თვითღირებულების კალკულაციის ზღვრული სისტემის გამოყენებისას:
   ა) წარმოების მუდმივი ზედნადები დანახარჯები ნაწილდება პროდუქტზე
   ბ) არასაწარმოო გასავლები ჩაირთვებიან მარაგების შეფასებაში
   გ) არასაწარმოო გასავლები აღირიცხებიან როგორც საანგარიშგებო პერიოდის დანახარჯები

3. როდესაც წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობები ტოლია, თვითღირებულების კალკულაციის ზღვრული სისტემის გამოყენებას მივყავართ:
   ა) მოგების მეტ სიდიდესთან
   ბ) მოგების ნაკლებ სიდიდესთან
   გ) სულერთია აღრიცხვის რომელ სისტემას გამოვიყენებთ

4. წაუგებლობის წერტილის გამოთვლისათვის დანახარჯებს უპირატესად ყოფენ:
   ა) პირდაპირად და ირიბად
   ბ) რელევანტურად და ირელევანტურად
   გ) ცვლადად და მუდმივად

5. ზღვრული მოგების განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ:

ა) ზღვრული მოგება: მუდმივი დანახარჯები – ცვლადი დანახარჯები

ბ) ზღვრული მოგება: რეალიზაცია – მუდმივი დანახარჯები

გ) ზღვრული მოგება: მუდმივი დანახარჯები – მოგება

6. თვითღირებულების დანახარჯთა სრული განაწილების ბაზაზე კალკულაციისას:

ა) წარმოების ცვლადი დანახარჯები ჩაირთვებიან მარაგების შეფასებაში

ბ) წარმოების მუდმივი ზედნადები დანახარჯები განიხილებიან როგორც პერიოდის დანახარჯები

გ) არასაწარმოო გასავლები ჩაირთვებიან მარაგების შეფასებაში

7. კომპანია ზედნადები დანახარჯების მიკუთვნებას ახდენს წარმოებულ ერთეულებზე. განხილულ პერიოდში გამოშვებულია 110 000 ერთეული. ფაქტობრივი ზედნადები დანახარჯი 500 000 ერთეული. ზედნადები დანახარჯების მიკუთვნების მეტობა 50 000 ლარი.

ზედნადები დანახარჯის მიკუთვნების განაკვეთი არის:

ა) 4 ლარი ერთეულზე

ბ) 4,5 ლარი ერთეულზე

გ) 5 ლარი ერთეულზე

დ) 5,5 ლარი ერთეულზე

8. საბურავების შემკეთებელი ცენტრი ფლობს საბურავების მარაგს რომლის ინფორმაციაც მოცემულია ქვემოთ:

საშუალო გამოყენება : 140 საბურავი დღეში

მინიმალური გამოყენება 90 საბურავი დღეში

მაქსიმალური გამოყენება 160 საბურავი დღეში

შეკვეთის ციკლი – 10-16 დღე

შეკვეთის მოცულობა 3000 საბურავი

განსაზღვრეთ მარაგის შესაძლო მაქსიმალური დონე.

9. ამავე ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოთვალეთ შეკვეთის წერტილი ანუ განმეორებითი შეკვეთის დონე.

10. კომპანია აწარმოებს ერთი სახის პროდუქტს. მმართველობით აღრიცხვაში არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

ძირითადი მასალა			10 ლარი
ძირითადი შრომა			29 ლარი
საწარმოო ზედნადები ხარჯი			3 ლარი
საქარხნო ხარჯი	-	ცვლადი	7 ლარი
		მუდმივი	5 ლარი
არასაწარმოო დანახარჯი		ცვლადი	2 ლარი
		მუდმივი	4 ლარი
	–	60	

მოგება შეადგენს მთლიანი დანახარჯის 33%.
როგორი იქნება საბოლოო გასაყიდი ფასი?

ა) 75
ბ) 60
გ) 80
დ) 20

I ვარიანტი

კითხვარები ტესტირებისათვის საწარმო იყენებს მარაგების აღრიცხვის პერიოდულ მეთოდს:

1. შეძენილია მარაგები ნაღდი ფულით 10 000 ლარი
2. შეძენილია მარაგები კრედიტით 15 000 ლარი
3. დაფარულია კრედიტორული დავალიანება მთლიანად
4. გაყიდულია მარაგები ნაღდ ფულზე 11 420
5. გაყიდულია მარაგები კრედიტით 10 000 ლარი
6. განსაზღვრეთ გაყიდული მარაგების თვითღირებულება
7. მარაგების ნაშთი პერიოდის დასაწყისში 300 ლარია, პერიოდის ბოლოს 200 ლარი. ასახეთ მაკორექტირებელი გატარება
8. განსაზღვრეთ გაყიდვებით მიღებული ფინანსური შედეგი

საწარმო იყენებს მარაგების აღრიცხვის მუდმივ მეთოდს

9. შეძენილია მარაგები გადარიცხვით 900 ლარი
10. შეძენილია მარაგები კრედიტით 1 200 ლარი
11. განაღდებულია კრედიტით შეძენილი მარაგების ღირებულება სალაროდან
12. მარაგები გაყიდულია ნაღდი ფულით 1 000 ლარი
13. მარაგები გაყიდულია კრედიტით 1 350 ლარი
14. გაყიდული მარაგების თვითღირებულება შეადგენს 800 ლარს (გაითვალისწინეთ გადასახდელი დღგ)
15. განსაზღვრეთ გაყიდვებით მიღებული ფინანსური შედეგი
16. კომპანიამ შეიძინა დანადგარი, რომელიც წარმოების პროცესში იქნება გამოყენებული. დანადგარის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება:

- დანადგარის შესაძენად გადახდილი თანხა	1200
- ტრანსპორტირების ხარჯი	2 000
- დამონტაჟების ხარჯი	1 200
კედლის შეკეთების ხარჯი, რომელიც დაზიანდა დამონტაჟების დროს	400
- წინასწარ გადახდილი საგარანტიო მომსახურების თანხა	1,0

განსაზღვრეთ დანადგარის საბალანსო ღირებულება.

17. ასახეთ ბუღალტრულად დანადგარის შესყიდვის ოპერაცია
18. ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ გამოუშვა მაგიდა, რომლის თვითღირებულება შეადგენს 2 000 ლარს

მაგიდის დამზადებისას დაიხარჯა:

- მასალა	1 000
კონსტრუქტორის ხელფასი	250
- მუშების ხელფასი	750
ზედმეტად დახარჯული მასალა	500
სულ	2 500

რა თანხა უნდა გატარდეს როგორც ძირითადი საშუალება?

19. ასახეთ აღნიშნული მაგიდა ბუღალტრულ ჩანაწერებში
20. შეძენილია დაზგა 40,0 ლარად
    სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს 10 000 ლარს
    გამოყენების ვადა 5 წელია
    ა) განსაზღვრეთ 1 წლის ამორტიზაციის თანხა, ამორტიზაციის გაანგარიშების წრფივი მეთოდის გამოყენებით
    ბ) მიეცით ბუღალტრული გატარება
21. ადმინისტრაციის შენობა ღირს 50 000 ლარი, სალიკვიდაციო ღირებულება ნულის ტოლია, გამოყენების ვადა 20 წელი, საწარმო იყენებს ამორტიზაციის დარიცხვის ნაშთების შემცირების მეთოდს, ამორტიზაციის განაკვეთი 20%-ია. გამოიანგარიშეთ პირველი სამი წლის ამორტიზაციის თანხა და გააკეთეთ შესაბამისი გატარება..
22. საწარმომ შეიძინა ქსეროქსის მანქანა 20 000 ლარად, სალიკვიდაციო ღირებულება ნულის ტოლია, სასარგებლო მოშსახურების ვადა 5 წელი. ორი წლის შემდეგ მანქანა რეალიზებული იქნა 14.000 ლარად
    მათ შორის: დღგ 2 800 ლარი
    ა) ასახეთ რეალიზაციის გატარება
    ბ) დაადგინეთ დარიცხული ამორტიზაციიის თანხა
23. მიღებულია ელექტროენერგიის გადასახადის ანგარიში 400 ლარი
    ა) ასახეთ ჩანაწერი ანგარიშის მიღებისას
    ბ) "_____" ანგარიშის გადახდისას
24. საწარმოს დადებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება 6 თვით, იჯარის გადასახადი 24 000 ლარია, გადახდა ხდება წლის ბოლოს
    ასახეთ იჯარის გადასახადის გადახდა
25. საწარმომ ბანკიდან აიღო სესხი 100.0 ლარი
    6 თვის ვადით, წლიური (360 დღე) პროცენტი
    კრედიტზე 24%-ია
    ასახეთ:
    ა) კრედიტის აღების ოპერაცია
    ბ) ყოველთვიური გატარება, რომელიც ასახავს დარიცხულ პროცენტს

გ) ძირითადი თანხის და საპროცენტო თანხის დაფარვა

26. მარტში კლიენტს მიაწოდეს 20000 ლარის პროდუქცია და გაუგზავნეს ფაქტურა. ასახეთ შემოსავლების დარიცხვა (გამოყავით გადასახდელი დღგ)

27. საწარმოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა წლიური პრემიების გადახდა ადმინისტრაციისათვის 250 000 ლარის ოდენობით.
ასახეთ:
ა) პრემიის ხარჯის ყოველთვიური დარიცხვა
ბ) პრემიის გადახდა

28. სავაჭრო კომპანიამ დაურიცხა ხელფასი ადმინისტრაციული ნაწილის თანამშრომლებს 24 ათასი ლარი, რეალიზატორებს 32 000 ლარი.
ასახეთ ანგარიშებზე:
ა) ხელფასების დარიცხვა
ბ) სოციალური გადასახადების დარიცხვა
გ) საშემოსავლო გადასახადის დაქვითვა (მოქმედი კანონმდებლობით)

29. ასახეთ ხელფასის გადახდის და გადასახდელების გადარიცხვის ოპერაციები.

4.2.1. მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა

ვარიანტი №2

ტესტები

1. საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს მიეკუთვნება:
ა) მანქანების (ჩარხების) საპოხი მასალის ღირებულება
ბ) წარმოებული საქონლის რეალიზაციაზე ლიცენზიის შეძენის ღირებულება
გ) მყიდველებზე წარდგენილი სავაჭრო შეღავათები

2. საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს მიეკუთვნება:
   ა) მანქანების (ჩარხების) ოპერატორების სპეცტანსაცმლის ღირებულება
   ბ) მთავარ ოფისში გამოყენებული საბეჭდი ლენტის ღირებულება
   გ) პროდუქციის გასაღებით დაკავებული პერსონალის საკომისიო

3. ადმინისტრაციულ ზედნადებ დანახარჯებს მიეკუთვნება:
   ა) ფინანსური დირექტორის მდივნის ხელფასი
   ბ) მანქანების (ჩარხების) ოპერატორების შვებულების თანხა
   გ) სარეკლამო სააგენტოს მომსახურების გადასახადი

4. პროდუქციის რეალიზაციაზე დანახარჯებს მიეკუთვნება:
   ა) მთავარ ოფისში გამოყენებული საბეჭდი მანქანის ლენტის ღირებულება
   ბ) მანქანების (ჩარხების) ოპერატორების სპეცტანსაცმლის ღირებულება
   გ) მყიდველებზე წარდგენილი სავაჭრო შეღავათები

5. მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება:
   ა) საპოხი და სხვა დამხმარე მასალები
   ბ) გასავლები მანქანებისა და აღჭურვილობის მომსახურებაზე
   გ) საწარმოს ადმინისტრაციის ხელფასი

6. ცვლად დანახარჯებს მიეკუთვნება:
   ა) საპოხი და სხვა დამხმარე მასალები
   ბ) ჩარხებისა და აღჭურვილობის ამორტიზაცია
   გ) საწარმოს ადმინისტრაციის ხელფასი

7. მატერიალური რესურსების დაგეგმვის სისტემაში უმთავრესია:
   ა) მარაგის სიჭარბე
   ბ) მარაგის ოპტიმალური დონის განსაზღვრა
   გ) მასალების მიღება

8. გაცემული მასალების ფაქტიური თვითღირებულების გაანგარიშებისათვის ვიყენებთ:
   ა) სასაწყობო ბარათს
   ბ) მასალების მოთხოვნის ზედდებულს
   გ) სხვადასხვა მეთოდებს

9. რომელ დოკუმენტში რეგისტრირდება მომუშავის მიერ მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო:
   ა) დასწრების ტაბელში
   ბ) ქრონობარათში
   გ) შეკვეთის საალრიცხვო ბარათში

10. რომელი ხელფასი იქნება ჩართული პირდაპირი რეალიზებული პროდ. თვითღირებულებაში:
    ა) საექსპლუატაციო ინჟინრის ხელფასი
    ბ) კომპანიის ბუღალტრის ხელფასი
    გ) შეფუთვაზე მომუშავე მუშის ხელფასი

11. ანაზღაურების პრემიალური სისტემის არსებობის შემთხვევაში, მომუშავეზე პრემია გაიცემა:
    ა) სატაბელო აღრიცხვის ბარათის მონაცემთა საფუძველზე
    ბ) საათობრივი ანაზღაურების განაკვეთის მიხედვით
    გ) დაზოგილი დროის პროპორციულად

12. შრომის ანაზრაურების პრემიალური სისტემის ჰალსეის გეგმით:
    ა) მომუშავე იღებს დაზოგილი დროის 50%-ს
    ბ) პრემია განისაზღვრება დახარჯული დროის შეფარდებით დასაშვებ დროსთან
    გ) პრემია დადგინდება დახარჯული დროის გამრავლებით საათობრივ განაკვეთზე

13. შვებულებისათვის საწარმოო მუშაკთათვის თანხა განიხილება, როგორც:
    ა) ირიბი დანახარჯი

ბ) ზენორმატიული დროის მიხედვით გაანგარიშებული თანხა

გ) პირდაპირი დანახარჯი, რომელიც დარიცხული უნდა იყოს შეკვეთებზე

14. ვიმუშაოთ ზენორმატიულად, ნიშნავს:

ა) მომუშავის მიერ წარმოების პროცესში არასრულად გამომუშავებული დროის შევსებას

ბ) თავდაპირველად დაგეგმილი პროდუქციის რაოდენობის გაზრდას\

გ) წარმოებული პროდუქციის გამოშვების გაზრდას

15. გამოუყენებელი სამუშაო დრო ანუ მოცდენის დრო წარმოადგენს:

ა) დროს, რომელიც ეხება მხოლოდ ცალკეულ ოპერაციებს

ბ) დროს, რომელიც ჩართულ იქნება სამუშაო ძალის პირდაპირ დანახარჯებში

გ) არაპროდუქტიულ, მაგრამ ანაზღაურებად დროს

16. კომპანიების მიერ ზედნადები ხარჯების მიკუთვნება პროდუქციაზე ხდება:

ა) ერთსაფეხურიანი პროცედურით

ბ) მთელი საწარმოსათვის შემოღებული ზედნადები ხარჯების განაწილების ერთიანი განაკვეთით

გ) ორსაფეხურიანი პროცედურით

17. მომსახურე ქვედანაყოფების მიერ გაწეული დანახარჯების მიკუთვნება ხდება:

ა) წარმოებულ პროდუქციაზე

ბ) საწარმოო ქვედანაყოფებზე, სადაც ფაქტიურად მზადდება პროდუქცია

გ) ყველა საწარმოო ქვედანაყოფზე

II ვარიანტი

კითხვარები ტესტირებისათვის
საწარმო იყენებს მარაგების აღრიცხვის პერიოდულ მეთოდს:

1. შეძენილია მარაგები ნაღდი ფულით 15 000 ლარი
2. შეძენილია მარაგები კრედიტით 9 000 ლარი
3. დაფარულია კრედიტორული დავალიანება მთლიანად
4. გაყიდულია მარაგები ნაღდ ფულზე 18 000
5. გაყიდულია მარაგები კრედიტით 11 000 ლარი
6. განსაზღვრეთ გაყიდული მარაგების თვითღირებულება
7. მარაგების ნაშთი პერიოდის დასაწყისში 400 ლარია, პერიოდის ბოლოს 300 ლარი. ასახეთ მაკორექტირებელი გატარება
8. განსაზღვრეთ გაყიდვებით მიღებული ფინანსური შედეგი

საწარმო იყენებს მარაგების აღრიცხვის მუდმივ მეთოდს

9. შეძენილია მარაგები გადარიცხვით 850 ლარი
10. შეძენილია მარაგები კრედიტით 1 420 ლარი
11. განაღდებულია კრედიტით შეძენილი მარაგების ღირებულება სალაროდან
12. მარაგები გაყიდულია ნაღდი ფულით 11 000 ლარი
13. მარაგები გაყიდულია კრედიტით 1 250 ლარი
14. გაყიდული მარაგების თვითღირებულება შეადგენს 800 ლარს (გაითვალისწინეთ გადასახდელი დღგ)
15. განსაზღვრეთ გაყიდვებით მიღებული ფინანსური შედეგი
16. კომპანიამ შეიძინა დანადგარი, რომელიც წარმოების პროცესში იქნება გამოყენებული. დანადგარის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება:
    - დანადგარის შესაძენად გადახდილი თანხა 1 200
    - ტრანსპორტირების ხარჯი 2 000
    - დამონტაჟების ხარჯი 1 200
    - კედლის შეკეთების ხარჯი, რომელიც

დაზიანდა დამონტაჟების დროს 400
- წინასწარ გადახდილი საგარანტიო
მომსახურების თანხა 1,0
განსაზღვრეთ დანადგარის საბალანსო ღირებულება.

17. ასახეთ ბუღალტრულად დანადგარის შესყიდვის ოპერაცია
18. ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ გამოუშვა მაგიდა, რომლის თვითღირებულება შეადგენს 2 000 ლარს

მაგიდის დამზადებისას დაიხარჯა:

- მასალა	1 000
- კონსტრუქტორის ხელფასი	250
- მუშების ხელფასი	750
- ზედმეტად დახარჯული მასალა	500
სულ	2 500

რა თანხა უნდა გატარდეს, როგორც ძირითადი საშუალება?

19. ასახეთ აღნიშნული მაგიდა ბუღალტრულ ჩანაწერებში
20. შეძენილია დაზგა 40.0 ლარად
სალიკვიდაციო ღირებულება შეადგენს 10 000 ლარს
გამოყენების ვადა 5 წელია
   ა) განსაზღვრეთ 1 წლის ამორტიზაციის თანხა, ამორტიზაციის გაანგარიშების წრფივი მეთოდის გამოყენებით
   ბ) მიეცით ბუღალტრული გატარება
21. ადმინისტრაციის შენობა ღირს 50 000 ლარი, სალიკვიდაციო ღირებულება ნულის ტოლია, გამოყენების ვადა 20 წელი, საწარმო იყენებს ამორტიზაციის დარიცხვის ნაშთების შემცირების მეთოდს, ამორტიზაციის განაკვეთი 20%-ია.
გამოიანგარიშეთ პირველი სამი წლის ამორტიზაციის თანხა და გააკეთეთ შესაბამისი გატარება..
22. საწარმომ შეიძინა ქსეროქსის მანქანა 20 000 ლარად, სალიკვიდაციო ღირებულება ნულის ტოლია, სასარგებლო

მომსახურების ვადა 5 წელია. ორი წლის შემდეგ მანქანა რეალიზებული იქნა 14.000 ლარად

მათ შორის: დღგ 2 800 ლარი

ა) ასახეთ რეალიზაციის გატარება

ბ) დაადგინეთ დარიცხული ამორტიზაციის თანხა

23. მიღებულია ელექტროენერგიის გადასახადის ანგარიში 400 ლარი

ა) ასახეთ ჩანაწერი ანგარიშის მიღებისას

ბ) "_____" ანგარიშის გადახდისას

24. საწარმოს დადებული აქვს საიჯარო ხელშეკრულება 6 თვით იჯარის გადასახადი 24 000 ლარია, გადახდა ხდება წლის ბოლოს

ასახეთ იჯარის გადასახადის გადახდა

25. საწარმომ ბანკიდან აიღო სესხი 100.0 ლარი
6 თვის ვადით, წლიური (360 დღე) პროცენტი კრედიტზე 24%-ია
ასახეთ:

ა) კრედიტის აღების ოპერაცია

ბ) ყოველთვიური გატარება, რომელიც ასახავს დარიცხულ პროცენტს

გ) ძირითადი თანხის და საპროცენტო თანხის დაფარვა

26. მარტში კლიენტს მიაწოდეს 20000 ლარის პროდუქცია და გაუგზავნეს ფაქტურა. ასახეთ შემოსავლების დარიცხვა (გამოყავით გადასახდელი დღგ)

27. საწარმოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა წლიური პრემიების გადახდა ადმინისტრაციისათვის 250 000 ლარის ოდენობით.

ასახეთ:

ა) პრემიის ხარჯის ყოველთვიური დარიცხვა

ბ) პრემიის გადახდა

28. სავაჭრო კომპანიამ დაურიცხა ხელფასი ადმინისტრაციული ნაწილის თანამშრომლებს 24 ათასი ლარი, რეალიზატორებს 32 000 ლარი.
ასახეთ ანგარიშებზე:

ა) ხელფასის დარიცხვა

ბ) სოციალური გადასახადების დარიცხვა

გ) საშემოსავლო გადასახადის დაქვითვა (მოქმედი კანონმდებლობით)

29. ასახეთ ხელფასის გადახდის და გადასახდელების გადარიცხვის ოპერაციები

4.2.2. ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები

ტესტები

1. ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ისტორია მოიცავს:
   ა) ორ ეტაპს
   ბ) სამ ეტაპს
   გ) ოთხ ეტაპს

2. საქართველოში მოქმედი სამეურნეო აღრიცხვის სისტემა შედგება:
   ა) სტატისტიკური და ოპერატიული აღრიცხვისაგან
   ბ) ოპერატილი და ბუღალტრული აღრიცხვისაგან
   გ) ოპერატიული, სტატისტიკური და ბუღალტრული აღრიცხვისაგან

3. ჩამოთვლილთაგან რომელია დროის განსაზღვრული მონაკვეთი მუშაკზე:
   ა) ნორმა-საათი
   ბ) ცვლა
   გ) კაც-დღე

4. მმართველობითი აღრიცხვა არ გამოიყენებს
   ა) ფინანსურ გადაწყვეტილებას
   ბ) სააღრიცხვო გადაწყვეტილებას
   გ) სამარკეტინგო გადაწყვეტილებას

5. ინვენტარიზაცია არის:
   ა) საწარმოთა ქონების და რესურსების ფულად საზომში გამოსახვა
   ბ) ბულ. აღრიცხვის მონაცემების უტყუარობის შემოწმების ხერხი
   გ) სამეურნეო ოპერაციების დოკუმენტური გაფორმება

6. საწარმოს ვალდებულებები ტოლია:
   ა) აქტივებს – საკუთარი კაპიტალი
   ბ) შემოსავლებს + ხარჯები
   გ) შემოსავლებს – ხარჯები

7. საწარმოს აქტივებში არ შედის:
   ა) ძირითადი საშუალებები
   ბ) ფულადი სახსრები
   გ) კრედიტორული დავალიანება

8. დაბალანსება (ბალანსი) ნიშნავს:
   ა) ორმხრივ ტოლობას
   ბ) ორმხრივ უტოლობას
   გ) შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობას

9. საწარმოს შემოსავალი და ხარჯი განსაზღვრავს:
   ა) საწარმოს აქტივებს
   ბ) საწარმოს ფინანსურ შედეგს
   გ) საწარმოს ვალდებულებებს

10. საწარმო ბუღალტრული აღრიცხვის მეშვეობით ახორციელებს:
    ა) ზოგადი ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების აღრიცხვას
    ბ) საწარმოს სამეურნეო პროცესების (ოპერაციების) ქრონოლოგიურ დოკუმენტურ აღრიცხვას
    გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

11. სამეურნეო ოპერაციების ჩაწერა ბუღალტრულ ანგარიშებში ხდება:
    ა) ორმხრივად
    ბ) ცალმხრივად
    გ) სამმხრივად

12. ბუღალტრული ბალანსი არის
    ა) ფინანსური ანგარიშგების კომპონენტი
    ბ) მოგება-ზარალის კომპონენტი
    გ) სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტი

13. ყოველი სამეურნეო ოპერაცია ცვლილებას იწვევს:
    ა) ერთ საბალანსო მუხლში
    ბ) არანაკლებ ორ საბალანსო მუხლში
    გ) არ იწვევს ცვლილებას არცერთ მუხლში

14. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შედგება:
    ა) აქტივისა და პასივისაგან
    ბ) შემოსავლებისა და ხარჯებისაგან
    გ) შემოსავლებისა და ვალდებულებებისაგან

15. ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლებიდან რომელი არ განეკუთვნება საწარმოს აქტივებს:
    ა) მარაგები
    ბ) ბანკის სესხები
    გ) მოთხოვნები

16. ბუღალტრულად საქონლის ნაშთის გამოყვანის ფორმულა არის:
    ა) საწყისი ნაშთი + შემოსავალი + გასავალი
    ბ) საწყისი ნაშთი + შემოსავალი – გასავალი
    გ) საწყისი ნაშთი – შემოსავალი + გასავალი

17. ქვემოთ ჩამოთვლილია აქტივის მუხლები, იპოვეთ შეცდომა:
    ა) მოკლევადიან მოთხოვნები
    ბ) სასაქონლო-მატერიალური მარაგი
    გ) საგადასახადო ვალდებულებები

18. ქვემოთ ჩამოთვლილია პასივის მუხლები, იპოვეთ შეცდომა:
    ა) დარიცხული ვალდებულებები
    ბ) მანქანა-დანადგარები
    გ) გრძელვადიანი სესხები

19. ფიზიკურმა პირმა დაიწყო საკუთარი ბიზნესის წარმოება, კერძოდ აირჩია სავაჭრო საქმიანობა. ხუთი თვის შემდეგ იგი დაინტერესდა თავისი გადაწყვეტილების ეფექტურობით და შედეგი გაიანგარიშა შემდეგი ფორმულით:
    ა) აქტივებს - ვალდებულება
    ბ) შემოსავლებს – ხარჯები
    გ) შემოსავალი – ვალდებულება

20. ბასს-ის მიხედვით ბალანსის მუხლები ჯგუფდება:
    ა) ლიკვიდურობის მიხედვით
    ბ) საბალანსო ნაშთების სიდიდის მიხედვით
    გ) ანგარიშგების წარდგენისას საგადასახადო ინსპექციის მიწოდებული ფორმების მიხედვით

21. ბასს-ის მიხედვით ცალკეულ ანგარიშებზე ანგარიშგებისათვის მომზადებული საბოლოო ნაშთები წარმოადგენს:
    ა) საგადასახადო დეკლარაციის მუხლებს
    ბ) ბალანსის მუხლებს
    გ) ფულადი ნაკადების ანგარიშების მუხლებს

22. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის შემადგენელი კომპონენტებია:
    ა) საწარმოს ვალდებულებები
    ბ) საწარმოს აქტივები
    გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

23. მიუთითეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ამსახველი ელემენტები:
    ა) შემოსავლები, ხარჯები
    ბ) აქტივები, შემოსავლები, ხარჯები
    გ) აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი

24. საწარმოში განხორციელდა შემდეგი სამეურნეო ოპერაცია: წინასწარ გადარიცხულ იქნა ერთწლიანი დაზღვევის პოლისის ღირებულება. მიუთითეთ სწორი ბულალტრული გატარება:
ა) დ - 1110
კ – 3120
ბ) დ – 1720
კ – 1210
გ) დ – 1790
კ – 1210

25. კომპანიამ გაყიდა საქონელი ნაღდ ანგარიშზე 1000 ლ; მიუთითეთ სწორი ბულ. გატარება:
ა) დ - 1210
კ – 1620
ბ) დ – 1110
კ – 6110
გ) დ – 1210
კ – 3110

4.2.3. ფინანსური აღრიცხვა

ტესტები

1. საწარმომ 2005 წლის აპრილში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ამავე წლის აგვისტოში შეიძინა საოფისე ავეჯი. შეძენის ოპერაცია ბულალტრულად გატარდება:
   - 2005 წლის აპრილიდან
   - 2005 წლის აგვისტოდან
   - 2005 წლის ბოლოდან

2. საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთი 2005 წლის 1 იანვარს შეადგენდა 15000 ლარს. 2005 წლის 31 აგვისტომდე საწარმომ რელიზაციიდან მიიღო 8000 ლარი. ამავე

პერიოდში გადაიხადა სხვადასხვა მიზნით 12000 ლარი. 2005 წლის 1 სექტემბერს საწარმოს ფულადი სახსრები შეადგენს:

- 35 000 ლარს
- 19 000 ლარს
- 11 000 ლარს

3. ბულალტრულ აღრიცხვაში, პირველადი აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე, რომელი დოკუმენტი წარმოადგენს მოლარის ანგარიშგებას:
   - მთავარი დავთარი
   - სალაროს წიგნი
   - ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

4. დანახარჯების რომელ კატეგორიას განეკუთვნება, დანადგარების საწყისი პოტენციალის შენარჩუნებისათვის, მის შეკეთებაზე გაწეული დანახარჯები:
   - კაპიტალურ დანახარჯებს
   - პერიოდის დანახარჯებს
   - ორივე პასუხი სწორია

5. ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯის კაპიტალიზაცია უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს:
   - აქტივის საწყისი პოტენციალის შენარჩუნებას
   - აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ან მწარმოებლურობის ზრდას
   - აქტივის ღირებულების გადაჭარბებას მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელზე

6. ძირითადი საშუალების საკუთარი ძალით შექმნისას გამოყენებული სესხის საპროცენტო ხარჯის კაპიტალიზაცია გულისხმობს:
   - საპროცენტო ხარჯის ჩართვას შექმნილი აქტივის თვითღირებულებაში

- სესხის პროცენტის თანხის საპროცენტო ხარჯად აღიარებას
- კაპიტალიზაცია არ ნიშნავს საპროცენტო ხარჯის აქტივის ღირებულებაში ჩართვას

7. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის შემადგენელი კომპონენტია:
   - საწარმოს ვალდებულებები
   - საწარმოს აქტივები
   - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

8. მიუთითეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ამსახველი ელემენტები:
   - შემოსავლები; ხარჯები
   - აქტივები; შემოსავლები; ხარჯები
   - აქტივები; ვალდებულებები; საკუთარი კაპიტალი

9. საწარმომ შეიძინა მანქანა-დანადგარები მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით საწარმოში ეს აქტივი აისახება, როგორც:
   - ძირითადი საშუალება
   - მარაგი
   - ინვესტიცია

10. სალაროში მიღებულია ფული მასალების რეალიზაციიდან, გაატარეთ ბუღალტრულად (საწარმო არ არის არაპირდაპირი გადასახადის გადამხდელი):

11. სალაროდან გასტუმრებულია ანგარიშვალდებული პირის ვალი, გაატარეთ ბუღალტრულად:

12. კომპიუტერს გამოუცვალეს პლატა, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი ოპერატიული მეხსიერება, აღნიშნულ სამუშაოებზე გაწეული ნაღდი ფულის დანახარჯი აისახება:

13. საწარმოში ანგარიშვალდებულ პირზე თანხის გადაცემა ბუღალტრულად გატარდება:

14. საწარმომ (რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი) შეიძინა დანადგარი. მან გადარიცხა დანადგარის ღირებულება 11800 ლარი (მ.შ. დღგ – 1800 ლარი), ტრანსპორტირებისათვის გადაიხადა 354 ლარი (მ.შ. დღგ – 54 ლარი). საკუთარი ძალებით დამონტაჟებაზე დაიხარჯა 500 ლარი. ამასთან დანადგარის ღირებულების დაგვიანებით გადახდისათვის საწარმომ მომწოდებელს დამატებით გადაურიცხა 250 ლარი. რა ღირებულებით უნდა აიღოს საწარმომ ბალანსზე აღნიშნული დანადგარი:

- 12654 ლარი

- 11050 ლარი
- 10550 ლარი

15. ძირითადი საშუალების ღირებულებაა 180000 ლარი, სალიკვიდაციო ღირებულება 30000 ლარია, სასარგებლო მომსახურების ვადა 5 წელია. საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს. გამოთვალეთ 3 წლის დარიცხული ცვეთა:
    - 90000 ლარი
    - 30000 ლარი
    - 150000 ლარი

16. ასახეთ ბუღალტრულ აღრიცხვაში ძირითადი საშუალებების გადაფასებით გამოწვეული ფასდაკლება, რომელმაც შეადგინა 16000 ლარი, თუ გადაფასების რეზერვის ანგარიშზე რიცხული კრედიტორული ნაშთი გადაფასების მომენტისათვის შეადგენს 12000 ლარს, საწარმო იყენებს ელიმინირების მეთოდს:

17. შეძენილია სატრანსპორტო საშუალება 12000 ლარად, ღირებულების 30 დღის ვადაში გადახდის პირობით. ამასთან, თუ ფული გადახდილი იქნება 10 დღეში, გადასახდელი თანხა შემცირდება 3%-ით. საწარმო ჩვეულებრივ მომწოდებლის ვალს იხდის 10 დღეში: მოახდინეთ აღნიშნული ოპერაციის ბუღალტრული გატარება:

18. საწარმომ 120000 ლარად ნაღდ ანგარიშზე მოახდინა შენობის რეალიზაცია, რომლის პირვანდელი ღირებულებაა 140000 ლარი, გაყიდვის მომენტისათვის დარიცხული ცვეთა შეადგენს 95000 ლარს, გაატარეთ რეალიზაციის ოპერაცია:

19. საწარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ქონების:
    - 0,5%-ს
    - არა უმეტეს 1%-სა
    - 1%-ს

20. ამორტიზაციის თანხა არ დაერიცხება:
    - ოფისის ავეჯს
    - მიწას, ხელოვნების ნიმუშებს
    - ინვენტარს და მოწყობილობას

4.2.4. სავარჯიშოები და საკონტროლო დავალებები
ვარიანტი პირველი

ტესტები

1. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა შეირჩევა და გამოიყენება:
    - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად
    - საწარმოს იურიდიული და საფინანსო სამსახურის წარმომადგენელთა მოთხოვნის შესაბამისად
    - არცერთი პასუხი არ არის სწორი

2. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დაჯგუფებისას პერიოდის ბოლოს მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის შემცირების თანხა:
   - აკლდება პერიოდის ხარჯებს
   - ემატება პერიოდის ხარჯებს
   - იყოფა პერიოდის ხარჯებზე

3. საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიში არის:
   - დებიტორული დავალიანების კონტრანგარიში
   - ვალდებულების ანგარიში
   - სადებეტო ნაშთის მქონე ანგარიში

4. მოიჯარე იჯარის დასაწყისში ფინანსურ იჯარას აღიარებს:
   - კრედიტორულ დავალიანებად
   - აქტივად და ვალდებულებად
   - დებიტორულ დავალიანებად

5. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, მაშინ:
   - თუ საწარმო გადასცემს მყიდველს საქონლის ფლობისათვის დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს
   - თუ შეუძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა
   - თუ მოცემული ოპერაციიდან საწარმო ვერ მიიღებს ეკონომიურ სარგებელს

6. შემოსავლების და ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება:
   - საწარმოს ბალანსში
   - მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
   - ახსნა-განმარტებით შენიშვნებში

7. საწარმოს დაფუძნებასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული დანახარჯები საქართველოს პირობებში:
   - აღირიცხება ანგარიშზე: "სხვა აქტივები"
   - აღირიცხება ანგარიშზე: "არამატერიალური აქტივები"
   - პირველ წელს ჩამოიწერება, როგორც ადმინისტრაციული ხარჯი

8. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ ახალი საწარმოს შეძენა უნდა აისახოს:
   - ბალანსში
   - მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
   - ახსნა-განმარტებით შენიშვნებში

9. საწარმო ვაჭრობს მსუბუქი ავტომობილებით, მარაგების თვითღირებულების განსაზღვრის რომელი მეთოდის გამოყენებაა უფრო მართებული:
   - "ფიფო"
   - "საშუალო შეწონილი"
   - "სპეციალური იდენტიფიკაცია"

10. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა შეირჩევა და გამოიყენება:
    - ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად
    - საწარმოს საფინანსო და იურიდიული სამსახურის წარმომადგენელთა მოთხოვნების შესაბამისად
    - არც ერთი პასუხი არ არის სწორი

11. ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოიშობა მაშინ როდესაც:
    - მიღებულია აქტივი ან დადებულია შეუქცევადი ხელშეკრულება აქტივის შეძენის შესახებ
    - საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება აქტივის შეძენის თაობაზე

- მოწოდება და მომსახურება არ განაპირობებს ვალდებულების წარმოშობას

12. ეკონომიკური რესურსები ბალანსში წარმოდგენილია:
    - აქტივების სახით
    - ვალდებულებების სახით
    - არცერთი პასუხი არ არის სწორი

13. სავაჭრო მოთხოვნები ბალანსში აისახება:
    - მიმდინარე ღირებულებით
    - პირვანდელი ღირებულებით
    - არცერთი პასუხი არ არის სწორი

14. უცხოურ ვალუტაში საწარმოს შეიძლება ვალდებულება წარმოექმნას, როდესაც:
    - ყიდულობს უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელს, ან მომსახურებას
    - ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელს, ან მომსახურებას
    - უცხოური კომპანიისაგან უსასყიდლოდ ღებულობს ძირითად საშუალებას

15. საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს:
    - ფინანსური ზარალი
    - ფინანსური მოგება
    - ფულადი სახსრების შემცირება

4.2.4. ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1. 2006 წლის იანვარში საწარმომ შეიძინა პატენტი 65000 ლარად, რომლის მოხმარების იურიდიული ვადა 16 წელია, ხოლო საწარმო ვარაუდობს, რომ პატენტის სასარგებლო მომსახურების ვადა მხოლოდ 5 წელია.
   დავალება: მოახდინეთ პატენტის შეძენის და პირველი წლის ამორტიზაციის წრფივი მეთოდით დარიცხვის ბულალტრული გატარება.

2. საწარმომ მოახდინა 15000 ლარის თვითღირებულების მზა პროდუქციის რეალიზაცია, მყიდველისათვის დანიშნულების ადგილამდე პროდუქციის გადაზიდვისათვის გადახდილია სატრანსპორტო ხარჯი 500 ლარი.
   დავალება: მოახდინეთ გაყიდული პროდუქციის და სატრანსპორტო დანახარჯის ხარჯად აღიარების ბურალტრული გატარება, ხარჯების აღრიცხვის მუდმივი მეთოდის გამოყენებით.

3. ბალანსის შედგენის თარიღისათვის სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაა 16 000 ლარი, რომელიც წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის შეადგენდა 12.800 ლარს, ხოლო თვითღირებულება შეადგენს 15.000 ლარს.
   დავალება: მიუთითეთ მარაგების საბალანსო ღირებულება და მოახდინეთ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის აფასების ბუღალტრული გატარება.

4. საწარმო იყენებს მარაგების აღრიცხვის პერიოდულ მეთოდს. შეძენილ იქნა 7000 ლარის ძირითადი და 800 ლარის დამხმარე მასალები უნაღდო ანგარიშსწორებით.
   დავალება: მოახდინეთ აღნიშნული ოპერაციის ბუღალტრული გატარება.

5. საწარმომ ნაღდი ანგარიშსწორებით მოახდინა თავისი კუთვნილი კომპიუტერის გასხვისება 2100 ლარად, რომლის შეძენის თვითღირებულება შეადგენდა 2400 ლარს, დაგროვილი ცვეთა 800 ლარს.

   დავალება: გაინგარიშეთ გაყიდვის შედეგი და მოახდინეთ სათანადო ბუღალტრული გატარება

6. რეალიზებულია 5000 ცალი ჩვეულებრივი აქცია თითოეული 12 ლარად რომლის ნომინალური ღირებულება 7 ლარია.

   დავალება: ჩაწერეთ აქციათა რეალიზაციის ბუღალტრული გატარება.

7. 2006 წლის დასაწყისისათვის შპს "ნიკა და კომპანია"-ს მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების ნაშთი იყო 220000 ლარი. საეჭვო მოთხოვნების კორექტირების ანგარიშის საკრედიტო ნაშთი შეადგენდა 3500 ლარს. ერთერთი მყიდველის გაკოტრების გამო საწარმოს მიერ ჩამოწერილია დებიტორის ვალი 1400 ლარი.

   დავალება: მოახდინეთ აღნიშნული ოპერაციის სათანადო ბუღალტრული გატარება.

8. საწარმომ მომხმარებლისაგან ავანსად მიიღო 8000 ლარი, რომლის ნაწილობრივი (6000 ლარის) დასაქონლება ე.ი. სანაცვლოდ აქტივის მიწოდება მოხერხდა ერთი კვირის შემდეგ. დარჩენილი ავანსი საწარმოს მიერ უკან იქნა დაბრუნებული.

   დავალება: მოახდინეთ:

   ა) ავანსის მიღების

   ბ) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების

   გ) ავანსის დარჩენილი ნაშთის დაბრუნების ბუღალტრული გატარებები

9. მიღებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 24000 ლარის საქონლის შეძენაზე, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით, მომწოდებლი-

სათვის ფული არ არის გადახდილი. განაღდება მოხდა 15 დღის შემდეგ.

დავალება: მოახდინეთ აღნიშნული ოპერაციების – საქონლის შეძენის და განაღდების ბუღალტრული გატარებები.

10. 2006 წლის 1 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად საწარმომ წინასწარ გადარიცხა ივარის წლიური თანხა 24000 ლარი.

დავალება: ჩაწერეთ ბუღალტრული გატარება:

ა) 2006 წლის 1 იანვარს

ბ) 2006 წლის 31 იანვარს

11. 2006 წლის 1 იანვრისათვის საწარმოს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი შეადგენს 840000 ლარს. საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება 120000 ლარია. გასაცემი დივიდენდი შეადგენს 25000 ლარს, ტექნიკური გადაიარაღების მიზნით უნდა შეიქმნას რეზერვი 30000 ლარის ოდენობით.

დავალება: გამოინგარიშეთ საწარმოს გაუნაწილებელი მოგების თანხა 2006 წლის 31 დეკემბრისათვის და მოახდინეთ დივიდენდის გაცემის და რეზერვის შექმნის ბუღალტრული გატარებები.

12. მოცემულია შემდეგი მონაცემები:

	ბასს-ით	სკ-ით	სხვაობები	
			მუდმივი	დროებითი
რეალიზაცია	300 000	300 000		
თვითღირებულება	130 000	130 000		
ადმინისტრ. ხარჯი	45 000	45 000		
ცვეთა	18 000	15 000		
სანქცია საურავი	20 000			

საგადასახადო განაკვეთია 20%.

დავალება:

ა) გამოიანგარიშეთ ფინანსური მოგება და მოგების გადასახადის ხარჯი

ბ) გამოიანგარიშეთ საგადასახადო მოგების გადასახადი

გ) მოახდინეთ სათანადო ბუღალტრული გატარება

13. 2006 წლის ბოლოს ნავთობის საწარმომ შპს "გრუზოილ"-მა გამოაცხადა 40000 ლარის დივიდენდები, რომელსაც გადაიხდის 2006 წლის 10 თებერვალს.

    დავალება: მოახდინეთ დივიდენდების გამოცხადების და განაღდების ბუღალტრული გატარებები.

14. საქართველოში მდებარე ხორბლის დამამუშავებელმა კომბინატმა ამერიკული კომპანიიდან შეიძინა 18000 აშშ. დოლარის ღირებულების დანადგარი 90 დღეში გადახდის პირობით. გადასახდელი თანხიდან 6000 აშშ. დოლარი გადახდილ იქნა ოპერაციის მოხდენისთანავე.

    დავალება: მოახდინეთ შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, თუ ცნობილია:

    გარიგების კურსი $ = 2.11

    საბოლოო სავალუტო კურსი $ = 2.21

    განაღდების კურსი $ = 2.15

    1. ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის

    2. ბალანსის შედგენის თარიღისათვის

    3. განაღდების თარიღისათვის

15. გამოთვალეთ საპროცენტო შემოსავალი 50 დღიანი თამასუქისათვის, გათვლის 365 დღიან საფუძველზე, თუ თამასუქის ნომინალი შეადგენს 10000 ლარს, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 24%-ია.

დავალება: მიუთითეთ თამასუქის მფლობელისათვის გასანაღდებელი თანხა:

4.2.4. ა მ ო ც ა ნ ა ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა ზ ე

ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით:

1. ჩაწერეთ სარეგისტრაციო ჟურნალში ყველა საჭირო ოპერაცია ფინანსური ანგარიშგების ბოლო დღისათვის.
2. მოამზადეთ მოგება-ზარალის უწყისი.
3. მოამზადეთ ბალანსი.
4. მოგების გადასახადი შეადგენს 20%-ს

	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
1110 ფული	28675	
1410 მოთხოვნები მოწოდებიდან	10600	
1415 საეჭვო მოთხოვნების კორექტირება		450
1510 თამასუქები	250	
1610 მარაგები	20250	
1790 აკანსად გადახდილი დაზღვევა	100	
1820 მისაღები პროცენტები	25	
2110 მიწა	2000	
2130 შენობა	40000	
2150 დანადგარები	22750	
2230 დარიცხული ცვეთა შენობების		25000
2250 დარიცხული ცვეთა დანადგარების		9000
3110 კრედიტორული დავალიანება		6750
3120 მიღებული ავანსები		150
3410 გადასახდელი დარიცხული პროცენტები		125
4120 გადასახდელი თამასუქები		12500
5110 ჩვეულებრივი აქციები		42500
5310 გაუნაწილებელი მოგება		8325
6110 შემოსავალი რეალიზაციიდან		106300
7200 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	45000	
7390 გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	30000	
7410 შრომის ანაზღაურების ხარჯები	5900	
7435 დაზღვევის ხარჯი	50	
7455 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	4750	
8210 ხარჯები პროცენტის სახით	750	
	211100	211100

სარეგისტრაციო ჟურნალი

თარიღი	ოპერაციის აღწერილობა	გადატანის №№	დებეტი	კრედიტი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემოსავლები რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
მთლიანი მოგება	
საოპერაციო ხარჯები: *მიწოდების ხარჯები* *საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები*	
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	
მთლიანი საოპერაციო მოგება	
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები საპროცენტო ხარჯი	
მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
მოგება გადასახადების და გაუთვალისწინებელი მოგების ჩათვლამდე	
მოგების გადასახადი	
შემოსავალი გაუთვალისწინებელი მოგების (ზარალის) ჩათვლამდე	
გაუთვალისწინებელი მოგება / ზარალი (გამოკლებული საშემოსავლო გადასახადები)	
სუფთა მოგება	

ბალანსი
31.12.2006 წელი

აქტივები	პერიოდის ბოლოს
გრძელვადიანი აქტივები:	
სულ გრძელვადიანი აქტივები:	
მოკლევადიანი აქტივები:	

სულ მოკლევადიანი აქტივები:	
სულ აქტივები:	
საკუთარი კაპიტალი	
სულ საკუთარი კაპიტალი	
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები:	
სულ ვალდებულებები	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	

ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეადგინეთ ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით

საწარმო „X„

ბ ა ლ ა ნ ს ი

31 დეკემბერი 2005 - 2006 წწ. (ლარებში)

აქტივები	2005	2006
ფულადი სახსრები	15000	31500
დებიტორული დავალიანება	30000	45000
მარაგები	45000	39000
ძირითადი საშუალებები	75000	105000
დარიცხული ამორტიზაცია	(7500)	(15000)
სულ აქტივები	157500	205500
ვალდებულებები და კაპიტალი		
კრედიტორული დავალიანება	22500	13500
დარიცხული მიმდინარე ვალდებულებები		3000
ჩვეულებრივი აქციები	90000	135000
გაუნაწილებელი მოგება	45000	54000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	157500	205500

საწარმო „X„
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
(ლარებში)

რეალიზაცია	210000
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	150000
მთლიანი მოგება	60000
ოპერაციული ხარჯები (ცვეთის გარდა)	37500
ცვეთა	7500
სუფთა მოგება	15000

დამატებითი ინფორმაცია საწარმო „X„ის 2006 წლის საქმიანობის შესახებ:

1. 2006 წელს შეძენილ იქნა 30000 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები;
2. გამოშვებული იყო 45000 ლარის ჩვეულებრივი აქცია (რომელიც გაიყიდა ნომინალური ღირებულებით 10 ლარად);
3. 2006 წელს გამოცხადდა და გადაიხადეს 6000 ლარის დივიდენდი.

საწარმო „X„
ფულის მოძრაობის ანგარიშგება
2006 წელი
(პირდაპირი მეთოდი)

ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	
მომხმარებლისაგან მიღებული ფული	
მომწოდებლისაგან გადახდილი ფული	
ოპერაციული ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფული	
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	
ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	
გადახდილი დივიდენდები	
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	
ფულისა და მისი ექვივალენტის ნაშთი პერიოდის დასაწყისში	
ფულისა და მისი ექვივალენტის ნაშთი პერიოდის ბოლოს	

ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	
დებიტორული დავალიანების ცვლილება	
მარაგების ცვლილება	
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	
დარიცხული მომწინარე ვალდებულებების ცვლილება	
ამორტიზაცია	
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	

4.2.5. საკონტროლო დავალება ვარიანტი მეორე

ტესტები

1. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების რომელი მომხმარებლები არიან დაინტერესებულნი ქვეყნის ეკონომიკური რესურსების განაწილებით?
   - აქციონერები
   - მთავრობები
   - საკრედიტო ორგანიზაციები

2. ინფორმაცია, რომელიც არ აისახება უშუალოდ ბალანსში არის:
   - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
   - რეზერვები
   - მიმოქცევაში მყოფი აქციების რაოდენობა

3. მოგებისა და ზარალის ანგარიშგების რომელი ტიპის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია "ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგებში"?
   - ხარჯების დაჯგუფება ფუნქციების მიხედვით
   - ხარჯების დაჯგუფება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

4. ბალანსის შედგენის თარიღისათვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა აღირიცხება:
    - თვითღირებულებით
    - თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით
    - საბაზრო ღირებულებით

5. საეჭვო მოთხოვნების კორექტირება არის:
    - დებიტორული დავალიანების კონტრანგარიში
    - სადებეტო ანგარიში
    - ვალდებულება

6. პროცენტი თამასუქის გამცემისათვის არის:
    - საპროცენტო შემოსავალი
    - საპროცენტო ხარჯი
    - არც ერთი

7. მეიჯარე იჯარის დასაწყისში ფინანსურ იჯარას აღიარებს:
    - დებიტორულ დავალიანებად
    - აქტივად და ვალდებულებად
    - აქტივად

8. ოფიციალური ნებართვა იმ საქმიანობაზე, რისი კეთებაც ნებართვის გარეშე არ შეიძლება არის:
    - სავაჭრო ნიშანი
    - ლიცენზია
    - პატენტი

9. არამატერიალური აქტივები უნდა შეფასდეს:
    - თვითღირებულებით
    - საბაზრო ღირებულებით
    - გადაფასებული ღირებულებით

10. ბალანსის შედგენის თარიღისათვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაზრდილია. ნაზარდი თანხა აისახება:
    - გადაფასების რეზერვის ანგარიშზე
    - შემოსავლის სახით
    - ხარჯის სახით

11. მეკავშირე საწარმო ისეთი ტიპის საწარმოა, რომელშიც ინვესტორს გააჩნია:
    - კონტროლის უფლება
    - მნიშვნელოვანი ზეგავლენის უფლება
    - არ გააჩნია არც ერთი

12. გამოსყიდული საკუთარი აქციები ფასდება შეძენის ფაქტიური ღირებულებით. ეს ოპერაცია:
    - ამცირებს როგორც საწარმოს აქტივებს, ასევე საკუთარ კაპიტალს
      ამცირებს საწარმოს აქტივებს, ზრდის საკუთარ კაპიტალს
    - ზრდის საწარმოს აქტივებს, ზრდის საკუთარ კაპიტალს

13. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც:
    - საანრიცხვო მოგება მეტია საგადასახადო მოგებაზე
    - საგადასახადო მოგება მეტია საანრიცხვო მოგებაზე
    - საგადასახადო მოგება ტოლია საანრიცხვო მოგების

14. მომსახურების მიწოდების შედეგების შეფასება საიმედოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი პირობები:

15. რას ნიშნავს ტერმინი "ხარჯები"? საწარმოს მიერ ფულის გადახდა ნიშნავს თუ არა იმას, რომ მიმდინარე საანგარიშვო პერიოდში გაწეულ იქნა ხარჯები? პასუხი დაასაბუთეთ.

16. ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით ჩამოთვალეთ ინვესტიციების კატეგორიები:

17. რა არის გადავადებული საგადასახადო აქტივი?

18. რას წარმოადგენს თამასუქის გასანაღდებელი თანხა?

4.2.5. ამოცანები

19. საწარმოში 1 000 ცალი პროდუქციის თვითღირებულების დასადგენად გამოყენებული დანახარჯებია:

პირდაპირი დანახარჯები:

პირდაპირი ხელფასი	2 000
დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე	740
ძირითადი მასალები	2 500

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები:

საწარმოო შენობის და მოწყობილობის ცვეთა	280
წარმოების მართვის დანახარჯები	120
მოწყობილობის ექსპლუატაციის დანახარჯი	350

ცვალებადი საწარმოო ზედნადები დანახარჯები:

დამხმარე მუშების ხელფასი	500
დანარიცხები მუშების ხელფასზე	155
დამხმარე მასალა	250

დავალება:
გამოიანგარიშეთ პროდუქციის თვითღირებულება

20. დავუშვათ, რომ X წლის განმავლობაში საწარმომ შეისყიდა 10 000 წიგნი შემდეგი თანმიმდევრობით:

თარიღი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1 იანვარი	800	7,00	5 600
8 მარტი	2 200	7,50	16 500
23 ივნისი	4 000	7,25	29 000
15 სექტემბერი	3 000	7,40	22 200
ჯამი	10 000		73 300

წლიური რეალიზაცია შეადგენს 120 000 ლარს. წლის ბოლოს არსებული მარაგი 1 000 წიგნია.

დავალება:

ა) გამოიანგარიშეთ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება "ლიფო" მეთოდით:

ბ) გამოიანგარიშეთ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება "საშუალო შეწონილი ღირებულების" მეთოდით:

21. საწარმომ შეიძინა 800 ლარის ღირებულების ძირითადი ნედლეული და მასალები. ფული გადახდილია სალაროდან.

დავალება:

მოახდინეთ აღნიშნული ოპერაციის ბუღალტრული გატარება მარაგების მუდმივი აღრიცხვისას

22. შეძენილია ძირითადი საშუალება 12 000 ლარად ღირებულების 30 დღის გადახდის პირობით. ამასთან, თუ ფული გადახდილი იქნება 10 დღეში, გადასახდელი თანხა შემცირდება 3%-ით, 20 დღეში გადახდისას 2%-ით. საწარმომ თანხა დაფარა 10 დღეში.

დავალება:

მოახდინეთ აღნიშნული ოპერაციის ბუღალტრული გატარება მთლიანი ღირებულებით აღრიცხვის მეთოდით.

23. ფირმა "არიზონა"-მ შეიძინა ავტომობილი, რომლის ღირებულება 18 000 ლარია. ავტომობილის სასარგებლო მოხმარების ვადა 5 წელია. ხუთი წლის შემდეგ ვარაუდობენ, რომ ავტომობილის ნარჩენი ღირებულება 3 000 ლარი იქნება. ფირმა ვარაუდობს, რომ ავტომობილი ხუთი წლის განმავლობაში 60 000 კმ-ს გაივლის.

დავალება:

დავუშვათ, რომ ავტომობილმა პირველ წელს გაიარა 11 000 კმ, მეორე წელს – 14 000 კმ, მესამე წელს –

10 000 კმ, მეოთხე წელს – 12 000 კმ, მეხუთე წელლს – 13 000 კმ. გამოთვალეთ ცვეთა ხუთივე წლისათვის. გამოიყენეთ ცვეთის დარიცხვა მწარმოებლობის პროპორციული მეთოდით.

24. 23-ე ამოცანის მონაცემების საფუძველზე გამოთვალეთ ცვეთა ხუთივე წლისათვის. გამოიყენეთ ცვეთის წრფივი მეთოდი.

25. მოახდინეთ ძირითადი საშუალებების გაყიდვის ბუღალტრული გატარება მოგების მიღების შემთხვევაში.

26. საწარმოში აღდგენილია მოთხოვნა 1 400 ლარის ოდენობით, რომელიც ჩამოწერილი იყო იმის გამო, რომ საწარმომ თავის დროზე ვერ მიაკვლია გადამხდელის ადგილსამყოფელს და მოთხოვნა უიმედოდ ჩათვალა. მოთხოვნის აღდგენა მოხდა მყიდველის იმ პირობებიდან გამომდინარე, რომ ვალს აუცილებლად გადაიხდის უახლოეს 10 დღეში.

დავალება

მოახდინეთ ამ ოპერაციის ბუღალტრული გატარება:

27. გადასახდელია პროცენტი 120 დღიანი თამასუქისათვის 360 დღიან საფუძველზე. თამასუქის ნომინალი შეადგენს 15 000 ლაეს. საპროცენტო განაკვეთი 24 პროცენტია.

დავალება

გამოიანგარიშეთ გადასახდელი პროცენტის თანხა

28. შეადგინეთ საიჯარო გადასახდელის განაწილების გრაფიკი შემდეგი მონაცემებით:

წელი	საიჯარო გადასახდელი	ფინანსური ხარჯი	საიჯარო ვალდებულების შემცირება	საიჯარო ვალდებულების ნაშთი
იჯარის დაწყისი				
I	1 200			
II	1 200			
III	1 200			
ჯამი	3 600			

საპროცენტო განაკვეთი წლიურად 10 პროცენტია

29. შეძენილია არამატერიალური აქტივი 20 000 ლარად. ფული გადახდილი იქნება 1 წლის შემდეგ. გადახდის განვადებასთან დაკავშირებით გადახდილ იქნება წლიური 10%.

დავალება

მოახდინეთ ამ ოპერაციის ბულალტრული გატარება თუ საწარმო არ ახდენს სესხის პროცენტის კაპიტალიზაციას.

30. საწარმომ შეიძინა A საწარმო 200 000 ლარად და გააუქმა იგი როგორც იურიდიული პირი. შეძენილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით შესაბამისად შეადგენდა 210 000 და 70 000 ლარს. რეალური ღირებულება 250 000 და 70 000 ლარია.

დავალება

გამოიანგარიშეთ გუდვილის თანხა და მოახდინეთ ამ ოპერაციის ბულალტრული გატარება.

31. საწარმომ X წლის 31 მარტს 50 000 ლარად შეიძინა K საწარმოს 60 ობლიგაცია. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 1 000 ლარია. ბროკერს გადაუხადეს 1 500 ლარი. ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი წლიუ-

რად 15 %-ია. ფულადი სახსრების მოძრაობა მოხდა საბანკო ანგარიშის გამოყენებით.

დავალება

გამოიანგარიშეთ ობლიგაციის შეძენის ღირებულება, გამოუშავებული პროცენტი და მოახდინეთ ამ ოპერაციის ბუღალტრული გატარება.

32. საწარმოს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი X წლის 31 დეკემბერს 936 000 ლარია. საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება 64 000 ლარია და დივიდენდები კი 50000 ლარი.

დავალება

გამოიანგარიშეთ საწარმოს გაუნაწილებელი მოგების თანხა X წლის 31 დეკემბისათვის.

33. მოცემულია შემდეგი მონაცემები:

მუხლები	ბასს-ით	საგადასახადო კოდექსის მიხედვით
რეალიზაცია	180 000	
თვითღირებულება	80 000	
ადმინისტრაციული ხარჯი	15 000	
ცვეთა	16 000	
მოგება დაბეგვრამდე	69 000	

მოგების გადასახადის განაკვეთი 20 პროცენტია;

ცვეთა საგადასახადო კოდექსის მიხედვით – 17 000 ლარია.

დავალება:

ა) საგადასახადო კოდექსის მიხედვით გამოიანგარიშეთ მოგება დაბეგვრამდე:

ბ) გამოიანგარიშეთ სააღრიცხვო მოგების გადასახადის სიდიდე:

გ) გაინაგარიშეთ საგადასახადო მოგების გადასახადის სიდიდე:

დ) ჩაწერეთ მოგების გადასახადის დარიცხვის გატარება:

34. X წლის 15 ნოემბერს სავაჭრო კომპანიამ უცხოელ პარტნიორებს მიჰყიდა ჩაი, რომლის ღირებულებაა 50 000 $. თანხა უნდა გადაიხადონ 90 დღეში.
ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის 1 $ 1,30 ლარი;
დავალიანების დაფარვის დღეს 1 $ = 1,25 ლარი.
დავალება:
გამოიანგარიშეთ სამივე პერიოდის შედეგები და მოახდინეთ ამ ოპერაციის ბულალტრული გატარებები

35. ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეადგინეთ ბალანსი კომპანია "ა"-სათვის 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 2006 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.

დავალება:

1. ჩაწერეთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგების დასახურავად საჭირო გატარებები.
2. ჩაწერეთ ოპერაცია მოგებისა და ზარალის ანგარიშის დასახურავად.
3. მოგების გადასახადი შეადგენს 20%-ს.
4. მოამზადეთ მოგებისა და ზარალის უწყისი.
5. მოამზადეთ ბალანსი.

ანგარიში	დასახელება	დებეტი	კრედიტი
1110	ფული	13 680	
1410	დებიტორული დავალიანება	12 720	
1610	მარაგები	18 800	
2160	ოფისის მოწყობილობა	18 480	
2260	ოფისის მოწყობილობის ცვეთა		5 200
3110	კრედიტორული დავალიანება		12 880
3130	გადასახდელი ხელფასები		1 680
5110	ჩვეულებრივი აქციები		9 440
5310	გაუნაწილებელი მოგება		4 880
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	1 440	151 520
6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება	79 280	
7210	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6 320	
7310	რეკლამის ხარჯები	13 680	
7320	რეალიზაციის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხარჯი	19 280	
7410	ოფისის თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი	1 920	
7455	ოფისის მოწყობილობების ცვეთის ხარჯი		
		185 600	185 600

მ თ ა ვ ა რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

№	ბუღალტრული გატარება	დებეტი	კრედიტი

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
2005 წლის 1 იანვრიდან
2006 წლის 1 იანვრამდე

ამონაგები რეალიზაციიდან რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
მთლიანი მოგება	
საოპერაციო ხარჯები: ცვეთა მიწოდების ხარჯები საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მთლიანი საოპერაციო ხარჯები	
მთლიანი საოპერაციო მოგება	
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები შემოსავალი ინვესტიციებიდან სხვა შემოსავალი და ხარჯები	
მთლიანი არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები	
მოგება გადასახადებისა და გაუთვალისწინებელი მოგების ჩათვლამდე	
მოგების გადასახადი	
შემოსავალი გაუთვალისწინებელი მოგების (ზარალის) ჩათვლამდე	
გაუთვალისწინებელი მოგება / ზარალი (გამოკლებული საშემოსავლო გადასახადები)	
სუფთა მოგება	

ბალანსი
01.01.2006 წელი

ა ქ ტ ი ე ბ ი	პერიოდის დასაწყ
მიმდინარე აქტივები:	
მთლიანი მიმდინარე აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები:	

მთლიანი აქტივები	
ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი	
მიმდინარე ვალდებულებები	
მთლიანი ვალდებულებები	
ს ა კ უ თ ა რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი	
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	

36. ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეადგინეთ ნაღდი ფულის მოძრაობის ანგარიშგება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით.

კ ო მ პ ა ნ ი ა "ა ვ ა ნ გ ა რ დ ი"
ბ ა ლ ა ნ ს ი
31 დეკემბერი 2005-2006 წწ.
(ლარებში)

ა ქ ტ ი ვ ე ბ ი	2005	2006
ფულადი სახსრები	12 500	26 250
დებიტორული დავალიანება	25 000	37 500
მარაგები	37 500	32 500
ძირითადი საშუალებები	62 500	87 500
დარიცხული ამორტიზაცია	6 250	12 500
სულ აქტივები	131 250	171 250
ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი		
კრედიტორული დავალიანება	18 750	11 250
დარიცხული მიმდინარე ვალდებულებები		2 500
ჩვეულებრივი აქციები	75 000	112 500
გაუნაწილებელი მოგება	37 500	45 000
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	131 250	171 250

კომპანია "ავანგარდი"
მოგების და ზარალის ანგარიშგება
(ლარებში)

რეალიზაცია	175 000
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	125 000
მთლიანი მოგება	50 000
ოპერაციული ხარჯები (ამორტიზაციის გარდა) 31250	
ამორტიზაცია 6 250	37 500
სუფთა მოგება	12 500

დამატებითი ინფორმაცია კომპანია "ავანგარდი"-ს 2006 წლის საქმიანობის შესახებ:

1. 2006 წელს შეძენილი იქნა 25 000 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები;
2. გამოშვებული იყო 37 500 ლარის ჩვეულებრივი აქცია (რომლებიც გაიყიდა ნომინალური ღირებულებით);
3. 2006 წელს გამოცხადდა და გადაიხადეს 5 000 ლარის დივიდენდი.

კომპანია "ავანგარდი"
ფულის მოძრაობის ანგარიშგება
2006 წელი
(პირდაპირი მეთოდი)

ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	
მომხმარებლისაგან მიღებული ფული	
მომწოდებლისათვის გადახდილი ფული	
ოპერაციული ხარჯების დასაფარავად გადახდილი ფული	
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	
ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	
გადახდილი დივიდენდები	
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	

(არაპირდაპირი მეთოდი)

ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	
დებიტორული დავალიანების ცვლილება	
მარაგების ცვლილება	
კრედიტორული ანგარიშების ცვლილება	
დარიცხული მიმდინარე ვალდებულებების ცვლილება	
ამორტიზაცია	
წმინდა ფულადი ნაკადი ძირითადი საქმიანობიდან	

განაყოფი მეორე.
საწარმოს (კორპორაციის) საქმიანობის ფინანსური ინფორმაციების მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდურ - პრაქტიკული ასპექტები

თავი V. საწარმოს (კორპორაციის) საქმიანობის მმართველობითი (მენეჯერული) ანალიზის ასპექტები

5.1. საწარმოს საქმიანობის მენეჯერული ანალიზის მეთოდიკა

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსურ მენეჯერს პრაქტიკულ საქმიანობაში უხდება სხვადასხვა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ძალზე ხშირად ფინანსური დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარეობს.

საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ამოცანები გამომდინარეობს ანალიზის მიზნებიდან. ანალიზის პროცესში, რომელიც წარიმართება ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის მაჩვენებელთა შესწავლა-შეფასებით, გამოვლინდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედება საწარმოთა სამეურნეო პროცესებისა და საქმიანობის საბოლოო შედეგებზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია საწარმოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიაში გათვითცნობიერება, ანალიზის ჩატარების მეთოდიკის ცოდნა ბიზნეს საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან შესაფასებლად და დასაბუთებული ოპტიმალური გადაწყვეტილებების მისაღებად.

სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ობიექტებია საწარმოს საქმიანობის ყველა მხარე: პროდუქციის, სამუშაოების (მომსახურების) წარმოება და რეალიზაცია; დანახარჯები წარმოებასა და რეალიზაციაზე, მოგება, რენტაბელობა და საფინანსო მდგომარეობა; საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების; მეცნიერებისა და ტექნიკის

უახლოესი მიღწევების დანერგვის; ენერგიის დანახარჯის პროგრესული ნორმების; მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა და ა.შ.

საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას. მართვის სისტემა მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციებს, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემით (იხ. 5.1.):

აღრიცხვა → ანალიზი → მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება → დაგეგმვა

სქემა 5.1. მართვის სისტემა

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, როგორც სპეციალური ეკონომიკური დისციპლინა, ჩამოყალიბდა საწარმოს პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე. კერძოდ, პრაქტიკულმა საქმიანობამ განაპირობა მმართველობითი ინფორმაციების ანალიზური დამუშავება, გეგმების შესრულების შეფასება, იმ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც ზემოქმედებენ სამეურნეო პროცესების მიმდინარეობასა და განაპირობებენ საბოლოო შედეგებს.

ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომებში ფართოდ არის გაშუქებული სამეურნეო საფინანსო საქმიანობის ანალიზის მეცნიერული საფუძვლები, ანალიზის ჩატარების ძირითადი პრინციპები და თავისებურებანი.[1] წინამდებარე ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ სამეურნეო საქმიანობის კომპლექსურ ანალიზის მახასიათებლებს (იხილეთ ბლოკსქემა 5.2.) რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიური ანალიზის ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან. კერძოდ:

ა) საწარმოს სამმართველო ინფორმაციების ანალიზის პროცესში:

– საწარმოს ბიზნეს-გეგმების (პროგრამების) და მათთან დაკავშირებული ნორმატივების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დადგენა,

[1] ედ. ცირამუა – "სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა)", თბ., 1999, 256 გვ.

– საწარმოო პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ობიექტური ოპერაციული შეფასება,

– წარმოების დანახარჯების სტრუქტურის დადგენა და მათი ფუნქციონალური და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ანალიზის ჩატარება,

– მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების შეფასება,

– საწარმოს შინაგანი ფარული რეზერვების გამოვლენა-გაზომვა და მათი გამოსაყენებლად ქმედითი ღონისძიების დასახვა და პრაქტიკაში დანერგვა.

ბ) საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში:

– ბალანსის მონაცემების საფუძველზე გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგომარეობის დადგენა და მათი ცვალებადობის კოეფიციენტების განსაზღვრა,

– დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დინამიკის გამოკვლევა,

– მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და მათი გავლენის შეფასება,

– საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შეფასება,

– ფულადი სახსრების ნაკადების დადგენა და მათი დენადობის დაჩქარების გზების ძიება,

– საწარმოს ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) გამოკვლევა და საწარმოს საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასება და სხვ.

საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის საფინანსო და სამმართველო მაჩვენებლების კომპლექსური ანალიზის ბლოკ-სქემა

ბლოკი 1. ობიექტის წარმოშობის ისტორიის გაცნობა, მიღწეული მდგომარეობის და პერსპექტივების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზოგადი ანალიზი
ბლოკი 2. პროდუქციის, სამუშაოების და მომსახურების მოცულობის სტრუქტურისა და ხარისხის ანალიზი
ბლოკი 3. წარმოების დანახარჯების ანალიზი
ბლოკი 4. ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და არამატერიალური აქტივების ანალიზი
ბლოკი 5. მატერიალური რესურსების გამოყენების ანალიზი
ბლოკი 6. შრომითი რესურსებისა და ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზი
ბლოკი 7. პროდუქციის რეალიზაციის ანალიზი
ბლოკი 8. ფინანსური შედეგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზი
ბლოკი 9. მიმდინარე აქტივების ანალიზი
ბლოკი 10. დებიტორული დავალიანების ანალიზი
ბლოკი 11. კრედიტორული დავალიანების ანალიზი
ბლოკი 12. საკუთარი კაპიტალის ანალიზი
ბლოკი 13. მოგებისა და ზარალის ანგარიშის ანალიზი
ბლოკი 14. ლიკვიდურობის ანალიზი
ბლოკი 15. ფულადი სახსრების დენადობისა და ფინანსური პროგნოზების ანალიზი
ბლოკი 16. აქტივების გამოყენებისა და ინვესტიციებიდან მიღებული მოგების ანალიზი
ბლოკი 17. ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი.

ნახ. 5.2. კომპლექსური ანალიზის ბლოკ-სქემა

განვიხილოთ კომპლექსური ანალიზის ცალკეული ელემენტები. კერძოდ:

ა) ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ანალიზი

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ანალიზი მოიცავს:

1). ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ძირითადი მაჩვენებლების: ფონდუკუგებისა და ფონდტევადობის მაჩვენებლების განსაზღვრას, ამ მაჩვენებელთა მატერიალური წარმოების სფეროში ეფექტურად გამოყენების დინამიკის შეფასებას,

2). შრომის საშუალებების გამოყენების (მოხმარების) ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებას, რომელიც აისახება პროდუქციის ღირებულებაში ცვეთის (ამორტიზაციის) ხვედრითი წილის განსაზღვრაში. ცნობილია, რომ ტექნიკის (ტექნოლოგიების) სრულყოფისა და ზრდის პირობებში წლიური საამორტიზაციო ანარიცხების (ცვეთის – შრომის საშუალებების მოხმარებული ღირებულება) ღირებულებაც იზრდება, შესაბამისად იზრდება მისი წილი წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ უფრო მაღალმწარმოებლური დანადგარების და მოწყობილობების (ახალი ტექნიკის გამოყენებით) იზრდება ასევე პროდუქციის წარმოება, რაც ჩვეულებრივად, ერთეული პროდუქციის ღირებულების მიმართებაში ამორტიზაციის ანარიცხების თანხა შემცირებას უზრუნველყოფს. ახალი ტექნიკის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ვლინდება წარმოების დანახარჯების ელემენტების, ძირითადად შრომაზე დანახარჯების ელემენტის მეშვეობით.

ძირითადი ფონდების ეფექტურად გამოყენების შეფასებისა და ანალიზის პროცესში პრაქტიკაში მიღებული გაანგარიშებათა მაგალითებია ქვემოთ განხილული.

მოვიყვანოთ ინფორმაცია (იხ. ცხრილი 5.1.)

ინფორმაციები საწარმოს ძირითადი მაჩვენებლების შესახებ

ცხრილი 5.1.

№	მაჩვენებლები	2004 წ. (საბაზისო)	2005 წ. საანგარ.	გადახრა (+, -)	მატების ტემპი %
1.	მზა პროდუქციის ღირებულება, Q ათას ლარებში	2140,6	2236,0	+95,4	104,4
2.	ძირითადი საშუალებების საშუალო-წლიური ღირებულება, F ათას ლარებში	2300,5	2347,2	+46,7	102,0
3.	ფონდუკუგება 1 ლარის საშუალებებზე, ლარებში (Y^F)	0,9305	0,9526	+0,0221	102,4
4.	ამორტიზაცის (ცვეთის) ანარიცხების სიდიდე მზა პროდუქციასთან მიმართებაში (A) ათას ლარებში	192,6	203,5	+10,9	105,6
5	მზა პროდუქციის წარმოებაზე შრომის საგნების დანახარჯები, M ათას ლ.	991,0	1011,8	20,8	102,1
6	მატერიალური უკუგება – Y^M ლარი (1 ლ. შრომის საგნებზე პროდუქციის გამოსავლიანობა)	2,16	2,21	+0,05	102,3
7	საწარმოს საწარმოო პერსონალის საშუალო წლიური სიობრივი რიცხვი R კაცი	486	490	+4	100,8
8	1 მუშაკზე საშუალო წლიური გამომუშავება Y^R ლარი	4405	4563	+148	103,6

განსაზღვრა №1. ცხრილი 5.1.-ის მონაცემების საფუძველზე ფონდუკუგებას (Y^F) განვსაზღვრავთ შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Y^F_{\text{ფონდუკუგება}} = \frac{\text{Q-მზა პროდუქციის ღირებულება}}{\text{F- ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება}} \qquad (5.1)$$

2004 წელს:

$$Y^F = \frac{2140,6}{2300,5} = 0,9305 ;$$

2005 წელს:

$$Y^F = \frac{2236,0}{1347,2} = 0,9526$$

ანალიზური დასკვნები:

2005 წელს ფონდუკუგება 2004 წლის მიმართებაში შეადგენს 102,4% და გაიზარდა (0,9526 - 0,9305) 2,2 თეთრით 1 ლარის პროდუქციაზე მიმართებაში. შესაბამისად, ფონდტევადობამ (ფონდუკუგების შებრუნებული მაჩვენებელი) შეადგინა 2004 წელს 1,074 (2300,5:2140,4) და 2005 წელს 1,049 (2347,2:2236,0), შესაბამისად შემცირდა 2,5 თეთრით.

ცხრილი 5.1.-ის მონაცემებიდან ამორტიზაციის ანარიცხები (ცვეთა) 2004 წ. 192,6 ათ. ლარს, ხოლო 2005 წელს 203,5 ლარს. შეადგენს. შესაბამისად, 1 ლარის პროდუქციაზე ამორტიზაციის ტევადობამ შეადგინა 2004 წელს 9 თეთრი (192,6:2140,6), ხოლო 2005 წელს 10,5 (203,5:2236) თეთრი, რაც მიუთითებს 1 ლარის პრდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ზრდაზე. რომელიც, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს საწარმოს მოგების მაჩვენებელზე.

განსაზღვრა №2. ცხრილი 5.1.-ის საფუძველზე განვსაზღვროთ პროდუქციის წარმოების მატებაზე მოქმედი ფაქტორები: ექსტენსიური (ძირითადი ფონდების ღირებულების ზრდით) და ინტენსიური

(ფონდუკუგების ცვლილების) მაჩვენებლების მიხედვით შემდეგი ორი მეთოდის გამოყენებით:

1) საინდექსო ჯაჭვური ჩასმის მეთოდით:

ა) ძირითადი ფონდების ღირებულების ცვლილებით (ΔQ_F)

$\Delta F_Q = \Delta F \times Y_0^F$, (5.2) 46,7 x 93,05 =43,5 ათ. ლარი

ბ) ფონდუკუგების ცვლილებით (ΔQ_Y)

$\Delta Y_Q = \Delta Y \times F_1$, (5.2) 2,21 x 2347,2 =51,9 ათ. ლარი

ორივე ფაქტორის გამოვლენის ჯამი უდრის 95,4 ათას ლარს.

2) ფაქტორული ანალიზის ინტეგრალური მეთოდით:

ა) ძირითადი ფონდების ღირებულების ცვლილებით (ΔQ_F)

$$\Delta F_Q = \Delta F \times Y_0^F + \frac{\Delta Y^F \times \Delta F}{2} = 46,7 \times 93,05 + \frac{2,21 \times 46,7}{2} = 43,5 \text{ ათ. ლარი}$$

ბ) ფონდუკუგების ცვლილებით (ΔQ_Y)

$$\Delta F_Q = F \times \Delta Y^F + \frac{\Delta Y^F \times \Delta F}{2} = 2300,5 \times 0,0221 + \frac{0,0221 \times 46,7}{2} = 51,9 \text{ ათ. ლ.}$$

ორივე ფაქტორის გავლენის ჯამი (43.5 + 51,9) 95,4 ათასი ლარი.

ბ) შრომის საგნების გამოყენების (მატერიალური უკუგების) ანალიზი

შრომის საგნების გამოყენების საერთო მაჩვენებელი არის ვარგისი პროდუქციის გამოსავლიანობა (მაგ. ბამბის ბოჭკოდან ბამბის, მადნეულიდან თუჯის და ა.შ.) და მასალების გამოყენების კოეფიციენტი (გაიანგარიშება როგორც ცალკეულ მასალაზე, ასევე საწარმოს უბნების, დანაყოფების, საამქროების და ა.შ.). ეს უკანასკნელი მიუთითებს მასალების ყარაოთიან გამოყენებაზე. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ცხრილის 5.1. მონაცემების საფუძველზე შრომის საგნების დანახარჯების დინამიკას და განვსაზღვრავთ მატერიალურ უკუგების მაჩვენებლებს შემდეგი ფორმულის გამოყენებით.

განსაზღვრა 1. წარმოებაში მოხმარებული შრომის საგნების რაოდენობის ცვლილება

$$\Delta Q_M = Y_0^M \times \Delta F + \frac{\Delta Y^M \times \Delta M}{2} = 2{,}16 \times 20.8 + \frac{0{,}05 \times 20{,}8}{2} = 45{,}4 \text{ ათ. ლარი}$$

განსაზღვრა 2. მატერიალურუკუგების ცვლილების გავლენა

$$\Delta QY_M = M \times \Delta Y^M + \frac{\Delta Y^M \times \Delta M}{2} = 991{,}0 \times 0{,}05 + \frac{0{,}05 \times 20{,}8}{2} = 50{,}0 \text{ ათ. ლ.}$$

ორივე ფაქტორის ცვლილების გავლენის თანხა უდრის 95,4 ათას. ლარს (45,5+50,0), რომელიც შესაბამისობაშია 2005 და 2004 წლების წარმოებული პროდუქციის დინამიკის 2236,0-2140,6=95,4 ათასი ლარის მაჩვენებელთან. კერძოდ: 2005 წლის (საანგარიშო) და 2004 წლის (საბაზისო) შესაბამისი მაჩვენებლებია 2236,0 და 2140,6 ათასი ლარი, რომელიც ხასიათდება ზრდით ანუ 95,4 ათასი ლარის დინამიკით

3) შრომის ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) ანალიზი

ცნობილია, რომ შრომა სამუშაო ძალის მოხმარება, ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობაა, რომლის პროცესში ადამიანები ბუნების საგნებს სახეს უცვლიან და იყენებენ თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების გამოყენების (ათვისების) ანალიზი, რომელიც მოიცავს სამუშაო ძალის გამოყენებისა და შრომის ანაზღაურების (ხელფასის) მიმართულებით კვლევის გახორციელებას.

შრომის ნაყოფიერების ანალიზი იკვლევს შრომის ნაყოფიერების დონეს (გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და დახარჯული სამუშაო დროის შეფარდებით), შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედ ექსტენსიურ და ინტენსიურ ფაქტორებს, მათ დინამიკასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესაძლებლობებს. შრომის ნაყოფიერების ზრდა არის საფუძველი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების საკითხებში ცხრილი 5.1. საფუძველზე განვსაზღვრავთ შრომის ნაყოფიერების დინამიკას და მისი

გავლენის სიდიდეს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე.

განსაზღვრა 1. ინტერვალური მეთოდის გამოყენებით საწარმოო პერსონალის საშუალო წლიური სიობრივი რიცხვის გავლენა

$$\Delta Q_R = Y_0^R \times \Delta R + \frac{\Delta Y^R \times \Delta R}{2} = 4405 \times 4 + \frac{158 \times 4}{2} = 18{,}0 \text{ ათ. ლარი}$$

განსაზღვრა 2. შრომის ნაყოფიერების გავლენა

$$\Delta Q_{YR} = R_0 \times \Delta Y^R + \frac{\Delta Y^R \times \Delta R}{2} = 486 \times 158 + \frac{158 \times 4}{2} = 77{,}4 \text{ ათ. ლარი}$$

ორივე ფაქტორის ცვლილების გავლენა არის 95,4 ათასი ლარი (18,0+77,4), რაც შესაბამისობაშია წარმოებული პროდუქციის დინამიკასთან (2236,0 – 2140,6) 95,4 ათასი ლარი – პროდუქციის მოცულობის მატების მიმართებაში.

დ) პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მაჩვენებელთა ანალიზი

პროდუქციის წარმოების მოცულობისა და რეალიზაციის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანებია: წარმოების მოცულობის, სტრუქტურის, ხარისხის დინამიკისა და გეგმის მაჩვენებელთა შეფასება; წარმოებისა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებლებზე ძირითადი ფაქტორების გავლენის შეფასება; ბაზრის კონიუნქტურისადმი შესაბამისობის შესწავლა პერსპექტივაში და ა.შ.

წარმოების მოცულობის დინამიკის ანალიზისთვის გამოიყენება მთლიანი პროდუქციის ზრდისა და მატების ტემპის მაჩვენებელი.

ეკონომიკური ანალიზის მიზანია გამოავლინოს პროდუქციის ხარისხიანობაში ცვლილებების გავლენა, დაადგინოს პროდუქციის გამოშვების არარიტმულობის მიზეზი, შეიმუშაოს გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსწორების ღონისძიებები.

ამრიგად, ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს, როგორც ძირითადი საწარმოო ფაქტორების ჯგუფის: შრომის საშუა-

ლებებისა და საგნების, შრომის განმსაზღვრელი ფაქტორების, ასევე არასაწარმოო (სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობებით განპირობებულნი) ფაქტორების გავლენა, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ შრომის ნაყოფიერებაზე.

რეალიზაციის მოცულობის ანალიზი უშუალოდ ეყრდნობა და გამომდინარეობს წარმოების მოცულობის ანალიზიდან. რეალიზაციის გეგმის შესრულების მაჩვენებელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით საწარმოსათვის, რამდენადაც რეალიზაციიდან მიღებული თანხებით (ნავაჭრი თანხით) იფარება წარმოების მიერ გაწეული დანახარჯები და მოგების ფორმირება ხორციელდება. ასევე ქვეყნის (ქვეყნის გარეთ) მიწოდების ხელშეკრულებათა რეალიზაციის გეგმის შესრულებისა და მისი დინამიკის ანალიზი უზრუნველყოფს რეალიზაციის გეგმიდან (წინა პერიოდის მიმართებაში) აბსოლუტური გადახრის (მატება ან კლების) ფაქტორების შეფასებას, როგორებიცაა: პროდუქციის გამოშვების, სასაქონლო ნაშთის (საწყისი და საბოლოო პერიოდისთვის), ფასების და სხვა მჩვენებლების ცვლილებების გავლენის გაანგარიშება, შესაბამისად, შესაძლებელი ხდება გამოვლინდეს ცვლილებების წარმოშობის მიზეზები და შემუშავებულ იქნას ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის შესაძლებლობათა ღონისძიებები.

ე) თვითღირებულების ანალიზი

როგორც ცნობილია, თვითღირებულება არის დანახარჯთა ჯამი, რომელსაც მეწარმე წარმოების რესურსების (ფაქტორების) შესაძენად ხარჯავს. წარმოების კლასიკურ ფაქტორებად განიხილება მიწა (ბუნებრივი რესურსები), კაპიტალი და შრომა. თანამედროვე ლიტერატურაში გამოყოფენ განსაკუთრებულ ფაქტორს – მეწარმეობით უნარს. წარმოების ცალკეული ფაქტორების შეძენაზე მეწარმის მიერ გაწეული ხარჯები არაერთგვაროვან დამოკიდებულებაშია გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილებასთან. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ ეკონომიკური დანახარჯების ორ ძირითად სახეს – მუდმივ და ცვალებად (ცვლადი) ხარჯებს.

მუდმივი დანახარჯები (ინგლ. Fixed costs (FC) ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე არ მოქმედებს წარმოების მოცულობის ცვლილებაზე. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, მიწის რენტა,

დაზღვევის გადასახადი, იჯარის ქირა, საამორტიზაციო ანარიცხები, მართვის აპარატის პერსონალზე, შრომის ანაზღაურებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ. გაწეული დანახარჯები.

ცვალებადი დანახარჯები (ინგლ. variable costs (VC) ეწოდება ისეთ დანახარჯებს, რომელთა სიდიდე იცვლება გამოშვების მოცულობის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით. მაგალითად, დანახარჯები შრომის საგნებზე, შრომის ანაზღაურებაზე, სატრანსპორტო და სხვა სახის მომსახურებაზე და ა.შ.

მთლიანი დანახარჯები (ინგლ. Total costs (TC) ეწოდება მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების ჯამს. კერძოდ:

$$TC = FC + VC, \qquad (5.4)$$

სადაც TC – მთლიანი (სათრთო) ხარჯებია,

FC – მუდმივი დანახარჯები,

VC – ცვალებადი დანახარჯები.

საწარმომ წარმოების ფაქტორების ოპტიმალური კომბინაციის არჩევისას უნდა გაითვალისწინოს ის მდგომარეობა (რომელიც მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების განსაზღვრებიდან გამომდინარეობს), რომ არ შეიძლება თვითნებურად გაზარდოს ცვალებადი ფაქტორების რაოდენობა მუდმივი ფაქტორის ერთეულზე, რამდენადაც ამ შემთხვევაში ამოქმედდება კლებადი უკუგების (მზარდი დანახარჯთა) კანონი, რომლის თანახმად ერთი ცვალებადი რესურსის განუწყვეტელი გადიდება სხვა რესურსების უცვლელ რაოდენობასთან შეხამებით, გარკვეულ ეტაპზე მისი უკუგების ზრდის შეჩერებას, ხოლო შემდეგ კი მის შემცირებას იწვევს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დანახარჯებს განიხილავენ ორ ჯგუფად: პირველი, წარმოების დანახარჯები ხანმოკლე პერიოდში და მეორე, წარმოების დანახარჯები ხანგრძლივ პერიოდში. ასეთი დაყოფა პირობითია (პერიოდი განისაზღვრება არაკალენდარულ დღეთა რაოდენობით) და იგი დამოკიდებულია წარმოების ხასიათზე და საწარმოო შესაძლებლობაზე. ასე, მაგალითად, ხანმოკლე პერიოდში განიხილავენ წარმოების მოცულობის ზრდის შესაძლებლობას მხოლოდ ცვლადი დანახარჯებით (მასალები, ნედლეული, ცოცხალი შრომა), რომელთა გამოყენების სიდიდეს განსაზვრავს ე.წ. ზღვრული სარგებლიანობის კანონი, ამ კანონის თანახმად, რესურსების ყოველი დამატებით დაბანდება შეიძლება მანამ გაგ-

რძელდეს, სანამ უკანასკნელი (პირობითად ბოლო) რესურსების დაბანდებაზე გაწეული ხარჯები არ გაუტოლდება უკუგებას, ანუ როდესაც ადგილი ექნება ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული შემოსავლის ტოლობას (MR=MC, სადაც MR - ზღვრულ შემოსავალს, ხოლო MC - ზღვრულ დანახარჯებს წარმოადგენენ).

ზღვრული, ანუ დამატებითი ხარჯები (ინგლ. Maximum Costs (MC) ეწოდება პროდუქციის დამატებითი (კიდევ ერთი) ერთეულის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს. ზღვრული ხარჯები ცვალებადი ხარჯების ნამატის ტოლია, თუკი იგულისხმება, რომ მუდმივი ხარჯები (FC) უცვლელია. ზღვრული დანახარჯები (MC) გამოითვლება მთლიანი დანახარჯების ცვლილების (ΔTC) შეფარდებით პროდუქციის მოცულობის შესაბამის ცვლილებასთან (ΔQ):

$$MC = \frac{\Delta TC}{\Delta Q};$$ განმარტების თანახმად = 1, ამიტომ

$$MC = \Delta TC. \qquad (5.5)$$

ზღვრული დანახარჯების კონცეფციას საწარმოს განვითარებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. მისი განსაზღვრით მეწარმე იღებს გადაწყვეტილებას კიდევ რამდენიმე (დამატებითი) ერთეულით წარმოების მოცულობის გაზრდის შესახებ, წარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ამ მიზნით გაიანგარიშება საშუალო მთლიანი (საერთო) ხარჯები, რომელიც მოიცავს საშუალო მუდმივ და საშუალო ცვალებად ხარჯებს.

საშუალო (ინგლ. Average costs (AC) ეწოდება ხარჯებს, რომელიც მოდის წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. საშუალო ხარჯები (AC) იანგარიშება დანახარჯების (TC) გაყოფით წარმოებული პროდუქციის (Q) რაოდენობაზე. შესაბამისად განისაზღვრება:

ა) საშუალო მუდმივი (ინგლ. Average fixed costs - AFC) - დანახარჯები შემდეგი ფორმულით:

$$AFC = \frac{FC}{Q} \qquad (5.6)$$

სადაც, AFC – საშუალო მუდმივი დანახარჯებია,

FC – მუდმივი დანახარჯებია,

Q – პროდუქციის რაოდენობაა.

ბ) საშუალო ცვალებადი (ინგლ. Average variable costs - AVC) დანახარჯები შემდეგი ფორმულით:

$$AVC = \frac{VC}{Q} \qquad (5.7)$$

სადაც AVC – საშუალო ცვალებადი დანახარჯებია,

VC – მუდმივი დანახარჯებია,

Q – პროდუქციის რაოდენობაა.

გ) საშუალო მთლიანი ხარჯები (ინგლ. Average total costs - ATC) შემდეგი ფორმულით:

$$AFC = \frac{TC}{Q} = \frac{FC + VC}{Q} = AFC + AVC. \qquad (5.8)$$

ამრიგად, საშუალო წარმოების დანახარჯები ხანმოკლე პერიოდში (ATC) შედგება საშუალო მუდმივი (AFC) და საშუალო ცვლადი (AVC) დანახარჯების ელემენტებისაგან.

პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების შემცირება, რომლის ძიღწევა საწარმოს შეუძლია შიგა რეზერვების გამოვლენის, წარმოების ფაქტორების ოპტიმალური კომბინაციების საშუალებით, უზრუნველყოფს მოგების ზრდას, რამეთუ მეწარმის შემოსავლების ფორმირებაში ფასების რეგულირება სრული კონკურენციის პირობებში არ არის დამოკიდებული მეწარმის ნება-სურვილზე.

შესაბამისად, პროდუქციის თვითღირებულების შესწავლასთან დაკავშირებით ეკონომიკური ანალიზის წინაშე დგას შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. საწარმოების (ფირმების), დარგების, ეკონომიკური სექტორების პროდუქციის თვითღირებულების დონის ანალიზი, თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებზე კონტროლის დაწესება.

2. პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის შესწავლა.

3. პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედი წარმოების ფაქტორებისა და სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯების ანალიზი.

4. პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზი.

როგორც უკვე აღინიშნა, პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელთა როლი განსხვავებულია პროდუქცი-

ის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესში. ასევე, დანახარჯებს გააჩნიათ სხვადასხვა ეკონომიკური დანიშნულება. მართვის პროცესის სრულყოფისათვის, საწარმოში თვითღირებულების შემცირების რეზერვების გამოვლენის, დაგეგმვის, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის სწორი წარმართვისათვის მიზანშეწონილია დანახარჯების კლასიფიკაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკა რეალიზებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების აღრიცხვის ორ მეთოდს იყენებს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ის) მიხედვით, რომელიც 1999 წლიდან საქართველოში მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის საფუძველს წარმოადგენს, უკავშირდება მოგებისა და ზარალის ანგარიშების წარდგენის მეთოდებს და აღრიცხვაშიც შესაბამისი სახელწოდებით მოიხსენიება. კერძოდ:

ა) ხარჯების აღრიცხვა ეკონომიკური შინაარსის (ელემენტების) მიხედვით,

ბ) ხარჯების აღრიცხვა მათი ფუნქციური დანიშნულების, საკალკულაციო მუხლების მიხედვით.[1]

ქვემოთ განვიხილავთ ინდექსების საშუალებით პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის ანალიზს, კერძოდ:

ა) ინდივიდუალური ინდექსით თვითღირებულების დინამიკის ანალიზის წარმოება

ინდივიდუალური ინდექსის (i_C) გამოყენება ერთი რომელიმე სახის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის დასახასიათებლად და გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$i_C = \frac{C_1}{C_0}, \qquad (5.9)$$

სადაც i_C – პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების ინდივიდუალური ინდექსია,

C_1 – საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ერთეულის (ფაქტობრივი) თვითღირებულებაა,

---

[1] უფრო ვრცლად იხილეთ ზ. ლიპარტია სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, თბ. უნივერსიტეტის გამომც. 2001, გვ. 327

C_0 – საბაზისო პერიოდში პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების მაჩვენებელია.

ბ) საერთო (აგრეგატული) ინდექსით თვითღირებულების დინამიკის ანალიზი.

საწარმოში გამოშვებული სხვადასხვაგვარი სახის პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა შეისწავლება საერთო (აგრეგატული) ინდექსის საფუძველზე, რომელიც გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I_{C(საერთო)} = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_0 C_0}, \qquad (5.10)$$

სადაც $\Sigma q_1 C_1$ საანგარიშო პერიოდში გამოშვებულ პროდუქციაზე ფაქტობრივად გაწეულ დანახარჯთა ჯამს ასახავს ფულად გამოსახულებაში:

$\Sigma q_0 C_0$ – დანახარჯთა გაანგარიშებით (პირობითი) ჯამია, რომელიც დაიხარჯებოდა მოცემულ საწარმოში საანგარიშებო პერიოდში იმავე რაოდენობისა და შედგენილობის (ასორტიმენტის) პროდუქციის გამოშვებაზე საბაზისო პერიოდის თვითღირებულების (Co) დონის შენარჩუნების პირობებში.

აგრეგატული ინდექსის არსიდან (ფორმულა 5.10) გამომდინარე სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის დაახასიათებს ეკონომიის (ან გადახარჯვის) აბსოლუტურ სიდიდეს, რომელიც მოცემულ საწარმოში საანგარიშო წელს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების (ან გადიდების) შედეგად იყო მიღებული.

$$Э = \Sigma q_1 C_1 - \Sigma q_1 C_0 \qquad (5.11)$$

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილია შესადარი პროდუქციის თვითღირებულების დინამიკის გაანგარიშების ორი მეთოდი: საფაბრიკო-საქარხნო (საწარმოო) და დარგობრივი.

ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკული ასპექტი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ პირობით მაგალითზე (იხ. ცხ. 5.2)

1. საწარმოო (საქარხნო) მეთოდის გამოყენებით პროდუქციის თვითღირებულების სტატისტიკური შეფასება შემდეგი მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 5.2

ფირმის (გაერთიანების) ქარხნები	პროდუქციის დასახელება	საანგარიშო პერიოდი		საბაზისო პერიოდი	
		ერთ. თვითღირებულება ლარ. (C_1)	გამოშუშავებულია ცალობით (q_1)	ერთ. თვითღირებულება ლარ. (C_0)	გამოშუშავებულია ცალობით (q_0)
N1	A	4,5	30 000	5,0	20 000
	B	1,8	80 000	2,0	50 000
N2	A	3,8	70 000	5,0	30 000
	B	1,4	120 000	1,5	50 000

პროდუქციის თვითღირებულების დინამიკა გამოიანგარიშება აგრეგატული ინდექსის საფუძველზე (იხ. ფორ. 5.10)

$$I = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 C_0} = \frac{30000 \times 4,5 + 80000 \times 1,8 + 70000 \times 3,8 + 120000 \times 1,5}{0000 \times 5,0 + 80000 \times 2,0 + 70000 \times 4,0 + 120000 \times 1,5} =$$

$$= \frac{713000}{770000} = 0,926, \text{ ანუ } (0,926 \times 100)\ 92,6\ \%.$$

მაშასადამე, პროდუქციის თვითღირებულება ფირმის (გაერთიანების) მიხედვით საშუალოდ 7,4% (100-92,6)-ით შემცირდა. შესაბამისად, მიღებულმა ეფექტმა (ეკონომიამ) შეადგინა:

$$Э = \Sigma q_1 C_1 - \Sigma q_1 C_0 = 713000 - 770000 = -57000 \text{ ლარი.}$$

საქარხნო მეთოდით გაანგარიშებულ ინდექსში (ანუ ფიქსირებული შედგენილობის ინდექსში) აისახება მხოლოდ თვითღირებულების დინამიკაზე მოქმედი შიგასაწარმოო ფაქტორების (შრომის, მატერიალური რესურსების გამოყენება და სხვა) გავლენა.

2. დარგობრივი მეთოდით თვითღირებულების დინამიკის სტატისტიკური შეფასება. ზემოთ მოყვანილი 5.2 ცხრილის საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, პროდუქციის ერთეულის საშუალო თვითღირებულება საბაზისო პერიოდში (C_0) განისაზღვრება. შეწონილი საშუალო არითმეტიკულს ფორმულის გამოყენებით:

$$C_0 = \frac{\Sigma q_0 C_0}{\Sigma q_0}, \qquad (5.12)$$

"A" – პროდუქციის საშუალო დარგობრივი შეწონილი თვითღირებულება შეადგენს:

$$C_0 = \frac{20000 \times 5{,}0 + 30000 \times 4{,}0}{20000 + 30000} = \frac{22000}{50000} = 4{,}4 \text{ ლარს,}$$

"B" – პროდუქციის შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენს:

$$C_0 = \frac{50000 \times 2{,}0 + 50000 \times 1{,}5}{50000 + 50000} = \frac{175000}{100000} = 1{,}75 \text{ ლარს,}$$

ხოლო ფირმის (გაერთიანების) მიხედვით პროდუქციის თვითღირებულების დინამიკას განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_c = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 C_0} = \frac{30000 \times 4{,}5 + 80000 \times 1{,}8 + 70000 \times 3{,}8 + 120000 \times 1{,}5}{30000 \times 4{,}4 + 80000 \times 1{,}75 + 70000 \times 4{,}4 + 120000 \times 1{,}75} =$$

$$= \frac{713000}{790000} = 0{,}902, \text{ ანუ } (0{,}902 \times 100)\ 90{,}2\ \%.$$

მაშასადამე, ფირმის (გაერთიანების) მიხედვით პროდუქციის თვითღირებულება (A და B) შემცირდა 9,8%-ით (100-90,2) და მიღწეულია 77000 (713000-790000) ლარის ეკონომია.

მრეწველობის დარგების, ან საწარმოთა ჯგუფების მიხედვით პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების დასახასიათებლად გამოიყენება ცვალებადი შემადგენლობის ინდექსი (მას სახალხომეურნეობრივი მეთოდით გამოანგარიშებულ ინდექსს უწოდებენ)

$$I_c = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1} : \frac{\Sigma q_0 C_0}{\Sigma q_0} = C_1 : C_0, \qquad (5.13)$$

სადაც C_1 – ფაქტობრივი საშუალო შეწონილი თვითღირებულებაა,

C_0 – საბაზისო საშუალო შეწონილი თვითღირებულება.

საწარმოთა ჯგუფის მიხედვით, რომლებიც ერთსა და იმავე სახის პროდუქციას აწარმოებენ, თვითღირებულების საშუალო დონის ცვლილება დამოკიდებულია არა მარტო თითოეულ საწარმოში თვითღირებულების შემცირების მიღწეულ დონეზე, არამედ საანგა-

რიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში ცალკეულ საწარმოთა ხვედრითი წილების (სტრუქტურული ცვლილებები) ცვლილებაზე.

თვითღირებულების დინამიკის გაანგარიშებას აწარმოებენ ასევე ხვედრითი წილების (d_1) საფუძველზე შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_c = \frac{\Sigma C_1 d_1}{\Sigma C_0 d_0}, \qquad (5.14)$$

სადაც $\Sigma C_1 d_1$ – საანგარიშო პერიოდში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების საერთო მაჩვენებელში თითოეული ქარხნის წილია,

$\Sigma C_0 d_0$ – საბაზისო პერიოდის შესაბამისი მაჩვენებელია.

სტრუქტურული ძვრების ინდექსი აიგება პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებაზე სტრუქტურული ფაქტორების ზომის გასაანგარიშებლად, კერძოდ:

$$I_{\text{სტრ.}} = \frac{\Sigma q_1 C_0}{\Sigma q_1} : \frac{\Sigma q_0 C_0}{\Sigma q_0}, \qquad (5.15)$$

თუ გამოვიყენებთ თვითღირებულების ფიქსირებულ, ცვალებად და სტრუქტურულ ინდექსებს შორის არსებულ კანონზომიერებებს, მაშინ სტრუქტურული ინდექსის (Iსტრ.) გაანგარიშებას შემდეგნაირად აწარმოებენ:

$$I_{\substack{\text{სტრ.} \\ \text{ძვრების}}} = I_{\substack{\text{ცვალ.} \\ \text{შიშ.}}} : I_{\substack{\text{მუდმ.} \\ \text{შიშ.}}} \qquad (5.16)$$

ზემოთ მოყვანილი მონაცემებისა (იხ. ცხ. 5.2-ის მაჩვენებლები) და №5.15 ფორმულის საფუძველზე მოვახდინოთ შესაბამისი ინდექსის გამოთვლა, კერძოდ:

$$I_{\text{სტრ.}} = \frac{\Sigma q_1 C_0}{\Sigma q_1} : \frac{\Sigma q_0 C_0}{\Sigma q_0} =$$

$$= \frac{30000 \times 5{,}0 + 80000 \times 2{,}0 + 70000 \times 4{,}0 + 120000 \times 1{,}5}{30000 + 80000 + 70000 + 120000} =$$

$$= \frac{20000 \times 5{,}0 + 50000 \times 2{,}0 + 30000 \times 4{,}0 + 50000 \times 1{,}5}{20000 + 50000 + 30000 + 50000} =$$

$$= \frac{770000}{300000} : \frac{395000}{150000} = 2{,}566 : 2{,}633 = 0{,}971, \text{ ანუ } 97{,}1\ \%.$$

ამრიგად, სტრუქტურული ძვრების ინდექსი უჩვენებს, რომ წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობაში საბაზისო პერიოდთან შედარებით საანგარიშგებო პერიოდში ორივე ქარხნის მიხედვით თვითღირებულების საშუალოდ – 2,9%-ით შემცირებაზე დადებითად იმოქმედეს პროდუქციის წარმოებაში არსებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა.

როცა ცნობილია ფიქსირებული შედგენილობის ინდექსი, რომელიც 92,6%-ს შეადგენს (5.15) და სტრუქტურული ძვრების ინდექსი, რომელიც 97,1%-ს შეადგენს, ადვილად განვსაზღვრავთ ცვალებადი შედგენილობის ინდექსს. იგი გაიანგარიშება, როგორც თვითღირებულების ფიქსირებული (მუდმივი) შედგენილობისა და სტრუქტურული ძვრების ინდექსთა ნამრავლი (იხ. ფორ. 5.16), ანუ 0,92x0,971=0,900

ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკაში მიღებულია ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების ინდექსის განსაზღვრა:

ა) სასაქონლო პროდუქციის გეგმური მოცულობის, გეგმური დანახარჯებისა და გეგმური ფასების პირობებში, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$I_{\text{გეგ.}} = \frac{\Sigma q_{\text{გეგ.}} C_{\text{გეგ.}}}{\Sigma q_{\text{გეგ.}} P_{\text{გეგ.}}}, \qquad (5.17)$$

სადაც $P_{გეგმ.}$ – გეგმური ფასების მაჩვენებელია (დანარჩენი მაჩვენებლების სიმბოლოები ზემოთ არის განმარტებული);

ბ) სასაქონლო პროდუქციის ფაქტობრივი მოცულობის, ფაქტობრივი დანახარჯებისა და ფაქტობრივად მოქმედი (საბაზრო) ფასების პირობებში, რომელიც გამოისახება ფორმულით:

$$I_{ფაქტ.} = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 p_1}, \qquad (5.18)$$

სადაც p_1 – ფაქტობრივად მოქმედი (მიმდინარე) ფასების მაჩვენებელია.

ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების დინამიკის დასადგენად საჭიროა ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები გავყოთ გეგმური დანახარჯების თანხაზე, მაგრამ ასეთი გაანგარიშება ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არაა გათვალისწინებული ასორტიმენტსა და მასალებზე, სათბობზე და ა.შ. მოქმედი ფასებისა და ტარიფების განსხვავებათა გავლენა. ამიტომ დანახარჯების დინამიკის შესწავლისას ზემოთ განხილული (5.17 და 5.18) გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების გარდა განსაზღვრავენ შემდეგ მაჩვენებლებს:

გ) სასაქონლო პროდუქციის ფაქტობრივ მოცულობაზე და ასორტიმენტზე კორექტირებული დანახარჯების გეგმურ მაჩვენებელს, ე.ი.

$$I = \frac{\Sigma q_i C_{გეგმ.}}{\Sigma q_i P_{გეგმ.}}, \qquad (5.19)$$

დ) ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივ დანახარჯებს გეგმაში გათვალისწინებული გასაყიდი (საბითუმო) ფასით:

$$I = \frac{\Sigma q_i C_i}{\Sigma q_i P_{გეგმ.}}, \qquad (5.20)$$

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ მატერიალური დანახარჯების (მასალების, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, ელექტროენერგია,

სათბობი და ა.შ.) ფასები და ტარიფები, გადაზიდვის ხარჯები განსხვავდება ბიზნეს-გეგმაში გათვალისწინებული შესაბამისი მაჩვენებლებისაგან, მაშინ პროდუქციის ფაქტობრივ დანახარჯებში (იხ. ფორ. 5.15) ინდექსის მრიცხველში შეიტანება შესაბამისი კორექტივი rK, ე.ი. გაიაფებით მიღებული თანხა თვითღირებულებას მიემატება, ხოლო გაძვირებით წარმოქმნილი თანხა – თვითღირებულებას გამოაკლდება. შესაბამისად, ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივი დანახარჯები გეგმაში გათვალისწინებული ფასებით განისაზღვრება ფორმულით:

$$I = \frac{\Sigma q_1 C_1 \; r K}{\Sigma q_1 P_{\text{გეგ.}}}, \qquad (5.21)$$

ამრიგად, ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების დინამიკის (გეგმის შესრულების) დასადგენად აუცილებელია ბიზნეს გეგმაში გათვალისწინებულ სარეალიზაციო (საბითუმო) ფასებით გაანგარიშებული ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივი დანახარჯები შევუდაროთ ფაქტობრივ მოცულობასა და ასორტიმენტზე კორექტირებულ ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე გეგმური დანახარჯების მაჩვენებელს.

$I = \frac{}{\Sigma q_1 P_{\text{გეგ.}}}$ ანუ მივიღებთ შემდეგ ფორმულას:

$$I_{\text{გეგმის შეხრ.}} = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 P_{\text{გეგ.}}} : \frac{\Sigma q_1 C_{\text{გეგ.}}}{\Sigma q_1 P_{\text{გეგ.}}} = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 C_{\text{გეგ.}}}. \qquad (5.22)$$

ინდექსების გაანგარიშების წესი განვიხილოთ პირობით მაგალითზე

დავუშვათ, ერთ-ერთი საწარმოს მიხედვით გვაქვს შემდეგი მონაცემები (იხ. ცხრილი 5.3)

ცხრილი 5.3

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები

სასაქონლო პროდუქციის წარმოება ბიზნეს გეგმით (ათას ლარებში)		სასაქონლო პროდუქციის ფაქტობრივი გამოშვება (ათას ლარებში)			
ფაქტური თვითღირებულებით	საწარმოს გეგმური სრულიად სახეობა (საბითუმო) ფასებით	საწარმოს გეგმური სრულიად სახეობა ფასებით	საწარმოს მოქმედი მიმდინარე სრულიად სახეობა (საბითუმო) ფასებით	გეგმური თვითღირებულებით	ფაქტობრივი თვითღირებულებით
$\Sigma q_{\text{გეგ.}} C_{\text{გეგ.}}$	$\Sigma q_{\text{გეგ.}} P_{\text{გეგ.}}$	$\Sigma q_1 P_{\text{გეგ.}}$	$\Sigma q_1 P_1$	$\Sigma q_1 C_{\text{გეგ.}}$	$\Sigma q_1 C_1$
6500	6900	7174	7210	6700	6720

ამ მონაცემების საფუძველზე გამოვიანგარიშოთ შემდეგი მაჩვენებლები:

1. ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების მაჩვენებელი.

1.1. ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული დანახარჯების დონე ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე შემდეგი ფორმულის (5.17) საფუძველზე:

$$I = \frac{\Sigma q_{\text{გეგ.}} C_{\text{გეგ.}}}{\Sigma q_{\text{გეგ.}} P_{\text{გეგ.}}} = \frac{6500}{6900} = 0{,}942 \text{ ლარი, ანუ } 94{,}2 \text{ თეთრი,}$$

1.2. ფაქტობრივი დანახარჯების დონე ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე შემდეგი ფორმულის (3.20) საფუძველზე:

$$I = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 P_1} = \frac{6720}{7210} = 0{,}932 \text{ ლარი, ანუ } 93{,}2 \text{ თეთრი,}$$

1.2 თვითღირებულების (დანახარჯების) გეგმის შესრულების მაჩვენებლის გაანგარიშება ფაქტობრივი დანახარჯების დონის შესაბამის გეგმურ მაჩვენებელთან შეფარდებით:

$$I = \frac{0{,}989}{0{,}942} = 0{,}989 \text{ ლარი, ანუ } 98{,}9\ \%$$

მაშასადამე, ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯები შემცირდა, 1,1%-ით (0,932:0,942x100), ანუ 1,0 (93,3-94,2) თეთრით, ე.ი. გამოშვებული პროდუქციის ყოველ ლარზე მიღებულია ზეგეგმითი მოგება 1,0 თეთრის ოდენობით, ხოლო პროდუქციის მთელ მოცულობაში (7210x1,0)=72,1 ათასი ლარი.

2. ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების გავლენის მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით (5.22) საფუძველზე:

$$I = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 P_{გეგ.}} : \frac{\Sigma q_1 C_{გეგ.}}{\Sigma q_1 P_{გეგ.}} = \frac{6720}{7140} : \frac{6700}{7140} = 0,941:0,938 = 1,003, \text{ანუ } 100,3\%$$

ე.ი. თვითღირებულებათა ცვლილების შედეგად ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე ფაქტობრივი დანახარჯები– 0,3%-ით, ანუ აბსოლუტურ გამოსახულებაში – 0,3 თეთრით (94,1–93,8) გაიზარდა.

3. სასაქონლო პროდუქციის ერთი ლარის დანახარჯებზე პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილების გავლენის მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის (რომელიც მიიღება ფორმულების 5.19 და 5.17 თანაფარდობით) საფუძველზე:

$$I = \frac{\Sigma q_1 C_{გეგ.}}{\Sigma q_1 P_{გეგ.}} : \frac{\Sigma q_{გეგ.} C_{გეგ.}}{\Sigma q_{გეგ.} P_{გეგ.}} = \frac{6700}{7140} : \frac{6500}{6900} = 0,938:0,942 =$$

= 0,996 ლარი, ანუ 99,6 თეთრი,

ამრიგად, გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის ცვლილების შედეგად ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯები – 0,4%-ით, ანუ აბსოლუტურ გამოსახულებაში 0,4 თეთრით (93,8-94,2) შემცირდა.

4. ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციის დანახარჯებზე სარეალიზაციო ფასების ცვლილების გავლენის მაჩვენებელი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის (რომელიც მიიღება ფორმულების 5.19 და 5.18 თანაფარდობით) საფუძველზე:

$$I = \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 P_1} : \frac{\Sigma q_1 C_1}{\Sigma q_1 P_{გეგ.}} = \frac{6720}{7210} : \frac{6720}{7140} = 0,932:0,941 =$$

= 0,991 ლარი, ანუ 99,1 თეთრი,

ე.ი. პროდუქციის სარეალიზაციო ფასების ცვლილების გამო სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯები 0,9%-ით, ანუ აბსოლუტურ გამოსახულებაში 0,9 თეთრით (93,2-94,1) შემცირდა.

ზემოთ წარმოებული (2,3 და 4) გაანგარიშების შედეგად მიღებული სამივე ინდექსის ნამრავლი, როგორც წესი, გამოხატავს ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯების გეგმის შესრულების (დინამიკის) ინდექსს:

$$1,003 \times 0,996 \times 0,991 = 0,990 \text{ ანუ } 99,-\%,$$

ან - იგივე მაჩვენებელი აბსოლუტურ გამოსახულებაში შეადგენს

$$0,3 + (-0,4) + (-0,9) = 1,0 \text{ თეთრს}$$

ე.ი. სასაქონლო პროდუქციის ერთ ლარზე დანახარჯები შემცირდა 1 თეთრით, რომელიც შესაბამისობაშია ზემოთ წარმოებულ გაანგარიშებასთან, კერძოდ ფაქტობრივი დანახარჯების დონე ერთი ლარის სასაქონლო პროდუქციაზე შეადგენს (იხ. გაანგ. 1.1 და 1.2) 93,2 თეთრს, ხოლო ბიზნეს გეგმით დანახარჯების დონე შეადგენსთ 94,2 თეთრს, ანუ 1,0 თეთრით (93,2-94,2) შემცირდა.

ამრიგად, თვითღირებულების ინდექსებით შეისწავლება ერთი სახის (ინდივიდუალური) ანდა სხვადასხვა პროდუქციის (განზოგადებული) წარმოებაზე შრომითი და მატერიალური დანახარჯების ცვლილება. როდესაც საჭიროა პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების თითოეული მუხლის (ფუნქციებიდან გამომდინარე), დინამიკის დადგენა, მაშინ ანალიზის პრაქტიკაში გამოიყენება თვითღირებულების ე.წ. კერძო ინდექსი: ნედლეულისა და მასალების, სათბობის, ხელფასის, კომპლექსური ხარჯების ინდექსები და სხვა.

ფინანსური ანგარიშგების კომპლექსური ანალიზის, ინფორმაციის ძირითად წყაროდ მმართველობითი აღრიცხვის, ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ინფორმაცია გვევლინება (იხ. პარაგრაფი 6.4). ბიზნესის ეფექტიანი მართვის მიღწევა შესაძლებელი იქნება მმართველობითი რაციონალიზმის, საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მაღალორგანიზებული ანალიზურ-შემფასებელი სისტემის ფუნქციონირებით და თანამედროვე ეტაპზე ანალიზის ჩატარების პროგრესული მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის დანერგვით მეწარმეობით პრაქტიკაში.[1]

---

[1] შენიშვნა იხ. უფრო ვრცლად ჩვენი სახელმძღვანელო: ზ. ლიპარტია. „ეკონომიკური ანალიზი“ ნაწ. 1. ეკონომიკური ანალიზის თეორია, გამომც. "აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია". თბ., 2003 წ. 124 გვ.*

ამრიგად, მართვის რთული ფუნქციების შესრულებისთვის ეკონომიკური ანალიზი მოწოდებულია შეიმუშაოს კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომ-ლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ოპტიმალური ვარიანტების შერჩევისათვის და პროგნოზირებისათვის.

5.2. მმართველობითი ანალიზის ძირითადი საკითხები ტესტებსა და ამოცანებში[1]

ამოცანა №1. კორელაციის კოეფიციენტის გამოანგარიშებისა და მოვლენებთაშორისო დეტერმინირებული კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის განსაზღვრაზე

ამოცანის პირობა: ავტოსატრანსპორტო საწარმოს შესახებ გვაქვს შემდეგი ინფორმაცია, დინამიკა მოგების (y) მაჩვენებლისა და ტვირთბრუნვაში „A" საქონლის ხვედრითი წონის (X) შესახებ (იხილეთ ცხრილი 5.4)

ცხრილი 5.4

წლები	X წონა (%)	y მოგება (ათას. ლარი)	XY	X^2	$\bar{y}_x$	Y^2
1995	34,0	1200, 0	40 800, 0	1156, 0	1468, 97	1440 000, 0
1996	38,0	1820, 0	69 160, 0	1444, 0	1847, 65	3312 400, 0
1997	30,5	950, 0	28 975, 0	930, 25	1137, 63	902 500, 0
1998	28,6	760, 0	21 736, 0	817, 96	957, 75	577 600, 0
1999	20,7	129, 0	2 670, 3	428, 49	209, 86	16 641, 0
2000	22,3	650, 0	14 495, 0	497, 29	361, 33	422 500, 0
2001	35.6	1450, 0	51 620, 0	1267, 36	1620, 44	2102 500, 0
2002	40,5	2100, 0	85 050, 0	1640, 25	2084, 33	4410 000, 0
2003	45,7	2670, 0	122 019, 0	2088, 49	2576, 61	7128 900,0
2004	38,8	1950, 0	75 660, 0	1505, 44	1923, 39	3802 500, 0
2005	36,7	1810, 0	66 427, 0	1346, 89	1724, 58	3276 100, 0
2006	32,1	1760, 0	57 376, 0	1062, 76	1336, 43	3097 600, 0
	404 ,0	17249, 0	635 988, 3	14 185, 18	17 248, 96	30489 241, 0

[1] შესრულებულია სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტ ზაზა ხორავასთან ერთობლივად

ამოხსნა

1. საკონსტრუირთბრუნვაში „A" საქონლის წონას აღნიშნავთ X-ით, ხოლო საწარმოს მოგება Y-ით. რადგანაც კორელაციური კავშირი Y-და X-ს სწორხაზოვანია (წრფივია). რეგრესიის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\bar{Y}_x = a_0 + a_1 X$$

შესაბამისად, a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობას მისაღებად უნდა ამოხსნათ განტოლებათა სისტემა

$$\begin{cases} h \cdot a_0 + a_1 \sum x = \sum y \\ a_0 \cdot \sum x + a_1 \sum x^2 = \sum xy \end{cases} \qquad (5.23)$$

ცხრილი 5.4. მონაცემების შესაბამისად განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს

$$\begin{cases} 12ao+404a1=17249 \\ 404ao+14185,18a1=635988,30 \end{cases}$$

საიდანაც a_0=-1749,81; a=94,67.

შესაბამისად, $\bar{Y}x$ =-1749,81+94,67x

2 მოვლენათაშორისი დეტერმინირებული კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის განსაზღვრა: წრფივი კორელაციის კოეფიციენტი (r) განისაზღვრება შემდეგი ფორმულის გამოყენებით

$$r = \frac{\overline{XY} - \bar{X} \cdot \bar{Y}}{\sigma x \cdot \sigma y} \qquad (5.24)$$

სადაც $\bar{X}$ საშუალო (წონა), (ცხრილი 5.4.)

$\bar{x}$ =404:12=33,67; $\bar{y}$ =17249:12=1437,42

$\overline{xy}$ =635988,3:12=52999,03; $\bar{x}$ =14185,18:12=1182,1;

$\bar{y}$ =30489241:12=250770,08

ცნობილია, რომ

$$\sigma x = \sqrt{\bar{x}^2 - (\bar{x})^2} = 1182,1\text{-}(33,67)=6,96,$$

$$\sigma x = \sqrt{\bar{y}^2 - (\bar{y})^2} = 2540770,08\text{-}(1437,42)=688,91$$

შესაბამისად, წრფივი კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს

$$r=\frac{52999,03-(33,67E1437,42)}{6,96\ E\ 688,\ 91}=0,96$$

რადგანაც, კორელაციის კოეფიციენტი გაანგარიშებული არადიდრიცხოვანი დაკვირვების საფუძველზე (ჩვენს მაგალითში 6=12), სასურველია განისაზღვროს კოეფიციენტის საიმედობა (მნიშვნელობა). შესაბამისად, გავიანგარიშოთ კორელაციის კოეფიციენტის ცდომილების საშუალო, ცნობილი ფორმულის გამოყენებით:

$$\sigma r=\frac{1-r^2}{\sqrt{n-2}} \qquad (5.25)$$

ჩვენს მაგალითში n-2=12-2=10 (K – თავისუფლების ხარისხის რიცხვი), შესაბამისად $\sigma r=0,02$. შესაბამისად, შეფარდება კოეფიცინტისა მის საშუალო ცდომილებასთან

$$t=\frac{r}{\sigma r}=\frac{0,96}{0,002}=48,\quad t=48$$

განვსაზღვროთ t – სტიუდენტის კრიტერიუმი, როცა K=10, მნიშვნელობის დონე a=0,05. სახელმძღვანელოში დართული ცნობარიდან (დანართი 2) =2,2281.

დასკვნა: რადგანაც, ფაქტობრივი სიდიდე t მეტია t-კრიტერიუმის სიდიდეზე 2,2281 (48>2,2281), შესაბამისად კორელაციის კოეფიციენტი არის საიმედო, ხოლო კავშირი ხვედრით წონას x („A" საქონელი ტვირთბრუნვაში) და y (საწარმოს მოგების მაჩვენებელი) არის რეალური.

დეტერმინანტის კოეფიციენტი (დ) შეადგენს: $d=r^2$, ჩვენს მაგალითში $d=0,96^2=0,92$

შესაბამისად, ანალიზის ჩატარებით ჩვენ დავადგინეთ, რომ:

1) რამდენადაც, წრფივი კორელაციის კოეფიციენტი (r=0,96) მჭიდროდ უახლოვდება 1-ს, შესაბამისად, არსებობს მჭიდრო კავშირი ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოგების მაჩვენებელსა და საქონელტვირთბრუნვაში „A" საქონლის ხვედრით წონას შორის;

2) რამდენადაც კორელაციის კოეფიციენტი (r=0,96) დადებითია, ეს კავშირი არის სწორხაზოვანი (წრფივი);

3) მოგების 92% არის დამოკიდებული A საქონლის ხვედრითწონაზე სატრანსპორტო საწარმოს ტვირთბრუნვაში, ხოლო 8%-ს განსაზღვრავენ (როგორც ამას უჩვენებს დეტერმინაციის კოეფიციენტი) დანარჩენი ფაქტორები.

ამოცანა №2. ანალიზის მარჟინალური მეთოდის (ერთობლივი მარჟის კოეფიციენტის) გამოყენებით საწარმოს რენტაბელობის ზღვარის (პროდუქციის კრიტიკული წარმოების მოცულობის) ფინანსური სიმტკიცის მარაგისა და ფიქსირებული მოგების მისაღებად წარმოების მოცულობის განსაზღვრაზე.

ამოცანის პირობა: საწარმო ამზადებს ნაკეთობას, რომელსაც ყიდის ბაზარზე ერთ ერთეულს 2 500 ლარად (P=2500ლ), წარმოების ნატურალური მოცულობისა (Q) და საერთო დანახარჯების (მუდმივი და ცვალებადი) სიდიდეები (C) თვეების ჭრილში მოცემულია ცხრილი 5.5 ფიქსირებული მოგების სიდიდე 12მლნ. ლარი.

ცხრილი 5.5

№	თვეები	Q წარმოების რაოდენობა. (ათასი ცალი)	C საერთო დანახარჯები მლნ. ლარი	C . Q წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	Q^2
1	იანვარი	12, 0	22, 0	270, 0	144, 0
2	თებერვალი	11, 0	26	286, 0	121, 0
3	მარტი	13, 0	30, 0	397, 8	169, 0
4	აპრილი	14, 0	33, 5	469, 0	196, 0
5	მაისი	18, 0	40, 8	734, 4	324, 0
6	ივნისი	12, 0	27, 5	330, 0	144,0
7	ივლისი	10, 5	26	273, 0	110, 25
8	აგვისტო	17, 2	37, 4	643, 28	295, 84
9	სექტემბერი	18, 0	40, 8	734, 4	324, 0
10	ოქტომბერი	16, 0	35, 0	560, 0	256, 0
11	ნოემბერი	13, 0	32, 0	432, 0	182, 25
12	დეკემბერი	14, 0	34, 5	510, 6	219, 04
	ჯამი	170	386, 6	5640,48	2485,38

ამოხსნა: დავუშვათ, რომ Q (რაოდენობას) და C (დანახარჯებს) შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება, ანუ რეგრესიის განტოლება c=a +aq, a_0 და a_1 პარამეტრები განისაზღვრება განტოლებათა სისტემის მეშვეობით:

$$\begin{cases} h \cdot a_0 + a_1 \sum Q = \sum C \\ a_0 \cdot \sum Q + a_1 \sum Q^2 = \sum CQ \end{cases} \qquad (5.26)$$

შესაბამისად, ცხრილი 5.5. მონაცემების (გაანგარიშებული საწყისი მონაცემების ბაზაზე) გამოყენებით შედგენილი განტოლებათა სისტემის ამოხსნით:

$$\begin{cases} 12a_0 + 17a_1 = 386,6 \\ 17a_0 + 2485,38a_1 = 5640,48 \end{cases}$$

მივიღებთ, a_0=2,18 და a_1=2,12 მნიშვნელობას. შესაბამისად, C=2,18+2,12xQ

სადაც, Zc-2,18 მლნ. ლარი შეადგენს მუდმივ დანახარჯებს, ხოლო ცვალებადი დანახარჯების სიდიდეა Zv-2,12 მლნ. ლარი.

დასკვნა:

1. რენტაბელობის ზღვარი (როდესაც საწარმოში არ არის არც მოგება, არც ზარალი) ე.ი. „მკვდარი წერტილი", ანუ პროდუქციის წარმოების ნაკეთობის კრიტიკული მოცულობა განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_{\text{კრიტიკული}} = \frac{Zc}{P - Zv} = \frac{2,18}{2,5 - 2,12} = 5740$$

(ანუ 5,74 ათასი ნაკეთობა), წარმოების პირობებში საწარმოს ექნება
ნულოვანი მოგება.

2. აგვისტოს თვეში წარმოების მოცულობამ შეადგინა 17,2 ათასი ნაკეთობა. შესაბამისად ფინანსური სიმტკიცის მარაგი მაშინ შეადგენდა 17,2-5,74=11,46 ათას ერთეულს.
3. ამოცანის პირობებში ფიქსირებული 12 მლნ. არის მოგების მისაღებად წარმოების თვიურმა მოცულობამ უნდა შეადგინოს

$$Q=\frac{2,18+12}{2,5-2,12}=37,320$$ ათასი ერთეული

(კონტროლი: წარმოებიდან ამონაგები მოცემულ პირობებში (N) შეადგენს: ამონაგები – N=37,320x2,5=93,3 მლნ. ლარს; ცვალებადი ამონაგები – Zv=37,320x2,12=79,12; მუდმივი ხარჯები – Zc=2,18 მლნ. ლარს. შესაბამისად, მოგება R=93,3-79,12-2,18=12,0 მლნ. ლარი) [1]

ამოცანა №3.

გრაფიკული მეთოდის („მინიმალური" და „მაქსიმალური" წერტილებით) გამოყენებით ნაკეთობის პროდუქციის კრიტიკული წარმოების მოცულობის განსაზღვრაზე.

ამოცანის პირობა: 10 დეკადის პირობებში A ნაკეთობის მოცულობა (Q), ნაკეთობის ფასი P=1,2 ათასი ლარი, საწარმოს დანახარჯები მოცემული პარტიის (A ნაკეთობის) დამზადებაზე. იხილეთ ცხრილი 5.6


ცხრილი 5.6

დეკადის №	პროდუქციის მოცულობა ათას ერთეული	ნაწარმის პარტიაზე საერთო დანახარჯები მლნ. ლარი
1	3	4,7 (მინიმალური)
2	6	7,4
3	7	8,3
4	5	6,5
5	8	9,2
6	9	10,1
7	11	11,9
8	10	11,0
9	14	14,6 (მაქსიმალური)
10	12	12,8

[1] უფრო ვრცლად იხილეთ: გიორგი ცაავა, საბანკო საქმე და ფინანსური მენეჯმენტი; ფინანსური საქმიანობის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკუმი, ტ. II, თბ. 2002. გვ. 618-631

ამოხსნა

ნახაზზე (ნახ. 5.1) წარმოვადგენთ ამონაგებისა (P ფასი x Q რაოდ.) და საერთო დანახარჯების გრაფიკებს. დავუშვათ, რომ A ნაწარმზე საერთო დანახარჯებზე მოცულობის დამოკიდებულებას აქვს პირდაპირი ხასიათი, შესაბამისად ამონაგების გრაფიკი იქნება სწორხაზოვანი. სადაც „მინიმალური" წერტილი L (3; 4,7) და „მაქსიმალური" M (14; 14,6) შეესაბამება საერთო დანახარჯებს და წარმოების მოცულობებს. ამონაგებისა და საერთო დანახარჯების გადაკვეთის წერტილი K (6,7; 8). შესაბამისად, 6,7 ათასი ერთეულის წარმოების პირობებში საერთო დანახარჯები უდრის რეალიზაციიდან ამოანგებს, ე.ი. ეს არის წარმოების კრიტიკული წერტილი (რენტაბელობის ზღვარი ნულის ტოლია).



ნახ. 5.1 ამონაგებისა და საერთო ხარჯების გრაფიკი

დასკვნა

კრიტიკული წარმოების მოცულობა არის 6,7 ათასი ერთეული, რომელსაც შეესაბამება საერთო დანახარჯები და ამონაგების სიდიდე 8 მლნ. ლარი.

საკონტროლო დავალება №1

ვარიანტი პირველი.
ქვემოთ მოცემული ამოცანის პირობების გათვალისწინებით (იხ. ცხრილი 5.7)

1. განსაზღვრეთ დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის მეთოდის გამოყენებით პროდუქციის მოცულობაზე შემდეგი ფაქტორების გავლენა და გააკეთეთ ანალიზური დასკვნები, კერძოდ:
   ა) ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური სიდიდის გავლენა პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე;
   ბ) ფონდუკუგების გავლენა;
   გ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში საბრუნავი საშუალებების
   საშუალო წლიური სიდიდის გავლენა;
   დ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
   ე) მასალების დანახარჯების გავლენა;
   ვ) პროდუქციის მასალების უკუგების გავლენის განსაზღვრა;
   ზ) ძირითად წარმოებაში მუშების რიცხოვნობის გავლენა;
   თ) ძირითად წარმოებაში მუშების შრომის ნაყოფიერების გავლენის განსაზღვრა.
2. გაიანგარიშეთ პროდუქციის მოცულობაზე ინტეგრალური მეთოდის გამოყენებით შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯებისა და ხელფასისუკუგების გავლენის სიდიდეები.
3. გაიანგარიშეთ მასალების შეფარდებითი ეკონომია ან გადახარჯვა პროდუქციის წარმოების პროცესში მეორე წელს პირველ წელთან შედარებით.

საწარმოს ორი წლის საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები.

ცხრილი 5.7

№	მაჩვენებლების დასახელება	საზომი ერთეული	პირველი წელი	მეორე წელი	გადახრა +, -
1	პროდუქციის მოცულობა	ათასი ლარი	88 670	95 780	
2	ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური სიდიდე	ათასი ლარი	90 560	92 800	
3	სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური სიდიდე	ათასი ლარი	15 400	16 100	
4	ძირითად წარმოებაში მუშათა რიცხოვნობა	კაცი	356	393	
5	მასალების დანახარჯები	ათასი ლარი	48 320	51 340	
6	შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯები ანარიცხების ჩათვლით	ათასი ლარი	13 200	14 300	

საკონტროლო დავალება №1

ვარიანტი მეორე.

მოგების მაქსიმიზაციის დონის განმსაზღვრელი წარმოების ოპტიმალური მოცულობის დადგენის მიზნით საწარმოს მიერ ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციების: მოგების სიდიდის განმსაზღვრელი მონაცემების, წარმოების მოცულობის, ფასების, რეალიზაციიდან ამონაგების და თვითღირებულების საფუძველზე. (იხ. ცხრილი 5.8)

ცხრილი 5.8

კვირების ხრიდი ების რაოდენობა	პროდუქციის მოცულობა ათას. ერთ. (Q)	ერთეული პროდუქციის ფასი ათასი ლარი (P)	რეალიზაციიდან ამონაგები მლნ. ლარი PQ=N	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (C)	საერთო მ მლნ. ლა (R) (PQ-C)
1	12,8	2,25	28.80	20,48	8,32
2	13,5	2,30	31,05	22.50	8.55
3	14,7	2,20	32,34	23,52	8.82
4	15,9	2,15	34,19	25,44	8,75
5	18,7	2,12	39,64	30.92	8,72
6	20,6	1,90	39,14	29.87	9,27
7	22,69	1,88	42,66	33.90	8,76
8	24,50	1,70	41,65	35,52	6.13
9	25,10	1,67	41,92	37,22	4,70
10	26.20	1,65	43,23	38,46	4,77

განსაზღვრეთ „უმცირესი კვადრატების" მეთოდის გამოყენებით, (გათვალისწინებულია, რომ (ფასი) და (თვითღირებულება) არის ფუნქციები Q რაოდენობიდან), მოცულობის ოპტიმალური რაოდენობა, რომლის წარმოების პროცესში (ფასებისა და თვითღირებულების დონეების შენარჩუნების სიტუაციის პირობებში) მოგების მაქსიმალური მაჩვენებელი იქნება მიღწეული.

საკონტროლო დავალება №1

ვარიანტი მესამე.

საწარმოს მარკეტოლოგი განიხილავს საკითხს მუდმივი მყიდველების ჯგუფისათვის ფასებზე 10%-იანი შეღავათების დაწესების მიზანშეწონილობის შესახებ. ბაზრის ანალიზის მიხედვით, მოცემულ ჯგუფში გაყიდვების მოცულობა გაიზრდება 80 ერთეულამდე. საწარმოს საწარმოო სიმძლავრეებს შეუძლიათ უზრუნველყონ ზრდა წარმოების მოცულობის 120 ერთეულამდე. გაყიდვების პარამეტრების ვარიანტები შეღავათების დაწესებამდე და დაწესების შემდეგ მოყვანილია ქვემოთ (ცხრილი 5.9)

ცხრილი 5.9

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	შეღავათების დაწესებამდე	შეღავათის დაწესების შემდეგ
ერთეული საქონლის ფასი	ლარი	200	180
გაყიდვების მოცულობა	ერთეული	3000	3080
ცვალებადი ხარჯები	ლარი	390 000	400 400

განსაზღვრეთ: 1. მიზანშეწონილია 10% შეღავათის დაწესება ფასზე?

2. შეღავათის 10% სიდიდის დადგენა რამდენად არის ეკონომიკური დასაბუთებული?

საკონტროლო დავალების საკითხები ტესტებსა და სავარჯიშოებში

საკონტროლო დავალება №1

ტ ე ს ტ ე ბ ი

ტესტი № 1

საწარმოს აქტივებში, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან, რომელი განაპირობებს მასში საწარმოო მარაგების (მასალების) სვედრითი წონის ზრდას?

1) საწარმოო პოტენციალის გადიდება;
2) ფულადი საშუალებების (აქტივების) ინფლაციური ზემოქმედებიდან დაცვის თვალსაზრისით მათი საწარმოო მარაგებში (მასალებში) დაბანდება;
3) არარაციონალური სამეურნეო სტრატეგიის საფუძველზე მიმდინარე აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის უფრო დაბალი ხარისხის ლიკვიდურობის მარაგებში იმობილიზირება.

ტესტი № 2

საწარმოს (ფირმის) დებიტორული დავალიანების ზრდის ალმოსაფხვრელად ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან რომელი უნდა გატარდეს?

1) წინასწარი გადახდების რეჟიმის დაწესება;
2) საწარმოს პროდუქციის მყიდველთა ახალი წრეების (ბაზრების) დივერსიფიკაცია;
3) გრძელვადიანი გადახდების პირობებში ფასდაკლების, შელავათების გამოყენება;
4) დებიტორული დავალიანების – მყიდველებთან ანგარიშსწორების სფეროებში შიდა აუდიტის დაწესება.

ტესტი № 3

საწარმოს (ფირმის) შრომის ორგანიზაციის ანალიზის დროს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი მაჩვენებელი გამოიყენება?

1) სამუშაო დროის გამოყენების კოეფიციენტი;
2) ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების (შრომითი ნორმატივების) გამოყენების კოეფიციენტი;
3) მუშების შრომითი დანაწილებისა და მათი კოოპერირების პროგრესული ფორმების ხვედრითი წონა;
4) შრომის დისციპლინის მაჩვენებელი;
5) მუშაკთა დენადობის კოეფიციენტი;
6) მუშაკთა შრომის ანაზღაურების ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების სისტემატური შეუსრულებლობის მაჩვენებელი.

ტესტი № 4

საწარმოს აქტივების გამოყენების (ფონდუკუგების, ფონდტევადობის) მაჩვენებელზე ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას?

1) პროდუქციის ფასების დონე;
2) საწარმოო პროგრამაში სტრუქტურული ცვლილებები;
3) ძირითადი აქტივების (საშუალებების) ტექნიკური მდგომარეობა;
4) საწარმოო ფონდების (ძირითადი საშუალებების) სტრუქტურა და მათი გამოყენების ხარისხი;
5) კრედიტორული დავალიანების ზრდა.

ტესტი № 5

საწარმოს (ფირმის) მოგების მაჩვენებლის ანალიზის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება –

1) ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული მოგების (ზარალის) მაჩვენებლის ხარისხის შეფასება;
2) მოგების მაჩვენებლის დინამიკის განსაზღვრა;

3) მოგების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის სიდიდის განსაზღვრა (შეფასება);
4) დასაბეგრი მოგების სამართლიანობის დადგენა;
5) მოგების ძირითადი მიმართულებებისა და მათი ეფექტიანად გამოყენების შეფასება;
6) დებიტორულ-კრედიტორული ვადაგადაცილებული დავალიანებების ზრდის (შემცირების) კვლევა.

ტესტი № 6

X საწარმოში 2004 წლის დასაწყისისათვის და საანგარიშო პერიოდის დასასრულს მარაგების ღირებულება შეადგენდა შესაბამისად 100000 და 200000 ლარს. 2004 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულებამ შეადგინა 600000 ლარი. ზემოთ მითითებული მაჩვენებლების გამოყენებით საანალიზო პერიოდში (360 დღე) მარაგების ბრუნვადობა შეადგენს –

1) 84 დღეს;
2) 90 დღეს;
3) 96 დღეს.

ტესტი № 7

საწარმოს (ფირმის) შრომის ანაზღაურების ფონდის ანალიზი უზრუნველყოფს –

1) შრომის ანაზღაურების ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ფონდის გამოყენების ხარისხსა და დინამიკის განსაზღვრას;
2) საწარმოს ცალკეული დარგების (ქვედანაყოფების) მიერ ფონდის გამოყენების ეფექტურობას;
3) შრომის მწარმოებლურობისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპების შედარებას;
4) შრომის ანაზღაურების ფონდის ეკონომიის რეზერვების გამოვლენას;

5) შრომის ანაზღაურების ფონდის ფაქტობრივი ხარჯვის სიდიდის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებითი გადახრების (აბსოლუტური და შეფარდებითი) სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების კვლევას.

ტესტი № 8

საწარმოში (ფირმაში) ფონდუკუგების (ფონდტევადობის) მაჩვენებლის სიდიდეზე ქვემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ფაქტორებიდან რომელი ახდენს გავლენას?

1) პროდუქციაზე ფასების დონე;
2) საწარმოო პროგრამაში სტუქტურული ცვლილებები;
3) ძირითადი აქტივების (საშუალებების) ტექნიკური მდგომარეობა;
4) ფონდების სტრუქტურა და მათი გამოყენების ხარისხი;
5) არამატერიალური აქტივის – გუდვილის სიდიდე.

ტესტი № 9

ჩამოთვალეთ ძირითად ფაქტორთა ის ჯგუფები, რომლებიც განაპირობებენ საწარმოში ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის მოცულობების წარმოების ცვალებადობას (გადახრას), გეგმიურ მაჩვენებელთა შესრულების ხარისხს?

1) შრომის საშუალებები;
2) შრომის საგნები;
3) შრომითი რესურსები.

ტესტი № 10

ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან რომელი უზრუნველყოფს 1 ლარის სასაქონლო პროდუქციაზე თვითღირებულების (დანახარჯების) მაჩვენებლების შემცირებას?

1) გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილება;
2) პროდუქციის სტრუქტურის შეცვლა;

3) დებიტორული დავალიანების შემცირება;
4) მასალებზე და ნახევარფაბრიკატებზე ფასების შემცირება;
5) მომსახურების ტარიფების ცვლილება;
6) ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ხარჯების ეკონომია.

ტესტი № 11

საწარმოში (ფირმაში) ძირითადი ფონდების (საშუალებების) მდგომარეობისა და გამოყენების ანალიზი უზრუნველყოფს –
1) ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის ხარისხის შეფასებას;
2) ძირითადი საშუალებების შემადგენლობის, ტექნიკური მდგომარეობისა და დინამიკის განსაზღვრას;
3) წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე ძირითადი ფონდების გავლენის სიდიდის შეფასებას;
4) პროდუქციის მოცულობის სამომავლო ზრდის პროგნოზირებას

ტესტი № 12

სააქციო საზოგადოების საკუთარი კაპიტალი აღრიცხვისა და ანალიზის მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით არის –
1) საწარმოს აქტივები (მატერიალური და არამატერიალური);
2) საწარმოს ვალდებულებები (პასივები: მოკლევადიანი და გრძელვადიანი);
3) საწარმოს აქტივების ნაწილი (ღირებულება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ).

ტესტი № 13

X სააქციო საზოგადოების წმინდა შემოსავალი (მოგება) შეადგენს 18000 ლარს. აქციონერთა კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება 600 ათასი ლარის ტოლია. ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 1500 ერთეულია. გამოიანგარიშეთ და გაანალიზეთ:

1) კაპიტალის შემოსავლიანობის კოეფიციენტი;
2) მოგება ერთ აქციაზე.

საკონტროლო დავალება №2

ა მ ო ც ა ნ ა 1

კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლის (რენტაბელობის) განსაზღვრაზე.

1. საწარმოს საბაზისო წლის მოგება შეადგენდა 145000 ლარს. რეალიზაციიდან ამონაგები 725000 ლარს. ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება 1205000 ლ.
2. საწარმოს საანგარიშგებო წელს მოგებამ შეადგინა 151000 ლარი. ხოლო რეალიზაციიდან ამონაგებმა 742000 ლარი. კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება- 1155000 ლარი. განსაზღვრეთ და გაანალიზეთ საწარმოში კაპიტალისა და გაყიდვის რენტაბელობის მაჩვენებლები.

ა მ ო ც ა ნ ა 2

კაპიტალის გამოყენების ინტენსიურობის მაჩვენებლის (ბრუნვადო-
ბის) განსაზღვრაზე.

1. საწარმოში პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები წინა წელს 725000 ლარი შეადგინა. კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება 1150.0 ათასი ლარი. შესაბამისი

მაჩვენებლები საანგარიშგებო წელს შეადგენს 745000 ათას ლარს და 1180.0 ათას ლარს. განსაზღვრეთ კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი და გაანალიზეთ ბრუნვადობის დაჩქარების (შენელების) მაჩვენებელი.

ამოცანა 3

საწარმოს კაპიტალის გამოყენებაზე კაპიტალის ბრუნვადობისა და ბრუნვადობის ცვალებადობის გაელენის განსაზღვრაზე.

კაპიტალის საერთო თანხის ბრუნვადობა (დღეებში)საბაზისო წელს შეადგენდა-320. 2, მათ შორის ძირითადი კაპიტალისა- 180. 2-ს., საბრუნავი აქტივებისა- 140 დღეს. შესაბამისი მაჩვენებლები საანგარიშგებო წელს შეადგენდა:310.0; 176.6; 133.4 დღეებს. პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებმა შეადგინა 204 000 ლარი.

გაანალიზეთ ბრუნვადობის დაჩქარებით (შენელებით) ბრუნვიდან განთავისუფლებული(ან მოზიდული) მთლიანი კაპიტალის თანხა.

ამოცანა 4

გადახდისუნარიანობის (ლიკვიდურობის) საერთო მაჩვენებლის გაანალიზებაზე.

საწარმოს მაჩვენებლები	საანგარიშო წლის დასაწყისში ათას ლარებში	წლის ბოლოს ათას ლარებში
1. ფულადი სახსრები	75.0	105.0
2 .მზა პროდუქცია	53.0	120.4
3. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილი მოთხოვნები(დებიტორები)	300.0	240.6
4. საწარმოო მარაგი	2400.0	2500.0
5. დაუმთავრებელი წარმოება	1982.0	1804.0
6. საწარმოს მოკლევადიანი ვალები	4405.0	4205.0

განსაზღვრეთ ლიკვიდურობის საერთო კოეფიციენტი და გაანალიზეთ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები.

ამოცანა 5

საწარმოს ბალანსის აქტივის ანალიზის წარმოებაზე.

საწარმოს აქტივის სტრუქტურა (მაჩვენებლები)	წლის დასაწ.		წლის ბოლოს		ცვლილება + –
	ათასი ლარი	წილი%	ათასი ლარი	წილი%	
1. გრძელვადიანი აქტივები	10 500	?	11 500	?	?
2. მიმდინარე აქტივები:					
(საბრუნავი საშუალებები)	6 800	?	7 000	?	?
მათ შორის:					
ა) წარმოების სფეროში	3 000	?	3 400	?	
ბ) მიმოქცევის სფეროში	3 800	?	3 600	?	
სულ საწარმოს აქტივები	17 300	100	18 500	100	?

განსაზღვრეთ აქტივების სტრუქტურის ცვლილება და გააკეთეთ ანალიზური დასკვნები.

ამოცანა 6

პროდუქციის (მომსახურების სამუშაოების) რეალიზაციის გეგმის შესრულების ანალიზის წარმოებაზე.

საწარმოს პროდუქციის რეალიზაციის დადგენილი გეგმა მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეადგენს 205000 ლარს. მათ შორის ნავარაუდევია პროდუქციის გამოშვება მიმდინარე წელს (საბითუმო ფასებით) 200000 ლარის ოდენობით. საწარმოს არარეალიზებული (გაუყიდავი) პროდუქციის ნაშთის ცვლილება 5000ლ. ანგარიშგებით პროდუქციის ფაქტობრივი წარმოებამ შეადგინა 205000ლარი. არარეალიზებული ნაშთის ცვლილებამ–4000ლარი. სულ მოქმედ საბითუმო ფასებით რეალიზაციის მოცულობა უდრის 209000ლარს.

განსაზღვრეთ გეგმის შესრულებაზე მოქმედი ფაქტორების ზეგავლენის სიდიდე ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებით.

ა მ ო ც ა ნ ა 7

ძირითადი ფონდების მდგომარეობის ანალიზის წარმოებაზე.

მაჩვენებლები:	წლის დასაწ.		წლის ბოლოს		ზრდის ტემპი %
	ათასი ლარი	წილი%	ათასი ლარი	წილი%	
1. საწარმოო ძირითადი ფონდები	10 500	?	12000	?	?
2. მათ შორის ძირ. ფონდების აქტიური ნაწილი.	9500		10800		
3. არასაწარმოო ძირ. ფონდები	1260	?	1260	?	?
სულ:	11760	100	13260	100	?

გაიანგარიშეთ ძირითადი ფონდების სტრუქტურა და გაანალიზეთ მათი მდგომარეობა.

თავი VI. საწარმოს (კორპორაციის) ფინანსური ინფორმაციების (ანგარიშგების) ანალიზის მეთოდურ - პრაქტიკული ასპექტები

6.1. საწაროს ფინანსური მდგომარეობის – ბალანსის მუხლობრივი ანალიზი

ჩვენი კვლევის ობიექტად საწარმოს ფინანსური ანგარიშგება იქნება გამოყენებული, რომლის ანალიზის პროცესში განიხილება:

ა) ბალანსის მონაცემების საფუძველზე გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგომარეობის დადგენა და მათი ცვალებადობის კოეფიციენტების განსაზღვრა,

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დინამიკის გამოკვლევა,

გ) მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და მაით გავლენის შეფასება,

დ) საწარმოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შეფასება,

ე) ფულადი სახსრების ნაკადების დადგენა და მათი დენადობის დაჩქარების გზების ძიება,

ვ) საწარმოს ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) გამოკვლევა და საწარმოს საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასება და სხვა.

1. განვიხილოთ საწარმოს ბუღალტრული ბალანსის – საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

როგორც ცნობილია, საწარმოს (კორპორაციის) საბალანსო უწყისი დალაგებულია ლიკვიდურობის მიხედვით (იხ. § 3.3). ბალანსის ანალიზი იწყება მისი აქტივებით. კერძოდ, აქტივების გაანალიზება და მათი ხარისხის შეფასება ხდება შემდეგი სქემის (6.1) მიხედვით.

სქემა 6.1

ფული → მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები და რეზერვი საეჭვო ვალზე) → მარაგები → სხვა მიმდინარე აქტივები → ფიქსირებული (მატერიალური) აქტივები ინვესტიციები → არამატერიალური აქტივები.

აქტივების შემდეგ ბალანსის ანალიზი საწარმოს ვალდებულებებით უნდა გავაგრძელოთ. აქტივების ანალოგიურად უნდა მოხდეს ვალდებულებების კლასიფიკაცია:

1) მიმდინარე (მოკლევადიანი) ვალდებულებები,

2) გრძელვადიანი ვალდებულებები,

3) ცვალებადი ვალდებულებები – ამ ვალდებულებებს მიეკუთვნება საგადასახადო ვალდებულებები, ისინი იცვლებიან ორგანიზაციის შემოსავლების (ხარჯების) ცვლილების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში შეფასდება ე.წ. მომავალი ვალდებულებებიც (მათ მიეკუთვნება მაგ., საგარანტიო მომსახურება, ფორსმაჟორული პუნქტები, კომპანიისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების შესაძენად შედგენილი განაცხადი და ა.შ.).

საბალანსო უწყისის (იხილეთ ფრაგმენტი – საბალანსო უწყისი ცხ. 3.11) ანალიზის საშუალებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელი აკეთებს დასკვნას ამ საწარმოს ლიკვიდურობის შესახებ. საწარმოს ლიკვიდურობის შესასწავლად ძირითადად გამოიყენება შემდეგი: 1) ლიკვიდურობის (ბრუნვადობის), 2) "სწრაფი", 3) მარაგების "საყრდენი" და 4) სამუშაო კაპიტალის კოეფიციენტები.

"კრედიტუნარიანობის" შეფასება ბალანსის უწყისის ანალიზისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს, "კრედიტუნარიანობის" შინაარსი შეიძლება განიმარტოს როგორც მთლიანი ვალდებულებებისა და ნეტო აქტივების შეფარდება, ანუ ის გვიჩვენებს საწარმოს აქტივების რა ნაწილი აქვს "ნასესხები" (ვალი) კომპანიას.

$$\text{ვალის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი ვალდებულებები}}{\text{ნეტო აქტივები}} \qquad (6.1)$$

რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო რისკიანია კომპანია. მიუხედავად ამისა, რისკი კიდევ შემდეგ ფაქტორზეა დამოკიდებული: 1) აქტივების ხარისხი; 2) ვალდებულებების სტრუქტურა; 3) მომგებიანობა და ვალის გადახდისათვის არსებული ნაღდი ფული.

ბალანსის გამოყენებით ხდება ე.წ. საწარმოს შედარებითი ანალიზი, ანუ კრედიტორების მიერ იმის გაანალიზება, თუ რომელი საწარმოა მათთვის უფრო ხელსაყრელი ფულის გასასესხებლად.

6.2. საწარმოს საქმიანობის შედეგის – მოგება ან ზარალის უწყისის ანალიზი

მოგება-ზარალის უწყისი შეიძლება წარმოვადგინოთ ორნაირი ფორმატით:

1) ერთი ნაბიჯის ფორმატით, ან ჩამოიწეროს ყველა შემოსავალი, ყველა ხარჯი და მათი სხვაობით გამოვიანგარიშოთ მოგება,

2)მრავალი ნაბიჯის ფორმატით, ან მოხდეს შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაცია და თითოეულ ეტაპზე განესაზღვროთ მოგება.

მოგება ზარალის უწყისის სქემა (6.2)

შემოსავალი გაყიდვებიდან
- უკან დაბრუნებული საქონელი და ფასდათმობა
= წმინდა შემოსავალი გაყიდვებიდან
- რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (რ.პ.თ)
= მოგება გაყიდვებიდან
- საოპერაციო ხარჯები
= საოპერაციო მოგება
+ სხვა შემოსავლები
- სხვა ხარჯები
= მოგება
- მოგების გადასახადი
= წმინდა მოგება

მოგება-ზარალის უწყისის ანალიზისას მნიშვნელოვანია დადგინდეს რამდენად განმეორებადი შეიძლება იყოს შემოსავლები და რამდენად რეალურია იგი.

შემოსავლები ითვლება რეალურად, თუ შესრულებულია შემდეგი პირობები: – შემოსავლების გამომუშავება დასრულებულია, აღარ არის საჭირო რაიმე დამატებითი ოპერაციების შესრულება (მაგ. საგარანტიო მომსახურება);

– შემოსავალი ითვლება განმეორებად შემოსავლად. თუ სამართლიანია შემდეგი პირობები:

– რომელიმე პროდუქცია, ან მომსახურების სეგმენტაცია მიჩნეულია ძირითად საქმიანობად, ანუ უნდა გაანალიზდეს რამდენად სტაბილური იქნება შემოსავლები ამ პროდუქციისგან, რამდენად

არის დამოკიდებული მთლიანი შემოსავალი მასზე. თუ შემოსავლები წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა, რითია ეს განპირობებული – ფასების ზრდით, თუ გაყიდული ერთეულების რაოდენობის ზრდით, თუ შემოსავლების ზრდა განპირობებულია ერთეულ პროდუქციაზე ფასების ზრდით, მაშინ უნდა გაანალიზებულ იქნას შემდეგი: პროდუქციაზე ფასების ზრდა გამოწვეულია ამ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდით – ეს კომპანიისათვის კარგი მაჩვენებელია, რადგან საბოლოოდ ეს მოიტანს გაყიდვების რაოდენობის ზრდასაც. პროდუქციაზე ფასის ზრდა შეიძლება გამოწვეული იქნას ამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით – ესეც კარგი მაჩვენებელია, რადგან ასევე გამოიწვევს საბოლოოდ შემოსავლების ზრდას. საწარმოსთვის ნაკლებად მომგებიანია ფასების ზრდა მხოლოდ ინფლაციის ტემპის ზრდით.

თუ შემოსავლების ზრდა განპირობებულია გაყიდული ერთეულების რაოდენობის ზრდით, მაშინ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებებს: ერთეულების რაოდენობა გაიზარდა, რადგანაც საწარმოს გაყიდვები კრედიტში უფრო ლოიალური გახდა, ანუ საწარმო კლიენტებს (დებიტორებს) გარკვეულ შეღავათებს აძლევს. ეს მაინცდამაინც სახარბიელო არ არის, რადგან თუ საწარმომ კრედიტში გაყიდვების პირობები გაამკაცრა, მაშინ შეიძლება მოხდეს გაყიდვების რაოდენობის შემცირება.

გაყიდვების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს იმითაც, რომ საწარმომ უფრო ინტენსიურად გამოიყენოს არსებული რესურსები (ანუ აამაღლოს შრომისნაყოფიერება), ანდა შეიძინოს დამატებითი რესურსები (მაგ. გახსნას ფილიალი, ახალი მაღაზია) ეს ფაქტორები ძალზე ხელსაყრელია საწარმოსათვის.

მიმდინარე საანგარიშვო პერიოდის შემოსავლების ანალიზისას საჭიროა ისინი გასული წლების შემოსავლებს შევუდაროთ, ამით შეიძლება დავადგინოთ, ხომ არ იქნება წლევანდელი წელი რაიმეთი გამორჩეული. მაგ. თუ მიმდინარე წელს შემოსავალი ძალზე აღემატება წინა წლების შემოსავალს, შეიძლება ეს ფაქტი ბაზარზე რაიმე განსაკუთრებული მოვლენით აიხსნას. (ანალოგიური მოსაზრება სამართლიანია მაშინაც, თუ წლევანდელი შემოსავალი ძალზე დაბალია).

შემოსავლების ზრდას აგრეთვე უდარებენ საწარმოს ზრდის ტემპს ბაზარზე. ეს ნიშნავს, რომ გამოკვლეული უნდა იქნას საწარმოს თავისი ძირითადი პროდუქციის მიწოდებით მთლიანი ბაზრის რა წილი აქვს დაპყრობილი, ხომ არ არის ის მონოპოლისტი და ა.შ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყველაზე რთული ეტაპია, რადგან ხშირად ძნელია ბაზრის გამოკვლევა, სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება და ა.შ.

მოგება-ზარალის უწყისის გამოკვლევისას მნიშვნელოვანია გაანალიზდეს (უფრო ზუსტად მოხდეს პროგნოზირება) სამომავლო გაყიდვები, ბუნებრივია, ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღება ბაზრის გამოკვლევით, მაგრამ გარკვეული დასკვნები შეიძლება ფინანსური ანგარიშგებითაც მივიღოთ: გავაანალიზოთ უკან დაბრუნებული საქონელი (თუ ეს რიცხვი მაღალია, მაშინ ეს უნდა გავითვალისწინოთ როგორც უარყოფითი მოვლენა შემდგომი შემოსავლების დაგეგმვისას). აგრეთვე პრაქტიკულია ე.წ. მოთხოვნების შემოწმება. ბევრ კომერციულ ორგანიზაციას აქვს პრაქტიკა, რომ კლიენტს შეკვეთის მიცემისას შეავსებინოს ე.წ. მოთხოვნის ბარათი. ამ ბარათების ანალიზით დადგინდება მთელი შეკვეთების რა რაოდენობაა რეალური შეკვეთა, შესრულებულია თუ არა ყოველი მათგანი და ა.შ.

მოგების პროგნოზირებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცვალებადი და ფიქსირებული დანახარჯების შესაძლო ქცევა.

ცვლადი დანახარჯები იზრდება, ან მცირდება გაყიდვების რაოდენობის ცვლილებასთან ერთად, ისინი მოითხოვენ მენეჯმენტის მცირე ჩარევას ან სულაც ჩაურევლობას. რაც შეეხება ფიქსირებულ დანახარჯებს, მათი ცვლილება არ ხდება გაყიდვების რაოდენობის ცვლილებასთან ერთად, არამედ მათზე გავლენას მხოლოდ მენეჯმენტის გადაწყვეტილებები ახდენს.

როდესაც ბიზნესს მაღალი ფიქსირებული დანახარჯები აქვს ცვალებად დანახარჯებთან შედარებით, ამბობენ, რომ იგი ოპერატიულობის ზღვარზეა. ოპერატიულობის ზღვარი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგან თუ გაყიდვები შემცირდა, მაშინ ორგანიზაციამ შეიძლება ზარალი განიცადოს.

ხარჯების ანალიზისას პირველ რიგში უნდა მოხდეს მუდმივი და ცვალებადი ხარჯების გამიჯვნა (უფრო დეტალური კლასიფი-

კაცია). ამის შემდეგ კი განისაზღვრება ოპერატიულობის ზღვრის კოეფიციენტი.

$$\text{ოპერატიულობის ზღვრის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოგება ცვალებადი დანახარჯების შემდეგ}}{\text{დასაბეგრი მოგება}} \qquad (6.2)$$

გავიხსენოთ BEP გაყიდვების წერტილი ფინანსური აღრიცხვის ელემენტების კურსიდან (BEP-ში გაყიდვების ის რაოდენობაა, როდესაც კომპანიას ნულოვანი მოგება აქვს) და განვიხილოთ მაგალითი

	რეალური	BEP
გაყიდვები	1,000	820
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (რ.პ.თ. (80%)	800	656
მოგება გაყიდვებიდან (მარჟა)	200	164
მუდმივი (ფიქსირებული ხარჯები)	164	164
დასაბეგრი მოგება	36	0

$$\text{ოპერატიულობის ზღვარი} = \frac{200}{36} = 5.6$$

0,20 (მოგება გაყიდვებიდან, როგორც მთლიანი გაყიდვების %)

თუ საწარმოს მაღალი BEP გაყიდვების წერტილი აქვს, მაშინ ის საკმაოდ რისკიანია, რადგან მენეჯმენტი იოლად ვერ შეამცირებს მაღალ ფიქსირებულ დანახარჯებს გაყიდვების შემცირების დროს.

დანახარჯების გაანალიზების მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს: რა ტიპის შემოსავლებია მოსალოდნელი ამ ხარჯების გაწევით, ფულად ერთეულებში ეს დანახარჯი გაყიდვების რა პროცენტს შეადგენს, მომავალი პერიოდისათვის ხარჯების ზრდა თუ კლება მოსალოდნელი, ცვლადი და მუდმივი დანახარჯების ცვლილება რა ეფექტს გამოიწვევს. როგორც წესი, მიღებულია, რომ დანახარჯები შემდეგი თანმიმდევრობით იქნას გაანალიზებული: რ.პ.თ., ოპერაციული დანახარჯები, სხვა დანახარჯები, მოგების გადასახადი.

მთლიანი დანახარჯების გაანალიზებისას ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას: ა) ალრიცხვის მეთოდი, რომელიც გამოიყენება აქტივების ამორტიზაციისა და მათი საექსპლოატაციო ვადის დასადგენად, ბ) ბიზნესის პრაქტიკა, როგორიცაა თანამშრომლების კომპენსაცია და აქტივების რემონტი.

ა) ალრიცხვის მეთოდის კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს რამდენად სწორად არის არჩეული ცვეთის (ამორტიზაციის) მეთოდი და აქტივის მომსახურეობის ვადა, რა მეთოდით ხდება მარაგების შეფასება.

ბ) ბიზნესის პრაქტიკის გაანალიზება გულისხმობს – რა შეღავათებით სარგებლობენ თანამშრომლები, რა დანახარჯების გაწევა უხდება საწარმოს ძირითადი საშუალებების სარემონტოდ, ხომ არ არის საჭირო საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დანახარჯების გაწევა) და ა.შ.

6.3. საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ანალიზი

საწარმოს ფინანსების მენეჯმენტში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ფულადი სახსრების მიმოქცევა, ანუ ფულის ნაკადის ის შესაძლო რაოდენობა, რაც საჭიროა საწარმოს კაპიტალის შესაძენად და ყოველდღიური ოპერაციების საწარმოებლად. ფულადი სახსრების ანგარიშგება საშუალებას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს, გააანალიზოს საწარმოს ე.წ. "ლიკვიდურობა", ანუ საწარმოს უნარი – მიიღოს დროულად დებიტორული დავალიანებები, ანგარიშგება აწარმოოს თავის კრედიტორებთან, ერთდროულად დაფაროს საგადასახადო ვალდებულებები და ა.შ.

როგორც უკვე აღინიშნა, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის შესადგენად გამოიყენება საწარმოს ბალანსი და მოგება-ზარალის უწყისი. ეს ფინანსური უწყისი შედგება სამი ნაწილისაგან: საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი.

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი შეიძლება შედგენილ იქნეს პირდაპირი ან არა-

პირდაპირი მეთოდით. (იხ. პარაგრაფი 3.3 – „ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ“).

ქვემოთ მოყვანილია სადემონსტრაციო ამოცანა: სს “აისის“ ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი და დამატებითი ინფორმაცია 2005 წლისათვის (იხილეთ ცხრილი 6.1).

საბალანსო უწყისი (ლარებში)

ცხრილი 6.1

ბალანსის მუხლები	1.01.2005 წ.	31.12.2005 წ.
აქტივები		
ფული	10,400	14,100
დებიტორული დავალიანებები (მოთხოვნები)	25,300	27,400
მარაგები	18,600	21,900
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	3,200	2,700
სულ მიმდინარე აქტივები	57,500	66,100
ფიქსირებული აქტივები	62,000	76,800
აკუმულირებული ამორტიზაცია	(24,600)	(31,700)
სულ გრძელვადიანი აქტივები	37.400	45.100
სულ აქტივები	94,900	111,200
ვალდებულებები:		
კრედიტორული ანგარიშები	25,000	31,500
მიმდინარე ვალდებულებები	4,000	3,200
გადასახდელი მოგების გადასახადი	2,700	2,100
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე წილი	–	6,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები	31,700	42,800
გრძელვადიანი სესხი	30,000	24,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	30000	24000
სულ ვალდებულებები	61,700	66,800
საკუთარი კაპიტალი		
აქციები	12,000	19,000
გაუნაწილებელი მოგება	21,200	25,400
სულ კაპიტალი	33,200	44,400
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	94,900	111,200

ცხრილი 6.2

	(2005 წელი) (ლარებში)
შემოსავალი გაყიდვებიდან	164,000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (რ.პ.თ.)	91,200
ადმინისტრაციული ხარჯები (მოიცავს 9,800 – ამორტიზაციას)	61,000
საპროცენტო ხარჯები	2,700
შემოსავალი დაბეგვრამდე	9,100
(მოგების გადასახადი)	(2,900)
წმინდა მოგება	6,200

დამატებითი ინფორმაცია:

1) კომპანიამ წლის განმავლობაში შეიძინა 19,000 ლარის ძირითადი საშუალებები,

2) 4,200 ლარიანი აქტივი გაიყიდა 1,500 ლარად (დარიცხული ცვეთა 2,700 ლ.),

3) კომპანიამ გამოუშვა და გაყიდა 7,000 ლარის აქციები,

4) გადაიხადეს დივიდენდები 2,000 ლარი.

გავაანალიზოთ: ა) საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი პირდაპირი მეთოდით,

ბ) ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი არაპირდაპირი მეთოდით (გამოვიყენოთ პარაგ. 3.3 მოყვანილი ფორმულები):

1) საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ანალიზი (ლარებში)

შემოსავლები რეალიზაციიდან:

164,000-2,100=161,900

მარაგების შესაძენად გადახდილი თანხა:

91,200+3,300-6,500=88,000

საოპერაციო ხარჯები:

61,000-500+800-9,800=51,500

საპროცენტო ხარჯები:

2,700

მოგების გადასახადი
2,900+600=3,500
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი
161,900-88,000-51,500-2,700-3,500=16,200

2) საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ანალიზი (ლარებში)

ძირითადი საშუალებების ყიდვა – 19,000
ძირითადი საშუალების გაყიდვა + 1,500
17,500

3) ფინანსური საქმიანობის ფულადი ნაკადების ანალიზი (ლარებში)

აქციების გაყიდვა 7,000
დივიდენდები -2,000
5,000

სულ ფულადი ნაკადი საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან: 16,200-17,500+5,000=3,700 ლარი.

ბ) არაპირდაპირი მეთოდი:

სუფთა მოგების შესწორებები (კორექტირება) ლარებში
6,200 (წმინდა მოგება)
+9,800 (ამორტიზაცია)
16.000 წმინდა მოგების კორექტირებული თანხა
-2,100 დებიტორული დავალიანებები
– 3,300 მარაგები
+500 წინასწარ გადახდილი დაზღვევა
+6,500 კრედიტორული ანგარიშები
-800 მიმდინარე ვალდებულებები
– 600 მოგების გადასახადის დავალიანება
16,200

საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი გამოითვლება ისევე, როგორც პირდაპირ მეთოდში. ამდენად, სულ 16,200+(-17500)+500=3700 ლარი.

(შედარებისათვის ბალანსის უწყისში ფულის მატება (14100-10400) უდრის 3700 ლ).

საწარმოს ფინანსების მართვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზს. ამისათვის თავდაპირველად ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ფულის ციკლი და ფულადი ნაკადის ცნებანი, რომლებიც უკავშირდება სესხის გადახდისუსარიანობას.

ფულადი ციკლი არის ნაღდი ფული, რომელიც მოძრაობს მარაგებიდან დებიტორულ დავალიანებამდე, ანუ ეს არის ნაღდი ფულის ის ნაწილი, რომელიც ჯერ იხარჯება სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად, შემდეგ კი ივსება დებიტორული დავალიანების შეგროვებით (ანუ სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციით) ფულადი ციკლის მეშვეობით ხდება მხოლოდ მოკლევადიანი დავალიანებების (კრედიტორული ანგარიშების განაღდება) გადახდა.

ფულადი ნაკადი კი არის ფულის ის შემოსავალი (გასავალი), რომელიც მიიღება საწარმოს საოპერაციო ბიზნესის მომგებიანობიდან, საინვესტიციო (მომგებიანი აქტივების ბრუნვადობა) და ფინანსური საქმიანობიდან.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ანალიზის ძირითადი ფუნქცია კომპანიის კრედიტუნარიანობის შეფასებაში აისახება.

1. ოპერაციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადის შეფასებისას საჭიროა გვახსოვდეს შემდეგი:

თუ ფულადი ნაკადი დადებითია, შევაფასოთ როგორ გაიზარდა შემოსავლები რეალიზაციიდან, რის ხარჯზე მოხდა მათი ზრდა – კომპანიის მომგებიანობის, თუ უბრალოდ დებიტორულ-კრედიტორული ანგარიშების მანიპულირებით.

– რა რაოდენობის ნაღდი ფულია საჭირო მარაგების შესაძენად ყოველ წელს, ხომ არ არის ეს თანხა იმდენად დიდი, რომ ნაღდი ფული აღარ დარჩება ვალდებულებებისა და დივიდენდების გადასახდელად.

– ხომ არ არის ჩართული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები). ეს გაუთვალისწინებელი შემოსავალი (ან ხარჯი) შეიძლება დიდ გავ-

ლენას ახდენდეს კომპანიის ფულად ნაკადზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ დროებითი ხასიათი აქვთ და ვერ იძლევიან ამომწურავ ინფორმაციას რეალურ ფულად შემოსავლებზე (გასავლებზე).

2. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი ძირითადად უარყოფითია, რადგანაც კომპანია ანახლებს თავის ძირითად საშუალებებს. თუ ორგანიზაციას დადებითი ნაკადი აქვს საინვესტიციო საქმიანობიდან, მაშინ უნდა გამოვიკვლიოთ ეს დაგეგმილი იყო თუ არა წინასწარ (მხედველობაშია ძირითადი საშუალებების გაყიდვა) კომპანიის მიერ და რამდენი სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაშია ეს მოსალოდნელი, კომპანიას რომელი ძირითადი საშუალებების გაყიდვა არის დაგეგმილი მომავალ სააღრიცხვო პერიოდში.

როდესაც კომპანიას უარყოფითი ფულადი ნაკადი აქვს საინვესტიციო საქმიანობიდან, მაშინ ეს რიცხვი უნდა შევადაროთ პერიოდის ამორტიზაციას: თუ ამორტიზაცია აღემატება უარყოფით ფულად ნაკადს, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას აღარ დასჭირდება დამატებითი სახსრების გამოყოფა ძირითადი საშუალებების შესაძენად, ეს სახსრები შეიძლება გამოყენებული იქნას ვალდებულებების დასაფარავად.

თუ ამორტიზაცია უფრო ნაკლებია ვიდრე ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან, მაშინ უნდა ველოდოთ, რომ კომპანიას მოუხდება დამატებითი სახსრების გამოყოფა ძირითადი საშუალებების შესაძენად.

3. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

– სესხის აღებით გაზრდილი ფულადი სახსრების არსებობა.

– ინვესტორების მიერ კაპიტალში დამატებით ჩარიცხული თანხების არსებობა

– უნდა მოვახდინოთ კომპანიის წმინდა მოგებისა და დარჩენილი გრძელვადიანი სესხის შედარება.

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის ანალიზში დიდ როლს თამაშობს ე.წ. ფულადი ნაკადის "ხარისხი". ფულადი სახსრების ნაკადის ხარისხი განისაზღვრება ფულადი ნაკადის რესურსებით და ფულის ნაკადზე მოთხოვნით. ფულადი ნაკადის რესურ-

სები ხასიათდება მათი მიღების წყაროთი (შემოსავლებით ძირითადი საქმიანობიდან) და ე.წ. განმეორებადობით — ანუ რამდენად რენტაბელურია კომპანიის შემოსავლები. ფულის ნაკადის მოთხოვნა ხასიათდება შემდეგი კომპონენტებით: სამუშაო კაპიტალი, ფულის ციკლი, ძირითადი საშუალებების განახლება, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ყიდვა, დივიდენდების გადახდა, გრძელვადიანი სესხების განაღდება.

ფულადი ნაკადის ხარისხი განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით, რომელიც უნდა გვახსოვდეს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ანალიზისას.

— ოპერაციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადი დადებითია. ეს განპირობებულია იმით, რომ შემოსავლები რეალიზაციიდან იზრდება (და არა დებიტორულ-კრედიტორული ანგარიშების მანიპულირებით).

— ასეთ ნაკადს მაღალი ხარისხი აქვს.

— ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან დადებითია და ეს გამოწვეულია იმით, რომ ორგანიზაციამ ისესხა ფული — ასეთ ნაკადს დაბალი ხარისხი აქვს.

— ფულადი ნაკადი დაბალი ხარისხისაა, თუ იგი გაიზარდა მხოლოდ რაიმე ერთჯერადი ოპერაციით, ხოლო თუ ფულადი ნაკადი განმეორებითი ოპერაციებით იზრდება, ანუ საქმიანობას რეგულარული ხასიათი აქვს, მაშინ ამბობენ, რომ ფულადი ნაკადი მაღალი ხარისხისაა.

ფულად ნაკადს, რომელიც ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან არის მიღებული, დაბალი ხარისხი აქვს.

ამრიგად, ფულადი ნაკადის ხარისხის განსაზღვრისათვის პრიორიტეტი ენიჭება შემდეგ ფაქტორებს:

— დადებითი ფულადი ნაკადი მიიღება ოპერაციული საქმიანობიდან და ეს განპირობებულია რეალიზაციის ზრდით, შემოსავლები მიიღება რეგულარული ოპერაციებიდან.

— დამფუძნებლების მიერ ხდება დამატებითი თანხების ინვესტირება კაპიტალში, ეს ცხადია გაზრდის ფულად ნაკადს ფინანსური საქმიანობიდან. მართალია, ამ პროცესს განმეორებადი ხასიათი არ გააჩნია, მაგრამ დამატებითი ინვესტირება აღიქმება როგორც საქმიანობის საიმედოობა.

— ნაკლები ხარისხიანობით ხასიათდება ფულადი ნაკადი დადებითი საინვესტიციო საქმიანობიდან — ანუ ფიქსირებული აქტივების გაყიდვიდან.

— ყველაზე დაბალი ხარისხი აქვს იმ ფულად ნაკადს, რომელიც მიიღება სესხის ალებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის გაანალიზებით დაინტერესებული არიან პირველ რიგში ფირმის კრედიტორები. ასე მაგალითად,. თუ კომპანიის ფულადი ნაკადი ხარისხიანია, მაშინ კრედიტორები ასეთ ორგანიზაციებს ანიჭებენ უპირატესობას. კომპანიის ფულადი ნაკადის ხარისხის განსაზღვრაში აუცილებელ მონაწილეობას იღებს ფულად ნაკლზე მოთხოვნაც. ანალიზის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს:

— ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებიდან გამოიყოს უარყოფითი ნაკადები;

— განვიხილოთ, უარყოფითი ფულადი ნაკადი ერთჯერადია, თუ მას რეგულარული ხასიათი აქვს;

— განვიხილოთ, უარყოფითი ნაკადი ჩვეულებრივია თუ უჩვეულოდ მაღალი ან დაბალია;

— გაავანალიზოთ, უარყოფითი ფულადი ნაკადის გამოწვეული მოვლენა ექვემდებარება თუ არა მენეჯმენტის კონტროლს;

— შევადაროთ ფულადი ნაკადის ისტორიული, ახლანდელი და მომავალი რესურსები და მასზე მოთხოვნები.

წლების განმავლობაში არსებული ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს ისტორიული ფულადი ნაკადი ეწოდება. ისტორიული ფულადი ნაკადი ყველაზე საიმედო ინდიკატორია კომპანიის კრედიტუნარიანობისათვის. კერძოდ, სამართლიანია ფორმულა (6.3)

წმინდა მოგება
\+ ამორტიზაცია
\+ ან — სამუშაო კაპიტალის ცვლილება
— ძირითადი საშუალებების დანახარჯები (შეძენა)
— დივიდენდები
= ფულადი ნაკადი, რომელიც შეიძლება
მოხმარდეს ვალის დაბრუნებას.

ამ ფორმულის გამოყენება შესაძლებელია როგორც ისტორიული, ასევე დაგეგმილი ფულადი ნაკადისათვის (დაგეგმილ ფულად ნაკადში იგულისხმება, რომ აღნიშნული პუნქტები არა ისტორიულია, არამედ ეფუძნება სამომავლოდ შედგენილ ბიუჯეტს).

6.4 ფინანსური ინფორმაციების ზოგადი და ფარდობითი ანალიზის ძირითადი მახასიათებლები

განვიხილოთ ფინანსური აღრიცხვის (ანგარიშგების) ზოგადი და ფარდობითი ანალიზის არსი და მისი გამოყენების სფეროები

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს (ფირმის) ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები საზოგადოების სხვადასხვა სპექტრის წარმომადგენლები არიან: კომპანიის მენეჯერები, დამფუძნებლები, კრედიტორები, მომწოდებლები, მომხმარებლები, თანამშრომლები და ა.შ. სხვადასხვა მომხმარებელი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ გადაწყვეტილებას იღებს და აქედან გამომდინარე თავისებურად აანალიზებს ფინანსურ ინფორმაციას.

ყველაზე ხშირად ფინანსური ანგარიშგება გამოიყენება საწარმოს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად და სამომავლო ოპერაციების, მომგებიანობისა და ეფექტურობის პროგნოზირებისათვის. ქვემოთ განვიხილოთ ისეთი **ანალიზური ხერხები**, რომელსაც ფინანსური ანგარიშების მომხმარებლები იყენებენ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოსაპოვებლად და გასაანალიზებლად.

ფინანსური ანგარიშგების **ზოგადი ანალიზი** იყენებს სამი ტიპის ტექნიკას: 1) ფინანსური ანგარიშგების შედარებითი ანალიზი, 2) ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების პროცენტული ანალიზი, 3) ფარდობითი ანალიზი, ყოველი მათგანი ეფუძნება შედარების ტექნიკას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი

1) **ფინანსური ანგარიშგების შედარებითი ანალიზი** — ამ ანალიზის დროს ერთმანეთს უნდა შევუდაროთ ერთი და იგივე ტიპის ფინანსური უწყისები (ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი და ა.შ.) დროის სხვადასხვა მონაკვეთისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა გადაწყვეტილების მიმღებმა გაანალიზოს საწარმოს

ფინანსური პოზიციის ცვლილება, გამოიკვლიოს ცვლილების მიზეზები. ამ მიზეზების ცოდნა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს სამომავლო პროგნოზირების გაკეთებაშიც ეხმარება.

2) შედარებითი ანალიზის გარდა გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების კომპონენტთა პროცენტული ანალიზიც. პროცენტული ანალიზისას ფინანსური ანგარიშგების ელემენტები წარმოდგენილია უწყისში უდიდესი ფინანსური მახასიათებლის პროცენტის სახით. მაგ. მოგება-ზარალის უწყისში ყოველი კომპონენტი წარმოდგენილია როგორც შემოსავლის პროცენტი, ბალანსში როგორც მთლიანი აქტივების პროცენტი.

პროცენტული შედარებითი ანალიზი მომხმარებელს საშუალებას აძლევს განასხვაოს, თუ რამ გამოიწვია რომელიმე ანგარიშის ზრდა – მაგ. მოგების, ან კაპიტალის ზრდა – გამოწვეულია ორგანიზაციის საქმიანობის გააქტიურებით, თუ სხვა მიზეზებით. ქვემოთ მოყვანილია ნიმუში პროცენტული შედარებითი მოგება-ზარალის უწყისისა:

ცხრილი 6.3.

	2004 წ.		2003 წ.		2001 წ.	
	თანხა	წილი	თანხა	წილი	თანხა	წილი
გაყიდვები	3,647,916	100%	3,070.777	100%	2,527.941	100%
რ.ა.თ.	(2,201,281)	60.3	1,856.074	60,4	1,535,166	71.9
მოგება გაყიდვ.	1,446,635	39,7	1,214,703	39,6	992,775	28.1
ადმ.ხარჯი	821,381	22,5	747,285	24.3	583,903	16.5
ოპერაციული მოგება	467,418	12.8	408,872	13,83	625,254	13.4
საპროცენტო ხარჯი	(58,059)	(1.6)	(63,418)	(2,1)	(40,322)	(1.1)
სხვა შემოსავალი	6,731	0.2	(7,864)	(0.3)	9,638	0.2
მოგება	573.926	15.7	396.136	12,9	378.188	10.7
მოგების გადასახადი	227,000		151.000		143,00	
წმინდა მოგება	346,926	9,5	245,136	8,0	235,188	6.7

3) ფინანსური ანგარიშგების ანალიზი – ფარდობითი ანალიზი

ფარდობითი ანალიზი ფინანსურ აღრიცხვაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაწყვეტილებების მიღების დროს. ფარდობითი ანალიზი იყენებს კოეფიციენტების (შეფარდებების) გამოთვლას, კოეფიციენტების შედარებას სხვადასხვა სააღ-

რიცხვო პერიოდისათვის. ამ კოეფიციენტებს ფინანსურ კოეფიციენტებსაც უწოდებენ.

ფინანსური კოეფიციენტები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1) მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტები — ეხმარება კრედიტორებს გადაწყვეტილების მიღებაში,

2) ვალის გადახდისუნარიანობის,

3) ოპერაციული კოეფიციენტები ეხმარება მენეჯმენტს საწარმოს მიმდინარე ოპერაციების დაგეგმვასა და მართვაში,

4) მომგებიანობის კოეფიციენტები — საინტერესოა საწარმოს კომპანიის აქციონერებისა და გრძელვადიანი სესხის, კრედიტის გამცემისათვის,

5) საბაზრო (დამფუძნებლების) კოეფიციენტები საინტერესოა (საწარმოს) მეპატრონეებისათვის.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1) მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტები (Liquidity Ratio) — ცხადია, რომ მოკლევადიანი კრედიტის გამცემი დაინტერესებულია გაიგოს, რამდენად აქვს საწარმოს უნარი მიმდინარე საანრიცხვო პერიოდში დააბრუნოს აღებული კრედიტი. ნაღდი ფულის ამოღება დროის მოკლე შუალედში ხდება დებიტორული დავალიანებების შეგროვებით და სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაყიდვით (ცხადია, ნაღდი ფული ასევე მიიღება შენობის, მიწისა და მანქანა-დანადგარების გაყიდვითაც, მაგრამ ამ პროცესს უფრო დიდი დრო ესაჭიროება). ამასთანავე, კრედიტორი შეაფასებს იმ ვალდებულებებსაც, რომელიც ფირმამ საანრიცხვო წელს უნდა გადაიხადოს, ანუ მოკლევადიან ვალდებულებებს. ამ მიზნებისათვის კრედიტორები აანალიზებენ ლიკვიდურობის კოეფიციენტებს — ეს კოეფიციენტები "ზომავენ" მიმდინარე ვალდებულებებისა და მიმდინარე აქტივების შეფარდებას.

ა)

$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ბრუნვადობის კოეფიციენტი)} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

ლიკვიდურობის კოეფიციენტთან ერთად ასევე იყენებენ ე.წ. "სწრაფ" (Quick Ratio) კოეფიციენტს, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება

$$\text{"სწრაფი" კოეფიციენტი} = \frac{\text{"სწრაფი" აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

განვიხილოთ მაგალითი.

კომპანიის "სწრაფი" აქტივებია ფული და მისაღები ანგარიშები (ანუ დებიტორული დავალიანებები)
საწარმოსათვის არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

	2005 წ.	2004 წ.
1. მიმდინარე აქტივები		
ფული	21,734	15,276
მისაღები მოთხოვნები	596,171	531,461
მარაგები	482,136	407,006
სხვა აქტივები	63,703	69,851
სულ:	1,163,744	1,023,594
1.1 "სწრაფი" აქტივები	617,905	546,737
2. მიმდინარე ვალდებულებები	478,220	455,955
ლიკვიდურობის კოეფიციენტი (1:2)	2,43	2,24
"სწრაფი" კოეფიციენტი (1.1:2)	1,29	1,20

როგორც ანალიზი მოწმობს, გაიზარდა საწარმოს ლიკვიდურობა (ასევე, მისი "სწრაფი" აქტივების ლიკვიდურობაც).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ფინანსურ ანალიზში არ არსებობს რაიმე სტანდარტი კოეფიციენტებისათვის, მაგრამ თუ კომპანიის "სწრაფი" კოეფიციენტი 1-ის ტოლია, მაშინ ამბობენ, რომ ფირმა ადეკვატურად ლიკვიდურია, ანუ მას გააჩნია ზუსტად იმდენი ნაღდი ფული და მოთხოვნები, რაც საკმარისია მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. იმის გამო, რომ ზოგიერთი მიმდინარე აქტივი ძალიან სწრაფად ვერ გადაიქცევა ფულად (მაგ. მარაგები და წინასწარ გაწეული ხარჯები), ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2.0 არის მისაღები კრედიტორებისათვის. ზოგადად, კრედიტორები თა-

ვიანთ არჩევანს ისეთ საწარმოებზე აჩერებენ, რომლის ლიკვიდურობაც მაღალია.

2. განვიხილოთ ვალის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი – გრძელვადიანი კრედიტის გამცემები დაინტერესებულნი არიან საწარმოს მომგებიანობით და არა ლიკვიდურობით. ცნობილია, რომ სესხის შემთხვევაში საწარმომ უნდა დააბრუნოს ძირეული თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი დადგენილი გრაფიკის მიხედვით. ცხადია, რაც უფრო დიდია ძირეული თანხა, მით მეტია კრედიტორის რისკი. ვალის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები გვიჩვენებს: 1) შემოსავლებისა და დარიცხული პროცენტის (სარგებლის) შეფარდებას, 2) სესხის ძირეული თანხისა და საწარმოს კაპიტალის შეფარდებას. ფინანსურ ანალიზში გამოიყენება დროის პერიოდში დარიცხული სარგებლის კოეფიციენტი:

$$\text{პერიოდის სარგებლის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{სარგებელი} + \text{გადასახადები}}{\text{სარგებელი}} \qquad (6.4)$$

მოვიყვანოთ მაგალითი:

	2004 წ.	2003 წ.
წმინდა მოგება	346,926	245,136
სარგებელი	58,059	63,148
გადასახადები	227,000	151,000
წმინდა მოგება + სარგებელი + + გადასახადები სულ	631,985	
	459,554	
პერიოდის სარგებლის კოეფიციენტი	10.89	7.25

აღვნიშნოთ, რომ პერიოდის სარგებლის კოეფიციენტის გამოთვლა ხდება ისეთი გრძელვადიანი სესხისათვის, რომლის დაფარვაც მიმდინარეობს ნაწილ-ნაწილ. ამის გამო, ცხადია, პერიოდის სარგებელი (დარიცხული პროცენტი) მცირდება. სწორედ ასეთი შემთხვევაა განხილული მაგალითში. პერიოდის სარგებლის კოეფიციენტი გაიზარდა იმის გამო, რომ შემცირდა სესხის ძირეული თანხა და მასთან ერთად სარგებელიც, ამასთანავე გაიზარდა კომპანიის წმინდა მოგება.

ზოგადად, საწარმოს ვალი შეიძლება განვმარტოთ როგორც გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებისა და მიმდინარე ვალდებულებების ჯამი. სესხის აღება საწარმოს გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან მისი დარიცხული სარგებლის დაბრუნება უნდა მოხდეს დროის ფიქსირებულ შუალედში, რამაც შეიძლება საწარმო გაკოტრებამდე მიიყვანოს. ამბობენ, რომ საწარმო მაღალი რისკის მქონეა, თუ სესხის შეფარდება კაპიტალთან მაღალია.

სესხისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ კაპიტალის რა ნაწილი ეკუთვნით საწარმოს კრედიტორებს.

$$\text{სესხის და კაპიტალის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი ვალი}}{\text{კაპიტალი}} \qquad (6.5)$$

შესაბამისად, სესხისა და აქტივების შეფარდების კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ აქტივების რა ნაწილია კრედიტორების კუთვნილებაში.

$$\text{სესხისა და აქტივების კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი ვალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} \qquad (6.6)$$

ზოგჯერ, თუ კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მცირეა, კრედიტორები ზემოთ მოყვანილ კოეფიციენტებს თვლიან მხოლოდ გრძელვადიანი სესხისათვის. ცხადია, ეს კოეფიციენტები გვიჩვენებს კაპიტალისა თუ აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გრძელვადიანი სესხით.

3. განვიხილოთ ოპერაციული კოეფიციენტები – (ეფექტურობის კოეფიციენტები) რომლებიც – გვიჩვენებენ საწარმოს მიერ მისი აქტივების გამოყენების ინტენსივობას. ეს კოეფიციენტები საწარმოს მენეჯმენტს აძლევენ ინფორმაციას დროის იმ შუალედის შესახებ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მისაღები მოთხოვნები გადაიქცეს ნაღდ ფულად. რაც უფრო ნაკლები დრო სჭირდება საწარმოს ამ ოპერაციებისათვის, მით უფრო ინტენსიურია მისი მუშაობა. იმის გამო, რომ ინტენსიურად მომუშავე საწარმოებს უფრო მაღალი მოგება აქვთ, მაღალი მოგება კი ქმნის იმ ფულად რე-

სურსებს, რომლითაც მოხდება კრედიტების დაფარვა, ამიტომ საწარმოო მენეჯმენტთან ერთად კრედიტორებიც დაინტერესებულნი არიან ოპერაციული კოეფიციენტებით. მოგების ზრდა ასევე საშუალებას იძლევა გავზარდოთ დივიდენდები, ამის გამო აღნიშნული კოეფიციენტებით აქციონერებიც ინტერესდებიან.

დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა ხასიათდება დროის იმ შუალედით, რაც საჭიროა კრედიტში განხორციელებული რეალიზაციიდან ფულის ამოღებით. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს წლის განმავლობაში რამდენად სწრაფად გროვდება ფული (ან როგორც ამბობენ ბრუნავს მოთხოვნები). რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია საწარმოს კრედიტუნარიანობა.

$$\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{შემოსავლები}}{\text{დებიტორული დავალიანება}} \qquad (6.7)$$

მარაგების ბრუნვადობა არის ის რიცხვი, რამდენჯერაც წლის განმავლობაში ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენა და გაყიდვა. რაც უფრო მაღალია მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად (ინტენსიურად) მუშაობს საწარმო.

$$\text{მარაგების ბრუნვების კოეფიციენტი} = \frac{\text{რეალიზ. პროდუქციის თვითღირებულება}}{\text{მარაგების საშუალო ღირებულება}} \qquad (6.5)$$

აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Assets Turnover Ratio) გვიჩვენებს, თუ რა ინტენსივობით ხდება კომპანიის აქტივების გამოყენება რეალიზაციისათვის.

$$\text{აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა გაყიდვები}}{\text{აქტივების საშუალო ღირებულება}} \qquad (6.9)$$

აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპანიის ოპერაციული კოეფიციენტების ზრდა გარე ფაქტორებზეც არის დამოკიდებული. მაგ. დებიტო-

ზოგადად, საწარმოს ვალი შეიძლება განვმარტოთ როგორც გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებისა და მიმდინარე ვალდებულებების ჯამი. სესხის აღება საწარმოს გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რადგან მისი დარიცხული სარგებლის დაბრუნება უნდა მოხდეს დროის ფიქსირებულ შუალედში, რამაც შეიძლება საწარმო გაკოტრებამდე მიიყვანოს. ამბობენ, რომ საწარმო მაღალი რისკის მქონეა, თუ სესხის შეფარდება კაპიტალთან მაღალია.

სესხისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ კაპიტალის რა ნაწილი ეკუთვნით საწარმოს კრედიტორებს.

$$\text{სესხის და კაპიტალის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი ვალი}}{\text{კაპიტალი}} \qquad (6.5)$$

შესაბამისად, სესხისა და აქტივების შეფარდების კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ აქტივების რა ნაწილია კრედიტორების კუთვნილებაში.

$$\text{სესხისა და აქტივების კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი ვალი}}{\text{მთლიანი აქტივები}} \qquad (6.6)$$

ზოგჯერ, თუ კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მცირეა, კრედიტორები ზემოთ მოყვანილ კოეფიციენტებს თვლიან მხოლოდ გრძელვადიანი სესხისათვის. ცხადია, ეს კოეფიციენტები გვიჩვენებს კაპიტალისა თუ აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გრძელვადიანი სესხით.

3. განვიხილოთ ოპერაციული კოეფიციენტები – (ეფექტურობის კოეფიციენტები) რომლებიც – გვიჩვენებენ საწარმოს მიერ მისი აქტივების გამოყენების ინტენსივობას. ეს კოეფიციენტები საწარმოს მენეჯმენტს აძლევენ ინფორმაციას დროის იმ შუალედის შესახებ, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მისაღები მოთხოვნები გადაიქცეს ნაღდ ფულად. რაც უფრო ნაკლები დრო სჭირდება საწარმოს ამ ოპერაციებისათვის, მით უფრო ინტენსიურია მისი მუშაობა. იმის გამო, რომ ინტენსიურად მომუშავე საწარმოებს უფრო მაღალი მოგება აქვთ, მაღალი მოგება კი ქმნის იმ ფულად რე-

ოპერაციული კოეფიციენტები გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რამდენად ეფექტურია გასაყიდი ფასი, ადმინისტრაციული და სხვა დანახარჯები.

გარდა ოპერაციების მომგებიანობისა, საწარმოსათვის ასევე საინტერესოა რამდენად ეფექტურია მოგებისა და კაპიტალის შეფარდება:

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{კაპიტალი}} \quad \text{და} \quad \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}} \qquad (6.11)$$

ეს კოეფიციენტები გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საწარმო მასში არსებულ დაბანდებებს (კაპიტალს, აქტივებს).

მომგებიანობის კოეფიციენტი – როე (ROE - Return on Equit)

მომგებიანობის მაჩვენებლებს შორის ფინანსისტების უმეტესობა უპირატესობას სააქციონერო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტს ანიჭებს.

როე-ს ფორმულა არის შემდეგი:

$$\text{როე} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციონერო კაპიტალი}} \qquad (6.12)$$

განვიხილოთ მაგალითი. წმინდა მოგება შეადგენს 119,3 ათას ლარს, სააქციონერო კაპიტალის ღირებულებაა 656,0 ათასი ლარი, მაშინ როე (ROE)=18,2%. მაშასადამე, აქციონერების მიერ ყოველ 100 ლარზე დაბანდებული კაპიტალის უკუგებამ 18,2 ლარი შეადგინა, რაც „პოზიტიურ“ მაჩვენებლად გვევლინება.

თუ წმინდა მოგება იზრდება და საქციონერო კაპიტალი უცვლელია, მაშინ როე-ც იზრდება და შესაბამისად კომპანიის აქციონერების ქონების ღირებულებაც იზრდება. როე-ს ზრდით საწარმოს ფინანსური მენეჯერი ახერხებს საწარმოს აქციონერების კაპიტალის ეფექტურად გამოყენებას და დამატებითი ღირებულების შექმნას. განვიხილოთ ეს პარამეტრი უფრო დეტალურად:

- როე-ს შემადგენელი კომპონენტები

თავად როე სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ეს კომპონენტებია მოგების ზღვრული კოეფიციენტი (profit margin

ratio), აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (asset turnover) და ფინანსური ლევერიჯი (financial leverage):

$$\text{როე} = \text{მოგების ზღვრული კოეფიციენტი} \times \text{აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი} \times \text{ფინანსური ლევერიჯი} \quad (6.13)$$

პირობითი მაგალითიდან როე არის შემდეგი:

$$\text{როე} = 119.3/941.5 \times 941.5/1{,}001.6 \times 1001.6/656$$

$$\text{როე} = 0.127 \times 0.94 \times 1.53$$

ზემოთმოყვანილი ფორმულით წარმოდგენილ როე-ს კოეფიციენტს დიუ-პონის ტოლობას უწოდებენ, ვინაიდან ამ ფორმით როე-ს გამოთვლის პოპულარიზაცია სწორედ კომპანია დიუპონმა მოახდინა. ამ ფორმულის გაანალიზების შემდეგ ნათელი ხდება, რომ მენეჯმენტს გააჩნია როე-ზე გავლენის სამი სხვადასხვა ბერკეტი – მოგების ზღვრული კოეფიციენტი, აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი და ფინანსური ლევერიჯი, ანუ თუკი ამ რომელიმე სამი კომპონენტიდან ერთი მაინც გაიზარდა, შესაბამისად იზრდება როე.

მომგებიანობის კოეფიციენტი – მოგების ზღვრული კოეფიციენტი აჯამებს საწარმოს მოგება/ზარალის უწყისის მდგომარეობას. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენი ლარი რჩება საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან (ანუ რეალიზაციის ყოველი 1 ლარიდან, რამდენი თეთრია საწარმოს მოგება):

$$\text{მოგების ზღვრული კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{გაყიდვები}} \quad (6.14)$$

ეს კოეფიციენტი განსაკუთრებით ყურადსაღებია საოპერაციო მენეჯერებისთვის, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს დაფინანსების წყაროებს და განსაზღვრავს საწარმოს ფასწარმოქმნის პოლიტიკას.

აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Assets Turnover Ratio)

აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი მიუთითებს, თუ რა რაოდენობის რეალიზაციაა აქტივებთან მიმართებაში. ეს მაჩვენებელი აჯამებს საწარმოს საბალანსო უწყისის მარცხენა ნაწილის, ანუ აქტივების მდგომარეობას:

$$\text{აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{გაყიდვები}}{\text{მთლიანი აქტივები}} \qquad (6.15)$$

კარგი არის თუ ცუდი ბევრი აქტივი?

თუ საწარმო არ აპირებს ბიზნესიდან გასვლას, მისი ღირებულება არ განისაზღვრება აქტივებით. მთავარი განმსაზღვრელი ინდიკატორი ასეთ შემთხვევაში არის შემოსავლის ის ნაკადები, რომლის გამომუშავებასაც საწარმო აპირებს თავისი საქმიანობით. უფრო მეტიც, იდეალური იქნებოდა ისეთი საწარმო, რომელიც შემოსავალს გამოიმუშავებდა აქტივების გარეშე, თუმცა, ასეთი რამე ბუნებაში არ ხდება.

აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი ზომავს, თუ რა რაოდენობის გაყიდვები მოდის აქტივების თითოეულ ლარზე. მაგალითისთვის, თუ ბრუნვადობის კოეფიციენტია 0.84, ეს ნიშნავს იმას, რომ აქტივებში დაბანდებულ ყოველ 1 ლარზე საწარმომ მოახდინა 0.84 ლარის (ანუ 84 თეთრის) გაყიდვები.

აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი აერთიანებს აქტივების შემადგენელი ცალკეული აქტივების ბრუნვადობასაც. ამ ცალკეულ აქტივებში გამოსაყოფია:

ა) მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტი,

ბ) დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდის კოეფიციენტი,

გ) კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის კოეფიციენტი,

დ) ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტი

მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ როგორ სწრაფად ახერხებს საწარმო ნედლეულის მასალების რეალიზაციას:

$$\text{მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{გაყიდული მასალების ღირებულება}}{\text{მასალები}} \qquad (6.16)$$

შესაბამისად (პირობითი ამოცანისათვის) მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტი იქნება:

მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტი = 464.6/144.0=3.2.-ჯერ

ეს კოეფიციენტი, რომელიც შეადგენს 3.2-ს, რაც სხვა სიტყვებით ნიშნავს, რომ ტიპიური სასაქონლო ერთეული საწარმოს საწყობში წლის განმავლობაში შედის 3.2-ჯერ; ანუ იგივე აქტივი სანამ გაიყიდება საწყობში ჩერდება 3.75 თვე (12 თვე/3,2=3.75 თვეს).

$$\text{მასალების ბრუნვადობა/დღე} = \frac{12}{\text{მასალების ბრუნვადობის კოეფიციენტი} - 3,2} = 3,75\text{ჯერ}$$

გაყიდვები პირდაპირ არის დამოკიდებული ნედლეულსა და მასალებზე — რაც მეტი მასალები მოიხმარება მზა პროდუქციის შესაქმნელად და სწრაფად ხორციელდება რეალიზაცია, მით უფრო მეტჯერ მოხდება ნედლეულის ბრუნვაც. ამავე დროს საწარმომ ზუსტად უნდა შეაფასოს თავისი შესაძლებლობები და მინიმუმამდე დაიყვანოს ისეთი სიტუაცია, როდესაც ნედლეულისა და მასალების მცირე რაოდენობის გამო ვერ შეძლებს კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბ) დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდის კოეფიციენტი

დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდის კოეფიციენტი უჩვენებს, თუ როგორ ახორციელებს საწარმო დებიტორული დავალიანების მართვას:

$$\text{დავალიანების ინკასაციის პერიოდი} = \frac{\text{დებიტორული დავალიანება}}{\text{საკრედიტო გაყიდვები/ 365}} \qquad (6.17)$$

ჩვენი საწარმოსათვის ეს კოეფიციენტი ტოლია:

დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი = 181,3/941/365=70,3 დღე

განვმარტოთ, რას ნიშნავს საკრედიტო გაყიდვები: საქართველოს რეალობაში საკრედიტო გაყიდვები (საქონლის რეალიზაციის ისეთი ფორმა, როდესაც მომწოდებელი მყიდველს გადაუტვირთავს საქონელს და ანგარიშსწორებას მოგვიანებით აქვს ადგილი – 1,2 ან 3 თვის შემდეგ) იშვიათია, ვინაიდან გარიგებების უმეტესობა ნაღდი ფულის საშუალებით ადგილზევე ხორციელდება.

ცნობილია, რომ საზღვარგარეთის ბიზნესში გარიგებების დიდი უმეტესობა სწორედ, რომ საკრედიტო პირობების დაცვით ხდება, ანუ გამყიდველი კომპანია გადატვირთული საქონლისთვის ანაზღაურებას არა იმავე დღეს, არამედ 1,2 ან 3 თვის შემდეგ ითხოვს. სწორედ ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ჩავთვალოთ, რომ ყველა გაყიდვა განხორციელდა კრედიტით.

კომპანიები, როგორც წესი, მიისწრაფვიან დააყოვნონ კლიენტებისგან მიღებულ საქონელზე ანგარიშსწორება, რათა უფრო უკეთესად მოხდეს ხელთ არსებული ფულადი რესურსების განკარგვა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ანგარიშსწორება გვიანდება, ან ცდება კონტრაქტში დაფიქსირებულ ვადებს. სანდო პარტნიორის რეპუტაციის შენარჩუნება ყოველი კომპანიის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

ასე რომ, თუ ჩვენს შემთხვევაში საწარმო თავის მიერ გადატვირთულ პროდუქციას ყიდის ანგარიშსწორების 90-დღიანი კრედიტის პირობით, მაშინ მის მიერ დებიტორული დავალიანების 70-დღიანი ინკასაციის ციფრი საკმაოდ კარგ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს.

გ) კრედიტორული დავალიანების დაფარვის მაჩვენებელი

კრედიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი უჩვენებს, თუ როგორ ახორციელებს საწარმო კრედიტორული დავალიანების მართვას:

$$\text{კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი} = \frac{\text{კრედიტორული დავალიანება}}{\text{საკრედიტო შესყიდვები / 365}} \qquad (6.18)$$

ჩვენი საწარმოსთვის ეს კოეფიციენტი ტოლია:

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი = 1,000·2/464·6/365=78,7 დღე

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ რომ მნიშვნელში გამოიყენება საკრედიტო შესყიდვები (ვინაიდან საკრედიტო შესყიდვები წარმოადგენს იმ ოპერაციას, რომელიც გამოიმუშავებს საკრედიტო დავალიანების ზრდას). თუმცა, როგორც წესი, საკრედიტო შესყიდვები იშვიათად არის ცნობილი გარე პირისთვის. სწორედ ამიტომ მის ნაცვლად მნიშვნელში იყენებენ გაყიდული მასალების თვითღირებულებას (როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია წარმოდგენილი). შესაბამისად, ჩვენს შემთხვევაში კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის ფორმულა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

$$\text{კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი} = \frac{\text{კრედიტორული დავალიანება}}{\text{გაყიდული მასალების თვთღირებულება}} \qquad (6.19)$$

დ) ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებელი

ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი ზომავს ძირითად ფონდებში დაბანდებულ სახსრებსა და გაყიდვებს შორის არსებულ დამოკიდებულებას:

$$\text{ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{გაყიდვები}}{\text{ფიქსირებული აქტივები}} \qquad (6.20)$$

ჩვენი საწარმოსთვის ეს კოეფიციენტი ტოლია:

ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი = 9415/432=2,2ჯერ

ამ კოეფიციენტით სარგებლობას სიფრთხილე სჭირდება, ვინაიდან ხშირად კომპანიების მიერ ძირითად ფონდებში დაბანდებული ფული, უკუგებას მხოლოდ რამდენიმე წლის მოგვიანებით იძლევა. ჩვენს შემთხვევაში საწარმოს ფინანსური დოკუმენტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს ძირითადი ფონდების ბრუნვადობის კოეფიციენტის თანდათანობით შემცირებას. აქ რამდენიმე დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ:

ა. საწარმოს საქმეები მიდის ცუდად და გაყიდვები მცირდება;

ბ. საწარმო ახორციელებს კაპიტალურ დაბანდებებს ფიქსირებულ აქტივებში მომავალში მოგების მიღების მიზნით.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ თუკი საწარმო ელოდება გაყიდვების შემცირებას, მან რესტრუქტურიზაციის მიზნით შეიძლება გაყიდოს ზედმეტი ფიქსირებული აქტივები და ამით გაზარდოს ძირითად ფონდების ბრუნვადობის კოეფიციენტი.

ე) აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი – როა (ROA)

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ აქტივების ბრუნვადობისა და მოგების ზღვრული კოეფიციენტები, გადავიდეთ კიდევ ერთ აქტივებზე უკუგების კოეფიციენტზე, რომელიც ზომავს წმინდა მოგებას კომპანიაში განხორციელებულ მთლიან ინვესტიციებთან მიმართებაში (როა – ROA - Return on Assets)

$$\text{როა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{გაყიდვები}} \times \frac{\text{გაყიდვები}}{\text{მთლიანი აქტივები}} \qquad (6.21)$$

ჩვენი საწარმოსთვის როა იქნება 119.3/1,001.6=11.9%

ამრიგად, როა ზომავს თუ რა დამოკიდებულებაშია წმინდა მოგება იმ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც კრედიტორებმა და აქციონერებმა გამოუყვეს საწარმოს ფუნქციონირებისათვის. სწორედ ამ მომენტით განსხვავდება როა როე-სგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ანალოგიურ კოეფიციენტს მხოლოდ აქციონერების (და არა აქციონერებისა და კრედიტორების) მიერ გამოყოფილი კაპიტალის მიმართ აფიქსირებს.

ვ) ფინანსური ლევერიჯი (Financial Leverage)

განვიხილოთ რისკის მახასიათებელი კოეფიციენტი – ფინანსური ლევერიჯი.

ფინანსური ლევერიჯი აჯამებს საწარმოს საბალანსო უწყისის მარჯვენა მხარის, ანუ პასივების მდგომარეობას:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \qquad (6.22)$$

ფინანსური ლევერიჯი არის როე-ს ის მესამე კომპონენტი, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და მიუთითებს თუ რა სიდიდით არის საწარმოს აქტივები დაფინანსებული სესხებით. მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს შეკითხვა, თუ რა კავშირშია ფინანსურ ლევერიჯთან სესხები, როდესაც ფორმულაში მხოლოდ აქტივები და სააქციონერო კაპიტალი ფიგურირებენ.

პასუხი მარტივია: — ფინანსური ლევერიჯის ზრდა მისი მნიშვნელობის შემცირების შედეგი შეიძლება იყოს. მნიშვნელის — სააქციონერო კაპიტალის შემცირება კი ავტომატურად იწვევს პასივების მეორე კომპონენტის — ვალდებულებების ზრდას. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ვალდებულებების წილი, მით უფრო დაბალია სააქციონერო კაპიტალი და მაღალია ფინანსური ლევერიჯი და პირიქით, რაც უფრო მცირეა ფინანსური ლევერიჯი, მით უფრო მაღალია სააქციონერო კაპიტალის წილი პასივების შემადგენლობაში.

როგორც განვითარებული ქვეყნების ბიზნეს-პრაქტიკა უჩვენებს მოგების ზღვრული და აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტებისაგან განსხვავებით საწარმოს ფინანსისტებს მაინცდამაინც არ ახარებთ ფინანსური ლევერიჯის ზრდა. როგორც წესი, კორპორაციების (საწარმოთა) ფინანსური მენეჯერები ცდილობენ, გამონახონ ოქროს შუალედი და იპოვონ აუცილებელი ბალანსი მოზიდულ კრედიტებსა და სააქციონერო კაპიტალს შორის.

ზოგადად იმ კომპანიებს, რომლებიც სტაბილურ ბიზნეს-გარემოში მუშაობენ და გააჩნიათ სტაბილური შემოსავლები, თავისუფლად შეუძლიათ მაღალი ლევერიჯის კოეფიციენტის გამოყენება, ანუ უფრო თამამად სესხების აღება სააქციონერო კაპიტალის გამოშვების სანაცვლოდ.

ის კომპანიები კი, რომელთა შემოსავლების ნაკადები ცვალებადია, მაღალი ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ სესხის ძირითადი თანხისა და დარიცხული საპროცენტო განაკვეთის დაფარვის ვადის დადგომისას. კრედიტორები, რაღა თქმა უნდა, დაუნდობლები არიან ფინანსური ვალდებულებების მიმართ და თუ საწარმო ვერ შეძლებს საკრედიტო ხელშეკრულებაში ჩამოყალი-

ბებული პირობების შესრულებას, კრედიტორებს აქვთ უფლება, საქმე სასამართლოს გადასცენ და მოითხოვონ მათი პარტნიორის გაკოტრებულად გამოცხადება. აქციონერების შემთხვევაში კი, თუ საწარმოს ვერ წაუვიდა საქმეები კარგად, შესაძლებელია აქციონერთა შეთანხმებით დივიდენდების გაცემის გადადება.

ჩვენს მაგალითში განხილული კოეფიციენტი ტოლია:

ფინანსური ლევერიჯი = 1,001.6/656.0=1.53

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი აერთიანებს ვალდებულებებისა და სააქციონერო კაპიტალის შემადგენელი ცალკეული ერთეულების მაჩვენებლებსაც. აქედან გამოსაყოფია:

ა) სეს'პი/ აქტივების მაჩვენებელი (კოეფიციენტი) **Debt/Assets Ratio)**

ეს კოეფიციენტი ზომავს თუ სესხის რა წილი მოდის აქტივებზე:

$$\text{ვალდებულებები/აქტივების კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}} = \frac{345.7}{1001.6} = 34.5\%$$

ჩვენი მაგალითიდან სესხი/აქტივების კოეფიციენტი ტოლია 34.5%-ის, რაც ნიშნავს, რომ მთლიანი აქტივების დაფინანსებიდან 34.5% სასესხო ინსტრუმენტების (გრძელვადიანი კრედიტები) ხარჯზე მოდის.

როგორც წესი, რაც უფრო სტაბილურია ფულადი ნაკადები, მით უფრო მაღალი აქვთ კომპანიებს სესხი/აქტივების კოეფიციენტი და საშუალო მაჩვენებელი, რომელიც 60-70%-ის დიაპაზონში მერყეობს. ინვესტორები 60-70%-იან მაჩვენებელს სერიოზულ მინუსად ჩაუთვლიან ისეთ კომპანიებს, რომლებსაც ფულადი ნაკადების მოძრაობისა და ზრდის არასტაბილური ტემპები გააჩნიათ.

ბ) პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი **(Times Interest Covered Ratio)**

ეს მაჩვენებელი მიგვითითებს, თუ როგორ წარმატებით შეუძლია საწარმოს თავისი შემოსავლებიდან ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის დაფარვა:

$$\text{პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{ებიტ-ი}^1}{\text{საპროცენტო ხარჯი}} = \frac{157.8}{4.2} = 38\text{-ჯერ}$$

გ) ძირითადი თანხის დაფარვის კოეფიციენტი (**Times Burden Covered Ratio**) პროცენტისა და ძირითადი თანხის დაფარვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმატებით შეუძლია კომპანიას მის მიერ ნაკისრი ვალდებულების – ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის ებიტ-იდან (EBIT Farnings Before Interest and Tax) დაფარვა:

$$\text{ძირითადი თანხის დაფარვის მაჩვენებელი} = \frac{\text{ებიტ}^1\text{-ი}}{\text{საპროცენტო ხარჯი} + \frac{\text{(ძირითადი თანხა)}}{\text{მოგების გადასახადის განაკვეთი}}} \qquad (6.23)$$

ჩვენი მაგალითისათვის ძირითადი თანხის დაფარვის კოეფიციენტი იქნება შემდეგი:

$$\text{ძირითადი თანხის დაფარვის მაჩვენებელი} = \frac{157.8}{4.2 + \frac{20.2}{1\text{-}25\%}} = 5.1\text{-ჯერ}$$

ზემოთ განხილული ორივე კოეფიციენტი ბ,გ მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ დაფარვის კოეფიციენტებს. ორივე შემთხვევაში მრიცხველში არის ებიტ-ი (პროცენტისა და საგადასახადო ხარჯებით დაბეგვრამდე დარჩენილი შემოსავალი). ებიტ-ი იმიტომ, რომ სწორედ ამ თანხიდან ხდება ნასესხებ საშუალებებზე წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა.

პირველ შემთხვევაში, სადაც პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი მოცემული კომპანიის მაგალითზე არის 38 (=163.6/4.2), ნიშნავს იმას, რომ იმ ებიტ-ით, რასაც კომპანია გამოიმუშავებს, შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთის 38-ჯერ დაფარვა.

ძირითადი თანხის დაფარვის კოეფიციენტი უფრო განავრცობს ყოველწლიური საფინანსო ვალდებულებების დეფინიციას და მოიცავს როგორც საპროცენტო დანახარჯს, ასევე ძირითადი

---

[1] ებიტ (EBIT) – არის პროცენტისა და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე დარჩენილი მოგება (შემოსავალი).

თანხის დაფარვასთან დაკავშირებულ ხარჯებსაც. თუმცა, საპროცენტო დანახარჯისაგან განსხვავებით, ძირითადი თანხის დაფარვასთან დაკავშირებული ხარჯები არ შეიძლება გამოიქვითოს მთლიანი შემოსავლიდან დასაბეგრი ბაზის შესამცირებლად. სწორედ ამიტომ ხდება ძირითადი თანხის შეფარდება (1 – მოგების გადასახადის განაკვეთთან).

5. საბაზრო (დამფუძნებელთა) კოეფიციენტი – P/E Ratio

განვიხილოთ ანალიზში არსებული კოეფიციენტების მე-5 ჯგუფი, რომელსაც დამფუძნებელთა კოეფიციენტებს უწოდებენ. ეს კოეფიციენტები ძირითადად სააქციო საზოგადოებებისათვის გამოიყენება, რადგან გვიჩვენებს რამდენად ღირებულია კომპანიის აქციების ყიდვა.

დივიდენდი აქციაზე

აქციების საბაზრო ფასი (6.24)

ქართულ რეალობაში ამ კოეფიციენტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, ვინაიდან კაპიტალის ბაზარი არ არის კარგად განვითარებული და შესაბამისად არც მოსახლეობა არის დაინტერესებული მაინცდამაინც აქციების შესყიდვით. თუმცა საზღვარგარეთ საბაზრო კოეფიციენტებს უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭებათ. უფრო მეტიც, ძალიან ბევრი კომპანია საბაზრო კოეფიციენტებს ამჯობინებს როე-ს საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმად და ამის მიხედვით ხდება კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობის შეფასება.

აქციის ფასი

ზოგიერთი უცხოელი ფინანსისტი გვთავაზობს ფინანსური საქმიანობის შეფასების მთავარ პარამეტრად კომპანიის აქციის ფასი იქნას გამოყენებული. მათი არგუმენტებით მენეჯმენტის მთავარი მიზანი აქციონერთა აქტივების ღირებულების გაზრდაა და სწორედ აქციის ფასის ზრდა უნდა იყოს კომპანიის მენეჯმენტის უპირველესი ამოცანა.

ერთის მხრივ ლოგიკა თითქოს საკმაოდ დამაჯერებელია: ფასიანი ქაღალდი – აქცია წარმოადგენს მფლობელთა ინვესტიციის ღირებულებას კომპანიაში და თუ კომპანიის მენეჯმენტს სურს, მფლობელთა ინტერესების დაცვა, აუცილებელია ისეთი ფორმით საქმიანობის წარმართვა, რაც გამოიწვევს ჩადებული ინვესტიციების ღირებულების გაზრდას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებანი, კერძოდ:

- შიდა ინფორმაცია.

  როგორც წესი, მენეჯერებმა იციან უფრო მეტი თავიანთი კომპანიის შესახებ, ვიდრე გარე ინვესტორებმა. აქციის ფასი კი გარედან, ბაზრის საშუალებით დგინდება. სწორედ ამიტომ, მენეჯერები თვლიან, რომ გარე ინფორმაციით მათ არ უნდა იხელმძღვანელონ საკუთარი ბიზნესის წარმართვისას.

- გარე ფაქტორები

  აქციის ფასი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომლებიც საკმაოდ ხშირად ცდება საწარმოს კონტროლს. თუ ადგილი აქვს ეკონომიკისა და კომპანიის გაყიდვების ერთდროულ ზრდას, ასევე იზრდება აქტივების ღირებულებაც. შედეგად რთულია ასეთ მომენტში დაადგინო თუ რა არის მიზეზი აქციონერთა აქტივების ღირებულების ზრდისა – საწარმოს საოპერაციო საქმიანობა თუ ზოგადად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიუხედავად სხვადასხვა ნაკლოვანებებისა, აქციის ფასის პროგნოზირების პროცესში, აქციის ფასი სერიოზულ როლს თამაშობს ფინანსური მენეჯერების ცხოვრებაში. ამ კოეფიციენტს თვალყურს ადევნებენ როგორც კომპანიის ხელმძღვანელი პირები, ისე გარე ინვესტორები, ფინანსური ანალიტიკოსები, ბროკერები და ა.შ.

ფასი/ დივიდენდის კოეფიციენტი

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გამო ზოგიერთი ანალიტიკოსი თვლის, რომ როე შეიძლება მაინც გამოდგეს ფინანსური საქმიანობის შეფასების მისაღებ კოეფიციენტად, თუ პრობლემას გადავწყვეტთ როე-ს მნიშვნელში აქციების საბაზრო ფასის ჩანაცვლებით.

$$\text{დივიდენდი/აქციის კოეფიციენტი (Dovodend Yield; Current Yield)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციონერო კაპიტალის საბაზრო ღირებულება}} = \frac{\text{დივიდენდი აქციაზე}}{\text{აქციის ფასი}} \qquad (6.25)$$

ჩვენი მაგალითისთვის ეს კოეფიციენტი ტოლია:

$$\text{დივიდენდი/აქციის კოეფიციენტი} = \frac{1.04}{24.88} = 4.2\%$$

თუმცა ამ კოეფიციენტს ასევე გააჩნია პლიუსებთან ერთად საკუთარი მინუსებიც. ძირითადი პრობლემა არის ის, რომ აქციის ფასი საკმაოდ მგრძნობიარეა ინვესტორის მოლოდინზე. როგორც ვიცით, აქცია მის მფლობელს საშუალებას აძლევს მიიღოს წილი როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო შემოსავლებიდან. თუკი მნიშვნელი იზრდება შესაბამისად მცირდება თავად კოეფიციენტი. ბუნებრივია, რომ რაც უფრო დიდია ინვესტორის მოლოდინი სამომავლო პერსპექტივებზე, მით უფრო მეტს გადაიხდის ის აქციისთვის. ეს ყველაფერი კი ნიშნავს იმას, რომ კომპანიის პერსპექტიული მომავალი, მაღალი აქციის ფასი და დაბალი დივიდენდი / აქციის კოეფიციენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

საბაზრო ფასი / დივიდენდის კოეფიციენტი

P/E Ratio საბაზრო ფასი / დივიდენდის კოეფიციენტი კიდევ ერთი საბაზრო კოეფიციენტია, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ინვესტორების მიერ. იგი აჩვენებს თუ კომპანიის მიერ გამომუშავებულ თითო დოლარზე, რა თანხას იხდიან ინვესტორები. კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{P/E - ფასი/დივიდენდის კოეფიციენტი} = \frac{\text{აქციის ფასი}}{\text{აქციის დივიდენდი}} \qquad (6.26)$$

ჩვენი მაგალითის შესაბამისი P/E კოეფიციენტი იქნება:

$$P/E=24.88/1.-4=23.9$$

როგორც მოცემული ფორმულიდან (6.26) ჩანს, ინვესტორები იხდიდნენ 23.9 ლარს საწარმოს მიერ გამომუშავებულ ყოველ 1 ლარზე.

აქციის ფასი და შესაბამისად P/E კოეფიციენტი იზრდება, როდესაც ინვესტორები თვლიან, რომ კომპანიას გააჩნია შემოსავლების გენერირების კარგი პერსპექტივები. და პირიქით, P/E კოეფიციენტი ეცემა მაშინ, როდესაც იზრდება რისკი (გაიხსენეთ, რომ რისკიანი აქციები უფრო მეტ დივიდენდებს იხდიან, ვიდრე ნაკლებად სარისკო კომპანიის აქციები).

ზოგადად, P/E კოეფიციენტი არ იძლევა კარგ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორია ამა თუ იმ კომპანიის ფინანსური საქმიანობა, თუმცა ის მიუთითებს ინვესტორების მოლოდინზე.

ფრაგმენტი – საბალანსო უწყისი (ათას ლარებში)

აქტივები	2004	2003
ნაღდი ფული	109.1	69.3
მოკლევადიანი ინვესტიციები	72.7	81.8
დებიტორული დავალიანება	162.3	181.3
მასალები	130.7	144.0
წინასწარგადახდილი დაზღვევა & სხვა ხარჯები	30.6	49.6
სულ მიმდინარე აქტივები	505.4	526.0
შენობები და ნაგებობები	658.9	856.3
გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია	-377.1	-424.3
სულ გრძელვადიანი აქტივები	281.8	432.0
არამატერიალური აქტივები	19.3	17.2
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9.4	26.5
მთლიანად აქტივები	815.9	1,001.7
ვალდებულებები და საკუთრების კაპიტალი		
მოკლევადიანი სასესხო ინსტრუმენტები	23.2	2.4
კრედიტორული დავალიანება	74.5	100.2
გადავადებული შემოსავლები მომწოდებლებისგან	18.9	27.6
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადები	29.4	50.1
დარიცხული ვალდებულებები	60.2	74.1
სულ მიმდინარე ვალდებულებები	206.2	254.4
გრძელვადიანი ვალდებულებები	80.1	80.0
გადავადებული საშემოსავლო გადასახადები	3.2	5.0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4.5	6.3
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	87,8	91.3
სულ ვალდებულებები	294.0	345.7
საკუთრების კაპიტალი	12.5	19.1
დამატებით გადახდილი კაპიტალი	141.2	149.5
გაუნაწილებელი მოგება	362.2	481.5
სარეზერვო კაპიტალი	6.0	5.9
სულ საკუთრების კაპიტალი	521.9	656.0
მთლიანად ვალდ. და საკუთრების კაპიტალი	815.9	1,001.7

6.5. პორპორაციის ფინანსური ანალიზის კოეფიციენტების ძირითადი ჯგუფები და დიაგნოსტიკის თავისებურებანი

ეკონომიკური ანალიზის ფინანსურად და მმართველობითად დაყოფა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვაზე დაყოფით არის განპირობებული.

ფინანსური ანალიზი, როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ფინანსური ანალიზის ექვსი ძირითადი მეთოდი არსებობს:

1) ჰორიზონტალური (დროითი) ანალიზი – არის ანგარიშების თითოეული პოზიციის გასულ პერიოდთან შედარება,

2) ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი – არის ჯამური ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა ანგარიშგების თითოეული პოზიციის მთლიანობაში შედეგზე ზემოქმედების გამოვლენით,

3) ტრენდული ანალიზი – არის ანგარიშგების თითოეული პოზიციის რიგი, ადრინდელ პერიოდთან შედარება და მაჩვენებლის დინამიკის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა, რომელიც ცალკეული პერიოდების შემთხვევითი ზემოქმედებისა და ინდივიდუალური თავისებურებებისაგან გასუფთავებული იქნება. ტრენდის მეშვეობით მომავალში მაჩვენებლების შესაძლო მნიშვნელობების ფორმირება და პერსპექტიული საპროგნოზო ანალიზი ხორციელდება,

4) ფარდობითი მაჩვენებლების (კოეფიციენტების) ანალიზი – ანგარიშის ცალკეული პოზიციებისა, ან სხვადასხვა ფორმის ანგარიშგებების პოზიციებს შორის თანაფარდობის გაანგარიშება;

5) შედარებითი ანალიზი – არის კორპორაციის (ფირმის), შვილობილი საწარმოების, ქვედანაყოფების, საამქროების ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით ანგარიშგების ჯამური მაჩვენებლების, როგორც შიდასამეურნეო ანალიზი, ასევე მოცემული საწარმოს მაჩვენებლების კონკურენტების, საშუალოდარგობრივი და საშუალო სამეურნეო მონაცემების მაჩვენებლებთან მეურნებათაშორისო ანალიზიც.

6) ფაქტორული ანალიზი – არის გამოკვლევის დეტერმინირებული და სტოქასტიკური ხერხების მეშვეობით შედეგობრივ მაჩ-

ვენებელზე ცალკეული ფაქტორების (მიზეზების) ზემოქმედების ანალიზი. ამასთან ფაქტორული ანალიზი შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი (საკუთრივი ანალიზი), როდესაც შემადგენელ ნაწილებად დაყოფენ, ასევე შებრუნებულიც (სინთეზი), როდესაც მისი ცალკეული ელემენტები საერთო შედეგობრივ მაჩვენებლებშია გაერთიანებული.

მოცემულ პარაგრაფში კომპანიის ფინანსური ანგარიშების საფუძველზე, მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის, კოეფიციენტების სისტემის გამოყენების შესახებ იქნება მსჯელობა. ფინანსური ანალიზი ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებაზეა დაფუძნებული, რომლებიც საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისა და მის ფინანსური მდგომარეობის მახასიათებლებია. ასეთი მაჩვენებლები ფინანსური ანალიზის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ, რომლებიც ფინანსურ ანგარიშებში სხვადასხვა ციფრებს შორის კავშირის არსებობის დადგენაში გვეხმარება. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენებისას ფინანსური მმართველი არა მარტო საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში, არამედ ასევე სესხის მიმცემებისა და სხვა პირების რეაქციის განჭვრეტაშია დაინტერესებული, რომლებიც აღნიშნულ ინსტრუმენტებს ჩვეულებრივად კომპანიის საქმიანობის შესაფასებლად იყენებენ.

ქვემოთ მოყვანილია იმ ფინანსური მაჩვენებლების ჩამონათვალი, რომლებიც ფინანსურ ანალიზში ყველაზე ხშირად გამოიყენება. ზოგიერთი მაჩვენებლებისათვის ასევე მათი რეკომენდირებული მნიშვნელობების დიაპაზონი იქნება მოყვანილი. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მაჩვენებლების დასაშვები მნიშვნელობები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს არა მარტო სხვადასხვა დარგებისათვის, არამედ ერთი დარგის სხვადასხვა საწარმოებისათვისაც და აქედან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მთლიანი სურათის მიღება მხოლოდ მისი საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით ფინანსური მაჩვენებლების მთლიანი ერთობლიობის ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი.

ყველა მაჩვენებელი შვიდ ჯგუფად არის დაყოფილი, თითოეული კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა მხარეს

გამოხატავს (იხ. §3.1). განვიხილოთ თითოეული მათგანი (იხილეთ ქვემოთ მოყვანილი სქემები).

1) სოპერაციო და მომგებიანობის კოეფიციენტები **(Operational and Profitability Ratios)** – აღნიშნული კოეფიციენტები კორპორაციის მუშაობის ეფექტურობის მახასიათებელია და იგი გაყიდვებისა და მოგების მოცულობების ჯამის გაყიდვების, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამურ მოცულობასთან თანაფარდობით გაიანგარიშება (იხ. სქემა 6.3).

სქემა 6.3.

სუფთა მოგების მარჟა (Net Income Margin ofter tax, NIM)%	გაიანგარიშება სუფთა მოგება გაყოფილი შემოსავლებზე ძირითადი საქმიანობიდან (Sales Revenue). სუფთა მოგების (სუფთა შემოსავლის) მარჟა მიუთითებს, თუ გაყიდვებს, ყველა ხარჯებისა და მოგებაზე გადასახადის გამოქვითვის შემდეგ, როგორი უკუგება მოაქვს. მსხვილ კორპორაციებში სუფთა მოგების მარჟის მნიშვნელობა მცირდება, პერსონალისა და ფილიალის ქსელის შენახვაზე დიდი დანახარჯების გამო.
აქტივების შემოსავლიანობა (Assets Yield)	გაიანგარიშება გაყიდვებიდან შემოსავლების (Sales Revenue) გაყოფით აქტივების ჯამურ მოცულობაზე (Total Assets). იგი კორპორაციის მუშაობის ეფექტურობაზე მიუთითებს.
აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი (Return in Average Total Asset, ROA)%	გამოყენებულ აქტივებთან მიმართებაში მოგების საკმარისი მოცულობის უზრუნველყოფაში კორპორაციის შესაძლებლობებს გამოხატავს. აქტივების ჯამი ტოლია მიმდინარე აქტივები +ფიქსირებული აქტივები (თუმცა ზოგჯერ მისგან მიმდინარე ვალდებულებების ჯამი გამოიქვითება, რომ ფიქსირებული აქტივები პლიუს მუშა კაპიტალის კომბინაცია იქნეს მიღებული).
მოგება გამოყენებულ კაპიტალზე (ROCE)	განისაზღვრება მოგების პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე გაყოფით გამოყენებულ კაპიტალზე. აღნიშნულ კოეფიციენტს ზოგჯერ სუფთა აქტივებზე მოგებას ან ძირითად კოეფიციენტსაც უწოდებენ. გამოყენებული კაპიტალი

	სააქციო კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამის ტოლია. იგი ასევე აქტივების მეშვეობითაც გამოიხატოს როგორც აქტივების ჯამი მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები. ამ შემთხვევაში საოპერაციო მოგების მნიშვნელობას იმიტომ იყენებენ, რომ გამოყენებული კაპიტალის შემადგენლობაში გრძელვადიანი სესხებიც შედის, და აქედან გამომდინარეობს, რომ მოგება აღნიშნულ სესხებზე მათზე პროცენტების გადახდამდე უნდა იქნეს გაანგარიშებული.
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი (Return in Average Eguity Capital, ROE), %	მიუთითებს სუფთა შემოსავლის თანაფარდობას (Net Income after Taxes) საკუთარი სახსრების ერთეულზე (Stockholders Equity). იგი კორპორაციის მესაკუთრეების მიერ ინვესტირებული კაპიტალის გამოყენების ეფექტურობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. კოეფიციენტი ROE აქციონერების კაპიტალდანდებაზე მოგებას მიუთითებს ყველა მაჩვენებლების გათვალისწინების შემდეგაც, ფინანსური დაინტერესების ჩათვლით. ფინანსური დამოკიდებულება მიუთითებს თანაფარდობას აქციონერულ კაპიტალსა და პრივილეგირებული აქციების საერთო თანხას შორის, ნასესხებ კაპიტალსა და მიღებულ სესხებს შორის. კოეფიციენტი ROE ინვესტორებისათვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც იგი მოგების იმ მოცულობას მოიცავს, რომელიც ჩვეულებრივი აქციონერებისათვის არის განკუთვნილი. კორპორაციისათვის, რომლის ძირითადი მიზანი აქციონერების საკუთრების მაქსიმიზაციაში გამოისახება და კორპორაციის საქმიანობის განსაზღვრაში იგი წამყვანი კოეფიციენტია. მისი ოპტიმიზაცია კომპანიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს. კოეფიციენტი ROE-ს მნიშვნელობა კორპორაციების უმეტესობაში 12-დან 30%-ის ფარგლებში მერყეობს.
მთლიანი მოგების კოეფიციენტი (Gross Income on Sales Revenue)	გაიანგარიშება მთლიანი მოგების (გაყიდვები მინუს გაყიდვების თვითღირებულება) გაყოფით ამონაგებზე რეალიზებული პროდუქციიდან (ანუ გაყიდვებიდან). არამეწარმეობრივ კომპანიებში

	გაყიდვების თვითღირებულების სახით ჩვეულებრივ შესყიდვები აიღება, რომელიც საწყისი და ბოლო პერიოდის მარაგების გათვალისწინებით იქნება კორექტირებული და რომლებიც გამოყენებულ ნამატს, ან მოგების ნორმას ასახავენ. სამეწარმეო კომპანიები გაყიდვების თვითღირებულებაში ნედლეულზე, სამუშაო ძალაზე და ზედნადებ ხარჯებს ჩართავენ, რომლებიც გაყიდული საქონლის წარმოებაშია ჩადებული. მთლიანი მოგების კოეფიციენტი საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობაზე მიუთითებს. იგი ასევე პროდუქციაზე ფასების პოლიტიკის ეფექტიანობასაც გამოხატავს.
საოპერაციო მოგების კოეფიციენტი (Operating Income before investment and taxes in Sales Revenue), %	მოცემული მაჩვენებელი გაიანგარიშება საოპერაციო მოგების გაყოფით ამონაგებზე პროდუქციის რეალიზაციიდან. საოპერაციო მოგება – არის მოგება, რომელიც ერთობლივი მოგებიდან რეალიზაციის ხარჯებისა და ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯების ჯამის გამოქვითვის შემდეგ რჩება. აღნიშნული კოეფიციენტი კომპანიის რენტაბელობაზე მიუთითებს მისგან საქონლის წარმოებაზე და გასაღებაზე დანახარჯების გამოკლებით. საოპერაციო მოგებას ზოგჯერ ისეთი სახის მოგებას უწოდებენ, რომელიც პროცენტებისა და გადასახადების გამოქვითვამდე არის მიღებული.
მოგების კოეფიციენტი გადასახადის გადახდამდე (Operating Income before taxes on Sales Revenue), %	აღნიშნული კოეფიციენტი კაპიტალის სტრუქტურისა და კორპორაციის დაფინანსების, მის რენტაბელობაზე სრულ ზემოქმედებაზე მიუთითებს. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი აღნიშნულ კოეფიციენტსა და საოპერაციო მოგების კოეფიციენტს შორის პროცენტული გადახდების ზემოქმედება წარმოადგენს, ამიტომ ორი მოცემული კოეფიციენტების ერთობლივად განხილვისას შეიძლება კაპიტალის სტრუქტურის მის რენტაბელობაზე ზემოქმედება დავინახოთ. კორპორაცია, რომელსაც საოპერაციო მოგების კარგი კოეფიციენტი მუდმივად გააჩნია, შეიძლება გადასახადების გადახდამდე მუდმივად ჰქონდეს მოგების ცუდი და ასევე გაუარესებადი კოეფიციენტი. აღნიშნული შეიძლება ძალიან დიდ პროცენტულ გადასახადებთან იყოს დაკავშირებული.

სუფთა მოგების კოეფიციენტი (Return On Sales Revenue, ROSR), %	ერთადერთ განსხვავებას აღნიშნულ კოეფიციენტსა და მოგების კოეფიციენტს (გადასახადების გადახდამდე) შორის საგადასახადო ანარიცხები წარმოადგენს. თუ აღნიშნულ ორ კოეფიციენტს ერთმანეთს შევადარებთ, შეიძლება დავინახოთ თუ, ადმინისტრაციის საქმიანობა რამდენად ეფექტიანია საგადასახადო გადახდების მინიმიზაციასთან დაკავშირებით.
ბრუნვისგარეშე აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი (Return on Fixed Assets, ROFA), %	აღნიშნული კოეფიციენტი ახორციელებს საწარმოს შესაძლებლობის დემონსტრირებას მოგების საკმარისი მოცულობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით კომპანიის საკუთარ სახსრებთან მიმართებაში. რამდენადაც მაღალია აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა, იმდენად უფრო ეფექტიანად გამოიყენება ძირითადი საშუალებები.
ინვესტიციის რენტაბელობის კოეფიციენტი (Return on investment, ROI), %	აღნიშნულ კოეფიციენტს კიდევ "მოგება გრძელვადიან კაპიტალზე" სახელწოდება აქვს, რომელიც კომპანიის მიერ თავისი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მახასიათებელია, გრძელვადიანი კაპიტალის შემადგენელი ელემენტების მხედველობაში მიღების გარეშე, როგორებიცაა: ნასესხები კაპიტალი და საკუთარი კაპიტალი. მისი მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით: სუფთა მოგება გაყოფილი საკუთარ კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალის ჯამზე. მიუთითებს, თუ კორპორაციის რამდენი ფულადი ერთეული დასჭირდება ერთი ფულადი ერთეულის მოგების მისაღებად. აღნიშნული მაჩვენებელი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

2) **ხარჯებზე კონტროლის მაჩვენებლები (Expense Control Ratios)** – ასეთი სახის მაჩვენებლები გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა, თუ კორპორაცია რამდენად ეფექტურად აკონტროლებდა თავის დანახარჯებს (იხ. სქემა 6.4).

შრომის ანაზღაურების ფონდი გაყოფილი მოსამსახურეთა რაოდენობაზე, რომლებიც სრულ სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობდნენ (Personnel Expense on FIE empoloyees)	აღნიშნული კოეფიციენტი მთლიანი სამუშაო დღის განმავლობაში მომუშავე პერსონალის ერთეულზე დანახარჯების მახასიათებელია.
საოპერაციო ხარჯების საერთო ჯამის თანაფარდობა საშუალო აქტივებთან (Total Operating Expenses on Average Assets)	საოპერაციო ხარჯები (მათ შორის არაპროცენტული), გაყოფილი აქტივების საშუალო ნაშთზე. აღნიშნული მაჩვენებელი აქტივების შემოსავლიანობის განსასაზღვრავად გამოიყენება, რომელიც საოპერაციო დეფიციტის თავიდან აცილებისათვის არის საჭირო.
მთლიანი დღის განმავლობაში მომუშავე მოსამსახურეთა რაოდენობის თანაფარდობა აქტივების საშუალო ნაშთთან (Number of full - time equivalent employees on MM of Average ASSETS).	მაჩვენებელი განისაზღვრება მოსამსახურეთა რაოდენობით, რომლებიც სრული სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობენ შეფარდებული საშუალო აქტივების ერთეულზე.
აქტიური ნაწილის ან მუშაქტივების შემოსავლიანობა (Break - even Yield of Earning Assets)	საოპერაციო შემოსავლების (არაპროცენტული შემოსავლების გამოკლებით), გაყოფილი მუშაქტივების საშუალო ნაშთზე.
მოგება (ზარალი) ფასიან ქაღალდებზე გაყოფილი აქტივების საშუალო ნაშთზე (Security Gains on Average Assets)	აღნიშნული მაჩვენებელი ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება აქტივების საშუალო ჯამის ერთეულზე.

3) **ნასესხები სახსრების გამოყენების კოეფიციენტები (Debt Control Ratios)** (იხ. სქემა 6.5.). როგორც ცნობილია, კორპორაცია ხშირად იყენებს დაფინანსების გარე წყაროებს: გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს, პრივილეგირებული აქციების გამოშვებას და ა.შ. აღნიშნულ ფინანსურ რესურსებზე გადასახადები რეგულარულ ხასიათს ატარებს და იგი მკაცრად დადგენილი განაკვეთებით ხორციელდება.

ნასესხები სახსრების წილის გაზრდის მეშვეობით საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის გაზრდა არის შესაძლებელი. საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობას მნიშვნელობა აქვს როგორც კორპორაციის აქციონერებისათვის, ასევე კრედიტორებისათვისაც, ვინაიდან იგი სესხებზე თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას ასახავს. კაპიტალის სტრუქტურის ანალიზისათვის შემდეგი ოთხი მაჩვენებელი გამოიყენება:

სქემა 6.5

1. დავალიანება (ვალდებულებები) აქტივებისადმი (Debt to Assets)	აღნიშნული მაჩვენებელი აქტივების წილს (Total Assets) ასახავს, რომელიც ნასესხები სახსრებით (Total Debt) ფინანსირდება. რამდენადაც დაბალია აღნიშნული მაჩვენებელი, იმდენად უკეთესია კორპორაციის კრედიტორებისათვის. ვალის თანხის გადიდებით პროცენტული გადასახადებიც იზრდება. ამიტომ აღნიშნული მაჩვენებელი კორპორაციის რისკის ხარისხზე მიუთითებს თავისი სავალო ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობებთან მიმართებაში. მაგალითად, თუკი კორპორაციის ნასესხები სახსრები მთლიანი სახსრების 70%-ს შეადგენს, მაშინ აქტივების ღირებულების 30%-ით შემცირება საკმარისი იქნება, რომ კრედიტორების მიერ ნასესხები ფული საშიშროების ქვეშ აღმოჩნდეს. ჩვეულებრივად კაპიტალიზირებული სახსრების მოცულობაში ვალის მოცულობა დარგებისაგან დამოკიდებულებაში მერყეობს, მაგრამ იგი 50%-ს არ უნდა აჭარბებდეს.
2. ბერკეტული მულტიპლიკატორი (Leverage Multiplier)	აღნიშნული მაჩვენებელი გაიანგარიშება: აქტივების საშუალო თანხა გაყოფილი საკუთარი კაპიტალის საშუალო თანხაზე. იგი მიუთითებს კაპიტალიზირებული ღირებულების შეფარდებას საკუთარი კაპიტალის ღირებულებასთან. კორპორაციის

	მფლობელები უფრო მეტი მოზიდული რესურსების ქონაზე არიან დაინტერესებულები. მსხვილი კორპორაციები უფრო მეტ სახსრებს მოიზიდავენ, ამიტომ მათ მეტი მულტიპლიკატორი გააჩნიათ. ჩვეულებრივად კორპორაციის ბერკეტული მულტიპლიკატორი 1-დან 5-ჯერადობას შეადგენს.
3. დავალიანება კაპიტალისადმი (Dept/Equity-%)	აღნიშნულ მაჩვენებელში ნასესხები სახსრების თანხები (Total Debt) შეფარდებულია საკუთარ კაპიტალთან (Stockholders Equity). ჩვეულებრივად კორპორაციის აღნიშნული მაჩვენებლების სიდიდე 100%-ზე მეტს შეადგენს.
4. პროცენტული გადასახადების თანხების გადაფარვა (Coverage of Interest Expenses)	აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს, თუ კორპორაციის მოგება რამდენჯერ (Income before taxes and interest) აჭარბებს სესხებზე პროცენტების გადასახდელ თანხას (Interest Expenses). ობლიგაციების მფლობელებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი მათი დაბანდების საიმედობის კრიტერიუმს წარმოადგენს.

4) საინვესტიციო კოეფიციენტები **(Investment Rotios)** (იხ. სქემა 6.6.). როდესაც კომპანია აქციონერულ კაპიტალს ბაზარზე იძენს, ამ შემთხვევაში აღნიშნული კოეფიციენტები მისი საქმიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვან ორიენტირებს წარმოადგენენ. კომპანიის საინვესტიციო კოეფიციენტები ხშირად იბეჭდება გაზეთებში, საქმიანი სიახლეების გვერდებზე. ინვესტორები პირველ რიგში თავიანთ დაბანდებებზე მოგების შესახებ იჩენენ მზრუნველობას. აღნიშნული მოგება შეიძლება როგორც დივიდენდის სახით, ასევე სამომავლოდ მოსალოდნელი დონითაც იქნეს წარმოდგენილი. საინვესტიციო პროცესში გამოყენებად ძირითად კოეფიციენტებს წარმოადგენენ:

სქემა 6.6.

აქციის საბაზრო ღირებულების შეფარდება ნომინალურ ღირებულებასთან (Market to book Ratio)	აღნიშნული მაჩვენებელი ერთი აქციის საბაზრო ღირებულების (Market Price Per Share) მის ნომინალურ ღირებულებასთან (Book Value Per Share) თანაფარდობაზე მიუთითებს. იგი პოტენციალური ინვესტორებისათვის კორპორაციის აქციების მიმზიდველობის მახასიათებელია.
აქციონერების მოგება ერთ ჩვეულებრივ აქციაზე (Earning per Common Share, EPS)	აღნიშნული მაჩვენებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელთაგანია, რომელიც კომპანიის საბაზრო ღირებულებაზე ზემოქმედებს. იგი განისაზღვრება ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგების გაყოფით გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაზე. იგი ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგების წილის განმსაზღვრელია.
დივიდენდის კოეფიციენტი აქციაზე (Cash Dividends on Market Price Per share)	დივიდენდების აღნიშნული თანხა აქციების საბაზრო ფასის პროცენტებში გამოისახება. ამრიგად, აქციაზე დივიდენდის კოეფიციენტი იცვლება აქციის ფასის ცვლილების /ან მომავალი დივიდენდის დონის ცვლილების შესაბამისად. ინვესტორები მზად იქნებიან მიიღონ დივიდენდის დაბალი კოეფიციენტი იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ეცოდინებათ, რომ სამომავლო დაჯილდოება (ანუ მოგება) მათ მიმდინარე დეფიციტის კომპენსირებას მოახდენს. დაჯილდოებამ შეიძლება გადიდებული სამომავლო დივიდენდების /ან აქციების გადიდებული ფასის ფორმა მიიღოს. მაგალითად, კორპორაციამ განახორციელა 2000 აქციის გამოშვება თითოეულის 50 ცენტის ღირებულებით. კომპანიის ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ღირებულება 60 ცენტის ტოლია. თითოეული აქცია 5 ცენტის სიდიდის დივიდენდის მიღების უფლებას იძლევა. აქედან გამომდინარე, 60 ცენტის დაბანდება ერთი აქციის შეძენის უზრუნველყოფას იძლევა 5 ცენტის დივიდენდის მიღების უფლებით. დივიდენდის კოეფიციენტი აქციაზე ტოლი იქნება (5 ცენტი/ 60 ცენტზე x100=8,33%.

აქციის საბაზრო ფასის შეფარდება მოგებასთან, რომელიც ერთ აქციაზეა მიღებული (Market Price to Earnings, P/E), jer	გაიანგარიშება ფორმულით: აქციის საბაზრო ღირებულება (Market Price Per Share), გაყოფილი მოგებაზე, რომელიც კორპორაციის მიერ ერთ ჩვეულებრივ აქციაზეა მიღებული (Earning Per Common Share). იგი გვიჩვენებს: რამდენი ფულადი ერთეულის გადახდაზე თანახმა არიან აქციონერები კორპორაციის სუფთა მოგების ერთ ფულად ერთეულზე, რამდენად სწრაფად შეიძლება კორპორაციის აქციებში ინვესტიციები იქნეს უკუგებული. აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება შევადაროთ დივიდენდის კოეფიციენტს, რომელიც წარმოადგენს შეფარდებას ფასსა და დივიდენდს შორის, რომელიც აქციაზეა გადახდილი. მაგალითად, მოგება ერთ ჩვეულებრივ აქციაზე 25 ცენტს შეადგენს. თუ მივიღებთ, რომ აქციის საბაზრო ფასი 60 ცენტის ტოლია, მაშინ ფასის მოგებასთან შეფარდება (60 ცენტი/25 ცენტი)=2,4-ის ტოლი იქნება. რამდენად მაღალია კოეფიციენტი, იმდენად უფრო პერსპექტულია კომპანიის მდგომარეობა ბაზარზე.
გადაფარვის კოეფიციენტი (Cover Ratio)	აღნიშნული კოეფიციენტის მეშვეობით შეიძლება პროცენტებზე და დივიდენდებზე გადასახდელი დანახარჯები (Interests and dividends expenses) შედარებული იქნას მიღებული და მათი გადაფარვისათვის საკმარისი მოგების სიდიდესთან. იგი უზრუნველყოფის მაჩვენებელს წარმოადგენს, რომელშიც ასახულია პროცენტებსა და დივიდენდებს შორის შეფარდება და მოგებასა და პროცენტებზე, ან დივიდენდებზე მოგების მეტობის მაჩვენებელთან. მოცემული მაჩვენებელი მოგების შემცირების საზღვრის დიაპაზონის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, როდესაც კომპანიის მიმდინარე მოგება ჯერ კიდევ უზრუნველყოფდა პროცენტებისა და დივიდენდების გადახდის მოთხოვნილებას. მაგალითად: გადასახადით დასაბეგრი თანხა-200 დოლარია; პროცენტები – 800 დოლარია; მოგება პროცენტებისა და გადასახადის გადახდის

	შემდეგ – 4000 დოლარი; დივიდენდი – 1000 დოლარი. გაუნაწილებელი მოგება – 3000 დოლარი. პროცენტის გადაფარვის კოეფიციენტი: 5000/800=6,25-ჯერ, ანუ მოგება პროცენტების გადახდამდე 6-ჯერ მეტად აჭარბებს პროცენტების თანხას. დივიდენდების გადაფარვის კოეფიციენტი: 3000/1000=3-ჯერ, ანუ მოგება გადასახადით დაბეგვრის შემდეგ 3-ჯერ აღემატება დივიდენდებს.
ფასიანი ქაღალდების სუფთა ნომინალური ღირებულების მაჩვენებელი (Net Asset Value of the Corporation's securities)	ფასიანი ქაღალდების სუფთა ნომინალური ღირებულება თითოეულ (პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი) აქციასთან მიმართებაში (net tangible assets available to meet bondholders, preferred or common stockholders claims) _ აქტივების საერთო თანხიდან არამატერიალური აქტივები და მოკლევადიანი ვალდებულებები უნდა იქნეს გამოქვითული. დავუშვათ ასეთი სხვაობა (10000-1000-6000)=3000 დოლარს შეადგენს. ობლიგაციის თანხა 2000 დოლარის ტოლია. ამრიგად, 100 დოლარის ტოლი თითოეული ობლიგაცია (3000 დოლარი: 2000 დოლარი) = 150 დოლარს უზრუნველმყოფელია.
კაპიტალიზაციის კოეფიციენტი (Capitalization Ratios)	ასეთი სახის კოეფიციენტი გაიანგარიშება: კორპორაციის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების თითოეული სახეობის თანაფარდობა ერთობლივ კაპიტალიზაციასთან, კორპორაციის საკუთარ სახსრებთან. გადიდებული ობლიგაციების თანხაზე არამატერიალური აქტივების გამოკლებით. ობლიგაციების დიდი ხვედრით წონა კორპორაციის აქციებს უფრო ნაკლებად მიმზიდველს ხდის. ისევე როგორც პრივილეგირებული აქციების დიდი ხვედრითი წონა ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ღირებულებას ამცირებს. მიზეზი დივიდენდების გადახდის რიგითობის წესში მდგომარეობს. პროცენტები ობლიგაციებზე კორპორაციის აქციებზე გადახდამდე უნდა იქნეს გადახდილი, ხოლო დივიდენდები პრივილეგირებულ აქციებზე ჩვეულებრივ აქციებზე გადახდამდე უნდა იქნეს გადახ-

	დილი. მაგალითად: ობლიგაციის სვედრითი წონა ტოლია ობლიგაციის თანხის შეფარდება კორპორაციის საკუთარ სახსრებთან, გადიდებული ობლიგაციის თანხის შეფარდება კორპორაციის საკუთარ სახსრებთან, გადიდებული ობლიგაციის თანხაზე მინუს არამატერიალური აქტივები. გავაგრძელოთ ზემოთმოყვანილი მაგალითი: 2000x100/(4000+2000-1000)=40%. აქციის სვედრითი წონა ანალოგიური ხერხით განისაზღვრება: პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციების თანხა შეფარდებული ერთობლივ კაპიტალიზაციასთან – 5000 დოლარი.
დივიდენდები აქციაზე (Dividends per Common Share, DPS)	გაიანგარიშება გამოცხადებული დივიდენდების (Cash Dividends) გაყოფით ჩვეულებრივი აქციების რაოდენობაზე (authorized, issued and outstanding shares). იგი დივიდენდების მოცულობის მახასიათებელია, რომელიც თითოეულ ჩვეულებრივ აქციაზე ნაწილდება. სხვადასხვა დროითი პერიოდების შედარებისას აქციაზე დივიდენდი შემოსავლების გადიდებაზე მიუთითებს, რომლებიც აქციონერების მიერაა მიღებული.

5) საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტები (Activity Ratios) _ გვიჩვენებს, თუ აქტივებში ინვესტირებული ფული რამდენად სწრაფად ახორციელებს წრებრუნვას და ფულადი სახსრების სახით ბრუნდება (იხ. სქემა 6.7.).

სქემა 6.7.

სუფთა აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Net assets turnover), ჯერ	გაიანგარიშება ფორმულით: ამონაგები რეალიზაციიდან (Sales Revenue), გაყოფილი სუფთა აქციებზე (აქტივების ჯამი მინუს მიმდინარე ვალდებულებები). აღნიშნული კოეფიციენტი მიუთითებს, თუ რამდენჯერ ხორციელდება სუფთა აქტივების თანხის ბრუნვა გაყიდვებთან მიმართებაში. რამდენად მაღალია აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა, იმდენად უფრო ეფექტურად გამოიყენება საწარმოს მიერ სუფთა აქტივები.

დებიტორული დავალიანება ბრუნვის დღეებში (Collection Period),	გაიანგარიშება როგორც დებიტორული დავალიანების საშუალო ნაშთების (Account Receivables) საანგარიშსწორებო პერიოდისათვის შეფარდებული კორპორაციის გაყიდვების მოცულობასთან (Seles Revenue/365). აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს დღეთა საშუალო რაოდენობას, რომელთა განმავლობაში დებიტორული დავალიანება რჩება დაუფარავი. დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდს ადარებენ ფაქტიურ ვადებთან, რა პერიოდით მიეწოდება კრედიტი მყიდველებს. ასე შეიძლება განისაზღვროს კომპანიაში საკრედიტო კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა, აგრეთვე დებიტორების საიმედობის შესახებ წარმოდგენა იქნეს მიღებული. რამდენადაც მაღალია აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა, იმდენად უფრო სწრაფად გარდაიქმნება დებიტორული დავალიანება ფულად სახსრებად. კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა შეიძლება დებიტორების ანგარიშებიდან სახსრების ამოღების სიძნელეების შესახებ მოწმობდეს.
კრედიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი	აღნიშნული კოეფიციენტი გაიანგარიშება როგორც კრედიტორული დავალიანების საშუალო ნაშთების შეფარდება (Account Payable) საანგარიშგებო პერიოდში შეფარდებული გაყიდვების თვითღირებულებასთან (Cost of Good Sold/365). იგი კრედიტის დაფარვისათვის დღეთა საანგარიშო რაოდენობას იძლევა, რომელიც კომპანიის მომწოდებლებისაგან არის მიღებული.
მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Inventory Turnover), დღეები	აღნიშნული მაჩვენებელი გაიანგარიშება მარაგების ღირებულების გაყოფის გზით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. იგი იმ დღეთა საანგარიშო რაოდენობაზე მიუთითებს, რომელიც გაყიდვების თვითღირებულების მეშვეობით განსაზღვრული მარაგების ბრუნვისათვის, ანუ, სხვა სიტყვებით, მარაგების ფულად სახსრებად, ან დებიტორულ დავალიანებად გარდაქმნისათვის არის საჭირო.

აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Total Assets Turnover Ratio), ჯერ	კორპორაციის გაყიდვების მოცულობა (Sales Revenue) საანგარიშო პერიოდისათვის შეფარდებული აქტივების ღირებულებასთან (Total Asset) _ მაჩვენებელი კორპორაციის ყველა აქტივების როგორც ფიქსირებულებისა, ასევე მიმდინარეების გამოყენების ეფექტურობის მახასიათებელია. აღნიშნული კოეფიციენტი მიუთითებს თუ წელიწადში რამდენჯერ ახდენს წარმოებისა და მიმოქცევის სრულ ციკლს, რომელსაც მოგების სახით შესაბამისი ეფექტი მოაქვს.
ძირითადი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Fixed Asset Turniver), ჯგ	აღნიშნული მაჩვენებელი მიწის, შენობისა და მოწყობილობების გამოყენების ეფექტიანობას ასახავს (Net Fixed Assets) და იგი გაიანგარიშება მათი ღირებულების შეფარდებით საანგარიშო პერიოდში კორპორაციის გაყიდვების მოცულობის ღირებულებასთან (Sales Revenue). რამდენად მაღალია კოეფიციენტის მნიშვნელობა, საწარმო ძირითად საშუალებებს იმდენად უფრო ეფექტურად იყენებს.
სუფთა ჩამოწერების თანაფარდობა საერთო დებიტორულ დავალიანებასთან (Net charge in Total Account Receivables)	აღნიშნული მაჩვენებელი საკრედიტო პოლიტიკის სფეროში წარმატებული საქმიანობის გამოხატვას წარმოადგენს. კორპორაციის უმეტესობისათვის მისი მნიშვნელობა 0,2-დან 0,8%-მდე ჩარჩოებში მერყეობს.

6) ლიკვიდურობის გაზომვის მაჩვენებლები (Liguidity Ratios)

ლიკვიდურობის მაჩვენებლები კომპანიის შესაძლებლობის მახასიათებელია დააკმაყოფილოს მოკლევადიანი სავალო ვალდებულებების მფლობელების პრეტენზიები (იხ. სქემა 6.8.).

სქემა 6.8.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Current Ratio)	გაიანგარიშება როგორც მიმდინარე აქტივების (Current Assets) თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებზე (Current Liabilities) – გამოხატავს კორპორაციის შესაძლებლობას შეასრულოს მოკლევადიანი ვალდებულებები. ასევე მიუთითებს იმაზე საკმარისია თუ არა მისი სახ-

	სრები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარავად. ჩვეულებრივად ითვლება, რომ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის 2:1-თან თანაფარდობა კორპორაციის უმეტესობისათვის უფრო მეტად ხელსაყრელ მნიშვნელობად ითვლება, თუმცა მისი მნიშვნელობა შეიძლება განსხვავებული (მეტი ან ნაკლები) იყოს. მაგალითად, თუ კორპორაციის მიმდინარე აქტივები 2000 დოლარის, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები – 1000 დოლარის ტოლია, მაშინ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის თანაფარდობა 2:1 ტოლია, და იგი ლიკვიდურობის საკითხთან მიმართებაში მის თითქოს და სტაბილურ მდგომარეობაზე მიუთითებს. მაგრამ თუ მიმდინარე აქტივებში 1500 დოლარის მარაგები და დებიტორების ანგარიშებზე 500 დოლარის ნაშთია დაფიქსირებული, ასეთი აქტივების მფლობელი კორპორაცია თავისი დავალიანების გადახდის შესახებ მოთხოვნების შესრულებას ვერ შეძლებს. კრედიტორების ანგარიშზე არსებული 800 დოლარი, რომელიც მოკლევადიან ვალდებულებას წარმოადგენს და კრედიტორების მხრიდან აღნიშნული თანხის გადახდის მოთხოვნის საფუძველზე მისი დაფარვის ვადა დადგა, კომპანია ვერ შეძლებს თავისი ვალდებულების შესრულებას მიმდინარე აქტივების მოკლევადიან ვალდებულებებზე სამჯერ და მეტად მეტობა ასევე არასასურველს წარმოადგენს, რადგანაც იგი აქტივების არარაციონალურ სტრუქტურაზე მიუთითებს.
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Acid Test Ratio; Quick Ratio)	მიმდინარე აქტივებსა (Current Assets) და მატერიალური მარაგების ნაშთებს (Inventories) შორის სხვაობა, გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე (Current Liabilities) _ გაანგარიშების შედეგად ერთმანეთს უდარებენ მიმდინარე აქტივების უფრო მეტად ლიკვიდურ ნაწილს (ფულადი სახსრები, დებიტორული

	დავალიანება, მოკლევადიანი ფინანსური დავალიანებები) მოკლევადიან ვალდებულებებს. ჩვეულებრივად რეკომენდებულია, რომ აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 0,5-1-ის ფარგლებში იყოს.
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Cash and Tempory Investment on Current Assets)	საპროცენტო ანგარიშები ბანკებში, ფასიანი ქაღალდები საინვესტიციო პორტფელში, გაყოფილი აქტივების საერთო ჯამზე. მიუთითებს, თუ მოკლევადიანი საკალო ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება იქნას დაფარული ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტის ხარჯზე საბაზრო ფასიანი ქაღალდებისა და დეპოზიტების, ანუ პრაქტიკულად აბსოლუტურად ლიკვიდური აქტივების სახით. რეკომენდებული მნიშვნელობებია: 0,2-0,5.
მიმდინარე ვალდებულებების თანაფარდობა აქტივების საერთო თანხასთან (Current Liabilities on Total Assets)	მიმდინარე ვალდებულებები (Carrent Liabilities), გაყოფილი აქტივების საშუალოწლიურ ჯამზე – აღნიშნული მაჩვენებელი, როგორც ამ ჯგუფის სხვა მაჩვენებლები, კორპორაციის მიერ თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას გამოხატავს.

7) **კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები (Gearing Ratios)** _ ასეთ მაჩვენებლებს ხშირად ფინანსური მდგრადობის კოეფიციენტსაც უწოდებენ. ისინი საკუთარი და მოზიდული სახსრების კომპანიის დაფინანსების წყაროებში თანაფარდობას ასახავენ, ანუ კრედიტორებისაგან კომპანიის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხის მახასიათებელია (იხ. სქემა 6.9.) – აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს მდგრადობის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. კაპიტალის სტრუქტურის შეფასებისათვის შემდეგი თანაფარდობები გამოიყენება:

სქემა 6.9.

საერთო ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი (Total Debt to Total Assets)	საწარმოს გარეშე სესხებზე დამოკიდებულების მახასიათებელია. რამდენად დაბალია კოეფიციენტის მნიშვნელობა, იმდენად კომპანიას მეტი სესხი აქვს აღებული და იმდენად მაღალია გა-

	დახდისუნარიანობის რისკი. კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა ასევე საწარმოში ფულადი სახსრების დეფიციტის წარმოშობის პოტენციალურ საშიშროებაზე მიუთითებს. აღნიშნული კოეფიციენტი მესამე პირების პრეტენზიებს განსაზღვრავს აქტივების ჯამთან მიმართებაში. ყველა მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები ჯამურ ვალდებულებას შეადგენს, გრძელვადიანი რეზერვისა და განვადებული გადასახადების გამოკლებით, როგორიცაა – განვადებული გადასახადებით დაბეგვრა, ძირითადი და საბრუნავი საშუალებები ჯამურ აქტივებს შეადგენენ. კოეფიციენტის რეკომენდირებული მნიშვნელობაა: 0,5-0,8.
საბანკო დავალიანების კოეფიციენტი (Borrowing from banks to stockholders Equity)	აღნიშნული კოეფიციენტი მიუთითებს ბანკისადმი ვალის თანაფარდობას კორპორაციის აქციონერების სახსრებთან. აღნიშნულ კოეფიციენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობისა გარკვეასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, საბანკო დავალიანების კოეფიციენტი სესხის გამცემი ბანკისათვის მისაღებ დონეზე უნდა იქნეს შენარჩუნებული.
გრძელვადიანი დავალიანების კოეფიციენტი (Long-term Debt to Total Assets)	დემონსტრირებას ახდენს, თუ კორპორაციის აქტივების რომელი წილი ფინანსირდება გრძელვადიანი სესხების ხარჯზე. აღნიშნული კოეფიციენტი ხაზს უსვამს გრძელვადიანი სესხების შედარებით მნიშვნელობას კაპიტალის სტრუქტურაში და ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია დამატებითი სასარგებლო ინფორმაცია მოგვცეს საწარმოსათვის საერთო ფინანსური დამოკიდებულების მისაღები მდგომარეობის შეფასებისათვის. თუ მაგალითად, საერთო ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი ძალიან მაღალია, მაშინ გრძელვადიანი დავალიანების კოეფიციენტმა შეიძლება მიგვანიშნოს, რომ გრძელვადიანი ვალდებულებების წილი მეტად მნიშვნელოვანია და აქედან გამომდინარე, მას უფრო მსხვილი

	განვადებული გადასახადების მოგერიება შეუძლია, უფრო მეტიც, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებებისა. აღნიშნული კოეფიციენტი შეიძლება ასევე განხილულ იქნას როგორც თანაფარდობა, რომელიც კომპანიის "ლიკვიდურობასთან" დამოკიდებულების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.
გრძელვადიანი ვალდებულებები ბრუნვისგარეშე აქტივებისადმი (Long-term Debt to Fixed Assets) პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (Tomes interest earned)	იგი ფიქსირებული იმ აქტივების წილის მახასიათებელია, რომელიც გრძელვადიანი სესხების ხარჯზე ფინანსირდება. ჯერ გაიანგარიშება პროცენტების გადახდამდე მოგებისა და გადასახადების სიდიდის გაყოფის გზით გრძელვადიან სესხებზე პროცენტულ გადასახადებთან, ანუ სესხებზე იმ პროცენტებისა, რომელთა გადახდის ვადა ერთ წელს აღემატება. აღნიშნული კოეფიციენტი იმ ზღვარს განსაზღვრავს, სანამდე შეიძლება დაეცეს მოგების მოცულობა, სანამ იგი არასაკმარისი გახდება, რომ მან პროცენტული გადასახადი გადაფაროს და გადასახადების გადახდამდე ზარალი იქნეს მიღებული. აქედან გამომდინარე, იგი მომგებიანობის და ფინანსური დამოკიდებულების ტენდენციებზე კონტროლისათვის არის მნიშვნელოვანი.
ფიქსირებული გადასახადების დაფარვის კოეფიციენტი	იგი გაიანგარიშება პროცენტების გადახდამდე მოგების გადასახადი პლიუს პროცენტებზე ფიქსირებული ფინანსური გადახდები გაყოფილი პროცენტები პლიუს ფიქსირებული ფინანსური გადახდები.
საერთო ვალდებულებებისა და საკუთარი სახსრების თანაფარდობა საკუთარი სახსრებით (Total Liabilities Subordinated Capital and stockholders Equity on stockholders Equity)	ვალდებულებებისა და საკუთარი სახსრების საერთო ჯამი გაყოფილი საკუთარი სახსრების ჯამზე. იგი საკუთარი კაპიტალის კორპორაციის პასივების საერთო ჯამში ხვედრით წონას გამოხატავს. მისი რეკომენდირებული მნიშვნელობაა: 0,2-0,4

ამრიგად, კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ:

- ფინანსური კოეფიციენტები – კორპორაციის მუშაობის ეფექტურობის შეფასებას ემსახურება, მაგრამ იგი ყოველთვის არ იძლევა მსჯელობის შესაძლებლობას კონკურენტებთან შედარებით მისი წარმატებული საქმიანობის შესახებ,

  დასკვნის გაკეთებამდე შესაბამისი კოეფიციენტის მრიცხველისა და მნიშვნელის მონაცემები უნდა იქნეს გაანალიზებული,

  კორპორაციის კოეფიციენტების კონკურენტების ანალოგიურ მნიშვნელობებთან შედარებისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებამ შედარების შედეგებზე შეიძლება იქონიოს გავლენა.

  კოეფიციენტის მნიშვნელობა აზრს იძენს მხოლოდ დარგობრივ სტანდარტთან, აგრეთვე კორპორაციის გასული პერიოდის განმავლობაში საქმიანობის შესაბამის კოეფიციენტებთან, ან გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებისას.

კორპორაციის ასეთი სახის ფინანსური ანალიზი რიგი კვარტლების დინამიკაში უნდა იქნეს განხორციელებული, ხოლო ექსპრეს-ანალიზისათვის კი ანალიზის საწყისი და ბოლო პერიოდის მონაცემების შედარება არის საკმარისი. სააღრიცხვო კოეფიციენტებზე დაფუძნებული ანალიზი, საწარმოს საქმიანობაში "ვიწრო" ადგილებზე ყურადღების გამახვილებისა და იმ საკითხების ჩამონათვალის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა, რომლებზეც საწარმოს საქმიანობის მხოლოდ უფრო დეტალური გაცნობის შემდეგ იქნება პასუხის გაცემა შესაძლებელი. ამიტომ ფინანსური ანალიზის ჩატარებისას მთავარია არა მაჩვენებლების გაანგარიშება, არამედ მიღებული შედეგების აღქმის შესაძლებლობა.

აღნიშნული ყველა მაჩვენებლები შეიძლება მოცემული დარგის ყველა საწარმოსთვის, სავაჭრო და სხვა სფეროს კორპორაციების საშუალო მაჩვენებლებთან იქნეს შედარებული, რომლებიც სპეციალურ კრებულებშია გამოქვეყნებული და მათი მეშვეობით შესაბამისი დასკვნები იქნეს გაკეთებული.

საერთაშორისო პრაქტიკაში სავალდებულო ანგარიშგების შემადგენელ ნაწილს ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს. ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგების ძირითად მიზანს საანგარიშო პერიოდისათვის საწარმოს ფულადი სახსრების შემონატანებისა და გადახდების შესახებ ინფორმაციით მენეჯერების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ასეთი სახის ინფორმაციის მეშვეობით შესაძლებელი ხდება პასუხი გაცემულ იქნას შემდეგ კითხვებზე:

- ღებულობს თუ არა კორპორაცია მისი შედმგომი ზრდის მიზნით საკმარის სახსრებს მიმდინარე და ფიქსირებული აქტივების შეძენისათვის,
  საჭიროა თუ არა გარე წყაროებიდან დამატებითი დაფინანსება კომპანიის საჭირო ზრდის უზრუნველყოფისათვის,
  გააჩნია თუ არა კომპანიას ვალის დაფარვისათვის საკმარისი თავისუფალი ფულადი სახსრები, ან ახალი პროდუქციის წარმოებაში დაბანდების მიზნით,
  ახორციელებდა თუ არა ფასიანი ქაღალდების ემისიას კორპორაცია და რა მიზნით იყენებდა იგი მიღებულ სახსრებს.

6.6 ᲨᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲨᲘ

დავალება 6.1 – ტესტები:

ვარიანტი I

1). მოგების კატეგორია ძირითადად დაკავშირებულია:
ა) პროდუქციის ფასთან;
ბ) მისი წარმოებისათვის გაწეულ დანახარჯებთან;
გ) ორივესთან ერთად.

2). მოგება წარმოადგენს მაჩვენებელს:
ა) ეკონომიკური ეფექტის;
ბ) ეკონომიკური ეფექტურობის;
გ) წარმოების რენტაბელობის;
დ) ბიზნესის შემოსავლიანობის.

3). რა არის აბსოლუტური მოგება?

ა) შემოსავალი, რომელსაც ღებულობს გამყიდველი ყველა საქონლის რეალიზაციიდან ხარჯების გამოკლებით;

ბ) მოგება, გაანგარიშებული ერთ ნაკეთობაზე;

გ) მოგება, რომელიც რჩება გამყიდველს მოგებაზე გადასახადის გადახდის შემდეგ;

დ) საწარმოს მოგება გასული წლების გაუთვალისწინებელი მოგების გათვალისწინებით.

4). საწარმოო ფონდების რენტაბელობა განისაზღვრება:

ა) საბალანსო მოგების შეფარდება ძირითადი ფონდებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების ღირებულების ჯამთან;

ბ) საბალანსო მოგების შეფარდება საწარმოს ქონების საშუალო ღირებულებასთან;

გ) რეალიზაციიდან მოგების შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასთან;

დ) საბალანსო მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის მოცულობასთან.

5). ცვალებად ხარჯებს მიეკუთვნება:

ა) საწარმოო პერსონალის შრომის ანაზღაურება;

ბ) ამორტიზაციის ანარიცხები;

გ) ადმინისტრაციული და მმართველობითი ხარჯები;

დ) მატერიალური დანახარჯები;

ე) ხარჯები პროდუქციის რეალიზაციაზე.

დავალება 6.2 – ტესტები:

ვარიანტი II

1). საწარმოს საბალანსო მოგება მოიცავს:

ა) პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს გადასახადებისა და აქციზების გამოკლებით;

ბ) სხვაობა ფულად გამოსახულებაში გამოხატულ რეალიზებული პროდუქციის მოცულობასა და თვითღირებულებას შორის;

გ) მოგება, რომელიც საწარმოს განკარგულებაში ბიუჯეტში გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის შემდეგ რჩება;

დ) მოგება პროდუქციის რეალიზაციიდან, შედეგი სხვა სახის საქმიანობის რეალიზაციიდან, შემოსავლები არარეალიზებადი ოპერაციებიდან.

2). მოგება პროდუქციის რეალიზაციიდან არის:

ა) საწარმოს სუფთა შემოსავალი გადახდილი გადასახადების დავალებით;

ბ) წარმოების ძირითადი და დამხმარე პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები;

გ) შემოსავალი, რომელიც საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან აქვს მიღებული;

დ) სხვაობა საწარმოს ერთობლივ შემოსავალსა და პროდუქციის წარმოებაზე პირდაპირ დანახარჯებს შორის;

ე) სხვაობა რეალიზებული პროდუქციის მოცულობასა და მის თვითღირებულებას შორის.

3). საწარმოს სუფთა მოგება განისაზღვრება როგორც:

ა) სხვაობა საბალანსო მოგებასა და ბიუჯეტში მოგებიდან სავალდებულო ანარიცხებს, ზემდგომი ორგანიზაციის ფონდებსა და რეზერვებს შორის;

ბ) სხვაობა საწარმოს ერთობლივ შემოსავალსა და პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე ერთობლივ დანახარჯებს შორის;

გ) სხვაობა საბალანსო მოგებასა და საწარმოს ფონდებში და რეზერვებში ანარიცხებს შორის;

დ) სხვაობა საბალანსო მოგებასა და არარეალიზებადი ღონისძიებებიდან მოგებას შორის;

ე) სხვაობა ანარიცხებსა და პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე ერთობლივ დანახარჯებს შორის.

4). მოგება, როგორც ეკონომიკური კატეგორია შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

ა) განმანაწილებელ;

ბ) კვლავწარმოებით;

გ) ფისკალურ;

დ) მასტიმულირებელ;

ე) გადამანაწილებელ;

ვ) საკონტროლო;

ზ) ეკონომიკურ.

5). ცნება "საწარმოს რენტაბელობაში შედის:

ა) საწარმოს მიერ მიღებული ამონაგების შეფარდება საწარმოო დანახარჯების ჯამთან;

ბ) შეფარდებითი შემოსავლიანობა, გაზომილი პროცენტებში შეფარდებული სახსრების ან კაპიტალის დანახარჯებთან;

გ) სუფთა მოგება რეალიზებული პროდუქციის ერთი ლარის მოცულობაზე;

დ) პროდუქციის ერთეულზე მიღებული მოგების შეფარდება პროდუქციის ერთეულზე საწარმოს გასაყიდ ფასთან;

ე) საწარმოს მიერ მიღებული სუფთა შემოსავალი.

6). პროდუქციის რენტაბელობა გაიანგარიშება როგორც:

ა) საბალანსო მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის მთლიან თვითღირებულებასთან;

ბ) პროდუქციის წარმოებიდან და რეალიზაციიდან მოგების შეფარდება წარმოებაზე საერთო დანახარჯებთან;

გ) პროდუქციის წარმოებიდან და რეალიზაციიდან მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის მთლიან თვითღირებულებასთან;

დ) პროდუქციის რეალიზაციიდან მოგების შეფარდება პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებზე;

ე) საბალანსო მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის მოცულობასთან.

საკონტროლო დავალება 6.3.

ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

ვარიანტი № 3

1. საწარმოს პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების შემადგენლობაში ჩაირთვება:

ა) საწარმოს საწყობში არსებული პროდუქციის ღირებულება, გადატვირთული საქონლის ღირებულება, რომელთა გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, და საწარმოს ფულადი სახსრები სალაროში და ანგარიშსწორების ანგარიშზე;

ბ) მყიდველის საწყობში დარჩენილი ვადაში აუნაზღაურებელი საქონლის ნაშთები, ფულადი სახსრები გზაში და საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული ნაშთები.

გ) დამატებული ღირებულების გადასახადები, აქციზები, საწარმოს ფულადი დანაზოგები და პრდუქციის მთლიანი თვითღირებულება;

დ) საწარმოს საბითუმო ფასსა და საცალო ვაჭრობაში რეალიზებად ფასს შორის სხვაობა და საწარმოს მოგება;

ე) მყიდველთან მისი პასუხისმგებლობის ქვეშ და გამყიდველის საწყობში არსებული საქონელი.

2. საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე შემოსული ამონაგები თანხა წარმოადგენს:

ა) წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებელს;

ბ) კვლავწარმოების, საწარმოს ფულადი სახსრების ფონდებისა და ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირების წყაროს;

გ) საწარმოს რენტაბელობის მახასიათებელს,

დ) მოგების წყაროს გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის;

ე) საწარმოს სუფთა შემოსავლის ფულად გამოხატულებას.

3. პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს:

ა) პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე დანახარჯებს,

ბ) კომერციულ თვითღირებულებაზე დანახარჯებს, რეალიზაციაზე დანახარჯების გამოკლებით;

გ) ტექნოლოგიურ თვითღირებულებაზე დანახარჯს მუდმივი დანახარჯების გამოკლებით,

დ) საწარმოს ქვედანაყოფების მიერ მოცემული სახის პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯებს,

ე) საწარმოს ქვედანაყოფის თვითღირებულებაში გაწეულ ხარჯებსა და საერთო-ქარხნულ ხარჯებს.

4. პროდუქციის კომერციული თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს:

ა) საწარმოებში წარმოების მართვაზე დანახარჯებს,

ბ) საამქროს თვითღირებულებაზე დანახარჯებს,

გ) საწარმოებში ძირითად და დამხმარე მასალებზე დანახარჯებს,

დ) საწარმოო თვითღირებულების დანახარჯებს,

ე) პროდუქციის წარმოებისა და გასაღების დანახარჯებს.

5. წარმოებაზე დანახარჯების კლასიფიკაცია დანახარჯების ეკონომიკური ელემენტების მიხედვით გამოიყენება:

ა) მასალებზე დანახარჯების გასაანგარიშებლად,

ბ) კონკრეტული სახეობის პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გასაანგარიშებლად,

გ) წარმოებაზე დანახარჯების ხარჯთაღრიცხვის შესადგენად,

დ) ნაკეთობის ფასის დასადგენად,

ე) შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების განსასაზღვრავად.

6. პროდუქციის თვითღირებულებაში წარმოების ორგანიზაციაზე და მართვაზე დანახარჯები - არის:

ა) ირიბი დანახარჯები,

ბ) მუდმივი დანახარჯები,

გ) პირდაპირი დანახარჯები,

დ) მოწყობილობების მომსახურების დანახარჯები,

ე) ცვალებადი დანახარჯები.

7. საწარმოს დანახარჯების მუდმივ და ცვალებად დანახარჯებად დაყოფა შემდეგი მიზნით ხორციელდება:

ა) საამქრო, საწარმოო და კომერციული თვითღირებულების გამოყოფის მიზნით,

ბ) მოგებისა და რენტაბელობის დაგეგმვის მიზნით,

გ) უზარალო საქმიანობისათვის მინიმალურად საჭირო რეალიზაციის მოცულობის განსასაზღვრავად,

დ) უბრალო კვლავწარმოებისათვის საკმარისი ამონაგების თანხის განსასაზღვრავად,

8. ცნება "პროდუქციის თვითღირებულება" თავისთავში მოიცავს:

ა) საწარმოს ყველა ხარჯებს, რომლებიც კონკრეტული პროდუქციის განსაზღვრული მოცულობის წარმოებასთან და რეალიზაციასთან არის დაკავშირებული,

ბ) საწარმოს პირდაპირი და საერთო-სამეურნეო ხარჯები, რომლებიც კონკრეტული პროდუქციის განსაზღვრული მოცულობის წარმოებაზე არის გაწეული,

გ) საწარმოს დანახარჯები ნედლეულზე და მასალებზე საწარმოო ხასიათის გარეშე საწარმოების მომსახურეობაზე, შრომის ანაზღაურებაზე, რომლებიც სოციალური დანიშნულების ანარიცხებზე და საერთო საამქროს ხარჯებზე არის გაწეული,

9. ცნება "საამორტიზაციო ფონდი" ნიშნავს:

ა) მოგებიდან მიზნობრივ ანარიცხებს, რომლებიც ძირითადი ფონდების აღსადგენად და კვლავწარმოებისათვის არის გათვალისწინებული,

ბ) ამორტიზაციის სიდიდის ფულად გამოხატულებას, რომელიც ძირითადი ფონდების ცვეთის ხარისხის შესაბამისია,

გ) ძირითადი ფონდების ღირებულების მეშვეობით წარმოებულ პროდუქტზე მათი ნაწილ-ნაწილ მიზნობრივი გადატანას,

დ) მიზნობრივ დანაზოგებს, რომელიც პერიოდულად განხორციელებადი ამორტიზაციული ანარიცხებიდან არის შექმნილი და რომელიც ძირითადი ფონდების ასაღდგენად და კვლავწარმოებისათვის არის გათვალისწინებული.

10. რას ნიშნავს საწარმოს საბითუმო ფასი?

ა) ფასს, რომლის მიხედვით საკუთრების ფორმის მიუხედავად საწარმოს, ფირმისა და ორგანიზაციის პროდუქციის რეალიზება და შეძენა საბითუმო ბრუნვის წესით ხორციელდება.

ბ) დამზადებული პროდუქციის ფასი, რომლის მიხედვითაც საწარმოები საკუთარი წარმოების პროდუქციის სხვა საწარმოებზე და ორგანიზაციებზე რეალიზებას ახორციელებენ,

გ) ფასს, რომელიც ერთი და იმავე ფირმის ქვედანაყოფები ან საწარმოები კომერციული ოპერაციებისათვის იყენებენ,

დ) ფასს, რომლის მიხედვით ხორციელდება საცალო ქსელში საწარმოებზე, ორგანიზაციებზე, მოსახლეობაზე საქონლის რეალიზაცია.

11. საწარმოს საბითუმო ფასში ჩაირთვება თუ არა აქციზი?

ა) ჩაირთვება,

ბ) არ ჩაირთვება.

12. გამსყიდველი ორგანიზაციების მოგება ჩაირთვება:

ა) შესყიდვის ფასში,

ბ) საწარმოს საბითუმო ფასში,

გ) მრეწველობის საბითუმო ფასში.

13. მოგება როგორც ეკონომიკური კატეგორია გამოსტაკვს:

ა) თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას, რომლის სიდიდე სამუშაო ძალის კვლავწარმოების საჭიროებით განისაზღვრება,

ბ) შემოსავალს, რომელიც მოქმედი ფასებიდან გამომდინარე პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის საფუძველზე ირიბი გადასახადების, სავაჭრო და გასაღების ჩამოფასების გარეშე არის გაანგარიშებული,

გ) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული საწარმოს მოგებისა (ზარალის) და მის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაუკავშირებელი შემოსავლების (ზარალი) ჯამს.

დ) საწარმოს საქმიანობის ფინანსურ შედეგს და იგი საწარმოს ფინანსური რესურსების ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

14. მოგება წარმოადგენს მაჩვენებელს:

ა) ეკონომიკური ეფექტის,

ბ) ეკონომიკური ეფექტიანობის,

გ) წარმოების რენტაბელობის,

დ) ბიზნესის შემოსავლიანობის.

15. ზემდგომი ორგანიზაციის ფონდების ფორმირების წყაროს წარმოადგენს:

ა) საწარმოს სუფთა მოგება,

ბ) საწარმოს მთლიანი მოგება,

გ) საწარმოს საბალანსო მოგება,

დ) საწარმოს არარეალიზებადი ხარჯები.

16. რა არის აბსოლუტური მოგება?

ა) შემოსავალი, რომელსაც გამყიდველი საქონლის რეალიზაციიდან ხარჯების გამოკლებით ღებულობს,

ბ) მოგება, რომელიც ერთ ნაკეთობაზეა გაანგარიშებული,

გ) საწარმოს მოგება გასული წლების მოგების გათვალისწინების გარეშე.

17. არარეალიზებად შემოსავლებს მიეკუთვნება:

ა) შემოსავალი, რომელიც ქონების არენდაში გაცემიდან არის მიღებული,

ბ) საწარმოს ქონების რეალიზაციისაგან ამონაგებსა (დღგ-ს გამოკლებით) და ინფლაციის კოეფიციენტზე კორექტირებული ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობა,

გ) პროდუქციის რეალიზაციისაგან მოქმედ ფასებში დღგ-სა და აქციზების გარეშე ამონაგებსა და მის წარმოებაზე და რეალიზაციაზე დანახარჯებს შორის სხვაობა,

დ) გასული წლების მოგება, რომელიც მიმდინარე წელს იქნა გამოვლენილი,

ე) სავალუტო ანგარიშების მიხედვით, აგრეთვე უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული უარყოფითი საკურსო სხვაობები.

18. საწარმოო ფონდების რენტაბელობა განისაზღვრება:

ა) საბალანსო მოგების თანაფარდობით ძირითადი ფონდებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების ღირებულებასთან.

ბ) საბალანსო მოგების თანაფარდობით საწარმოს ქონების საშუალო ღირებულებასთან,

გ) რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობით ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასთან,

დ) საბალანსო მოგების თანაფარდობით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობასთან.

19. ცნება "რენტაბელობის ზღვარი" გამოხატავს:

ა) საწარმოს სუფთა შემოსავალს ფულადი ფორმით, რომელიც გაფართოვებული კვლავწარმოებისათვის არის საჭირო.

ბ) რეალიზაციიდან ამონაგების თანხას, რომლის დროსაც საწარმოს არც ზარალი და არც მოგება ექნება,

გ) პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე მუდმივი დანახარჯების ასანაზღაურებლად ამონაგების მინიმალურად საჭირო თანხას,

დ) მიღებული მოგების წარმოების დანახარჯებთან თანაფარდობის სიდიდეს,

ე) რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობას რეალიზაციიდან ამონაგებთან (გადასახადების გარეშე).

საკონტროლო დავალება 6.4.

ამოარჩიეთ სწორი პასუხი:

ვარიანტი № 4

1. ცნება "პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები" ნიშნავს:

ა) გაფართოებული კვლავწარმოებისათვის საკმარისი, პროდუქციის გაყიდვიდან შემოსული სახსრების ჯამს,

ბ) საწარმოს სალაროში და ანგარიშსწორების ანგარიშზე გადატვირთული საქონლიდან შემოსული ფულადი სახსრებისა და გადახდის ვადა არდამდგარი გადატვირთული საქონლის ღირებულების ჯამს,

გ) რეალიზებული პროდუქციის წარმოებაზე საწარმოს დანახარჯების ანაზღაურებას და საწარმოს ფულად დანაზოგებს,

დ) საწარმოს ანგარიშსწორების ანგარიშზე და სალაროში ფაქტიურად შემოსული ფულადი სახსრების ჯამს დღგ-ს, აქციზებისა და ფულადი დანაზოგების გამოქვითვით,

ე) პროდუქციის სამუშაოსა და მომსახურების რეალიზაციიდან ანგარიშსწორების ანგარიშზე და სალაროში შემოსული ფულადი სახსრების ჯამს საბითუმო ფასებში,

2. საწარმოს ამონაგები გაიანგარიშება გამომდინარე:

ა) პროდუქციის რეალიზაციის ხარჯებიდან და მთლიანი თვითღირებულებიდან,

ბ) საწარმოს საბითუმო ფასებიდან, ირიბი გადასახადების გამოკლებით,

გ) საწყობში სასაქონლო პროდუქციის ნაშთების ღირებულებიდან, წარმოებაზე და რეალიზაციაზე დანახარჯების გამოქვითვით,

დ) პროდუქციის რეალიზაციის საშუალო ფასებიდან, საცალო ფასებში,

ე) მრეწველობის საბითუმო ფასებიდან.

3. ამონაგების მოცულობის დაგეგმვისას მზა პროდუქციის ნაშთების შემადგენლობაში გაითვალისწინება თუ არა გადატვირთული, გადაბმის ვადა არდამდგარი, საჭიროა

ა) გაითვალისწინება,

ბ) არ გაითვალისწინება.

4. საექსპორტო პროდუქციაზე ნეტო-ამონაგები გაიანგარიშება:

ა) მოქმედი ფასებიდან გამომდინარე დღგ-ს, აქციზების, სავაჭრო და გასაღების ფასდაკლების გაუთვალისწინებლად,

ბ) მოქმედი ფასებიდან გამომდინარე დღგ-ს, აქციზების, სავაჭრო და გასაღების ფასდაკლებისა და საექსპორტო ტარიფების გარეშე,

გ) მოქმედი ფასებიდან გამომდინარე დღგ-ს აქციზების, სავაჭრო და გასაღების ფასდაკლების გარეშე, მაგრამ საექსპორტო ტარიფების გათვალისწინებით.

5. საწარმოს პროდუქციის თვითღირებულებას მიაკუთვნებენ:

ა) წარმოებაზე მიმდინარე დანახარჯებს,

ბ) დანახარჯებს ნედლეულზე, მასალებზე, მუშაკების ხელფასებზე.

გ) დანახარჯებს მოწყობილობაზე და კაპიტალურ დანახარჯებზე,

დ) პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე საწარმოს დანახარჯებს,

ე) მასალების შეძენაზე და პროდუქციის რეალიზაციაზე დანახარჯებს.

6. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე შემდეგი ფაქტორები ზემოქმედებენ:

ა) ბუნებრივი ნედლეულის შემადგენლობისა და ხარისხის ცვლილების,

ბ) წარმოების განთავსების ადგილის შეცვლის,

გ) წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების,

დ) ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების,

ე) წარმოებული პროდუქციის სტრუქტურის გაუმჯობესების.

7. ეკონომიკური ელემენტების მიხედვით დანახარჯების დაჯგუფებას მიაკუთვნებენ დანახარჯებს:

ა) სათბობზე და ენერგიაზე დანახარჯებს ტექნოლოგიური მიზნებისათვის,

ბ) ძირითადი ფონდების ამორტიზაციას:

გ) წარმოების მუშების დამატებით შრომის ანაზღაურებას,

დ) წარმოების მომზადებაზე და ათვისებაზე ხარჯებს,

ე) წარმოების მუშების ძირითად შრომის ანაზღაურებას.

8. ცვლად ხარჯებს მიაკუთვნებენ:

ა) საწარმოო პერსონალის შრომის ანაზღაურებას,

ბ) ამორტიზაციის ანარიცხებს,

გ) ადმინისტრაციულ და მმართველობით ხარჯებს,

დ) მატერიალურ დანახარჯებს,

ე) პროდუქციის რეალიზაციაზე ხარჯებს.

9. ხარჯების საკალკულაციო მუხლების მიხედვით კლასიფიკაციის დანიშნულებაა:

ა) წარმოებაზე დანახარჯების ხარჯთაღრიცხვის შედგენის საფუძველს წარმოადგენს:

ბ) პირდაპირი და ირიბი ხარჯების გაანგარიშება,

გ) პროდუქციის ერთეულის დამზადებაზე ფასის დადგენა,

დ) კონკრეტული სახეობის პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების გაანგარიშება.

10. ცნება "ამორტიზაციული ანარიცხები" თავისთავში მოიცავს,

ა) წარმოების გადაიარაღების მიზნით ფონდების ფორმირებაზე მოგებიდან გეგმიურ ანარიცხებს,

ბ) გაუთვალისწინებელი ხარჯების გადაფარვის მიზნით საწარმოს სარეზერვო ფონდში ანარიცხებს,

გ) ამორტიზაციის სიდიდის ფულად გამოხატულებას, რომელიც ძირითადი ფონდების ცვეთის ხარისხს შეესაბამება,

დ) საწარმოს ირიბ ხარჯებს, რომლებიც თვითღირებულებაზე მიკუთვნებადი მოწყობილობის შეძენასთან არის დაკავშირებული,

ე) საერთო-სამეურნეო ხარჯების ნაწილს, რომლებიც გეგმის შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნება.

11. საწარმოს პროდუქციის ფასის სრული დანახარჯების მეთოდის მიხედვით განსაზღვრა ეფუძნება:

ა) ზღვრული დანახარჯების გაანგარიშებას პროდუქციაზე მოთხოვნის გადიდების თავისებურებაზე და მასშტაბების დამოკიდებულებაში.

ბ) საქონლის წარმოებაზე და რეალიზაციაზე ყველა პირდაპირი და ირიბი დანასარჯების ერთობლიობას,

გ) დანახარჯების განსაზღვრას, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულების კალკულაციის საფუძველშია ჩადებული.

12. რას ნიშნავს "ფრანკო-სადგურის დანიშნულების" ფასი?

ა) საბითუმო ფასს გამსაღებელი ორგანიზაციის დანახარჯების გათვალისწინებით.

ბ) საბითუმო ფასს, რომელშიც პროდუქციის მყიდველამდე მიტანასთან დაკავშირებული სატრანსპორტო დანახარჯები არ არის ჩართული,

გ) საცალო ფასს სატრანსპორტო ხარჯებისა და გამსაღებელი ორგანიზაციის დანახარჯების გათვალისწინებით.

დ) საბითუმო ფასს, რომელიც თავისთავში პროდუქციის მიწოდების პუნქტამდე გაწეულ სატრანსპორტო ხარჯებს მოიცავს,

ე) საბითუმო ფასს, რომელიც პროდუქციის მყიდველის საწყობამდე მიწოდების სატრანსპორტო დანახარჯებს მოიცავს.

13. საწარმოს საბალანსო მოგება თავისთავში მოიცავს:

ა) პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს გადასახადებისა და აქციზების გამოქვითვით,

ბ) რეალიზებული პროდუქციის მოცულობასა (ფულად გამოსახულებაში) და მის თვითღირებულებს შორის სხვაობას,

გ) მოგება, რომელიც გადასახადებისა და მოსაკრებლების ბიუჯეტში გადახდის შემდეგ საწარმოს განკარგულებაში რჩება,

დ) პროდუქციის რეალიზაციიდან მოგებას, სხვა დანარჩენი რეალიზაციებიდან შედეგებს, არარეალიზაციურ ოპერაციებიდან შემოსავლებს.

ე) ამონაგებს, რომელიც პროდუქციის რეალიზაციიდან არის მიღებული გადასახადებისა და პროდუქციის საწარმოო თვითღირებულების გამოკლებით.

14. მოგების დაგეგმვისას პირდაპირი გაანგარიშების მეთოდი ნიშნავს:

ა) მოგების განსაზღვრას რეალიზებული პროდუქციის მთლიანი ნომენკლატურის მიხედვით, რომელიც არარეალიზებული პროდუქციის ნაშთებსაც ითვალისწინებს,

ბ) მოგების მაჩვენებლების შედარებას ორი სხვადასხვა დროის მონაკვეთის მონაცემებით,

გ) ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, რომელთა ხარჯზე გეგმიურ პერიოდში მოგების მოცულობა შეიძლება შეიცვალოს,

დ) საგადასახადო განაკვეთებისა და საწარმოს საშუალო რენტაბელობის დონის ცვლილების გაანგარიშებას,

ე) მრეწველობაში გეგმიურ პერიოდში საბითუმო ფასების ცვლილებების გაანგარიშებას.

15. პროდუქციის რეალიზაციიდან მოგება არის:

ა) საწარმოს სუფთა შემოსავალი გადახდილი გადასახადების დაკლებით,

ბ) ძირითადი და დამხმარე წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები,

გ) საწარმოს მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი,

დ) საწარმოს მთლიან შემოსავალსა და პროდუქციის წარმოებაზე პირდაპირ დანახარჯებს შორის სხვაობა,

ე) რეალიზებული პროდუქციის მოცულობასა და მის თვითღირებულებას შორის სხვაობა,

16. საწარმოს სუფთა მოგება განისაზღვრება როგორც:

ა) საბალანსო მოგება ერთის მხრივ, და ბიუჯეტში მოგებიდან სავალდებულო ანარიცხების, ზემდგომი ფონდებისა და ზემდგომი ორგანოების რეზერვების ჯამი მეორეს მხრივ შორის სხვაობა,

ბ) საწარმოს მთლიან შემოსავალსა და პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე ერთობლივ დანახარჯებს შორის სხვაობა,

გ) საბალანსო მოგებასა და საწარმოს ფონდებში და რეზერვებში ანარიცხებს შორის სხვაობა,

დ) საბალანსო მოგებასა და არარეალიზებადი ღონისძიებებიდან მოგებას შორის სხვაობა,

ე) ამონაგებსა და პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე ერთობლივ დანახარჯებს შორის სხვაობა.

17. გამსაღებელი ორგანიზაციის დანახარჯები შეიცავენ:

ა) საწარმოს სუფთა შემოსავალზე,

ბ) ნაკეთობის საბითუმო ფასში ჩასართავი მოგების ფასთან თანაფარდობაზე,

გ) სარეალიზაციო პროდუქციის წარმოების ცვალებად დანახარჯებზე,

დ) მრეწველობის საბითუმო ფასზე,

ე) პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დანახარჯებზე.

18. მოგება, როგორც ეკონომიკური კატეგორია შეიძლება ფუნქციებს ასრულებს:

ა) განმანაწილებელ,
ბ) კვლავწარმოებით,
გ) ფისკალურს,
დ) მასტიმულირებელ.
ე) გადამანაწილებელ,
ვ) საკონტროლო,
ზ) ეკონომიკური,

19. ცნება "საწარმოს რენტაბელობა"-ში შედის:

ა) საწარმოს მიერ მიღებული ამონაგების თანაფარდობა საწარმოო დანახარჯების ჯამთან,

ბ) შეფარდებითი შემოსავალი (გაანგარიშებული პროცენტებში) თანაფარდობა საბსრების ან კაპიტალის დანახარჯებთან.

გ) სუფთა მოგება ერთი ლარის მოცულობის რეალიზებულ პროდუქციაზე,

დ) პროდუქციის ერთეულზე მოგების თანაფარდობა საწარმოს პროდუქციის ერთეულის საბითუმო ფასთან,

ე) საწარმოს მიერ მიღებული სუფთა მოგება.

20. პროდუქციის რენტაბელობა გაიანგარიშება როგორც:

ა) საბალანსო მოგების თანაფარდობა რეალიზებული პროდუქციის მთლიან თვითღირებულებასთან,

ბ) პროდუქციის წარმოებიდან და რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობა წარმოების საერთო დანახარჯებთან,

გ) პროდუქციის წარმოებიდან და რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობა რეალიზებული პროდუქციის მთლიან თვითღირებულებასთან,

დ) პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან.

ე) საბალანსო მოგების თანაფარდობა რეალიზებული პროდუქციის მოცულობასთან.

სავარჯიშო-ამოცანები ამოხსნითურთ:

დავალება 1.5. სასაქონლო პროდუქციის ღირებულებამ მიმდინარე საანგარიშო წელს 360 ათ. ლარი, სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე დანახარჯებმა კი - 0,90 ლარი შეადგინა.

მომავალი წლისათვის პროდუქციის წარმოების მოცულობის 10%-ით გადიდება, ხოლო სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე დანახარჯების 0,85 ლარამდე შემცირება არის გათვალისწინებული.

განსაზღვრეთ მომავალი წლის სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება.

ამოხსნა:

სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე დანახარჯები გაიანგარიშება როგორც სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების თანაფარდობა სასაქონლო პროდუქციის მოცულობასთან.

აქედან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს:

1. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა მიმდინარე პერიოდში ტოლია:

360 ათ. ლარი/ 0,90 ლარზე = 400 ათ. ლარს.

2. სასაქონლო პროდუქციის მოცულობის 10%-ით გადიდება მომავალ წელს გამოიწვევს:

400 ათ. ლარი x 0,10 = 40 ათ. ლარს ნაზარდს.

3. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა მომავალი წლისათვის ტოლი იქნება:

400 ათ. ლარი +40 ათ. ლარი = 440 ათ. ლარს.

4. სასაქონლო პროდუქციის მოცულობა მომავალი წლისათვის ტოლი იქნება.

440 ათ. ლარი x 0,85 =374 ათ. ლარს.

დავალება 6.6. საწარმომ იანვარში - 1200 ნაკეთობა, თებერვალში - 1900 ნაკეთობა, მარტში - 1800 ნაკეთობა გამოუშვა. ერთი ნაკეთობის ფასი შეადგენს 70 ლარი/ცალზე. ერთი ნაკეთობის თვითღირებულება შეადგენდა: იანვარში 55 ლარს, თებერვალში - 57 ლარს, მარტში- 52 ლარს.

შეადარეთ 3 თვის განმავლობაში გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობა.

ამოხსნა:

1. განვსაზღვროთ პროდუქციის გამოშვების მოცულობა თვეების მიხედვით:

იანვარი: 1200 x 70 ლარი = 84 ათ. ლარი;

თებერვალი: 1900 x 70 ლარი =133 ათ. ლარი;

მარტი: 1800 x 70 ლარი = 126 ათ. ლარი.

2. განვსაზღვროთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

იანვარი: 1200 x 55 ლარი =66 ათ. ლარი;

თებერვალი: 1900 x 57 ლარი =108,3 ათ. ლარი;

მარტი: 1800 x 52 ლარი =93,6 ათ. ლარი.

3. განვსაზღვროთ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება

იანვარი:84 ათ. ლარს -66 ათ. ლარი = 18 ათ. ლარს;

თებერვალი: 133 ათ. ლარს -108 ათ. ლარი =24,7 ათ. ლარს;

მარტი: 126 ათ. ლარს - 93,6 ათ. ლარი =32,4 ათ. ლარს.

4. პროდუქციის რენტაბელობა გაიანგარიშება, როგორც მოგების თანაფარდობა თვითღირებულებასთან:

იანვარი: (17 ათ. ლარი / 66 ათ. ლარზე).100% = 27,3%

თებერვალი:(24,7 ათ. ლარი/108,3 ათ. ლარზე). 100%= 22,8%

მარტი: (32,4 ათ. ლარი/93,6 ათ. ლარზე) .100% = 34,6%

ყველაზე უფრო მაღალი რენტაბელობა მარტის თვეში იყო.

დავალება 6.7. საწარმო ერთი სახეობის პროდუქციას აწარმოებს 600 ლარი/ერთეულზე ფასით. პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი დანახარჯები 560 ლარს შეადგენენ. მუდმივი ხარჯების საერთო სიდიდე 840 ათ. ლარია. ზედნადების ხარჯების ზრდის შედეგად საერთო მუდმივი ხარჯები 7%-ით გაიზრდება.

განსაზღვრეთ მუდმივი ხარჯების გაზრდა თუ როგორ ზემოქმედებას მოახდენს გამოსაშვები პროდუქციის კრიტიკული მოცულობის სიდიდეზე.

ამოხსნა:

1. განვსაზღვროთ პროდუქციის კრიტიკული მოცულობა მუდმივი ხარჯების გადიდებამდე.

პროდუქციის კრიტიკული მოცულობა განისაზღვრება, როგორც მუდმივი ხარჯების საერთო სიდიდის თანაფარდობა პროდუქციის ერთეულის ფასსა და პროდუქციის ერთეულზე ცვალებადი ხარჯების სიდიდეს შორის სხვაობასთან:

840 ათ. ლარი/ (600 ლარს- 560 ლარი) = 21 ათ. ცალს,

რომლის საერთო ღირებულებაა:

600 ლარი.21 ათ. ცალზე=12 600 ათ. ლარს.

2. კრიტიკული მოცულობა მუდმივი ხარჯების გადიდების (7%-ით) შემდეგ შეადგენს:

840 ათ. ლარი.1,07/(600 ლარს -560 ლარი) =

= 898,8 ათ. ლარი/ 40 ლარზე =22,47 ათ. ცალს.

რომლის საერთო ღირებულებაა:

600 ლარი.22,47 ათ. ცალზე=13 483 ათ. ლარს.

3. მუდმივი ხარჯების გადიდების შედეგად კრიტიკული მოცულობის ცვლილებამ შეადგინა:

22470 ცალს - 21000=1470 ცალი.

ამრიგად, მუდმივი ხარჯების 7%-ით გადიდებამ პროდუქციის გამოშვების კრიტიკული მოცულობის 1470 ცალით ანუ ღირებულებითი გამოსახულებით (13482 ათ. ლარს -12600 ლარი)=882 ათ. ლარით გადიდება გამოიწვია.

დავალება 6.8. გამოშვებულ პროდუქციაზე შემდეგი მონაცემები არის ცნობილი: ფასი - 98 ლარი/ცალზე, რეალიზაციის მოცულობა - 2 ათ. ცალი, თვითღირებულება- 92 ლარი/ცალზე, საერთო მუდმივი დანახარჯები - 126 ათ. ლარი.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე განსაზღვრეთ: ამონაგები, საერთო ცვალებადი ხარჯები, ხვედრითი მუდმივი და ცვალებადი ხარჯები, საქონლის პარტიის საერთო თვითღირებულება, საერთო მოგება პროდუქციის რეალიზაციიდან და მოგება პროდუქციის ერთეულზე.

ამოხსნა:

1. ამონაგები განისაზღვრება როგორც ნაკეთობის ფასი გამრავლებული რეალიზაციის მოცულობაზე.

98 ლარი/ცალზე x 2 ათ. ცალი =196 ათ. ლარს.

2. საქონლის პარტიის საერთო თვითღირებულება განისაზღვრება, როგორც პროდუქციის ერთეული თვითღირებულება გამრავლებული რეალიზაციის მოცულობაზე:

92 ლარი/ცალზე x 2 ათ. ცალი =184 ათ. ლარს.

3. საერთო მოგება რეალიზაციიდან შეადგენს.:

196 ათ. ლარს - 184 ათ. ლარი =12 ათ. ლარს.

4. მოგება პროდუქციის ერთეულზე შეადგენს:

12 ათ. ლარი/2 ათ. ცალზე =6 ლარს.

5. საერთო ცვალებადი ხარჯები განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და საერთო მუდმივი ხარჯებისა და მიღებული საერთო მოგების ჯამს შორის სხვაობა:

196 ათ. ლარს - 126 ათ. ლარი - 12 ათ. ლარი =58 ათ. ლარი.

6. ხვედრითი ცვალებადი ხარჯები პროდუქციის ერთეულზე ტოლი იქნება:

58 ათ. ლარი/2 ათ. ცალზე =29 ათ./ცალს.

7. ხვედრითი მუდმივი ხარჯები პროდუქციის ერთეულზე ტოლი იქნება:

126 ათ.ლარი/2 ათ. ცალზე =63 ათ. / ცალს.

დავალება 6.9. პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება პირველ კვარტალში 98,2 ათ. ლარს, ხოლო ხვედრითმა მუდმივმა ხარჯებმა კი - 30,2 ათ. ლარი/ცალზე შეადგენდა. ნედლეულზე და მასალებზე დანახარჯების წილმა თვითღირებულების სტრუქტურაში პირველ კვარტალში 70% შეადგინა.

მეორე კვარტალში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა იქნა შეცვლილი, ხოლო ნედლეულზე და მასალებზე დანახარჯები პირველ კვარტალთან შედარებით 40%-ით გაიზარდა. ცვალებადი ხარჯების დანარჩენი მაჩვენებლები, რომელიც პროდუქციის ერთეულზე მოდის, უცვლელი დარჩა, ამასთან პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება 22,8 ათ. ლარით გაიზარდა.

განსაზღვრეთ თუ რამდენი პროცენტით შეიცვალა წარმოების მოცულობა.

ამოხსნა:

1. ხვედრითი ცვალებადი დანახარჯები პირველ კვარტალში განისაზღვრება როგორც პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება, შემცირებული ხვედრითი მუდმივი ხარჯების ჯამზე:

98,2 ათ. ლარს-30,2 ათ. ლარი=68 ათ. ლარს.

2. განვსაზღვროთ ნედლეულზე და მასალებზე დანახარჯები, რომელიც პროდუქციის ერთეულზე პირველ კვარტალში მოდიოდა:

0,7 x 68 ათ. ლარზე=47,6 ათ. ლარს.

3. განვსაზღვროთ ნედლეულზე და მასალებზე დანახარჯები, რომელიც პროდუქციის ერთეულზე მეორე კვატალში მოდიოდა:

1,4 x 47,6 ათ. ლარზე=66,64 ათ. ლარს.

4. ხვედრითი დანახარჯები ნედლეულზე და მასალებზე მეორე კვარტალში შეადგენდა:

66,64 ათ. ლარს-47,6 ათ. ლარი=19,04 ათ. ლარს.

5. ხვედრითი ცვალებადი დანახარჯები მეორე კვარტალში ტოლი იყო:

68 ათ. ლარს+19,04 ათ. ლარი=87,04 ათ. ლარს.

6. პროდუქციის თვითღირებულება მეორე კვარტალში პირობის თანახმად 22,8 ათ. ლარით გაიზარდა და შეადგინა:

98,2 ათ. ლარს+22,8 ათ. ლარი = 121 ათ. ლარს.

7. ხვედრითმა მუდმივმა ხარჯებმა მეორე კვარტალში შეადგინა:

121 ათ. ლარს - 87,04 ათ.: ლარი = 33,96 ათ. ლარს.

8. ხვედრითი მუდმივი ხარჯების პირველ კვარტალში შეფარდებით ხვედრით მუდმივ ხარჯებთან მეორე კვარტალში მივიღებთ წარმოების მოცულობის ცვლილების კოეფიციენტის მნიშვნელობას, რომელიც ტოლია:

30,2 ათ. ლარი/33,36 ათ. ლარზე = 0,89,

რაც იმაზე მიუთითებს, რომ წარმოების მოცულობამ მეორე კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით 11%-ით ()1,0-0,89).100%) შემცირდა.

დავალება 6.10. იანვარში დამზადდა და რეალიზებულ იქნა 7 ათ. ნაკეთობა ფასით 80 ლარი/ცალზე. საწარმოს საერთო მუდმივმა ხარჯებმა 75 ათ. ლარი, ხოლო ხვედრითმა ცვალებადმა ხარ-

ჯგუფმა 55 ლარი/ნაკეთობაზე შეადგინა. თებერვალში მოგების 15%-ით გადიდება იგეგმება იანვართან შედარებით.

როგორი უნდა იყოს რეალიზაციის დამატებითი მოცულობა, რომ მოგება 15%-ით გაიზარდოს?

ამოხსნა:

1. განვსაზღვროთ პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების მოცულობა იანვარში:

80 ლარი x 7 ათ. ნაკეთობა =560 ათ. ლარს.

2. განვსაზღვროთ საერთო ცვალებადი ხარჯები:

55 ლარი x 7 ათ. ნაკეთობა = 385 ათ. ლარს.

3. პროდუქციის საერთო თვითღირებულება განისაზღვრება როგორც საერთო მუდმივი და საერთო ცვალებადი ხარჯების ჯამი:

385 ათ. ლარს +75 ათ. ლარი =460 ათ. ლარს.

4. განვსაზღვროთ მოგების თანხა, რომელიც საწარმომ იანვრის თვეში მიიღო, როგორც ამონაგებსა და თვითღირებულებას შორის სხვაობა:

560 ათ. ლარს -460 ათ. ლარი =100 ათ. ლარს.

5. გავიანგარიშოთ პროდუქციის ნაზარდის საჭირო მოცულობა მოგების 15%-ით გადიდების მიზნით როგორც მოგების ნაზარდის აბსოლუტური თანხის შეფარდება ნაკეთობის რეალიზაციის ფასსა და ხვედრითი ცვალებადი ხარჯების ჯამთან შორის:

(100 ათ. ლარი x 0,15)/(80 ლარი/ნაკეთობაზე-55ლარი/ნაკეთობაზე) = 600 ნაკეთობას.

აქედან გამომდინარე, თებერვალში 15%-ის ოდენობის დამატებითი მოგების მიღების მიზნით რეალიზაციის მოცულობა 600 ნაკეთობით უნდა გაიზარდოს.

დავალება 6.11. ნაკეთობის ფასმა პირველ კვარტალში 250 ათ. ლარი შეადგინა.. მეორე კვარტალში ფასებმა 8%-ით მოიმატა. საწარმოს მუდმივი ხარჯები უცვლელი დარჩა და 2500 ათ. ლარი შეადგინა. ხვედრითი მუდმივი ხარჯები პირველ კვარტალში 70 ათ. ლარის ტოლი იყო, ხოლო მეორე კვარტალში კი იგი 5%-ით გაიზარდა.

გაიანგარიშეთ ფასების ცვლილება როგორ იმოქმედებს პროდუქციის რეალიზაციის კრიტიკულ მოცულობაზე.

ამოხსნა:

1. განვსაზღვროთ ნაკეთობის ფასი მეორე კვარტალში ფასების მომატების შემდეგ:

250 ათ.ლარი x 1,08=270 ათ. ლარს.

2. განვსაზღვროთ მეორე კვარტლის ხვედრითი ცვალებადი ხარჯები:

70 ათ. ლარი x 1,05-73,5 ათ. ლარს

3. ფასების მატების ზემოქმედება პროდუქციის რეალიზაციის კრიტიკული მოცულობის ცვლილებაზე გაიანგარიშება, როგორც მუდმივი ხარჯები გამრავლებული სხვაობის თანაფარდობაზე, რომლის მრიცხველშია ერთიანი, ხოლო მნიშვნელში ნაკეთობის ფასსა და ხვედრითი ცვალებად ხარჯებს შორის სხვაობასთან შესაბამისად მეორე და პირველი კვარტალების მიხედვით:

2500 ათ. ლარი x (1/(270 ათ. ლარი/ნაკეთობაზე - 73,5 ათ. ლარი/ნაკეთობაზე) 1/(250 ათ. ლარი/ნაკეთობაზე - 70 ათ. ლარი/ნაკეთობაზე) =

=2500 ათ. ლარი. - 0,000466 = -1165 ნაკეთობას.

ამრიგად, ფასების 8%-ით გადიდება პროდუქციის რეალიზაციის კრიტიკულ მოცულობას 1165 ნაკეთობით ამცირებს.

დავალება 6.12. ბულალტრული გაანგარიშების მონაცემების მიხედვით სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებამ 115,8 ათ. ლარი შეადგინა. ნედლეულზე და მასალებზე დანახარჯები 74,5 ათ. ლარის ტოლი იყო. ანგარიშგების ანალიზის შედეგად დადგინდა ეკონომია: ნედლეულისა და მასალების ხარჯების ნორმის შემცირების ხარჯზე - 7%-ით და მასალებზე ფასების შემცირების ხარჯზე - 2%-ით.

გავარკვიოთ ზემოთაღნიშნულმა ფაქტორებმა, თუ როგორი ზეგავლენა იქონიეს პროდუქციის თვითღირებულებაზე?

ამოხსნა:

1. განვსაზღვროთ ნედლეულისა და მასალების წილი თვითღირებულების სტრუქტურაში:

74,5 ათ. ლარი / 115,8 ათ. ლარზე x 100%=64,3%

2. განვსაზღვროთ ნედლეულზე და მასალებზე ეკონომიის ხარჯზე თვითღირებულების ცვლილება შემდეგი ფორმულით:

(1-0,93 x 0.98) x 64,3%=5,69%

სადაც მაჩვენებლები 0,93 და 0,98 ასახავენ მასალების გახარჯვის ნორმის შემცირების კოეფიციენტსა და ფასების შემცირების კოეფიციენტს შესაბამისად.

ამრიგად, აღნიშნული ფაქტორების ხარჯზე პროდუქციის თვითღირებულება 5,69%-ით შემცირდა.

დავალება 6.13. როგორ იმოქმედებს წარმოების მოცულობის ზრდა თვითღირებულების შემცირებაზე ისეთი პირობებით, რომ წარმოების მოცულობა 20%-ით იზრდება, ხოლო მუდმივი ხარჯები 2%-ით გაიზრდება. მუდმივი ხარჯების ხვედრითი წონა უცვლელი რჩება და იგი 35%-ს შეადგენს.

ამოხსნა:

1. თვითღირებულების შემცირება წარმოების მოცულობის გაზრდის ხარჯზე, როდესაც მუდმივი ხარჯების წილი უცვლელი რჩება განისაზღვრება როგორც: მუდმივი ხარჯების წილის ნამრავლი სხვაობასთან ერთიანსა და მუდმივი ხარჯების კოეფიციენტის წარმოების მოცულობის ცვლილების კოეფიციენტის თანაფარდობას შორის.

2. ჩვენს მაგალითში წარმოების მოცულობის ზრდის კოეფიციენტი 1,2-ის ტოლია, ხოლო მუდმივი ხარჯების ცვლილების კოეფიციენტი 1,02-ის ტოლია:

(1-1,02/1,2) x 35%=5,25%

ამრიგად თვითღირებულების შემცირება 5,25%-ის ტოლი იქნება.

საკონტროლო დავალება შუალედური გამოცდებისათვის

ვარიანტი №1

დავალება 6.14. შეადარეთ სამი კვარტლის მონაცემების საფუძველზე პროდუქციის რენტაბელობა (იხ. ცხრ. 1):

მაჩვენებელი	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი
ერთი ნაკეთობის ფასი, ლარი/ცალზე	90	90	92
ერთი ნაკეთობის თვითღირებულება, ლარებში	76	75	80
გამოშვებული ნაკეთობების რაოდენობა, ცალებში	7000	7200	6900

პასუხი: I კვარტალში - 18,42%;
II კვარტალში - 20,0%;
III კვარტალში - 15,0%.

დავალება 6.15. საწარმოს მიერ კვარტალში 25000 ნაკეთობა იქნა დამზადებული თვითღირებულებით 1200 ლარი. გეგმის მიხედვით საწარმოში მომავალ კვარტალში გათვალისწინებულია: პროდუქციის გამოშვების 8%-ით გადიდება და ერთეული ნაკეთობის თვითღირებულების შემცირება 2%-ით. ნაკეთობის რეალიზაციის ფასი 1350 ლარს შეადგენს.

განსაზღვრეთ სასაქონლო პროდუქციის 1 ლარზე დანახარჯების ფაქტიური და გეგმიური დონე და მისი ცვლილება პროცენტულად საანგარიშგებო კვარტალთან მიმართებაში.

პასუხი: 0,89 ლარი და 0,87 ლარი; 2,3%

დავალება 6.16. საწარმო ერთი სახეობის პროდუქციას გამოუშვებს და მის რეალიზებას 36 ლარი ნაკეთობაზე ფასით ახორციელებს; ნაკეთობაზე საშუალო ცვალებადი ხარჯები 20 ლარის ტოლია; საერთო მუდმივი ხარჯები კი - 30 ათ. ლარს შეადგენს.

განსაზღვრეთ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის კრიტიკული მოცულობა ფულად და ნატურალურ გამოსახულებაში.

პასუხი: 1875 ცალი; 67 500 ლარი.

დავალება 6.17. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში საწარმოს საქმიანობის რამოდენიმე ვარიანტის მონაცემებია მოტანილი. ამასთან ერთად მუდმივი ხარჯები ყველა ვარიანტებისათვის ერთნაირი სიდიდითაა გათვალისწინებული.

შეავსეთ ცხრილი და განსაზღვრეთ ვარიანტი, რომლის დროსაც უდიდესი მოცულობის მოგება იქნება მიღებული.

საწარმოს საქმიანობის შესახებ მონაცემები:

მაჩვენებელი	პირველი ნაკეთობა	მეორე ნაკეთობა
ნაკეთობის თვითღირებულება, ლარებში	170	60
ერთი ნაკეთობის ფასი, ლარებში	210	75
გამოშვებისა და რეალიზაციის მოცულობა, ცალებში	840	3500

საკონტროლო დავალება

ვარიანტი №2

დავალება 6.18. ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებამ 250 ათ. ლარი შეადგინა. დანახარჯები ნედლეულზე და მასალებზე 190 ათ. ლარის ტოლია. ანგარიშგების ანალიზის შედეგად დადგინდა ეკონომია: ნედლეულისა და მასალების გახარჯვის ნორმის შემცირების ხარჯზე 4%-ით და მასალებზე ფასების შემცირების ხარჯზე 6%-ით.

გავერკვეთ თუ ზემოთაღნიშნული ფაქტორები რა ზეგავლენას მოახდენენ პროდუქციის თვითღირებულებაზე?

პასუხი: 7,42%.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 6.19. მიმდინარე წელს დამზადებული და 107 ათ. ნაკეთობა იქნა რეალიზებული ფასით 240 ლარი/ნაკეთობაზე. საწარმოს საერთო მუდმივმა ხარჯებმა 310 ათ. ლარი შეადგინა. ხვედრითი ცვალებადი ხარჯები - 190 ლარი/ნაკეთობაზე ტოლია. მომავალ წელს მოგების 10%-ით გადიდება არის გათვალისწინებული წინა წელთან შედარებით.

როგორი უნდა იყოს რეალიზაციის დამატებითი მოუცლობა, რომ მოგება 10%-ით გაიზარდოს?

პასუხი: 10 080 ნაკეთობა.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 6.20. წარმოების მოცულობა წინა პერიოდთან შედარებით 15%-ით გაიზარდა, ხოლო მუდმივი ხარჯები კი 10%-ით. მუდმივი ხარჯების ხვედრითი წლი თვითღირებულების სტრუქტურაში 25%-ს შეადგენს.

განსაზღვრეთ, წარმოების მოცულობის ზრდა როგორ ზემოქმედებას მოახდენს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე?

პასუხი: 1,08%.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 6.21. ფასი ნაკეთობაზე პირველ კვარტალში 200 ლარის ტოლი იყო, მეორე კვარტალში კი იგი - 5%-ით გაიზარდა. ცვალებადი დანახარჯები ნაკეთობის ერთეულზე 120 ლარია, მუდმივი ხარჯები - 3500 ათ. ლარს.

განსაზღვრეთ, ნაკეთობის ფასის გადიდებამ როგორი ზემოქმედება მოახდინა კრიტიკული მოცულობის ცვლილებაზე.

პასუხი: შემცირდება 4900 ნაკეთობით.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 6.22.

გეგმის მაჩვენებელმა ნაკეთობებზე შეადგინა:

მაჩვენებელი	პირველი ნაკეთობა	მეორე ნაკეთობა
ნაკეთობის თვითღირებულება, ლარებში	170	60
ერთი ნაკეთობის ფასი, ლარებში	210	75
გამოშვებისა და რეალიზაციის მოცულობა, ცალებში	840	3500

საწარმომ ფაქტიურად თვითღირებულების შემცირებას პირველი ნაკეთობის მიხედვით 8%-ით, ხოლო მეორე ნაკეთობის მიხედვით-3%-ით მიაღწია. რეალიზაციის ფასი უცვლელი დარჩა. განსაზღვრეთ, თუ როგორ შეიცვალა პროდუქციის ფაქტიური რენტაბელობა გეგმიურთან შედარებით ორივე ნაკეთობის მიხედვით.

პასუხი: პირველი ნაკეთობა - 10,8%; მეორე ნაკეთობა - 3,9%. საერთო რენტაბელობა ორივე ნაკეთობების მიხედვით - 6,7%.

5. ფინანსური ანალიზის ამოცანების ამოხსნა და საკონტროლო დავალების საკითხები[1]

ამოცანა №6.1. საწარმოს (ფირმის) ფინანსური მდგრადობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის, კრედიტუნარიანობისა და გაკოტრების ალბათობის შეფასებაზე.

ამოცანის პირობა: საწარმოს „ავანგარდი" 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს ბალანსის შემდეგი მაჩვენებლები (ათას ლარებში) იხ. ცხრილი 6.4

საწარმოს „ავანგარდის" ბალანსი (ათასი ლარი)

ცხრილი 6.4

№	მაჩვენებლის დასახელება – ბალანსის მუხლები	სტრო-ფი	ნაშთი წლის დასაწყისი-სათვის	წლის ბოლოსათ-ვის
1	ძირითადი საშუალებები	110	2807	3367
2	არამატერიალური აქტივები	120	587	440
3	გრძელვადიანი ფინანსური დაბანდება-ნი(დაუმთავრებელი მშენებლობა)	130	1200	450
4	პირველი განაყოფის ჯამი	190	4594	4557
5	სახაჭონლო მარაგები	210	1264	1277
6	შესყიდულ მატერიალურ ფასეულობაზე დღგ-ს გადასახადი	220	192	197
7	დებიტორული დავალიანება (მოკლევადი-ანი მოთხოვნები)	240	950	1100

[1] შესრულებულია სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტ ზაზა ხორავასთან ერთობლივად

8	ფულადი საშუალებები	260	2500	2800
9	მეორე განაყოფის ჯამი	290	4906	5374
10	სულ აქტივების ჯამი (4+9)	300	9500	9931
11	საწესდებო კაპიტალი	410	6000	6000
12	დამატებული კაპიტალი	420	310	310
13	სარეზერვო კაპიტალი	430	900	900
14	გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)	470	833	1057
15	საკუთარი კაპიტალის ჯამი	490	8043	8267
16	გრძელვადიანი ვალდებულებები	590	0	0
17	მოკლევადიანი სესხები და კრედიტები	610	810	1035
18	კრედიტორული დავალიანება	620	647	629
19	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	690	1457	1664
	სულ პასიების ჯამი (15+16+19)	700	9500	9931

დავალება.

1. განსაზღვრეთ საწარმო „ავანგარდის" წლის დასასრულისათვის <u>ფინანსური სიტუაციის ტიპი</u> – ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი.
2. განსაზღვრეთ Kსგუ საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი.
3. განსაზღვრეთ Kაბს.ლიკვ.კოეფ. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი.
4. განსაზღვრეთ Kკრ.შეფ. - „კრიტიკული შეფასების" კოეფიციენტი.
5. განსაზღვრეთ Kმიმ.ლიკვ.კოეფ. - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიცინტი.
6. ზოგადად დაახასიათეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

<u>ამოცანის ამოხსნა</u>

1. სასაქონლო მარაგები (სტრ. 210-წლის დასასრულისათვის) 1277,0 ათასი ლარი.
2. საკუთარი საბრუნავი საშუალებები (სტრ. 490 წლის დასასრულისთვის – სტრ. 190=8267-4557=3 710,0 ათასი ლარი).
3. ფუნქციონირებადი კაპიტალი (მარაგების ფორმირების საკუთარი და გრძელვადიანი სასესხო ფორმირების წყაროები) –

(სტრ. 490+სტრ. 590)-სტრ.190)=8267+0-4557=3710 ათასი ლარი.

4. მარაგების ფორმირების ძირითადი წყაროები – (სტრ. 490+სტრ. 590+სტრ. 610)=8267+0+1035-4557=4745 ათასი ლარი.
5. მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი საბრუნავი საშუალებებით – (სტრ. 490-სტრ. 190-სტრ. 210)=8267-4557-1277=2433 ათასი ლარი.
6. მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი და გრძელვადიანი სასესხო ფორმირების წყაროებით – (სტრ. 490+სტრ. 590-სტრ. 190-სტრ.210)=8267+0-4557-1277=2433 ათასი ლარი.
7. მარაგების უზრუნველყოფა მარაგების ძირითადი ფორმირების წყაროებით – (სტრ. 490+სტრ. 590+სტრ. 610-სტრ. 190-სტრ. 210)=8267+0+1035-4557-1277=3468 ათასი ლარი.

მოცემულ საწარმოში ფინანსური სიტუაციის იდენტიფიცირებისათვის გამოვიყენოთ ფინანსური სიტუაციის ტიპების მახასიათებელი ინფორმაციების ცხრილი 6.5

ცხრილი 6.5

მაჩვენებლები	ფინანსური სიტუაციები (ტიპები)			
	აბსოლუტური დამოუკიდებლობის ზღვარი	ნორმალური დამოკიდებულების ზონა	არასტაბილური დამოკიდებულების ზონა	კრიზისული მდგომარეობა
5. მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი საბრუნავი საშუალებებით	≥ 0	>0	≤ 0	< 0
6. მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი და გრძელვადიანი სასესხო ფორმირების წყაროებით	≥ 0	≥ 0	< 0	< 0
7. მარაგების უზრუნველყოფა მარაგების ძირითადი ფორმირების წყაროებით	≥ 0	≥0	≥ 0	< 0

წყარო: ლ. ვ. დონცოვა, ნ. ა. ნიკიფოროვი, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი. პრაქტიკუმი (რუს. ენაზე). მოსკოვი, 2004 წ. გვ. 28

საწარმოს „ავანგარდის" მარაგების უზრუნველყოფის ყველა მაჩვენებელი (5-7) ნულზე მეტია, შესაბამისად საწარმოს ფინანსური სიტუაცია ხასიათდება, როგორც ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

წლის დასაწყისისათვის

საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (Kსგუ) განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\text{სგუ(წ.დასაწ.)} = \frac{A1+(0,5xA2)+(0,3\ xA3)}{П1+(0,5xП2)+(0,3\ xП3)}$$

სადაც A1 (აქტივებია), ადვილად ლიკვიდური აქტივები (A); A2 სწრაფად ლიკვიდური აქტივები; A3 ძნელად ლიკვიდური აქტივები;
П1 (პასივები) სწრაფვადიანი ვალდებულებები, П2 მოკლევადიანი პასივები, П3 გრძელვადიანი პასივები.

ჩვენს მაგალითში (ცხრილი №6.5)

$$\text{Kსგუ(წ. დასაწ.)} = \frac{\text{სტრ.250+სტრ.260+(0,5xსტრ. 240)+0,3xსტრ. 210+სტრ. 220+სტრ.230+სტრ. 270)}}{\text{სტრ.620+(0,5xსტრ. 610+სტრ. 630+სტრ. 660)+0,3xსტრ. 590+სტრ.}} =$$

$$= \frac{0+2500+(0,5\cdot 950)+0,3x(1264+192+0+0)}{640+\text{სტრ. 650)}\ 647+0,5x(810+0+0)+0,3x(0+0+0)} = \frac{3412}{1052} = 3,2$$

8. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტის აბს.ლიკ. განსაზღვრა:

$$K_{აბს.ლიკ.(წლის\ დასაწყ.)} = \frac{\text{სტრ. 250+სტრ. 260}}{\text{სტრ.610+სტრ.620+სტრ.30+სტრ.660}} =$$

$$= \frac{0+2500}{810+647+0+0} = 1,7$$

9. „კრიტიკული შეფასების" კოეფიციენტის $K_{კრ.შეფ.}$ განსაზღვრა:

$$K_{კრ.შეფ.} = \frac{\text{სტრ.250+სტრ.260+ სტრ.240}}{\text{სტრ.610+სტრ.620+სტრ.630+სტრ.660}} =$$

$$= \frac{2500+950}{810+647+0+0} = 2,4$$

10. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის $K_{მიმ.ლიკვ.}$ განსაზღვრა:

$$K_{\ მიმ.ლიკვ.} = \frac{\text{სტრ.290}}{\text{სტრ.610+სტრ.620+სტრ.630+სტრ.660}} =$$

$$= \frac{4906}{810+647+0+0} = 3,4$$

<u>დასკვნა</u>: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი წლის დასაწყისისთვის ოპტიმალური მნიშვნელობის (2-დან 3,5-მდე) დიაპაზონში იმყოფება. ზემოთ გამოთვლილი ლიკვიდურობის კოეფიციენტები, ასევე მნიშვნელოვნად სჭარბობენ ნორმალურ შეზღუდულობის დაშვებულ (0,1-დან 0,7-აბსოლუტური ლიკვიდურობის მაჩვენებელისა და 0,7-დან 1,0 „კრიტიკული შეფასების" დიაპაზონისთვის) მაჩვენებლებს, რაც დაკავშირებულია მოცემულ საწარმოში არსებულ მინიმალურ დავალიანების მაჩვენებლებთან და უჩვენებს საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის მაღალ ხარისხს. რაც დასტურდება იმითაც, რომ საწარმო საერთო გადახდისუნარიანობის მაღალი კოეფიციენტით ($K_{სგუ}$=3,2) ხასიათდება (ამ უკანასკნელის ნორმალურ მდგომარეობად ითვლება, როცა $K_{სგუ}$>1).

ამოცანა №6.2

წარმოადგინეთ საწარმოს წმინდა (სუფთა) მოგების ანალიზი მოგება-ზარალის უწყისის (ფორმა №2) მონაცემების ფაქტორული ანალიზის წარმოებით (იხ. ცხრილი 6.6)

მოგება-ზარალის ანგარიშგება (№2) ცხრილი 6.6

	მაჩვენებლის დასახელება	საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელი-„1"	საანგარიშო წინა პერიოდის ანალოგური მაჩვენებელი-„0"
1	საქონლის, პროდუქციის მომსახურების, შესრულებული სამუშაოებიდან, გაყიდვებიდან ამონაგები (წმინდა დღგ-ს, აქციზური და სხვა ანალოგიური გადახდის გარეშე) (N)	200 310	180 670
2	გაყიდული საქონლის (მომსახურე-ბის, სამუშაოების) თვითღირებუ-ლება (C)	170 650	152 420
	საერთო მოგება (1-2)	29 660	28 250
3	კომერციული (მიწოდების) ხარჯები	6 230	3 150
4	მმართველობითი (საერთო) ხარჯები	4 640	1 270
	გაყიდვებიდან (საოპერაციო) მოგება (1-2-3-4) Rs	18 790	23 830
	არასაოპერაციო (დანარჩენი) შემოსავლები და დანახარჯები		
5	მისაღები პროცენტები	1 200	2 150
6	გადასახდელი პროცენტები	820	1 400
7	მეკავშირე საწარმოდან მისაღები შემოსავლები	5 600	2 180
8	სხვა საოპერაციო შემოსავლები	620	580
9	სხვა საოპერაციო ხარჯები	7 600	5 200
10	არასარეალიზაციო შემოსავლები	1 600	350
11	არასარეალიზაციო ხარჯები	920	318
	მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	18 470	22 172
12	მიმდინარე გადასახდელი მოგებაზე და სხვა ანალოგიური საგალდებულო გადასახადი	4 433	5 321
	საწარმოს წმინდა (გაუნაწილებელი) მოგება R	14 037	16 851

შენიშვნა: საანგარიშო პარიოდში ფასები 6,5 %-ით სჭარბობდა წინა პერიოდის მაჩვენებელს.

ფასების ინდექსი Ip=(100+6,5)/100=1,065

ამოხსნა: შემოვიტანოთ ფაქტორების ამღნიშვნელი სიმბოლოები და ანალიზი ვაწარმოოთ ფაქტორული მეთოდის გამოყენებით:

1. ამონაგების ცვლილებაზე ფაქტორების გავლენის გაანგარიშება ($N=N_1-N_0$)

1.1. ფასების (P) გავლენა რეალიზაციიდან ამონაგების ცვლილებაზე (Np)

1.2. ფიზიკური მოცულობის (Q) გავლენა რეალიზაციიდან ამონაგების ცვლილებაზე ΔNQ)

ამოანგების ცვლილება: $N=N_1-N_0$=200310-180670=19640 ათასი ლარი

მ.შორის ა) ფასების ცვლილების გავლენა 200310/1,065=188084 ათასი ლარი

200310-188084=12 226 ათასი ლარი

ბ) ფიზიკური მოცულობის (NQ) გავლენა 19640-1226=7414 ათასი ლარი.

2. გაყიდვების რენტაბელობის გაანგარიშება საბაზისო პერიოდში (R^0S) და მისი გავლენა წმინდა მოგების მაჩვენებელზე ცვლილებაზე (ΔR), მათ შორის:

(R^0_s)=R^0 – საბაზისო მოგების მაჩვენელებლის შეფარდება ამონაგების სიდიდესთან 23 830/18 670

2.1. ფასების გავლენა წმინდა მოგებაზე ΔR
ΔR(p)=ΔNpxR^0s=12226x23 830/18 670=1613 ათასი ლარი.

2.2. ფიზიკური მოცულობის გავლენა წმინდა მოგებაზე
ΔR(Q)=ΔNQxR^0s=7414x23 830/18 670= 978 ათასი ლარი.

3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების (C) გავლენა წმინდა მოგების ცვლილების მაჩვენებელზე

ΔR (C)=-C1-CoxN1/NO= –170650-(152420x210310/180670)= =–(170650-168989)=–1661 ათასი ლარი.

ანალოგიურად გამოიანგარიშება:

4. კომერციული ხარჯების ცვლილების გავლენა წმინდა მოგების ცვლილების მაჩვენებლებზე

Rკომერც. = -(6230-315x200310/180670)=-2738 ათასი ლარი
Rმმართველ. = -(4640-1270x200310/180670)=-3232 ათასი ლარი

დანარჩენი ფაქტორები, რომელთა გავლენა უნდა იქნას გაანგარიშებული, ბუნებრივია პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ცვალებადობაზე არ ზემოქმედებენ. შესაბამისად, წმინდა მოგების გაანგარიშების პროცესში მათი თანხები დაემატება ან გამოაკლდება, და გავლენის გაანგარიშებაც მარტივად ხორციელდება:
ΔR – მისაღები პროცენტების გავლენა=1 200-2 150=-950 ათასი ლარი
ΔR – გადასახდელი პროცენტები=-(820-1 400)=+580 ათასი ლარი.
ΔR – მეკავაშ.საწარ.შემოსავლები=5 600-2 180=+3 420 ათასი ლარი.
ΔR – სხვა საოპერ.შემოსავლები= 620-580=+40 ათასი ლარი
ΔR – სხვა საოპერ. ხარჯები=-(7 600-5 200)=-2 400 ათასი ლარი
ΔR – არასარეალიზაციო შემოსავ.=1 600-350=1 250 ათასი ლარი
ΔR – არასარეალიზაციო ხარჯები=-(920-318)=-602 ათასი ლარი
ΔR – მიმდინარე გადასახდელები=-(4 433-5 321)=888 ათასი ლარი

ზემოთ გაანგარიშებული ცალკეული ფაქტორების გავლენის ჯამი შეადგენს: 1 613+978-1 661-2 738-3 232-950+580+3 420+40-2 400+1 250-602+888=-2814 ათასი ლარი. საწარმოს წმინდა მოგების (იხ. ცხრილი 6.6) ცვლილება უდრის 14037-

16851=-2814 რამდენადაც, -2814=-2814 ფაქტორული ანალიზი არის კორექტულად ჩატარებული.

ამოცანა №6.3.

საოპერაციო ბერკეტის, როგორც მუდმივი დანახარჯების ამოქმედების საზომის, გამოთვლაზე და საწარმოსათვის შემდეგი მონაცემების საფუძველზე (ცხრილი 6.7)

ცხრილი 6.7

№	მაჩვენებლის დასახელება	საზომი ერთეული	საწარმო	საწარმო
1	რეალიზაციიდან ამონაგები	ათასი ლარი	200 000	200 000
2	ცვალებადი ხარჯები	ათასი ლარი	150 000	110 000
3	მუდმივი ხარჯები	ათასი ლარი	10 000	30 000

ამოხსნა:

საოპერაციო ბერკეტის დონის გამოანგარიშება, როგორც ერთობლივი მარჟის (ამოანგები მინუს ცვალებადი ხარჯები) შეფარდება საერთო საოპერაციო მოგებასთან (ამოანგები მინუს ცვალებადი და მუდმივი ხარჯები):

1. საწარმო პირობებში ერთობლივი მარჟა (მარჟინალური მოგება) შეადგენს 50 ათას ლარს (200 000 – 150 000), საოპერაციო მოგება 40 ათას ლარს (50 000 – 10 000) შესაბამისად, საოპერაციო ბერკეტი საწარმოსათვის 1,25 (50 000/40 000) ტოლია;
2. საწარმო პირობებში ერთობლივი მარჟა შეადგენს 90 ათას ლარს (200 000 –110 000), საოპერაციო მოგება 60 ათას ლარს (90 000 – 30 000).

შესაბამისად, საოპერაციო ბერკეტი საწარმოსთვის 1,50 (90 000/60 000) ტოლია.

დასკვნა:

საოპერაციო ბერკეტით გაიზომება მუდმივი დანახარჯების ამოქმედების არეალი. მაგალითად, თუ ორივე საწარმოში რეალიზაციიდან ამონაგები მიაღწევს, კერძოდ 240 000 ათას ლარს (ანუ გაიზრდება 20%-ით), მაშინ საწარმოში მოგება გაიზრდება

(კოეფიციენტი 1,25x20%) 25%, ხოლო საწარმოში მოგება გაიზრდება (კოეფიციენტი 1,50x20%) 30%-ით.

ამოცანა №6.4.

საოპერაციო (საწარმოო) ლევერიჯის, ფინანსური ლევერიჯისა და საოპერაციო ფინანსური ლევერიჯის განსაზღვრაზე ქვემოთ მოცემულ პირობებში.

ამოცანის პირობა: ცნობილია, რომ გაყიდვების (რეალიზაციის) 30%-ით გადიდება გამოიწვევს საერთო მოგების 40%-ით, ხოლო წმინდა მოგების 50%-ით გადიდებას. გამოიანგარიშეთ საოპერაციო ლევერიჯის, ფინანსური ლევერიჯისა და საოპერაციო ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლები. როგორ შეიცვლება წმინდა მოგება, თუ საწარმოში გაყიდვების მოცულობა შემცირდება 10%-ით?

ამოხსნა: ცნობილია, რომ ფინანსური ლევერიჯი აჯამებს საწარმოს საბალანსო უწყისის მარჯვენა მხარის (პასივების) მდგომარეობას. ფინანსური ლევერიჯის (L_I) კოეფიციენტი უდრის მთლიანი აქტივები/სააქციონერო კაპიტალთან. საოპერაციო ლევერიჯის დონე (L_2) კი პასუხობს კითხვაზე, თუ მოგების გადიდების ან შემცირების ტემპები რეალიზაციიდან ამონაგების გადიდების ან შემცირების ტემპებს რამდენჯერ აჭარბებს.

1. საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტი $(L_2) = \Delta R_I / \Delta N$

   სადაც, R_I-არის საერთო (საოპერაციო) მოგების ცვლილების სიდიდე %-ში -არის ამონაგების (რეალიზაციის)ცვლილების სიდიდე %-ში.

   ჩვენს მაგალითში (L_2) საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტი =40%:30%=1,33.

2. საფინანსო ლევერიჯის კოეფიციენტი $(L_I) = \Delta R_{II} / \Delta R_I$

   სადაც R_{II}-არის წმინდა მოგების ცვლილების სიდიდე %-ში

ჩვენს მაგალითში (L) საფინანსო ლევერიჯის კოეფიციენტი შეადგენს 50%:40%=1,25.

3. საოპერაციო და საფინანსო ლევერიჯის კოეფიციენტი (L3)=(2)X(1)=1.33x1,25=1,66.

დასკვნა: საწარმოში გაყიდვების მოცულობის 10%-ით შემცირების პირობებში საწარმოო მოგება შემცირდება 16,6%-(10%x1,66)-ით. (იხ. ცხრილი 6.8)

საკონტროლო დავალება №2

ვარიანტი პირველი.

კორპორაციის (გაერთიანების) საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის რეიტინგული შეფასების განსაზღვრაზე ქვემოთ მოცემულ მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე მრავალგანზომილებიანი (ნაბიჯიანი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე. (იხ. ცხრილი 6.8)

ცხრილი 6.8

საწარმოთა ნომერაცია	საერთო რენტაბელობის %	გაყიდვების რენტაბელობა თეთრი /ლარი	ფონდუკუნება თეთრი/ლარი	ერთი მუშის გამომუშავება ათასი ლარი/კაცი	მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი ლარი/ლარი	რეიტინგული სიდიდე
1	8,8	23,5	110,0	340	1,2	?
2	12,5	28,0	90,7	230,8	1,1	?
3	10,2	35,8	78,0	450,6	1,8	?
4	9,5	28,0	56,0	180,0	2,5	?
5	7,6	32,6	58,0	176,0	2,1	?
6	10,5	43,0	105,0	160,0	1,4	?

დავალება:

1. შეადგინეთ სტანდარტიზირებული კოეფიციენტის მატრიცული ცხრილი (სტროფში მოყვანილი პირობა რიცხვი გაყავით სტროფში ყველაზე მაღალი მნიშვნელობის მატრიცაზე,

მაგალითად, საერთო რენტაბელობა №1 საწარმოში 8,8:12,5=0,7 და ა.შ.)

2. განსაზღვრეთ მატრიცული კოეფიციენტების კვადრატი, (წონითი კოეფიციენტი დაშვებულია K=1.) და დახასიათეთ საწარმოს შორის ყველაზე რეიტინგული ორგანიზაცია.

საკონტროლო დავალება №2

ვარიანტი მეორე.

საწარმოს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის განსაზღვრაზე A და B საწარმოებში ქვემოთ მოცემული მონაცემების საფუძველზე და შედარებითი ანალიზის საფუძველზე დასკვნების წარმოდგენაზე.

ცხრილი 6.9

№	მაჩვენებლის დასახელება	საზომი ერთეული	საწარმო	საწარმო
1	კაპიტალის საშუალო წლიური ღირებულება	ათასი ლარი	2000	2000
2	მ.შორის საკუთარი კაპიტალის ღირებულება	ათასი ლარი	800	2000
3	ნასესხები (მოზიდული) კაპიტალის ღირებულება	ათასი ლარი	1200	-
4	მოგება გადასახადებისა და სესხის პროცენტის გადახდაზე (ერთობლივი კაპიტალის ღირებულება 15%)	ათასი ლარი	300	300
5	სესხის პროცენტი 12% (1,200x0,12) აკლდება დასაბეგრ მოგებას	ათასი ლარი	144	-
6	მოგება, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას (300-144)	ათასი ლარი	156	300
7	მოგების გადასახადის ნორმა 20% და სიდიდე	ათასი ლარი	?	?
8	წმინდა მოგება (გადასახადის გარეშე)	ათასი ლარი	?	?
	საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი	%	?	?

დავალება:

შეადარეთ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის მაჩვენებლები და გააკეთეთ დასკვნები.

საკონტროლო დავალება №2

ვარიანტი მესამე.

ქვემოთ მოცემული „მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების" ფრაგმენტიდან გამომდინარე წარმოადგინეთ გაყიდვების რენტაბელობის ფაქტორული ანალიზი. (იხ. ცხრილი 6.10)

(ათასი ლარი) ცხრილი 6.10

№	მაჩვენებლების დასახელება	საბაზისო პერიოდი 2005	საანგარიშო პერიოდი 2006
	საწარმოს შემოსავლები და დანახარჯები საოპერაციო საქმიანობიდან	საოპერაციო	საქმიანობიდან
1	საქონლის, პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების გაყიდვებიდან ამონაგები (წმინდა) დღგ-ს, აქციზების გარეშე	410 000	436 000
2	გაყიდული საქონლის (მომსახურების) თვითღირებულება	372 000	3 368 000
3	საოპერაციო (საერთო) მოგება (2-1)	38 000	68 000
4	კომერციული დანახარჯები	2 900	3 400
5	მმართველობითი დანახარჯები	1 400	2 300
	გაყიდვებიდან მოგება (ზარალი) (3-4-5)	33 700	62 300

საკონტროლო დავალება №2

ვარიანტი მეოთხე.

საოპერაციო ლევერიჯი, რომელიც ფასების ცვლილებასთან არის დაკავშირებული, საწარმოში შეადგენს 21,5 ჯერადს; გაყიდვების ნატურალური მოცულობის გამოყენებასთან დაკავშირებული კი 15,3 ჯერადს. გაყიდვების მოცულობის შესაძლო გადიდებით ფასების 7% შემცირება არის მოსალოდნელი.

გაიანგარიშეთ: რამდენი პროცენტით შემცირდება მოგება ან გაიზრდება ზარალი რეალიზაციიდან, თუ ა) გაყიდვების ნატურალური მოცულობა 5%-ით გაიზრდება; ბ) გაყიდვების ნატურალური მოცულობა 8% გაიზრდება გ) გაყიდვების ნატურალური მოცულობა 4%-ით შემცირდება.

განაყოფი მესამე.
მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და ფინანსური დაგეგმვა – ბროგნოზირების თავისებურებანი

თავი VII. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები

7.1. მიკროეკონომიკური დაგეგმვის მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები

წინამდებარე პარაგრაფში მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გადმოგვეცა ეკონომიკური სუბიექტების მიკროეკონომიკური დაგეგმვის ორგანიზაციისა და პრაქტიკულ საქმიანობაში მისი გამოყენების ძირითადი მიმართულებები, რომელიც ჩვენს სამამულო ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებადაა გაშუქებული.

მიკროეკონომიკური საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის მიზანია შეიმუშაოს საწარმოს (დარგის) განვითარების კომპლექსური გეგმა და შეაიარაღოს საწარმოს (ფირმის) მენეჯერები სათანადო ინფორმაციებით ფირმაში არსებული სიტუაციებისა და მათი შესაძლო განვითარების შესახებ, რომელიც გამოიხატება ფირმის ბიზნეს-გეგმაში.

საწარმოს (ფირმის) ბიზნეს-გეგმის მოცულობას (ხარისხს), მის სტრუქტურას განსაზღვრავენ ფირმის სპეციფიკურობა და საქმიანობის სფერო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არ არსებობს ფირმის ბიზნეს-გეგმის ფორმირების "მზა რეცეპტები". ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური პრინციპები საერთოდ დამახასიათებელია ბიზნეს-დაგეგმვისათვის, რომელსაც, როგორც წესი, შემდეგი მიმართულებით აწარმოებენ: საბაზრო სიტუაციის ანალიზი და მარკეტინგული სტრატეგია; პროდუქტიული (სასაქონლო) სტრატეგია; საწარმოო სტრატეგია; მენეჯმენტის სტრატეგია და ფინანსური სტრატეგია.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ საქართველოში დაგეგმვა უნდა წარიმართოს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით და მიკროდონეზე

ტექნიკურ-ეკონომიკურმა კვლევებმა უნდა უზრუნველყოს საწარმოს (დარგის) ბიზნეს-გეგმის ფორმირება, რომელიც მოიცავს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა:

1. საწარმოს (დარგის) როლის დადგენას ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში და მისი ძირითადი ამოცანების (მიზნების) განსაზღვრა;

2. საწარმოს მოსალოდნელი ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა, ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) მითითებით.

3. საწარმოს პროდუქციაზე არსებულ საბაზრო მოთხოვნათა და მომავალში მათზე მოთხოვნის ზრდის შესაძლებლობათა (სტრატეგიული მიზნის განჭვრეტა) განსაზღვრა.

4. გაყიდვების მოცულობათა პროგნოზირებისა და გასაღების პროგრამების შედგენას მოსალოდნელი შემოსავლებისა და მარკეტინგზე დანახარჯების განსაზღვრით.

5. ფირმის საწარმოო პროგრამის (პროგნოზის) შემუშავება საწარმოო სიმძლავრეების ოპტიმალურად გამოყენების გათვალისწინებით.

6. წარმოების ფაქტორების (მატერიალური, შრომითი) მოთხოვნათა განსაზღვრა მიმდინარე და მომავალ პერიოდებში მიწოდების უზრუნველსაყოფად.

7. მომავალში ნაკარაუდევი ტექნოლოგიებისა და პროცესების გამოყენების განჭვრეტა, ინოვაციური დანახარჯების შეფასებით.

8. ფინანსური პროგრამის ფორმირება, რომელშიც აისახება მოთხოვნა მუდმივ და საბრუნავ კაპიტალზე, საერთო საინვესტიციო დანახარჯებზე. საწარმოს საქმიანობის ფინანსური (მოგების ნორმის) მაჩვენებლების შეფასება.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სუბიექტების დაგეგმვა-პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავება და მეწარმეობითი საქმიანობისათვის პრაგმატული მიდგომა, არსებითად დააჩქარებს საწარმოს მართვის ცივილიზებული კონცეფციების დანერგვისა და ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას.

წინამდებარე სახელმძღვანელოში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში განიხილება აგროსამრეწველო ფირმების

მაგალითზე რაციონალური ფუნქციონირებისათვის მართვის სამეურნეო პრაქტიკაში დაგეგმვისადმი ახლებური მიდგომის პრინციპები. კერძოდ, საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების ახალი მოდელებისა და მეთოდების შერჩევის, მათი დამკვიდრება-განვითარების პრაქტიკული ასპექტები.

როგორც ცნობილია, ქვეყნის აგროსამრეწველო დარგის საწარმოების სამომავლო სტრატეგიად აღიარებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული მდიდარი საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიან გამოყენებას და მკვეთრად გაზრდის ქვეყანაში სასურსათო პროდუქტების წარმოებას.

მიზანშეწონილადაა მიჩნეული საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ინტეგრირება მრეწველობასთან. ეს საწარმოები უნდა ჩამოყალიბდნენ აგროფირმების, აგროკომბინატების და სხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებად, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ინფრასტურქტურა: ხილ-ბოსტანსაცავები, სატრანსპორტო საშუალებები, გადამამუშავებელი საწარმოები, სარეალიზაციო ბაზები, სავაჭრო ქსელები, ფინანსური ობიექტები და სხვა.

აგრარულ ურთიერთობათა დამკვიდრების ამ რთულ ეტაპზე, როცა მიზანშეწონილადაა მიჩნეული სასოფლო-სამეურნეო საკარგული მიწების სახელმწიფო ფონდის შენარჩუნება, არენდა (იჯარა) უნდა გახდეს სოფლის მეურნეობაში კაპიტალის მოზიდვის მძლავრი ფაქტორი. გასათვალისწინებელია, რომ იჯარის პრაქტიკა საქართველოში ყოველთვის არსებობდა და იჯარა ძირძველ მეწარმეობრივ ფორმას წარმოადგენს.

ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერთა შრომებში ასახულია ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, სამამულო მეწარმეობრივი საქმიანობის, ბიზნესის განვითარების ცივილიზებული გზების ძიების ძირითადი მიმართულებანი. ნავარაუდევია, მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკის გამოცდილებათა გათვალისწინებით საკუთარი ოპტიმალური ეკონომიკის მოდელის შექმნა (და არა სხვა ქვეყ-

ნების საბაზრო მოდელის იმპორტი), შემუშავება და ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტების პრაქტიკულ საქმიანობაში მისი დანერგვა.[1]

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში საწარმოების (ფირმების) ორგანიზაციისა და ფუნქციონირების, მათი შემდგომი განვითარების ორ ძირითად პრინციპს გამოყოფენ, კერძოდ:

1) სტიქიურ (არარეგულირებადი ბაზრის პირობებში) განვითარებას,

2) იერარქიულ განვითარებას.

განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ბაზარი, არ არის სავსებით სტიქიური, ის რეგულირებადია. კერძოდ, ეკონომიკის რეგულირებას ორი მიდგომით ახორციელებენ: ა) ქვეყნის განვითარების ისტორიული გზების, ქვეყნის კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციისა და ეკონომიკის სტრუქტურის გათვალისწინებით წარმოებს ბაზრის რეგულირება სხვადასხვა ქვეყნებში და ბ) იღწვიან, რათა შენარჩუნებული იქნეს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის რეგულირებასა და მათ თავისუფალ მეწარმეობრივ საქმიანობას შორის თანაფარდობის პრინციპი.

საქართველოს ეკონომიკის მიღწეული დონის, მისი დარგობრივი სტრუქტურის, კერძოდ, აგროსამრეწველო წარმოების თანამედროვე დონის და მისი ეფექტიანობის, ასევე სხვა მაჩვენებლების კრიტიკული შეფასება მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია აგროსამრეწველო სფეროს შემდგომი განვითარების სწორი სტრატეგიული კურსის შერჩევა, ეკონომიკური სუბიექტების განვითარების მოდელებისა და პრინციპების ფორმირება.[2] ამ მიზნით აუცილებელია:

ა) აგროსამრეწველო მეწარმეობრივი საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება;

ბ) აგროსამრეწველო ფირმის სტრატეგიული განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება და სამეურ-

---

[1] იხ. უფრო ვრცლად ნ. ჭითანავა გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. I-VI ტ. თბ., 1996-2005.

[2] იხ. უფრო ვრცლად კ. ციმინტია, აგრარული სექტორის ეკონომიკა: სახელმძღვანელო. თბ., 2005 წ.

ნეო პრაქტიკაში სტრატეგიული დაგეგმვის მოდელის გამოყენებისათვის ხელის შეწყობა.

საწარმოების სტრატეგიული (პერსპექტიული) დაგეგმვის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი:

1. აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების განსაზღვრა.

2. ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობის შეფასება.

3. უახლოეს პერსპექტივაში საჭირო საწარმოო სიმძლავრეების (ტექნიკური პროგრესის) შეფასება.

4. შესაძლო ინვესტიციების მოცულობების წინასწარი შეფასება.

ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია საწარმოს რაციონალური ფუნქციონირების პროცესის მეთოდოლოგიის, კერძოდ, აგროსამრეწველო საწარმოს სტრატეგიული დაგეგმვის (საპროგნოზო პერიოდისათვის) მეთოდიკისა და საწარმოს ბიზნეს-გეგმის ფორმირების პრაქტიკული ასპექტის წარდგენა.

აგროსამრეწველო საწარმო საბაზრო ურიერთობების პირობებში დამოუკიდებლად ახორციელებს:

ა) სამეურნეო საქმიანობის ყველა მაჩვენებლის დაგეგმვას,

ბ) აწარმოებს მარკეტინგულ საქმიანობას,

გ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციას,

დ) შრომითი რესურსების ფორმირებისა და კადრებზე მოთხოვნის განსაზღვრას,

ე) შედის სხვადასხვა ფორმისა და სახის გაერთიანებაში და ა.შ.

აგროსამრეწველო საწარმოს სტრატეგიული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვანია დაგეგმვის ისეთი მეთოდიკისა და ფორმის შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფენ მენეჯერულ გადაწყვეტილებათა მაქსიმალურ ეფექტიანობას.[1] ასეთ პროგრესულ ფორმად გვევლინება ბიზნესის პრაქტიკაში კარგად აპრობირებული საწარმოს ბიზნეს-გეგმა.

---

[1] უფრო ვრცლად იხილეთ ჩვენი მონოგრაფია, ზ. ლიპარტია „სტრატეგიული დაგეგმვა: პრობლემები, მეთოდები, პერსპექტივები“ (რუსულ ენაზე). თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

ბიზნეს-გეგმა წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის განსაზღვრულ მოდელს და საბაზრო ეკონომიკაში მიღებული კატეგორიების (ბიზნესის, მარკეტინგის, კონკურენტული ბრძოლის, კომერციული რისკის, ფინანსური სტრატეგიისა და ა.შ.) განსაზღვრაში გამოიყენებს ბიზნესის სფეროში ცნობილ და სამეწარმეო პრაქტიკაში აპრობირებულ დაგეგმვის ტრადიციულ მეთოდებსა და ხერხებს.

ცნობილია, რომ ბიზნესის სფეროში წარმატებებს ძირითადად განსაზღვრავს სამი ელემენტის არსებობა, კერძოდ:

1. მოცემულ ეტაპზე მეწარმეობრივი საქმიანობის საერთო მდგომარეობის ცოდნა (ექსპერტული შეფასება).

2. ბიზნესის მიზნის მიღწევის სამომავლო დონის განჭვრეტა.

3. ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაზე გადასვლის დაგეგმვა.

საწარმოს ბიზნეს-გეგმა ზემოთ აღნიშნულ ელემენტებს ასახავს. იგი წარმოადგენს წარმოების მართვისა და კონტროლის ინსტრუმენტს. ბიზნეს-გეგმის მეშვეობით ხორციელდება არა უბრალოდ მოვლენებზე რეაგირება, არამედ იგი იძლევა მართვის შესაძლებლობას წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე.

ბიზნეს-გეგმის შედგენილობას, მის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავენ საწარმოს საქმიანობის სპეციფიკურობა, სიდიდე და გეგმის შედგენის მიზან-ამოცანები. ასე, მაგალითად, ბიზნეს-გეგმის სტრუქტურების ფორმირებას განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: გასაღების ბაზრის მოსალოდნელი სიდიდე, კონკურენტების არსებობა და ახლად დაფუძნებული საწარმოს ზრდის პერსპექტივა.

გასაღების პროგრამის შემუშავება ბიზნეს-გეგმის ფორმირების ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპია. ჩვენს სამამულო ეკონომიკაში, სადაც მოშლილია ადრე არსებული სამეურნეო კავშირები, როგორც გამოკვლევები უჩვენებენ, საწარმოების უმრავლესობა მიმართავს ისეთი საქონლის (მომსახურების) წარმოებას, რომლებიც მოითხოვენ მინიმალურ კოოპერირებას სხვა ქვეყნების სუბიექტებთან, როცა საქონლის წარმოება შესაძლებელია ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების მეშვეობით. ასეთი მეწარმეობრივი სტრატეგია არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უნივერსალური. აქედან გამომდინარე, საწარმოებმა უნდა გაახორციელონ ისეთი საინვესტი-

ციო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობას, როგორც სადღეისოდ, ასევე მომავალშიც ქვეყნის საშინაო და საგარეო ბაზრებზე.

რა განაპირობებს საქონლის კონკურენტუნარიანობას და რაზეა დამოკიდებული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა?

თანამედროვე კონკურენტუნარიანობის თეორიაში, რომელმაც განვითარება ჰპოვა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის მაიკლ პორტერის ნაშრომში[1], კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ორი ტიპის შესაძლებლობას გამოყოფენ:

ა) „უფრო დაბალი დანახარჯები“ და

ბ) „სპეციალიზაცია“.

„უფრო დაბალი დანახარჯები“ გულისხმობს ფირმის შესაძლებლობებს შექმნას, აწარმოოს და გაასაღოს საქონელი უფრო დაბალი დანახარჯებით, ვიდრე ამას ახერხებენ კონკურენტები.

„სპეციალიზაცია“ – კონკურენტული უპირატესობის მიღწევაში გულისხმობს კონკურენტების ჯგუფში „გამორჩევის ხელოვნებას“ ანუ მიაწოდოს მომხმარებელს საქონელი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით ან უნივერსალობით, რომელიც რეალურად აინტერესებს მომხმარებელს.

საწარმოს მთავარი მიზნის არჩევის შემდეგ ეტაპზე ბიზნესგეგმაში ასახვა უნდა ჰპოვოს მარკეტინგის სტრატეგიამ, ფირმის მარკეტინგის გეგმაში მნიშვნელოვანია კომერციული სტრატეგია და ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა.

ფირმის მიერ წარმოებულ საქონელზე საბაზრო ფასის ფორმირების პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: ფასწარმოქმნის ამოცანის დასმა, მოთხოვნის სიდიდის განსაზღვრა, დანახარჯების შეფასება, კონკურენტების საქონლის ფასების ანალიზის წარმოება, ფასების დაგეგმვის მეთოდის შერჩევა, საბოლოო ფასისა და მომავალში შესაძლო ცვლილებების შეტანის წესების დადგენა, სახელმწიფოს მხრიდან ფასების რეგულირების მოქნეტის გათვალისწინება.

ფასწარმოქმნის პოლიტიკაში გასათვალისწინებელია მარკეტინგის ერთ-ერთი ფუნდამენტური თეორიის – საქონლის სასი-

---

[1] Портер М. Международная конкуренция (перевод с англ.) Москва, 1993. გვ. 128

ცოცხლო ციკლის თეორია, რომელიც მოიცავს საქონლის ბაზარზე არსებობის, ახალგაზრდობის, სიმწიფის, დაბერებისა და სიკვდილის ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე ფასების ფორმირებისადმი დამოკიდებულება თავისებურ გადაწყვეტილებათა მიღებას საჭიროებს.

ფასების სტრატეგიის განსაზღვრაში გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის პროცესები. ფასების კორექტირებას ინფლაციის გათვალისწინებით ახდენენ მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდიკის გამოყენებით.

ფასების ფორმირების ბოლო ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს რენტაბელობის მაჩვენებელზე ქვეყნის არაბალანსირებადი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ ფასების ლიმიტირებისა, ან ფასების დონის რეგულირების სხვადასხვა ღონისძიებების გატარება.

როგორც ანალიზური კვლევები უჩვენებენ, სამამულო მეწარმეების მიერ ბიზნესის დაგეგმვის პროცესში, ერთ-ერთ რთულ კვანძად საწარმოო პროგრამის ფორმირება გვევლინება, რასაც განაპირობებენ გარდამავალ პერიოდში ნედლეულ-მასალების გაძნელებული მოპოვება, ენერგომატარებლების შეფერხებული მიწოდება, კრიზისული სიტუაციები და მათზე ფასების მკვეთრი ზრდა და სხვა.

საწარმოო პროგრამის ფორმირებისა და საწარმოო სტრატეგიის შემუშავებას განაპირობებენ: მარკეტინგული კვლევები, საბაზრო სიტუაციის ანალიზი, საბაზრო მოთხოვნის შესწავლა, მოთხოვნისა და მიწოდების პროგნოზირების მოდელირება, საწარმოო სიმძლავრეებისა და ინვესტიციური შესაძლებლობები.

ფირმის წლიური (პერსპექტიული) ოპტიმალური საწარმოო პროგრამის ფორმირების ორგანიზაციული ასპექტი მოიცავს:

1. საწარმოების, მისი ცალკეული ქვედანაყოფების (საამქროების, რგოლების) არსებული საწარმოო სიმძლავრეების ანალიზს.

2. მეცნიერულად დასაბუთებული საწარმოო სიმძლავრეების მაჩვენებლების (ნორმატივების) მოპოვებასა და დაგეგმარებაში გამოყენებას.

3. პროდუქციის (მომსახურების) მაქსიმალურად შესაძლო წარმოების (გამოშვების) დასაბუთება-გაანგარიშებას, მარკეტინგულ გამოკვლევათა (საბაზრო მოთხოვნის) გათვალისწინებით.

4. არსებული ტექნოლოგიური ნაკადების გამოყენების სრულყოფისა და ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებების შემუშავებას.

5. მანქანა-დანადგარების სამუშაო დროის, მათი ეფექტიანი დატვირთვის რეჟიმის განსაზღვრას და პრაქტიკაში დანერგვისადმი ხელშეწყობას.

6. გამოსაშვები პროდუქციის შრომატევადობის ერთეულის განსაზღვრას და სხვა.

ცნობილია, რომ ფირმის საწარმოო სიმძლავრის ნორმატიული რეგულირების პრაქტიკული ამოხსნა დაიყვანება მუშაობის ექსტენსიურობის მაჩვენებლებისა და დატვირთვის ინტენსიურობის მაჩვენებლების განსაზღვრამდე სამუშაო დროის ერთეულში.

სამრეწველო საწარმოთა განვითარების საწარმოო პროგრამების ოპტიმიზაციის იდეა პირველად, ჩვენს პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, წარმოაყენა აკადემიკოსმა ლ.ვ. კანტოროვიჩმა. მის მიერ შემოთავაზებულია რიგი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებისა საწარმოო რესურსების რაციონალური გამოყენებისა და საწარმოო რესურსების დეფიციტურობის შესაფასებლად.

შემდგომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მეცნიერების: ნ. გერასიმოვის, გ. კლიმოვის, რ. მანილევსკის და სხვების მიერ შემოთავაზებული იყო ოპტიმიზაციის სხვადასხვა კრიტერიუმები, კერძოდ, დანადგარების დატვირთვისა და საწარმოო პროგრამის ოპტიმიზაციის კრიტერიუმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მოგების მაქსიმალურ მიღებას, სასაქონლო პროდუქციის მაქსიმალურ გამოშვებას, რომელიც განაპირობებდა მომხმარებლის მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, თვითღირებულების მინიმუმს, ნედლეულისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის მინიმუმს; მანქანა-დანადგარების მოცდენის მინიმუმსა და სხვა.

დანადგარებზე მოთხოვნილების განსაზღვრა ეკონომიკის მართვის სხვადასხვა საფეხურზე პროფ. ე. კროლიეცკის[1] განმარტებით იწყება შემდეგი ნორმების განსაზღვრით, კერძოდ: საწარმოო დანადგარების რაოდენობა, დანადგარებზე მოთხოვნა საწარმოო პარკის განსაზღვრისათვის, დანადგარებზე მოთხოვნის განსაზღვრა

[1] Кроливецкий Э.И. Нормы и нормативы в планировании и хозяйственном регулировании. С. Петербург, 1992. გვ. 41-46.

მანქანათმშენებლობის პროდუქციის დაკომპლექტებისათვის და კაპიტალური მშენებლობისათვის, დანადგარ-მოწყობილობათა სტრუქტურისა და მოწყობილობათა ერთეულზე საშუალო ფასების გაანგარიშება (პროგნოზირება).

დანადგარის ნორმატიული რაოდენობა, რომელიც აუცილებელია პროდუქციის წარმოებისას საწარმოს წლიური მოგების მიზნობრივი ფუნქციონირების მაქსიმალიზაციის დროს, განისაზღვრება წრფივი პროგრამირების ამოცანის ამოხსნით მაშინ, როდესაც ყოველი (i) სახის დანადგარისთვის შექმნილია შემდეგი სახის წრფივი განტოლებები:

$$a_{m1}X_1 + a_{m2}X_2 + \ldots + a_{mn}X_n = A_{Hm} \qquad (7.1)$$

სადაც, a_{mn} – i (i = 1, 2, 3,...m) სახის დანადგარების სამუშაო დროთა ხარჯვის ნორმებია J-ის სახის პროდუქციის ერთეულის დამზადებისას.

X_n – პროდუქციის ოპტიმალური (საძიებელი) გამოშვების რაოდენობა (j=1, 2, 3,...n) საბაზრო მოთხოვნის მაქსიმალური დონის გათვალისწინებით, ცალობით.

A_{Hm} – დანადგარის სამუშაო დროის (ნორმატიული) ფონდი.

საწარმოოსათვის დანადგართა მოთხოვნილების ნორმები და ნორმატივები მუშავდება მომავალ პროგრამაში წლების მიხედვით, შემდეგი კორექტირებით, საწარმოს ფუნქციონირების დროს მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებით.

საწარმოში დანადგართა მოთხოვნილებების განსაზღვრისას ხდება მომსახურების ნორმატივების და დანადგარის კეთილმოწყობის ტაბელის დამუშავება, რომლებიც განისაზღვრება საანგარიშო, სტატისტიკური, საანგარიშო-სტატისტიკური (შერეული) მეთოდით, გეგმიურ-გამაფრთხილებელი რემონტისა და სამუშაო დღის ქრონომეტრაჟული დაკვირვების და ფოტოგრაფირების საფუძველზე.

ამრიგად, საწარმოში დანადგარებზე მოთხოვნილებების ოპტიმალური რაოდენობის დადგენა დაკავშირებულია ისეთი საწარმოო პროგრამის ფორმირებასთან, რომელიც (წარმოების ნომენკლატურა) თავისი მოგებით კონკურენციისა და თავისუფალი ფასწარმოების პირობებში, უზრუნველყოფს საწარმოს (ფირმის) მაქსიმალურ მოგებას.

საწარმოო პროგრამების ოპტიმიზაცია საწარმოო დანადგარების მაქსიმალური დატვირთვის საფუძველზე მიზანშეწონილია ჩატარდეს შემდეგი მეთოდიკის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს:

ა) მოცემული ტექნოლოგიის პირობებში დანადგარის (დანადგარების) მოქმედი (საწყისი) დატვირთვის განსაზღვრას;

ბ) ცალკეული ტექნოლოგიური ჯგუფის ჭრილში და ასევე, მთლიანად საწარმოში დანადგარების რეზერვის განსაზღვრას;

გ) არსებული სიმძლავრის სრული დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც გაინგარიშება სამანქანო დროის რეზერვების გამოყენებით შიდა და საწარმოთაშორისო კოოპერირების მეშვეობით შემუშავებული ღონისძიებათა საფუძველზე, საწარმოო პროგრამის ოპტიმალური ვარიანტების ხელახალ შემუშავებას და წარდგენას მენეჯერისადმი.

საწარმოო სიმძლავრეების ნორმატივების დადგენისას, კერძოდ იმ დანადგარების დატვირთვის გასაანგარიშებლად, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობას, უნდა ჰპოვოს ასახვა ქვემოთჩამოთვლილმა გარემოებებმა:

— საწარმოო სიმძლავრის რეზერვი დანადგარის გაუთვალისწინებელი დაზიანების შედეგების ლიკვიდაციისათვის;

— ტექნოლოგიური დრო, რომელიც კომპენსირებას გაუკეთებს დანადგარების მოცდენებს რემონტისა და მისი მოდერნიზაციის დროს;

— დრო, რომელიც აუცილებელია დანადგარის მოსაწესრიგებლად მრავალნომენკლატურული წარმოების პირობებში;

— უნდა იყოს გათვალისწინებული გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა და ნომენკლატურის შეცვლის პერსპექტივები, მისი დამზადების შრომატევადობის შეცვლა და ასევე სერიული წარმოების შესაძლებლობები.

ამრიგად, მანქანა დანადგარის დროის ერთეულში გამოყენების მაჩვენებლების შეფასება და ზემოთშემოთავაზებული მეთოდიკით საწარმოს უწყვეტი მუშაობის პირობების შექმნა, პრაქტიკულად განაპირობებს დანადგარის დატვირთვის ნორმატივების სისტემის თანმიმდევრობით ფორმირებას და საშუალებას გვაძლევს განვსაზ-

ღვრილთ დანადგარების საჭირო რაოდენობა. საწარმოს ოპტიმალური პროგრამის ფორმირების მიზნით.

მიკროეკონომიკური დაგეგმვის საბოლოო ეტაპზე ყალიბდება საფინანსო სტრატეგია. საწარმოს საფინანსო გეგმა მოიცავს რამდენიმე დოკუმენტს, რომელთა განსაზღვრა გულდასმით უნდა წარმოებდეს, მათ შორის გამოყოფენ:

1. რეალიზაციის (გაყიდვების) მოცულობის პროგნოზირებას.

2. ფულადი სახსრების შემოსავლებისა და გასავლების ბალანსს.

3. შემოსავლებისა და დანახარჯების ნაერთ ცხრილებს.

4. საწარმოს აქტივებისა და პასივების ნაერთ ბალანსს.

5. მოგების მაჩვენებელთა ფორმირებისა და გამოყენების პრიორიტეტებს.

საწარმოს დაფინანსების სტრატეგიაში გამოიხატება საინვესტიციო პროექტის ღირებულება, საინვესტიციო სახსრების მიღების წყარო და ფორმები. კაპიტალურ დაბანდებათა უკუგება და საინვესტიციო დივიდენდების მაჩვენებელი. ბუნებრივია, საწარმოს საფინანსო გეგმა აიგება მარკეტინგული კვლევების, მარკეტინგული გეგმის (პროგნოზირების) საფუძველზე და გამომდინარეობს საწარმოს საწარმოო გეგმის შესაძლებლობებიდან.

ქვემოთ განვიხილოთ აგროსამრეწველო საწარმოს ბიზნესგეგმის ძირითადი ნაწილის საწარმოო პროგრამის (გეგმის) შედგენის მეთოდიკა, რომელიც შემდეგი ელემენტების ფორმირებას მოითხოვს:

1. ტექნოლოგიის უზრუნველყოფა

- დანახარჯები ტექნოლოგიების შეძენაზე და მის შექმნაზე.

2. საწარმოო ბაზა

- საწარმოო ფართობების, დანადგარების არსებობა,
- საწარმოო ბაზის განვითარების წყაროები, ფორმები და ვადები,
- საწარმოო პროცესის (ტექნოლოგიების) დახასიათება.

3. სუბმოიჯარეები

- სუბმოიჯარეების არსებობა და მათი საიმედობა,
- სუბმოიჯარეებთან კონტაქტების განაწილება დროის მიხედვით,

• სუბმოიჯარეებზე ხარჯების დახასიათება.

4. ნედლეულითა და ენერგიით უზრუნველყოფა

• საკუთარი ნედლეულის ბაზის დახასიათება და მისი ზრდის პერსპექტივა,

• ნედლეულისა და ენერგიის მომწოდებლები, მიწოდების საიმედობა,

• მიწოდების გაფართოების შესაძლებლობანი,

• საკუთარი წარმოების ნედლეულის თვითღირებულების კალკულაცია,

• ნედლეულზე და ენერგიაზე დანახარჯების გაანგარიშება.

5. შრომითი რესურსები

• შესაბამისი კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა,

• სამუშაო ძალის მიზიდვის ფორმა,

• შრომით რესურსებზე დანახარჯები.

6. ხარისხზე კონტროლის დაწესება

• ხარისხზე კონტროლის ჩატარების ფორმები,

• ხარისხის უზრუნველყოფაზე დანახარჯები.

7. ხარჯების პროგნოზირება

• წარმოების საკარაუდო მოცულობა და დანახარჯების პროგნოზირება.

8. მუდმივი და ცვალებადი საწარმოო დანახარჯები

• მუდმივი საწარმოო დანახარჯები,

• ცვალებადი საწარმოო ხარჯები (წარმოების მოცულობის პროპორციული).

9. საწარმოს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

• რეალიზაციის (გაყიდვის) მოცულობის პროგნოზირება,

• საერთო მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების განსაზღვრა,

• გადასახადებისა და ანარიცხების გაანგარიშება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბიზნეს-გეგმის შედგენის მიზნიდან გამომდინარე (ინვესტიციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საფინანსო პარტნიორობა, პარტნიორების მოზიდვა და ა.შ.), მისი ცალკეული ქვედანაყოფები ზუსტად უნდა იქნეს დაკონკრეტებული.

ქვეყნის რეგიონებში ადგილობრივი რესურსების (მიწის, შრომითი და სხვა) ათვისებისა და რეგიონების ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიჩნეულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. უპირველეს ყოვლისა, ნედლეულისა და შრომითი რესურსების ათვისება-გამოყენების, შიდამომსახურების ბაზრის გაჯერების პრობლემების გადაწყვეტისა და ადგილობრივი სამეწარმო ინიციატივის ამოქმედების მიზნით, ნავარაუდევია, უცხოური ინვესტიციების (კრედიტების) მოზიდვა. ზემოთ აღნიშნული ბიზნეს-გეგმის ფორმირების მეთოდიკის საფუძველზე შემუშავებული ბიზნეს-გეგმის (საინვესტიციო ხარჯების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების) მოკლე ვარიანტის პრაქტიკული ასპექტის (იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 7.1.) ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ წინამდებარე პროექტის ვარიანტის განხორციელებით მიღწეულ იქნება აგროსამრეწველო საწარმოს „ავანგარდის" მაქსიმალურად ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც გეგმავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვით საკუთარი წარმოების (იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე) მარცვლეულისა (ხორბლის), და სხვა სახის ნედლეულის ბაზაზე გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას. საწარმოს სამეწარმეო ინიციატივა უნდა განვიხილოთ, როგორც ქვეყანაში აგროსამრეწველო მეწარმეობრივი საქმიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

აგროსამრეწველო საწარმოს „ავანგარდის" ბიზნეს-გეგმა (მოკლე ვარიანტი)

(მარცვლეულის (ხორბლის) გადამამუშავებელი საწარმოს – წისქვილის MMB-50 მოდელის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ინვესტიციის მოზიდვის მიზნით) (იხ. ცხ. 7.1.)

ცხრილი 7.1.

№	მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის სიდიდე
1	გაანგარიშებისათვის საწყისი მონაცემები:	
1.1.	წისქვილის (MMB-50 მოდელის) კომპლექსის ღირებულება (ლარი)	670000
1.2.	ლიზინგური დაფინანსების (კრედიტის) სარგებლის ნორმა (%)	24

1.3.	წისქვილის საპროექტო წარმადობა (მარცვლეულის გადამუშავება) კგ/სთ	2100
1.3.1.	პროექტში ნაჩვენები საკუთარი წარმოების მარცვლეულის ხორბლის გადასამუშავებელი წლიური რაოდენობა (ტონა)	4200
1.4.	ფქვილის (მზა პროდუქციის) გამოსავლიანობა, %	
1.4.1.	უმაღლესი ხარისხის	40-45
1.4.2.	პირველი ხარისხის	30-35
1.4.3.	მეორე ხარისხის	–
1.4.4.	ანაცერი-ქატო	25
1.5.	პროდუქციის საკარაუდო სარეალიზაციო ფასები დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით) (ლარი/კგ)	
1.5.1.	უმაღლესი ხარისხის	0.40
1.5.2.	პირველი ხარისხის	0.32
1.5.3.	მეორე ხარისხის	0.18
1.6.	სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (იჯარით), ჰა	2500
1.7.	საჭალდებულო ნათესების სადაზღვევო გადასახადები (ლარი/ჰა)	10
1.8.	მუშაკების რიცხოვნობა მარცვლეულის წარმოებაზე და შენახვაზე (კაცი)	33
1.9.	მარცვლეულის (ხორბლის) საშუალო წლიური მოსავალი (ტონა)	4200
1.10.	საკუთარი წარმოების ხორბლის თვითღირებულება (ლარი/კგ)	0.13
1.11.	დადგმული ელექტროსიმძლავრეები (105 კვტ/სთ) და 1 კვტ/სთ ღირებულება (ლარი)	0.045
2.	სამუშაო დროის ფონდი (თვეზე გაანგარიშებული)სთ (22 სამუშ. დღე X 8 სთ=352 სთ)	352
3.	ნედლეულის (ხორბლის) ღირებულება თვეში (ლარი) (4200 ტ. X 12 თვე) = 350 ტ. X 0.13 ლ=45500 ლარი	45500
4.	ელექტროენერგიის მოხმარება და დანახარჯები თვეში (ლარი) (105კვტ/სთX352სთ=36960კვტ/სთX0.045ლარი=1663 ლარი	1663

5.	ძირითადი ფონდების (მოწყობილება-დანადგარები) ცვეთა (669564 ლარი X 0.125 ამორტ. ნორმა = 82690 ლარი: :12 თვე = 6964 ლარი)	6964
6.	შრომის ანაზღაურების თვიური ფონდი (ქარხნის ექსპლუატაციაზე) (ლარი) (160 ლარი საშ. ხელფ. X 3 კაცი ცვლა = 960 ლარი)	960
7.	სოციალური ფონდების ანარიცხები (960 ლარი X 0.31 ანარიც. ნორმები = 298 ლარი)	298
8.	დანარჩენი პირდაპირი ხარჯები (ლარი)	1600
9.	ზედნადები ხარჯები (ლარი)	750
10.	დანახარჯების ჯამი (ფქვილის წარმოებაზე) თვის განმავლობაში (ლარი)	57735
11.	კომერციული ხარჯები თვეში, სულ (ლარი)	1985
	მათ შორის:	
	მუდმივი ხარჯები	1085
	ცვალებადი ხარჯები გაყიდვაზე (რეკლამა და ა.შ.)	900
12.	რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება თვეში (ლარი)(პ.10 + პ.11 = 57735 + 1985)	59720
12.1.	რეალიზებული წლიური პროდუქციის თვითღირებულება (ლარი) (59720 X 12 თვე = 716640 ლარი)	
13.	გაყიდვების საპროგნოზო მოცულობა თვეში (ლარი)	110960
13.1.	წლიური გაყიდვების (რეალიზაციის ღირებულება) თანხა (ლარი)(110960 ლარი X 12 თვე = 1331520 ლ)	1311520
14.	დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), 20%, ლარი	266304
15.	წლიური მოგება რეალიზაციიდან (ლარი) (1331520 – 266304 – 716640 = 348567 ლარი)	348576
16.	მოზიდული სახსრების (ინვესტიციების) დაფარვის დაფინანსება (ლარი)	345036
	მათ შორის:	
	კრედიტის წლიური თანხა (ლარი)	204710
	კრედიტის სარგებლის (24 %) წლიური გადასახდი (ლარი)	140326
17.	გადასახადები შემოსავალზე (პირველი წელიწადის	

	საწარმოს შემოსავლები დაბეგვრას არ ექვემდებარება)	
18.	საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება (პირველი წელიწადი) (ლარი)	3540
	(348576 – 345036 = 3540 ლარი)	

წინამდებარე ბიზნეს-გეგმის ანალიზი მოწმობს, რომ აგროსამრეწველო მეწარმეობრივი საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები საწარმოში „ავანგარდი“ ძირითადად მიღწეული იქნება ახალი ტექნოლოგიის დანერგვისა (უმაღლესი და პირველი ხარისხის ფქვილის გამოსაელიანობის მაღალი დონით – 70-80%-მდე) და ადგილობრივი შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების ხარჯზე.

მოზიდული სახსრების უკუგების (ამოსყიდვის ვადა – T) მაჩვენებლის განსაზღვრა წარმოებს შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$T_{\text{ამოს.ვადა}} = k / (A_{\text{ამორტ.}} + П_{\text{მოგება}}), \qquad (7.2)$$

სადაც k – კაპიტალურ დაბანდებათა ღირებულება, ათასი ლარი,

$A_{\text{ამორტ.}}$ – წლიური საამორტიზაციო ანარიცხები, ათასი ლარი,

$П_{\text{მოგება}}$ – წლიური მოგება, ათასი ლარი.

აგროსამრეწველო საწარმო „ავანგარდის“ შესაბამისი მაჩვენებლების გამოყენებით ინვესტიციების ამოსყიდვის ვადა შეადგენს (670,0/(83.7 +348.6)1.6 წ., ე.ი. ერთ წელიწადსა და ექვს თვეში ინვესტიციების უკუგება შესაძლებელი გახდება. საწარმოს საქმიანობის დაწყებიდან მისი ლიკვიდურობა მეტყველებს საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობაზე.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის აგროსამრეწველო სფეროს მიკროდონეზე სტრატეგიული მენეჯმენტის (დაგეგმვის) ორგანიზაციის სრულყოფილი სისტემის ფორმირება და ეკონომიკური სუბიექტების (მეწარმეებით) პრაქტიკულ საქმიანობაში ბიზნეს-გეგმის დამკვიდრება, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოების გაძღოლის შესაბამისი სამეურნეო მექნიზმის დანერგვაზეა დამოკიდებული არა მარტო მისი გამოცოცხლება და შემდგომი განვითარება, არამედ საქართველოს ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში, მისი წარმართვა შრომის საერთაშორისო დანაწილების და მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე. ამ საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაჭრაში ქმედით როლს ასრულებს წარმოების მენეჯერი. იგი ღრმად უნდა ფლობდეს მენეჯმენტის თეორიულ საფუძვლებს, ერკვეოდეს ბიზნესის მართვის რთულ ლაბირინთებში და შესწევდეს უნარი ამ უკანასკნელთა პრაქტიკული გამოყენების სტრატეგიულ მიმართულებათა შეფასებაში და იცოდეს მათი (მიმართულებათა) წარმართვის ტაქტიკური ხერხები.

წარმოების ფინანსური მართვის სპეციალისტის სამოქმედო პრინციპებია: პროდუქტის წარმოების ორგანიზაცია მოთხოვნილების, საბაზრო სიტუაციისა და საწარმოს შესაძლებლობების ზუსტ ცოდნაზე დაყრდნობით, ნედლეულსა და მასალებზე მოთხოვნილების სისტემატური შესწავლა და განსაზღვრულ ბაზარზე პროდუქციის ეფექტიანი რეალიზაცია, საწარმოს (ფირმის) და კორპორაციათა კომერციული საქმიანობის ხანგრძლივი მომგებიანობა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა ქცევების სტრატეგიული და ტაქტიკური მეთოდების შეხამება იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ბაზრის სიტუაციისადმი ადაპტაცია და ერთდროულად მოთხოვნილებების ჩამოყალიბებისა და მათ სტიმულირებაზე ზემოქმედება. ყველაფერი ეს სპეციალისტმა უნდა შეახამოს სამომავლო ამოცანების გადაწყვეტას, რისთვისაც იგი უნდა ფლობდეს დაგეგმვისა და პროგნოზირების თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობა და თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდებში — ეროვნული მეურნეობის პროპორციული, დინამიური განვითარება მოითხოვს წინასწარ პროგნოზირებასა და რეგულირებას. იგი ხორციელდება ნატურალურ - ნივთობრივი და ღირებულებით (ფულად) ფორმებში.

ფინანსური დაგეგმვის სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ იგი ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ფულად ფორმაში და საშუალებას იძლევა კონტროლი დაწესდეს ღირებულების ფულადი ფორმის მოძრაობაზე, რომელიც არ ემთხვევა ღირებულების განა-

წილებას ნატურაში. ფინანსური დაგეგმვის უშუალო ობიექტია შემოსავლებისა და დაგროვების შექმნა და განაწილება, ფულადი სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების ფორმირება და გამოყენება.[1]

ფინანსური დაგეგმვა ფინანსური მექანიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. როგორც წესი, ფინანსური გეგმები ეს არის საზოგადოებაში ფინანსური რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების გეგმები.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, როდესაც სასაქონლო ფულადი ურთიერთობანი საყოველთაო ხასიათს იძენს, ღირებულების კანონის მოქმედების შედეგად ნატურალურ-ნივთობრივი პროპორციების პროგნოზირება ორგანულად არის გადაჯაჭვული ღირებულებითი (ფულადი) პროპორციების დაგეგმვასთან. ყოველივე ამის გამო საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, გაერთიანებების საწარმოო პროგრამებთან და პროგნოზებთან ერთად მიმდინარეობს ფინანსური გეგმების ფორმირება.

ფინანსური დაგეგმვა მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის პროპორციული და დინამიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ოპტიმალური ტემპების უზრუნველსაყოფად.

როგორც პროგნოზები, ისე ფინანსური მაჩვენებლების გეგმური გაანგარიშებანი აგებულია და ეყრდნობა სხვადასხვა მეთოდებს, რომელთაგან საყურადღებოა ექსტრაპოლაციის მეთოდი, რომელიც განსაზღვრავს ფინანსურ მაჩვენებლებს მათ დინამიკაში.

ნორმატიული მეთოდი აგებულია დაწესებული ნორმებისა და ნორმატივების გამოყენებაზე.

მათემატიკური მოდელირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აგებულ იქნას ფინანსური მოდელი, რომლის იმიტირება რეალური ეკონომიკური და სოციალური მოვლენების პროცესში ხდება.

ფართოდ გამოიყენება საბალანსო მეთოდი.

თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის პროგრამულ მეთოდს უპირატესობა გაჩნია დაგეგმვასთან, მაშინ გეგმიანი ეკო-

---

[1] უფრო დეტალურად იხ.: კაკულია რ. – ფინანსების ზოგადი თეორია. – თბილისი, 1997. – გვ. 69-103.

ნომიკის დროს თვლიდნენ, რომ პროგრამა მხოლოდ გეგმას ავსებს, მაგრამ არ ცვლის მას. ანალოგიური მდგომარეობა იყო პროგნოზის დროსაც. პროგნოზი გამოდიოდა დაგეგმვის მეცნიერულ წინაპირობად, როდესაც პროგნოზები გათვალისწინებული იყო დაგეგმვაში, მაგრამ არ ცვლიდა მას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყანაში ფინანსური დაგეგმვის ხანგრძლივობის გადიდების მთავარი მიზანია სახელმწიფოს ფინანსური მეურნეობის ფუნქციონირების პერსპექტიული მიმართულების ჩამოყალიბება, რათა აუცილებელი შესაბამისობა იქნას მიღწეული სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობისა და სტრუქტურის საერთო სახელმწიფოებრივ და საერთო-ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე რეგიონულ დონეზე, დაგეგმვის ასეთი პრინციპების საფუძველზე უნდა მოვახდინოთ სახელმწიფო შემოსავლების დინამიკის შეფასება და აქედან გამომდინარე, ადვილად შევძლებთ სახელმწიფო ხარჯების დასაშვები დიაპაზონის გამოთვლას.

ნორმალურად ფუნქციონირებადი ქვეყნის პირობებში ხანგრძლივი პერიოდის ფინანსური გეგმა ხელისუფლებას გამოკვეთილად მიაწოდებს იმის ინფორმაციას, თუ რა შესაძლებლობებსა და საშუალებებს ფლობს სახელმწიფო თავის განკარგულებაში ქვეყნის ეკონომიკის მხარდასაჭერად, როგორც მოკლე პერიოდისათვის, ისე უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის. თანამედროვე დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებს გააჩნიათ სპეციალური მეთოდებიც კი, განსაზღვრონ ეკონომიკური ზრდის დასაშვები საზღვრების კონიუნქტურული პოლიტიკა. გრძელვადიანი ფინანსური გეგმის (პროგნოზის) ერთ-ერთ მთავარ და აუცილებელ საკითხად წამოწეული უნდა იქნას ამ გეგმის (პროგნოზის) მონაცემების საჯაროობა, მათი საკუთრების ყველა ფორმის საწარმოებისათვის ხელმისაწვდომობა, რათა მეწარმეებმა თავიანთი საქმიანობა უფრო ხანგრძლივი გრძელვადიანი პერიოდისათვის დაგეგმონ და საინვესტიციო ნაწილის მოსაგვარებლად შეარჩიონ დაფინანსების რეალური წყაროები გრძელვადიანი ფინანსური გეგმის მონაცემებიდან.

ფინანსური პოლიტიკის დანიშნულება — ფინანსური პოლიტიკა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს. საფინანსო პოლიტიკა თავის მხრივ შეიძ-

ლება წარმოდგენილ იქნას როგორც მიზანსწრაფვის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის ერთობლიობა.

ფინანსური პოლიტიკა არის სახელმწიფო ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციაზე, მათ გადანაწილებაზე და გამოყენებაზეა მიმართული საზოგადოებრივი საქმიანობის ნებისმიერ სფეროში: ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, ან საერთაშორისო ურთიერთობებში.

ფინანსების სოციალურ-ეკონომიკური არსი განისაზღვრება იმით, თუ სახელმწიფო ვის ხარჯზე ღებულობს ფინანსურ რესურსებს და მოსახლეობის რომელი სოციალური, ან პროფესიონალური ჯგუფების ინტერესებში გამოიყენება აღნიშნული სახსრები.

ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნები და ინსტრუმენტები ფინანსური მარკეტინგული სტრატეგიის რეალიზაციისას უნდა იქნეს განსაზღვრული.

ფინანსური მენეჯმენტი განისაზღვრება როგორც საფინანსო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც "მიზანი-რესურსები-ადამიანები"-ის სამკუთხედში ბალანსის მხარდაჭერისა და ფინანსური ბაზრის სეგმენტებზე მარკეტინგის გახორციელებისას ფინანსური მარკეტინგის პროცესში არჩეული განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენებით დასახული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფის მთლიან საქმიანობას მოიცავს.

ფართო მიდგომისას შეიძლება შემდეგი სახის ფინანსური ინსტრუმენტები იქნეს განხილული:

დოტაციები - არის ზემდგომი ბიუჯეტიდან ქვემდებარე ბიუჯეტების დაბალანსების მიზნით, ამ უკანასკნელების დეფიციტის შემთხვევაში, მყარ თანხებში გამოყოფილი სახსრები.

ტრანსფერტი - არის ფინანსური რესურსები, როლმებიც ცენტრალური ბიუჯეტიდან, სხვადასხვა რეგიონებში საბიუჯეტო უზრუნველყოფის ფაქტიური დონის გათანაბრების მიზნით, ადგილობრივ ბიუჯეტებს გამოეყოფათ.

სუბვენცია - არის იერარქიის უფრო დაბალ დონეზე კონკრეტული სოციალური ან (და) ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პროგრამის რეალიზაციის მიზნით უმაღლესი დონის ბიუჯეტიდან სახსრების მიზნობრივი გამოყოფა.

შეღავათები არის სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით კანონით, ან ადმინისტრაციულად დადგენილი გათავისუფლებები; ადრე მომხდარი ზარალის, ან სტრუქტურული გადაიარალების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპენსაციები; პიუჯეტში სავალდებულო გადახდებიდან (გადასახადებისა ან გადასახადით დასაბეგრი ბაზის საპროცენტო განაკვეთები) ნაწილობრივი, ან სავალდებულო დაზღვევისაგან მთლიანი გათავისუფლება; ცალკეული კატეგორიის იურიდიული პირებისათვის (მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი) და ფიზიკური პირებისათვის (მაგალითად, ომის ვეტერანები და სხვები) საქონელზე და მომსახურებაზე ფასების შემცირება.

შეღავათები, შეიძლება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით, ფინანსებსა და ფასს შორის კავშირის ინსტრუმენტის სახით იქნას ცნობილი.

სახელმწიფო კრედიტი - არის სახელმწიფოსა, მისი სახელისუფლებო და მმართველობითი ორგანოების სახით, ერთის მხრივ, და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, მეორეს მხრივ, ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობა, რომლის დროსაც სახელმწიფო მსესხებლის, კრედიტორისა და გარანტორის როლში გამოდის. სახელმწიფო კრედიტს აქტიურად იყენებენ საზოგადოების სტრუქტურის, ეკონომიკის დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურების ფორმირებისათვის. სახელმწიფო ვალის მომსახურებამ შეიძლება შემოქმედება მოახდინოს როგორც სოციალური მდგომარეობის განსაზღვრაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზეც.

გარანტია - არის ვალდებულება გადაიხადოს ხარჯები სამეურნეო საქმიანობის სუბიექტის მაგიერ, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებული იყო განეხორციელებინა აღნიშნული გადახდა (მაგრამ აღნიშნულის ფაქტიურად განხორციელება მას არ შეუძლია), სამეურნეო და კომერციული საქიმანობიდან შეთანხმებული განსაზღვრული შემთხვევების წარმოქმნისას ზარალის კომპენსირება. აღნიშნული შეიძლება განხილულ იქნას როგორც დამოუკიდებელი ფინანსური ინსტრუმენტის სახითაც, და როგორც სახელმწიფო კრედიტის შემადგენლის სახითაც.

გადასახადები არის ბიუჯეტში სავალდებულო გადახდების ერთობლიობა.

ფინანსური ლიზინგი - შეიძლება გარიგების სპეციალური სახეობის სახით იქნას განხილული, როდესაც ერთი იურიდიული პირის მიერ სხვა იურიდიული პირის წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლებების გადაცემის მიზნით, სანგრძლივობის მიხედვით განსაზღვრულ დროში ფინანსური რესურსების კონვერტაციის უზრუნველყოფა ხორციელდება. სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე, ლიზინგი განიხილება როგორც სამეწარმეო საქმიანობის ერთერთი ფორმა, რომელიც დროებით თავისუფალი ან მოზიდული ფულადი სახსრების ქონებაში ინვესტირებას ითვალისწინებს, და იგი მისი სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენების მიზნით, გარკვეული ვადით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემას გულისხმობს.

ლიზინგი წარმოების რესურსტევად მაღალტექნოლოგიურ დარგებში სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო ბაზების განვითარების დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდს წარმოადგენს. ლიზინგის განსაკუთრებულობის შესახებ შემდეგი გარემოება მოწმობს. სტაბილური ეკონომიკის ქვეყნებში ლიზინგის მეშვეობით ყველა ინვესტიციების დაახლოებით 30%-მდე მოცულობა ხორციელდება. ამასთან ახალი და მოდერნიზირებული პროდუქციის 80%-მდე წარმოება ლიზინგში აღებული მოწყობილობებით ხორციელდება.

ფრანჩაიზინგი - გარიგების სპეციალური სახეობაა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ბაზაზე ახალი ტექნოლოგიების („ნოუ-ჰაუ"), ერთი იურიდიული პირის (ფრანჩაიზური) სასაქონლო და სავაჭრო მარკებისა და სხვა იურიდიული პირების, ან იურიდიული პირის შექმნის გარეშე მეწარმეების (ფრანჩაიზერები) საქონლის წარმოების სახსრების კომპლექსების გამოყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, ასევე გაცვლის სანაცვლოდ ფრანჩაიზინგის შესახებ ხელშეკრულების ჩარჩოებში საქმიანობიდან შემოსავლის ნაწილზე, აგრეთვე, შესაძლოა, უკვე ფრანჩაიზინგის ობიექტის მიღების მომენტში ღირებულების ნაწილზე.

ფრანჩაიზინგი ბიზნესის ორგანიზაციის ისეთ ტიპს წარმოადგენს, რომელიც ახალი ტექნოლოგიების („ნოუ-ჰაუ") და (ან) სა-

ვაჭრო მარკის გამოყენებით შექმნილი მოწყობილობის ბაზაზე ერთნაირი საწარმოების შექმნას ითვალისწინებს. ფრანჩაიზინგის ზოგიერთი სახეობები საჭირო მოწყობილობების არენდაში გადაცემას ითვალისწინებს. ერთნაირი საწარმოების სხვა ქსელს ფრანჩიზს უწოდებენ.

ბრიტანეთის ფრანჩაიზინგულმა ასოციაციამ ფრანჩიზას ასეთი განსაზღვრა შეიმუშავა: "საკონტროლო ლიცენზია, რომელიც ერთი პირის (ფრანჩაიზერის) მიერ არის გაცემული მეორე პირზე (ფრანჩაიზე), რომელიც შემდგომში ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას.

მიგვაჩნია, რომ ფრანჩაიზინგი საკმაოდ პერსპექტიულ საქმიანობად უნდა გადაიქცეს საქართველოში.

ფინანსური თვალსაზრისით ფრანჩაიზინგი - არის კონვერტაციული ურთიერთობები, რომლებიც ერთი პირისათვის მის საქმეში მეორე პირის ინტელექტუალური საკუთრებით ან კომპლექსზე საკუთრებისა და მოწყობილობით უზრუნველყოფა ხორციელდება, სანაცვლოდ ფინანსური რესურსების ნაწილზე და (ან) საქმიანობიდან შემოსავლის ნაწილზე.

ფასიანი ქაღალდები - არის საბუთი, რომელიც ქონებრივ უფლებამოსილებას ადასტურებს და რომლის გადაცემა მხოლოდ მისი წარდგენის წესით არის შესაძლებელი.

ფინანსური დერივატები (წარმოებული ინსტრუმენტები) არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელსაც საფუძვლად უფრო მარტივი, ფინანსური ინსტრუმენტები უდევს. ფინანსურ წარმოებულ ინსტრუმენტებს ფართოდ იყენებენ როგორც ფასიანი ქაღალდების, ასევე რისკების მართვის ინსტრუმენტის სახით.

დაზღვევა, ფართო გაგებით, მის ფონდურ ფორმასაც მოიცავს. ფონდური დაზღვევა - სადაზღვევო ხელშეკრულებაში მონაწილეებს შორის გადამანაწილებელი ურთიერთობების ერთობლიობას წარმოადგენს, სადაც ფულადი შენატანების საფუძველზე სადაზღვევო ფონდი იქმნება და იგი შემდგომში ზარალის ასანაზღაურებლად გამოიყენება.

აკრედიტივი არის არაგადახდისაგან დაზღვევის ერთ-ერთი სახეობა. აკრედიტივი არის მყიდველის ბრძანება თავისი ბანკი-

სადმი გამყიდველის მიერ ხელშეკრულების თანახმად მოწოდებული საქონლის ღირებულების გადახდაზე.

ფაქტორინგი - არის გადაუხდელობისაგან დაზღვევისა და კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების ინსტრუმენტი. მსოფლიო პრაქტიკაში ფაქტორინგის ქვეშ რიგი საკომისიო-საშუამავლო მომსახურეობები გაიგება, რომელსაც "ფაქტორი" კლიენტისათვის ახორციელებს ამ უკანასკნელის მიერ საქონელზე და მომსახურებაზე ანგარიშსწორების განხორციელების პროცესში გამყიდველი და იგი, როგორც წესი, მისი საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან არის დაკავშირებული.

ტერმინი "ფაქტორინგი" ინგლისური სიტყვიდან გამომდინარეობს და იგი შუამავალს ნიშნავს. ფაქტორინგულ ოპერაციაში სამი მხარე მონაწილეობს:

1. ფაქტორინგი - შუამავალი, რომელიც შეიძლება კომერციული ბანკი ან ბანკის მიერ სპეციალურად შექმნილი ფორმა - ფაქტორინგული კომპანია იყოს;

2. საქონლის ან მომსახურების მიმწოდებელი;

3. საქონლის ან მომსახურების მყიდველი.

ჩეკი - არის მეანაბრის ბრძანება ბანკისადმი განსაზღვრული (ანგარიშზე ნაშთების ფარგლებში) თანხების გადახდის შესახებ, რაც კაპიტალის ბრუნვის დაჩქარებისა და ანგარიშსწორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

გირაო და იპოთეკა შეიძლება ფასიანი ქაღალდებისა და სახელმწიფო კრედიტის გამოყენებით, განხილული იქნას როგორც დამოუკიდებელი ფინანსური ინსტრუმენტი.

პრივატიზაცია არის სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების აქციონერულზე ან კერძო ფორმაზე გარდაქმნის ღონისძიება, რაც მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლების, ამონაგებიდან სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების მიზნით ხორციელდება.

ნაციონალიზაცია - არის სახელმწიფოს მიერ კერძო კომპანიის გამოსყიდვა და იგი სოციალური სტაბილურობის, მასშტაბური ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელების, ეკონომიკის სტრატეგიული და სოციალური მნიშვნელობის დარგებში ბიზნესის ტექნიკური გაუმჯობესების უზრუნველყოფის ინტერესებს შეესაბამება.

სვოპი - არის ორ ან მეტ მხარეებს შორის შეთანხმება რიგი ფულადი ნაკადების გაცვლის განხორციელების შესახებ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის მომავალში.

ფინანსური ინსტრუმენტების დონე და საბაზრო ციკლი – ინვესტორისათვის (ფინანსური ინსტრუმენტების მომხმარებლისათვის), ფინანსური კონსულტანტებისათვის, დილერებისათვის, ბროკერებისათვის ამ ინსტრუმენტით გათვალისწინებული ურთიერთობების მახასიათებლების გარდა კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების როგორც სპეციფიკური საქონლის სხვა მახასიათებლებიც არის მნიშვნელოვანი.

ფინანსური ინსტრუმენტები მიმოქცევაში მონაწილეობასთან დაკავშირებით შეიძლება დაყოფილი იქნეს: საბაზრო და არასაბაზროდ.

საბაზროებს შეიძლება მიეკუთვნოს: ყველა ბიუჯეტთაშორისო ფინანსური ინსტრუმენტები(დოტაციები, ტრანსფერტები, სუბვენციები), აგრეთვე ინსტრუმენტები, რომლებსაც განათავსებენ, მაგალითად, სახელმწიფო მყიდველებს შორის გაყიდვის უფლების გარეშე (მაგალითად, უბრალო ან უბრალო ჩასადები თამასუქი).

ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო ციკლი ბაზარზე, გაყიდვების ზრდაზე, სიმწიფეზე, ბაზრიდან გასვლაზე გაყვანის ეტაპებს მოიცავს.

ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე გაყვანა დიდ ძალისხმევასა და დანახარჯებს მოითხოვს, ამასთან გაყიდვის მოცულობები შეიძლება საკმაოდ ნელა იზრდებოდეს. როორც წესი, პირველ მყიდველებად მყიდველი-ნოვატორები ითვლებიან (მყიდველების 1,5%). ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტრუმენტი რეფერენტული ჯგუფების კონკრეტული წარმომადგენლების ფინანსურ პრაქტიკაში ჭნეს ჩანერგილი.

რეფერენტული ჯგუფი - არის იურიდიული ან ფიზიკური პირების ჯგუფი, რომელთა ქცევამ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში შეუძლიათ სხვა მყიდველების მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების მაშსტაბები განჭვრიტონ. მარკეტინგულ სტრატეგიაში რეფერენტული ჯგუფების სწორი გამოყენება-ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო წარმატებისადმი გასაღებს წარმოადგენს.

გაყიდვების ზრდის ეტაპი ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე გაყვანის შემდეგ შეიძლება იქნას შემჩნეული.

სიმწიფის ეტაპზე ფინანსური ინსტრუმენტის გაყიდვების მოცულობა სტაბილიზაციას აღწევს.

ბაზრიდან წასვლის (გასვლის) ეტაპი გაყიდვების მოცულობის შემცირებით ხასიათდება, რაც ბაზარზე უფრო თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტი-შემცველების გამოჩენის შედეგად გახდება საჭირო.

განვიხილოთ ამოცანა ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების შესახებ.

ამოცანა №1. საინვესტიციო პროექტის A და B ვარიანტებიდან უფრო ეფექტური პროექტის არჩევანის-გადაწყვეტილების მიღებაზე ამოცანის პირობა: მოცემულია A და B საინვესტიციო ვარიანტების შემდეგი პარამეტრები (იხ. ცხრილი 7.2)

ცხრილი 7.2

ვარიანტი	ინვესტიციები (I) ათას ლარი	დისკონტის განაკვეთის (r) გამოყენების (დისკონტის ნორმა %)	პროექტის ეკონომიკური სასარგებლოების პერიოდი, წლები	დანდგარების ნაწილები ღირებულება პროექტის დასრულების შემდეგ (ათას. ლარი)	წლების მიხედვით ფულადი ნაკადები (II) ათას ლარებში				
					1-ლი წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი
A	200	12	5	5	60	70	80	50	40
B	150	12	5	10	30	40	50	80	100

ამოხსნა: მოცემული ამოცანის ამოსახსნელად ფულადი ნაკადების დისკონტირების მოდელის ერთ-ერთი ნაირსახეობა ე.წ. წმინდა მიმდინარე ღირებულების NPV (Net Present Value) მოდელი იქნება გამოყენებული.

დისკონტირების კოეფიციენტის (NPV) გაანგარიშებისას ვაწარმოებთ შემდეგი ფორმულით:

$$d_t = \frac{1}{(1+r)t} \qquad (7.3)$$

და დისკონტის მამრავლთა ცხრილების (იხ. დანართი - 4.2) გამოყენებით. როგორც ცნობილია

$$NPV = \sum_{t=1}^{n} \frac{\Pi_t}{(1+r)^{t+m}} - \sum_{t=0}^{m} \frac{I_t}{(1+r)^t} \qquad (7.4)$$

სადაც t (t=0,1,2, ... m) კაპდაბანდების წლებია; ხოლო m ინვესტიცირების პერიოდის ხანგრძლივობაა.

l (l=1,2, ... n) წლები, როდესაც კაპდაბანდებები იძლევა უკუგებას; ხოლო n – ინვესტიციების უკუგების პერიოლის ხანგრძივობა. ჩვენს ამოცანაში m=0, n=5

ვარიანტი №1.

გაანგარიშება: A საინვესტიციო პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გაანგარიშების შედეგები მოცემულია ცხრილი 7.3

ვარიანტი №2.

გაანგარიშება: B პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) გაანგარიშების შედეგები მოცემულია ცხრილი 7.3

A - ვარიანტი პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება (NPV)

ცხრილი 7.3

წლები	ფულადი საშუალებების ნაკადი, ათასი ლარი	ინვესტიციები, ათასი ლარი	სხვაობა ფულად ნაკადსა და ინვესტიციებს შორის, ათასი ლარი	დისკონტირების კოეფიციენტი	სხვაობა დისკონტირებულ ფულად საშუალებებსა და დისკონტირებულ ინვესტიციებს შორის, ათასი ლარი
1	2	3	4	5	6
0	0	200	- 200	1, 000	- 200
1	60	0	60	0,893	53,58 (60x0.893)
2	70	0	70	0,797	55,79
3	80	0	80	0,712	56,96
4	50	0	50	0,636	31,8
5	40+5	0	45	0,567	25,52

NPV a (წმინდა მიმდინარე ღირებულება) = 23,65 ათასი ლარი (223,65-200,0)

B - ვარიანტის წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV)

წლები	წლიური საშუალებების ნაკადი, ათასი ლარი	ინვესტიციები, ათასი ლარი	სხვაობა წლიურ ნაკადსა და ინვესტიციას შორის, ათასი ლარი	დისკონტირების კოეფიციენტი	სხვაობა დისკონტირებულ წლიურ საშუალებებსა და დისკონტირებულ ინვესტიციებს შორის, ათასი ლარი
1	2	3	4	5	6
0	0	150	- 150	1, 000	- 150
1	30	0	30	0,893	26,79
2	40	0	40	0,797	31,88
3	50	0	50	0,712	35,60
4	80	0	80	0,636	50,88
5	100+10	0	110	0,567	62,37

NPV b (წმინდა მიმდინარე ღირებულება) = 57,42 ათასი ლარი (207,52-150,0)

დასკვნა: რამდენადაც **NPV b** =57,42 ათასი ლარი მეტია **NPV a** =23,65 ათასი ლარი; შესაბამისად, B ვარიანტი არის უფრო მიმზიდველი (სხვა თანაბარ პირობებში) A ვარიანტთან მიმართებაში. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა შემთხვევაში A ვარიანტის გამოყენება შესაძლებელია უფრო მიზანშეწონილი იყოს, მითუმეტეს, როცა **NPV a** >0.

თავი VIII. საწარმოს (კორპორაციის) საინვესტიციო საქმიანობის ეფექტურობის შეფასება

8.1. ინვესტიციების შესაძლო ვარიანტების შერჩევა და ეფექტურობის შეფასება

წინამდებარე პარაგრაფში ეფექტურობის შეფასების სავარჯიშო დავალებები ამოცანებისა და ტესტების სახით არის წარმოდგენილი, რომელიც საინვესტიციო პროექტების (ისეთების, როგორიცაა სუფთა დისკონტირებული შემოსავალი, შემოსავლიანობის ინდექსი, შემოსავლიანობის შიდა ნორმა და სხვა) კომერციული ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების ათვისებისა და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ მონაცემების საფუძველზე საინვესტიციო პროექტის უფრო ხელსაყრელი ვარიანტის, მათ შორის ალტერნატიული პროექტების შედარებისას, ე.წ. ფიშერის წერტილის მქონე პროექტების არჩევანის გახორციელების შესაძლებლობას იძლევა. რიგი დავალებანი ეძღვნება საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის დამუშავებისას კერძო პრობლემების გადაწყვეტისათვის დისკონტირების, კომპაუტინგისა და ანუიტირების გამოყენებას.

დავალება 8.1. საწარმოში ორი საინვესტიციო პროექტიდან ერთის განხორციელება არის შესაძლებელი, რომელთა ღირებულება შესაბამისად 10 მლნ. ლარი და 12 მლნ. ლარია. ცხრილში 8.1-ში 6 წლის განმავლობაში ამონაგებისა და მიმდინარე დანახარჯების დინამიკის შესახებ მონაცემებია წარმოდგენილი აღნიშნული საინვესტიციო პროექტების ამორტიზაციის გათვალისწინების გარეშე.

ცხრილი 8.1.

მაჩვენებლები	1		2		3		4		5		6
	პროექტი										
	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	II
ამონაგები, მლნ. ლარებში	6,8	6,5	7,3	7,0	8,0	7,7	7,8	8,1	6,5	6,9	6,4
მიმდინარე ხარჯები, მლნ. ლარებში	2,7	2,6	3,2	3,1	3,8	3,7	3,9	3,8	4.0	3,9	3,9

პირველი პროექტის რეალიზაციისას საწარმოს გადაწყვეტილი აქვს ისეთი მოწყობილობები შეიძინოს, რომელთა გამოყენების ვადა 5 წლის ტოლია, და ამორტიზაციის ანარიცხებს მათი სარგებლიანად გამოყენების ვადის წელთა რიცხვის ჯამის მეთოდით ახორციელებს. მეორე საინვესტიციო პროექტის გახორციელებისას ამორტიზაციის დარიცხვის ხაზოვანი მეთოდის გამოყენება არის გათვალისწინებული (მეორე პროექტის მოწყობილობების გამოყენების ვადა ასევე 5 წლის ტოლია). განსაზღვრეთ თუ რომელი პროექტი იქნება საწარმოსათვის უფრო სასარგებლო შემდეგი მაჩვენებლების გამოყენების საფუძველზე: უკუგების ვადა, სუფთა დისკონტირებული შემოსავალი, სუფთა მიმდინარე ღირებულების კოეფიციენტი, შემოსავლიანობის ინდექსი, მოგების შიდა ნორმა. მოგებაზე გადასახადი 35%-ის დონეზეა დადგენილი. დისკონტის ნორმა 10%-ის ტოლია.

საინვესტიციო პროექტის უკუგების ვადა (tუკ.) იმ წლით განისაზღვრება, რომლიდანაც კაპიტალურ დაბანდებას და ჯამური სუფთა მოგებისა და ამორტიზაციულ ანარიცხებს შორის სხვაობა ყველა გასულ წლებზე უარყოფითი ან ნულის ტოლი იქნება:

$$t_{უკ.} = t : \{(Ჯ - \sum_{i=0}^{t} (მ_{სუფ.} + S_i)) < 0\};$$

სადაც t - არის მიმდინარე წელი;

Ჯ - არის კაპიტალური დაბანდება;

$მ_{სუფ.}$ - არის სუფთა მოგება i წლის;

S_i - არის ამორტიზაციის ანარიცხები i წლის.

უკუგების ვადების გაანგარიშება ცხრილი 8.2.-შია წარმოდგენილი. პირველ პროექტს უკუგების ნაკლები ვადა გააჩნია (3 წელი) მეორე პროექტიდან შედარებით, რომლის უკუგება 4 წლის შემდეგ ხორციელდება. გაანგარიშების ბიჯი ერთი წლის ტოლია.

საინვესტიციო პროექტების სუფთა დისკონტირებული შემოსავლის კრიტერიუმების მიხედვით შედარებისათვის (სდშ, ან NPV) საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობისაგან ფულადი სახსრების დისკონტირებული ნაკადების ჯამი უნდა იქნეს განსაზღვრული:

$$სდშ = \sum_{i=0}^{t} ფნ_{(i)} დ_r^i ,$$

სადაც t - არის მიმდინარე წელი;

T - არის გაანგარიშების ჰორიზონტი;

$ფნ_{(i)}$ - არის ფულადი ნაკადი t წლის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან;

$დ_r^i = 1/(1+r)^i$ - არის დისკონტირების კოეფიციენტი;

r - არის დისკონტის ნორმა.

თუკი თითოეული საინვესტიციო პროექტის, წლების მიხედვით სიცოცხლის ხანგრძლივობის შესაბამისად, სუფთა მოგებისა და ამორტიზაციის ანარიცხების განაწილება გვეცოდინება, შეიძლება ფულადი ნაკადის განსაზღვრის არაპირდაპირი (ირიბი) მეთოდი იქნა გამოყენებული. აღნიშნული მეთოდი სუფთა მოგების იმ ოპერაციების თანხაზე კორექტირებაში მდგომარეობს, რომლებიც სუფთა მოგების ცვლილებებზე ზემოქმედებენ. მოცემულ ამოცანაში საკმარისია სუფთა მოგება ამორტიზაციის ანარიცხების თანხაზე იქნა კორექტირებული (გადიდებული), მონაცემები იხ. ცხრილი 8.2-ში. ფულადი სახსრების ნაკადი ასევე შეიძლება პირდაპირი მეთოდითაც განისაზღვროს, როგორც გადინების სხვაობა (მოცემულ შემთხვევაში იგი ამონაგებია) და მოდინების (კაპიტალური და მიმდინარე დანახარჯები ამორტიზაციის, მოგებაზე გადასახადის გარეშე) სხვაობით საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

სუფთა დისკონტირებული შემოსავლის (სდშ) გაანგარიშება ცხრილი 8.2.-შია წარმოდგენილი. სდშ-ის კრიტერიუმით უპირატესობა პირველ საინვესტიციო პროექტს ენიჭება, რომელსაც აღნიშნული მაჩვენებლის მეტი სიდიდე გააჩნია. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტები სხვადასხვა სიდიდის ინვესტიციებთან არის დაკავშირებული, ამიტომ შედარებითი ანალიზის განხორციელება სხვა კრიტერიუმებითაც უნდა გაგრძელდეს.

სუფთა დისკონტირებული შემოსავლის კოეფიციენტი (სდშკ ანუ NPVR) - არის შეფარდებითი მაჩვენებელი, რომელიც სხვადასხვა მასშტაბიანი პროექტების შედარების შესაძლებლობას იძლევა. იგი სდშ-სა და ფულადი სახსრების დისკონტირებული გადინების (საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობიდან) თანაფარდობის ტოლია:

მაჩვენ. / ასაკი	0		1		2		3		4		5		6		ჯამი	
	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	I	II	II			II
1. ახალგაზრდა ჯგუფი საშ. დონე			6,8	6,5	7,3	7,0	8,0	7,7	7,8	8,1	8,5	8,8	6,4	34,3	42,6	
2. მიმდინარე ხარჯები ინფორმაციის ათვისებაზე საშ. დონე			2,7	2,6	3,2	3,1	3,8	3,7	3,9	3,8	3,9	3,9	3,9			
3. ახარისხებელი ოპერაციები, საშ. დონე			3,3	2,4	2,07	2,4	2,0	2,4	1,33	2,8	0,67	2,4	–			
4. მიმდინარე ხარჯები სულ, საშ. დონე (1+2+3)			6,8	5,2	5,87	5,5	5,8	6,1	5,23	6,2	4,67	6,3	3,9	27,6	33,0	
5. ალტერნატიული ხარჯების საშ. დონე (ხერხ. 1 - ხერხ. 4) 0,35			0,27	0,53	0,5	0,53	0,77	0,56	0,9	0,6	0,64	0,21	0,05			
6. საერთო ხარჯები, საშ. დონე (ხერხ.4+ხერხ.5)			6,5	0,57	0,91	0,97	1,53	1,34	1,7	1,23	1,16	0,31	1,82			
7. შესწავლის ეფექტის ალბათობა $e^{(0-1)t}$	1,0	1,2	6,17	2,57	1,25	0,82	1,52		1,43							
8. ფულადი ხარისხების საერთო საშ. დონე (ხერხ.3+ხერხ.6)	10	-12	3,8	3,27	3,6	3,37	3,53	3,74	3,6	3,63	3,6	2,78	1,62			
9. დისკრიმინაციის კოეფიციენტი $r=1-6*\frac{\sum d^2}{n(n^2-1)}$			1,000		0,929		0,857		0,893		0,821		0,964			
10. ფულადი ხარისხების დისკრიმინაციული ხარისხი $r=1-6*\frac{\sum d^2}{n(n^2-1)}$ (ხერხ. ხერხ.9)	-10	-12	3,48	3,08	2,97	2,85	2,58	2,55	2,05	2,48	1,16	1,73	0,41	2,23	1,59	
11. ფულადი ხარისხების ლოკალიზებული ვარიაციები, მდნარეობა (ხერხ.2+ხერხ.5), ხერხ.9	9	12	3,7	2,85	3,08	3,0	3,43	3,2	3,25	3,09	2,58	2,55	2,7	2,33	2,39	
12. დისკრიმინაციის კოეფიციენტი, რომლისთვისაც r=20% და r=24% E და I ალტერნატივებისათვის შეფასებულია			0,54	0,53	0,57	0,73	0,52	0,5	0,62	0,63	0,54	0,5	0,39			
13. ფულადი ხარისხების დისკრიმინაციული კოეფიციენტი, მდნარეობა (ხერხ. ხერხ.12)	-10	-12	3,9	2,81	2,33	2,31	1,89	1,99	1,27	1,75	0,93	1,12	0,51	0,85	1,45	

$$სდშკ = \frac{სდშ}{\sum ბ_{(t)} დ^{t}_{n}},$$

სადაც $ბ_{(t)}$ - არის გადინება t წლის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

ფულადი სახსრების დისკონტირებული გადინების გაანგარიშება 8.2 ცხრილშია წარმოდგენილი.

$$სდშკ_{I} = 2,24:25,35 = 0,09,$$

$$სდშკ_{II} = 1,54:29,35 = 0,05$$

სდშკ-ს კრიტერიუმები პირველი პროექტის უპირატესობის შესახებ დასკვნას გვიდასტურებს, რამდენადაც $სდშკ_{I} > სდშკ_{II}$

შემოსავლიანობის ინდექსი (ში, ანუ PI) განისაზღვრება სუფთა დისკონტირებული შემოსავლით (კაპიტალური დაბანდებების გათვალისწინების გარეშე) შეფასებული ჯამურ კაპიტალურ დაბანდებასთან, რომელიც საწყის პერიოდთან არის დაყვანილი.

$$ში = 1/კ \sum_{t=0}^{T} (შ_{(t)} - ბ_{(t)}) დ^{t}_{r},$$

სადაც $შ_{(t)}$ - არის შემოდინება t წლის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან;

$ბ_{(t)}$ - არის გადინება t წლის კაპიტალური დაბანდების გათვალისწინების გარეშე;

კ- ჯამური კაპიტალური დაბანდებები, დაყვანილია საწყის პერიოდზე:

$$კ = \sum_{t=0}^{T} კ_{t} დ^{t}_{r},$$

სადაც $კ_{t}$ - არის კაპიტალური დაბანდებები t წლის.

შემოსავლიანობის ინდექსი, როგორც სდშკ-აც სხვადასხვა ინვესტიციების მახასიათებლებიანი პროექტების შედარების შესაძლებლობას იძლევა:

$$ში_{I} = 1/10 \times 12,24 = 1,2;$$


$$ში_{II} = 1/12 \times 13,54 = 1,1;$$

შემოსავლიანობის შიდა ნორმა დაფინანსების მოზიდული წყაროების მიხედვით დასაშვები პროცენტული განაკვეთის შეფასების

შესაძლებლობას იძლევა (ან ფინანსირებისათვის საკუთარი სახსრების გამოყენებისას დივიდენდური გადასახადების მაქსიმალურ განაკვეთს), რომლის დროს პროექტი უზარალო იქნება.

$$\text{შშნ} = r_{\text{შიდა}} : \{\text{სდშ}=0\},$$

სადაც rშიდა - არის პროცენტული განაკვეთის მნიშვნელობა, რომლის დროს სდშ = 0;



ნახ. 8.1. შემოსავლების შიდა ნორმის (შშნ) სქემა

შშნ-ის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის დასახული სიზუსტით მანქანურ პროცედურებს იყენებენ, მაგალითად მონაკვეთის ნახევარზე გაყოფის მეთოდი.

შშნ-ის მიახლოებითი მნიშვნელობა შეიძლება 8.1-თანაფარდობიდან მივიღოთ, რომელიც ABC და $A_1B_1C_1$ სამკუთხედების მსგავსებიდან გამომდინარეობს (იხ. ნახ. 8.1):

$$ШШ6 = r_1 + (r_2 - r_1)\frac{СДШ_{(r1)}}{СДШ_{(r1)} - СДШ_{(r2)}};$$

$$B = (r_1, СДШ_{(r1)}), \text{ სადაც } СДШ_{(r1)} > 0;$$

$$A = (r_1, 0);$$

$$C = (r_{\text{ვიდა}}, 0);$$

$$A_1 = (r_1, СДШ_{(r2)}), \text{ სადაც } СДШ_{(r2)} < 0;$$

$$C_1 = (r_2, СДШ_{(r2)});$$

$$ШШ6_I = 10 + (24 - 10)\frac{2,24}{2,24+0,87} = 20\%;$$

$$ШШ6_{II} = 10 + (20 - 10)\frac{1,54}{1,54+1,45} = 15\%;$$

პირველი პროექტის შემოსავლიანობის შიდა ნორმის უფრო მაღალი მნიშვნელობა (20%) მეორესთან შედარებით (15%) ასევე არჩევანის სისწორეს ადასტურებს, რომელიც ჩუკ, სდშ, სდშკ, ში მაჩვენებლების საფუძველზეა გაკეთებული (იხ. ცხ. 8.3).

ცხრილი 8.3

მაჩვენებელი	პროექტი I	პროექტი II
სდშ, მლნ. ლარი	2,24	1,54
სდშკ	0,09	0,05
ში	1,2	1,1
$r_{\text{ჩკ}}$, წელი	3,0	4,0
სდშ, %	20,0	15,0

დავალება 8.2. გაუკეთეთ რანჟირება ალტერნატიულ საინვესტიციო A და B პროექტებს:

ა) სუფთა მიმდინარე ღირებულების მაჩვენებლის მიხედვით;

ბ) შიდა შემოსავლიანობის ნორმის მაჩვენებლის მიხედვით.

r(%)	სდშ, მლნ. ლარი	
	პროექტი A	პროექტი B
7	23,3	21,0
10	8,3	0
13	-6,7	-21
16	-21,7	-42

ამოხსნა:


ა) დისკონტის 7-დან 16%-მდე განაკვეთისას სდშ-ს კრიტერიუმების მიხედვით საინვესტიციო პროექტი A უფრო მისაღებია, მაგრამ სდშ-ს გრაფიკული გამოსახვა r-ის მნიშვნელობიდან გამომდინარე (ნახ. 8.2) გვიჩვენებს, რომ არსებობს ფიშერის წერტილი ($r_ф$=6%). ამიტომ როდესაც $r<r_ф$, მაშინ უპირატესობა პუნქტ ხ-ს ენიჭება, ხოლო როდესაც $r>r_ф$-ზე, მაშინ უპირატესობას პროექტი A- ინარჩუნებს.

ბ) პროექტი Ბ-ს შემოსავლიანობის შიდა ნორმა ცხრილი 8.4-ის მონაცემებიდან გავიანგარიშოთ:

$$IRR_Б = 10\%;$$

IRR_A-ს მნიშვნელობის განსაზღვრისათვის გამოვიყენოთ (8.1) ფორმულა):

$$IRR_A = 10 + 8{,}3 \frac{13 - 10}{8{,}3 + 6{,}6} = 12\%.$$



ნახ. 8.2. სუფთა დისკონტირებული შემოსავალის (სდშ) სქემა

აქედან გამომდინარე, IRR-ის კრიტერიუმის მიხედვით უფრო მისაღებია პროექტი A, რომელსაც მაჩვენებლის უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

8.2. საჭარბიშოები და ამოცანები ამოხსნითურთ

ინვესტიციის შესაძლო ვარიანტების შერჩევა და ეფექტურობის შეფასების შესახებ[1]

ა მ ო ც ა ნ ა 8.1

საწარმოზე კრედიტი 300 ათ. ლარის ოდენობით, 6 თვის ვადით, უბრალო საპროცენტო განაკვეთის ქვეშ, თვიური 10%-ით გაიცა. განვსაზღვროთ თითოეული თვის ბოლოსათვის დავალიანების ნაზარდის მნიშვნელობა.

ამოხსნა:

პირველი თვის ბოლოსათვის:	300(1+0,1)=330 ათ.ლარი
მეორე თვის ბოლოსათვის:	300(1+0,2)=360 ათ.ლარი
მესამე თვის ბოლოსათვის:	300(1+0,3)=390 ათ.ლარი
მეოთხე თვის ბოლოსათვის:	300(1+0,4)=420 ათ.ლარი
მეხუთე თვის ბოლოსათვის:	300(1+0.5)=450 ათ.ლარი
მეექვსე თვის ბოლოსათვის:	300(1+0,6)=480 ათ.ლარი

ა მ ო ც ა ნ ა 8.2

ხელშეკრულება უბრალო პროცენტების დარიცხვის შემდეგ სქემას ითვალისწინებს: პირველი წლისათვის– 60%, ხოლო თითოელული შემდეგი ნახევარი წლის განმავლობაში განაკვეთი 10%–ით იზრდება. განვსაზღროთ ნაზარდის კოეფიციენტი 2,5 წლის განმავლობაში.

ამოხსნა:

$$1 + 1*0,60 + 0,5*0,70 + 0,5*0,80 + 0,5*0,90 = 2,80.$$

---

[1] გამოყენებულია – გ. ცაავა, საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი, ტომი II (ანალიზის პრაქტიკუმი), თბ., 2002, გვ. 807-812.

ა მ ო ც ა ნ ა 8.3

საწარმომ კრედიტი 6 თვით წლიური 70%-ით მიიღო. დისკონტის გათვალისწინებით მან 300 ათ.ლარი უნდა დააბრუნოს. რა სიდიდის კრედიტი მიულია საწარმოს? რისი ტოლია დისკონტის თანხა?

ამოხსნა:

თანხა, რომელიც საწარმომ მიიღო, ტოლია:
300/(1+(0,70*180)/360)=222,2 ათ.ლარი.

დისკონტის თანხა ტოლი იქნება:

300–222,2=77,8 ათ.ლარის.

ა მ ო ც ა ნ ა 8.4

რა თანხა უნდა შეიტანოს ინვესტორმა უბრალო პროცენტების ქვეშ წლიური 60% განაკვეთისას, რომ ნახევარი წლის შემდეგ 500 ათ. ლარი დააგროვოს?

ამოხსნა:

$$\frac{500}{1+0,6*0,5}=384,6 \text{ ათ. ლარი.}$$

ა მ ო ც ა ნ ა 8.5

400ათ.ლარი ინვესტირებულია წლის განმავლობაში წლიური 50%-ის განაკვეთით. გავიანგარიშოთ ნაზარდი თანხა შემდეგი დარიცხვისას: ა)ნახევარი წლით; ბ) ყოველკვარტალურად.

ამოხსნა

ა) $400*(1+0,5/2)^2=625$ ათ ლარი.

ბ) $400*(1+0,5/4)^4=640$ ათ.ლარი.

ა მ ო ც ა ნ ა 8.6

სამი წლის შემდეგ დავალიანების თანხა 1000 ათ ლარის ტოლი იქნება. გავიანგარიშოთ დავალიანების დაყვანილი მნიშვნელობა განაკვეთების დარიცხვის შემდეგი პირობებისათვის:

ა) 70% თითოეული წლის ბოლოს;

ბ) 10% თითოეული კვარტლის ბოლოს;

ამოხსნა:

ა) $\frac{1000}{(1+0,7)^3} = 203,5$ ათ.ლარი.

ბ) $\frac{1000}{(1+0,1)^{12}} = 318,7$ ათ.ლარი.

ა მ ო ც ა ნ ა 8.7

დაბანდებულია 100 ათ. ლარი 2 წლით.მუდმივი წლიური განაკვეთი 30%–ის ტოლია. გავიანგარიშოთ ნაზარდი თანხა პროცენტების შემდეგი სახით დარიცხვისას:

ა) ერთხელ წლის განმავლობაში;

ბ) ორჯერ წლის განმავლობასი.

ამოხსნა

ა) $(1+0,3)^2 * 100=169$ ათ.ლარს;

ბ) $(1+0.3)^4 * 100=174,9$ ათ.ლარს.

ა მ ო ც ა ნ ა 8.8

საწარმო კაპიტალური დაბანდების 3 ალტერნატიულ ვარიანტს განიხილავს. მათი მონაცემები ქვემოთმოყვანილ ცხრილშია ასახული:

მაჩვენებლები	პროექტები		
	I	II	III
1 .დაყვანილი დანახარჯები,ათ.ლარებში	15000	10000	5000
2 დაყვანილი შემოსავლები,ათ.ლარებში	20000	15000	5000
3. შიდა რენტაბელობის ნორმა,%	30,0	15,0	12,0

საკუთარი სახსრების მოცულობა, რომელთა მიმართვა საწარმოს კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად შეუძლია, 8000 ათ.ლარს შეადგენს. თუ საწარმო დიდ დანახარჯებიან პროექტს არჩევს, მაშინ მას კრედიტის გამოყენება მოუწევს. კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი წლიური 60%-ის ტოლია. კრედიტის აღება ნახევარი წლით არის გათვალისწინებული პროცენტების კვარტალური დარიცხვით.

ავირჩიოთ მოცემული საწარმოსათვის ფინანსური თვალსაზრისით უფრო მისაღები პროექტი.

ა მ ო ხ ს ნ ა

საწარმომ მთლიანად საკუთარი ფინანსური რესურსების ხარჯზე მხოლოდ III პროექტი შეუძლია განახორციელოს. იგი მცირე დანახარჯებით არის მიმზიდველი, მაგრამ მას ნულოვანი რენტაბელობა და დაბალი შიდა რენტაბელობის ნორმა გააჩნია. თუ საწარმო I და II პროექტებს შორის გააკეთებს არჩევანს, რასაკვირველია იგი იძულებული იქნება საბანკო კრედიტი აიღოს. თუ კი ამ ორივე პროექტის ყველა დანახარჯების დაფინანსების წყარო კრედიტი იქნება, ისინი საწარმოსათვის მიუღებელი აღმოჩნდება, ვინაიდან ორივე შემთხვევაში საბანკო პროცენტის განაკვეთი რენტაბელობის შიდა ნორმაზე მაღალია.განაკვეთი ტოლია:

$$(1+0,6/4)^2 -1=0,3225, \text{ ანუ } 32,25\%$$

მაგრამ, იმის გამო, რომ I და II პროექტების რენტაბელობა საკმაოდ მაღალია, ხოლო კრედიტი კი მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენება, შედარებითი გაანგარიშებების გაკეთება იქნება საჭირო.

დაყვანილი დანახარჯები II პროექტზე:

8000+2000*1,3225=10645 ათ. ლარი

დაყვანილი დანახარჯები I პროექტზე:

8000+7000*1,3225=17258 ათ.ლარი

სუფთა შემოსავალი II პროექტზე ტოლი იქნება:

15000-10645=4355 ათ. ლარის,

ხოლო რენტაბელობა:

$$\frac{4355}{10645} * 100 = 40,9\%$$

სუფთა შემოსავალი I პროექტზე ტოლი იქნება:

20000-17258=2742 ათ.ლარის,

ხოლო რენტაბელობა:

$$\frac{2742}{17258} * 100 = 15,9\%$$

ამრიგად, ფინანსური თვალსაზრისით II პროექტი საწარმოსათვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა.

ა მ ო ც ა ნ ა 8.9

საწარმოს შესაძლებლობა აქვს დანადგარები ლიზინგით, ან საბანკო კრედიტის ხარჯზე შეიძინოს. შესაძენი დანადგარების ღირებულება –25000 ათ.ლარს შეადგენს. ბანკი მზადაა კრედიტი 5 წლით, წლიური 50%–ით გასცეს.

ლიზინგის ხელშეკრულების პირობებია: ვადა–5 წელი. პროცენტი, რომელიც ლიზინგგამცემ გადასახადში აქვს ჩართული, საკრედიტო რესურსებს საკომისიოებსა და დაზღვევას მოიცავს და იგი ტოლია: ა)6% თვეში; ბ)3% თვეში.

ვალის დაფარვა ყოველთვიურად ხორციელდება.

განსაზღვროთ, თუ საწარმოსათვის რა უფრო მომგებიანია-კრედიტი თუ ლიზინგი?

ა მ ო ხ ს ნ ა:

საბანკო კრედიტის ღირებულების გაანგარიშება საწარმოს მიერ აღებული სესხის ყოველწლიურად 1/5-ის დაფარვის შემთხვევისათვის, კრედიტის დაფარვა ტოლი თანხებით იწარმოება. საერთო ყოველწლიური გადასახადი – არის კრედიტისა და პროცენტების დასაფარავი ჯამური სიდიდე, ამიტომ იგი ანნუიტეტს არ წარმოადგენს.

გაანგარიშება შემდეგ ცხრილშია მოყვანილი (ათ. ლარებში)

წლები	დავალიანება წლის დასაწყისისათვის	პროცენტული გადასახადი 50%	კრედიტის დაფარვა	ჯამური გადასახადი	დავალიანება წლის ბოლოსათვის
1	25000	12500	5000	17500	20000
2	20000	10000	5000	15000	15000
3	15000	7500	5000	12500	10000
4	10000	5000	5000	10000	5000
5	5000	2500	5000	7500	–
ჯამი		37500	25000	62500	

2. საბანკო კრედიტის ღირებულების გაანგარიშება პროცენტებისა და კრედიტის ანუიტეტის მეთოდით დაფარვისას:

$$\frac{1{,}5^5 * 0{,}5}{1{,}5^5 - 1} = 0{,}5783; \qquad 25000*0{,}5783=14395{,}75 \text{ ათ.ლარი.}$$

ყოველწლიურად ტოლი გადახდების აღნიშნული სიდიდე კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის თანხას წარმოადგენს. წლებისა და მთლიანობაში გადახდები შემდეგი სახით ყალიბდება (ათ. ლარებში):

წლები	დავალიანება წლის დასაწყისისათვის	პროცენტული გადასახადი 50%	კრედიტის დაფარვა	ჯამური გადასახადი	დავალიანება წლის ბოლოსათვის
1	25000	12500	2435,75	14395,75	22564,25
2	22564	11282,125	3113,625	14395,75	19450,625
3	19450,625	9725,3	4670,45	14395,75	14780,175
4	14780,175	7390,1	7005,65	1439,75	7774,525
5	7774,525	3887,3	10508,45	1439,75	–
ჯამი		44784,825	27733,925	71978,75	

3. ლიზინგური მომსახურეობის ღირებულების გაანგარიშება:

ა) $\frac{1,06^{60} * 0,06}{1,06^{60} - 1} * 25000 = 1750$ ათ.ლარი თვეში;

ხუთი წლის განმავლობაში: 1750*60=105000 ათ.ლარი.

ბ) $\frac{1,03^{60} * 0,03}{1,03^{60} - 1} * 25000 = 9000$ ათ.ლარი თვეში;

ხუთი წლის განმავლობაში: 900*60=54000 ათ.ლარი

აქედან გამომდინარე, საწარმოსათვის უფრო მიზანშეწონილია ლიზინგის არჩევა ყოველთვიურად 3% გადახდით. თუ ლიზინგი 6%-იანი გადასახადით არის შემოთავაზებული, მაშინ უფრო კრედიტი აღმოჩნდება მომგებიანი, რომელიც ყოველწლიურად გადახდების ტოლ თანხებს არ ითვალისწინებს.

რამდენად მაღალია კრედიტზე პროცენტების საბანკო განაკეთი, იმდენად ის საშიშია საწარმოსათვის, თუ იგი ანუიტეტის მეთოდით იქნება დასაფარი.

ა მ ო ც ა ნ ა 8.10

წინა ამოცანის პირობების მონაცემებთან შედარებით მხოლოდ კრედიტის დაფარვის ვადა იცვლება –ხუთი წლის ნაცვლად ხელშეკრულება სამ წელზე იდება. ასეთივე ცვლილება ლიზინგურ ხელშეკრულებაშიც შეიტანება.

განვსაზღვროთ, თუ კრედიტის დაფარვის ვადების აღნიშნული ცვლილება როგორ ზემოქმედებს ლიზინგისა თუ კრედიტის სარგებლიანობის არჩევანზე.

ა მ ო ხ ს ნ ა:

1. კრედიტის ღირებულების გაანგარიშება საწარმოს მიერ მიღებული სესხის 1/3 თანხის ყოველწლიური დაფარვით (ათ. ლარებში):

წლები	დავალიანება წლის დასაწყისისათვის	პროცენტული გადასახადი 50%	კრედიტის დაფარვა	ჯამური გადასახადი	დავალიანება წლის ბოლოსათვის
1	25000	12500	8333,3	20833,3	16666,7
2	16666,7	8333,4	8333,3	16666,7	8333,4
3	8333,4	4166,7	8333,3	12500,1	–
ჯამი		25000,1	25000	50000,1	

2. კრედიტის ღირებულების გაანგარიშება პროცენტების ანუიტეტის მეთოდით დაფარვისას.

$$\frac{1{,}5^3 * 0{,}5}{1{,}5^3 - 1} = \frac{1{,}6875}{2{,}375} = 0{,}71053;$$

25000*0,71053=17763,2 ათ. ლარი

კრედიტზე გადასახდელი საერთო თანხა ტოლი იქნება:

17763,2*3=53289,6 ათ.ლარის.

3. ლიზინგის ღირებულების გაანგარიშება:

ა) თვიურად 6%-სას:

$$\frac{1,06^{36} * 0,06}{1,06^{36} - 1} * 25000 = 1710 \text{ ათ. ლარი.}$$

1710*36=61560 ათ.ლარი.

ბ) თვიურად 3%-სას:

$$\frac{1,03^{36} * 0,03}{1,03^{36} - 1} * 25000 = 1145 \text{ ათ. ლარი}$$

1145*36=41220 ათ.ლარი.

დასკვნა:

კრედიტის უფრო მოკლე ვადებში დაფარვისას მისი ღირებულების სხვაობა, ყოველწლიურად ერთნაირი თანხის დაფარვისას და გადახდების ანუიტეტის მეთოდით გაანგარიშებისას მნიშვნელოვნად მცირდება.

ლიზინგი ხელშეკრულების ვადების შემცირებისას მნიშვნელოვნად უფრო იაფი ჯდება და იგი კრედიტზე მიზანშეწონილია მხოლოდ თვეში 3%-ის დონეზე გადახდების პირობებში.

ორივე ვარიანტით გადახდების განხორციელებისას მნიშვნელოვნად უფრო იაფია 3 წლიანი ვადის დაფარვის კრედიტი, ვიდრე 5 წლიანი.

ა მ ო ც ა ნ ა 8.11.

ამოცანის პირობა: A,B,C, კომპანიების აქციებზე შემოსავლების დონეების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 8.5

ცხრილი 8.5

შემოსავლების კონკრეტული დონეების ალბათობა (მათემატიკური მოლოდინი) (M)	კომპანია A აქციებზე შემოსავლის დონე %	კომპანია B აქციებზე შემოსავლის დონე %	კომპანია C აქციებზე შემოსავლის დონე %
0,12	-10	2	1
0.15	10	13	10
0.35	14	15	16
0,25	18	19	15
0,11	20	22	14
0,02	23	24	12

განსაზღვრეთ: რომელი კომპანიის აქციებზე დაბანდებანი არის რისკის უფრო მაღალი ხარისხის მატარებელი?

ამოხსნა: განვსაზღვროთ თითოეული კომპანიის აქციების საშუალო დონეების მაჩვენებლები:

MA=(-10)x 0,12+10x 0,15+14x 0,35+18x 0,25+20x 0,11+23x 0,02=12,36(%)
MB=2x 0.12+13x 0,15+15x 0,35+19x 0,25+22x 0.11+24x 0.02=15,09(%)
MC=1x 0,12+ 10x 0,15+16x 0,35+15x 0,25+14x 0,11+12x 0,02=12,75(%)

საშუალო კვადრატული გადახრა მოცემული აქციების სახეების მიხედვით:

$$6A=\sqrt{(-10-12,36)x0,12+(10-12,36)x0,15+(14-12,36)x0,35+}$$
$$+(18-12,36)x0,25+(20-12,36)x0,11+(23-12,36)x0,02=8,85\%;$$

$$6B=\sqrt{(2-15,09)\ 0,12+(13-15,09)\ 0,15+(15-15,09)\ 0,35+(19-15,09)}$$
$$0,25+(22-15,09)\ 0,11+(24-15,09)\ 0,02 = 5,65\%;$$

$$\sigma_C = \sqrt{(1-12,75)x0,12+(10-12,75)x0,15+(16-12,75)x0,35+}$$
$$+(15-12,75)x0,25+(14-12,75)x0,11+(14-12,75)x0,02 = 4,78\%;$$

შესაბამისად, A კომპანიის აქციების შემოსავლების გაბნევის ალბათობა 12,36%+8,85%, შეადგენს B კომპანიის აქციების 15,09%+5,65%, ხოლო C კომპანიის 12,75%+4,78%.

დასკვნა: სამივე კომპანიის აქციებიდან ყველაზე უფრო რისკის ხარისხით ხასიათდება A კომპანიის აქციები, სადაც შემოსავლების ალბათობის გაფანტვის მაჩვენებელი (8,85%) არის სხვებთან შედარებით უფრო მაღალი ანალოგიური მაჩვენებელი, რაც დასტურდება ვარიაციის კოეფიციენტის

$$V = \frac{\sigma}{M}$$

გაანგარიშებით. კერძოდ:

$$VA=8,85/12,36=0,72$$
$$VB=5,65/15,09=0,37$$
$$VC=4,78/12,75=0,37$$

ა მ ო ც ა ნ ა 8.12.

საინვესტიციო პროექტის შეფასებისა და განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

ამოცანის პირობა: საინვესტიციო პროექტის მაჩვენებელი: პირველ წელს იგეგმება პროექტის კაპიტალდაბანდება 500 ათასი ლარი. პროექტის განსახორციელებლად ფულადი ნაკადი წლების მიხედვით: 1-წელი 0; 2-წელი 220 ათასი ლარი; 3-წელი 290 ათასი ლარი; 4-წელი 320 ათასი ლარი. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება შეადგენს 15% (წლიური).

ამოხსნა: განვახორციელოთ ამოცანის ამოხსნა ამოსყიდვის შიდა ნორმის მეთოდის (IRR – Internal Rate of Return) გამოყენებით.

ცნობილია, რომ IRR-ეს არის შემოსავლების ისეთი დონე, როდესაც პროექტის წმინდა მიმდინარე (დაყვანილი) ღირებულება NPV=0 (იხ. ფორმულა 7.4 და ამოხსნის მეთოდიკა)

$$NPV=\sum_{i=1}^{n}\frac{\prod_t}{(1+r)^{i+m}}-\sum_{t=0}^{m}\frac{I_t}{(1+r)^t}=0$$

მონაცემები და გაანგარიშებანი, რომელიც აუცილებელია IRR-ს გასაანგარიშებლად გადავიტანოთ ცხრილში 8.6

(შენიშვნა: ჩვენს სიტუაციაში m=1, n=3)

ცხრილი 8.6

წლები	ფულადი საშუალებების ნაკადი ათასი ლარი	ინვესტიციები ათასი ლარი	სხვაობა ფულად ნაკადსა და ინვესტიციებს შორის ათასი ლარი	დისკონტირების კოეფიციენტი	სხვაობა დისკონტირებულ ფულად საშუალებებსა და დისკონტირებულ ინვესტიციებს შორის, ათასი ლარი
r_1=28%					
0	0	0	0	1	0
1	0	500	- 500	0,7813	- 390,7 (500x0,7813
2	220	0	220	0,6104	134,3
3	290	0	290	0,4768	138,3
4	320	0	320	0,3725	119,2

წმინდა მიმდინარე ღირებულების NPV (r1)=1,1 ათასი ლარი (391,8-390,7)

r_2=29%

0	0	0	0	1	0
1	0	500	- 500	0,7752	- 387, 6
2	220	0	220	0,6009	132,2
3	290	0	290	0,4658	135,1
4	320	0	320	0,3611	115,6

წმინდა მიმდინარე ღირებულების NPV (r2)=-4,7 ათასი ლარი (382,9-387,6=-4,7)

დასკვნა: როცა დისკონტის ნორმა =28%, წმინდა მიმდინარე ღირებულება 1,1 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ნორმის =29% პირობებში ანალოგიური მაჩვენებელი (-4,7) ათას ლარს უდრის. ცხადია, პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულება მიისწრაფის ნულისაკენ

როცა 28%< IRR<29%

უფრო დაზუსტებით IRR განსაზღვრა შესაძლებელია ფორმულით:

$$IRR = r_1 + \frac{NPV(r_1)}{NPV(r_1) - NPV(r_2)} \cdot (r_2 - r_1) \qquad (8.1)$$

ჩვენს მაგალითში IRR =28,2%, რამდენადაც 28,2% მეტია კაპიტალის ღირებულებაზე (15%) მოცემული პროექტის განხორციელება ეფექტური იქნება.

თავი IX. ფინანსური დაგეგმვა და პროგნოზირების თავისებურებანი

9.1. ფინანსური დაგეგმვა კორპორაციის მართვის სისტემაში

ფინანსების მართვის სისტემაში დაგეგმვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. როგორც უკვე აღინიშნა (იხ. § 7.1) სწორედ დაგეგმვისას მეურნე სუბიექტი თავისი ფინანსური რესურსების გაზრდის შესაძლებლობებსა და მათი უფრო ეფექტურად გამოყენების გზებს გამოავლენს.

საბაზრო პირობები ფინანსური დაგეგმვის ხარისხისადმი უფრო მომთხოვნია, ვინაიდან საწარმო თავის საქმიანობაში ყველა ქმედებებზე თავისი ქონებით იღებს პასუხისმგებლობას. თანამედროვე პირობებში ფინანსური დაგეგმვა რაიმე სახის გარემოების დადგომის ალბათობის გათვალისწინებას ეფუძნება, მისი მეშვეობით საწარმოს ქმედების მოდელირება უნდა გახორციელდეს ბაზრის კონიუნქტურისა და რესურსების მოცულობის შესაძლო ცვლილებების შემთხვევისათვის.

ფინანსური ბალანსი ფინანსური დაგეგმვის ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც არსებული სიმძლავრეებისა და რესურსების ფარგლებში საწარმოს განვითარების ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ცნობილია, რომ კორპორაციის მართვის სისტემის ელემენტებს შეადგენენ:

1) რესურსები, კერძოდ: ორგანიზაციის შრომითი რესურსები (კადრები), კაპიტალი, მასალები, ტექნოლოგია, ინფორმაცია, რომლებიც მთლიანობაში ორგანიზაციის შიდა გარემოს წარმოადგენენ.

კორპორაციის შრომითი რესურსების მართვის ეტაპებია: შრომითი რესურსების მოთხოვნის დაგეგმვა, კანდიდატურების შერჩევა, პერსონალის დაკომპლექტება, შრომითი ანაზღაურებისა და შეღავათების განსაზღვრა, პროფორიენტაცია და ადაპტაცია, სწავლება, საქმიანობის შეფასება, მმართველობითი კადრების მომზადება, სამსახურეობრივ საფეხურებზე გადაადგილება და სხვ.;

2) ტექნოლოგია;

3) სტრუქტურა, კორპორაცია შეიძლება ორგანიზაციული, საწარმოო და სხვა სახის სტრუქტურის სახით იქნეს წარმოდგენილი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციაში მისთვის დამახასიათებელი შრომის დაყოფასთან და კონტროლის სისტემის აგების მოთხოვნილებებთან;

4) მართვა, რომელიც ორგანიზაციისათვის არსებითად მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს;

5) დაგეგმვა, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციის მისიას, მიზნის მიღწევისთვის რა უნდა გაკეთდეს აუცილებლად. იგი გრძელვადიანი (სტრატეგიული) და მოკლევადიანი გეგმების დამუშავებასთან არის დაკავშირებული;

6) ფინანსები, რომლის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა (ფინანსური მართვა) ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტური პროგრამების დამუშავებაზე და რეალიზაციაზე უნდა იქნას მიმართული. შეიძლება ფინანსური მართვის მიზნები ცალკე იქნას გამოყოფილი. ასეთი შეიძლება იყოს: მოგების მაქსიმიზაცია; მოგების მდგრადი ნორმის მიღწევა გეგმიურ პერიოდში; აქციის საკურსო ღირებულების ამაღლება; კორპორაციის ხელმძღვანელების ან მისი მფლობელების შემოსავლების გადიდება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გადასახდელი თანხების გაზრდა) და ა.შ.

კორპორაციის საქმიანობის ეფექტიანობა, როგორც უშუალოდ თვით კორპორაციის შიდა, ასევე კონკურენტებთან, კლიენტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობებზე არის დამოკიდებული. აღნიშნული ურთიერთობების პროცესში კორპორაციის ხელმძღვანელობამ ინტერესების ექვსი ჯგუფი უნდა დააკმაყოფილოს:

1) ურთიერთობები ინვესტორებთან (აქციონერებთან). აქციონერებისათვის (მფლობელებისათვის) მაღალი დივიდენდების უზრუნველყოფა ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

2) ურთიერთობები მომწოდებლებთან – ცნობილია, რომ მომწოდებლებისაგან თუნდაც მაღალ ფასებში ნედლეულისა და მასალების უწყვეტად შეძენა რეალობას წარმოადგენს. სავაჭრო-საწარმოო კორპორაციებისათვის აღნიშნული ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი რისკის მაღალი ხარისხით ხასიათდება. რამდენად მეტია მომწოდებლების რაოდენობა, იმდენად

ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ცალკეული მომწოდებლების გაკოტრება თქვენს ბიზნესზე უარყოფითად იმოქმედებს.

3) ურთიერთობები კლიენტებთან — კლიენტების შენარჩუნების მთავარ ფაქტორს შედარებით დაბალი ფასებით მომსახურების მაღალი სერვისის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

4) კორპორაციის ხელმძღვანელობის ურთიერთობები პერსონალთან — კორპორაციის პერსონალისათვის მაღალი შრომის ანაზღაურების გადახდა მისი წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქ მოტივაციას და სტიმულირების სისტემის არსებობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორებიცაა: ბონუსი წლის შედეგების მიხედვით, პრემირება ცალკეული პროექტების წარმატებულად შესრულების შემთხვევაში და ა.შ.

5) ურთიერთობები შუამავლებთან — კორპორაციის საქმიანობაში ფინანსური და სხვა შუამავლებისათვის მაღალი საკომისიოების გადახდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. მათ მიეკუთვნება:

ა) მარკეტინგული მომსახურების განმახორციელებელი ორგანიზაციები;

ბ) საკრედიტო-საფინანსო შუამავლები.

6) ურთიერთობები საკონტაქტო აუდიტორიასთან — აქ აუცილებელია: თავიანთი კონკურენტების ცოდნა, სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ნორმატიული დოკუმენტაციის პირობებთან და საზოგადოებაში მიღებულ ნორმებთან შესაბამისობა. მასიური ინფორმაციის საშუალებებში ნეგატიურმა რეზონანსმა კორპორაციის ბიზნესზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს.

ზემოთალნიშნული ურთიერთობების გარდა შეიძლება გამოიყოს კორპორაციის ისეთ ძალებთან ურთიერთობები, რომლებიც მის გარეშე გარემოს შეადგენენ, როგორებიცაა:

ა) ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა — ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას, იმ ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია უნდა გაითვალისწინოს, რომელშიც იგი თავის საქონლის მიწოდებას ახორციელებს, ან რომელთანაც ორგანიზაციას საქმიანი ურთიერთობები აქვს. მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა რესურსების ღირებულებაზე და მყიდველების მხრიდან საქონლისა და მომსახურების შეძენის შესაძლებლობაზე ზემოქმედებს.

ბ) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი — ტექნიკური სიახლეები ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე საქონლის გამოყენების შესაძლო სფეროებს აფართოვებს.

გ) დემოგრაფიული და სოციალურ-კულტურული სახის ფაქტორები — კულტურული და რელიგიური ხასიათის ფაქტორები, როგორებიცაა, უპირველეს ყოვლისა, სასიცოცხლო ფასეულობები და ტრადიციები, ჩვეულებები, მითითებები, რომლებიც ორგანიზაციის საქმიანობაზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ.

დ) პოლიტიკური ფაქტორები — მათ მიეკუთვნება: სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოების ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ საგადასახადო სისტემა, შელავათიანი სავაჭრო მოსაკრებლები, კანონმდებლობა მომხმარებლების დაცვის შესახებ, სტანდარტები პროდუქციის უსაფრთხოებაზე და სტანდარტები ეკოლოგიასთან დაკავშირებით.

კორპორაციის ფინანსური დაგეგმვა (ბიზნეს-გეგმა) ჩვეულებრივად 12 ძირითად განაყოფს მოიცავს, კერძოდ:

1) საქმიანი მიზნებისა და ამოცანების (**Targets and objectives**) გეგმას;

2) მარკეტინგის გეგმას — ძირითადი სახეობის პროდუქციისათვის (მომსახურებისათვის) და მთლიანი პროდუქციის მიხედვით;

3) წარმოების გეგმას — პროდუქციის მოცულობას განსაზღვრავს ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში;

4) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმას;

5) შრომასა და კადრებთან (**Structure - staffing**) დაკავშირებულ გეგმას;

6) კაპიტალური მშენებლობის გეგმას;

7) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გეგმას;

8) წარმოების დანახარჯებთან, მოგებასთან და რენტაბელობასთან დაკავშირებულ გეგმას;

9) ბუნების დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გეგმას;

10) კორპორაციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

11) რისკების შეფასება და დაზღვევას;
12) ფინანსური დაგეგმვას (Budget).

ფინანსური დაგეგმვა, როგორც წესი შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსების, საკმარისი ფულადი ნაკადის არსებობის, კომერციულ სტატისტიკის, პერსონალისათვის მატერიალური წახალისების გადახდის, ფიქსირებული აქტივების ამორტიზირების, ხარჯების დეტალიზების უზრუნველყოფას ახორციელებს.

ძირითადი ბიუჯეტი თავისთავად ძირითადი ფინანსური ანგარიშგებების პროგნოზირებად მდგომარეობას ასახავს გარკვეული თარიღისათვის. კლასიკურ ვარიანტში ბიუჯეტის მომზადების პროცესი შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან შედგება:

1) წარმოების ბიუჯეტი შემოსავლიანობის ანალიზის ჩათვლით (**budget of production, analysis of profitability**) – აღნიშნული ბიუჯეტი გამოხატავს წარმოების ორგანიზაციაზე დანახარჯებს, ასევე მოგებაზე წარმოების მოცულობის, რეალიზაციის ფასისა და პროდუქციის თვითღირებულების ზემოქმედებას.

2) გაყიდვების ბიუჯეტი (**budget of volumes of realization**), რომლის ძირითადი ამოცანაა – ბაზრის იმ წილის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება, რომლის დაუფლებასაც ითვალისწინებს ახალი პროდუქცია. რეკომენდირებულია ბიუჯეტი სამი წლით შედგეს წინასწარ, რომელიც წლების მიხედვით შემდეგნაირად იქნება შედგენილი: პირველი წლის ბიუჯეტში – ყოველთვიური მონაცემები უნდა იქნას მოტანილი, მეორე წლის ბიუჯეტში – ყოველკვარტალური მონაცემები, ხოლო მესამე წლის (ან დანარჩენი წლების) ბიუჯეტში კი – მთლიანობაში წლიური თანხობრივი მონაცემებია ასახული.

3) აქტივებისა და პასივების ჯამური ბალანსი (**consolidated balance sheet**) – რომელიც, კომერციული ბანკების სპეციალისტებს აინტერესებთ და ისინი იმ თანხების შეფასებას ახორციელებენ, რომელთა აქტივების სხვადასხვა ელემენტებში დაბანდება არის გათვალისწინებული.

4) დანახარჯების ხარჯთალრიცხვა (**table of costs**) – დადგენილი იქნას თუ როგორი იქნება ადმინისტრაციული ხარჯები: პირ-

ველ წელს – ყოველთვიურად, მეორე წელს – ყოველკვარტალურად, დანარჩენ წლებში – მთლიანობაში წლის განმავლობაში.

5) ფულადი ნაკადების ბალანსი (balance of cash flow) – ძირითად ამოცანას – ფულადი სახსრების შემონატანებისა და გახარჯვის სინქრონულობის, აქედან გამომდინარე კი – აღნიშნული პროექტის რეალიზაციისას კომპანიის ლიკვიდურობის დაგეგმვა წარმოადგენს.

ბიუჯეტების მრავალი ნაირსახეობა არსებობს, რომლებიც ორგანიზაციის სტრუქტურაზე და სიდიდეზე, უფლებამოსილებების განაწილებაზე, საქმიანობის თავისებურებებზე და ა.შ. დამოკიდებულებით გამოიყენება. კერძოდ:

1) გრძელვადიანი და მოკლევადიანი ბიუჯეტები (Short and Long - term budgets). აშშ-ში გრძელვადიან ბიუჯეტად ითვლება ბიუჯეტი, რომელიც ორი და მეტი წლით არის შედგენილი, ხოლო მოკლევადიანად – არა უმეტესი ერთი წლით შედგენილი. გრძელვადიანი და მოკლევადიანი ბიუჯეტირება ერთიან პროცესში ერთიანდებიან. ამ შემთხვევაში მოკლევადიანი ბიუჯეტი დამუშავებული გრძელვადიანის ჩარჩოებში ყალიბდება და იგი მის მონაცემებს ეფუძნება, ხოლო გრძელვადიანი – მოკლევადიანი დაგეგმვის თითოეული პერიოდის გასვლის შემდეგ ზუსტდება და წინ კიდევ მოკლევადიანი ბიუჯეტის ერთი პერიოდით იზრდება.

2) მუხლობრივი ბიუჯეტი (Line-Item Budgets) – ასეთი ბიუჯეტები ხარჯების თითოეული მუხლის თანხების მკაცრ შეზღუდვას ითვალისწინებს მათი სხვა მუხლებში გადატანის შესაძლებლობის გარეშე. დასავლეთის პრაქტიკაში ასეთი მიდგომა ფართოდ გამოიყენება სამთავრობო დაწესებულებებში, მაგრამ არც ისე იშვიათად იგი კომერციულ ორგანიზაციებშიც გამოიყენება, რათა ქვედა და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის უფლებამოსილებების უფრო მკაცრი კონტროლი და შეზღუდვები იქნეს უზრუნველყოფილი.

3) ბიუჯეტები დროითი პერიოდით (Lapsing Budgets) – აღნიშნული ტერმინი ბიუჯეტირების ისეთ სისტემას ნიშნავს, რომელშიც პერიოდის ბოლოსათვის გაუხარჯავი სახსრების ნაშთი შემდეგ პერიოდში არ გადაიტანება.

4) მოქნილი და სტატიკური ბიუჯეტები (Flexible and Static Budgets) სტატიკურის ტიპის ბიუჯეტში ციფრები წარმოებისა და სხვა მოცულობისაგან დამოკიდებულების გარეშე არის მოტანილი, მაშინ როდესაც მოქნილი ბიუჯეტის შედგენისას ხარჯები უშუალოდ, როგორც წესი, წარმოების ან გაყიდვების მოცულობების მახასიათებელ პარამეტრებზე დამოკიდებულებით დგინდება.

5) მემკვიდერობითი ბიუჯეტები და ბიუჯეტები ნულოვანი დონით (Incremental and Zero-Base Budgets). ბიუჯეტი ნულოვანი დონით – არის ბიუჯეტი, რომელიც თითოეულ შემთხვევაში თავიდან "ნულიდან" დგინდება. მის საპირისპიროდ, მემკვიდრეობით ბიუჯეტს თარგის (შაბლონის) მსგავსად რაღაცა მონაცემები გააჩნია, რომელშიც მორიგი ბიუჯეტირებისას მხოლოდ კორექტივები შეიტანება და იგი ჩამოყალიბებულ პროცესთან შედარებით მიმდინარე ცვლილებებში აისახება. მემკვიდერობითი ბიუჯეტი საკმაოდ ამცირებს ძალისხმევისა და დროის მოცულობას, რომელიც საბიუჯეტო პროცესზე იხარჯება.

მიმდინარე (ოპერატიული) დაგეგმვამ საწარმოს მუშაობის საჭირო რითმის მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს. იგი სახეობებს მოიცავს:

- საერთო ოპტიმალური დაგეგმვა – კორპორაციის ყველა ქვედანაყოფებისა და სამსახურების კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფას ახორციელებს;
- საამქროთაშორისო ოპტიმალური დაგეგმვა – საწარმოს საამქროებს შორის საჭირო საწარმოო პროპორციის კოორდინაციას ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობის შესაბამისად და ძირითადი, დამხმარე, თანამდევი და მომსახურე საამქროების ფუნქციების გათვალისწინებით ახორციელებს;
- შიდასაამქროს ოპერატიული დაგეგმვა, რომელიც სამუშაოების მონაკვეთებისა და სამუშაო ადგილების მიხედვით განაწილებას ახორციელებს. საწარმოო პროგრამების დავალებების სრულად და მკაფიოდ შესრულების და საწარმოს, მისი საამქროების, მონაკვეთების, ბრიგადების, მუშების რიტმული მუშაობის შენარჩუნების უზრუნველყოფას წარმოადგენს.

ოპერატიული დაგეგმვა აერთიანებს: კალენდარულ დაგეგმვას და დისპეჩერიზაციას.

კალენდარული გეგმები (ნახევარწლიურები, კვარტალურები, თვიურები) კორპორაციის მიმდინარე გეგმის დეტალიზაციას და დავალების თითოეულ ქვედანაყოფამდე, საამქრომდე, განყოფილებამდე, მონაკვეთამდე, უბნამდე, ბრიგადამდე, მუშებამდე დაყვანას მოიცავს.

დისპეჩერიზაცია უზრუნველყოფს:

- საწარმოო პროცესის მსვლელობაზე სრული კონტროლს და თითოეულ სამუშაო ადგილზე მუშაობაში მოშლილობისა და გაუმართაობის ოპერატიულ აღმოფხვრას,
- სამუშაო ადგილზე ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ინსტრუმენტების მიტანის ორგანიზაციას, მზა პროდუქციის, წარმოების ნარჩენების გატანის, მოწყობილობის გამართულობის კონტროლს, ენერგიის, საწვავის, აირის მიწოდებას, ხარისხის კონტროლის ორგანიზაციას.

9.2. ეკონომიკური პროგნოზირების პრაქტიკა და დარგობრივი პროგნოზირების თავისებურებანი

ეკონომიკური პროგნოზირება ეკონომიკური პროცესების განვითარების წინასწარმეტყველებას მოიცავს. ცნობილია, რომ კონკრეტულობის დონის, საკვლევი პროცესებისა და მოვლენის მსვლელობაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ წინასწარხედვის სამ სახეს: ჰიპოთეზას, პროგნოზსა და გეგმას. პროგნოზის პროცესი (ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს წინასწარგანსაზღვრას) მოიცავს დროის რომელიმე მომენტისათვის ობიექტის განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკური ობიექტის მომავალი განვითარების ძირითადი მაჩვენებლის, მოვლენათა და პროცესთა განვითარების გზებისა და შედეგების განსაზღვრას.

პროგნოზირების რაოდენობრივ მეთოდს მიეკუთვნება: სტატისტიკური, მათემატიკური ექსტრაპოლაციის, მოდელირების და სხვა მეთოდები. პროგნოზირების თვისობრივ მეთოდებს მიეკუთვნება:

დელფოს მეთოდი, „ტვინების შტორმი"-ს სისტემა PATTERN და სხვები, რომლებიც ეფუძნება პროგნოზირების ობიექტის ლოგიკურ ანალიზს.

დარგობრივი მიკროეკონომიკური სუბიექტის ეკონომიკური პროგნოზირების ძირითად ობიექტად გვევლინება: მოთხოვნილება დარგებში (საწარმოში) წარმოებულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე), საწარმოთა რესურსებზე; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ასპექტები; დარგის საწარმოო პოტენციალი და მისი გამოყენება; მართვისა და ორგანიზაციის სრულყოფა და განვითარება და ა.შ.

მართვისა და პროგნოზირების ამოცანები განისაზღვრება დარგის (საწარმოს) წინაშე მდგარი მიზნების კომპლექსით: 1) სტრატეგიული მიზნებით (15 წელზე ზევით პერიოდისათვის); 2) საშუალოვადიანი მიზნებით (1-5 წლიანი პერიოდით) და მოკლევადიანი ანუ ოპერაციული მიზნებით (1 წლამდე პერიოდისათვის).

პროგნოზირების მეთოდოლოგია ორ ნორმატიულსა და საძიების მიდგომას ეფუძნება, რომლის ერთიანობა განსაზღვრავს მიკროეკონომიკური დონეების პროგნოსტიკის შემდეგ თანმიმდევრობას (ეტაპებს):

1. მიკროეკონომიკური სფეროს (დარგის) განვითარების აღწერა-ანალიზი, წარსულ და მიმდინარე პერიოდებში საპროგნოზო გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებით;
2. დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგნოზი, საძიებო მიდგომის საფუძველზე;
3. დარგის განვითარების ძირითადი მიზნებისა და ამოცანების დასმა, პროგნოზის შემუშავება ნორმატიული მიდგომის საფუძველზე;
4. „გარღვევის" გამოვლენა, მათი ანალიზი, პრობლემების დასმა და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზების დამუშავება, მათ საფუძველზე დარგის განვითარების ვარიანტების განსაზღვრა შიგა და გარეშე შეზღუდვების გათვალისწინებით;
5. განვითარების ვარიანტის არჩევა და დარგთაშორისი ბალანსისათვის ინფორმაციის დამუშავება.

საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის პროგნოზირების თავისებურებანი:

საშუალო და გრძელვადიანი პერიოდების პროგნოზირებისათვის, საკმარისად ობიექტურ საფუძველს ქმნის წარსული პერიოდების ტრენდების ექსტრაპოლაცია ნორმატიულ პროგნოზებთან შეთანაწყობით.

დარგობრივი ეკონომიკური პროგნოზირების ერთ-ერთ რთულ და საკვანძო საკითხად პროდუქციაზე მოთხოვნის განსაზღვრა გვევლინება, რომლის პროგნოზირების პროცესი მოიცავს: 1) საპროგნოზო ობიექტის დადგენას, პროგნოზის მიზნების და ამოცანების ფორმულირებას და პერიოდის განსაზღვრას; 2) დარგის (სფეროს) პროდუქციის მომხმარებელთა წრის დადგენას და პროდუქციის მოხმარებაში მათი წილის განსაზღვრას; 3) ობიექტის შესახებ რეტროსპექტული ინფორმაციის შეგროვებასა და შეფასებას სარწმუნოობის, პერიოდულობის, ობიექტურობის და ა.შ. კრიტერიუმებით; 4) ნორმატივების დამუშავება შესაძლო რაოდენობრივი შეფასებისათვის; 5) პროგნოზირების მეთოდის არჩევა; 6) საპროგნოზო პერიოდისათვის დარგის (საწარმოს) პროდუქციაზე მოთხოვნების გაანგრიშება და მისი სტრუქტურის დადგენა.

დარგის საწარმოო რესურსების პროგნოზი მოიცავს მატერიალურ და შრომით რესურსებზე, ძირითად ფონდებსა და საწარმოო კაპიტალდაბანდებებზე მოთხოვნილებების განსაზღვრას. ამ მიზნით უნდა მოხდეს დარგის საწარმოო სიმძლავრის განსაზღვრა და გარკვეულ პერიოდში, მისი შესაძლო გამოყენების დონის შეფასება. გაანგარიშება იწარმოება რესურსტევადობის (მასალათტევადობის, ფონდტევადობისა და შრომატევადობის) კოეფიცინტების პროგნოზით.

ძირითად ფონდებზე და კაპიტალურ დაბანდებებზე მოთხოვნილების განსაზღვრის საფუძველი არის პროდუქციის ფონდტევადობის მაჩვენებლის და დინამიკის პროგნოზი.

პროდუქციის ფონდტევადობის მაჩვენებლის დამუშავებისათვის გამოიყენება:

- მოქმედებაში შეყვანილი სიმძლავრეების ერთეულზე ხვედრითი კაპიტალური დაბანდებების ნორმატივები;
- ფონდტევადობის ჩამოყალიბებული მაჩვენებლების და მათი ცვლილების ტენდენციების ანალიზის შედეგები;
- ფონდტევადობის შემცირება ტექნიკური პროგრესის ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებით;

- მშენებარე და ასაშენებლად დასახული საწარმოების პროექტების მონაცემები;
- მომავალი საწარმოების სპეციალური საპროექტო მასალები და ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებანი.

შრომით რესურსზე მოთხოვნები განისაზღვრება, როგორც აბსოლუტურ, ისე ხვედრით წონებში ძირითადი საქმიანობის შემუშავებისათვის და ეფუძნება პროდუქციის შრომატევადობის და შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლების პროგნოზირების შრომის მწარმოებლურობის ზრდის (შრომატევადობის შემცირების) ტემპების გაანგარიშებისას ისეთი ფაქტორების გავლენა, როგორებიცაა: წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება, შრომის და წარმოების ორგანიზაციის მართვის სრულყოფა, წარმოების სტრუქტურის ცვლილება, სპეციფიკური დარგობრივი ფაქტორები და სხვა. ვლინდება დასაქმებულთა რიცხვის ეკონომიაში. საწყისი პერსონალის რიცხოვნობის მიხედვით გამოითვლება ეკონომია, თითოეული ფაქტორის მოქმედების შედეგად. გამოითვლება მწარმოებლურობის ამაღლება, პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირება და სამუშაო კადრებზე მოთხოვნილება.

დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პროგნოზირების ძირითად ობიექტებად გვევლინება: ახალი სახის პროდუქციის შექმნა, დანერგვა და ამის საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურის გაუმჯობესება; საკვლევ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და არსებულის სრულყოფა; საწარმოო და მართვითი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია (ავტომატიზაცია) და გაუმჯობესების, შრომის დანაწილების და წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა; გარემოს დაცვის ღონისძიებების გაფართოება.

ამრიგად, საწარმოს (დარგის) განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პროგნოზირების მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს: გადაწყვეტილებები განსახილველად და მისაღებად მკაფიოდ გამოხატული ვარიანტების ჩამოყალიბება; ლოგიკური დამოკიდებულებების დამყარება გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ყველა ეტაპს, დონესა და ელემენტს შორის, სხვადასხვა ალტერნატივის არჩევისათვის; სხვადასხვა ვარიანტის რაოდენობრივი შეფასება მათი შედარებისათვის და ოპტიმალურის ასარჩევად.

თავი X. გადაწყვეტილებების მიღებისა და ფინანსური დაგეგმვა-პროგნოზირების ძირითადი საკითხები საწარმოებსა და ამოცანებში

ა. ფინანსური დაგეგმვისა და სტრატეგიის ასპექტები

წინამდებარე სახელმძღვანელოს 7-9 თავებში აღნიშნეთ, რომ საწარმოს ფინანსური სტრატეგია ფინანსური გეგმებისა და პროგნოზების რეალიზაციის მეშვეობით ხორციელდება. ამიტომ ფინანსური დაგეგმვისა და პროგნოზირების პრობლემის გადაწყვეტისას თვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი შესაძლო კონკურენტებისა და პარტნიორების, საწარმოს პროდუქციის გასაღების ბაზარზე მდგომარეობისა და ქვეყანაში და დარგში საერთო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უტყუარი საწყისი ინფორმაციის არსებობა არის საჭირო. შესაბამისად, ნებისმიერი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ საჭირო და უტყუარი ინფორმაციის მიღების მიზნით უნდა გახორციელდეს:

1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო ანალიზი რომლის მსვლელობისას საწარმოს სახსრების (მისი აქტივების) განთავსებისა და გამოყენების და აღნიშნული სახსრების ფორმირების წყაროების (პასივები) შეფასება მთლიანობაში საწარმოს ბალანსისა და მაჩვენებლების ცალკეული ჯგუფების: აქტივების, პასივების, ქონების, მარაგებისა და გარკვეული პერიოდისათვის საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგების შემაჯამებელი მაჩვენებლების მიხედვით.

2. საწარმოს ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა რეალურ ეკონომიკურ პირობებში - ანუ გადახდისუნარიანობის თვალსაზრისით საიმედო პარტნიორის სწორი არჩევის მიზნით, მაგალითად საწარმოს მიერ მიწოდებული პროდუქციის პოტენციალური მყიდველის მიერ თავისდროულად გადახდის ან კრედიტის მსესხებლის მიერ შეთანხმებულ ვადებში და დადგენილი პროცენტებით დაბრუნების შესაძლებლობის შეფასება.

3. ბალანსის ლიკვიდურობის განსაზღვრა ანუ საწარმოს ვალდებულებების მისი აქტივებით გადაფარვის ხარისხის დადგენა,

რომელთა ფულად გარდაქმნის ვადა ვალდებულებების დაფარვის ვადას შეესაბამება (საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასება).

4. ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება და ანალიზი - ანუ გარკვეული პერიოდისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებათა და მსგავსი საწარმოების შედარებადი ფინანსური ანალიზის გამოვლენის მიზნით.

5. საწარმოს რენტაბელობისა და საქმიანი აქტიურობის განსაზღვრა საწარმოს მართვისა და საწარმოს შედეგების პერიოდის განმავლობაში ცვლილებების შეფასებისათვის რენტაბელობისა და საქმიანი აქტიურობის (უკუგებადობის) კოეფიციენტების გაანგარიშების და ანალიზის მეშვეობით ხორციელდება.

წინამდებარე თავში განვიხილავთ დაგეგვა-პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციების მოპოვების პრაქტიკულ ასპექტებს[1]:

1). საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო ანალიზის ჭრილში საგარჯიშო-საკონტროლო დავალებანი

დავალება 10.1. ქვემოთმოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 10.1) საწარმოს ბალანსის მონაცემების გამოყენებით გაიანგარიშეთ მაჩვენებლები, რომელთაც ანალიზირებადი პერიოდისათვის ნაზარდის მაქსიმალური და მინიმალური ტემპები გააჩნიათ.

ამოხსნა:

ბალანსის მაჩვენებლების ზრდის ტემპების გაანგარიშება "ბრუნვისგარეშე აქტივების" მაგალითზე განვიხილოთ შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\text{ნტ}_i = \frac{\text{ა}^{\text{ღ}}_i - \text{ა}^{\text{ს}}_i}{\text{ა}^{\text{ს}}_i} 100\%$$

სადაც $\text{ა}^{\text{ღ}}_i$ - არის აბსოლუტური მნიშვნელობა i მაჩვენებლის პერიოდის ბოლოსათვის;

---

[1] გამოყენებულია სახელმძ. გ. ცააკა, ბ. ბიწაძე, ზ. ლიპარტია – ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2006, გვ. 856-873.

1-4 საწარმოს მიხედვით ამოცანების ამოსახსნელად საჭირო მონაცემები

მაჩვენებელი, ათ. ლარებში	საწარმო 1		საწარმო 2		საწარმო 3		საწარმო 4	
	წლის დასაწყისი	წლის ბოლო	წლის დასაწყისი	წლის ბოლო	წლის დასაწყისი	წლის ბოლო	წლის დასაწყისი	წლის ბოლო
ბრუნვაში არსებული აქტივები	4100	47500	13500	16600	625000	584000	13500	16600
• არამატერიალური აქტივები			0	0			0	0
• ხანგრძლივი ხმარების საქონელი							12000	15000
• გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები			1500	1600			1000	1200
საბრუნავი აქტივები	38000	21240	800	12400	382000	593000	11800	14300
• მარაგები	11200	7850	4500	7300	3200	101600	4500	6700
• ნედლეული, მასალები	6500	64500	2000	4000			2000	4000
• დანახარჯები დაუმთავრებელ წარმოებაზე	700	1800	1200	2000			1200	2000
• მზა პროდუქცია	2600	11000	700	600			700	300
• გადასაგირავებელი საქონელი	300	50	0	0			500	200
• მომავალი პერიოდის ხარჯები	100	600	100	200			100	200
• სხვა დანახარჯები			500	500				
• დებიტორული დავალიანება ერთ წელზე მეტი ვადით	600	1000	600	1000	117000	110000	1000	1500
• დებიტორული დავალიანება ერთ წელზე ნაკლები ვადით	14000	92000	1400	2200	312000	250000	3000	4000
• მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები	2000	1000	200	100	15000	0	0	0
• ფულადი სახსრები	8700	25100	1100	1500	100000	120000	3000	2000
• სხვა დანარჩენი აქტივები	200	2000	200	300	6000	12000	300	200
ზარალი	0	0	0	0	10000	0	0	0
ბალანსი	79000	259900	21500	29000	1017000	1177000	25300	3100
კაპიტალი და რეზერვები	4420	76000	15000	18000	656000	676000	1500	18000
გრძელვადიანი პასივები	100	100	4500	4500	10000	9000	4500	4500
მოკლევადიანი პასივები	34700	183800			551000	492000	5800	8500
• ნასესხები სახსრები	4000	50000	1000	1500	1000	9000	4000	50000
• კრედიტორული დავალიანება	30500	13350			441000	376000	4700	6700
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი პასივები					1000	1000	100	300
ბალანსი	79000	259900	21500	29000	1017000	1177000	25300	31000

პირობითი აღნიშვნა: გამუქებული კვადრატები ნიშნავს, რომ ამოცანის ამოსახსნელად მაჩვენებლების მიხედვით მონაცემები საჭირო არ არის.

$Ა^{ბ}_{i}$ - არის აბსოლუტური მნიშვნელობა i მაჩვენებლის პერიოდის დასაწყისში.

$$ნტ^{აა} = (47500 - 41000) / 41000 \times 100 = 16\%$$

ანალოგიური გაანგარიშებები გავახორციელოთ ბალანსის სხვა მაჩვენებლების მიხედვით და გაანგარიშების შედეგები ცხრილში შევიტანოთ (იხ. ცხრილი 10.2).

ცხრილი 10.2

ბალანსის მაჩვენებლების ნაზარდის ტემპის გაანგარიშების შედეგები:

მაჩვენებელი	ნაზარდის ტემპი (ნტ), %
ბრუნვისაგარეშე აქტივები	16
საბრუნავი აქტივები	459
• მარაგები	601
• ნედლეული, მასალები	892
• დანახარჯები დაუმთავრებელ წარმოებაზე	157
• მზა პროდუქცია	323
• გადატვირთული საქონელი	-83
• მოსაკალი პერიოდის ხარჯები	500
• დებიტორული დავალიანება ერთ წელზე მეტი ვადით	67
• დებიტორული დავალიანება ერთ წელზე ნაკლები ვადით	557
• მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები	-50
• ფულადი სახსრები	189
• სხვა დანარჩენი საბრუნავი აქტივები	900
კაპიტალი და რეზერვები	72
გრძელვადიანი პასივები	0
მოკლევადიანი პასივები	430
ნასესხები სახსრები	1150
კრედიტორული დავალიანება	338
ბალანსი	229

პასუხი: გაანგარიშების საფუძველზე ნაზარდის მაქსიმალური ტემპი მუხლი "ნასესხები სახსრები"-ს მიმართებაში (1150%), მინიმალური კი მუხლი "გადატვირთული საქონელი"-ის მიმართებაში (-83%) გამოვლინდა.

საკონტროლო დავალება 10.2. გამოავლინეთ არსებითი ცვლილებები, რომელიც საწარმო 2-ის მონაცემების მიხედვით აქტივის მაჩვენებლების სტრუქტურაში ანალიზირებადი პერიოდის განმავლობაში განხორციელდა (იხ. ცხრილი 10.3).

საკონტროლო დავალება 10.3. შეაფასეთ ძირითადად რომელი მაჩვენებლების ცვლილების ხარჯზე განხორციელდა ბალანსის სტრუქტურაში ცვლილებები საწარმო 3-ის ბალანსის მონაცემების გამოყენებით (იხ. ცხრ. 10.3).

2) საწარმოს ფინანსური მდგრადობის განსაზღვრაზე

სავარჯიშო-დავალება 10.4. გაიანგარიშეთ თანხა და განსაზღვრეთ კრედიტის სახეობა (გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი), რომელიც საწარმოს მისი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ესაჭიროება საწარმო 2-ის საბალანსო მონაცემების მიხედვით (ცხ. 10.3).

ამოხსნა:

განვსაზღვროთ საწარმოს ფინანსური მდგრადობის ტიპი საწყისი და ბოლო პერიოდებისათვის[1]:

ცხრილი 10.3

მაჩვენებელი	მაჩვენებლის მნიშვნელობა, ათ. ლარებში	
	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
საკუთარი საბრუნავი საშუალებები (სსს)	1500	1400
მუდმივი საბრუნავი კაპიტალის – საკუთარი და გრძელვადიანი ნასესხები სახსრების ჯამური	6000	5900
მარაგების წარმოების ფორმირების საერთო სიდიდე (ნწს)	7000	7400
საკუთარი საბრუნავი საშუალებების (სსს) ნაკლებობა ან ნაკლებობა	-3000	-1400
მუდმივი საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა ან ნაკლებობა	1500	-1400
მარაგების ფორმირების საერთო სიდიდის ნაკლებობა ან ნაკლებობა	2500	100
ფინანსური სიტუაციის ტიპი	ნორმალურად მდგრადი	არამდგრადი

[1] გაანგარიშების წესი, ფინანსური მდგრადობის ტიპები და მათი მახასიათებლები ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელოში "Финансы". под. ред. проф. ЛМ. Коваловой (М.: Финшісы и статистика, 1998). - с. 303, 316.

პასუხი: მოყვანილი გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა განსახილველ პერიოდში გაუარესდა: ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობიდან (საწყისი პერიოდისათვის) იგი არამდგრადში გადაიყვანა (ბოლო პერიოდში). ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1400 ათ. ლარის მოცულობის გრძელვადიანი კრედიტის (პერმანენტული საბრუნავი სახსრების სიდიდის) მოზიდვა არის აუცილებელი, რაც საწარმოს ნორმალურად მდგრადი ფინანსურ მგომარეობაში გადასვლის შესაძლებლობას მისცემს.

3) საწარმოს ლიკვიდურობის განსაზღვრაზე

საკონტროლო-სავარჯიშო დავალება 10.5. განსაზღვრეთ მიმდინარე, პერსპექტიული და საერთო ლიკვიდურობა და მათი ცვლილებები ანალიზირებულ პერიოდში საწარმო 4-ის საბალანსო მონაცემების მიხედვით, რომელიც ცხრილი 10.1-შია მოცემული.

ამოხსნა:

აქტივები ლიკვიდურობის ხარისხის შესაბამისად დავაჯგუფოთ და გავიანგარიშოთ მეტად ლიკვიდურების, სწრაფად, ნელა და ძნელად რეალიზებადი აქტივების სიდიდეები პერიოდის საწყისი და ბოლო პერიოდებისათვის, ხოლო პასივები კი ვალდებულებების ვადიანობის ხარისხის, აგრეთვე გავიანგარიშოთ უფრო მეტად სწრაფი ვადის ვალდებულებების, მოკლევადიანების, გრძელვადიანებისა და მუდმივი პასივების სიდიდეები პერიოდის საწყისი და ბოლო ვადებისათვის ანალიზის გამარტივების მოხერხებულობის მიზნით მოკლებული მონაცემები ცხრილ 10.4-ში შევიტანოთ.

მიღებული გაანგარიშებებიდან გამომდინარე საერთო ლიკვიდურობის ($К_{ЛС}$) კოეფიციენტი განვსაზღვროთ:

$$К_{ЛС} = \frac{3000+0,5\cdot3300+0,3\cdot6400}{4800+0,5\cdot100+0,3\cdot4500} = 0,99,$$

პერიოდის ბოლოსათვის $К_{ЛС} = 0,75$.

ცხრილი 10.4

ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზისათვის საანგარიშო მონაცემები, ათ ლარებში

აქტივი			პასივი			საწყისი ბალანსი	
მაჩვენებელი	საწყისი პერ.	ბოლო პერ.	მაჩვენებელი	საწყისი პერ.	ბოლო პერ.	საწყისი პერ.	ბოლო პერ.
მიმდინარე ლიკვიდურობის გაანგარიშება:							
1. უფრო მეტად ლიკვიდური აქტივები (ულა)	3000	2000	1. უფრო სწრაფი ვალდებულებები (ულვ)	4800	700	-1800	-500
2. სწრაფად რეალიზირებადი აქტივები (სრა)	3300	4200	2.მოკლევადიანი პასივები (მპ)	1000	1500	2300	2700
აქტივების ჯამი	6300	6200	პასივების ჯამი	5800	8500	500	-2300
მაჩვენებელი	საწყისი პერ.	ბოლო პერ.	მაჩვენებელი	საწყისი პერ.	ბოლო პერ.	საწყისი პერ.	ბოლო პერ.
პერსპექტიული ლიკვიდურობის გაანგარიშება:							
3. ნელრეალიზებადი აქტივები (ნრა)	6400	9200	3. გრძელვადიანი პასივები (გპ)	4500	4500	900	3500
4. ძნელად რეალიზირებადი აქტივები (ძრა)	12500	15400	4.მუდმივი პასივები (მპ)	14900	17800	-1400	-1200
აქტივების ჯამი	18900	24000	პასივების ჯამი	19400	22300	-500	2300
ხელ	25200	30800		25200	30800	0	0

პასუხი: საწარმოს ლიკვიდურობა ანალიზირებადი პერიოდის ბოლოსათვის გაუარესდა. თუ საწყისი პერიოდისათვის მიმდინარე ლიკვიდურობა ჭარბი იყო (+500), ანუ აქტივები ვალდებულებებზე 500 ათ. ლარით მეტი იყო, პერიოდის ბოლოსათვის აქტივების უკმარისობა შეიმჩნევა 2300 ათ. ლარის მოცულობით, შესაბამისად პერსპექტი-

ული ლიკვიდურობა პერიოდის დასაწყისისათვის არასაკმარისი იყო (-500), ხოლო პერიოდის ბოლოსათვის კი - ჭარბი (2300).

4) ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშებაზე

დავალება 10.6. გაანალიზეთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილება ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით საწარმო №4-ის (ცხრილი 10.1-დან) მუშაობის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით.

ამოხსნა:

განვიხილოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის ცვლილებები ანალიზირებადი პერიოდის განმავლობაში და გავიანგარიშოთ ფინანსური კოეფიციენტები. კოეფიციენტები და მათი მნიშვნელობები საწყისი და ბოლო პერიოდებისათვის ცხრ. 10.5-შია მოყვანილი.

4) ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშების შედეგები

ცხრილი 10.5

კოეფიციენტი	მნიშვნელობა	
	საწყისი პერიოდისათვის	პერიოდის ბოლოსათვის
1. აქტივობის	0.59	0.58
2. ნახსნები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა	0.69	0.72
3. მანევრირებადობის	0.40	0.33
4. მარაგების და დანახარჯების საკუთარი წყაროებით უზრუნველყოფადობა	1.33	0.88
5. აბსოლუტური ლიკვიდურობის	0.52	0.24
6. ლიკვიდურობის	1.09	0.73
7. გადაფარვის	2.03	1.69
8. საწარმოო დანიშნულების ქონების რეალური დირებულების	0.60	0.68

პასუხი:

გაანგარიშებების მონაცემების მიხედვით ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საერთო გაუარესების შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ავტონომიურობის კოეფიციენტის მნიშვნელობის 0,59-დან 0,58-მდე შემცირება საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ზოგიერთი შემცირების, მომავალში ფინანსური სიძნელეების რისკის ამაღლების დასტურია. ასეთი ტენდენცია კრედიტორების თვალსაზრისით საწარმოს მიერ თავისი ვალდებულებების დაფარვის გარანტიებს ამცირებს. ნასესხები და საკუთარი სახსრების კოეფიციენტის მნიშვნელობის 0,69- ან 0,72-მდე უმნიშვნელო გადიდება საწარმოში საკუთარი სახსრების საკმარისობის შენარჩუნებისა და თავისი ვალდებულებების გადაფარვის დასტურია. მანევრირების კოეფიციენტის მნიშვნელობა შემცირდა, რაც საწარმოს მობილურ ფორმაში არსებული თავისი ვალდებულებების გადაფარვის საკუთარი სახსრების სიდიდის შემცირების შესახებ და ამ სახსრების მანევრირების შესაძლებლობების შემცირებას მოწმობს.

მარაგებისა და დანახარჯების საკუთარი წყაროებით ფორმირების უზრუნველყოფის კოეფიციენტი პერიოდის დასაწყისისათვის ნორმალურ შეზღუდვას აკმაყოფილებდა (1,33>1), ხოლო პერიოდის ბოლოსათვის კი - მისი მნიშვნელობა ნორმატიულ მნიშვნელობაზე დაბალია (0,88<1). აღნიშნული მარაგებისა და დანახარჯების დაფინანსების საკუთარი წყაროებით არასაკმარისი უზრუნველყოფადობის შესახებ მოწმობს. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0,52-დან 0,24-მდე შემცირდა, მაგრამ იგი ნორმატიულ მნიშვნელობას აკმაყოფილებს. ლიკვიდურობის კოეფიციენტის 1,09-დან 0,73-მდე შემცირება საწარმოს საგადამხდელო შესაძლებლობების შემცირებაზე მიუთითებს. ასეთ საწარმოს ბანკიდან კრედიტების მიღება გაუჭირდება. გადაფარვის კოეფიციენტი 2,03-დან 1,69-მდე შემცირებაზე მიუთითებს. საწარმოო დანიშნულების ქონების რეალური ღირებულების კოეფიციენტის 0,60-დან 0,68-მდე მოიმატა და მისი მნიშვნელობა ნორმატიულზე მაღალია (0,5). მაგრამ აქ დამატებითი ანალიზის ჩატარების აუცილებლობა უნდა დადგეს დღის წესრიგში იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოო დანიშნულების ქონების სიჭარბე ფინანსური მდგომარეობის საერთო გაუარესების მიზეზს ხომ არ წარმოადგენს.

5) საწარმოს რენტაბელობისა და საქმიანი აქტიურობის შეფასებაზე

საშარჯიშო-დავალება 10.7. შეაფასეთ საწარმო №4-ის რენტაბელობა და საქმიანი აქტიურობა ცხრილი 4.9 და 4.12-ში მოტანილი საბალანსო მონაცემებისა და ფინანსური შედეგების საფუძველზე.

ამოხსნა:

საწარმოს საქმიანობის დინამიკის აღნიშნული პერიოდისათვის შესწავლის მიზნით გავიანგარიშოთ კოეფიციენტები და გაანგარიშების შედეგები ცხრილი 10.6-ში დავაჯგუფოთ.

ცხრილი 10.6

ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშების შედეგები

კოეფიციენტი	მნიშვნელობა	
	პერიოდის დასაწყისში	პერიოდის ბოლოს
1	2	3
რენტაბელობა გაყიდვების ($Კ_1$)	0,51	0.33
რენტაბელობა საწარმოს მიმდინარე კაპიტალის ($Კ_2$)	0.52	0.30
რენტაბელობა ბრუნვისგარეშე აქტივების ($Კ_3$)	0,99	0.55
რენტაბელობა კაპიტალის ($Კ_4$)	0.89	0,51
რენტაბელობა პერსანენტალური კაპიტალის ($Კ_5$)	0.68	0.41
კაპიტალის საერთო ბრუნვადობა ($Კ_6$)	1,03	0,89
მიმდინარე სახსრების ბრუნვადობა ($Კ_7$)	2,20	1,91
მატერიალური საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა ($Კ_8$)	5.78	91,67
მსა პროდუქციის ბრუნვადობა ($Კ_9$)	37,14	91,67
დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა ($Კ_{10}$)	8,67	6.88
დებიტორული დავალიანებისბრუნვის საშუალო ვადა დღეებში ($Კ_{11}$)	42.12	53,09
კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობა ($Კ_{12}$)	5,53	4,10
კრედიტორული დავალიანების ბრუნვის საშუალო ვადა დღეებში ($Კ_{13}$)	65.98	88.93
არბრუნვისგარეშე აქტივების უკონდიციობა ($Კ_{14}$)	193	1.66
საკუთარი კაპიტალის ბრუნვადობა ($Კ_{15}$)	1,73	1,53

პასუხი:

რენტაბელობისა და საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტების საწყისი და ბოლო პერიოდებისათვის გაანგარიშებამ დაგვანახეს, რომ:

- გაყიდვებიდან რენტაბელობის კოეფიციენტი 0,51-დან 0,33-მდე შემცირდა, რაც საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებაზე მიუთითებს;
- საწარმოს მთლიანი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი 0,53-დან 0,30-მდე შემცირდა, რაც საწარმოს ქონების გამოყენების ეფექტიანობის შემცირებაზე მიუთითებს;
- დანარჩენი კოეფიციენტების შემცირების მიზეზად საწარმოს რენტაბელობისა და მისი საქმიანი აქტიურობის გაუარესება უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება საწარმოს მიერ თავისი ვალდებულებების მისედვით რამდენადმე შენელებულად გადახდას, ვიდრე იგი ფულს კრედიტების მეშვეობით ღებულობს, მიუთითებს ის გარემოება, რომ დებიტორული დავალიანების ბრუნვის საშუალო ვადა პერიოდის დასაწყისისათვის - 42,12 დღეს და პერიოდის ბოლოსათვის - 53,09 დღეს შეადგენს, მაშინ როდესაც საკრედიტო ბრუნვის საშუალო ვადა შესაბამისად 65,98 და 88,93 დღეა.

მზა პროდუქციის ბრუნვადობის კოეფიციენტის 37,14-დან 91,67-მდე ზრდა საწარმოს საქმიანი აქტიურობის რამდენადმე გააქტიურებაზე მიუთითებს, მაგრამ მისი ზრდა სხვა ზემოთაღნიშნული კოეფიციენტების შედეგად გამოწვეული გაუარესებების კომპენსირებას ვერ მოახდენს.

საბოლოო ჯამში ანალიზირებადი პერიოდის განმავლობაში რენტაბელობისა და საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტების დინამიკის ანალიზი, საწარმოს რენტაბელობისა და საქმიანი აქტიურობის გაუარესებაზე მიუთითებს.

ბ. საწარმოს ფინანსური გაკოტრების (არამდგრადობის) თავისებურებანი

ქვეთავში ისეთი სახის ამოცანებია შემოთავაზებული, რომლებიც პრაქტიკაში კონკრეტული საწარმოს ე. ალტმანის ორფაქტო-

რიანი და ხუთფაქტორიანი მოდელების გამოყენებით გაკოტრების ალბათობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. რიგი ამოცანები ტესტების სახით არის წარმოდგენილი, რომლებიც თეორიული მასალების უკეთ ათვისებაში დაგვეხმარება.

დავალება 10.8. შეაფასეთ საწარმო "ზბბ"-ს გაკოტრების ალბათობა უახლოესი ორი წლის განმავლობაში ქვემოთმოტანილი ცხრილი 10.7 და 10.8-ის მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 10.7.

საწარმო "ზბბ"-ს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების მონაცემები

№№ რიგ.	მაჩვენებელი	მნიშვნელობა
1.	ამონაგები რეალიზაციიდან, მლნ. ლარებში	2700
2.	პროცენტები კრედიტებზე და სესხებზე, მლნ. ლარებში	54
3.	გადასახადებით დასაბეგრი მოგება, მლნ. ლარებში	180
4.	აქციების საბაზრო ფასი, ლარებში: • ჩვეულებრივის • პრივილეგირებულების	 25,7 90,3
5.	ჩვეულებრივი აქციების განთავსების რაოდენობა, მლნ. ცალი	50
6.	პრივილეგირებული აქციების რაოდენობა, მლნ. ცალი	1

ცხრილი 10.8.

საწარმო "ლბც" საწარმოს
აგრეგირებული ბალანსი, მლნ. ლარებში

აქტივი	წლის დასაწ-ყისში	პასივი	წლის დასაწ-ყისში
I ბრუნვის გარეშე აქტივები	1170	IV. კაპიტალი და რეზერვები	810
		მათ შორის:	
		• გაუნაწილებელი მოგება საანგარიშგებო წელს	108
		• გაუნაწილებელი მოგება წინა წლების	487
II საბრუნავი აქტივები	630	V. გრძელვადიანი პასივები	720
III. ზარალი		VI. მოკლევადიანი პასივები	270
ბალანსის ვალუტა	1800	ბალანსის ვალუტა	1800

საწარმოს გაკოტრების ალბათობის შეფასება ე. ალტმანის ხუთფაქტორიანი მოდელის გამოყენებით არის შესაძლებელი:

$$Z = 1,3X_1 + 1,4X_2 + 3,3X_3 + 0,6X_4 + X_5,$$

სადაც Z - არის კრედიტუნარიანობის ინდექსი;

$$X_1 = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი კაპიტალი}}{\text{ბალანსის ვალუტა}};$$

$$X_2 = \frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{ბალანსის ვალუტა}};$$

$$X_3 = \frac{\text{მოგება პროცენტების გადახდამდე}}{\text{ბალანსის ვალუტა}};$$

$$X_4 = \frac{\text{საბაზრო ფასი ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების}}{\text{ბლანსის ვალუტა;}}$$

$$X_5 = \frac{\text{აშონაგები რეალიზაციიდან}}{\text{ბლანსის ვალუტა;}}$$

როდესაც: Z<1,81-ზე - გაკოტრების ალბათობა ძალიან დიდია;
თუ 1,81<Z<2,675 - გაკოტრების ალბათობა საშუალოა;
თუ 2,675<Z<2,99 - გაკოტრების ალბათობა დიდი არ არის და
თუ Z>2,99 - გაკოტრების ალბათობა ძალიან მცირეა.
ჩვენს შემთხვევაში:

$$Z = 1{,}3 \frac{810+720-1170}{1800} + 1{,}4 \frac{487+108}{1800} + 3{,}3 \frac{180+50}{1800} + 0{,}6 \frac{25{,}7 \times 50 + 90{,}53 \times 1}{720 + 270} + \frac{2700}{1800} =$$

$$= 0{,}24 + 0{,}46 + 0{,}43 + 0{,}83 + 1{,}5 = 3{,}46.$$

მიღებული მნიშვნელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი მონაცემების მქონე საწარმოს უახლოესი ორი წლის განმავლობაში გაკოტრების ალბათობა არ ემუქრება.

საკონტროლო დავალება 10.9 - ტესტები.

აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. საწარმოში მმართველობის გარედან შემოყვანის შემთხვევაში მევალის ქონების განკარგავს:

ა) მევალის მართვის ორგანო გარე მმართველობის კონტროლის ქვეშ,

ბ) ქონების მესაკუთრე გარე მმართველობის კონტროლის ქვეშ,

გ) გარე მმართველი,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

2. გარე მმართველობის პერიოდში საარბიტრაჟო მმართველს შეუძლია მსხვილი გარიგებები მხოლოდ კრედიტორების კრების ან კრედიტორების კომიტეტის თანხმობით განახორციელოს. ამასთან, მსხვილ გარიგებებად ჩაითვლება ისეთები, რომელიც მევალის ქონების განკარგვას ითვალისწინებს, რომლის საბალანსო ღირებულება აღემატება:

ა) გარე მმართველობის შემოყვანის მომენტისათვის აქტივების საბალანსო ღირებულების 20%-ს,

ბ) გარიგების დადების მომენტისათვის აქტივების საბალანსო ღირებულების 20%-ს,

გ) გარიგების დადების მომენტისათვის მევალის აქტივების საბალანსო ღირებულების 10%-ს,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

3. დაკვირვების დადგენას თან მოყვება:

ა) მევალე-ხელმძღვანელის გადადგომა,

ბ) მევალე-ხელმძღვანელი არ გადაყენდება,

გ) მევალე-ხელმძღვანელის გადაყენება გახორციელდება თუ მან ქვეყნის კანონმდებლობა დაარღვია,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

4. დროებითი მმართველობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

ა) მევალის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარება,

ბ) კონკურსის მომზადება და ორგანიზაცია მევალის ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით,

გ) სასამართლოს წინაშე სანაციის ჩატარება,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

5. ფიქტიური და წინასწარ განსაზღვრული გაკოტრება ცნობილია:

ა) საარბიტრაჟო მმართველის მიერ სასამართლოს წინაშე სანაციის მსვლელობისას,

ბ) დროებითი მმართველის მიერ დაკვირვების პერიოდში,

გ) საკონკურსო მმართველის მიერ საკონკურსო წარმოების მომზადებისას,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

6. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მეუღლის გაკოტრებულად ცნობისათვის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

ა) მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის 2-ზე ნაკლები მნიშვნელობა და (ან) საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფადობის კოეფიციენტის 0,1-ზე ნაკლები მნიშვნელობა,

ბ) გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტის 1-ზე ნაკლები მნიშვნელობა,

გ) ვალდებულებების მნიშვნელობა, რომელიც მათი გამოყენების დადგომის მომენტიდან სამი თვის განმავლობაში არ იყო გამოყენებული,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

7. სამშვიდობო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება:

ა) კრედიტორების კრების ხმების ორი მესამედით,

ბ) საკონკურსო კრედიტორების საერთო რაოდენობიდან ხმების უმეტესობით პირველი და მეორე რიგისობის კრედიტორების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისას.

გ) საკონკურსო კრედიტორების საერთო რაოდენობიდან ხმათა უმრავლესობით იმ პირობით, რომ ამ გადაწყვეტილებაზე ვალდებულებების მქონე ყველა კრედიტორები თანახმა არიან, რომლებიც მევალეს ქონების გირაოთი უზრუნველყოფილია, და პირველი და მეორე რიგისობის კრედიტორების მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

8. საკონკურსო წარმოების მსვლელობისას ჯარიმების (პენიების) და სხვა სახის ფინანსური (ეკონომიკური) სანქციები უნდა დაკმაყოფილდეს:

ა) ექვემდებარება დაკმაყოფილებას შესაბამისი რიგისობის კრედიტორების მოთხოვნები,

ბ) ექვემდებარება დაკმაყოფილებას მეხუთე რიგისობის კრედიტორების მოთხოვნები,

გ) არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

9. გაკოტრების ძირითადი პროცედურა, რომლის რეალიზება მევალის - იურიდიული პირის მიმართ უნდა იქნეს რეალიზებული, წარმოადგენს:

ა) დაკვირვება, საკონკურსო წარმოება, სასამართლომდე სანაცია, მშვიდობიანი გარიგება,

ბ) დაკვირვება, გარედან მართვა, კონკრეტული წარმოება, მშვიდობიანი გარიგება,

გ) დაკვირვება, პრივატიზაცია, კონკრეტული წარმოება, მშვიდობიანი შეთანხმება,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

10. საკონკურსო წარმოება - არის:

ა) გაკოტრების პროცედურა, რომელიც კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით გაკოტრებულად გამოცხადებული მევალისადმი გამოიყენება,

ბ) საწარმოს (ბიზნესის) გაყიდვის პროცედურა დახურულ ბაზარზე,

გ) საწარმოს გაყიდვის პროცედურა ღია ვაჭრობის ჩატარების გზით,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

11. საკონკურსო მასა - არის:

ა) ფულადი სახსრების მასა, რომელიც საკონკურსო წარმოებიდან არის მიღებული,

ბ) ფულადი სახსრების მასა, რომელიც პირველი სამი რიგისობის საკონკურსო კრედიტორებს შორის ნაწილდება.

გ) მევალის ყველა ქონება, რომელიც საკონკურსო საწარმოს გახსნის მომენტისათვის იყო და საკონკურსო წარმოებისას გამოვლინდა,

დ) თქვენი პასუხის ვარიანტი.

სავარჯიშოები და საკონტროლო დავალებები

ა მ ო ც ა ნ ა 10.10.

საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე.

ამოცანის პირობა: საწარმო „ავანგარდის" მენეჯერმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი პროდუქციის (ნაკეთობა M) ყოველწლიურად 80 ათასი ცალის წარმოებაზე. პროექტის რეალიზაციისათვის აუცილებელია 30 მლნ. ლარის ინვესტიციების განხორციელება მანქანა-დანადგარებისა და ნედლეულის შესაძენად. ერთეული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს 350 ლარს, კომერციული (მიწოდების) და საერთო-სამმართველო დანახარჯები ყოველწლიურად შეადგენენ 4 მლნ. ლარს.

განსაზღვრეთ: ერთეული პროდუქცის (ნაკეთობა M-ის) სავარაუდო ზღვრული გასაყიდი ფასი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინვესტიციის რენტაბელობის ზღვრული მაჩვენებელი 20%-ის ტოლი.

ამოხსნა: ზემოთ მოცემული ამოცანის ამოსახსნელად სამეწარმეო პრაქტიკაში გამოიყენება მეთოდი „თვითღირებულების+პლუს", როდესაც ერთეული პროდუქციის თვითღირებულებას ემატება ე.წ. „დანამატი". ცნობილია ამ მეთოდის ორი სახეობა:

1. შთანთქმის (მიკუთვნების) – მეთოდი,
2. საერთო მარჟინალური – მეთოდი.

1. მეთოდი - შთანთქმის გამოყენების პირობებში ძირითად დანახარჯებად განიხილება ხარჯები გაწეული პროდუქციის წარმოებაზე, ხოლო კომერციული (მიწოდების) და მმარ-

თვითღირებულების „დანამატად".

2. საერთო მარჟინალური მეთოდის გამოყენების პირობებში თვითღირებულებაში განიხილება მხოლოდ ცვალებადი ხარჯები (კომერციულ და მმართველობით ხარჯებში ცვალებადი ხარჯების წილის შეტანით), ხოლო „დანამატი" მოიცავს მუდმივ დანახარჯებსა და მოგების ნორმას.

ჩვენი ამოცანის პირობაში, რადგანაც არ არის მოცემული მუდმივი და ცვალებადი დანახარჯების სიდიდეები, შესაბამისად, გამოყენებული იქნება პირველი მეთოდი ე.წ. „ შთანთქმის მეთოდი".

დანამატის პროცენტი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\text{დანამატის პროცენტი } D = \frac{I_1 + KM}{Q \cdot C} \qquad (10.1)$$

სადაც Iı – დაგეგმილი ინვესტიციის თანხების უკუგებაა (ინვესტიციის საპროცენტო თანხაინვესტიციის რენტაბელობის %-ზე)

KM – კომერციული და მმართველობითი ხარჯები

Q – პროდუქციის რაოდენობა ერთეულებში

C– ერთეული პროდუქციის თვითღირებულება

ამოცანა 10.10-ის პირობის საფუძველზე განისაზღვრება:

$$Д = \frac{(30\,000\,000E0{,}20) + 4\,000\,000}{8\,0000E350} \cdot 100\% = 0{,}357\%$$ დანამატის პროცენტი

შესაბამისად, ზღვრული სარეალიზაციო ფასია P=350x1,357=475 ლარი. P=475 ლარის პირობებში მოგების მაჩვენებელი იქნება:

1. ამონაგები რეალიზაციიდან 38 000 000 (80 000x475)
2. რეალიზებული პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯები 28000000 (80 000x350)

3. საერთო მოგება (მარჯა №1-2) 10 000 000 (38 000 000 – 28 000 000)
4. კომერციული და მმართველობითი ხარჯები 4 000 000 (4000000 – გამოკლება)
5. საოპერაციო მოგება (მოგება გაყიდვებიდან №3-4) 6 000 000 (10 000 000 – 4 000 000)

როგორც გაანგარიშება უჩვენებს, 6 მლ. არის მოგების მიღების მაჩვენებელი უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტის 20%-იან რენტაბელობის (მოგება/პროექტის ღირებულება – 6 000 000/30 000 000 = 0,2x100 = 20%) საძიებელ სიდიდეს.

სავარჯიშო 10.11

საწარმოში რეალიზაციის მოცულობა ყოველთვიურად შეადგენს =10 ნაკეთობას, თითოეული =250 ათას ლარად, (10x250 000) =2,5 მლნ. ლარის. ყოველთვიური მუდმივი დანახარჯები უდრის 800 ათას ლარს, ცვალებადი დანახარჯები 120 ათასი ლარი მოდის ერთ ნაკეთობაზე. ნაკეთობის ერთეულის თვითღირებულება შეადგენს – 200 ათას ლარს, შესაბამისად, ყოველთვიურ თვითღირებულებაზე დანახარჯები 2 მლნ. ლარის ტოლია.

შემოსულია საინვესტიციო წინადადება დამატებით 1 ნაკეთობის 140 ათას ლარის შესყიდვის თაობაზე. მიიღეთ გადაწყვეტილება შემოთავაზებულ საინვესტიციო წინადადებაზე?

სავარჯიშო 10.12

საწარმოს სალიკვიდაციო ღირებულება 4,3 მლრ. ლარს შეადგენს. საშუალო წლიური წმინდა ფულადი ნაკადების საპროგნოზო მნიშვნელობა უდრის 540 მლნ. ლარს. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება 12% შეადგენს.

განსაზღვრეთ საწარმოს ეკონომიკური ღირებულების მაჩვენებელი და მიიღეთ გადაწყვეტილება რომელი ვარიანტია მისაღები: ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია?

საჭარჯიშო 10.13.

საწარმოს სალიკვიდაციო ღირებულება რომლის გაკოტრების საქმე განიხილება საარბიტრაჟო სასამართლოში შეფასებულია 5,3 მლრ. დოლარად. საწარმოს რეორგანიზაციის პირობებში იგეგმება წმინდა ფულადი სახსრების ყოველწლიურად 0,5 მლრ. ლარის შემოდინება, კაპიტალის საშუალო შეწონილი წლიური ღირებულება 10%-ს შეადგენს. სავარაუდოდ, სასამართლო მიიღებს საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას.

განსაზღვრეთ, რამდენად საფუძვლიანი იქნება ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით სასამართლოს მიერ ლიკვიდაციის გადაწყვეტილება.

საკონტროლო დავალება 1

ვარიანტი პირველი.

ამოცანა №10.14

საინვესტიციო პროექტი გათვალისწინებულია 15 წელიწადზე, რომლის კაპიტალდაბანდების თანხა 150 ათას ლარს შეადგენს. შემოსავლების ნაკადი პირველი ხუთი წლის მანძილზე არ იგეგმება, ხოლო შემდგომ 10 წელიწადში ყოველწლიური შემოსავლები შეადგენს 50ათას ლარს. დისკონტის კოეფიციენტი 15%. გაანალიზეთ სიტუაცია და მიიღეთ გადაწყვეტილება, რამდენად მიმზიდველია მოცემული საინვესტიციო პროექტი?

ვარიანტი მეორე

ამოცანა №10.15

საინვესტიციო პროექტი რომლის ღირებულება 150 ათას ლარს შეადგენს 15 წლის განმავლობაში ითვალისწინებს ყოველწლიურად 30 ათასი ლარის შემოსავლების მიღებას. მეთექვსმეტე წელიწადში პროექტის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის საჭირო იქნება 10 ათასი ლარის დაბანდება. წმინდა მიმდინარე ღირებულების (NPV) დისკონტის კოეფიციენტის – 8%-ის ფარგლებში განსაზღვრეთ მოცემული პროექტის გამოყენების მიზანშეწონილობა.

საკონტროლო დავალება 2

ვარიანტი პირველი

ამოცანა №10.16

მოცემულია ორი ალტერნატიული პროექტის მაჩვენებლები

	IC	P1	P2	P3
A	- 100	100	225	- 225
B	120	75	70	60

გამოთვალეთ – IRR მოცემული პროექტისა. შეადგინეთ NPV – გრაფიკი და განსაზღვრეთ რომელი პროექტის გამოყენება არის უფრო მიზანშეწონილი, თუ კაპიტალის ღირებულება შეადგენს ა) პროექტის პირობებში 10%, ბ) პროექტის პირობებში 20%-ს.

ვარიანტი მეორე

ამოცანა №10.17

მოცემულია ოთხი პროექტის შემდეგი მაჩვენებლები, სადაც იგეგმა, რომ კაპიტალის ღირებულება 12%-ს შეადგენს.

წლები	IP_1	IP_2	IP_3
0	- 10 000	- 10 000	-6000
1	6000	8000	5000
2	6000	8000	2000
3	2000	1000	2000

გამოიანგარიშეთ:

1. რომელ პროექტს აქვს უდიდესი NPV?
2. რომელ პროექტს აქვს უმცირესი NPV?
3. რას უდრის IRR – IP_1 პროექტის პირობებში?
4. რას უდრის IRR – IP_1 პროექტის პირობებში, როდესაც მესამე წლის განმავლობაში ფულადი ნაკადების შემოდინება გაურკვეველია და შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს შემოსავლებიდან.

საკონტროლო დავალება 3

ვარიანტი პირველი

ამოცანა №10.18

ახალი ტექნოლოგიური ხაზის დანერგვის სიტუაციის ანალიზი. ბაზარზე არის გასაყიდად წარმოდგენილი ორი მოდელი: M1 - 35 ათასი ლარის ღირებულების, M2 - 41 ათასი ლარის ღირებულების. მოდელი M2 - უფრო მწარმოებლურობით ხასიათდება. საპროგნოზო მოგება ერთეულ პროდუქციაზე M1 და M2 მოდელების გამოყენებისას შეადგენს შესაბამისად 22 და 24 ლარს. პროგნოზით მოთხოვნა (პროდუქციაზე) შემდეგ დიაპაზონში განიხილება: (ფასდება) 2200 ერთეული ალბათობით 0,3; 3000 ერთეული ალბათობით 0,5 და 4000 ერთეული ალბათობით 0,2.

გაანალიზეთ ქცევის სტრატეგია და მიიღეთ საუკეთესო გადაწყვეტილება ახალი ტექნოლოგიური ხაზის მოდიფიცირების თაობაზე.

ვარიანტი მეორე

ამოცანა №10.19

მოცემულია ინვესტირების ორი პროექტი (A და B), სადაც კაპიტალურდაბანდებათა თანხები იდენტურია. შემოსავლების ნაკადი თითოეულ პროექტში განუსაზღვრელია და განაწილებულია შემდეგი ალბათობით:

პროექტი – A		პროექტი – B	
შემოსავალი	ალბათობა	შემოსავალი	ალბათობა
3000	0,10	2000	0,10
3500	0,15	3000	0,25
4000	0,40	4000	0,35
4500	0,20	5000	0,20
5000	0,15	8000	0,10

გაანალიზეთ სიტუაცია და მიიღეთ გადაწყვეტილება თუ რომელი პროექტია უფრო მიმზიდველი?

ამოცანა №10.20

მოცემულია რეალიზაციის მოცულობის შემდეგი დინამიკა:

1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	წლები
12	14	18	17	19	22	24	27	მლნ. ლარი

ქვემოთ მოცემული მეთოდების: ა) დინამიკის მარტივი ანალიზისა და ბ) ავტორეგრესიული დამოკიდებულების აპარატის მეთოდის გამოყენებით შეადგინეთ რეგრესიის განტოლება გაყიდვების – რეალიზაციის მოცულობის პროგნოზი (2007წ.) და განმარტეთ რომელი მეთოდის გამოყენებაა უფრო მიზანშეწონილი და რატომ?

РЕЗЮМЕ
(АНАЛИЗ И ПЛАНИРОВАНИЕ В СИСТЕМЕ ФИНАНСОВОГО МЕНЕДЖМЕНТА)[1]

Общеизвестно, что финансовый менеджмент как самостоятельное научное и практическое направление сформирвался в начале 60-х годов XX века на стыке трех крупных научных направлений: общая теория управления, современная теория финансов и бухгалтерский учет.

Как практическая сфера деятельности финансовый менеджмент имеет четыре крупные области:

1) общий финансовый анализ и планирование, в рамках которых осуществляется формулирование приведенных ниже вопросов: какой объем финансовых ресурсов необходим для успешной деятельности; из каких источников можно привлечь требуемая финансовые ресурсы; как организовать тактическое и оперативное управление финансами экономической организации с целью обеспечения его ликвидности и платежеспособности, и их формализация и определение способов решения;

2) Управление инвестиционной деятельности;

3) управление источниками финансовых ресурсов;

4) текущее финансовое управление.

Система управления финансами предприятия многоаспектна, она распространяется как взаимоотношения внутри предприятия, так и на взаимоотношения данного предприятия с другими субъектами хозяйствования, с государственными органами обществом. В целом финансовая деятельность на микроуровне имеет два основных аспекта: управление активами – Куда вложить финансовые ресурсы и управления источниками финансирования – откуда взять требуемые ресурсы.

В условиях рыночных отношений финансовая деятельность экономической организации (корпорации) приобретает ключевое значение, поскольку от ее эффективности в значительной степени зависит сам факт существования организации. В связи с этим, в общей совокупности действий финансового менеджера (аналитика) главенствующее место занимает задача поиска и мобилизации.

По источникам формирования финансовые ресурсы экономического субъекта подразделяются на:

а) образуемые за счет собственных и приравненых к ним средств;

б) мобилизуемые на финансовых рынках как результат операций с ценными бумагами, ссудо-заемных операций и др.;

---

[1] Выполнен Л.З. Липартия - соискателем ученой степени доктора экономики.

в) поступающие в порядке перераспределения в виде бюджетных ассигнований;

г) находящиеся во временном краткосрочном пользовании средств сторонних субъектов как результат текущих хозяйственной операций.

Финансовый менеджмент как наука базируется на ряде фундаментальных концепций, которыми являются следующие **концепции**: денежного потока, временной ценности денежных ресурсов, компромиса между риском и доходностью, стоимости капитала, эффективности рынка капитала, асимметричности информации, агентских отношений, альтернативных затрат, имущественной и правовой обособленности субъекта хозяйствования и др.

Научный **инструментарий** (аппарат) финансового менеджмента в практической плоскости представляет собой совокупность финансовых инструментов, приемов, методов и моделей, позволяющий осуществлять эффективное управление финансами предприятия, которые условно можно разделить на три большие группы: 1) общеэкономические (кредитование, ссудо-засмные операции, расчные операций, страхование, залоговые, трастовые и трансперные операции, амортизующие отчисление, система налогообложение и др; 2) прогнозно-аналитические (финансовое планирование, налоговые планирование, факторный анализ, моделирования, методы прогнозирования и др.); 3) специальные методы управления финансами. В основе многих специальных методов (многие из которых еще только начинают распространение в Грузии) лежат производные финансовые инструменты, которым является дивидендная политика, факторинговые операции, франчайзинг, фьючерсы, финансовая аренда и т. д.

Многие модели и меторы количественного финансового анализа заимствованы из различных разделов математики. При этом следует отметить, что при построении моделей факторного анализа налицо условность в обособлении некоторой группы факторов и игнорировании других факторов. Например, при использовании методов корреляционно-регрессивного анализа далеко не всегда выполнены предпосилки о независимости и случайности переменных и т. д. Однако цель применения таких методов и моделей – пояснить и обосновать логику процессов, имеющих место на рынках капитала, в самом предприятии, в его взаимоотношениях с различными контрагентами.

В системе экономического анализа **финансовый анализ** деятельности хозайствующего субъекта занимает ключевое место. Результаты анализа служат формализованной основой принятия решений финансового характера в отношении данного предприятия со стороны всех

заинтересованных лиц: собственников, управленческого персонала, контрагентов и др.

Проведение анализа это творческий процесс, вместе с тем анализ финансовой деятельтости предпиряитя с позиции внешних аналитиков, выполняющих рачет и оценки на базе доступной информации (Компоненты финансовой отчетности и данные рынка ценных бумаг) может быть формализован. Основу методики анализа состовляют система аналитических коэффициентов, в частности оценки: экономического потенциала финансовой устойчивости, деловой активности и др. Сама методика может быть реализована в рамках экспресс-анализа или углубленного анализа финансовой деятельности предприятия.

